114
1937/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

8-9

აგვისტო
სექტემბერი

საბჭოგამი
ტფილისი — 1937

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

114/1
1937
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

36

2066

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეთოთხმეტე

8-9

საქართველოს სსრ
თბილისი
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ს ა ხ ე ლ გ ა მ ი
ტ ფ ი ლ ი ს ი 1937

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქცია:
ტფილისი, მაჩაბლის, 13
მწერალთა სასახლე
ტ. 3-55-25

ქანტორა:
ტფილისი, კიროვის ქ. № 7
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მგ. რედაქტორი — ალიო მაშაშვილი

პ/მგ. მდივანი — ლევან ასათიანი

მთავლ. რწმუნ. № 330048. შეკვ. № 1170. ტირაჟი 7300.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო მაშაშვილი

ენგური

პოემა

1

მოქუხს, მოელავს ენგურ მდინარე,
მოაქვს ტალღები ნადავლიანი,
აბობოქრებულ სახით მძვინვარებს
მუდამ მრისხანე, ავდარიანი,
წყლისპირ, ხეებში, ცას რომ ჩრდილავენ,
ძნელად გაივლის ადამიანი!
ენგურს არ ახსოვს თბილი დღეები,
თაკარა მზე-და, ზეცა მხურვალე,
ამაღლებულან სოჭის ხეები,
დასცქერენ წყალს-და, ჩრდილს ახურავენ!
ხშირად ტყე-და-ტყე, კლდე და ჭიუხი,
ხარობს ჭადრის-ხე, ნაძვი, ჩინარი,
გაზრდილ ფოთლების სისქით, სიუხვით
დაჩრდილულია ცა უჩინარი!
ტყეში ხეებსაც უყვართ ოცნება,
ფიქრში გართობა და გატაცება,
სადაც უბრალო ფურცლის მოწყვეტა
უდრის მიწაზე მეხის დაცემას!
ხეებს, ჰაერის სუნთქვით დაგეშილთ,
ჰშვენის მხარბეჭი გოლიათების,
მაღლა, ფოთლების სიავდარეში
შრიალებს ნისლის კორიანტელი!
აქ არც სილურჯე, არც სიმწვანეა,
არც მზისპირი ჩანს, არც — ცის ტატნობი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თან ისე ბნელა და სიწყნარეა
რომ მიწის ბრუნვაც არის საგრძნობი!
მუდამ ბნელი-და, ხუთასწლიური
მოსჩანს ფოთლების ცა დაღვრემილი,
ძირს ეცემიან ცვარნი ციურნი
ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავებივით!
მხოლოდ ხანდახან ქარის სისინი
ტყეს შეაძრწუნებს ხეთა ბარბაცით,
გადმოეშვება ციდან მზის-სხივი
და ბნელეთს გასჭრის როგორც ალმასი!
რა გაჩერდება ამ შუატყეში
თუ არა ძალით გადმოვარდნილი,
კაცს იპყრობს შიში და ჟრუანტელი,
სუნთქვა-შეკრული დადის ნადირი!
ჩამოდიოდენ სვანი მწყემსები
ცხვრებით, ძროხებით, ველური ძაღლებით,
შემოჩვეული ჰყავდათ მხეცები
და მხეცზე ავი ავაზაკები!
ამბობენ ამტყეს თურმე იმხანად
აჯანყებული გლეხთა ძალებით
თავს აფარებდა უტუ მიქავა
სახელგანთქმული პარტიზანელი!
აქ უსროლია ლევან დადიანს,
გაუხვრეტია თვალის მიზანი,
აქვე მოუკლავს დილა-ადრიან
ინვნი და ჯიხვნი სალის კლდისანი!
ასე ყვლეფავდა ტყეს და ხეობას
დადიანების გვარის სახლობა,
სხვა-დანარჩენი მოსახლეობა
ვერც გაივლიდა ამ ტყის მახლობლად!
მაგრამ დღეებმა დღენი შესცვალეს
დადიანების სადარდიანოდ,
რევოლუციის პირველ დღესავე
ტყე ჩამოერთვა სადადიანოს!

2

აი, მოსულა აზრით, აბჯარით
საბჭოთა ქვეყნის მეცნიერება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დაიუფლოს ხეთა ლაშქარი,
ტყის სახელმწიფოს ეს ძლიერება!
რომ ხე წაიქცეს და წაიშალოს
მისი ფესვები, მისი ფუძე-და:
ხვალვე იგი ხე გადაიშალოს
სოციალისტურ წიგნის ფურცლებად!
აი, სახლები, მწვანე ფანჯრებით,
ტყეში ხელიხელ ანაგებია,
მორთულ, მორგული ბაღით, ბაღჩებით
ხეტყის მუშათა „ბარაკებია“!
ირგვლივ შრომაა ხალისიანი,
სჭრიან, ხერხავენ ხეებს მუშები,
მიდი-მოდიან სტვენით, ზრიალით
ტრაქტორმავლები და „კუკუშკები“!
ხეტყის მარაგი მიდის ღრმახევით,
ისევ ღარ-თხრილი და ღანირია,
გაყვანილია გზები, არხები,
ლიანდაგებიც გაყვანილია!
უზარმაზარი ხეთა მორები
მიაქვთ ჯოლაში გაბმულ კამეჩებს,
ხრამში ჩავარდნით და ჩაგორებით
განადგურდება გზაში რამდენჯერ!
მიაქვთ ხეები ენგურ-ნაპირად,
არ არის ტევა, გზა და ადგილი,
ჩაიყვინთება ხე თავდაყირა,
ვით საბანაოდ გადავარდნილი!
ამღერებულან, კალატოზური
ბირდაბირებიც ემღერებიათ,
ეს კოლექტივის გეზით მოსული
წალენჯიხელი მეგრელებია!
თითქოს ზღვისქარი ამოგრიგალდა,
ააბობოქრა ტყე ხმაურობით,
ალბად იმარჯვებს ხეტყის ბრიგადა
ბურდუ შელიას მეთაურობით!
სჭრიან ხეებს-და: მიაქვთ ქარხნამდი,
ხე არის ნორჩი, არის წლოვანი,
ქარხანამ უნდა მოგვცეს ქაღალდი
თეთრი და მაღალ-ხარისხოვანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

შუა-ეზოში, განმარტოებით
ბებერი ხე დგას გამხმარ-რტოებით.
ხის იქით მოსჩანს ოდა მეგრული
ბეტონ-ბოკონზე დამაგრებული!
ათხრებულან ღობე-ყორები
ფანჩატურიან ჭიშკრის მინგრევით,
დროზე მოსულან სოფლის ღორები
და ეზო-მიწას ხნავენ დინგებით!
ოდა ქოხს უკეთ მოგავს განიერს,
ცალგვერდით ოდნავ გაღუნულია,
გამურულია, ყავრის მაგიერ
რატომღაც ისლით დახურულია!
აქ ცხოვრობს ვინმე ბესა ბუკია
ზემოთქმული-ტყის ყოფილი ტყაჩო,
პირში ნაღველი დაუგუბია
და ბრაზი აღრჩობს!
აგერ რამდენი წელი სრულდება,
მოხდა ოქტომბრის რევოლუცია,
ბესას, თემსაბჭოს ხელისუფლება,
რომ ვსთქვათ, დე-იურედ ჯერ არ უცვნია!
ტყის სახელმწიფოს ძველი მპყრობელი
რად არ იქნება გულ-გატეხილი,
რევოლუციის წელი ყოველი
თავს ატყდებოდა ელვა-მეხივით!
რა შეარჩინეს: ძველი ქოხი და
გახუნებული ცხენი ბებერი,
ქოხში რაც იყო მიყიდ-მოყიდა,
ცხენი? რა გახდა წასაგებელი!
ცხოვრობდა ბესა, დროთა მოდენას
უდგა გულდაგულ როგორც ჯებირი,
ხელთ ეპყრა კვერთხი, ეჩოს ოდენა,
ინიციალით პირ-მოჭედილი!
მის უნებართვოთ ტყეში ხანდახან
ხეს თუ მოსჭრიდა ვინმე „ოხერი“,
ზედ დაადებდა თავის ყადაღას
უზარმაზარი კვერთხის მოღერით!
იყო მხეცივით გაუმაძღარი,
ქრთამს მიირთმევდა ფულით, ნატურით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთავდებოდა გლეხი საწყალი
მუდამ შეშის-და ხის მონატრული!
ტყე ხის დაღუპვას, თითქმის დღედაღამ,
არ წუხდა, თითქოს არც კი ჰყოლია,
ბესა ორ-თუმნად ყიდდა ხეთაგანს,
მამაჩემისგან გამიგონია!
შეიქმნა ბესა მდიდარი კაცი,
ადგა, აშენდა, რომ ვსთქვათ მართალი,
ოჯახის კეთილ-მოწყობის ხაზით
ბესას არ ჰყავდა სოფლად ბადალი!
უცებ მოვიდა წვიმით და თქეშით
დღე და... მას შემდეგ განვლო დიდხანმა,
იმ დღეს პირველად შეიჭრენ ტყეში
ბესა ბუკიას დაუკითხავად!
მას შემდეგ სახლში აღარ ჩერდება,
აღარ ასვენებს ტყეში კაკუნი,
შეაფრინდება თავის ცხენზე და
არის მთელი დღე გადაკარგული!
დადის ტყედატყე, გაღმა-გამოღმა,
სადაც შრომაა გაჩაღებული,
უფრო მატულობს ბრაზი და ბოღმა,
სახლში ბრუნდება გაჯავრებული!
ცოლიც უმატებს: ხეტყეს ვინ ჩივა,
ამ სახლიდანაც მთლად არ გაგვყრიდენ,
ბესა ბრაზდება: მე თუ ბიჭი-ვარ
ტყეს დავიბრუნებ თავის ქარხნითვე!
მაგრამ, ამაოდ,
ბესას მიზანი
არ მართლდებოდა
ვითარც სიზმარი!

4

ერთხელ ის იყო იგანთიადა,
მზეც ამოვიდა განათებული,
ბესა ცხენდაცხენ კარავს მიადგა
მხარზე ბირდაბირ გადადებული!
შევიდა, ბურდუს ზრდილობიანად
უთხრა სალამი და საქებარი,
ზეწრის ოდენა თხოვნა მიართვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ეუბნება ენა ღებარი:
— აი, ენგური, ნაპირ-ლოდია,
ჩვენი ცხოვრებაც მას ჰგავს, ბატონო,
ადამიანი ნავი როდია,
ნაპირს მივაბათ და მივატოვოთ?
ამას ხომ ხედავთ, — ბურდუს წინაშე
ხელი გაშალა როგორც ნიჩაბი, —
მეც მიშრომია თოვლში, წვიმაში,
მეც მიჯეკნია მიწა პირშავი!
ეტყობა მიწის ჟანგით მოცულა,
მასთან ფრჩხილებით ნაბრძოლებია,
ზედ აბედივით რომ ამოსულან
მაზოლებია!
თუ არ ვამბობდე ამას ნამდვილად
სახლი დამენგრეს ასე, ოხრობით,
(ძირს დაახალა თავის ბოხოხი
და იატაკზე მტვერი ადინა!)
ჰო-და განსაჯეთ როგორც წესია,
გამომიყენეთ კაცი მოცლილი,
რაც შეეხება ჩემს პროფესიას
ხეტყის საქმეში ვარ გამოცდილი!
ბურდუმ ისმინა დიდის ხალისით
სიტყვა უებრო და ქარაგმული,
თხოვნას დაადვა დასკვნა თავისი,
თან რჩევა მისცა ამხანაგური!
წამოდგა ბესა მხარ-განიერი,
თვალებ-ბრიალა, გახარებული,
სამადლობელო სთქვა კადნიერი,
გარედ გავარდა გაქანებული:
— აბაჰე მარჯა! ხელის სავსავით
შეაფრინდება ცხენს ძერასავით,
მხარზე გადიდებს თავის ბირდაბირს
და სამუშაოდ გასწევს პირდაპირ!

5

ღლისით, როდესაც მზე გარგანჩია
მოეკიდება აქაურობას,
ტყეს არ ჩეხავენ, ხეებს არ ჭრიან,
შეწყდება შრომა და ხმაურობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰკრავს ხანგრძლივი ხმა „კუკუშკების“,
გამოცხადდება მკვდარი საათი,
მოგროვდებიან ხეტყის მუშები,
იწყება ბჭობა და მასლაათი!
ზოგი რას ლაყბობს, ზოგი რას — ჭკუით,
ზოგს საამისოთ აღარ სცალია,
მოვა ბუკია, მოყვება ტყუილს
და თან იმოწმებს მაქაცარიას!
ბესა მუდამდღე მოხარულია,
რაღაც უცნაურს იტყვის, იცინებ,
სიტყვა-პასუხის მოყვარულია,
თუ დაგემართა, ვერ მოიცილებ!
მაქაცარია, მისი ძმაკაცი,
ყველგან, ყოველთვის გვერდით დაჰყვება,
ბესას შეჰყურებს როგორც ნაგაზი
და ყველაფერში მას ეთანხმება!
ბესამ რომ უთხრას, თუნდ მზის შესახებ,
ის მზე კი არა — ქორია,
ერთს აიხედავს მაღლა, მზესაკენ
და უეჭველად იტყვის: სწორია!
მოკუნტულიყო ბესას მხარდამხარ,
თვალმოჭუტულად უცქერს სახეზე,
— დიახ, სქანჭირი,! იტყვის ხანდახან,
სიტყვა-პასუხში აქებს, აქეზებს!
ბესა ჩამჯდარა შუა ხალხში-და
დარბაისლურად ჩიბუხს აბოლებს,
ამბავს ჰყვება და... ტყუის საშინლად,
თანაც იმოწმებს მიცვალებულებს:

6

— აი, აქედან, ახლოს, რუისპირ,
მას შემდეგ ცხრა-თუ, ათი წელია,
იქ ბინადრობდა მაშინ, თუ იცით,
მეჯოგე ძიგი კვარაცხელია!
ძროხა მეწველი ჰყავდა ასამდე,
ან რძე, ან თაფლი, ან დასალევი,
მაწონს ადგენდა დანით გასაკვეთს,
ყველი იცოდა გადასარევი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარგად იცნობდა მას მთელი დაბა,
მე ხომ ძმადნაფიც კაცად მივაჩნდი,
გადამიშლიდა კრიალა ტაბაკს,
ზედვე მზად იყო მუდამ ილარჯი!
მასზე ავს ვინმე როგორ იტყოდა,
კაცი, მით-უფრო ტყეში ლტოლვილი,
ხაჭო? ნუ მეტყვი, ყველი იყო-და
შეგადნებოდა ხელში თოვლივით!
მაგრამ იქ მისვლა ჭირდა ძალიან,
ძალზე ველური ჰყავდა ძაღლები,
ავცოცდებოდი ხის კენწეროზე,
შემდეგ იქიდან გადავსძახებდი!
ჰო-და: ის იყო შევახტი ხისწვერს,
თანაც ბნელოდა გასაკვირებლად,
ტყეში კარავი განვსჭვრიტე მყისვე,
პირი დავაღე დასაყვირებლად!
უცებ გაისმა ხისქვეშ თარეში,
ტანში ცახცახი დამაწყებია,
ვსდუმვარ, დავყურებ, წკვარამ ღამეში
ძლივს გავარჩიე კვარაცხელია!
ყრუდ შრიალებენ ფოთლები ხისა,
მე კი ამდენხანს ვარ გაგუდულად,
მწყემსმა კალთისქვეშ მოიხსნა ქისა
და ფუღუროში ჩადვა ქურდულად!
ჩავიდა, ჩახტა, მე ისევ იქ ვარ,
შეჩერდა — ხომ არ მხედავსო ვინმე,
შემდეგ იქავე შეიხსნა ძიქვა,
მოისაქმა — და... გასწია შინვე!
თვალთ დამიბნელდა, წავხდი ყაძახი,
შიშით აქ ვეცი, ავდექ, იქ ვეცი,
ავდექ, ამიტყდა მუხლში ცახცახი,
სულმოუთქმელად გამოვიქეცი!
შინ მიველ, უკვე იწვა სახლობა,
შინ მიველ, მაგრამ არ ვიცი როგორ,
მიწა გავსთხარე ბაღჩის მახლობლად
და შიგ ქურდულად დავმარხე ოქრო!
მას შემდეგ კაცი, მამის სულს გფიცავთ,
ლამის მიწაში [illegible] ჩაველი,
ამაოდ, ან-და ეს მკვდარი მიწა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის ყოფილა ოქროს მჭამელი?
გუშინ ტრაფინამ მთელიდღე ქექა,
მაგრამ წავიდა სახლში დუდუნით,
მიწა მზად იყო, რა უნდა მექნა,
მეც ავდექი და... მოვრგე თუთუნი!
— ბესაჯან! ახტა დუშელი რეზო,
არ გეხუმრება? სთქვი ლოთიანად,
თუ გინდა დღესვე მოვალ და, ეზოს
გადმოგიბრუნებ იმ ოდიანად!
— თუ მივაგენით თავის ადგილას,
უეჭველია, ოქროს მოვიმკით...
— და რომ დამარხე იცი ნამდვილად?
ბესამ ხუმრობით უთხრა: მგონი კი!
მგონიო? ერთმა შენიშნა უცებ,
ერთხმათ აუტყდათ მუშებს ხარხარი,
მაქაცარია იბრდღვნიდა მუცელს
და ჭყვიტინებდა როგორც არღანი!
— ეხ, ნეტავი შენ, მუდამ-დღე ლაყბობ,
უსაყვედურა მათე მოხუცმა,
— შვილს გეფიცები სიმართლეს ვამბობ,
სთქვა და ჭურიდან წყალი მოღუზა!
რეზო იქავე დგას გაჯგიმული,
შერცხვა, შეწითლდა, უმატა ბურდღუნს,
ბესას ეჭირა კბილით ჩიბუხი
და შიგ ტენიდა ნათხოვარ თუთუნს!
უცებ კისერი წაიგრძელა მან:
ხეა თუ კაცი ვერ ვჭვრეტ აქედან,
ხელს მოიჩრდილებს თვალზედ, ელამად
გზის-პირ დარაზმულ ხეებს გახედავს!
შებრუნდებიან ტყისკენ პირიქით,
ხერხ-ნაჯახითურთ აიშლებიან —
მაღალ თხემიდან ბილიკ-ბილიკით
ჩამოდიოდა ბურდუ შელია!
— აბა, მომყევით ხეტყის მუშებო,
წამოიძახა ბესა ბუკიამ,
ჩვენს გაფუჭებულ საქმეს ვუშველოთ,
თორემ აქ ჯდომა ვის გაუგია?
მოვიდა ბურდუც, მოეხვევიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირში ახლიან კითხვა-პასუხებს,
ზოგს ფეხსაცმელი გამოჰხევია,
ზოგს ჯამაგირის დარდი აწუხებს,
იქვე, ხის-ძირად,
ნაჯახ აწვდილი
იდგა ბესა და
მისი აჩრდილი!

8

კვამლის და ორთქლის დგას მხურვალება,
გაჭედილია კრების დარბაზი
და ქორკანდელი შუქურ-თვალება
ხალხს დასტრიალებს ფრთების ბარბაცით!
სცენას აშუქებს დროშის ელფერი,
ზედ გამარჯვების რწმენა სწერია,
ამეღამდელი მომხსენებელი
ხეტყის მთავარი ინჟინერია!
ილაპარაკა მდაბიოდ, მშვიდად,
იშველიებდა ციფრებს, ნახაზებს,
მთელ სამეგრელოს მომავალს ჰშლიდა
ენგურ ქარხანის ახალ ქაღალდზე!
განსაკუთრებით გაუსვა ხაზი
სოციალისტურ შრომის ბუნებას,
ახსნა, განმარტა ქაღალდის აზრი,
მისი ფასი, დანიშნულება!
მოკამათენი აღმოჩნდნენ ბლომად,
სიტყვა-პასუხი უნდათ, სწყურიათ,
ხან ერთმანეთზე ამბობენ წყრომას,
ხან პირობებზე საყვედურია!
აი, წამოდგა ბესა ბუკიაც,
დარბაისლურად სწორდება ტანში
სიტყვა ითხოვა ორწუთიანი,
მაქაცარიამ დაუკრა ტაში!
ბესა სცენაზე ადის როხროხით,
მოშვებული-აქვს ჩექმა რუსული,
ფრთხილად მოიძრო გრძელი ბოხოხი
და შერჩა თავი გადატრუსული!
მან ამხანაგებს უამბო წყენით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირად ცხოვრების გზა და ბილიკი,
სწუხს, რომ სახლიდან აქ და პირიქით
კაცს მისვლა-მოსვლა უხდება ცხენით!
— რა გამაჩერებს ამ ბარაკებში,
აღარც სინათლე, აღარც წყალია,
მუდამ ჩხუბია ამხანაგებში,
დიახ! უმოწმებს მაქაცარია!
ამ დროს დარბაზში გაჩნდა ჩოჩქოლი,
სტვენა, უკმეხი წამოძახება,
ხალხი ვერ ითმენს ამბებს მოჭორილს,
ამხანაგების უშნოთ ძაგებას!
ბესა უმალ წყვეტს თავის საუბარს,
რჩება ენაზე ალმოდებული,
ძლივს იკლო ხალხში აურ-ზაურმა,
ძლივს ჩადგა ხალხი აღშფოთებული!
ვერ იქნა, მათე ვერ დაამშვიდეს,
რა ქნეს, რამდენი ჭორები ითქვა,
იდგა და მხოლოდ ჩაჯდა მაშინვე
როცა შელიამ აიღო სიტყვა!
დაუნდობელი და ენა ბასრი
ჰკიცხავს ბუკიას თავის „მხლებელით“,
გაანადგურა მაგათი აზრი
როგორც მავნე და მიუღებელი!
ტაშის ხმაური
დარბაზს დაფარავს:
ადასტურებენ
მართალ ლაპარაკს!
ბორდოს მსაჯლობით დატყვევებულა
კომკავშირელი ლია ლენდია,
ნებივრად მისკენ პირი ებრუნა,
დაღლილა, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდეს დარაზმვა მშრომელ მასების,
შრომა გავხადოთ სახელ-ქებული,
მოხდეს შეგნება საქმის არსების,
შევხვდეთ მომავალს გამარჯვებული!
კვლავ იწონებენ
ბურდუს ლაპარაკს,
კვლავ ტაშისცემა
დარბაზს დაფარავს!
ამით კამათი წყდება, თავდება,
ადგნენ, ისედაც არის გვიანი,
ერთხმად მიიღეს წინადადება,
კრებას ხურავენ ტაშის გრიალით!
იქვე, კუთხეში
მოწოლილ გესლად
კამეჩის თვალებს
ნაბავდა ბესა
საჯაროთ სიტყვა ჩამორთმეული
და ტრიბუნიდან ჩამოთრეული!..

შორს სახლებია ახალნაგები,
შიგ ელნათურის მწვანე ჩქერია,
დაწინაურდნენ ამხანაგები,
გზას მიიკვლევენ, მიიმღერიან:
...სირექ ბეადო, სირექ თუთა
მანათებელ სი-სერიში,
სისქვამედო მერთი-მორთი
ართო გიღუ სი-სქვერიში,
ჭირი ქობღოლამუდასუ
სქანი ჩელა კისერიში...
აი, პატარა ხეტყის უბანიც,
ხელით ნარგები და ნაშენია,
ნელი ნაბიჯით და საუბარით
ლიას მიჰყვება ბურდუ შელია!
ტყეს იპყრობს ძილი და ჟრუანტელი,
ხეზე ფოთლები ჩიტებრ კრთებიან,
ბნელა, დგებიან ამ შუატყეში
და გაკარებას უფრთხილდებიან!
უეცრად ქალმა წაიფორხილა,
მკერდზე შემთხვევით მოხვდა ხელები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

...უიმე ნანა, ჩემი სიკვდილი,
აძგერებულმა სთქვა გახელებით
და ძირს დაეშვა ღონე მიხდილი,
ტანს შემოეჭდო მკლავი ბორკილად!
ამასობაში ხანი გავიდა,
გადაიარეს ღრუბელთ გუნდებმა,
...ეხლავ ვიყვირებ! იტყვის ქალი-და
პირშივე კოცნა ჩაუგუბდება!
არ ჩანს უბანი ახალნაგები,
არც ელნათურის მწვანე ჩქერია,
სახლში მისულან ამხანაგები,
„ჩქიმ საყოროფოს“ არ იმღერიან!
სუნთქავს ფოთლებით სავსე რტოები,
ბნელა, არ არის არც გზა, არც კვალი,
შორს გახიზნული განმარტოებით
ტყეში ჭოტივით ბეუტავს ვარსკვლავი!
ქალის ტყვეთყოფნას და მორჩილობას
არღვევს ნიავი შემოსწრებული,
განშორდნენ როგორც ორი ჭრილობა
ახლად შეზრდილი, შეხორცებული!
განშორდნენ, უმალ იქცნენ ჩრდილებად
კვლავ ერთმანეთის ვნებით მსურველნი,
ვაჟს გაჰყვა ქალის თმების სურნელი
ქალს — სიყვარულის შთაბეჭდილება!

8

ბურდუ ფიქრების დარდით მოცულა,
სახეც დარდისგან აქვს დაბინდული,
დღეს, სამსახურში ადრე მოსულა,
ზის მაგიდასთან თავ-ჩაქინდრული!
აი, გათავდა ქარხნის აგება,
მუშაობისთვის უკვე მზათ-არი,
მაგრამ ხეებით მომარაგება
ჩაშლილია-და... მოდის ზამთარი!
ჩვენი ტკივილი ბოლოს და ბოლოს
იგივე ქარხნის ჭრილობებია,
რომლის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ
ჩვენ ვართ და არა — პირობებია!
ამდროს, ქარხანამ, ვსთქვათ რომ შესწყვიტოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავის შრომა და შემოსავალი,
ასე გამოდის: ჩვენს სახელმწიფოს
მილიონობით მივსცეთ ზარალი!
წელან ურჩია პარტკომის მდივანს
ღრმად ჩაწვდომოდა საქმის რაობას,
ეს კი რატომღაც გაიგო იმან
მისდამი შურლად და კინკლაობად!
არა! ბრძოლაა, ბრძოლა საჭირო,
მტერი ჩვენშიაც ზის ხელ-უხლები,
ქარხანა უნდა გადავარჩინოთ,
სთქვა და წამოდგა ვეფხვის მუხლებით!
გადაბარა საქმე ამხანაგს,
«მალე მოვალო» გასცა ბრძანება,
გამოიძახა ავტომანქანა,
ხეტყის მუშებში გასამგზავრებლად!

9

მუშებს ხელფასი დაუგვიანდათ,
თავ-ბედს წყევლიან და ემდურიან,
ჩრდილ-ქვეშ, მორებზე უქმად ზიან-და
გულჩათხრობილი საყვედურია!
ტყიდან გამოდის კიდევ ორი სხვა,
წყალ-ჩამდგარ წულებს გააქვს ჭახჭახი,
ერთმა თვალებში ჩაიდგა რისხვა,
ძირს გულმოსულად დასცა ნაჯახი
და სთქვა: — მე, ძმაო, გლეხი გახლავარ,
გამაჯიუტებთ? გეტყვით ნახვამდის,
ფეხზე მკიდია თქვენი ქარხანა,
თქვენი ხეტყე-და, თქვენი ქალალდიც!
კაცს მუშაობა მინდოდა გულით
რადგან პირობა მივეც კოლექტივს,
ნეტავ რა მიჭირს: პურიც მაქვს, ფულიც
მაქვს და მექნება სახლში ყოველთვის!
ბესამ სთქვა: — ლამის გადვიქცე ოფლად,
ვმუშაობ საქმის მონა, მორჩილი,
გამაველურა ამ ტყეში ყოფნამ,
თმებიც გამზრდია ოჩოკოჩივით!
— ჩემი გოდება და გასაჭირი
არვის არ ესმის, ლაფში ჩაფლულა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ გაიგონა, ბესა სქანჭირი,
ამ ჩემ ფეხებზე კანის-ჩაფულა?
— მდგომარეობა ჩვენი თქვი თორემ,
მაგ ხალხს რა უჭირს, გამაძღარია,
უნდა ვებრძოლოთ ჩვენ ბედს თვითონვე,
დიახ! უმოწმებს მაქაცარია!
დაგპირდებიან ბევრ-რამეს, მოხვალ,
მოგაჩვენებენ ამ ტყეს ედემად,
განაგრძობს ბესა, ირგვლივ კი ბოლმას
ღრნიან და გულზე ცეცხლი ედებათ!
ხელფასს? რა ვიცი ჩემო ძამია,
ალბათ მანამდე გასტანს დიდხანი,
ამბობენ: ფული შეუჭამიათ,
როგორ იცხოვროს კაცმა, მითხარი?
— სტყუი! გაისმა ხმა გამბედავად,
ეს ხომ ჭორია, პროვოკაცია?
ბიჭი წამოხტა, წამოედავა,
გაანჩხლებულად მისკენ გასწია...
— ლეკვო! დასჭყივლა ერთმა ცახცახით,
გვერდით ნაჯახი იგდო ხელდახელ,
სახე აემღვრა როგორც ბნედიანს,
დაფრთხა, დაიბნა ბიჭი საწყალი,
ისე გაიქცა ტყეში ხედახე,
უკანვე არც კი მოუხედნია!
ახლა მოაწვა ბესას იარა,
ჭირვეულივით ანჩხლობს, გულდება,
მისწინ გაწოლილ ჩრდილს ბრაზიანად
ჩასცემს ნაჯახს და... ხე შეძრწუნდება!
აჰყვა უწმაწურ ლანძღვას, ძაგებას,
იწევს, პირისპირ ბიჭს რომ ედაოს,
პროვოკატორის წამოძახება
იმ ლეკვმა როგორ გამიბედაო!
მაგრამ, შებოჭეს.
და ჩააჯინეს,
ამით ხიფათსაც
გადაარჩინეს!
ტყის შუაგულში, ეს არის მერვედ,
ზანტად აყვირდა მუშა დრაჟომა,

Библиотека ЦК ВКП (б)
საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოდის და თავის ბრიგადის წევრებს
უსაყვედურებს უქმად დაჯდომას!
— რას მოვესწარი ბედით წყეული?
რა ხდება, როგორ იცვალენ დრონი?
აი, ხომ ხედავთ, ეს მოთრეულიც
გახდა ჩვენივე ბატონ-პატრონი!
სადმე ღირს რამე გაჩნდეს, გაშენდეს,
ყველგან — ეს ხალხი მოხეტიალე
დადის ხროვებად... ჰო-და მას შემდეგ
შრომაც არ ფასობს ოხერ-ტიალი!
რეზოს ამდენხანს ღრნიდა მოთმენა,
სდუმდა, ფიქრების ნისლი ებურა,
ასწია ცხვირი მუშტის ოდენა
და მოჰყვა ბურდღუნს თავისებურად!
— ამ ჯოჯოხეთში მოველ საიდან,
სად უნდა მომკლას ყოფნამ მწუხარმა,
ცოლი ჩემ სიკვდილს ვერ გადაიტანს,
ეხ, რომ იცოდეთ როგორ ვუყვარვარ?
თავზე დრაჟომაც დაადგა სწორედ,
მორთო რუსულად დედის გინება,
— ჰე, ბიჭო, რეზო, დაჰკარი თორემ,
ბესამ დაჰკარგა მთლად მოთმინება!
— რუსო, წამოდგა რეზო დუშელი,
მე შენა ხომ არ გგონივარ ბავში,
შეუტრიალა სიტყვა უშვერი
და ძალმოკრეფვით გაარტყა ყბაში!
ვაჰმე! აღმოხდა საწყალს ხრიალით,
თითქოს-და სისხლი წასკდა ყელიდან,
ერთ-წამს დაიბნა, პირქვე ყიალით
დაეშვა, სტაცა ნაჯახს ხელი და —
შეიქნა ერთი აურ-ზაური,
ᲫᲮᲚᲐ-ᲨᲔᲛᲝᲮᲚᲐ, სტვენა, რიალი,
ლანძღვა, გინება, ცემა, ხმაური
და ნაჯახების ორომტრიალი!
სცემდენ დრაჟომას, ერთი ებრძოდა
ათის შეტევას და გამხეცებას,
ბესას თავისი ყამა ეძრო-და
აბობოქრებულ ხალხს აქეზებდა!
— შესდექით! უცებ იჭექა ხმამ-და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრწუხვით ადგილზე გაშეშდებიან,
გოგვიხვით დაცემულ ყუმბარას გავდა
შიგ ჩავარდხილი ბურდუ შელია!
— რა ‘ოხდა? რა გაქვთ გასაყოფელი?
რა გაქვთ სადაო და საკამათო?
სიცოცხლეთ გვიღირს წუთი ყოველი,
თქვენ კინკლაობით საქმეს ღალატობთ!
თქვენ ამით ებრძვით თქვენივე რიგებს,
ამით თქვენივე მტერი სარგებლობს,
რომ, აყოლილხართ ჭორებს, ინტრიგებს,
სირცხვილი თქვენი, ამხანაგებო!
სთქვა და... მობრუნდა, ვით მახვერპლს არწივი
ნაჯახს დაეცა იქვე და ხვნეშით
ერთის ნახტომით მოსჭრა მანძილი
და სამუშაოდ შეიჭრა ტყეში!
იდგნენ მუშები თავ-დაღუნული,
თითქოს-და: ყველას ელოდა მსჯავრი,
სდუმდნენ წარბებით თვალდახურული,
ქეჯნიდათ მძიმე დანაშაული!
იქვე დრაჟომა ბრაზ-მორეული
მკერდს იმჯიღავდა დედის გინებით,
ჰქონდა პერანგი ჩამოხეული
და ჩამტვრეული ჰქონდა კბილებიც!

10

აი, ხეების ათასეული,
ტყის სახელმწიფოს მოყმე-გმირები,
ხან მედიდურად თავ-აწეული,
ხან მონებივით მოგრეხილები!
ტყე მხარტოტებით გადაგრეხილი
მდიდარია-და, ღრმაა ზღვასავით,
აქ უხვად ხარობს ხე და ხეხილი,
აქ ღამ-ღამობით ხარობს ვარსკვლავი!
მუშები ხეებს სჭრიან და ხედავ
ტყე გრძნობს ჭრილობას მწარეს, საზარელს,
დაბლა მეხივით ეცემა ხე-და
მისი დაცემა ცას აზანზარებს!
თითქოს ერთმანეთს დანაჯახები
წაჩოქებულან ხენი მაღალნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაისმის მკვეთრი ხმა ნაჯახების
და ბირდაბირის ნელი ღაღადი!
აი, ერთი ხე, თავს ძლივს იმაგრებს,
დაფანტულია ათას ტოტებად,
ხე უდრის ცამდი აწვდილ სიმაღლეს
და ცხრა ვაჟკაცის შემოტოლებას!
ხეს სიბერისგან თმა გაცვენია,
ალბად ტოლებში თვლიან ბელატად,
რამდენი რისხვა თავს დაცემია
ოხრად დასალეწ-დასარბევადა?
ის ვრძნობს ჭრილობას და ხმას ვერ იღებს,
მოჭერილი-აქვს ყელზე მავთული,
წინ ვერ მიდის და... უკან ვერ იხევს,
დგას ამბოხივით ხელ-ალმართული!
იქვე ბუკია მავთულს მუშტებით
ჩაფრენია-და,
ხეტყის მუშები
საკუთარ ორთქლში ჩაძირულიყვნენ,
ბესამ იმდენი უნდა იგმიროს
რომ წასაქცევად განწირული-ხე
თვისკენ, მავთულით გადმოიბიროს!
გარინდებულა, ყიამეთ ფიქრებს
სადღაც წაეღო მისი გონება,
მავთულს მოეშვა თანდათან, იქვე
ჩაჯდა ჩიბუხის გასაბოლებლად!
ახსოვს: ერთ-ერთი
ზაფხულის დილა,
ბესას კარავში,
ეძინა ტკბილად...
ყურში ჩაესმის
რაღაც კაკუნი
შორ-ხეობაში
გადაკარგული!
კვლავ დააყურა და სთქვა: ქურდია,
ალბად ისევ-ის გამსახურდია!
ეს კაცი მაინც ამ ბოლო ხანში
ბესას ძალზე-ჰყავს შემოჩვეული,
კოპიტა ხეებს დაარბევს, დასჭრის
და სახლში მიაქვს ხეტყე რჩეული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოეპარა იცნო, ერიჰა,
ერთის ნახტომით მოსჭრა მანძილი,
და მიაძახა: ვინ ოხერი-ხარ
რომ დამადექი თავზე ამდილით?
წამოაქცია ფერდზე კინწისკვრით,
ყამაც იხელთა კუნძის მხლეჩავი,
ურტყამს-და, როგორც უწყლო წისქვილი,
ენას ვერ ადგამს გლეხი ბეჩავი!
ამდენმა ცემამ, ყამის ტრიალმა
დასცეს ჯანი-და.. მხრებიც მოუბეჭეს,
...კიდევ იქურდებ ძაღლის ტიალავ,
გლეხმა შებლავლა: ვარ ღორონთუმე!
მოეშვა, წიხლიც ჰკრა კიდევ ერთხელ,
თავ-დაღწეული გარბის ჩაქჩაქით,
შერჩა ბუკიას დაჭრილი ხეტყე,
გლეხის ცემა-და, გლეხის ნაჯახი!
ეხ, რა დრო იყო, რა ჩინებული,
ტანში თუ მკლავში გრძნობდა მხნეობას,
ტყეჩოს რისხვისგან დაშინებული
ტყეს გაურბოდა მოსახლეობა!
დღეს კი: ტალღათა მძლავრი დინებით
გირტყამს ჟამი და... გაღრჩობს სიგიჟე,
ჰყვირი, ნაპირებს ეპოტინები,
მაგრამ ამაოდ, ვინლა მიგიშვებს?
უნუგეშოა
და გულ-საკლავი
წყალწაღებული
კაცის ამბავი!
ასეთ ფიქრებში არის ბუკია,
ყრუდ შრიალებენ ხენი მაღალნი,
კვლავ ნაჯახების დაგა-დუგია
და ბირდაბირის ნელი ღაღადი!
შორს კი: ტყეშივე ქარი ჰკივის და
აწუხებს ხეებს შემოსეული,
სადღაც საზარლად ჩხავის რკინისგზა
ტყის ორთქმავალის ქვეშ-მოქცეული!
უცებ გაისმა ხმა საშინელი,
სტვენა-ყვირილი მორთეს მუშებმა,
ბესა დაიბნა, მავთულს მაშინვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწყვიტა ხელი და თავს უშველა!
ხე შეტორტმანდა გაბოროტებით,
ჰკლავს აგონია მწველი, ლადარი,
მილეწ-მოლეწა ხეთა ტოტები
და ძირს დაეშვა ვით ბაყათარი!
წამოიშალა ხროვა ტყისქართა
და წუთის შემდეგ
ისევ მიწყნარდა!
რაღაც ხმა ისმის — ნეტავ რა არი?
დააყურადენ, კაცის ხმა არი:
— ვაიმე ნანა, მომწყდა სხეული,
კაცივით ჰყვირის ხე წაქცეული!
მიცვივდნენ, ნახეს,
საშინელია:
ხისქვეშ აგდია
ბურდუ შელია,
სახე დაღრეჯით და გაჭირვებით
ჩხავის და მიწას კორტნის ფრჩხილებით!
ასტყდა განგაში, ეცენ ბუკიას,
გარეზგეს, ჯავრი ამოიყარეს,
ხელთ აიყვანეს დამბლა-დაკრული
ტყის შარაპირზე გამოიყვანეს!
ამასობაში გაჩნდა მანქანაც,
სწრაფად, წამს-აღარ დააყოვნებენ,
ვით ბალდახინში სდებენ ამხანაგს,
თვალს ნაღვლიანად გააყოლებენ!
მირბის მანქანა,
მიჰკივის, მინდორს
კვამლი და ნისლი გადაეფარა,
მისდევს მიჰკივის ქარი და, თითქოს
ისიც სასწრაფო დახმარებაა!

11

ფერმილეული, როგორც აჩრდილი,
ხმა-ჭირვეული და ბნედიანი,
მარცხენა ფეხზე მუხლ-გადაჭრილი
წევს ავადმყოფი, ავ-ბედიანი!
ბურდუ ვერ იტანს, როცა დილ-დილით
ჩუმად იღება მისწინ კარები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეშინია როგორც სიკვდილის
თეთრ ხალათიან დოსტაქარების!
სახეს ბალიშში ჩაძირავს სწრაფად,
აკრთობს ფეხისხმა მძიმე, ქურდული,
თავზე წვალებით მოიხვევს საბანს
და იჭვრიტება სულშეხუთული!
აი, კიდევაც გაიღო კარი,
გამოყრუებულ ოთახში მარდად
დოსტაქარივით შემოდის ქარი
და ფანჯარაზე გადასწევს ფარდას!
უცებ: — ჯადოქრულ ძალის მოკიკვია,
მკლავებს ისხამს-და, ზევით იწევა,
ჭერს აიტაცებს აბობოქრებით
და უზარმაზარ მუხად იქცევა!
ხისქვეშ ლოდების მსგავსი ქვებია
ხავსით მოყრილი და მოსერილი,
ფესვები თითქოს მკვდრის ხელებია
სასაფლაოდან ამოშვერილი!
ლოდზე ბურდუ წევს განმარტოებით,
წამოდგომა ჰსურს და ეძნელება,
ყრუდ სისინებენ მუხის რტოები
გადაქცეულნი ფრთიან გველებად!
შეკრთება: მის-წინ ნაჯახით ხელში
ჩონჩხის მაგვარი დგას მოლანდება,
ვაიმე! საბანს გადიძრობს ხვნეშით
და ლოგინიდან წამოვარდება!
შეესევიან ფიქრები ჯარად,
ანჩხლობს, ძალითვე აწყვეტს არტახებს,
— ჩამაცვით ფეხზე, ჩამაცვით ჩექმა,
ყველაფერს ამტვრევს და აპარტახებს!
შეჰკრეს ძალლონე მთლად დაკარკალა,
თვალებს სიმწარის ცრემლი ეტირათ,
კვლავ არტახებით ტახტზე დაკრული
წევს და ღიღინებს გულდაწყვეტილად:
„სი-სოულ ბატა
მა დომიტალენქო,
ჭოფილ ვორექ, თოკილ ვორექ,
ვაგომიტალენქო“.
დიდხანს ებრძოდენ სახე-ბნედიანს,
ხტოდა, ყვიროდა, იცემებოდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარებთან იდგა ლია ლენდია,
გულამოსკვნილად იცრემლებოდა!

12

ბესა ბუკიას რა უნდა ექნა,
სწუხდა, ანჩხლობდა ბრაზ-მორეული,
სამუშაოდან მოხსნეს-და, ეხლა
სახლში ზის საქმე-გამოლეული,
ნაცარ გაჩენილ წვერ-ულვაშს ქექავს
ხორცამდე საჯდომ გამოხეული!
გულს ასკდება-და
ვერ მიდის ვერსად,
გადაქცეულა ეზოს დარაჯად,
დღეში ცხრამეტჯერ რწმუნდება ბესა:
ვინც არ მუშაობს, მართლაც არა ჭამს!
დარდობს, არაფერს ხელს აღარ ჰკიდებს,
გახუნდა როგორც გინახავთ ჩხირი,
დარდობს დღედაღამ, ამ დარდში კიღევ
მკვიდრი ძმასავით მოესწრო ცხვირი!
გაურბის და-ძმა და მეზობელი,
რადროს სახლკარი, რადროს ცოლია,
გადაეკიდა მთელი სოფელი,
კაცს ბედნიერად ვერ უცხოვრია!
გამოიგლოვა ცოლი, სახლი-და
ოჯახი პირქვე დააყირავა,
რაც ხელში მოჰყვა ოხრად გაყიდა,
რაც არა — დააგირავა!
ჯერ ჰყიდის სახლის ბეტონ-ბოკონებს,
სახლიც ამგვარად დასდგა ნიადაგ,
შემდეგ — ოჯახის მეკონ-მოკონებს,
შემდეგ — მეუღლის ნივთებს მიადგა!
ერთ მშვენიერ დღეს ბესა ბუკიამ
მთელი ოჯახი გადინადირა,
იქით ძველისძველ შკაფს შეუტია,
აქეთ კიდობანს მტვერი ადინა!
მაგრამ ვერ მოჰკრა
თვალი გასაყიდს,
პირდაბჩენილი
დარჩა ყაძახიც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოხი წელშივე გაწყვეტილია,
შემონგრეული აქვს გალავანი,
ზემოდან ისლიც გაცვეთილია
როგორც ბუკიას თავზე ბალანი!
რა ქნას? ყოველმხრივ სიქესატეა,
ის ამგვარ ყოფნას არ შეჩვეულა,
ოთახში მხოლოდ კედლის სარკეა,
ისიც რღვეულა და შენჯღრეულა...
მის წინ ბესა დგას ყბა-შეხვეულად,
აფსუს! ძველი-შნო, ჩახედულება,
ჩხირად ქცეულა და შერყეულა
მისი ტანწელის აგებულება!
დახრეს დარდებმა და საათებმა
ყოფნა ისედაც გაძაღლებული,
კაცი უდავოდ თავს წააგებდა
რომ იყოს თავზე ხელაღებული!
სახლში ვინაა ბოლოს და ბოლოს
რომ სცეს ნუგეში ფიქრებ-მღელვარეს,
არც დედმამა ჰყავს, არც შვილი, მხოლოდ
არის ცოლის-და, დის შემხედვარე!
იუ, მისი და, გახლავთ გულჩვილი,
ბედმა ძმის ხელში ეგრე დასტოვა,
ზის ფანჯარასთან ბაიყუშივით
და გლოვობს თავის ახალგაზრდობას!
ამბობენ: დღესაც არის ქალწული,
სძულს ყველაფერი ღვარძლით დაგეშილს,
იმედ-გამქრალი და გაქარწყლული
გარბის, თავს იხრჩობს მღვრიე სარკეში!
თან სჭირს ავიზნე, ავი ზმანება,
დაახლოებით რომ ვსთქვათ, ლენჩია,
რაც შეეხება მის წლოვანებას
არალეგალურ პირობებშია!
ბოლოდროს ფული მოიმიზეზა,
ფული რომელიც ბესამ ისესხა,
მაგრამ მოვალე დღესაც არ აძლევს
და სულ ჰპირდება წითელ პარასკევს!
აღარ თავდება
სულ პარასკევი
და მით უმეტესს
უკანასკნელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭამენ ერთმანეთს, ჭამენ კბილებით,
და რძალი ებრძვის, ბესას — ორთავე,
ჯერ დაიწყებენ ლანძღვა-გინებით,
შემდეგ ფრჩხილების ლესვას მორთავენ!
დილას ერთს-ერთი გასწევს, გამოსწევს,
არის წივილი და წიწაობა,
დაიღლებიან და საღამოზე
კვლავ იშიშვლებენ ფრჩხილებს საომრად!
მათშუა ბესა დარბის ქორივით,
ითმენს, კიდეც-რომ სცემონ ქალებმა,
გვეოდებ ჩალეწილ და ჩაქოლვილი
გარედ ეზოში გაექანება!

13

ტყეში-კი ამდროს, ეშვება ბინდი,
მზის უფერული ნათელი ჰქრება
და შუადღიდან აქამდე მიდის
ხეტყის მუშათა საერთო კრება!
ამბობენ: მხეცურ ღვარძლით დაგეშილ
სახეზე ნიღაბ-შემოფარული
ავი განზრახვით ამ ჩვენ საქმეში
ხალხის მტერია შემოპარული!
და რომ შემდეგში არ მოხდეს აქვე
დაუდევრობა, გარღვევა, მსხვერპლი,
ბესა ბუკიას კვალს უნდა გაჰყვეს
მაქაცარია და კიდევ სხვები!

14

ეხლაც გაექცა ქალებს ლაჩრულად,
თან მწარე ფიქრი ახრჩობს, აჯავრებს,
ხედავს ვიღაცა მგზავრი ჩანჩურა
ცხენს ცემა-ტყეპით მოაჩანჩალებს!
მოუახლოვდა ჭიშკარს, ბესომაც
დაასკვნა: სადღაც მახსოვს, მეცნობა:
— ეი, გამარჯობა შენი ამხანაგო,
საით მიგაჩქარებს ცხენი თოხარიკი?
მგზავრი წამოხტა აბჟანდზე ცერით,
ნაცნობ ხმისაგან გამორკვეული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოტრიალდა გვიან და ცხენიც
შედგა არაქათ — გამოლეული!
— ბესა ბრძანდებით! შენთან ბოდიში,
დარდებისაგან თვალიც ამემღვრა,
— მზე ჩასულია უკვე, მოდი-შინ,
გადაათეთრე ჩემსას ამეღამ!
— გმადლობთ კი მაგრამ, დღესვე სასწრაფოდ,
მინდა ჩავიდე ქალაქს, მიცდიან,
— მე არ მოგიკვდე, მაგას რას ამბობ,
შენი გაშვება არ შემიძლია!
განზრახ დაუწყო ხვეწნა ურიცხვი,
განცვიფრებული დარჩა სტუმარი,
სთხოვს, ეაჯება, თუმცა სტუმრისთვის
არც საჭმელი აქვს, არც — სასთუმალი!
ცხენს თითქოს ესმის ეს მასლაათი,
ბესა ბუკიას უცქერს ირიბად:
თუ გინდათ მცემეთ მთელი საათი,
ფეხს არ მოვიცვლი ამ ადგილიდან!
მგზავრს ბევრი თხოვნა აღარ დასჭირდა,
მოლბა, ირჩია სტუმრად დარჩენა,
შეაჯანჯალა თავის რაში და
ჯიქურ ეზოში შემოაჭენა!
რა უნდა უყოს კაცმა ამ ენას,
რომ მას უვლიდეს როგორც პატრონი,
არც დატუქსვა სჭრის, აღარც გავლენა,
არის პირდაპირ პროვოკატორი!
რომ არ დაეწყო წელან ამდენი
ყალთაბანდობა ენა-წყეული,
მგზავრს აიცდენდა თავის დარდებით
ისედაც დარდებ-შემოსეული!
პირწავარდნილო, ხმა გაიკმინდე,
ბარემ ეს გული **ამომითხარი,**
კაცი ცხენითურთ რომ გადამკიდე,
რის იმედი-გაქვს, ერთი მითხარი?
— ბესა, ბატონო, ცხენს სად მივაბამთ,
ძირსჩამოსულმა ჰკითხა ქაქანით,
— ამ ჩემს ენაზე — უთხრა კინაღამ
და ჩამოართვა სტუმარს ლაგამი!
მიუახლოვდნენ კიბეს მდუმარნი,
სდუმს ოჯახობაც იმათ ლოდინში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ ჩოღროში ჩახტა სტუმარი
და მასპინძელმა უთხრა ბოდიში!
შევიდნენ, ძაღლი 'ძეხვდათ კარებთან,
დედაკაცები მაინც არ ჩანდენ,
ბესა ლაპარაკს ანვითარებდა,
თან გაჭირვებით ანთებდა სანთელს:
— ასეა, როცა გამოგეცლება,
ცხოვრების ფუძე და ნიადაგი,
გამოგეცლება, ჩამოგექცევა
ოთახის ჭერიც და იატაკიც!
ახალ ‘ოსული ვითომც ჯერდება
სტუმარ-მასპინძლურ მდგომარეობით,
პირველად კედელს შეაჩერდება
უაღრეს პატივ-მოყვარეობით!
აი, პორტრეტი, ოჯახის წესად,
ხანტურელი-და, ლურჯ-არშიანი,
მეუღლის გვერდით დამდგარა ბესა
ნახევარ-არშინ-ულვაშიანი!
გრძელი ბოხოხი, ქილები, ქამარ,
ჩოხა-ახალუხს რაც კი შეფერის,
ჭიპზე ჰკიდია ლივერი, ყამა
ძველთა-ძველი-და უშველებელი!
მხოლოდ პორტრეტი დროთა ბრუნვაში
გამოცვლილიყო ადრე და ძლიერ,
ცხვირის არ იყოს, ცალი ულვაშიც
შებილწულიყო ბუზების მიერ!

15

რით გადაშალოს სუფრა მეგრული,
რით ამოავსოს ღია სასმისი,
ამ საკითხებით გამგელებული
ქმარს ედავება დიასახლისი!
მაგრამ სურვილმა დაუპყრობელმა
იცის ყოველთვის თავის გატანა,
დიასახლისის მთელი პრობლემა
უცბად გადასჭრა ერთმა ქათაქმა!
ბესამ ქათამზე შური იძია,
გამოუღადრა ყელი მაშინვე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოში ასე იციან:
ქალისთვის ქათმის დაკვლა „ვაშინერს“!
გადაიშალა კოხტა მაგიდა,
მოუტანიათ ღვინოც, არაყიც,
ვახშამი გინდა? არის, რა გინდა,
გაჩნდა სმა-ჭამა და ლაპარაკი!
— ეხ მასპინძელმა სთქვა სამდურავი,
აფსუს! კაცს ყოფნა უჭირს ძალიან,
— ეხ, თანაუგრძნობს ხვნეშით სტუმარიც,
ცოლმა ჩაურთო: შენი ბრალია!
— რაო აღმოხდა ბესას ღრიალით,
ერთობ აემღვრა სახის კუნთები,
ცოლი აიკლო თვალთა ბრიალით,
ყელს გაეჩხირა ლუკმა სულმთელი!
სტუმრის თვალისწინ ეგრე, ერთავად
შეურაცყოფა იგრძნო ტასომაც,
ადგა, ქმარს აღარ გამოედავა,
დემონსტრატულად სუფრა დასტოვა!
— ბესა სქანჭირი, ჯავრს ნუ აჰყვები,
ეხლა ყოველ-კაცს ახრჩობს ნაღველი!
(ამოიოხრა სტუმარმა ყალბად
და წინ კინაღამ ჩააქრო ლამპა!)
მშობელ მიწიდან გადმოხვეწილი
შევფარებივარ ამ ტყეს მხეცივით,
თურმე მკვლელები აქაც არიან,
უიარაღოს რაღა გაგივა,
მე — თეოფილე მაქაცარია
დღეს გროშ-კაპიკად აღარ ვარგივარ!
ბესამ შემთხვევით ჭიქა იხელთა
და უნებურად სუფრაზე დაჰკრა,
— პირველ ბრძოლაში დავმარცხდით, მაგრამ,
სთქვა და... გარშემო მიმოიხედა!
მაქაცარიამ დაცქვიტა ყური
და მიუჩოჩდა მასპინძელს უმალ,
ბესამ ძაღლს გარედ მიუგდო პური
და საუბარი გააბა ჩუმად...
ბოლოს: ვეება მხრების აწევით
გულღვარძლიანად ამოიგმინა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასე დაიქცეს ჩვენი დამქცევი,
დააძახა და... დაასხა ღვინო!
შესვეს, შეხურდენ,
ბესამ იტყუა —
ეს ღვინო თვითონ მოვაშენეო,
ჩანგალს აცეცებს კამერტონივით,
სტუმარს თხოვს ბანი მომაშველეო:
„გეშვია, გეშვია,
ახალი-დო ჯვეშია,
გეყურწი-დო გეშადუცი
ჭითა ოჯალეშია!
აქ უფრო მაღლა ასწია ხმა და
ასწიეს, ჭიქებს მიუკაკუნეს,
მაგიდის თავზე შემდგარა კატა
და ცულლუტურად სუფრას გაყურებს!
ბესამ სთქვა: ესეც ჩვენი წარსულის,
მოსვა, მოღუზა ბოლმა და შხამი,
ასე თავდება სიტყვა-პასუხი,
ასე თავდება-ვახშამიც!
სდუმან და ლამპა ჯერ კიდევ ბრწყინავს,
ეცა ფარვანა, გარბის უკანვე,
გარედ წვეთ-წვეთად წკარუნებს წვიმა
ბესას ჰგონია — ჩანგურს უკრავენ!
წამოდგა, ჯიქურ გახსნა კარები,
დააწყებინა კედლებს ცახცახი,
ბნელი ღამეა და ვარსკვლავები
დაწანწალებენ ტყეში ცალცალკე!
— ავდარობს გულში სთქვა უმადურად,
ჩაახველა — და შესძრა უკუნი,
გამოეღვიძა ბებერ ბათურას
და უმიზეზოთ მორთო ზლუქუნი!
ბოლოს სტუმარმაც ძილი ინება,
ბესას ბოდიშით საწოლი ჰკითხა,
გვერდით ოთახში, ჯერ კიდევ დიდხანს
ისმოდა ცოლქმრის ლანძღვა-გინება!
დილით: ის იყო ქარის შებერვით
მზე ღვივდებოდა ვით ნაღვერდალი,
სოფლის შარაგზით სულგაგუდული
მიძუნძულებდა ორი მხედარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

16

ბურდუს მოურჩა ფეხზე იარა,
სისხლ-დაცლილა-და, მარტო ძვლებია,
აგერ რამდენმა დღემ გაიარა
ეზო-კარს აღარ გასცილებია!
თითქოს ბავშია, ბავშის წყურვილით
სუნთქვა-სურვილი დაკინებული
და ფეხ-აუდგმელ უსუსურივით
ძლივს იარება დაშინებული!
ამდენხნის ოხვრას და გახელებას
გაუჩენია გულზე ჩრჩილები,
უფრო უმატა სისხლის ხველებას,
გულს გაჭირვებულს იჭერს ფრჩხილებით!
არ ჩანს არავინ, მხოლოდ ხანდახან
კარს შემოაღებს, შემოდის მათე,
მოხუცი მამა, რომლის დანახვა
უხარია-და ძალღონეს ჰმატებს!
მოვა, დაჯდება, დაიწყებს ჩიფჩიფს
მამაშვილური გრძნობით, ღიმილით,
კვლავ გაიკეთებს ყალიონს პირში
და ქარხნისაკენ გასწევს ღიღინით!
დღესაც იყო და, ბურდუს ეძინა,
ხშირად კრთებოდა ძილში ხველებით,
იწვა წიგნშივე თავჩაკეცილად,
გულდაკრეფილი ჰქონდა ხელები!
ბურდუს მოსწყინდა, მსგავსად დარაჯის,
ყოფნა, მუხლებში თავის ჩაღუნვა,
გასწია ფარდა და ფანჯარაში
შემოიხედა მწვანე ზაფხულმა!
იდგა საღამო მორთულ ფარჩაში
მზე ჩასულა-და მთვარე დგებოდა,
თან ბინდდებოდა, ბუჩქნარს ბაღჩაში
ვარდების ცეცხლი წაჰკიდებოდა!
ხე დაყრდნობია ხეს დაღლილივით
და მათ შტოებზე მოქცეულები —
იხედებიან ბავშურ ღიმილით
პირდაბჩენილი ბროწეულები!
აი, მოფრინდა ჭრელი მერცხალი,
შეჯდა ბანზე-და იწყო გალობა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულს ეკიდება ვით ნაპერწკალი
ფრინველის ხმა-და, მუსიკალობა!
ადგა, სარკეში ჩაჰყო პირსახე,
დაიბიბილა თმები ქარვებად,
მას გული ერჩის ენგურ-წყლისაკენ
მწარე ფიქრების გასაქარვებლად!
მიდის, მიჰყვება გზას დამუნჯებით,
მხოლოდ თვალებმა იგრძნონ, იხარონ,
თან აჩერებენ ბუძგა ბუჩქები,
თითქოს კითხავენ სად მიდიხარო!
ტყედატყე რომ ჰყეფს ნაკადულია,
მოაქვს ამბავი მთების, მდელოსი,
ცას რომ გახედავ: დახატულია,
თითქოს რუქაა საქართველოსი!
ფირუზის ეს ცა, ეს ვერცხლის მთვარე,
მას არ ენახა თითქოს არასდროს,
ეხ, რა კარგიხარ მშობელო მხარევ,
სთქვა ნაღვლიანად და გზა განაგრძო!
ტყის შარაპირზე ხე დგას მაღალი,
ირმის-რქებს უგავს ხმელი ტოტები,
ხეზე ყორნებს-აქვთ აყალ-მაყალი,
მგზავრს დასჩხავიან გაბოროტებით!
ბურდუმ ხეს თვალი მოჰკრა თუ არა
შედგა, თანდათან ფერდობს გადმოჰყვა,
გზას აუხვია, ხეს გაუარა
და ისევ იმ გზას გაჰყვა რატომღაც!
აი, ენგური! მთის ცისარტყელა,
წყლით დაჟანგულან თეთრი უბენი,
ხმას გაუფანტავს ისევ ტყისაკენ
ტყის ფრინველების შავი ღრუბელი!
წყლისპირად მთვარის შუქი ანთია,
ზვირთებსაც თავი მოაქვს მთებურად,
ქვებს ორბებივით მოუსხამთ ლანდი
და გასაფრენად მომზადებულან!
მდინარე გიჟი, გრიგალ-ხმიანი,
ბჭეს ებრძვის, ურჩობს ხიდქვეშ სიარულს,
დგას და უყურებს თვალნაღვლიანი
ტალღათ ჟრიამულს ადამიანურს:
...იგრიალე, იდინე
ჩემო ენგურ მდინარო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახე მუდამ მცინარო,
ტალღებ-დაუძინარო,
მახსოვს ჩემი ბავშობა,
სიხალისე, სინაზე.
შენს ტალღებთან ბაასი,
შენს ნაპირზე ოცნება,
შენს ხეტიალ-სიარულს
ამ სამშობლო მიწაზე
ტანში ვგრძნობ-და განვიცდი
როგორც სისხლის მოქცევას!
შენ არ იცი მწუხარება,
არ გიტირის პირსახე,
მოგაქვს მთების მჭუხარება,
მიგაქვს დაბლობისაკენ!
მითხარ, ვის არ იპყრობდა
შენი ნაზი მთაველი,
ალბად აქვე ფიქრობდა
ვაჟი ლაზისტანელი:
„ბჟარე დია-ჩქიმი,
თუთა მუა ჩქიმი,
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხები
და-დო-ჯიმა ჩქიმი“!

ენგურ მდინარის ტალღა ბროლია,
ოქროს წყალივით კრთის და ციმციმებს,
თითქოს მთებიდან გადმოჰყოლია
ოქროს ფერი-და ოქროს სიმძიმე!
ერთდროს შელიას ახალგაზრდობაც
ჩქეფდა აგრეთვე ოქროს ხმიანი,
ეჰა! რამდენჯერ გალმა გასტოპა
იგი მძვინვარე და რისხვიანი?
დღეს: აღარ ერჩის არც ხმა, არც მკლავი,
არც საამისო იმედებია,
გაცოცხლებულან წყალში ვარსკვლავნი
და თევზებივით იხედებიან!
ამჩნევს თავის ლანდს, რა საცოდავად
წყალში ჩასულა, ჩაძირულია,
გადაიხაროს მისკენ ოდნავად
და ყველაფერი განწირულია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი ჩაავლო მკლავში ვიღაცამ,
შეკრთა ცალფეხზე გაჩერებული,
ლია! აღმოხდა ბურდუს ცახცახით,
ქალს შეაჩერდა გაშტერებული...
და ასე დიდხანს იყვნენ... ზღვისაკენ
იღრუბლებოდა ცა თუთარჩელა,
ეჩქარებოდა ქალს ქარხნისაკენ,
ვაჟი დუდუნით სთხოვდა დარჩენას:
— ლია, ხომ გახსოვს ჩვენი გაცნობა,
ფიქრი, სიამე, ნატვრა ხვალისი,
მიყვარდი, ვგრძნობდი შენს თანაგრძნობას,
მეც მუშაობის მქონდა ხალისი!
დღეს კი... ჩაიკლა ხმა გაბრაზებით
და შეიჭმუხნა სახე ტანჯული,
სადღაც, წყალგაღმა, ახალგაზრდების
გაჩნდა ყიჟინა და კრიმანჭული!
— დიდი მზადება მიდის ამხანად,
დღედაღამ იქ ვართ, გამგეც იქ არი,
ზეგ, პირველ მაისს ხსნიან ქარხანას,
ეხლაც იქ მივალთ, იქ მივიჩქარი!
— არა, არ გიშვებ... სთქვი, სთქვი მართალი,
შენ გიყვარს იგი, მეყო... ვითმინე...
დაიღრიალა ბურდუმ და თავი
ქალის ხელებში ჩაფლო ქვითინით!
ხველებას აჰყვა ნერვებ-აშლილი,
ცემა დაუწყო გულმა ძლიერად,
ბოლოს ალერსი იგრძნო, ბავშვივით
მოლბა, მოეშვა, და თვინიერად
უთხრა: რა ვარ მე? ბოლმა, იარა,
ყოფნაც — არყოფნა და სიზმარია,
ბურდუ შელია, შენთვის კი არა,
ეხლა ჩემთვისაც საზიზღარია!
არ მაქვს სიცოცხლის შნო და ელფერი,
გულში და სულში ვარ დაჭრილი-მე,
დღეს ვაჟკაცობა აღარ შემფერის,
ეხ, რა ვილონო, რა ვქნა ჭირიმე?
უცებ დაეშვა წვიმა ზღვაურის,
ყრუდ იგრიალა სადღაც დასავლით,
ჯანღმაც ასტეხა აურ-ზაური
და შეამსხვრია ვარსკვლავს ვარსკვლავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უ, რა დარია! შეკრთა ქალი-და
შალს ჩაეხვია სახე მწუხარე,
ქარიც წამოდგა ენგურ-წყალიდან,
ირგვლივ ხეებმა ქედ-მოუხარეს!
წავიდნენ, ბურდუ დიდის წვალებით
მიფორთხავს, ტკივილს გრძნობს გამწვავებით,
თითქოს-და ქალი მის სიმახინჯეს
დასცინის, წელზე ადგამს ნაბიჯებს!

17

აღმოსავლეთით გაჩნდა ხანძარი,
გაწითლებულა მთა მახლობელი,
ამოგვირგვინდა უზარმაზარი
მზე განთიადის მახარობელი
და ფრინველებმა ხმებით მწყაზარით
ქვეყანას უთხრეს საგალობელი!
ქარმა ღრუბელი მოიგერია
და მოგორგოთებს გზის ნაპირებით,
მწყობრად მოდიან, მოიმღერიან
ხეტყის მუშათა ბრიგადირები!
გმირებს მოელის ხეტყე მოჭრილი,
ხრამში ზედიზედ ყრია მძინარი,
რომ ტყვეებივით მხრებ-შებოჭილი
ჩამოიყვანონ ენგურ მდინარით!
მათი სიმღერა და ნაბიჯები
ბარად მოსაზღვრე მთებსაც ხვდებიან,
გადმოხტებიან სოფლის ბიჭები,
ტოლ-ამხანაგებს უერთდებიან!
ჰყივის ყვინჩილა: მზე ვიხილეო,
ღვიძავთ, ახელენ სარკმლებს სახლები,
მამლების გუნდი მღერის ლილეოს,
შორს კანტიკუნტად ჰყეფენ ძაღლები!
სახე ნათელი და გულ-ვარდება
მზეს ჟრიამულით ხვდება სოფელი,
ველზე გაშლილი მწვანე ფარდებად
ბრწყინავს ბალახი ნამით სოველი,
აფეთქდება-და ცაში ვარდება
მტრედი მაშხალის გამასწრობელი!
გადმოიარეს პატარა ბონდიც,
მწყობრად მოდიან, მოიმღერიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ლენდიაც მათ შორის მოდის,
მღერის, კისერი მოუღერია:
„ახალი მზე ამოსულა
ქვეყნის მანათობელი,
„გამოგივლი სამუშაოდ
გავახაროთ სოფელი“!
ჰა, ჩაიარეს ბურდუს ჭიშკარიც,
ეზოს გახედენ მწვანე ფარჩიანს,
ბრიგადა მიდის და მიიჩქარის,
ბურდუ ვერავინ ვერ შეამჩნია!
გაწევ-გამოწევს ჭიშკარს ბურდღუნით
და კისრის მტვრევით ტოვებს ალაგეს:
— მეც, მეც მოვდივარ! იძახის ბურდუ
და უკან მისდევს ტოლ-ამხანაგებს!
ვერ დაეწია, მუშებს მანამდი
გაევლოთ ღელე და ხეივანი,
შეჩერდა, მისწინ შეჩერდა ლანდიც
მისებრ ულონო და ხეიბარი!
წავიდნენ, გზისპირ მარტოკა დარჩა,
მიწყდა სიმღერა, დაყრუვდენ მთებიც.
თვალს მოეფარენ, არ ბჟუტავს, არ ჩანს
ლია ლენდიას შუქურა თმები!
წინ ხეა, ჩრდილი ქვეშ აფენია,
ხე ჯერ ნორჩია, თმა-გაფურჩქვნილი,
ქარი ქოჩორში ხეს ჩაფრენია,
ხე არ მიჰყვება დედის ურჩივით!
დარჩა, დაღონდა, თვალნაღვლიანი
დაეშვა ჯოხზე გულ-დაბჯენილი,
დაღონდა როგორც მგზავრი გვიანი,
მგზავრი ქარავანს ჩამორჩენილი!

18

წრე გაშალეს, ნარნარი-ხმით
აღულუნდა დაირა,
გამოგოგდა გოგო-ბიჭი,
დუმდაირა — დაირა:
— გუშინ მთიდან ჩამორბოდი
ნაკადული მეგონე,
— ტყეში ვიყავ, ჩემ საყვარელს
მკერდზე გადავეკონე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენი წარბი და წამწამი
ჩემი გულის მახეა,
— შიგ მალიმალ თუ გაები,
ეს რა სიამაყეა?
— ქალო თვალებს რომ ბარიდებ
ნუ თუ სხვაზე გამცვალე,
— ქერა ბიჭო, იქით წადი,
შავო, შენ გენაცვალე!
— სთქვი ვინ გიყვარს, ვინ დამღუპა
შენგან გულდაჭრილი-მე,
— ყური მიგდე, ჩუმად გეტყვი,
შენ მიყვარხარ ჭირიმე!
— პირში ენა გიფართხალებს
ენა კალმახისებრო,
— თავს მადგია შენი ჩრდილი
მხარბეჭ ალვახისებრო!
— წელს რა გახდა ჭირნახული,
სახლში ვეღარ ვზიდევი,
— სამასამდე შრომადღე-მაქვს,
აი, ჩემი მზითევი!
— ცაზე მთვარე ამოსულა,
ნიშანია დარისა,
— საამური ცხოვრებისთვის
ვენაცვალე სტალინსა!

არის ჟღარუნი ტაშის, დაირის,
სიცილ-კისკისი, ცეკვა — თამაში,
მხიარულება ჯერ ამნაირი
არ მოსწრებია ხალხს ამ დაბაში!
ვარდ — ყვავილების აღაჟღაჟებით
ძირს ფიანდაზი ძევს ბუნებრივი,
აცოცებულან ხეზე ბავშები,
ტოტზე დამსხდარან ბეღურებივით!
მათ უნდა ნახონ თვალისეირი,
გულს მოლოდინი იპყრობს, იტაცებს,
როგორ შეხვდება ხალხი ზეიმით
დღეს, მთავრობიდან მოსულ დიდკაცებს!
როგორ გახსნიან ეზოს დარაბას
ქარხნის საყვირის ცაში ღაღადით,
როგორ ასტეხენ დავიდარაბას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა გაჩნდება ხალხში ქაღალდი?!
ქარს გაუფანტავს განგებ ნისლები,
ცა კრიალაა, მზეც — შუქმფენია,
ხისძირად სოფლის დარბაისლები
დამსხდარან, ჩრდილი ქვეშ-უფენიათ!
მათემ სთქვა: — ჯიბუ შენც გახსოვს ალბად,
აქ ოდეს გავლა უჭირდათ ურმებს,
ეხლა? რა არის! ხომ ხედავ, ბაბა,
ესეც ბელადის აზრია თურმე!
მეორემ წარბი
გადიხსნა თვალზე
და შორიახლო
დაიწყო მზერა:
— აქეთ უჟმურიც გაწყდება ხვალზეგ,
სტალინს უთქვამს-და, უთუოდ მჯერა!
საერთო ძალით და მუშაობით
ვიბრძვით, ეგ არი გულს რომ აკაჟებს,
განადგურდება ჭავლი, ჭაობი,
ნარინჯის ცეცხლი დაწვავს ლაქაშებს!
ყრუ მასლაათით
ხისძირად, იქვე
ერთი მეორეს
ანდობდა ფიქრებს.
— აი, ეს ფული მიიღე ახლა,
რა იცი? საქმე იქ როგორ მიდის?
— წყალი გავხინჯეთ, ხის მორებს, ნახავ,
სულ რია-რია მიჰქონდეს ხიდიც!
— ვაი თუ სადმე წამოგცდა შიშით
ეს ჩვენი დარდი და გასაჭირი?
— დღეიდან ნალველს ჩავიდგამ პირში,
აბა, რას ამბობ, ბესა სქანჭირი?

შორს კი ღულუნი ისმის დაირის,
გახურებულა ცეკვა-თამაში,
მხიარულება ჯერ ამნაირი
არ მოსწრებია ხალხს ამ დაბაში!
უცებ გავარდა თოფი ყირიმის
და არემარე
შესძრა ჯახანმა,
მახარობელი მორბის ყვირილით:

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უკვე ქალალდი ჰშობა ქარხანამ!
წამოიშალნენ, აყვნენ ერთმანეთს,
ჩოჩქოლით ქარხნის კართან დგებიან,
პარმალზე ხარბად შემოხედავენ
ვაჟკაცს ტანმორჩილს, სათვალებიანს!
იცვნეს, იელვა
ღიმილმა ხალხში,
ელვას თან მოჰყვა
ქუხილი ტაშის...
მან შრომის გმირებს უხსენა მკლავი
და ვაჟკაცური გულის ნადები,
ხელთ აიტაცა ქალალდის ხვავი
და ხალხს მოჰფინა როგორც ნათელი!
შემოესიენ ჩოჩქოლით ქალალდს,
ხელიხელ გლეჯენ, აკვირდებიან,
აკიდებიან ერთმანეთს ხარბად,
თითქოს-და ცეცხლი წაკიდებიათ!
კაცი კაცს მისდევს კალთებ-დაჭერით,
აჰა, იგმირა მათე მოხუცმა,
იგდო ქალალდის ერთი ნაჭერი
და სიხარულით სახლში მოკურცხლა!
ბედნიერია ის ამ სალამოს,
რას მოსწრებია, რა ტკბილ დროებას,
მირბის, საყვარელ შვილს რომ ახაროს
შრომის ორდენით დაჯილდოება!

19

მარტოდ მარტოა, თავ-ჩაკიდული,
წიგნებს კითხულობს კაეშნიანი,
დღე, როგორც გვერდი გადაკითხული,
დღეს ემატება რხევით, შრიალით!
ისევ უმწეო და უსაქმოა,
არვინ ნახულობს, არვინ უძახის,
თითქოს ოთახი სატუსაღოა,
თვითონ — ტუსაღი!
ეხლაც სარკმელთან ზის და ბავშვივით
ეზოს გაჰყურებს ნოხით მოფენილს,
მისწინ ჭადრის-ხე ტოტებ-გაშლილი
დგას-და, ხელს უშვერს ყვითელ ფოთლებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა დღეა და... ბაღში თამაშით
არხევს ნიავი ფოთლების ლაჟვარდს,
ჭიტა! კარების ჭუჭრუტანაში
შემოიჭყიტა მეზობლის ბავშმა!
— შენა ხარ რამაზ?!
— აი, მე რა მაქვს!
— ვინ მოგიტანა?
— მამამ.
— ტყვიები თუ გაქვს?
— როგორ არა მაქვს, გესვრი თუ გინდა,
გასწიე თავი, გასწიე, თორემ...
ძლივს აიცდინა
ბურდუმ ტყვია-და
ისევ ბავშისკენ
შემოტრიალდა!
ბავშს-კი თვალების ბრწყინვა-ციმციმით
უხარია და
კვდება სიცილით:
— ეხლა წავალ და ჩიტებს დავხოცავ,
შენ არ წამოხვალ?
— არა,
— რატომ?
— ავად ვარ.
— რატომ?
— ფეხი მტკივა!
— რატომ გტკივა ფეხი?
— იმიტომ, რომ... პერ-პენ-დიკულიარულია...
ბავშს ამ სიტყვაზე აუტყდა კიდევ
სიცილ-კისკისი და იბერება,
კუნტრუშ-კუნტრუშით ეცა დერეფანს
და კისრის მტვრევით ჩავიდა კიბე:
—ბურდუ ჩიჩია,
'რა ზარმაცი ბიჭია,
'სანადიროთ აღარ მოდის,
'სახლში ყოფნა ირჩია!
მიიმღეროდა ჟღურტულით ბავში
და ასკინკილით
მიხტოდა ბაღში!
დიდხანს უყურა ბავშს, თამაშობით
ბაღს რომ იკლებდა გახარებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოაგონდა თავის ბავშობის
დრო სიზმარივით გაქარვებული!
იგი დროშავი,
დრო სალონარი
და მაინც ტკბილად მოსაგონარი:

...აი, შეყრილან გოგო-ბიჭები,
ჯოგი შორ-სადღაც გაფანტულია,
ერიამულობენ და გაგიჟებით
რიკტაფელობა გამართულია!
მისწინ ლია დგას, თვალებ-მხიარულს
ხარბად ჩასცქერის ბავშურ ღიმილით,
ხედავს: საკუთარ სახეს ჭკვიანურს,
ესმის: საკუთარ თმების ბიბინი!
მაგრამ სეირი ამდროს თუ გინდათ,
სადღაც გამქრალან ცელქი მწყემსები,
უცებ აართვა ქალმა ქუდი და
გარბის: აბა-ჰე, თუ დამეწევი!
გამოეკიდა, მისდევს ნიადაგ
და ორივენი სადღაც მირბიან,
ლია წაიქცა, წაკოტრიალდა,
ბალახს გაება როგორც ნიბლია!
ეცა, შებოჭა ქალის სხეული
თხრილში პირალმა წამოქცეული,
გულმკერდი ოდნავ ამოწეული
ხელის მუჭაში ჰყავს მომწყვდეული!
ატყდა, აემღვრა მთელი სახე და,
დაეყრდნო, იგრძნო სუთქვა მხურვალე.
თითქოს-და: ჟინის ამოსაყრელად,
ქალს დაეწაფა ტუჩზე მწყურვალედ!
ლია წამოხტა,
თვალ-აბორჯებით
ზვერა დაუწყო ირგვლივ მიდამოს,
მისინჯ-მოსინჯა კაბის ფოჩები,
ხანძარი ხომ არ წამეკიდაო!
გამოედევნა, გულ-აღტკინებით
მაპატიეო სთხოვდა დუდუნით,
გოგო ყელსახვევს კვნეტდა კბილებით
და ძიდიოდა შინ გაბუტული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სდუმდა... სიავით ქროდა სიო-და
ცა გუგუნებდა როგორც ღუმელი,
ზღვაზე გუნდ-გუნდათ ამოდიოდა
ზღვის თოლიების თეთრი ღრუბელი!
და იდგა დარი უამინდობის,
ყრუდ წკრიალებდენ წვიმის წვეთები,
თვალწინ ლურჯისფრად ეგდო მინდორი
თვალივით ვრცელი და შორსმჭვრეტელი!
რა კარგი იყოს ეს თამაშობა,
ეს გულუბრიყვლო აზრი, ოცნება,
დაუბრუნებელ დღეთა ბავშობა
და სიყვარულის გასხივოსნება?
რა კარგი იყო: სახე ცქრიალა
გოგოს ჟღურტული ალმფრთოვანები,
ბაგე შუქმფენი, ენა წკრიალა
და მთვარისფერი თმა და თვალები?
მართლა: ცხოვრება გზებს ედარება,
გზებს გადაკითხულს, როგორც სტრიქონებს,
რა უმაღლესი ნატარებაა
როცა ბავშობის დღეებს იგონებ?
ფეხზე ქალამნით, ტანზე შინელით,
ხელში საყვარელ წიგნთა კრებულით —
მუშფაკს მიადგა კომკავშირელი
უმაღლეს სწავლას მოწყურებული,
თექვსმეტს მორჩა-და
ჩადგა შვიდმეტში
ულვაშებ ოდნავ ამწვანებული!
ის მუშა იყო, მიწის ფენიდან,
მისი „ნანინა“ იყო სიო-და...
მიწის ხმა ჰქონდა, მიწის ფერი და
ხელებსაც მიწის სუნი სდიოდა!
შემდეგ შეჯიბრი, შებმა სწორებთან,
წიგნი ცხოვრების ციხედ აქცია,
სახელმოხვეჭილ პროფესორებთან
ქარხნის პროექტის დისერტაცია!

20

ამ ფიქრში ქარმაც
გახსნა ფანჯარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეუმტვრია ნარგიზს ტოტი მან,
ხელი შემოჰყო ფრთხილად ჭანდარმა
და ბურდუს თავზე წაუპოტინა!
შეკრთა, ხემ თითქოს რამე აცნობა,
განა მას კაცის დარდი არ ესმის,
ხის ლმობიერი ეს თანაგრძნობა
ეამა, როგორც დედის ალერსი!
...ხეო ბრძენი ხარ, ხეო დიდი ხარ,
საუკუნეებს უძლებ სიმაგრით,
უკან ვერ იხევ, წინ ვერ მიდიხარ,
მაინც იზრდები სიღრმით, სიმაღლით!
მე კი: ჩემშივე ვარ მომწყვდეული,
სული მეხუთვის, სუნთქვა მძიმეა,
თითქოს-და კუნტი ჩემი სხეული
ჩემივე სულის საპყრობილეა!
ჩემში „მე" ცალკე გამოყოფილა,
ებრძვის გულსა და... სხეულს შორდება,
ვაჰმე! რა ძნელი საქმე ყოფილა
თავისი-თავის წამოჩოქება!
თურმე სჯობიან ათასთან ბრძოლა,
ვიდრე საკუთარ „მესთან" გასწორდე,
კაცი დაკარგავს ყოველგვარ გრძნობას,
თავდაცვის გრძნობას კი არასოდეს!
როგორ მსურს ვიყო დაუცხრომელი,
კვლავ გამიტაცოს ხარბმა ბრძოლამან,
შეწოდოს გმირი ახალ ცხოვრების
და ვაკეთებდე ხალხის მომავალს,
თორემ რათ მიღირს
ყოფნა ონავარ
თუ კი შრომის და
ბრძოლის მონა ვარ?
საქმე ის არი: კაცმა დღევანდელ
დღის გადალახვა შესძლოს, გაბედოს,
თვალი თუ წვდება ვარსკვლავებამდე,
რა უჭირს ხვალის დღეს რომ გახედოს?
აი, წამი და... მორჩა, გავქრები,
გაჰქრება ჩემი აწმყო, მერმისი,
გამამტყუნებენ ამხანაგები
ასეთ უმსგავსო საქციელისთვის!
რა ვქნა? მონა ვარ ბრმა დაბრკოლების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელია: გულს რომ
გრძნობა შებორკავს,
ჩვენ თუ ეპოქას ვალწევთ გონებით,
გრძნობით ჩამოვრჩით მაინც ეპოქას!
ხომ შეიძლება დიდებს, პატარებს
ერთი გზა ჰქონდეთ, ერთი მიზანი,
მაინც სხვადასხვა ფიქრებს ატარებს
ხალხი სხვადასხვა სიმაღლისანი!
არ ვიცი: ეს გზა, ან ეგ სილაჩრე
შიშის ბრალია თუ სიამაყის,
დამნაშავე ვარ მე ჩემს წინაშე
ვით ჩემს სიკვდილში ეს იარაღი!
მე ხომ მსხვერპლი ვარ
არა შემთხვევის,
არამედ კაცთა დაუდეგრობის!
ეხ, ჩემო თავო, გეყოფა ბოდვა,
რა გინდა, რა ხარ, მაჩანჩალა ხარ,
იმას მიეზღოს ეგ ჩემი ცოდვა
ვინც მე ამრიგად გამაჩანაგა!
ხელი დაარტყა მაგიდას ძალად,
ყელზე მოწოლილ ბოღმას ჰყიოდა,
სტრიქონზე ძალით შემტვრეულ კალამს
ჯერ კიდევ მელნის სისხლი სდიოდა!
ბნედა მოაწვა თავში და თვალთა,
ხელი უბისკენ მიაქვს კანკალით,
ვაიმე ნანა! ხრიალით სთქვა და
ძლივს მიიტანა გულზე ნაგანი...
უცებ შეაკრთო ნაცნობმა ხმამან,
ნაგანს მაშინვე მალავს, ტრიალებს,
კარს შემოარღვევს, შემორბის მამა
და ჯოხით ქალალდს მოაფრიალებს!
— შვილო ბურდული! სად ხარ აქამდი,
იქ მოგელიან, რაღას აპირობ,
ჩვენმა ქარხანამ ჰშობა ქალალდი,
აი, შეხედე გოლუაფირო!
— ქალალდი? უკვე? ეს რამ გვაღირსა,
ეს ხომ პირდაპირ სასწაულია,
მაშ, ამდენ ჯაფას მშრომელ ხალხისას
ჩანს უშედეგოთ არ ჩაუვლია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო-და თქვენც გერგოთ ამ ჯაფაშიაც,
ხალხმა, ქარხანამ ერთხმად ითხოვეს.
შენ, ინჟინერი და ჯანაშია
შრომის ორდენით დაგაჯილდოვეს!
— ორდენი? ხალხმა? მთელმა ქარხანამ?
და ბურდუმ ამდროს ხელის საკვანძოთ
ისე ხმამაღლა გადიხარხარა
რომ ფანჯარამაც მორთო ზანზარი!
— ხალხი ბევრია?
— ქარხნის გულისთვის
თავმოყრილია მთელი სოფელი,
ღელავს, ხმაურობს ხალხი ურიცხვი,
სიხარულია განუზომელი!
ბედნიერი ვარ, მეც გავხდი ღირსი,
მეც ვესაუბრე ერთხანს ბერიას,
მუდამ რომ აქებ, სახელი მისი
მუდამ ენაზე რომ გაკერია!
უსმენ და გჯერა: რომ ამბობს მართალს,
ჯანი შემმატა მისმა გაცნობამ,
კაცი ნამდვილად ქვეყანას მართავს,
მართლაც: აფერუმ მის ვაჟკაცობას!
გენახა როგორ გაისმა მაშინ
განუწყვეტელი ვაშა და ტაში,
როცა მისივე სიტყვით, კარნახით
ენგურ ქაღალდის პირველ ნიმუშზე
აზრი დავსწერეთ ქარხნის მუშებმა
და გავუგზავნეთ სტალინს პატაკი!
რა ამბავია, რას ვხედავ, ბაბა,
მახსოვს ძველი დრო, ძველი წესები,
ეხლა? (ხითხითებს) თანდათან, ალბათ
იმ თქვენს კომუნას მეც მოვესწრები!
ხალხი დაიძრა ენგურ წყლისაკენ,
გზაზე მხიარულ ჰანგებს მღერიან,
ქარხნის გახსნასთან დაკავშირებით
ტყიდან ტივების ტალღებს ელიან!
შვილს ჩასცქეროდა მამა მხნეგულით,
ჰქონდა არწივის სახე ზვიადი,
გამოცვლილია, განახლებული
გლეხის ბუნება და ხასიათი!
— მამავ, მოვდივარ, მომეც ხალათი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას რახანია შკაფში ვინახავ,
ახალი ქუდიც, ჩემი ახალი
ფეხსაცმ... წამოცდა ბურდუს კინაღამ
და შემოაწვა გულზე ბალღამი!

21

მიუახლოვდენ ენგურწყალს, არხთან
აი, გამოჩნდა ხიდე ახალი,
რა საოცარი ამბავი დახვდათ,
რა საოცარი რამ სანახავი:
წყლისპირად, სადაც ზღვისკენ მავალი,
ორად იყოფა ენგურ-ხეობა
თავმოყრილიყო ხალხი მრავალი,
მილეთის მთელი მოსახლეობა!
დაულეწია ტალღებს ტივები,
გზად გაბორგგილან თავ-დაყირულად,
ბორგავს მდინარე გულ-აღტკინებით,
ხიდქვეშ დამდგარა და გაყინულა!
ვინ დაენდობა მდინარეს ამდროს,
უმალ ჩაგითრევს შმაგი მორევი,
კაცი არ არის გმირობა სცადოს
და ადგილიდან დასძრას მორები!
ველარ ინელებს წყალი ხროტინით
ყელში გაჩხირულ ტივების კლდესა,
უფრო მატულობს ხმა და ლოდინი,
თავის მეგობრით მოსულა ბესაც!
თვალდაგეშილი როგორც ძაღლები
განგებ გულმაგარ კაცებს ეძებენ,
წელზე კალთების აკარწახებით
დაძრწიან, წყლისკენ სხვებს აქეზებენ!
მეტადრე ბესა თარეშობს ხალხში,
თავგამოდებას იჩენს ძალიან,
ერთხელ კინაღამ ისკუპა წყალში
მაგრამ შებოჭა მაქაცარიამ!
აი, გაბედა რეზო დუშელმაც,
გამოეთიშა ხალხს ყოყოჩობით,
ჩახტა, შესტოპა წყალში კივილით,
მაგრამ თავის-თავს უმალ უშველა
და გამოვიდა მშრალზე კოჭლობით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიმიზეზა ფეხის ტკივილი!
დრო გადის, რა გზას მიმართოს ხალხმა
მარტოდ ნაპირზე დგომით, ჰყურებით?
ჯებირს აწვება ტივების ტალღა,
ხიდს ემუქრება განადგურებით!
უცებ: შორიდან შუაგულ წყალში
ელვებრ გამოჩნდა კაცის სხეული,
ხალხი ჩოჩქოლით დაიძრა მაშინ,
ნაპირს მიაწყდა მზერად-ქცეული:
აი, მორებთან ახლოს მივიდა,
აი, დაუწყო შებმა გმირული,
ეცა, ეძგერა ხეებს წინიდან,
შესძრა მდინარე ყელ-გაჩხირული!
ვიღაც გადახტა წყალში, გაჰყვირის:
ბურდუ დაიხრჩო, მორებს გაჰყვაო,
ხალხი დაიძრა და წყლის ნაპირი
ერთხმად აბღავლდა ვით სასაკლაო!
კაცი მოხუცი თუ ახალგაზრდა
წყალში ვარდება თავ-განწირულად,
ზოგი ტანსაცმელს იხდის გზადაგზა,
ზოგი ჩამხტნარა და ჩაძირულა!
მთიდან ერთბაშად დაძრულ მორების
ტივებს შეეკრა მთელი მდინარე,
ტალღებს ამტვრევდა ველურ ზმორებით
წყალთა სტიქია — იგი მძვინვარე!
საშიში იყო ბრძოლა ტივებთან,
გზას მიარღვევდა გრიალ-გრიალით,
საბრალო! ქვასაც აატირებდა
მათე მოხუცის მოთქმა-ღრიალი!
მაგრამ: უეცრად
ამბავი მოხდა,
ხალხს გაოცების
ალი აღმოხდა:
იმ დროს, როდესაც მამაცობაში
შეჯიბრებულნი უგზოდ, ურიგოდ
ენგურს მისდევდენ, ამასობაში
ბურდუ ნაპირზე გამოსულიყო!
მიცვივდენ თვალებ-დახარბებული,
შემოეხვიენ ილაჯ-გამოცლილს,
მოვარდა მათე გახარებული,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შვილს მიაშველა ტანისამოსი!
წყლით გაწუწული ეგდო დრაჟომაც,
მას ეხლა პირქვე ნჯღრევა უშველის,
დაჭყიტა თვალი და გააჟრჟოლა,
მკლავზედ ეწვინა რეზო დუშელი!
ხალხის ჩოჩქოლი და გაკვირვება
ტალღებს მიჰქონდა ჟივილ-ხივილით,
ბურდუ თანდათან ძალას იკრებდა,
მას თავზე ადგა ლიას ღიმილი!
იყო საღამო სურნელოვანი,
მეგრულ ატლასში იწვა ზაფხული,
და ცისარტყელა სრულფეროვანი
ელავდა ცაზედ გამოსახული!

1937 წ. ტფილისი.

იაკინთე ლისაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი მთაში

რომანი

თავი პირველი

აჰა! — მოქანცულის ხმით დაიძახა სოლომონმა, როდესაც მის მიერ მოჭრილი ხე, ციცაბო კლდიდან მოწყვეტილი დაეშვა და ქვევით, ანკარა მდინარის ქვებს დამაყრუებელი ხმაურით დაენარცხა.

სოლომონმა ოფლი სახელოთი შეიშრო და ცალი ფეხი ვეებერთელა წიფლის გადანაჭერს დაადგა. ნაჯახის ტარი თეძოზე მიიდო, სული მოიბრუნა და ჩამავალ მზეს მიაჩერდა.

ნაძვისა და ფიჭვის ხშირ რაყაში შეჭრილი სხივები აღელვებდა მოხუცის გულს.

რამდენი მშვენიერებაა, რამდენი უსაზღვრო მშვენიერება იფარება!..

— ეჰ! — აღმოხდა მას და იგრძნო, რომ ჩამავალი მზის ეს საოცარი, ფერმკრთალი სხივები მის მორგძო, ჭაღარა წვერშიაც კი შეჭრილა. სოლომონმა ხელი ჩამოისვა თეთრ წვერზე, თითქოს უნდოდა მზის სხივების ელვარება გულში ჩაეტანა.

გრილი ნიავი, გაზაფხულის, ახალი სიცოცხლის მომტანი ნიავი არხევდა სოლომონის ჭაღარა თმასა და წვერს.

მან ისევ დახედა ხის გადანაჭერს, მის ვეებერთელა ღრუს და კვლავ მოგონებათა ტალღებს გაედევნა.

— ჩემო მფარველო! — მიმართა სოლომონმა გადაჭრილ ხეს, — რამდენი ტყვია მოხვედრია შენს მაგარ ფერდებს, რამდენჯერ ჩემი სიკვდილი შეგიჩერებია შენ. ახლა მე ისევ მოვედი და სამაგიეროდ სიცოცხლე მოგისპე.

თვრამეტი წელი გავიდა მას შემდეგ...

და სოლომონის თვალწინ ელვის სისწრაფით გაირბინა წარსულის სურათებმა: თვალებწამოკარჩხლული მემამულე. მათრახი. შავი, მოგრძო, ულვაშები და მრგვალი ცხვირი. მან ხომ სამოსახლო მიწა წაართვა და

პატარა ქოხის გამქვარტლული ფიცრები გზაზე დაჰყარა. ხომ ალარ იყო გამოსავალი, ალარ იყო სხვა რამ საშველი. და სოლომონმა მაშინ თოფი აიღო ხელში: მოჰკლა მემამულე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ ულრანი ტყეები, მაღალი მთები და ასეთი ვეებერთელა, გამოლრუებული ხეები იყო გავარდნილი კაცის მფარველი.

— მე თითონ ვწუხდი, რომ სისხლი დავღვარე. ბევრმა გაუძლო, დიდხანს ითმინა, მაგრამ... — გაიფიქრა სოლომონმა და წელში გასწორდა.

სოლომონი უკვე გამოერკვა. დიდრონი, შავი თვალები ირგვლივ დიდ-კალთებს შემოავლო: სხივები წასულან. დასავლეთით გუნდებად დაყრილი, მრავალფრად აფერადებული ღრუბლები გამქრალან. ღრმა ხეობები სიბნელეს ამოუვსია, და შორეული ჩანჩქერის ხმა ახლა უფრო გარკვევით ისმის: „ჩამოდი, ჩამოდი ძირს", თითქოს ასე ეძახის მას ჩანჩქერის ხმა.

უწინ, 18 წლის წინათ, სოლომონი თოფით ხელში ხშირად იდგა ამ, ახლა უკვე მოჭრილ, ხესთან. იდგა მოწყენილი, უსმენდა იმავე ჩანჩქერის ხმაურს, მაგრამ ეს ხმაური მაშინ სხვა იყო, სხვანაირ ხმას გამოსცემდა და სხვაგვარ გრძნობებს აღუძრავდა იგი.

— ჰო, როგორი განსხვავებაა! ეს ქვეყანა ახლად დაიბადა. ჩანჩქერიც ახლად იშვა და თითქოს ჩვენც ამ ქვეყანაზე ახლა მოვედით, — გაიფიქრა სოლომონმა, თოფის მაგიერ ახლა მხარზე ნაჯახი გაიდო და ვიწრო ბილიკით ქვევით დაეშვა.

ძირს დიდრონ ქვებზე იმტვრეოდა პატარა მდინარე. სოლომონმა შეკეცილი ბილიკი გაიარა და მდინარესთან მივიდა.

აი, ვეებერთელა წიფლის ხე. ამხანაგებს, რომლებიც ქვემოთ უცდიდნენ სოლომონს, უკვე დაუჭრიათ რტოები, ურმებზე დაუწყვიათ და სიმღერით მიდიან სოფელ შუამთისაკენ.

სოლომონმა შორიდან გახედა მდინარის ნაპირას მიმავალ ურმებს. ხარები დინჯად მიიზლაზნებიან. ამხანაგები ერთად შეგროვილან, ერთად მიდიან და მათი სიმღერა იფანტება ყოველი მხრიდან წამომდგარ, ფიჭვითა და ნაძვით დატვირთულ მთებში.

ღამდებოდა. სოლომონი ჩქარის ნაბიჯით დაეშვა ქვევით. მისი სული ივსებოდა რაღაც იშვიათი, უჩვეულო გრძნობების სითბოთი, თითქოს მის ფეხქვეშ მიწაც კი ითქვამდა სულს.

ყველა ისინი, რომლებიც ახლა ურმებს მიჰყვებიან, სოლომონის განუყრელი ძმები არიან, ერთი მტკიცე ოჯახის წევრები.

მდინარის ჩხრიალის ხმა ჰარმონიულად აედევნა სოლომონის ნაბიჯებს.

ხევიდან წამოსული სიბნელე გზაზე გამოვიდა და წინ-წასული ამხანაგები ძლივსღა მოჩანდნენ.

ისინი უკვე სოფელს უახლოვდებოდნენ. თითქოს სიმღერაც კი დაამძიმა სიბნელემ. ტალღისებურად ამაღლებული ხმები ისევ ეშვებოდა, იკარგებოდა.

სოლომონს უკანიდან სინათლე დაეწია. მან მიიხედა: იმ მალალ მთას მეორე მხრიდან პირბადრი მთვარე წამოპარვოდა და, აქლემის ზურგიით ამოწეულ მწვერვალთან ჩასაფრებული, სინათლის ულაბალი ესროდა შუამთას მკერდზე.

სოლომონმა განაგრძო გზა. ენანებოდა, რომ უკვე მოხუცდა. — ამ დაუსრულებელი მშვენიერების სურათებს მალე დასტოვებს.

რატომ უწინ ერთხელაც არ განუცდია ასეთი რამ, არ უფიქრია ასეთ რამეზე? მაშინაც ხომ ჰქონდა თვალი, ჰქონდა გული, დადიოდა ამ ვეებერთელა, მწვანით დაბურულ მთების წიაღში?

რა სისულელეა! შვილი ხომ რჩება. იყო ერთი, მაგრამ ახლა სამოცამდე შვილი ჰყავს, სამოცი წევრი კოლექტიური ოჯახის.

აი თვით საგარაკო სოფელი შუამთა, მთვარის შუქზე ფერწასული სანათურებით.

გზის ნაპირას ფიჭვნარის ტყიდან ფრთხილი ჩურჩული მოესმა:

ვაჟის ხმა:

— როგორ შემიძლია უშენოდ?

ქალის ხმა:

— მე რა ვარ შენთვის?

ვაჟის ხმა:

— არ ვიცი, სულზე მეტად ძვირფასი რაღაც.

ქალის ხმა:

— შენ...

და სიტყვა გაუწყდა.

სოლომონს ჟრუანტელმა დაუარა სხეულში.

„სასწაულმოქმედო, სიხარულად ქცეულო ახალგაზრდულო თავდავიწყებავ!“ — გაიფიქრა და წინ წავიდა.

ისინი უკვე გზაზე გავიდნენ. სოლომონმა უკან მიიხედა. უეცრად თვალი შეავლო ჩახვეულ ქალ-ვაჟს. ისევ დაშორდნენ და...

რა არის ეს?

ვინ არის ის ქალი? შეუძლებელია! წარმოუდგენელია!

— ეთერი?! — თავისთვის მწვავედ აღმოხდა სოლომონს.

აი, მისი შავი, ძალზე შავი თმა. მრგვალი პირისახე. წვრილი კანჭები. სიარული. ის არის, ეთერი!

სოლომონი გაუნძრევლად იდგა.

იჭვები მართლდება. სოლომონს კი დღემდე არ სჯეროდა ეს.

აი, ახლოვდებიან. ძალიან ლამაზია ის ქალი, ძალიან მიმზიდველი. მისი დიდრონი, ნახშირივით შავი თვალები თითქოს აქედანაც კი შეიმჩნევა. როგორ არ დაიპყრობდა ახალგაზრდა ნოდარის — სოლომონის ერთად-ერთი შვილის გულს!?

ნოდარი? არა, არც ის არის ცუდი ვაჟკაცი. არც ის ჩამოუვარდება თავის მეგობარს. მაგრამ... როდის უნდა მომხდარიყო ეს!

სოლომონმა კვლავ გახედა იმ გზას, რომელზედაც ახალგაზრდა ვაჟი მიაბიჯებდა, და მოეჩვენა, თითქოს სწორედ ეს გზა მიდიოდა დაღუპვისაკენ, ერთად-ერთი შვილის დაღუპვისაკენ...

ისინი შეჩერდნენ. ერთმანეთს კვლავ უდიდესი აღზნებით გადაეხვივნენ. ასე კარგა ხანს. დაშორდნენ. ქალმა შორიდან კვლავ უძღვნა ჰაეროვანი, მხურვალე ამბორი, ღობეზე სწრაფად გადახტა და მიეფარა.

ნოდარი კიდევ გასცქეროდა იმ მიმართულებით. ბოლოს მობრუნდა უცბად და წამოვიდა.

სოლომონმაც განაგრძო გზა. გრძნობდა, როგორ თანდათან უახლოვდებოდა შვილის ნაბიჯები. რა უნდა უთხრას? გამოუტყდეს, რომ დაინახა? არა! როდი ივარგებს. არ შეიძლება!

ნოდარი ახლოს მივიდა. მამას გაუსწორდა. და მიაჩერდა.

— მამა! — გაოცებით წარმოსთქვა მან. მამის უჩვეულო, რაღაც საიდუმლოების შემცველ თვალებს ვეღარ გაუძლო და მიწას დახედა.

— სად იყავ, შვილო? — შეეკითხა სოლომონი, მაგრამ პასუხს აღარ დაელოდა ისევ განაგრძო: — ასე როდი ივარგებს. აი, ხომ გესმის შენი ამხანაგების საამო სიმღერა. ახლა შენც იქ უნდა ყოფილიყავ. იქ შენი ხმაც აჟღერდებოდა.

ნოდარს არაფერი უპასუხნია — მამას გვერდით უხმოდ მიდიოდა. როცა სახლს მიუახლოვდნენ, თავისუფლად ამოისუნთქა.

მამა უკვე შევიდა სახლში. ნოდარი ეზოში შეჩერდა და გულში გაივლო: „ხომ არ დაგვინახა? ხომ არ გაიგო?“

მან კვლავ გადადგა ნაბიჯი და იმ ოთახში შევიდა, რომელიც ორი წლის წინათ მოხუცმა მამამ საკუთრივ მას დაუთმო. კედელზე ელვარებდა ძველი თუ ახალი იარაღი, რომელიც ამ მცირე ოთახის ერთ კედელს თითქმის მთლიანად ფარავდა. ის ხომ მამამ აჩუქა მას.

ჩამოჯდა. ძელის ტახტზე თავი დახარა და კარგა ხანს უსმენდა მეორე ოთახში მშობლების ცხარე, მაგრამ თავშეკავებულ კამათს. სიტყვები კი ვერ გაეგო.

გვიან ივახშმეს.

ნოდარი ქურდობაში დაჭერილი ბავშვივით იჯდა მაგიდასთან და მშობლების სიჩუმეს ვეღარ უძლებდა.

ადგა და ისევ თავის ოთახში გავიდა.

რატომ ასე გაკვირვებული თვალებით გააცილეს იგი მშობლებმა?

ნოდარის თავში ათასნაირი აზრი ცვლიდა ერთი-მეორეს. ამ აზრებს მრავალი უსიამოვნო სურათიც სდევდა თან. მაგრამ ყველგან და ყვე-

ლაფერში ადგილს პოულობდა რაღაც სიხარული, უცხო ადგილს ამოტეული, მაგრამ მაინც ისევ სიხარული.

რა არის ეს? რატომ ასეთ დაუძლეველ გამომეტყველებას ირეკლავს ის? ხომ არ შეიძლება ყველაფერს გაუმკლავდეს და ყოველგვარ ძალას გადააჭარბოს რაღაც ერთმა, უადგილოდ აკვიატებულმა სიხარულმა?

ნოდარის გაგებითაც, მართალია, ეს არ შეიძლება, ის რაღაც არათავის ადგილას ამოტივტივდა, მას რომ არ შეეფერება. მაგრამ ნეტავი რად მოხდა ასე?

„ქ, სადაც მთლიანობა არ არის, სიხარულიც ხომ ვერ იქნება?

„არ არის, სწორი არ არის ეს გზა, მაგრამ ნუთუ მე მაინც აქეთ მივდივარ?" — თავის თავს შეეკითხა ნოდარი.

დაწვა. ჩაეძინა.

დაწვნენ სოლომონიც და მისი ერთგული, ბევრ ტანჯვას განვლილი ცოლიც — სახე ჩამომჭკნარი ირინე, რომელიც გულის სიღრმეში დიდ ტანჯვას განიცდიდა, მაგრამ თვალებით მაინც მუდამ კეთილს აფრქვევდა.

სოლომონი ვერ ისვენებდა. მრავალ მოსაზრებას უზიარებდა ირინეს, მაგრამ გადამწყვეტად არც ერთი არ მიაჩნდა.

დიდხანს იმსჯელეს, კიდევ მრავალი მოსაზრება გამოსთქვეს. ის დრო მოიგონეს, როდესაც პატარა ნოდარი პავლია შარაძის დუქნის კარებთან იდგა მშიერი ლეკვივით და ლუკმა პურისთვის ვინ იცის, რას არ ასაქმებდნენ. პავლიას სახლში ხშირად გზავნიდნენ და თავის ტოლ ეთერსაც მაშინ შეეჩვია.

— რა აქვთ საერთო? — ამბობდა სოლომონი, — პავლია შარაძის ქალი და ჩემი შვილი?! ეთერი ძლიერ იზიდავს ჭაბუკის გულს. ადვილი არაარის. ისინი ბავშვობიდან შეეჩვივნენ ერთმანეთს. ხომ არ დაგვიანდა?

— არა. ნუ გეშინია, შე კაცო, ასეთი რა მოხდა! — ამშვიდებდა ირინე შეფიქრიანებულ ქმარს.

შუაღამე გადავიდა.

ირინეს პირველს ჩაეძინა. სოლომონმა თავის თავს კიდევ დაუსვა რამდენიმე კითხვა, რომელზედაც პასუხი ვერ გამოსძებნა. ბოლოს თავი მიანება და მასაც ჩაეძინა.

*

* *

იმავე საღამოს, როდესაც ეთერი სახლში შევიდა, შუა ოთახში უხმოდ მდგომ მამის თვალებში სისხლად ჩაქცეული ბრაზი შენიშნა. ეთერი დაიბნა, სახე აელეწა: ვერაფერი გაეგო, თუ რას ნიშნავდა ეს, და ამ საშიში სიჩუმის დარღვევას ვეღარ ბედავდა.

ბოლოს ისევ დამუნჯებულმა პავლემ ასწია თავი და შვილს მიაჩერდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ხომ ყველაფერი ვიცი, ალქაჯო! სთქვი გადაწყვეტილი: ძალიძლია თუ არა თავი დაანებო იმ შენს ლაწირაკს? ის ხომ მტერია! ხომ იცი ეს?

პავლემ ფეხი დაარტყა იატაკს და ეთერთან მივიდა.

ეთერის თვალწინ ამ ერთი წუთის განმავლობაში თითქოს ყველა ფარდა გაიხა, ყველაფერი საქვეყნო გახდა.

მთლად აირია, სკამზე დაეშვა და ორივე ხელი თავს მოიჭირა.

— რა გინდა, მამა, რა გინდა ჩემგან?!

— განა არ გესმის?! ჩემი თვალები სისხლს ეძებენ ახლა და შვილსაც ველარ ხედავენ. ისიც ალარ არსებობს! სთქვი, მეთქი, გეუბნები!

ეთერი შიშმა აიტანა, კანკალი დაიწყო და აქვითინდა:

— მომკალი, მამა! მომკალი, მამა! არ შემიძლია! სულერთია, არ შემიძლია!

— აუ! — ბრაზიანად შესძახა პავლემ. ქორის კლანჭებივით მოკრუნჩხული თითები ეთერის სახეს მიუახლოვა, რომ მისი ხორცი ნაკუწ-ნაკუწად ექცია, მაგრამ უცბად თავი შეიკავა და ძლივს ალმოხდა: — წადი, დამეკარგე! გადი აქედან! შენ ხომ ჩვენი მტერი გირჩევნია ყველაფერს! შენ ხომ... წადი, გამშორდი!

აქვითინებული ეთერი თავის საწოლ ოთახში გავიდა. გაშლილ საწოლზე პირქვე დაეცა. ბალიშს ცრემლის ღვარით ასველებდა...

მოქანცული, ბრაზისაგან თავბრუდახვეული, გაწითლებული პავლე გაშეშებული იდგა ოთახში. ბოლოს სავარძელზე მძიმედ დაეშვა და თავი დახარა.

დიდხანს ფიქრობდა. ვერ ისვენებდა. მძიმედ კვნესოდა. მაგრამ თითქოს რაღაც ახალი აზრი დაებადაო, ისევ წამოდგა. დამძიმებული, ნელი ნაბიჯით ეთერის ოთახისაკენ წავიდა. კარი შეაღო.

— მაშ, კარგი, შვილო, — სრულის დამშვიდებით, თითქოს დიდი თანაგრძნობით მიმართა შვილს და ლოგინზე ჩამოჯდა. — ახლა გეყოფა, ნუ სტირი. ხომ არ გაიძულებ? თუ უმისობას ვერ გაუძლებ, ვერ აიტან, მაშინ გირჩევ, ჩემი ოსტატობა შენც შეითვისო და გაიმარჯვებ... ნუ გეშინია, ან ჩვენი გახდება, ანდა მათიც ალარ იქნება. გამიგონე, შვილო, მე ცუდს არ გირჩევ.

— ეგ როგორ მამა? შენ მიშველი, შენ?!

მამას მოეხვია. მთელი სახე მაგრა დაუკოცნა და ცხარე ცრემლით დაუსველა.

— კი, შვილო. გამიგონე. ახლა დაწყნარდი. დაწექი, ჰო... დაიხურე საბანი. მაშ ასე, შვილო..

ადგა. ჩაახველა და გავიდა.

ეთერს სიხარული აღარ ასვენებდა. მისი ფართოდ გახელილი თვალები ღია ფანჯარიდან დიდხანს გასცქეროდნენ მთვარით განათებულ ფრქვნარს, ქვემოთ დაშვებულ სოფელს, და გული უტოკავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

მეორე დღეს დილით სოლომონი ეზოდან გავიდა, თემშარის ნაპირას გამართულ ღართან მთქნარებით მივიდა, ანკარა წყლით პირი დაიბანა და იქვე ჩამოჯდა.

ციოდა. რაღაც ჯანსაღი ნაკადი შეჰქონდა ცივ წყალს მოხუცის ძარღვებში. თითქოს მოხუცის მდორე, შავ სისხლს აახლებსო ეს ცივი წყალი.

— კი, გადავწყვიტე: შევდივარ კოლექტივში. კი, უკვე შევდივარ, — უეცრად სოლომონის უკან ჩაილაპარაკა ვილაცამ.

სოლომონმა სახე მიიბრუნა. თვალი შეავლო შუახნის, გაბურძგვნილ ესტატე გურამაძეს, რომლის ამღვრეული თვალები განვლილი ღამის უძილობას ადასტურებდნენ.

„ვინ შეეკითხა, რომ მიპასუხებს", — გაიფიქრა სოლომონმა და გაიღიმა.

ესტატე მიუახლოვდა ღარს, უნაგირივით გამოთლილ ქვაზე ჩამოჯდა, დაწყებული ამბავი განაგრძო:

— ერთი ღამე არაფერია, საკითხი კი გამოვარკვიე.

— შედიხარ?

— შევდივარ! — გადაწყვეტით მიუგო ესტატემ. — დავგლახდი კაცი. რა დიდი ფილოსოფია სჭირდებოდა აბა ამ საქმეს? გამოყეყეჩებული გიყურებდი შორიდან. გაბრუებულ თავში ოფოფი ფრინავდა.

— ჰო, ყოჩაღ, ესტატე! თუ ეგ მართალია, მეც მოგილოცავ.

— მივიხედ-მოვიხედე და შემეშინდა. ასე მეგონა, ყველანი ჩამომშორდნენ. რიყეზე მარტო დამტოვეს და უწყლოდ ვილრჩები. რაც სოფლად სიხარულია, სულ თქვენ წაიღეთ. მე კი დავმჯდარვარ მარტო მთაში უგზოდ დაკარგული ძაღლივით და ვერაფერს ვხედავ. გუშინ კოლექტივის ბიჭებმა მინდვრები გასწმინდეს. ხალამოზე ცეცხლი დაანთეს და სიმღერა დააგუგუნეს. მეორე ჯგუფმა საქონელი დააბინავა, და იქაც სიმღერა. მესამე ჯგუფმა შეშა მოზიდა, იქიდანაც სიმღერა მოისმა... ვიგრძენ: გული გაიყო, ფიქრები გამიწყდა. ვიჯექი მარტო და მიწას დავყურებდი. სოლომონ! ჩემი მეგობარი და ძმა ხარ შენ, ამიერიდან აღარ მოგეშვები...

სოლომონი სიამოვნებით უსმენდა მეზობელს. გრძნობდა, რომ ესტატე მართალს ამბობდა. სწორედ იმაზე ლაპარაკობდა, რაც იგრძნო და განიცადა. ხედავ რომ ახლა მის პირდაპირ ქვაზე ჩამომჯდარი ესტატე ის აღარ არის, რაც იყო გუშინ, რომ დღეს სხვანაირ ესტატეს შეხვდა.

გამოიცვალა. ერთმა ღამემ შეაბრუნა ადამიანი...

— ვინ იცოდა, თუ ასეთი ყოჩაღი იქნებოდა ჩვენი გიორგი, — ბინა-ურძო ესტატემ. — გაძვალტყავებულმა კაცმა თითქოს ხორცი შეისხა. კი, კარგათ მიდის თქვენი საქმეები. კოლექტივმა დაამარცხა ჩვენი მტერი. კი, მე თანახმა ვარ...

ესტატემ ამბავი მოათავა და ჩამქრალი ჩიბუხი ხელის გულზე დაიბერტყა.

სოლომონმა ისევ ესტატეს ფერმკრთალ სახეს შეხედა და თვალწინ წამოუდგა მთელი წარსული, რომლის სუსხსაც ესტატე გადურჩა, თუმცა იმავე წარსულისაგან ძლივს ახერხებდა იგი გაქცევას. თითქოს ეს, სიღრმეში ჩაცვივნული თვალები ახლაც კი ამჟღავნებდნენ იმ ძველ სიმძიმეს, თითქოს მის მიმხმარ შუბლიდან იმ ძველმა ტკივილებმა ოფლად გამოჟონა.

„ჩემო ესტატე! რათ გინდა ის, რა მოგიტანა დაბეჩავებისა და დარბევის მეტი!" — გაიფიქრა სოლომონმა და თვალი ისევ ესტატეს გაუსწორა.

— ჰო, ახლა ხომ ჩვენი ხარ! — მიმართა ესტატეს, — ასე სჯობია ახლა მე გეტყვი: უკან რომ მიიხედო, ზიზღით მიაფურთხე. ყველაფერი წინ არის, წინ. წარსულის ჩხავილს ყურს ნუ ათხოვებ.

უკვე იღვიძებდა სოფელი:

საქონლის ბღავილი, ძაღლების მოხშირებული ღრენა და ყეფა. ადამიანთა ჩოჩქოლის ხმები.

ზარი დარეკეს.

სოლომონი სწრაფად წამოდგა, სახლისაკენ აჩქარებით წავიდა. და ესტატეს გასაგონად წარმოსთქვა:

— კარგა დრო გასულა. უკვე გვეძახიან.

— კი, კი, მოვალ, ჩქარა მოვალ! — თავის მხრივ მიაძახა ესტატემ, ისიც წამოდგა და სახლისაკენ გასწია.

რამდენიმე კაცმა და ქალმა აჩქარებულის ნაბიჯით ჩაიარა გზაზე.

ნოდარიც გარეთ გამოვიდა და ისიც უკან მიუხედავად დაედევნა წინ წასულ ხალხს. მის ერთნაირ, მექანიკურად გადადგმულ ნაბიჯებიდანაც კარგად შეჩანდა, რომ მისი ფიქრი ახლა სხვა არის, რომ ეს ფიქრები ერთ წერტილს უმიზნებენ და იქვე წყდებიან. ნაბიჯებს მაინც მიჰყავდა იგი, მაგამ მას ჭკუა არ ახლდა, აზრი არ ახლდა.

აი, მივიდნენ კიდეც. შეგროვდნენ. ისმის ჩოჩქოლი. ჯგუფებად დაიყვნენ და უკვე წავიდნენ.

კოლექტივის თავმჯდომარე გიორგიც აქვეა და თავის გრძელ ხელებს ატრიალებს ჰაერში.

იგი ჯავრობდა, ხმამაღლა საყვედურს აცხადებდა იმათ მისამართით, ვინც ყვინთვით მოვიდა და ფეხს ძლივს ადგამდა.

— მე ვამბობ, შე ოჯახქორო, ალარ გაიღვიძებ?—მიმართა გიორგიმ დაბალ, სქელ ახალგაზრდას, რომელსაც თვალები ეხუჭებოდა და დაღებულ პირიდან ლორწო სდიოდა.

— მეე? — თითქო ახლა გაიღვიძაო, გაკვირვებით [illegible] და თვალი გაახილა.

— წამოდი, გენო! — ჩასძახა ამხანაგმა და წინ გაუშვა.

ამ სამარცხვინო სურათის დანახვაზე ნოდარი დარწმუნდა, რომ თავმჯდომარის საყვედურს ვერც ის აიცდენდა. მექანიკურად აუჩქარა ნაბიჯს და შეეცადა დასწეოდა თავის ბრიგადას. გიორგიმ გვიან შენიშნა ის და ჩამორჩენილ ნოდარს თვალებით უსაყვედურა.

ნოდარი უკვე დაეწია თავის ბრიგადას, რომელსაც სოლომონი მიუძღოდა. სოლომონი მძიმე ნაბიჯებს რწმენით მიადგამდა და მთელის მკერდით თავისუფლად სუნთქავდა. მან უკან მიიხედა. სახე შეეღრუბლა. თავის დიდრონი თვალებით მანაც საყვედური აუწყა შვილს.

ნოდარი თითქოს შეაკრთო ამ შემოხედვამ. გუშინდელი იქვები კვლავ გაუცოცხლდა სირცხვილი იგრძნო.

რატომ უნდა მომხდარიყო ასეთი რამ? რა აკლია ნოდარს? რით არის იგი სხვაზე უარესი, რომ ასე ულირსად იგრძნოს თავი, რომ მამის შემოხედვაც კი აშინებდეს და გულში ჩხვლეტას აგრძნობინებდეს? აი, ეს ქვეყანა: ნისლის თმით შემოსილი მთები და ხეობები. ცივი, ანკარა მდინარეები. სულში ჩასული, რაღაც შინაგანი გრძნობით გამტკბარი ჩანჩქერის ხმები. რა არის კიდევ, რა უნდა იყოს კიდევ საჭირო ამაზე დიდი! ამხანაგები, სიცოცხლითა და სიხარულით აღსავსე მათი სახეები, მხიარული ყიჟინა, სიმღერა, მოსწრებული სიტყვები. ყველაფერი აქ არის, აქ! მათი ცხოვრება ისეა სრული, როგორც ის ბუნება, რომლის წიაღშიც ისინი იშვნენ და ცას შეხედეს. მათი ცხოვრების გზებიც ისეა შეფრქვეული დიდი სიხარულით, როგორც მათ გარშემო მდებარე მთები ნისლის ფერფლით!

და აქ კაცმა ვერ იგრძნოს შვება? რა არის იგი, რომელიც შინაგანი გუგუნით გულის ყოველ ძარღვს თავისკენ ეზიდება და ყოველივეს განადგურებით რომ ემუქრება?

დასძლევს თუ არა ამას ნოდარი? გაიმარჯვებს თუ არა საშინელ ძალაზე, რომლის ხმა, რომლის მუსიკა სულ სხვა ქვეყნიურ ჰანგებს აყღერებს?

მდინარეები.

თითქოს ნოდარის ძარღვებში გარბოდნენ ეს პატარა მდინარეები.

ჩამორჩენილი ნოდარი უკანასკნელი შეუერთდა გზაზე ვეება ბუმბულივით აგორებულ ნისლს. ადამიანები შიგ ჩაიკარგნენ და ხანგამოშვე-

ბით მათი თავები ზღვაში ტალღებგადასული კუნძულებივით ამოიწვდნენ.

კიდევ კარგა ხანს ვიდოდნენ ასე. უეცრად შეჩერდნენ, [illegible] ღი მხრებიდან ჩამოიღეს და ნათხარ არხთან დაირაზმნენ.

ნისლი გაიფანტა.

დილის მზემ სხივები შეაპკურა მათ სახეებს.

ისევ ციოდა.

სოლომონმა დაჰყო სამუშაო. ყოველ ჯგუფს თავისი საქმე მიუჩინა. საერთო ძალით ეკვეთნენ მიწას. მიწას შეებრძოლა თვით სოლომონიც, რომლის მშვიდი და ფართე სახე ამხანაგების გულს იმედით ავსებდა.

ხანი გავიდა. დაუდეგარმა ახალგაზრდობამ დამძიმებული შრომის საპასუხოდ სიმღერა დააგუგუნა, და რაც უფრო მძიმდებოდა მათი შრომა, მით უფრო მაღლდებოდა მათი სიმღერა.

მხოლოდ ნოდარი განირჩეოდა ამხანაგებისაგან: ხმას არ იღებდა, ჩაფიქრებული ნათხარ მიწას ღრმად ჩასცქეროდა და გააფთრებით ურტყამდა ბარს ქვიან ნიადაგს.

კარგია, მიწას რომ ენა არა აქვს: პასუხს ვერ გაგცემს. რამდენიც გნებავს ჩააფრქვიე მიწაში ფიქრი, სურვილი, მისწრაფება. სულ ერთია პასუხს ვერ მიიღებ. იგი ცივია ყველაფერს აიტანს.

რამდენი საუკუნე ებრძოდა. რას არ ჩასძახოდა ადამიანი ამ მიწას, რომ მისი პასუხი ერთხელ მაინც მიეღო, მაგრამ ამაოდ!

ბოლოს კი ისევ უხმოდ, ისევ უსიტყვოდ თვით შეგიერთებს, და ამას ჰქვია მიწის პასუხი.

ნოდარს ეგონა, რომ ოდნავ მსგავსება მაინც კი არის რამდენად ღრმა და უძიროა მიწა, იმდენად ღრმა და უსაზღვროა მისი ფიქრები.

მეგობრის ხმამ შეაკრთო ნოდარი. გამოერკვა. რა უნდათ მისგან, რატომ არ ეშვებიან ამხანაგები? მუშაობს. გააფთრებით, თავდავიწყებით და სხვა კიდევ რა არის საჭირო? სიმღერა და სიცილ-თამაში ყველასათვის ხომ არ არის სავალდებულო.

მიწასთან შებრძოლების ხმაური უფრო მძაფრდებოდა და ვეება არხი შეუმჩნევლად მათ თვალწინ ხახას აღებდა.

აი, დაანარცხეს მიწას ცამდის აწვდილი, ვეება ფიჭვი, რომელიც არხის არეში მოხვდა. ცრემლნადენი ფესვები რამდენიმე ადგილას ბარით შეაცალეს და ბექობზე დაყარეს.

— ხომ ამოვაგდეთ კულაკის ფესვები! — იხუმრა ერთმა, ხოლო სხვებმა სიცილით გასცეს პასუხი.

უკვე სადილობის დრო მოახლოვდა. მთის მწვერვალიდან ფიჭვნარის რაყაში გაცრილი სხივები ესხმოდნენ მიწაზე დახრილ კოლმეურნეებს, რომლებიც ისე გულმოდგინედ, თავგამეტებით არღვევდნენ რიყეს, თითქოს დედამიწა უნდა გახვრიტონო.

მუშაობა შეჩერდა.

გახურებულ სხეულებს ხარბად ასდიოდა ორთქლის ბოლი.

სოლომონმა ჩოხის კალთით შეიშრო სახე და სამუშაოს მიმორეგებას შეუდგა. შემოწმება თავიდან დაიწყო და ბოლომდე დაჰყვა. გამოიკვლა, რომ უმრავლესობამ სადილობამდე ერთი დღის ნორმას გადააჭარბა. იყვნენ ჩამორჩენილებიც, რომელთა მცირე ჯგუფს გენოც ეკუთნოდა. იგი თითქოს ძალიან ცდილობდა, ხელსა და მთელ ტანს შეუსვენრად ამოძრავებდა, მაგრამ საქმე მეტად ცოტა გამოსდიოდა.

ნოდარის მუშაობამ განსაკუთრებით სოლომონი გააოცა. მას თითქმის ყველაზე მეტი ძალა დაეხარჯა, ყველაზე მეტი გაეთხარა მიწის წიაღი, მაგრამ ალაგალაგ არხის კედლები უადგილოდ იყო შეჭრილი.

არასოდეს ასეთი რამ არ მოსვლია ნოდარის. იგი ყოველთვის ახერხებდა მოწინავეთა რიგებში დგომას და პირველობას.

რა დაემართა?

სოლომონს გული უკვდებოდა, ვერ ინელებდა, როდესაც უცქეროდა თავის ერთად-ერთი შვილის ნოდარის „წახდენას" (ასე იტყოდა ხოლმე სოლომონი მსგავს შემთხვევაში). ის კიდევ დიდხანს დაჰყურებდა უხმოდ არხს, ლითქოს ახლადგათხრილ საფლავთან დგასო.

მამის გაოცების მიზეზი თითქოს ნოდარმაც გაიგო და მაღალი ჭაბუკი ისე მოიკუნტა, თითქოს ბურთად გადაიქცაო.

მამა უხმოდ გაშორდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ზევით ცას შეხედა. ღრმა ამოსუნთქვით ოფლიან შუბლზე ხელი გადაისვა.

გაშეშებულ ნოდარს თმახუჭუჭა ჭაბუკი მიუახლოვდა, ახედ-დახედა, გაიღიმა და ხმადაბლა სთქვა:

— სიყვარულმა იელვა, ყმაწვილო?

— რაო?! — თითქმის დაუყვირა ნოდარმა, თვალები აენთო.

— ეთერი, ეთერი! — უფრო ხმამაღლა, თან ბრაზით მიაძახა ჭაბუკმა და აღშფოთებულ ნოდარს თვალი გაუსწორა.

ნოდარს თითქოს თავში ჩაქუჩი დაჰკრესო — თვალებზე ბნელი გადაეფარა, ტანი აუთრთოლდა და თავის ძველ მეგობარს კოტე მშვიდობაძეს უეცრად ცოფიანივით ეცა. კოტე გაუძალიანდა, თვითონაც ხელი მაგრა ჩასჭიდა, მაგრამ ნოდარი ისე გააფთრებული უჭერდა ყელში, რომ ძველი მეგობარი კინაღამ წააღრჩო.

ატყდა ხმაური, აურზაური. მოჩხუბარნი გააშველეს. ნოდარი ჯერ კიდევ გონს არ მოსულიყო, როდესაც მამის მრისხანე თვალებს შეხედა.

— გაგიჟდა თუ?! — კარგა ხნის შემდეგ საყვედურით მიმართა შვილს. რამდენიმე ნაბიჯით გაშორდა, ისევ მობრუნდა და იმავე ადგილას გაშეშებულ, თავდახრილ შვილს მიუახლოვდა: — ამ გზით დაიღუპები, დაიღუპები! — დაუმატა სოლომონმა რაღაც, ჯერ კიდევ დაფარული გულის ტკივილით და გაეცალა.

მამისა და შვილის ამ შეხვედრას ყველანი მუნჯად, უმოძრაოდ შეხედროდნენ, თუმცა ამ სიმუნჯესა და უმოძრაობაშიც ბევრის დანახვა შეიძლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა თითქოს მთელი ეს კოლექტივი ერთხმად ამბობდა: „უნდა დავაცალოთ, შვილია. პირველი სიტყვა მამას ეკუთვნის. შემდეგ კი ვნახოთ“.

ყველანი ვეებერთელა ნიგვზის ხის ქვეშ დასხდნენ და ქალების თუ ბავშვების მიერ მოტანილ სადილს შეექცნენ.

თითქმის მთელი სადილის განმავლობაში ხმამაღალი სიტყვა არავის უთქვამს. იგრძნობოდა, რომ რაღაც უსიამოვნო ამბების ჩრდილმა გაიარა იმათ წინაშე.

დიდი სიჩუმე სადილის შემდეგ ისევ ახალგაზრდებმა დაარღვიეს და სიმღერა ააგუგუნეს. სიმღერას მოჰყვა ცხარე ტაში და სიცილ-თამაში, რომლის ხმაურმა მოხუცებიც კი ფეხზე ააყენა.

თითქოს ეს აუცილებელი პირობა იყოს, თითქოს სხვანაირად არ იყოს შესაძლებელი თუ ახალგაზრდობის გულში დაგროვილ სიხარულს გასარბენი გზა არ მიეცა, რომ ისევ აგორდეს ახალი ტალღა, ისევ ამაღლდეს სიხარულის ახალი ძალა, კვლავ დაიცალოს — და ასე მუდამ. სიხარული ტკივილად შეიძლება გადაიქცეს, თუ მისი „ხარჯვა“ კაცმა ვერ შესძლო, და ეს ფრთაშესხმული ახალგაზრდობა ხელგაშლილად „ხარჯავდა“ სიცოცხლის ამ ძვირფას მარგალიტებს. მისი არსებობა, მისი სიცოცხლე ჰგავდა მდინარეს, ანკარა მდინარეს, რომლის ხმაურიც ახლა მის სმენას სწვდებოდა.

კვლავინდებურად გაჩაღდა შრომა.

ისევ განახლდა ბარისა და წერაქვების ქნევა. ისევ მოგორდა შრომის ძვირფასი წყურვილი — იმავე გატაცებით და სიხარულით, როგორც ცეკვა-თამაში და სიმღერა.

თავი მესამე

მზე დასავლეთით წვებოდა, ფიქვნარის წვეროებზე.

ადამიანები ოფლად იღვრებოდნენ. ხმას არ იღებდნენ. ისმოდა მხოლოდ მიწასთან შებრძოლების ხმაური. ქვებზე დახლილ რკინებისაგან გაჩენილი ცეცხლის ზოლი საზღვრავდა მათი შეჯახების ფრონტს და ძლევის საკითხიც იქვე სწყდებოდა.

მდინარის მხრიდან ხმაური მოისმა. უცბად შეჩერდნენ. არ ჩანდა გენო. ორიოდე ახალგაზრდა მდინარისკენ გაიქცა. კოტემ შენიშნა ქვემოთ, მდინარეში ჩამდგარი გენო განიერ ტუჩებს კიდევ უფრო აფართოებდა მესერივით დასობილ კბილებს აჩენდა და არაბუნებრივი ხმით ხარხარებდა. მის ქვემოთ კი გულალმა ეგდო ფესვებ-დაჭრილი ვეება კუნძი, რომელსაც გენო მისჩერებოდა. აშკარად ჩანდა, რომ ეს კუნძი გენოს მტერია.

შარვალშემოხეული გენო, ტიტველ სხეულზე ხელებს რომ იფარებდა, ზევით ამოიყვანეს. ბოლოს გამოირკვა: ნაყარ მიწაში ჩაფლეული, ... გორდა მაშინ, როცა მასზე გადამჯდარი გენო მზის ჩასვლას ... ლებდა. იგი შემთხვევამ გადაარჩინა, როცა ქვემოთკენ დაგორებულს უკანიდან კუნძი მისდევდა.

ატყდა თავშეუკავებელი, საერთო ხარხარი.

გენოც კი იცინოდა. თავის „საგმირო" საქმეებზე ყველას უამბობდა.

მეტი რა გზა იყო: გენო თითონაც გრძნობდა, რომ ეს საერთო სიცილი კუნძს არ ეხებოდა, რომ მასში რაღაც უარესი და გენოსათვის უფრო სავალალო მოისმოდა. მაშ როგორ მოიქცეს? სხვებს თუ ჩამორჩა და არ იცინა, უფრო ცუდია — სულ არ ივარგებს.

რაღა გზა იყო, იცინოდა ზარმაცი გენო საკუთარ თავზე, ხარხარებდა და ორივე ხელს მუხლებზე იცემდა. არავინ იცოდა, რამდენს ხანს იჯდა ფესვდაჭრილ კუნძზე. არავის ახსოვდა, როდის წავიდა ამ „საჰაერო" ადგილას. მაგრამ მის მიერ მიგდებული ბარიც კი ამჟღავნებდა, თუ რა დიდი დრო იყო გასული, რაც ის გენომ მარტო დასტოვა.

არა უშავს რა. ის მაინც ჩვეულია ასეთ დაცინვას, ასეთ დამცირებას — შუბლზე ტყავი არ გაუცვდება. მაგრამ სანამდე, სანამდე უნდა გაგრძელდეს ეს? ნუ თუ ეს კანონია, გარდაუვალი, თვისებაა?

გენოს ეგონა, რომ ერთხელ დაკანონებული შეხედულება მასზე არ შეიცვლება. თუმცა ის ხშირად თვითონაც ბრაზობდა საკუთარ თავზე, რომ თავისი სიგლახე თითონვე კანონად გამოაცხადა. და მის გაუქმებას არ შეეცადა.

ზოგჯერ გადასწყვეტდა კიდევაც: რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გამომძვრალიყო დამცირების ქერქიდან, გამოეჩინა სხვა ქერქი, მაგრამ როცა თავის სიზარმაცეს და მოვალეობის „სიმძიმეს" ერთად მოათავსებდა, ყოველთვის „ბედის" სასწორი სიზარმაცისაკენ გადიხრებოდა და გენოს სხეულს დააწვებოდა.

ღღეს კი უფრო აშკარა, უფრო მწვავე ტკივილი აგრძნობინა სიზარმაცის სიმძიმემ, ვიდრე ოდესმე, და ეს ტკივილი უფრო „აცინებდა".

მხოლოდ ნოდარი არ იცინოდა. ის უფრო მეტის მწუხარებით უცქეროდა გენოს და არაფერს ამბობდა.

— კარგი, გეკოფა, ნულარ ხარხარებ! წადი, იმუშავე! — ბოლოს თანაგრძნობის კილოთი მიმართა გენოს და ბარი აიღო.

გენომ ხარხარი უცბად შეწყვიტა. ნოდარს უკმაყოფილო თვალით გადახედა და ბრაზით აენთო:

— შენც ხომ ჩემი ამხანაგი ხარ და ჩემსავით ერთგული? ჰი, ჰი! — და კვლავ გაიღრიჭა.

რა სთქვა ეს გენომ? ნუ თუ ასე მალე გახდა ნოდარი გენოს ამხანაგი, მასავით „ერთგული"?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენსავით „ერთგული“? — იკითხა ნოდარმა, მაგრამ პასუხს აღარ დაუცადა, მუშაობა განაგრძო.

მთისკენ მიმავალმა ნისლების გუნდა ჩამავალი მზის დანთილ სხივებში გაიარა. ფერები აენთო და ისევ ჩაჰქრა. მოქანცული სოლომონი წელში გაიმართა, არხში ჩაჭედილ ადამიანებს ზევიდან დააცქერდა, სული მოიბრუნა, განკარგულება გასცა, და მიწის კვნესა უცბად შეაჩერეს.

ნოდარმა ყველაზე გვიან გაიგო მამის ბრძანება. ის მძიმედ ამოვიდა არხიდან. დარცხვენილი კენტად შეჩერდა, თითქოს გარშემო არავინ ყოფილიყოს და მარტო დარჩა მოსულ ღამესთან.

აი, მოვიდა გიორგიც: თავწვრილა, მაღალი, ჩამომხმარი ტანით და სახით. ის თავის გრძელი, დაკოჟრილი ჯოხით ძლივს ამოვიდა მაღლა. მის უფერულ, დანაოჭებულ სახეს კიდევ უფრო აჩრდილებდა ღამის სიახლოე. ეს სამოც წელს გადასული, სახე ჩამომჭკნარი ადამიანი თითქოს არ გრძნობდა, რომ მისი აყვავების ძვირფასმა წლებმა უკვე გაიარა, რომ მისი სიცოცხლის შემჭკნარი ფოთლები უკანასკნელად კანკალებდნენ მოახლოებულ ზამთრის წინაშე. მაგრამ არა! მისი, სიღრმეში ჩამძვრალი, მოციმციმე წვრილი თვალები თითქოს ახლად ელოდნენ აყვავებას. ის სულსხვა ციმციმი იყო, სულ სხვა განათება, რომელიც მოდიოდა ამ ადამიანის შინაგან, რაღაც უჩვეულო მასალით გამკვრივებულ ბუნების წიაღიდან. მაშ ნულარ უცქერით, ყურადღებას ნულარ მიაქცევთ მის გარეგნობას: მისი სიდიდე, მისი რაობა მთლიანად მოქცეულია მისივე ბუნების და სულის არეში. საჭიროა აქედან ვხედავდეთ, მხოლოდ აქედან ვაფასებდეთ მას, რადგან თვით გიორგიც კი ვეღარ ამჩნევდა თავის გარეგნობას და საკუთარ თავს საკუთარი სულის მისწრაფების აზრში პოულობდა.

ბრიგადის წევრები უკვე მიდიოდნენ თავიანთ სახლებში.

გიორგი და სოლომონ ჯერ კიდევ ახლადგათხრილ არხთან იდგნენ, და ეს ორი ადამიანი თითქოს იმ ნისლებს, მთებსა და ფიჭვნარის ტყეს საქვეყნო ამბებს მოუთხრობსო — დინჯად არკვევდა, თუ როგორ გააკეთა სოლომონის ბრიგადამ ორი დღის საქმე, თუ როგორ უნდა ემუშავნათ სხვებსაც მომავალში და რა უნდა აკეთონ მეორე დღეს.

ნოდარი მარტო მიდიოდა შინისაკენ და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ რა უნდა ეთქვა, როგორ უნდა დაეღწია თავი კომკავშირის უჯრედში უეშველ საყვედურისაგან.

ერთხელ მან უჯრედის შენიშვნა მიიღო იმავე ქალთან „თბილი“ შეხვედრის გახშირებისათვის. მას შემდეგ მხოლოდ ერთი თვე იყო გასული. ამ დღიდან ნოდარი ძალიან ცდილობდა თავის დაჭერას, მაგრამ კიდევ უფრო შორს მიდიოდა იმავე გზაზე, რაც მისი მეგობრებისათვის უფრო აშკარა ამბავი გახდა. ახლა კიდევ უფრო გარკვევით მოჩანდა ძაფები, რომლებიც კომკავშირელ ნოდარს იმ ქალთან აკავშირებდა.

ამას კარგად გრძნობდა თვითონ ნოდარი, ხშირად ფიქრობდა ამის შესახებ, მაგრამ მაინც მოქმედებდა საკუთარი აზრის წინააღმდეგ, ერთხელ მტკიცედ მიღებული გადაწყვეტილების, თავისივ [illegible] ამცემული სიტყვის წინააღმდეგ.

დღეს კი იჩხუბა, ამხანაგი გალახა და მით თავისი მდგომარეობა უფრო გაამწვავა.

უწინ ის ხშირად საღამოხანს სახლიდან მარტო გამოდიოდა, ზემოთ, სოფლის პატარა სახალხო სახლთან თავის ტოლმეგობართ შორის დროს ატარებდა. მაგრამ ბოლო დროს გარეულ გასული გზა-ჯვარედინზე შეჩერდებოდა, დარეტიანებული ნაბიჯებს აურევდა, შემდეგ თავის პირველ გადაწყვეტილებას ზურგს შეაქცევდა და სირბილით გასწევდა წინ, სულ სხვა მიმართულებით. სწორედ ამიტომ შეიპყრობდა ხოლმე უცნაური შიში, მალ-მალე უკან იხედებოდა და თავის ამ მეორე გადაწყვეტილების დასაფარავად მახლობელ ტყეში ამოჰყოფდა თავს: „აქ ხომ ვეღარ დამინახავენ, აქ ხომ შემიძლია ვაკეთო ის, რასაც მე არ უნდა ვაკეთებდე". და თითქოს კმაყოფილი ასეთი წინააღმდეგობით, ახერხებდა ეთერთან შეხვედრას და ტკბილი წუთების გატარებას მასთან.

რამდენჯერ შეუვერცხლავს მთვარეს მათი თმა, რამდენი ვარსკვლავი ანთებულა იმათ თვალებში.

ახლა კი პასუხი უნდა აგოს ნოდარმა ამ ტკბილად გატარებული წუთებისათვის და იმ მწარე შედეგებისათვის, რაც ამ ტკბილმა წუთებმა მას მოუტანა. ხომ არ იქნებოდა ეს, ამ სიხარულის უჯრედის სიხარულთან შეერთება რომ მომხდარიყო?

ვინ იცის, ეგებ ეს შესაძლო ყოფილიყო, ეს უფრო დიდ სიხარულად და ბედნიერებად გადაქცეულიყო, რომ ეთერიც ყოფილიყო იმ ოჯახიდან, საიდანაც რევოლუციის გამარჯვება მოვიდა, რომ ამ ქალს რევოლუციის სიტყვა გაეგო.

ვინ იცის, რამდენი ეთერზე უკეთესი არსებობს ამ ქვეყანაზე, თუნდაც იმ სოფელში, სადაც ნოდარს ადვილად შეეძლო აღმოეჩინა სხვა, კიდევ უფრო მშვენიერი „ეთერი". მაგრამ უბედურებაც იმაში იყო, რომ იგი მაინც სხვა იქნებოდა და არა ის, რომელშიაც ნოდარმა დიდი ხანია, თავისდა სავალალოდ გული მოათავსა, რომ ის სუნთქავდა ამ ქალის მკერდიდან ამოსული ჰაერით.

რამდენჯერ სცადა ნოდარმა უკან დაებრუნებია ის, რაც ასე ხელგაშლილად სხვას ჩაბარა. მაგრამ ეს განზრახვა უფრო მეტად ამწვავებდა მდგომარეობას: ასეთი აზრი ეთერის მიმართ იწვევდა ახალ, სასტიკ შეჯახებას, ხოლო ამ შეჯახების შედეგად ის კიდევ უფრო შორს შედიოდა იმ თვალუწვდენელ ზღვაში, საიდაც უკან დასახევი გზა არ ეჩანდა.

ნოდარი ზოგჯერ მკერდზე მიიდებდა მთრთოლვარე ხელს, რომ გულის პასუხი აქედან მიეღო, მაგრამ მცირეოდენი დუმილის შემდეგ თავს

ასე ეტყოდა: „გული არ არის, იგი მან მომტაცა და როგორ შემიძლია სხვაგან წავიღო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს საკუთარ ფიქრებს მისდევსო, გზას განაგრძობდა. მან სოფელში მოხვდა რაღაც მსუბუქი, სწრაფად მიიხედა და შენიშნა პატარა 14 წლის პიონერი, თემური, რომელმაც კენჭი ესროლა ნოდარს, რომ მისი ფიქრები დაეფრთხო.

ნოდარს ძლიერ უყვარდა თემური. ის ხომ ის თემური იყო, რომლის დაბადება გუშინდელ დღესავით ახსოვდა ნოდარს.

თემური სულ ნოდართან იყო. რამდენჯერ წაუტეხია თავისი ხელერი პური დედმამით დაობლებული ბავშვისათვის, რამდენი ცრემლი დაუნახავს ბავშვის თვალებზე. პიონერადაც მან შეიყვანა და სხვებთან ერთად ისიც აღზარდა. ახლა ის უკვე თავს ობლად აღარ გრძნობდა. პირიქით, ახლა სხვისი ობლების აღზრდაზე ფიქრობდა თემური, მათზე ზრუნავდა და ბევრი მათგანი პიონერთა წრეში შეჰყავდა.

ნოდარი უაზროდ უცქეროდა თემურს. ძლივს გაიღიმა.

— თემურ, სად იყავ, ძმაო?

— იასონთან.

— კარგი, ძამიკო! — მოკლედ მოუჭრა ნოდარმა, მისკენ წამოსულ თემურს აღარ დაუცადა და გზა განაგრძო.

თემური ძლიერ გააკვირვა თავისი, უფროს ძმად მიჩნეული ნოდარის საქციელმა. ჩაფიქრებული ცოტა შეჩერდა, ვერაფერს მიხვდა და სახლისაკენ უხმოდ წავიდა.

სიბნელე უფრო იპყრობდა სოფელს, ტყესა და ხევებს ეფინებოდა. მაგრამ ხალხს თითქოს არ სურდა სოფელზე დაშვებული სიბნელე მის გულშიაც შეპარულიყო და ნაირ-ნაირი სიმღერით, ყიჟინით, ხმა აწეული მსჯელობით იგერიებდა ღამესთან მოსულ მოწყენილობას.

გიორგი და სოლომონ ნელის ნაბიჯით უახლოვდებოდნენ კოლმეურნეთა შესაკრებ პუნქტს, როდესაც შენიშნეს ესტატე გურამაძე, რომელიც ოდნავ წელში წახრილი და ღრმად ჩაფიქრებული მისჩერებოდა თავის საყვარელ და ერთგულ ხარებს.

— ესტატე? — გაკვირვებით შეეკითხა გიორგი, — აქ ვინ დაგაყენა?

— მე თვით დავდექი, გიორგი, — მოკლედ, მაგრამ ყრუდ მიუგო მან.

— მე ვამბობ, რომ...

— ხარები მოვიყვანე! — უფრო ხმამაღლა გააწყვეტია ესტატემ და წელში გასწორდა.

— მერე, შე კაცო, ამ უკუნ ღამეში? — ჩაერია სოლომონი — ახლა ეს ხარები ღამის დარაჯებად ხომ არ გვჭირდება?

— დილით ვერ მოვახერხე, დილით... — და ესტატე შეჩერდა, აღარ განაგრძო იმ არასასიამოვნო ისტორიის მოთხრობა, რამაც აგრე მცირე მანძილი (თავის სახლიდან შესაკრებ პუნქტამდე) ასე გაუგრძელა.

გიორგიმ ყველაფერი გაიგო. პირველად მან სიცილი დაიწყო, მაგრამ ჩქარა თავი შეიკავა, რომ ეს სიცილი მათთან გულწრფელად ემოსილ მშრომელისადმი დაცინვად არ ქცეულიყო. ესტატეს [illegible] და მეგობრულად ხელი ჩამოართვა.

— მე ვამბობ, რომ მოგილოცავ, ჩემო ესტატე, ამ გამარჯვებას! ჩვენთან ოჯახში ჩვენი ძმა იქნები. მაგრამ ახლა ხომ ღამეა? გარეკე ისევ ხარები სახლში, შენც დაიძინე და ხარებიც მოასვენე. დილით კი...

ესტატეს პასუხი აღარ გაუცია. ეს ხომ მოულოდნელი ამბავი იყო. ნუ თუ კიდევ ანდობენ ხარებს? ბევრი აღარ უყოყმანია, თავის ჭრელ ხარებს შოლტი შემოჰკრა და სიხარულით გზას გაუყენა.

მას უწინ ერთხელაც ვერ წარმოედგინა, თუ ასეთი რამ მოხდებოდა, თუ მისი საყვარელი ხარები ოდესმე კიდევ ნახავდნენ ბოსელს, საიდანაც ისინი დღეს გამოვიდნენ. ახლა კი... და ასე მალე?

„ტყუილია, ტყუილი, ვამბობ, ყველაფერი! — გადასწყვიტა ესტატემ. — პავლია შარაძემ თავი ვერ დამალა და მე მაქეზებდა, აფსუს ბიჭო!“ — გულგამაგრებით დაასკვნა და კინაღამ სიმღერა დაიწყო (თუმცა მას თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ უმღერია).

თითქოს ანთებულ ლამპას დაუწიესო, სოფლად მოხშირებული ხმები მინელდა.

სახალხო სახლში მაინც არ ცხრებოდა ერთი პატარა ფანჯარა, საიდანაც წამოსული შუქიც სოფლის შუა გულს ანათებდა.

*

* *

...იმავე საღამოს სულ სხვა გრძნობით შეხვდნენ ერთმანეთს ეთერი და ნოდარ. თითქოს ორივეში ერთნაირი ცვლილება ჩანდა. უფრო თავდაჭერით, თითქოს გულცივად, მივიდნენ ერთმანეთთან. მათ თვალებში ჩამდგარი სიცივე ერთმანეთს შეხვდა. არც ერთი მათგანი არ ელოდა ასეთ შეხვედრას. ისინი მხოლოდ საკუთარი ხასიათის ცვლილებათა მიზეზს ხედავდნენ და აოცებდათ ურთიერთის ეს გულგრილობა, რომელიც უფრო წინასწარი გადაწყვეტილებით იყო მიღებული.

ბოლოს თითქოს სიახლოვის სითბომ გაადნო ყინული, რომელიც თვალებით ერთმანეთთან ძლივს მიიტანეს. გაქრა სიცივე, დარჩა ისევ გრძნობათა ცეცხლი, და კიდევ მეტის თავდავიწყებით მოეხვივნენ ერთმანეთს, რაც მათ გულში უფრო ფარულად შემონახული წინააღმდეგობის ტკივილმა გამოიწვია.

— შენ ხომ ჩემი ხარ, ხომ ჩემი ხარ?! — იმეორებდა ეთერი გახურებული ტუჩებით, თან ცრემლი ღვარივით დასდიოდა და ვაჟის კისერზე მოხვეულ მკლავებს უფრო უჭერდა

— რატომ მეკითხები? — ჰკითხა ნოდარმა და თვალებში ჩახედა.

— ასე მგონია, ჩემი ხარ, მაგრამ... მეშინია მაინც არა ხარ, შენ ხომ..

— მაინც არა ვარ? — გაიკვირვა ნოდარმა. — მართალია, ცუდად დაიწყო, მაგრამ, ეთერ, ხომ კარგად იცი...

— ცუდად დაიწყო?! — დაიძახა ზარდაცემულმა ეთერმა, ცუდად მაგ. შორდა და სახე გაფითრებული იქვე გაშეშდა.

— მე ხომ სიმართლე მიყვარს, მხოლოდ სიმართლე, რასაც ვგრძნობ, ის უნდა გითხრა, გული გიჩვენო. მაგრამ გრძნობა ხომ იცი, შენც კარგად იცი...

ეთერი უფრო აენთო. ცრემლნარევ საყვედურებს დიდხანს აწვეთებდა ნოდარის მკერდზე და თითონ ნოდარიც ვერ ისვენებდა.

ისინი გვიან დაშორდნენ ერთმანეთს.

სახე შეცვლილი. სასტიკი თვალებით დაჰყურებდა ეთერი მიწას და ფრთხილ ნაბიჯებს, თითქოს საკუთარ ფიქრებს ადგამდა: „მან ხომ სთქვა: „რასაც ვგრძნობ, ის უნდა გითხრა, გული გიჩვენო". მე კი მოვალე ვარ, ამიერიდან რასაც ვგრძნობ, ის აღარ უთხრა, გულიც არ უჩვენო. მაშაც ხომ ამას მირჩევს. სხვანაირად რომ მოვიქცე ხომ დავიღუპე, გამექცევა, აღარ მომხედავს და მე უბედური მოვკვდები მაშინ. მართალია მამაჩემი. ეს ხომ ღალატია, მაგრამ ისე აღარ იქნება, დავიღუპები." ცრემლები ისევ მოერია და კვლავ გაიფიქრა: „სჯობს ყველაფერი აქ დავიტირო, რომ მასთან უფრო მტკიცე გამოვჩნდე".

სახლში შევიდა და როცა ლოგინზე პირაღმა გაწვა, მამაც გაჩნდა მის წინ.

— შენ მაინც სტირი. ჩემი დარიგება არ შეისმინე, — სთქვა პავლემ და იქვე ჩამოჯდა, — შენ ხომ თავი მაინც ვერ დაიჭირე, ცივად ვერ შეხვდი.

— მისი შეხვედრა უფრო ცივი იყო, მამაჩემო. თითქოს სასტიკიც, გული მომიკლა.

— ხომ გეუბნები: შენმა სიცივემ იმის სიცივეს უნდა აჯობოს, გადაეჭარბოს. სხვანაირად რა გამოვა?! გეუბნები, დაიღუპები,

— კი, მამა, კი, შენ მართალი ხარ. მიშველე მამა, გადამარჩინე! შენ ხომ ყველაფერი იცი, გადამარჩინე! — დაიძახა ეთერმა, ზეზე წამოვარდა, მამას მოეხვია და სახე, ხელები გრძნობით დაუკოცნა. — ის მგონი უკვე გამირბის, უკან იხევს და თითქოს მერყეობს. რაც შენ მითხარი, დავუფარე. მომავალშიაც არ ვეტყვი, მამა, მხოლოდ მიხსენი, გადამარჩინე!

— დაწყნარდი, შვილო, გამაგრდი. მე დამიჯერე, მეტი სიმტკიცე გამოიჩინე, ნუ გეშინია, ნუ გეშინია...

ძლივს დააწყნარა სასოწარკვეთილებამდე მისული შვილი და ოთახიდან ფრთხილად გავიდა.

როცა თავის ოთახში წამოწვა და ყალიონი გააბოლა, გაიფიქრა: „რა გაეწყობა შვილსაც ვატყუებ. სხვანაირად თავს ვერ დააღწევს. ყველაფერი

მოვიგონე, რომ იგი გადავარჩინო. ისე კი... იგი წყეული, სოლომონეს ნოდარი ყველაფერში მოწინავეა: მუშაობს მინდვრად. ასწავლის ლარიბებს, ხელმძღვანელობს პიონერებს, თამაშობს სცენაზე, [illegible] არის. ყველამ შეიყვარა და შვილიც ამან გადამირია. [illegible] ინც გამექცა. რამდენი ვარწმუნე და უჩიჩინე,—მაინც გამექცა... გარბიან, თითქოს უკანიდან მუგუზალი მისდევთო. მაგრამ ის გიგო უნდა ავამოქმედო. მთაში კოლექტივის საქონლის ჟლეტა ხომ შეითვისა, აქაც კიდევ რამეს ილონებს. თუ ვერ შევძელ, რომ დავარწმუნო ეთერი, თმებით დავიჭერ და იმ ლაწირაკთან აღარ გაუშვებ. ის ლაწირაკი მაშინ აღელდება, მოტყუებას ველარ აიტანს და გადაირევა. შემდეგ კი ამ საქმეში გიგოსაც გამოვიყენებ. როცა შესაფერი დრო დადგება... ასე აჯობებს. ხომ ცოცხალი ვარ და ვიმოქმედებ. აქედანაც რამე გამოვა... მე მათი სისხლი მწყურია... სხვა ამბავი კი თავისთავად გამოირკვევა. სიფხიზლე მჭირდება, მარცხიც შესაძლოა, მაგრამ ხელფეხს ხომ ვერ შევიკრამ, ასე სჯობია"...

*

* *

კიდევ გავიდა რამდენიმე დღე. ნოდარსა და ეთერს შორის გახშირდა შეჯახება, დაშორება და შერიგება. განსაკუთრებით ნოდარის ვულწრფელობა ვერ იტანდა ეთერის ტყუილს, რომელმაც უკვე გასტეხა სიტყვა და, წინააღმდეგ მათ შორის დადებულ პირობისა, დანიშნულ ადგილას აღარ მივიდა. მეორე დღეს კი, როცა იგი ნოდარს შემთხვევით შეხვდა, სიტყვის გატეხის მიზეზიც დაუმალა. შემთხვევით მოხდაო, სთქვა და მით გაათავა. ასეთმა ტყუილმა და გულგრილობამ უფრო მეტად გაამწარა ნოდარი, ბრაზით აავსო.

ბოლოს მაინც შერიგდნენ, შემდეგი შეხვედრის დროც დანიშნეს და ერთმანეთს რაღაც ტკივილით სავსე გრძნობით უხმოდ განშორდნენ.

თავი მეოთხე

ღამის 12 საათი იქნებოდა, როცა კომკავშირის კრება დამთავრდა.

მოქანცული ნოდარი თვალების ხუჭვით ეშვებოდა სახალხო სახლის კიბეზე. მის სულში ტკივილებით ატეხილ ქარბუქს თითქოს გაევლო, თითქოს უფრო მშვიდი, უფრო დინჯი და არაჩვეულებრივად მიმზიდველი გამხდარიყო მისი სახე.

მის დიდრონ, თაფლისფერ თვალებში გარკვევით ჩანდა, რომ ის უკვე საბოლოო დასკვნამდე მივიდა, მტკიცე დასკვნამდე, სადამდეც ნოდარი როგორც კომკავშირელი, დიდი ხანია უნდა მისულიყო.

ოდნავ შესცივდა. ცხვირსახოცი საყელოში ჩაიდო და ოფლის უკანასკნელი წვეთი შეიშრო. ასე ეგონა, თითქოს ეს მისი მერყეობის, სას-

ტიკი შეჯახებებისა და მწვავე განცდების უკანასკნელი წვეთი ცოფილიყოს..

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან ჩამორჩა.

ამხანაგები უკვე წავიდნენ.

ყველაფერი დასრულდა. ახლა ყველაფერი ძირიან-ფესვიანად ამოიწვა და დაიფერფლა. მომავალში მსგავსი რამ არასოდეს აღარ მოხდება. უკვე დასრულდა ტკბილად დაწყებული უბედურება, რაც ასე ძლიერ აღელვებდა მის ამხანაგებს და მოხუც მშობლებს.

„მართალი არიან, სავსებით მართალი ამხანაგები. ეთერი, პავლია შარაძის შემთხვევითი შვილი როდია. არა, ის თავისი მამის ნამდვილი გაგრძელებაა. იმავე სისხლის ნორჩი წვეთია და სხვა არაფერი“.

საუცხოვო ქალია ეთერი, ადამიანის სულს რომ ატყვევებს. მაგრამ განა არ ახსოვს ნოდარს ზოგჯერ მისი შურით აღსავსე, რაღაც სისხლშეურეული შემოხედვა მათ შორის რაიმე წინააღმდეგობის გაჩენის დროს? მაშინ ხომ ნოდარს, იმ წუთში მხოლოდ მტერს აგონებდა ასეთი შემოხედვა, საიდანაც თითქო გაშიშვლებული ხანჯლის პრიალი მოჩანდა.

რატომ აქამდე არ ფიქრობდა ნოდარი ამაზე? რატომ არ ჩააგონა საკუთარ თავს — სად იყო, სად იმყოფებოდა?

ახლა ღამეა, ახლა ნოდარი მარტო მიაბიჯებს სოფლის შარაზე და თითქოს არასოდეს არ ენახა ამ ქვეყნის ასეთი სიმშვიდე.

„ერთმა საყვედურმა წამალივით მარგო, — გაიფიქრა, — მე უკვე მოვრჩი. მას ამ დღიდან აღარ შეხვდები. კინაღამ ცოფი მომერია. ამხანაგი გავლახე. ჭკუა დავკარგე და ზარმაცმა გენომ თავისი ამხანაგების სიაში ჩამწერა. მშვიდობით, მშვიდობით!“ — გადაწყვეტით დაასრულა ფიქრები და ეთერს საბოლოოდ დაემშვიდობა, თუმცა მის ბოლო სიტყვებში რაღაცა ჯერ კიდევ უჩინარი ტკივილი მოჩანდა. შესაძლოა უკვე სავსებით დასრულებული, განვლილი ტკივილი.

ნოდარი მცირე ხანს შეჩერდა მთვარის მკრთალი შუქით შეეერცხლილ პატარა მდინარესთან (რომელზედაც ქვებზე ხტუნვით უნდა გადასულიყო). კარგად ჩააკვირდა ქვებში წყლის საოცარ ციმციმს და გაიფიქრა: „ვინ იცის, რა დიდ საკითხებს სწყვეტენ წუთები! რატომ აგრე ციმციმებს მდინარე?“.

თითქოს იქ რაღაც ამბავი ამოიკითხა, თითქოს ამ განუწყვეტელ, მიმზიდველ ციმციმში ჩანდა ის გზა, საოცრად შეფერადებული, დიდი მომავალი, რომლის მიღწევა მასაც შეეძლო, და მის გონებაში ბუნდოვნად, მაგრამ მაინც წარმოსდგა რაღაც უადგილო, სასტიკი კითხვები: ეს თუ ის?“.

შეკრთა.

ნუთუ შესაძლებელია, ნუთუ კიდევ არსებობენ ასეთი კითხვები? არა! ის, რაც უკვე მტკიცედ გადაწყდა, რაც სამუდამოდ ჩაიმარხა ამ

წყნარი ღამის სასტიკ განაჩენში, შეუძლებელია, შეუძლებელია მასზე ოცნებაც კი!

მდინარეს გადავიდა. უკვე თემშარაზე გავიდა და გადაწყვიტა, ასეთი კითხვები არასოდეს აღარ დაესვა.

ახლაც ხომ არ დაუსვამს ასეთი კითხვები, ახლაც ხომ სრულიად არ ფიქრობდა ასეთ რამეებზე?

არა! ეს მოხდა თავისთავად და უნებლიედ. ზოგჯერ სრულიად მოულოდნელად, ნებადაურთველად ადამიანში ლაპარაკს იწყებს ვილაც უჩინარი, რომლის ხმას, რომლის მოწოდებას თითქმის ყოველთვის საწინააღმდეგო აზრები მოაქვს. ადამიანი კი მაშინ არის გამარჯვებული, თუ ამ ხმის „ტკბილი" ჰარმონია არ ესმის.

ნოდარმა ქვემოთ, ძველ ხიდთან შენიშნა ორნი, რომლებიც მოძრაობდნენ, ახლოვდებოდნენ.

„ვინ იცის, იქნებ იმათ უფრო დამღუპონ?" — სრულიად მოულოდნელად და უსაბუთოდ გაუელვა ნოდარს თავში და გული აუჩქროლდა.

ახლოვდებოდნენ, უფრო ახლოვდებოდნენ ისინი, რომლებიც თითქოს საზღვარს უდებდნენ, ასრულებდნენ ყველაფერს.

ქალი და კაცი?.

„მხოლოდ ეს არა, მხოლოდ ეს არა!"

მაგრამ უკვე გვიან იყო: ნოდარმა გონება კინაღამ დაჰკარგა, აღარაფერს ხედავდა. დაბარბაცდა, კინაღამ დაეცა. თითქოს ცურვით, ხელის ფათურით ეშვებოდა ქვემოთ, როდესაც გიგომ და ეთერმა მკლავებგაყრილებმა ჩაიარეს და ეთერმა შეხედვის ღირსადაც არ გახადა იგი.

ნოდარისათვის თითქოს ყველაფერი ყირაზე დადგა, თითქოს რაღაც ნგრევის ჭუხილი ესმოდა.

ნუთუ ეს არის ეთერი, რომელსაც ნოდარმა გული ჩააბარა, სიცოცხლე მისცა?! არის თუ არა შესაძლებელი ამაზე ვერაგული, ამაზე სწრაფი და სასტიკი პასუხი?!

ნოდარმა ხელის ფათურით მონახა კარი და თავის ოთახში ჭშენით შევიდა.

სახლში სრული სიწყნარე იყო. მშობლებს უკვე ეძინათ, პატარა მაგიდაზე ელაგა ნოდარისათვის მომზადილი ცივი საჭმელი, რომელსაც მიმქრალი შუქი მშიერ ცინტალივით საწყლად დაჰყურებდა.

ნოდარს ვახშამი აღარ ახსოვდა, არც შუქი შეუმჩნევია, ლოგინს მიაგნო, ზედ პირაღმა დაეცა და ორივე ხელი სახეზე დაიფარა, თითქოს გაშრა, გაცივდა ძარღვები.

რამდენი წუთი გავიდა მას შემდეგ, რაც ნოდარმა მტკიცე გადაწყვეტილება კანონად მიიღო და სხვა გზას დაადგა? ახლა კი რა ემართება? სულ ერთი არ არის, ვისთან გაივლის, ვის გაულიმებს, ვისი იქნება ახლა

ის ქალი, რომელსაც უკვე საბოლოოდ დაშორდა? სულ ერთი, არ არის, მის თეთრ მკერდში ვინ ჩაიხედავს?

„ჩემო სისულელევ, ჩემო სისულელევ!“ — მხოლოდ ამას იძახდა ის, მთელი სხეული უცივდებოდა, მერე ისევ ხურდებოდა. ათასნაირ ტკივილებს გრძნობდა.

ნუთუ თავს ატყუებდა ნოდარი და დღემდე ვერ ამჩნევდა ნაღვერდალს, რომელიც მის სულში იფარებოდა? ახლა თითქოს ალი ამოუშვა ამ ნაღვერდალმა და ანადგურებს. ის, რაც დაიწვა, ცივია ყინულივით, მაგრამ რაც იწვის, მეტად მწვავეა.

გათავდა, დასრულდა პირველი ბურუსი, რომ ახლა უკვე შემდეგი დაიწყოს.

შეიძლება თუ არა გაიგოს მან, რატომ მოხდა ეს ვერაგობა? საიდან მოდიოდნენ ან როგორ შეხვდნენ ერთმანეთს იმ დროს? შეიძლება თუ არა გაუძლოს იმ წარმოდგენას, რომ ახლა ეთერი იმავე გრძნობით, იმ დიდი სითბოთი ხვდება სხვას? ეს ხომ მისი საკუთარი სიცოცხლის სითბოა!

ყველაფერი, რაც კი ძვირფასი და მიმზიდველი ჩანდა ამ ქალში, ნოდარს მხოლოდ თავის საკუთარ განძად მიაჩნდა. მას შეეძლო ხელი აეღო ამ საგანძურზე იმ შემთხვევაში, თუ ის სხვისი არ გახდებოდა, დარჩებოდა ყველასათვის მყინვარივით მიუწვდომელი.

და ასე მალე, ასე ურცხვად!

ნოდარის მხრივ მხოლოდ ერთი, დღევანდელი შეხვედრის დათმობა გახდა საკმარისი, რომ ეს მომხდარიყო, გუშინ იგი ფიქრობდა, რომ ეთერის სიხარული მხოლოდ მასშია, მხოლოდ ნოდარის მკლავებში გამომწყვდეულ ეთერს შეუძლია სუნთქავდეს თვალებდახუჭული, განუსაზღვრელი, დიდი სიტკბოებით, რომ ეთერი ამ მკერდიდან ხედავდა ყველაფერს, რომ სხვა ქვეყანა მისთვის არ იყო.

ახლა კი სად არის იგი?

სისხლის მოძრაობა ტკივილების მოძრაობად გადაიქცა.

ისევ ნოდარია აქ დამნაშავე! ალბათ, ცდებოდა და ამ ქალის სარკეში მხოლოდ საკუთარ თავს ხედავდა, რადგან ყველაფერი, რასაც იგი ეთერს მიაწერდა, ალბათ, თვით იყო, რომ იგი ამ ქალის საშუალებით მხოლოდ საკუთარი ბუნების საზღვრებს პოულობდა, საკუთარი სულის გზას პოულობდა.

ვინ იცის, შესაძლოა სწორედ ახლა, აი ამჟამად, იგივე გიგო ნოდარის მაგივრად იმავე უტკბეს წუთებს განიცდის!

და იგი სწრაფად წამოვარდა ზეზე.

რაღაც გადაიცვა. გარეთ გავიდა. — უკვე გაიქცა.

როგორი სიწყნარეა. თითქოს განგებ დადუმდა სოფელი, რომ თავისი ერთი, გზაამცდარი შვილის ფეხისხმა გაეგო.

ნოდარი ახლა თემშარას გაურბოდა (თითქოს მასზე გავლის უფლება წაერთვაო), პატარა ღელეს თავბრუდახვეული მიუყვებოდა, კარჩხალ ქვებში თავით ეცემოდა, იბეგვებოდა, მაგრამ ტკივილს ის ბლარ გრძნობდა.

თავი მეხუთე

სწორედ იმ დროს, როდესაც ნოდარი პავლე შარაძის კარმიდამოს მიუახლოვდა, მან დაინახა: კარი გაიღო და აივანზე გამოვადნილ შუქთან ერთად გამოვიდნენ თითონ პავლია, მისი უფროსი ვაჟი სერაფიონი და გიგო კურნოზაშვილი.

ამ უკანასკნელის დანახვაზე ნოდარი უფრო გამძაფრდა, მაგრამ თავი დაარწმუნა, რომ მისი ღელვა ნაადრევია, რომ ამის საბაში ჯერ კიდევ არავის მოუცია. ხეს მოეფარა და სმენად გადაქცეული ღობეს მიეყრდნო.

ისინი ფართო აივანზე ცოტახნით შეჩერდნენ. წელში წახრილი, მრგვალცხვირა პავლე ხელში კრიალოსანს ჩვეულებრივი სიდინჯით ათამაშებდა და გიგოს ათ სიტყვაზე ერთს ძლივს იმეტებდა, თითქოს მისი სიტყვა ათჯერ უფრო მეტად ფასობსო.

აი, ეთერიც გამოჩნდა.

„რა მემართება?“ — თითქოს ეს ვიღაც სხვამ ჩასძახა ნოდარს. მის თვალში სულ სხვა ეთერი ჩანდა.

რა შედარებაა! არასოდეს, თავისი ბავშობის დღიდან არ ენახა ნოდარს ასეთი ეთერი. ის ხომ იმ ტყის ქალს წააგავდა, რომლის შესახებ ნოდარს მხოლოდ ზღაპრებში გაეგო.

„არა, ტყის ქალი ვერ შეედრება, — გაიფიქრა და მოეჩვენა, რომ შეუძლებელია მსგავსი რამ კიდევ არსებობდეს. ესოდენი სიმშვენიერე მხოლოდ ერთ ქალში იყრიდა თავს! მისი ნახევრადგანათებული სახე და თმა, ფერმკრთალი სახე, ფერმკრთალ ღამეში, — ეს ხომ სასწაულია, რომლის ხილვაც მხოლოდ მას, ნოდარს შეეძლო! „ალბათ, სხვებს თვალი არა აქვთ“, — გაიფიქრა.

მაშ რატომ დღემდე სხვამ ვერ დაინახა ეს? და რომ გაიგონ, ხომ დაიღუპა! მთელი ქვეყანა მის გარშემო მოგროვდება და ვინ იცის მაშინ, რამდენ სიცოცხლეს ჩააქრობს შეჯახება!

მაშ რაღა დარჩენია? უნდა იჩქაროს, რაც შეიძლება უნდა იჩქაროს, თორემ...

შესაძლებელია გიგო პირველი იმათგანია, რომელთაც დაინახეს ეთერში ეს საიდუმლოდ შენახული დიდი საუნჯე, რასაც დღემდე, ალბათ, თითონ ეთერიც ვერ ამჩნევდა.

ხომ შეიძლება იგივე გიგო გზის მაჩვენებელი გახდეს სხვებისათვის და ამ ლამაზ ეზოში სისხლი დაიღვაროს!

იჩქარე, იჩქარე ნოდარ! ალბათ, დაიგვიანე, დროზე ვერ [illegible] რის ეს უძლეველი, დიდი ღირსება და იღუპები! მაშინ ხომ [illegible] თულდება მდგომარეობა, თუ თვით ეთერიც შეიგნებს ამას! ნოდარს მაშინ ვინღა შეხედავს? ვის ღა დარჩება მაშინ ამისი დრო? ფეხის მტვერი ჩანთქავს მის ხსოვნას.

ნოდარს ამგვარი, ბავშვური ფიქრები ულრღნიდა გულს, მაგრამ ის მაინც თვალს არ აშორებდა პავლიას აივანს. სადაც თითქოს, მისი ფიქრით ასეთი დიდი ამბები წყდებოდა.

პავლემ აივნიდან ძირს ჩააცილა თავისი სტუმარი, ხოლო ეთერი და მისი ძმა სერაფიონი აივანზე დარჩნენ და ხმას არ იღებდნენ.

არა, თითქოს ეთერიც არა ჰგავს ახლა ბედნიერ ადამიანს. მას თითქოს მოწყენილობაც ემჩნევა სახეზე. სად არის მისი ვარდისფერი ტუჩების ღიმილი, როცა თითქოს ქვეყანაზე სიხარულს აფრქვევს? სად არის მისი ცად ავარდნილი კისკისი, რომელიც თითქოს უშორეს ვარსკვლავებს თავისკენ ეძახის და გულში იხვევს?

ნოდარს ბედნიერება ჰქონდა თვითონ ყოფილიყო ამ გასაოცარი ქმნილების სიხარული და...

„ძვირფასო!“ — აღმოხდა ნოდარს ეთერის მისამართით და ჭიშკრისაკენ წასულთ თვალი გაადევნა.

პავლემ ჭიშკართან მიაცილა სტუმარი და იქედან ძლივს მოისმა მისი ხრინწიანი და ბოხი ხმა:

— სხვანაირად რა თავი მტკივა, მე ჩემი მაწუხებს, თორემ...

— ძალიან კი აეწვა. მე ასე მგონია: ჭკვიანი კაცი ცუდს როდი იტყოდი. გადავაგდოთ და ჩვენი იქნება. ხომ მაინც არაფერს წავაგებთ, — ამბობდა გიგო.

მათ რაღაც კიდევ სთქვეს, რაც ნოდარმა ველარ გაიგონა. სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს დაშორდნენ.

აივანზე ჯერ კიდევ გაუნძრევლად იდგა ეთერი თავისი ძმის გვერდით. ისინი სახლში მაშინ შევიდნენ, როცა პავლე აივანზე ავიდა. უკვე მიიხურეს კარები და ჩაკეტეს.

აივანზე კვლავ სიბნელემ დაისადგურა და ნოდარმა წარმოიდგინა, რომ იგი შუქიც ეთერის შუქი იყო: მან მოიტანა, მანვე წაიღო.

რა სიბნელე და უაზრობაა! ნახევარმთვარე სადღა წავიდა? ნუთუ ისიც გაექცა და უღალატა? თითქოს ისიც ეთერს უცდიდა და მასვე გაჰყვა.

მაშასადამე, ყველაფერი ამ ქალში ყოფილა, ყველაფერი, მთელი ქვეყანა მის სურვილს ასრულებს. ამას დღემდე ვერავინ ხედავდა, თითონ

ნოდარიც. — ყოველ შემთხვევაში ამგვარ დასკვნამდე ის არ მისულა. დღეს კი ხედავს, როგორ ნათლად მოჩანს ეს სახე, იმდენად ნათლად, რამდენადაც იგი ახლა შორს იყო. მხოლოდ ასეთ სიშორეს შეეძლო ულბათ, დაენახვებია ნოდარისათვის, რისი დანახვა სხვანაირად მას არ შეეძლო. ისიც ხომ ხდება, რომ ზოგ სიახლოვეს მხოლოდ ბურუსი და სიბრმავე მოაქვს.

უნდა წავიდეს, უნდა იაროს. სხვა რა გზა არის, — მარტოდ მიტოვებულ თავის პატარა ოთახს მიაშუროს.

წავიდა. რა დიდი სიცალიერე დახვდება ოთახში! აღარ უნდოდა ამ ოთახში შესვლა. კარგად იცოდა, რომ იქ სანუგეშოს ვერაფერს ნახავდა, რადგან ახლა ყველაფერი, პირიქით, ხდებოდა: უწინ თავის პატარა ოთახში ყოველ ნივთს, ყოველ ფიქრსა და მოქმედებას მხოლოდ სულის სიმშვიდე და სიტკბოება მოჰქონდა მისთვის. როგორ დაჰკარგა ძველი თვისება იქ ყველაფერმა!

შევიდა ოთახში. ყურში რაღაც ჟრიალი ესმოდა. თვალები წინასწარ დახუჭა, თითქოს ამით ფიქრებს აჩერებსო და გაუხდელი ლოგინზე გაწვა. აღარ სურდა თვალის გახელა (გახელილმა თვალებმა არია იგი), ძილი უნდოდა, ყველაფრის ჩამდენი, ყველაფრის დამავიწყებელი, უსაზღვრო ძილი, რაც მის დახუჭულ თვალებს მაინც არ ეკარებოდა.

იყო მხოლოდ მძიმე ბურუსი, გაუთავებელი, მკაცრი სურათებით.

აი, როგორ აპრიალდა ალექსის თვალები კომკავშირის კრებაზე. ის ლაპარაკობს ნებისყოფის შესახებ, კომკავშირელის მოვალეობის, მიზნების შესახებ და მაგრა მოქნეული მუშტებით თითქოს ანადგურებს ყველაფერს, რაც ამ მიზნებზე დაბლა იმყოფება. აი, რაჟდენი, კოტე, აი, ილია. მათი სიტყვები თითქოს მიწიდან ამოვარდნილი ალია, რომელიც კომკავშირის კრებაზე თავჩაქინდრული ნოდარის ტანს ეხვევა, რომ ძირფესვიანად ამოსწვას მასში ის უცხო, ის მავნებელი, რაც გარედან არის მოსული.

და ახლა ნოდარს ასე ეგონა, რომ ის, რაც მისი ამხანაგების თვალებში ასე ბრწყინავდა, ასე ელვარებდა, რაც ასე უმწვერვალეს სიდიადეს ინარჩუნებდა, მისთვის ადვილად მისაწვდენი არ არის, რომ იმ უდიდეს მწვერვალზე ასვლა ყველას არ ძალუძს.

„ნეტავ მეც ავსულიყავ იმ დიდ სიმაღლეზე“, — გაუელვა თავში და მოაგონდა, იმავე კრებაზე ახალი ძალა რომ შესძინეს, თითქოს ახალი სისხლი შემატეს და ისე გამოუშვეს, თითქოს იგი გაელვარებული ქურიდან გამოვიდა და რაც გადარჩა, მისთვის უფრო საიმედოდ მოჩანდა.

ბურუსი გრძელდებოდა. ნოდარი ისევ მიაჩერდა ღამით ნახულ სურათებს და გაიფიქრა: „ნუთუ მიზნის ადგილას ჩემმა უბედურებამ უფრო ადრე მოასწრო მისვლა, ვიდრე ჩემმა კომკავშირლობამ?“. თვალები

უფრო მაგრა დახუჭა, მაგრამ მოახლოვებულმა განთიადმა ოთახის ბატარა ფანჯრიდან დახუჭულ თვალებშიაც კი შეაშუქა.

„ამას არ ვიზამ, არა!“ — საკუთარ თავს უთხრა და ...

აქ შეაჩერა.

ცოტა ხანს კიდევ იყუჩა, ერთი გვერდიდან, მეორეზე ბრუნვა შესწყვიტა და როგორც მკვდარს, ისე ჩაეძინა.

*
* *

დილით ადრე ამდგარი დედა გულმოკლული დაჰყურებდა ნოდარის უფერულ სახეს. ნოდარს ჯერ კიდევ ეძინა, მაგრამ ღრმა ძილშიაც მოუსვენარი და მშფოთვარე იყო: აჩქარებით სუნთქავდა, კვნესოდა და კისრის ძარღვი უჩვეულოდ ეკუმშებოდა.

ირინეს სასოწარკვეთილებამ უფრო იმატა, როცა შენიშნა, რომ ნოდარი გაუხდელია და მაგიდაზე წინაღამით მიტანილი ვახშამი ხელუხლებელია.

—შვილო, შვილო! — ვეღარ მოითმინა და ელდანაცემმა მიაძახა შვილს. მაგრამ მაშინვე შეჩერდა, რადგან იფიქრა, ახლა გაღვიძება ცოდვა იქნებაო. ისევ მეორე ოთახში გავიდა და ქმარს დაუძახა.

მშობლები ნოდარის ოთახში ერთად შევიდნენ. კარგახანს შვილის ჩაძინებულ თვალებს დაჰყურებდნენ. იმათ გულს რაღაც შიში ავსებდა.

სოლომონი ახლოს მივიდა, შუბლზე ხელი დაადო შვილს და ცოტა ხნის შემდეგ მძიმედ წარმოსთქვა:

— მე ახლა წავალ, ამას სიცხე აქვს. ნუ გააღვიძებ... შე უბედურო! — ეს ბოლო სიტყვები ნოდარისადმი გულის ტკივილით დაუმატა მოხუცმა და გარეთ გავიდა.

თავი მეექვსე

დღის პირველი საათი იქნებოდა, როცა ნოდარმა თვალი გაახილა და ოთახის ჭერსა და კედლებს გაკვირვებით შემოავლო. მაშინ, გამოერკვა, როდესაც ფეხებთან ლოგინზე ჩამომჯდარი დედის გამხდარ სახეს შეხედა.

— დედა! — ტკბილად მიმართა მოხუცმა შვილს, და შუბლზე გამხდარი ხელი დაადო.

„ახ მთლად დავიკარგე!“ — გაიფიქრა ნოდარმა მისი ფიქრი შეაჩერა ხელმა, რომელიც ახლა მის შუბლზე იდო. არასოდეს ნოდარის შუბლს ასე ტკბილად არ შეხებია დედის ხელი, ასეთი სითბო, ასეთი ძალა არ უგრძვნია მას ამ ულონო, გამხდარ ხელისაგან, როგორც ამჟამად, და სურდა, რომ მის შუბლზე ასე განუშორებლად, ასე მუდმივად ყოფილიყო დედის ხელი.

დედამ დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი. ბევრი ეხვეწა, მაგრამ მისგან გარკვეული მაინც ვერაფერი გაიგო. ნოდარი ცდილობდა ... ში ჩაეკლა ის, რაც დამშვიდების უფლებას აღარ აძლევდა.

ყველაფრის შემძლეა დედა, ყველა ტკივილს მალამოდ დაედება, შვებას აგრძნობინებს და შვილს დაიხსნის, მაგრამ ნოდარის ტკივილები სულ სხვანაირი იყო ამჟამად და დედის ხელიც კი გასაოცარ უძლურებას იჩენდა.

დედა გავიდა. ნოდარმა წარმოიდგინა ივანისი უხერხული მდგომარეობა. მარტია. ყველა მისი ამხანაგი მინდორშია და შრომას განაგრძობს. ყველა თავის დროზე იძინებს, თავის დროზე შრომობს, თავის დროზე ისვენებს. ყველას აქვს ძალა და უფლება ტკბილად შეირგოს, რაც მისთვის ქვეყანას მიუცია. მხოლოდ ნოდარი ამოვარდა ჩარჩოებიდან და ამ ქვეყნიურ წესრიგს ველარ იგუებს. დღეს ხომ ეთერთან შეხვედრის იმედიც ჰქონდა. ახლა ესეც აღარ იქნება.

დიდის წვალებით ჰპოვა ძილი და ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს მისთვის მეტი ზიანი მიეყენებია.

მთელი დღე ასე გაატარა. დედის მიერ მოწოდებული ორიოდე ლუკმა ძლივს გადაყლაპა. სამუშაოზე გასვლა ახლა არ შეეძლო, ხოლო ოთახში დარჩენა უფრო მეტად სტანჯავდა. და ამ პატარა ოთახში მახეში გაბმულ კვერნასავით წრიალებდა, კარიდან და ფანჯრიდან თემშარას მისჩერებოდა, კედლის სიმაღლეს თვალით ზომავდა, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობდა.

როგორც იყო, დაღამდა. ხალხი სამუშაოდან ბრუნდებოდა, და ახლა ნოდარი ორგვარმა შიშმა შეიპყრო: რა უთხრას მამას. ან როგორ აიშოროს სასტიკი ღამე, რომელიც ასე ახლოს მოვიდა.

ნუთუ შესაძლოა გაუძლოს კიდევ ერთ ისეთ ღამეს, რომლის სიმძიმემ წუხელ კინაღამ გასრისა ის.

კარგად დაღამდა.

ნოდარს მოესმა აივანზე ამოსული მამის ფეხის ხმა და შემკრთალი ზეზე წამოდგა. განაბული ისმენდა მეორე ოთახში შესული მამის ყოველ შეკითხვას, რომელზედაც დედის პასუხი გაურკვეველ ფუჩუნად აღწევდა ნოდარის სმენამდე.

აი, სოლომონმა შეაღო კარი და მასთან შევიდა. შვილმა დარცხვენით შეხედა მამას. თავი დახარა და ფერი ეცვალა. მოხუც სოლომონის სახეზე ჩანდა შვილისადმი სიბრალული და სინანული. ის ჯერ კიდევ არაფერს ამბობდა. შვილის ახლანდელი ხასიათივით აწეწილ ოთახს აკვირდებოდა. ჩამოჯდა.

— როგორ ხარ, შვილო? — შეეკითხა მის წინ გამოცანასავით დამდგარ შვილს და გულის სიღრმიდან მძიმედ ამოისუნთქა.

— რა მიჭირს, მამა. — მიუგო ნოდარმა, ისიც ლოგინზე ჩამოჯდა და თავი დახარა.

— საყვედური სხვასაც მიუღია. ეგ არაფერია. შენ მხოლოდ ამ[illegible]-დან იყავი ყოჩაღად. გულს ნუ გაიტეხ. ჩვენ დროში სიმტკიცე [illegible] ჯვებს შვილო, სიმტკიცე.

ნოდარმა არ იცოდა, რა ექნა. რამდენი ხანია აღარ სმენია მამისაგან ასეთი ლმობიერი სიტყვები. მისი გული მამისადმი გამოუთქმელი პატივისცემის და სიყვარულის გრძნობით აივსო. მეორე მხრივ ნოდარი დარწმუნდა, რომ, მის გარშემო მეტად სერიოზული მდგომარეობის შექმნის გარეშე, მამას, ამ მუდამ მტკიცე ხასიათის ადამიანს, არ დასჭირდებოდა შვილისადმი ასეთი სათუთი, მშობლიური გრძნობების გამომჟღავნება.

— ჰო, შვილო,—ისევ განაგრძო ბოხი ხმით სოლომონმა შვილის დარიგება. — შენ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ხარ. ვინ იცის, რამდენი მერცხალი აფრინდება კიდევ შენს თვალწინ, რამდენი მშვენიერი სანახაობა, სიხარული გელოდება წინ. დაბრკოლების გარეშე არც ეს მოხდება, მაგრამ... ეგ თითონ ცხოვრებაა ასეთი. ამიტომაც არის იგი ძვირფასი. სიმტკიცე კი ყველაფერს სჯობს, შვილო, სიმტკიცე.

ამით დაასრულა, ორივე ხელი მუხლებს დააყრდნო, მძიმედ წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა.

ნოდარს გაუკვირდა, რომ მამა სწორედ იმ კითხვებს უპასუხებდა, რაც მას ასე აწუხებდა, თუმცა ამის შესახებ მოხუცი გარკვევით არაფერს ამბობდა. მიუხედავად ამისა, როდესაც დააკვირდა მამის ნათქვამს და შეადარა იმას, რასაც ამჟამად თვით განიცდიდა, დარწმუნდა, რომ საყვარელ მამასაც არ ძალუძს მთელი სილრმით გაიგოს ის, რაც მას აწუხებს.

„შენ, მამაჩემო, შენ რომ იცოდე!“ — გაიფიქრა და ასე ეგონა, რომ მსგავსი რამ არავის არასოდეს არ განუცდია...

ვახშამზე რამდენიმე ლუკმა ძლივს გადაყლაპა და თითქოს უფრო დამშვიდებული გამომეტყველებით თავის ოთახში შებრუნდა. იგი ფიქრებით შორის იყო წასული და მისი სმენაც მხოლოდ ის იყო. ზოგჯერ სიზმარში გაგონილი ჩურჩულივით ესმოდა მშობლების საუბარი, რომელიც კიდევ დიდხანს გრძელდებოდა.

კარგა ხანი გავიდა. მშობლების საუბარიც შეწყდა. ჩანდა, რომ მათ უკვე ჩასძინებოდათ. ნოდარი კი დაჭიმული ნერვებით, ორივე ჯიბეში ხელებჩაწყობილი, ირგვლივ უვლიდა პატარა მაგიდას, რომელზედაც მიმქრალი შუქი იყო მოწმე, რაც მასში ხდებოდა.

დადუმდა ყველაფერი. მაგრამ ნოდარი ლოგინთან მისვლას მაინც ვერ ბედავდა.

იგი ფიქრობდა, რომ ლოგინთან მისვლა, ზედ წამოწოლა ნიშნავდა წინააღმდეგობის გაუწევლად მორჩილებას იმ ძალისადმი, რომელიც თავზე ასე აწვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენჯერმე კიდევ გაიარ-გამოიარა. ბოლოს კარი ფრთხილად გამოაღო და გარეთ გავიდა.

აი ქვეყანა! აქ თითქოს ყველაფერი თავის რიგზეა. არავითარი ცვლილება, არავითარი! იგივე გუშინდელი ნახევარმთვარე, ულრანი ტყეებით დაფარული მაღალი მთები, თოვლით დატვირთული თეთრი მწვერვალები, რომელთაც ნოდარმა წელან მამის თეთრი თავი შეადარა და ბარში ჩამოსულ მწვერვალად წარმოიდგინა.

თითქოს ნოდარმა აქ უფრო მეტი სიმშვიდე იგრძნო. საპყრობილიდან ახლად განთავისუფლებულივით ამოისუნთქა და გზაზე გავიდა. ახლა ის გუშინდელთან შედარებით, უფრო მეტ სიფრთხილეს და თავდაჭერილობას იჩენდა. წყლის პირას კარჩხალ ქვებზე აღარ ეცემოდა, აღარ იმტვრეოდა, თუმცა იმავე გზით მიდიოდა.

ნოდარმა მოათავა პატარა აღმართი და შეჩერდა. მუხლებში უკვე სისუსტე იგრძნო. როგორ შეუმჩნევლად მიეპარა სისუსტე...

მივიდა. აი წაბლის მესრებით შეღობილი ლამაზი ეზო, მწვანედ შეღებილი მოზრდილი სახლი, რომელსაც ყველა კუთხიდან თითო კვიპაროსი დარაჯივით თავზე დაჰყურებდა.

ნოდარი პატარა ჭიშკრიდან ეზოში შევიდა. სახლის მეორე მხარეს კვიპაროსის რტოებზე მინათებული შუქი შენიშნა. თრთოლვა დაიწყო, გულმა ხმაურს უმატა. მკლავებით ჭიშკარს დაეყრდნო, და თვალს არ აშორებდა იმ შუქს, რომელიც უწინ ყოველთვის ეთერის გულისთქმას ამცნობდა ხოლმე. ახლა ხომ აღარ არის საჭირო ეთერიმ იგივე ამბავი ამცნოს ნოდარს — გულის წადილი გამოუმჟღავნოს და მომავალი შეხვედრის დრო აცნობოს. მაშ რატომ არის ახლა იქ შუქი ასე გვიან, ასე უაზროდ? ის ხომ ეთერის ოთახიდან გამოსული შუქია?

მან ფრთხილად მეორე მხრიდან მოუარა სახლს. კვიპაროსის ხის ახლოს განათებულ ფანჯარასთან მივიდა. დიდხანს უცქეროდა იმ ოთახის ფანჯარას, სადაც თითქოს გამჭვირვალე ჭურჭელში იყო მოთავსებული იგი ნექტარი — მისი წყურვილი.

დაეწაფება თუ არა ოდესმე ამ უშრეტ ნექტარს, თუნდაც ამით სიკვდილს შესვამდეს? აივსება თუ არა ერთხელ მაინც მისი სული ამ სიტკბოებით?

მოღლილი იყო, მოქანცული. მუხლები ეკეცებოდა, თუმცა მაინც კმაყოფილი იყო ამ ყოფით. კარგად იცოდა, რომ ახლა, ამ წუთში ეთერი მიუვალი მყინვარია, რომლის მიწვდენა არავის არ შეუძლია. ახლა ამ მყინვართან ყველაზე ახლო ის იყო მისული. „ჩემთან, ჩემს ახლოს“.

და მოხდა ისე, როგორც სასწაული:

გაშუქებული ოთახის კედლებზე ნათლად აისახა ქალის აჩრდილი. თმებს ისწორებდა, სახეს ისრესდა და მკლავებს შლიდა.

მაგრამ არა: ქალი ზეზე წამოდგა, ტიტველ მხრებსა და მკლავებზე რაღაც მოიხურა.

ეთერი ფანჯარას მიუახლოვდა და თმააშლილი ჩამოჯდა. ნოდარს ვერ გაეგო ეთერის ასეთი უჩვეულო, საეჭვო საქციელი. ნიავმა ხეები მიმოარხია. ხეებს მოფარებულმა ნახევარმთვარემ ნოდარის წინ მიწაზე შუქი ჩამოუშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორი სიახლოვეა! აი, თითქო იგრძნო ნოდარმა მისი სითბო, მისი სუნთქვა.

ამ დროს წინა ოთახიდან მოისმა პავლეს ხრინწიანი ხველება. ნოდარს უეცრად სახე მოეღრუბლა და ერთ წუთს ერთი მეორეს შეადარა ეს ორი კონტრასტი: ეთერი და პავლე.

ვერ წარმოედგინა, თუ როგორ შეიძლებოდა სულით და ხორცით აშმორებული პავლია შარაძე ეთერის — ამ მშვენიერი ხილვის — მამა ყოფილიყო. „რა შედარებაა! რა არის მათ შრის საერთო? — გაიფიქრა მან (რადგან მთლად დაავიწყდა, გუშინ ეთერსა და მის მამას შორის დიდი მსგავსება რომ დაინახა). და ასე დაასკვნა: ალბათ, იმავე წესით თუ ხდება, რა წესითაც მშვენიერი ყვავილები დამპალ ნაგავზე უფრო კარგად იფურჩქნებიან“.

ეთერს ხელები ლოყებზე შემოეწყო და ფანჯრის რაფას იდაყვებით დაყრდნობოდა. თავი უფრო დახარა, სახე ჩამალა და თითქოს ქვითინი დაიწყოო — ისმოდა ოდნავი კვნესა...

თავის მხრივ ეთერსაც ვერ მოენელებია ნოდარის საქციელი, ნოდარის რომელმაც უმტყუნა და გუშინ საღამოს დანიშნულ ადგილას არ გამოცხადდა. მთელ დღეს არსად ჩანდა. მართალია, სამაგიერო პასუხი მალე მიიღო ნოდარმა, მაგრამ ვინ იცის, — ფიქრობდა ეთერი, — იქნებ ამ სცენამ საქმე უფრო გააფუჭა, მდგომარეობა უფრო გაართულა და უფრო დააშორა იმ ადამიანს, რომელთან დაახლოებისათვის მიმართა ასეთ სასტიკ ხერხს.

„თუ მოვტყუვდი, თუ მოვტყუვდი! მაშ რატომ აღარ ჩანს? სულ დაიკარგა. აჰ, მამაჩემო!“ და ახლა მამას აბრალებდა ყველაფერს.

მეტი ფიქრი აღარ შეეძლო. ბრაზი ახრჩობდა. ძილი დაეკარგა.

ეთერი ჯერ კიდევ გუშინ იყო დარწმუნებული, რომ ნოდარს უიმისოდ ცხოვრება არ შეეძლო, რომ მისი გულის ყველა ძარღვი თავის პატარა ხელში ეჭირა, მაგრამ დღევანდელი დღის სინამდვილე სულ საწინააღმდეგოს ლაპარაკობდა, ეს კი აშფოთებდა და აღარ აძინებდა.

ნოდარს რომ სცოდნოდა ეს, რომ სცოდნოდა! მაშინ ხომ...

სიცივე და სისუსტე ერთნაირის ძალით მატულობდა. ნოდარს მეტი აღარ შეეძლო და უნებლიედ იყვირა:

— ეთერ, ეთერ!

ეთერი შეკრთა. ზეზე წამოიჭრა. ფანჯარა სწრაფად გამოაღო, გადაიხედა.

— შენ ხარ? — მოისმა ზევიდან. — მოიცა ცოტა—მთრთოლვარე ხმით წამოიძახა მან. ფანჯარა ისევ მიკეტა, პალტო მხრებზე წამოიცვა, ფეხსაცმელი ჩააქრო. — „არა, შენ მართალი ხარ, ვაშა მამაჩემო!“ — გაუელვა თავში და გარეთ გავარდა.

ეთერის სიტყვებმა რაღაც უჩვეულო განათება შეიტანეს ნოდარის არსებაში.

როცა ეთერმა კიბის უკანასკნელ საფეხურს ფეხი დაადგა, უცბად ნოდარის მკლავებში მოექცა, და სუნთქვა შეკრულნი დაეწაფნენ ერთმანეთს.

დიდხანს, ძალიან დიდხანს აღარ მოსწყვეტია ნოდარის ტუჩები ეთერის მრთოლვარე, მხურვალე ტუჩებს.

აი, თითქოს ამოავსო ნოდარმა თავის სულში ის ცარიელი ადგილი, რომელიც მასში მხოლოდ ერთმა ღამემ წარმოშვა.

ეზოს ჭიშკარში ერთად გავიდნენ. ზემოთ, ახალი ბალახით შემოსილ კონცხთან შეჩერდნენ, და მათი ტუჩები კვლავ შეერთდა.

სწორედ იმ დროს, როცა ეთერი გარეთ გავიდა და ნოდარს შეხვდა, ლოგინზე გაწოლილი, თვალგახელილი პავლე ზეზე წამოიჭრა და ჩაბნელებული ოთახის ფანჯრიდან გახედა მათ.

— გიგო, გიგო! — მიაძახა პავლემ მეორე ლოგინზე ღრმად ჩაძინებულ გიგოს და მაგრა შეანჯღრია, — ადექი, ადექი! აი, გავიდენ ეზოდან. კარგია, ძალიან კარგია!

— აჰა, ისინი?! გამიშვი, წავალ...

— დაჩუმდი! — შესძახა პავლემ და აღელვებული გიგო ისევ თავის ლოგინზე დააგდო. — როგორ იქნება! მაგით საქმეს ჩავშლით. თავის ხალხს თვითონვე ესროლოს. ამ „კეთილ“ საქმეში თქვენც მოეხმარეთ, მაგრამ, გიმეორებ, თქვენი ვინაობის შესახებ არაფერი არ უნდა იცოდეს, თორემ ყველანი ერთად დავიღუპებით. ფრთხილად. — ეთერსაც დაუმალეთ ნამდვილი განზრახვა, თორემ საქმე წახდება, იცოდე. მე ეთერს სხვაირად აუხსენი საქმე. დავარწმუნე, რომ ეს ამბავი მათი სიყვარულის კეთილდღეობისათვის არის საჭირო. შენ კი, გიგო, ტყუილად ნუ ღელავ. ეთერი შენია და ვერავინ შეგეცილება. მხოლოდ ეს ჩვენი მტერი ჩამოვიშოროთ და ორი საქმე ერთად გაკეთდება.

დაწყნარდნენ. ლოგინში ჩაწვნენ. გიგოს შესახებ პავლემ გულში გაივლო: „გქონდეს იმედი. მანამდე ნურაფერი გეჭამოს! არც ის, არც შენ... მაგრამ ახლა ასე მჭირდება“.

ახლა გიგომ დაჰკარგა ძილი. დიდხანს უსმენდა უკვე დაძინებული პავლეს ხვრინას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

ნიჟარის სათვალე

მაგიდაზე დევს ნიჟარა თეთრი
საფერფლე ზღვაში ნახული წინათ,
როგორც კოლხიდის უყელო გედი,
ზურგით მწოლარე და პაწაწინა.
მახსოვს მდებარე ამ ნიჟარასთან
სათვალე ლაზლით, სალამო მჭკნარი
და გრძელ ჩრდილივით ჩვენ ფანჯარასთან
ბებია მშვიდი და მწიგნობარი.
როს ჩადგებოდა ქარი კაპასი,
გადმოწვებოდა ღამე მწუხარი,
დაიწყებოდა ბების ბაასი
და ღულუნებდა ჩვენი ბუხარი.
შუქ გაფოფრილი ენთო ლამპარი,
ნიჟარას ეკრა ფერფლის ფიორი
და იშლებოდა ბების ზღაპარი
ნელი და გრძელი როგორც რიონი:
როგორ ჩაუქვრეს ამირანს ცეცხლი,
მიაკრეს კლდეზე ხალხის სარდალი,
ზღვაში ჩაყარეს კოცონის ფერფლი,
გაუნიავეს გრძნობა მართალი...
მითხრობდა ასე ქარვით გართული
და ჭრიჭინებდა სკამი სელისა,
ზღაპარს მოსდევდა ლექსი ქართული
გუგუნავას და გურიელისა.
მაშინ ვიღებდი ნიჟარას ზღვისას,
ყურს ვათხოვებდი გახსნილს ზემოდან:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყურში გუგუნი მესმოდა მისი
და ზღვაზე ღელვა მეჩვენებოდა.
როგორც ნაწყვეტი პონტოს ზღვაურის
ან ქარი მცირე და ერთი ბეწვა
ოთახში იჯდა ტალღათ ხმაური
და ვეფხის ტყავად ნიჟარა ეცვა.
მიკვირდა მაშინ, ბუნებამ რისთვის,
შიგ ჩაამწყვდია ზღვაური წვეთი,
ერთ ადგილს დასვა, არსაით ილტვის
და არა იცის ღულუნის მეტი.
მეტყოდა ბები: დადევი მოთავ, [1])
ქარი ყავს სულში და მეზიზღება,
ზღვამ უანდერძა ოთახში შფოთვა
და ამირანი თუ ესიზმრება.
შემდეგ დადებდა საფერფლეს სხვენზე,
რომ ნიჟარასთვის არ მეხლო ხელი
და სიზმრით გართულს ამ საფერფლეზე
გვაჭრიალებდა ტახტები გრძელი.
დიდ თოვლობისას ბები წახვედი
და გაგითხარეს ტანჯვით სამარე,
მოთას ხსოვნაში როგორც ნაფლეთი
ბევრი ქარი და ლექსი ჩაჰყარე.
ჩრდილივით გაგყვა სამყარო ძველი,
ბევრი თქმულების ფერფლიც კიაფებს,
და შემობრუნდა ლეგენდა მთელი,
რაც ამირანის ბედზე მიამბე.
კოლხიდა დადგა დიდებით ზღვაზე,
ბაღი მოერტყა ნაპირს ზონარათ
და დევს საფერფლე ჩემს მაგიდაზე,
მეგრულ ქარების მოსაგონარად!

---

[1]) მოთა — მეგრული სიტყვაა, ნიშნავს შვილიშვილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილო მოსაშვილი

სიტყვა სასამართლოში

ველარ დაჰფარე სახე ფლიდური,
შენი სახელი გველია მაინც.
როგორც იუდა ხარ მოყიდული
და შთამომავლად ერგები კაინს.

დასძვრები ჩუმათ გარეთ და შინაც,
უბეში მალავ სისხლიან თითებს.
ეგ გული ბოლმის კერა და ბინა
რამდენს შხამსა და სიმუხთლეს იტევს?

დასძვრები ჩუმათ, ნადირის კბილებს
ნაძალადევი ღიმილით ჰფარავ,
შენ ჩემი ქვეყნის დედებს და შვილებს,
ბედნიერ შრომის ნაყოფსა ჰპარავ.

შენ ახმობ ნერგებს, ატირებ ვაზებს,
ფეხში გედება ფესვი მოჭრილი
და შენს წინაშე, გაჩეხილ გზაზე,
კაცივით კვნესის ხე შებოჭილი.

აცეცებ თვალებს და თვითონ ხედავ.
როგორც ჯალათი დადიხარ ბაღში,
შენ ზიზღით გწყევლის ყოველი დედა
და დედის მკერდზე მიკრული ბავშვი.

შენ ეპარები ამოწვდილ დანით.
მშვიდად მძინარე მშრომელის ბინას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გველის სოროსთან დასჯდები ღამით
და ჩუმად ლესავ ჟანგიან რკინას.

შენ ჩვენს მიწაწყალს ოქროზე ჰყიდი,
მხდალო ფინიავ, ქცეულო ვაჭრად,
გინდა საბჭოთა სამშობლო დიდი
და მისი წმინდა სხეული დასჭრა!

რომ დაწყევლილმა ხელით-გასვრილით,
ფაშიზმის ძაღლებს მიართვა ძღვენი:
ჩვენი მინდვრები ცამდე ავსილი,
ჩვენი გული და სიცოცხლე ჩვენი.

მაგრამ მიუვალ კედლად არტყიან
და არა სძინავთ სამშობლოს გმირებს,
საცა კი სადმე კვალი ატყვია,
სთხრიან მიწიდან შხამიან ძირებს.

და ერთი რისხვით აშლილი ერი,
როგორც ყოველთვის ურყევი დღესაც,
შენვე გიბრუნებს მოწამლულ წვერით
ხანჯალს, რომელსაც საჩვენოდ ლესავ.

გაგყვება ზიზღი და ვიდრე სხედან
თვალანთებული მნათობნი ცაში,
წყევლით გახსენებს ყოველი დედა
და დედის გულზე მიკრული ბავშვი.

26 სექტემბერი 1937 წ.

ლეო ჭიაჩელი

ბედი ხეკვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX

სრულიად მოულოდნელი იყო გვადისათვის, რომ მას მეორე დღეს, ადრე დილით, არჩილ ფორია ეწვია.

შინ მარტო იყო. ბავშვები სკოლაში გაესტუმრებია. თვითონ წასვლას აპირებდა ტყეში სამუშაოდ. გაიხედა: ალაგეზე გადმომდგარი არჩილი დაინახა.

რომ მოსჩვენებოდა, იმდენად არ გაუკვირდებოდა.

წუხელ დიდხანს არ დასძინებია. სულ იმის მოფიქრებაში იყო, ფორიასთვის სამაგიერო როგორ გადაეხადა. ერთიმეორეზე უსასტიკესი განაჩენი გამოჰქონდა მისთვის და სულ ახალ და ახალ სასჯელს უგონებდა. ისე ბრაზი არ დაუცხრა, ძილი ახლოს არ მიეკარა, სანამ ათჯერ მაინც არ მოჰკლა და ათჯერვე სულ სხვადასხვანაირ სიკვდილს არ შეჰყარა.

სულ პირველად ჩამოახრჩო. ეს მეტად მარჯვედ მოიმოქმედა. რა თქმა უნდა, ღონით, იქნება, ვერ მორეოდა, მაგრამ ჭკუით მოატყუა.

— მაქსიმემ ახალი ბარგი გამოგიგზავნაო, — უთხრა, — ტყეში მაქვს შენახული და წამოდი ჩაგაბარებო.

არჩილს თვალები გაუფართოვდნენ. მაშინვე წაჰყვა. გვადიმ იმ ხესთან მიიყვანა, რომელსაც დილით თავი შეაფარა, რომ ფორიას ნაქურდალი ბარგი გადაერჩინა. თვითონ ხეზე ავიდა და არჩილი ძირს დასტოვა. გვადის ზურგს უკან ქამანდად შეკრული თოკი ჰქონდა დამალული. საიმედო დიდ ტოტზე ჩამოჯდა და ქვევიდან შემომცქერალ არჩილს თვალის დახამხამებაში თავი გადმოგდებულ ქამანდში გააყოფინა. მაშინვე ასწია. მერე კიდევ ასწია და ასწია. ვერც კი მოასწრო ჰაერში დაკიდებულმა ფორიამ ერთი „ვაიმეს“ დაყვირებაც კი, რომ გაიგუდა. თავი მოელრიცა. ხელები და ფეხები გააფართხალა, მაგრამ თოკმა კისერზე მით უფრო მოუჭირა და მით უფრო გაიგუდა.

---

* იხ. „მნათობი“ № 12, 1936 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვადიმ თოკის თავი ხის ტოტს მაგრად შემოაკრა და ზემოდან არხეინად გადმოხედა. როცა მსხვერპლს პირიდან ლოშქრი გადმოსდიოდა, გვადის ეს ისე ეამა, რომ ხასანბეგურაც კი წამოიწყო, თითქოს თავისი მანდარინების ამბავი მოაგონდაო, რომლებიც დღეს სასადილოში შეუჭამეს.

— ბანი მითხარი, ჭირიმე, და აგიშვებო, — ჩამოსძახა მაღლიდან და თავისებურად ჩაიხითხითა.

მაგრამ გაგუდულს რა ებანებოდა.

რომ მთელ ამ ამბავს გვადი ნამდვილსავით განიცდიდა, ამის საბუთი ის იყო, რომ ლოგინზე პირაღმა მწოლარე მართლა ხასანბეგურს მღეროდა. მაშინვე შესწყვიტა, რასაკვირველია, ბავშვებმა არ გაიგონონო..

არჩილის სრულ და საბოლოო სიკვდილად გვადის მაინც არ ეჩვენებოდა ეს ჩამოხრჩობა.

— კიდევ უნდა მოვჰკლაო, გადასწყვიტა.

ახლა დიდი მდინარის ნაპირ-ნაპირ გაიყოლა ფორია. ამ შემთხვევაშიც იმავე ნაცად ხერხს მიმართა:

— ქალაქიდან შენმა მეგობრებმა ბარგი გამომატანეს და საიდუმლოდ უნდა გადმოქცეო.

მაღალი ნაპირით მიდიოდნენ. გვადიმ ერთ მოხერხებულ ადგილას არჩილს მოულოდნელად უბიძგა და პირდაპირ მორევში გადაჩეხა.

— მანდ ბსკერზე მაქვს შენახული და ამოიღეო, მიაძახა. არჩილი არჩილი არ იქნებოდა, რომ ცურაობა არ ცოდნოდა. დაჰკრა მხარული და ნაპირისკენ ქადილით წამოვიდა.

— ხელცარიელი მოდიხარო?—გაწყრა ვითომ გვადი. ქვები აიღო და თავში დაუშინა ნაპირიდან.

— ამოიღე თუ არა, ცოცხალს არ გადაგარჩენო.

თავიდან ტვინი ამოასხმევინა. ჩასძირა. არჩილისაგან წყლის ზედაპირზე ეშმაკის თეთრი კუდივით გართხული ტვინიღა დარჩა და ისიც მალე ჩანჩქერის ქაფში გაილესა.

ამან კარგა შეუნელა გვადის ბრაზი. მეორე გვერდზე გადაბრუნდა, შვებით ამოისუნთქა. მაგრამ ცოტა ხანში ისევ ეჭვმა შეიპყრო.

— ეშმაკმა იცის მისი თავი და ფეხი. იქნება, ცოტა ტვინი მაინც ჩარჩა კიდევ თავში და ყვინთვით მეორე ნაპირზე გავიდაო.

— არა, ჩემის ხელით უნდა ამოვხადო სულიო, არ დაწყნარდა გვადი

ამ კვალობაზე დანა გალესა კარგად და შეემზადა. ვითომ ორი დღე დადიოდა ასე მომზადებული და არჩილთან პირისპირ შეხვედრას უცდიდა. მერე, როგორც იქნა, შესაფერი დრო იხელა. ეს მოხდა მაშინ, როცა არჩილი რაღაც საქმისთვის გვადის ჯარგლის კარს მოადგა. გვადი მაშინვე ეცა და შიგ შეათრია. არ მოელოდა ფორია გვადისგან ღალატს. დაიბნა. ამით, რასაკვირველია, ისარგებლა გვადიმ, დაიმორჩილა და ღორსავით ყელი გამოსჭრა. ყანყრატოში ისე ღრმად ჩასცა დანა და შიგ ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრად დაუტრიალა, რომ გულამდის მიაწვდინა. სისლხით შეეღება გვადის ხელი, სახე, ტანისამოსი. ცხადი იყო, რომ ნამდვილად მოჰკლა. ... ბოლომ სულ ჭახუნი გაუდიოდა ხორხსა და მკერდის ძვლებზე. ეს ჭახუნი ნამდვილად ესმოდა გვადის. ახლა კი სად წაუვიდოდა ყელგამოჭრილი და სისხლისაგან დაცლილი ფორია. მაინც აქნა, ნაკუწ-ნაკუწად აქცია და იმავე ხურჯინში ჩაალაგა, რომლითაც დღეს მისი ნაქურდალი ბარგი მოზიდა. ორივე თვალი პირამდის აავსო, ზურგზე მოიკიდა და ტყეში შორს გაიტანა. ქალაქიდან მოტანილ ბარგზე გაცილებით უფრო მძიმე აღმოჩნდა წყეული. მაგრამ მაინც გაუძლო გვადიმ და ძალიან შორს წაიღო.

ბნელი ღამე იყო. ტყეში უფრო ბნელოდა. იქ მშიერ მგლებს უხმო გვადიმ. დააბრიალეს მგლებმა ცეცხლის თვალები. მგლური ყეფა და ზმუილი ასტეხეს, როცა ფორიას ხორცის სუნი ეცათ. გვადის გარს შემოეხვივნენ.

— აბა, ნუღარ აყოვნებ და მოგვეცი.

თითოს თითო ნაჭერი მიუგდო გვადიმ. არც მეტი და არც ნაკლები. რამდენი ნაჭერი აღმოაჩნდა ხურჯინში, იმდენი მგელი მოსულიყო.

— დიდება შენდა, განგებავ!

მთელ ტყეს საშინელი ხრამა-ხრუმის ხმა მოედვა. მგელმა ძვლისა და რბილის გარჩევა როდი იცის. გვადის ყურებს ისეთი საამური ხმა არასოდეს არ ჩასმენია. სანამ არ მორჩნენ ჭამას მგლები, ფეხი ადგილიდან არ მოუცვლია. მორჩნენ თუ არა, ისევ შემოეხვივნენ. კიდევ მოგვეცი. გვადი სიამოვნებით შეაჭმევდა მათ კიდევ ფორიას ხორცს, მაგრამ სამწუხაროდ აღარ ჰქონდა.

არ ეგონა გვადის, რომ ამდენის შემძლებელი იყო. ან ღონე საიდან აღმოაჩნდა ამდენი, ან ხერხი სად იცოდა ამდენი, ან კიდევ ასე რამ გაამწარა. სულ ბურთივით ათამაშა ამოტელა კაცი. საიდან? როგორ?

იქნება თხის ღონე აქვს გვადის, რომელიც მაშინ გამოაჩნდება, როცა კაცი არ მოელის. ალბათ, ამიტომ თუ იყო, რომ მთელი ღამის განმავლობაში ჰკლა და ჰკლა მდევივით ვაჟკაცი, სანამ გული არ მოიჯერა.

მოიცილა კი თავიდან სამუდამოდ — ამიერიდან უკუნისამდე.

გათავდა.

რომ დაეძინა, ძილშიაც არ გახსენებია, სიზმარშიც არ მოლანდებია ფორია, ისე აღმოფხვრა მისი სახსენებელი თავის არსებიდან.

ამ დილას ბარდღუნიასაც კი დაასწრო ადგომა. თუმცა გამოძინებული არ იყო, მაინც ჩიტის სიმჩატე აჰყვა ლოგინიდან. ახალი ნებისყოფის მოწოლაც იგრძნო სხეულში და თავში უჩვეულო აზრები და განზრახვები დაუტრიალდნენ. ტანთ ჩაიცვა თუ არა, მაშინვე საქმიანობას მიჰყო ხელი. თითქოს მთელი თავისი სიცოცხლე ასეთ მუშაობას ყოფილიყო დაჩვეული.

თხა მოწველა. კერიაზე ცეცხლი გააჩალა. კეცზე მჭადი დააკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ბავშვებმა გამოიღვიძეს, გაკვირვებას მიეცნენ. ფარაც კი წარმოიდგინეს, რომ ჯარგვალში ნამდვილად მათი ბაბაია ტრიალებდა მკლავებწაკაპიწებული და არა ვინმე სხვა.

ბარდღუნიას გასაკეთებელი აღარაფერი დარჩენილიყო ოჯახში. ოძის გასაწურავი გვიმრაც კი თავად მოეტანა გვადის.

ყველაზედ უფრო კი ის აკვირვებდა ბალღებს, რომ ბაბაია რატომღაც ხმას არ იღებდა და ასე თავაუღებლად, გულჩათხრობილად მუშაობდა. არა თუ ბარდღუნიას არ გამოლაპარაკებია ჩვეულებისამებრ, ჭირიმიასაც კი ერთხელაც არ წახუმრებია, ხელიც არ წაუკარებია მისაალერსებლად. ეს მით უფრო საკვირველი იყო ბავშვებისათვის, რომ გაჯავრება სახეზე არ ეტყობოდა. პირიქით, ცხადად ამჩნევდნენ, რომ ბაბაია ამ დილით კარგ გუნებაზე იყო.

გამოცდილი ბარდღუნია კი, ცოტა არ იყოს, ეჭვით უცქეროდა მამის ამ უჩვეულო ამბავს. იგი ცნობისმოყვარეობას შეეპყრო და სულ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე წინასწარ გამოეცნო თუ რას მოიმოქმედებდა საბოლოოდ ბაბაია, რაც გუშინ თიკნის გატაცების არ იყოს მოულოდნელი და უცნაური იქნებოდა.

მაგრამ ბარდღუნიას მოლოდინი არ უმართლდებოდა.

სამაგიეროდ ჭირიმიამ კი შექმნა ისეთი განწყობილება ძმებში, რომ ბაბაიას კინალამ გაუქარწყლა მთელი ამდილანდელი ამაგი.

როცა გვადიმ ბალღები ტაბაკს მოუსხა და უფროს-უმცროსობის კვალობაზე ცხელი მჭადჩაფშვნილი რძით სავსე მათლაფები ჩამოურიგა, ჭირიმიამ უცებ თავი აიღო, თვალები გააცეცა და გაკვირვებით მიმოიხედა, თითქოს ვიღაცას ეძებს და ვერ კი დაუნახავსო.

— დეიდა მალიამი სად ალის? — გაუბედავად იკითხა ბოლოს და ბაბაიას ისეთი თვალები შეაშტერა, რომ ეჭვი არ იყო, არ სჯეროდა რომ მის წინ ნამდვილად ბაბაია იდგა და არა მარიამი.

ჭირიმიას მოულოდნელმა შეკითხვამ ძმებს უცებ თვალი აუჭილა. მათთვის ცხადი შეიქნა, რომ ბაბაიას ამდილანდელი საქმიანობა ძალიან ჰგავდა მარიამისას, რომელიც გვადის ბავშვებს დროგამოშვებით ასეთი ცხელი და წესიერი საუზმით უმასპინძლდებოდა ხოლმე. როცა დრო დაურჩებოდა, იგი დილით ადრე შემოივლიდა გვადისას და ჯარასავით დატრიალდებოდა უდედაკაცო ოჯახში. მარიამის მზრუნველობის საგანი განსაკუთრებულად ყველაზე უმცროსი ჭირიმია იყო, რომელიც გულშემატკივარ მეზობელს საბავშვო ბალამდისაც არა ერთხელ მიუცილებია. აქედან იყო რომ ამდილის პატივისცემაც პატარას მარიამის მოძღვნილი ეგონა.

ჭირიმიას სიტყვამ თვითონ გვადისათვისაც უცებ აშკარა გახადა, რომ იგი მართლაც მარიამს ბაძავდა და შვილის დაკვირვება სწორი იყო. შერცხვა.

— ამისგან უთუოდ მზაკვარი გამოვაო, გაიფიქრა უწყინრად. ხოლო სირცხვილი რომ არ დამჩნეოდა, ნაჭაზე ჩამოკიდებულ კარდასთან ჩარჩენილ რძეს მჭადის ნატეხი ამოავლო და ჭირიმიას ფეხებში აწრიალებულ ბუთქიას მიჩენილ ალაგას კუთხეში მიუგდო.

ამის შემდეგ ბავშვები მალე მორჩნენ საუზმეს. აიკრიბნენ და ნაჩვევ გზას დაადგნენ.

გვადისაც დიდხანს არ შეუყოვნებია ჯარგვალში. „კვაწია“ ქოთანში ჩარჩენილ გუშინდელ ლობიოში ბალღებისაგან ნარჩენი მჭადი ჩააფშვნა, ზედ წიწაკა მოაყარა და აზილა. კიდეებზე მიმხმარი ლობიოს ნამცეციც კი არ დაუტოვებია. კარგად დანაყრდა. „კვაწიაში“ ახალი ლობიო ჩაჭყარა და ნელ ცეცხლს მიუდგა. ნაჯახი აიღო და ჯარგვლიდან ფიცხლად გავიდა.

ის იყო კარს ურდული გაუყარა და ალაგესაკენ მიტრიალდა, რომ არჩილ ფორია დაინახა. შესდგა.

— ჯვარი აქაურობას! ნამდვილად მეჩვენება ის წყეულიო, ხმამაღლა წარმოსთქვა. ვითომ არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ის, რაც წუხელ მოიმოქმედა, მისი ფიქრი იყო მხოლოდ და ფორიას კვლავ ცოცხალს ხედავდა.

არჩილმა მხიარული ხმით შემოაძახა:

— მე კი შენთან მოვდივარ, გვადი. გამარჯობა ამხანაგო!

ალაგეზე გადმოალაჯა და გვადისაკენ აუჩქარებელი, თითქოს უდარდელი ნაბიჯით წამოვიდა. ხელში პატარა რაღაცა შეკრული ეჭირა და ცალ ულვაშში მალულად იღიმებოდა.

გვადის ნაჯახის ტარზე ხელი მაგრად მოეჭდო და ადგილიდან არ იძროდა. ხმასაც არ იღებდა..

— გამარჯობა მეთქი, გვადი! არ მომელოდი განა? — დაუტკბილა ხმა ფორიამ.

პირდაპირ სახეში უცქეროდა და მისკენ ისე მოემართებოდა.

გვადი კი კვლავ სდუმდა.

— ხომ არ დამუნჯებულხარ, ჩემო გვადი? რატომ სალამს არ მაძლევ, შე კაი კაცო?

მიუახლოვდა. უცებ შეოცდა. გვადი გვადის არ ჰგავდა, სახე ისე მოღუშოდა. დააკვირდა.

უხმოდ რომ შესცქეროდნენ ერთმანეთს, უხერხულობა ჩამოვარდა.

— მობრძანდი, — წარმოსთქვა გვიან გვადიმ. ეტყობოდა, რომ მასპინძლურმა თავაზიანობამ დასძლია, თორემ დუმილის დარღვევას არ აპირებდა. რაკი პირში სიტყვა გაუჩნდა კინაღამ თავისი განუყრელი „ჭირიმეც“ კი წამოსცდა, რომ დროზე ენა კბილით არ დაეჭირა.

არჩილს გაეცინა. მერე უცებ ხელი გაშალა და ისე გამოუქანა ჩამოსართმევად, რომ გვადის სხვა გზა არ ჰქონდა, — ნაჯახი ... ხელი ჩამოსარმევად დაახვედრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მადლობის სათქმელად მოვედი, გვადი. საქონელი უკლებლად მოგიტანია. — თითქოს ახარაო, ისე გაუცხადა არჩილმა და ხელი მაგრად ჩამოართვა. — უგუნებოდ გხედავ რაღაცა... რა ამბავია? ბალღები ხომ კარგად გყავს?

სახე მზესავით უბრწყინავდა დღეს წყეულს. ისეთი იყო, რომ თვალებიდან სიყვარული მოსკდებოდა, ხოლო პირიდან თაფლი გადმოსდიოდა.

ხურმის ხესთან იდგნენ.

გვადიმ გაოცებისაგან მკლავები ფართოდ გაშალა და უკან დაიხია.

— ამისათვის რატომ შეწუხდიო, ვითომ აგრძნობინა არჩილს.

თავის სიცოცხლეში ასე არასოდეს დაბმია ენა: პირში სიტყვა ვერ მოაბრუნა, მუდამ ულეველი რომ ჰქონდა. ხურმას მიეყრდნო და არჩილს თვალების ისეთი ახამხამებით შეაცქერდა, თითქოს სიზმრისაგან ერკვევა და ვერ კი გამორკვეულაო.

— სამაგიეროდ მეც ეს მოგიტანე, ჩემო გვადი. სიტყვა — სიტყვა უნდა იყოს. ხომ გითხარი ჩემ სიტყვას ბეჭედი აზის მეთქი.

არჩილმა შეკრული გაუწოდა.

შეკრულს ერთგან ქაღალდი შეკეცოდა და გვადიმ ცხადად იცნო ის ბურთულებიანი ხალათი, წუხელ რომ ხურჯინის ბარგის სინჯვის დროს ჭირიმიასთვის აირჩია. დღის სინათლეზე ღია იისფერი გადაჰკრავდა.

— სასწაულს ვხედავ და ეს არისო, — გაჰკრა თავში გვადის და შიშით უკან დაიხია.

— გამომართვი, შე კაი კაცო, — უთხრა ფორიამ. — კი მიგიხვდი, რომ ჩემზე გაჯავრებული ხარ, ასე ცივად რომ შემხვდი. ალბათ, მიწყრები და ისაა. წუხელ გაწყენიე უთუოდ. შენ თვითონ დაფიქრდი, ჭკვიანი კაცი ხარ, გვადი: სანამ ანგარიშით არ ჩავიბარებდი საქონელს, როგორ შემეძლო მომეკლო. შენც კარგად იცი, რომ მარტო ჩემი არ არის... მიირთვი, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს შენს პატარას.

გვადი ყოყმანს განაგრძობდა. მაშინ არჩილმა შეკრული ხელთან მიუტანა. თითები გაუშალა და შიგ ჩაუბღუჯა.

— ოღონდ არსად სთქვა, თუ გიყვარდე, რომ ჩემგან გაქვს.

შეკრული ხელში შეატოვა.

გვადი ხმას მაინც არ იღებდა. მღვრიე თვალებს უაზროდ, დაბნეულად ატრიალებდა და დამბლა-დაცემულივით გაშეშებული იდგა.

ფორიას ცუდად ენიშნა ეს ამბავი. ეგონა, რომ გვადის გაახარებდა და მის გულს ამ საჩუქრით სამუდამოდ მოიგებდა. ერთხელ კიდევ ღრმად ჩახედა თვალებში და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ ნაკბენივით შეხტა. ხელი შუბლზე შემოიკრა, თითქოს რაღაც საშინელი მოაგონდაო. აფხაზურად შეჰკივლა:

— ჰაჰაიტ, ნეტავი იცოდე, გვადი, წუხელ კიდევ რა ბუნდოვან მომ-ვიდა! სწორედ დამნაშავე ვარ შენთან. შენი დანა და ჩემი კისერი. ყუ-რი მიგდე: შენგან რომ შინ დავბრუნდი, დაწოლის წინ, რაც ჯიბეზე ფუ-ლი მქონდა, გადავთვალე. შენც იცი, ჩვეულება მაქვს ასეთი. საყვარელ დედას გეფიცები, კინაღამ ჭკუაზე შევიშალე. გაუტეხელი ტაიცინა თუმ-ნიანი მქონდა აქ, ამ გულის ჯიბეში შენთვის გადადებული. წუხელ უნდა მომეცა, გავიხედე... აკი იქვე ჯიბეში არ აღმომაჩნდა ეს ოხერი. აი, და-ხედე. — გულისჯიბიდან ახალთ-ახალი ქაღალდის ფული ამოიღო და გვა-დის თვალწინ დაუტრიალა. სული არ მოუთქვამს, ისე განაგრძო:

— თურმე ნუ იტყვი, ამის მაგიერ შენთვის სამი მანეთი არ მომიცია? ალბათ, არ დავხედე როცა გაძლევდი. შემოვირტყი თავში ხელი, მაგრამ რაღა დროს იყო. ნახევრად გახდილი ვიყავი და დაბრუნება დამეზარა... ალბათ, ბევრი მაგინე, არა? ჰეე, ცუდი კაცი ხარ სწორედ, ცუდი. ვერ მითხარი, შე კაცო, ამას რას მაძლევო, თუ კი დაინახე? შენი ბრალია. მაწსოვს, რაღაც კი ჩაიბუზღუნე. მაგრამ მეგონა თუმნიანს მიწუნებდი და მეც ამიტომ შემოგიტიე... არ ვარგა, გვადი, არა. ჩვენ შორის მეტი ნდობა და გულახდილობა უნდა იყოს. ჰა, ესეც გამომართვი, შენია.

სთქვა თუ არა ფული მეორე ცარიელ ხელში ჩაუჩარა.

მართლა გაუტეხელი იყო ქაღალდი და ისე გაიტკრიალა, რომ გვადის სმენა მოსტაცა.

ახლა კი შეინძრა გვადი. ჯერ ერთ ხელზე დაიხედა, მერე მეორეზე.

— ნამეტანია, ჭირიმე! — დაარღვია ბოლოს სიჩუმეც და მოულოდნე-ლად, თითქოს უნებურად წამოცდაო, ზედ თავისებური მოკლე ხითხითა სიცილის ნაწყვეტი დაურთო. არჩილ ფორიას არ გამოჰპარვია, რომ ამ დროს გვადის ერთი წამით მოკუმული პირისახე გაეხსნა და მღვრიე თვა-ლებში სინათლე ჩაუდგა. მაგრამ ჩახითხითების სიმოკლე კი არ ეჭაშნიკა. ეტყობოდა, რომ გვადი ჯერ კიდევ თავის ბუნებას არ მოგებოდა.

არჩილმა სიტყვა ასე ჩამოართვა:

— ნამეტანია, თუ ცოტა, რა საანგარიშებელია, ჩემო გვადი. — მხარ-ზე ხელი დაჰკრა მეგობრულად, მერე ზედვე რბილად წაუთათუნა. — ბო-ლოს და ბოლოს ჩემი და შენი ქონება ვინ გაჰყო, ჩემო გვადი. სხვა არა იყოს რა, სოციალიზმის დროს ვცხოვრობთ. — თვალებში ჩახედა. წამით გაჩუმდა და მერე ისე მოულოდნელად და უცნაურად გადიხარხარა, რომ გვადი შეფეთდა. ვერ გაარჩია, მართლა იცინოდა ფორია, თუ ფარულად იმუქრებოდა.

არჩილმა ასევე მოულოდნელად შესწყვიტა თავისი ხარხარი და უცებ ძირს დაგდებულ ნაჯახს დააშტერდა. დაიღუნა და, აიღო.

— ცოდვაა იარაღი,—ხმა დაბლა ჩაილაპარაკა და ნაჯახის ტარი ხელში ჯოხივით მოიმარჯვა. — დაეანგდება, გაფუჭდება... როგორ [illegible]!

ტარზე ცალი გვერდით დაეყრდნო და შეტრიალდა. [illegible] ბუჩქი შეაქცია. წინა ეზოს თვალი შეავლო.

— ოდის დადგმას, ალბათ, ამ ხურმის წინ აპირებ, არა? — დაიწყო გრძლად, დიდი მეოჯახე კაცივით, — არა უშავს რა, კარგი ადგილი ამოგირჩევია... მაგრამ ერთი რამე კი უნდა გთხოვო, გვადი, თუ კაცი ხარ, უარი არ მითხრა. ეს ხურმა არამც და არამც არ მოსჭრა, თუ ჩემი ხათრი გვაქვს. უბედური ალათის მოსაგონრად დარჩეს, შე კაცო! უყვარდა უბედურს მის ძირში ჯდომა. რამდენიც არ გამომივლია აქ, სულ ამ ხურმის ძირში იჯდა თავის დაბალ სკამზე და საქმიანობდა. სახლი წასწია წინ, გვადი, ლობეს დაუახლოვე. მაშინ ხე მოსაჭრელი არ იქნება... დარჩეს, დარჩეს, თუ ძმა ხარ. წინ რომ წაიწევი, სახლისათვისაც უკეთესი იქნება და შენთვისაც... ამბობენ, ახალ ოდებს მეტრნახევარი სიმაღლე ექნებაო! ჩვენი ახალი გზატკეცილი, ალბათ, წინ ხელისგულივით გადაგეშლება, ჩემო გვადი. წამოჯექი აივანზე, ფეხი ფეხზე გადიდევი და ქვეყანა ასე ათვალიერე: თვალს წყალი დალევინე... არა, თქმა არ უნდა, სამოსახლო ადგილი კარგია... მომწონს... წინ წასაწევი ადგილი თუ არ დაგირჩეს შენს ეზოში, მაინცადამაინც შენი მიწა არ გეყოს, შემოიმატე, შე კაცო, ლობის იქით რომ ადგილია. ვინ გეტყვის უარს. მე შენ გეტყვი და პატრონი ჰყავს.

ისევ გვადისკენ შემოტრიალდა მთელი ტანით. მცდელი თვალებით შეხედა, აბა, ახლა რა გუნებაზეაო. გაუხარდა, რომ გვადი ნასიამოვნები იყო, მომხიარულო იერი გადაჰკრავდა და ხარბი თვალები გამოეჭყიტა:

წინა ლობის იქით იცქირებოდა, თითქოს შესამატებელ მიწას ზომავსო.

არჩილი არ მოელოდა, რომ მისი სიტყვა ასე კარგად მოხვდებოდა ნიშანს. ახლა თვალიც ჩაუკრა გვადის.

— იქიდან მეზობელი ქვრივის ეზოშიც ადვილად გადაალაჯებ, როცა მოგესურვება, ჩემო გვადი. — ხმის ქირქილით წარმოსთქვა და ამ შემთხვევაში მართლა გულიანად გადიხარხარა.

ნაჯახის ტარი გამართა და გვადის შეხუმრებით მუცელში ატაკა. შეკივინა:

— ჰაიტ, შე ცულლუტო შენა, არაფერს იკლებ, არა? მე აბა რას გამომაპარებ. განა არ ვიცი, რაც მსუნაგი ხარ მაგ საქმეში. ალათიაც ხომ ორსული იყო, როცა შინ მოიყვანე. ამდენ ხალხს თვალი აგვიხვიე... ვერ მოითმინე ჯვარის წერამდე, ა?

გვადის ცოტა არ იყოს თავმომწონე სახე გაუკეთდა. ვითომ შეიფერა სამამაკაცო შექება.

— მაგრამ ამ სიბერეში რალა ამ მარიამს გადაეკიდე, შე კაი კაცო? მისი ერთი ბარძაყიდან ბიგვების მთელი გვარი გამოიჭრება ქალიან-კაცი-

ანა. ტყვილა კი არ არის დამკვრელი. ჰო და, რის იმედით, ერთი მითხარი, შე ეშმაკის კუდო, რისი იმედით მეთქი? ხომ იცი მე რაც [illegible] ქალების და მარიამს მეც კი შიშით ახლოს ვერ გავკარებივარ [illegible]

ცალთვალი მოხუჭული სახე გვადის ახლოს მიუტანა და, თითქოს საიდუმლოების გამოტყუება უნდაო, ყურთან ჩასჩურჩულა:

— ანკესს თუ მოჰყვება მაინც, ანკესს, როცა გადაუგდებ?

გვადიმ მკაფიოდ გაიგონა, რომ ამ დროს არჩილმა პირი ჩააწკაპუნა და ნერწყვი მადიანად გადაყლაპა.

— ჰა, მარიამზე ნუ იკადრებ ამისთანა სიტყვას, ჭირიმე, — გააწყვეტინა გვადიმ გალაზღანდარების მადაზე მოსულ ფორიას. სიტყვა რბილად უთხრა, ხოლო თვალებით კი უფრო მტკიცედ ანიშნა, რომ ასეთ ხუმრობაში არამც და არამც არ გაჰყვებოდა.

არჩილსაც რა ამისი თავი სტკივოდა. გვადის გამხიარულება უნდოდა, სხვა კი არაფერი, როცა წყენა შეატყო, მაშინვე უკან დაიხია.

— გეხუმრე, ჩემო გვადი, რა ვუყოთ მერე? — მოიბოდიშა. — ვითომ ქალებზე გახუმრება მამაკაცების წესია მეთქი.

ისევ საქმიანი კაცის სახე მიიღო, ისევ ოდის ამბავს დაუბრუნდა.

— ჰო, იმას ვამბობდი, აშენდი კაცი მეთქი, ჩემო გვადი. ახლა სულ ლიწინ-ლიწინით დაიწყება ყველგან ოდების აგება. სანარიელებიც ხომ გვეჯიბრებიან და ისაა... აბა, ვინ ვის ვაჯობებთ და ვინ უფრო მეტ სახლს ავაშენებთო. მგონია, ხვალ რომ კვირაა, მათი დეპუტაცია ჩამოდის შეჯიბრების პირობები დავადგინოთო. ხომ იცი, რომ მეტიჩარა ხალხია. ალბად, დიდი ამბავი იქნება. ერთი ხანია ემზადებიან.

— გვაჯობებენ ვითომ, ჭირიმე? — გაჰყვა გვადი საუბარში არჩილს.

— ვნახოთ...

— სულ კუდით ქვა უნდა ვასროლიოთ სანარიელებს, ჭირიმე! ძველადაც ხომ გადაკიდებულები გვყავდნენ.

არჩილს ენიშნა, რომ გვადის წუხანდელი ჯავრი უკვე გულიდან გადაყროდა, რაკი მასთან საუბრის ხალისი აღძროდა. ახლა უფრო თამამად განაგრძო:

— გერა, ალბათ, თავს არ დაიზოგავს, რომ გაიმარჯვოს. მოგეცა სიცოცხლე, ტყავს გაგვაძრობს, იმდენს გვამუშავებს. მერე ორდენს თვითონ მიიკრავს მკერდზე. გზატკეცილის გაყვანისათვის მოელოდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა: ორდენი რაიონმა წაიღო... არა, მაინც კარგ დროში მოხვდა შენი ოდა, გვადი. დიდი, დიდი ორი თვე და სულ მზად იქნება. შეხვალ შიგ კიდევაც.

— ჰეე, მე რა, ჭირიმე, ობლებს რომ ეშველებათ, ის მახარებს, — ამოიოხრა გვადიამ.

— რატომ, რატომ? შენც არ გაწყენს, ჩემო გვადი, ახალი ოდა. იცი განრიგება რომ მომივიდა, ვისთვის, როდის და რამდენი მასალა უნდა მოვიმარაგო, სიაში თავდაპირველად შენ არ იყავი. წარმოიდგინე, [illegible] თქმა უნდა, მაშინვე გავიქეცი გამგეობაში. ეს როგორ [illegible] ბიგვა გამოგრჩენიათ მეთქი? თურმე დამკვრელი რომ არ ხარ არ ჩაუწერიხართ კანცელარიაში... იცოცხლე, დავუფეთე ეშმაკები! — იცრუ-ფორიამ

— განა არ ვიცი, ჭირიმე, რომ ჩემ თავს არავის დააჩაგვრინებ? ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს, — თვალების გადატრიალებით წარმოსქთვა გვადიმ და ცას შეხედა.

— ა? რას იტყვი, გვადი? ეს მამიჩემის ქარხანა დიდ საქმეს არ შვრება, კაცმა რომ მართალი თქვას? აბა უიმისოდ რას ააშენებდით არ ვნახავდი?.

— მოგეცა სიცოცხლე, ქონებაო სწორედ შენ ქარხანაზე ითქმის.

— სანარიელებსაც უდგიათ ერთი ახალაშენებული, მაგრამ რა შედარებაა. სად ძველად აშენებული და სად ახლანდელი ნაცოდვილარი. თორემ ეს შენც კარგად მოგეხსენება... და ახლა მე შენ გეკითხები, გვადი, პატიოსან კაცად გცნობ და ტყუილს არ იტყვი: ეს არ უნდა დამიფასოთ?

— მერე ვინ გითხრა, არ გიფასებენო, ჭირიმე? შენისთანა პატივისცემა მეორეს ვის აქვს ჩვენს ორკეთში? როგორ გეკადრება!

— ჰო და, მე კი რა მიკლავს გულს, იცი? — თავი მოისაწყლა არჩილმა, — შენ და შენისთანა მეზობლები რომ მაფასებენ, ამას მეც ვხედავ, რასაკვირველია, და კეთილი სიტყვისთვის მადლობელი ვარ შენი, გვადი... მაგრამ შენ თითონ წარმოიდგინე, რა უსამართლობა მჭირს: ორი, სამი ფიცარი რა არის, და ისიც კი ვერ გამომიტანია ჩემი ქარხნის ეზოდან ისე ვარ ამ ბოლო დროს შეკრული და შეზღუდული. ფასათაც კი არ მაძლევენ... მამაჩემის სახლ-კარი რომ წაიღეს, შიგ რაღაც პუნქტები და ფერმები გაშალეს, გული თუ მწყდებოდეს, პატიოსნება შემირცხვეს... გინდა დაიჯერე, გინდა არა.

— ჰეე, რა სათქმელია, ჭირიმე.

თითონაც არ მოელოდა გვადი ისე თანაგრძნობით ამოიოხრა. ამდენხანს ხელში რომ შეკრული ეჭირა უცებ იღლიაში შეიგდო, ხოლო თუმნიანი ღრმად ჯიბეში ჩაიტენა. რაკი სისაწყლეზე სიტყვა ჩამომიგდო, ისევ უკან არ მომთხოვოსო, გაუელვა თავში. შეკრულისა და ფულის დამალვა ისე სწრაფად მოიმოქმედა, რომ არჩილმა თვალი ძლივს შეასწრო.

გვადის ეს საქციელი ჭკუაში დაუჯდა ფორიას. განსაკუთრებულად მოეწონა ის, რომ გვადი გადაგდებულ ლუკმას დახარბებული ძაღლის თვა-

ლებს აცეცებდა, როცა ფულს ჯიბეში იჩრიდა. არჩილისათვის უკვე ცხადი იყო, რომ გვადი მის საჩუქრებს მთელის გულით დაუფლებოდა.

— მაგრამ მეც ხომ ერთი კაცი ვარ... ესე არ არის, ჩემო გვადი? — განაგრძო ისევ თავის მოსაწყლებით არჩილმა. — გემსახურებიდ, ... კაცებო. ცოდნას, გამოცდილებას არ გაკლებთ... ვცდილობ რაც შეძლია. აი, ეს მაინც დამიფასეთ, რას მერჩით? ამხანაგობა თუ არის, ამხანაგობა უნდა იყოს. ამას იმიტომ გეუბნები გვადი რომ ყური მოკრული მაქვს, თითქოს ის შენი მოგვარე კაცი ჩემს დათხოვნასაც კი აპირებსო ქარხნიდან. მერე რომ იცოდე, ვინ უნდა ჩემს ადგილში ჩააყენოს, პირდაპირ სიცილით მოკვდები. აი, ბესო რომ არის, ლაწირაკი კომკავშირელი, შარშან რომ ბრიგადირად მომამაგრეს, ის უნდათ... ვითომ საქმე უკვე შეისწავლაო.

გვადი შეხტა. ბარძაყზე ხელისგული დაიკრა და სიცილი მორთო. სასაცილო რა იყო, მაგრამ ვითომ არჩილს ასიამოვნა.

— მართლა სასაცილოა, ჭირიმე, სად შენ და სად ჯამუია გლახას ბიჭი. — ხითხითით ამბობდა იგი და არჩილის წინ უცნაურად დატრიალებული იყო. მერე უცებ ვითომ გაჯავრდა, აბორგდა და აჯანყდა.

— ტყვილია, არ დაიჯერო! არ დაიჯერო, ჭირიმე! ვინ გაკადრებს, ვინ გაგიბედავს. არამც და არამც. ხალხი არა ვართ, ქუდი არ გვხურავს, ვინ გახლებს ხელს?

— შენი იმედი კი მაქვს, გვადი, მაგრამ... ხომ იცი, ჭიას რომ ფეხი დაადგა, ისიც კი გაიბრძოლებს... ძალიან ნუ გამამწარებენ, თორემ... ცხვარი ცხვარიაო და... ერთი თოფი და ერთი ნაბადი — ტყე კი ღვთით ულეველი გვაქვს. ჩემი ქარხნის ფერფლს შევატოვებ ჩემს მტერს და თავს ისე არ გავიფუჭებ, რომ უწინ ზოგიერთის სახსენებელი არ მოვსპო ამ ქვეყნად!.. ასეა, ჩემო გვადი, აბა მეტი რა დამრჩენია!

— ჰა, ღმერთმა დაგიფაროს, ჭირიმე!.. მაგრამ რომ ამბობ, გერა შენი გვარის კაციაო, იცი, რა გითხრა? მამამისს თემას ბიგვებში ვინ ახსენებდა, ახლა შეიცვალა ყველაფერი თუარა! ჰა, ნამდვილად არ ყოფილა ბიგვა, თუ შენზე მაგისთანა რამე გულში უდევს. ქურდულად შემოთესილია ვილაც და ახლა ბიგვა ვარო! ვერ გაბედავს მეთქი, ჭირიმე, დამიჯერე.

იმის შორეული ანარეკლიც უკვე აღარ ეტყობოდა გვადის, რაც ამ დილით ბავშვების თვალში მას ასე ანსხვავებდა გუშინდელ ბაბაიასაგან. იმის ნიშანწყალიც კი გაჰქრებოდა თვალებიდან, რამაც არჩილ ფორია პირველად მოსვლისას შეაფეთა.

გვადი სავსებით მოგებოდა თავის ძველ ხასიათს, რომლის აღმოფხვრის და უკუგდების პატარა ცდა ხანმოკლე გაუხადა ფორიას სტუმრობამ და ბოლოს კიდეც გაუბათილა.

არჩილის წინ ახლა ისევ ძველი, ნაცნობი გვადი იდგა.

ფორიასაც ეს უნდოდა. ახლა ის უფრო დაუახლოვდა თავის მოსალოდ მიზანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XX

— მე, თუ გინდა, შენი ჭირი წამილია, ჩემო გვადი, ვსთქვათ, რომ თავიდანვე უცხო ვიყავი და არც ახლა მენდობიან... მაგრამ ამ ჩვენს გოჩას რას ერჩიან, ერთი გამაგებინე თუ კაცი ხარ?

— მეც ეს არ მიკვირს, ჭირიმე? — ისე წამოიძახა გვადიმ, თითქოს არჩილმა დაასწრო, თორემ მას ადრევე ამის თქმა უნდოდაო.

— გოჩას საცოდაობა ისე მიკლავს გულს, ვერც კი წარმოიდგენ, ჩემო გვადი. ამისთანა გაგონილა? კაცმა სახლი თითქმის მოათავა და ახლა თავს ესხმიან: არ შეიძლება, შეაჩერეო, მასალას არ გაძლევთო... ასე გამოდის, ონისემ თავისი უნდა გაიტანოს და გოჩასთანა კაცი კი უნდა დაიჩაგროს. ეს სადაური სამართალია, კაცო? მე შენ გეტყვი, შვილი მაინც არ ყავდეს კომუნისტი... მართალია, ქალია, მაგრამ...

გვადიმ აქ ორივე თვალი გაიალმაცერა, ოდნავ მოხუჭა კიდევაც და თითქოს არჩილს შორიდან უყურებსო, ისე შეხედა.

— ქალია კი არა, ქვეყნის თვალია, ჭირიმე, რას ამბობ? ამ ჩვენს კუთხეში მაგისთანა მეორე არ დაბადებულა — აქ გვადიმ განზრახ ენა წააბორძიკა. რაღაც მეტის თქმა უნდოდა, მაგრამ მორიდებისათვის ვითომ თავი შეიკავა. ცოტა უკან დაიხია. დაიმანჭა და ხმას ბოდიშის ფრთხილი კილო დაატანა.

— ჭირიმე, შენს ბედნიერ თვალებს რა ჩემგან სჭირია ახილვა, ან ამდენი ჭკუა რომ გაქვს, ჩემი რას შეგმატებს, მაგრამ ერთი რამე კი უნდა გითხრა მაინც.

— ჰო, მითხარი, გვადი, მითხარი... სიტყვით მაინც გამიკეთე გული შე კაცო, თუ საქმით არ შეგიძლია.

— მოჭრილად უნდა გითხრა, ჭირიმე, ბევრი ნაფიქრი მაქვს და ამიტომ: გოჩას ნაია ნამდვილად შენზეა ზედგამოჭრილი... ბევრიც რომ იუარო, მაინც უნდა შეგრთო და გაგაბედნიერო. აკი სულგანათებულმა მამაშენმაც მიანდერძა: მაგ ბიჭზე თვალი გეჭიროსო.

ახლა საყვედურის გამომხატველი თვალებით შეხედა არჩილს. წამით სიჩუმე ჩამოაგდო, მერე დასძინა:

— მიკვირს, ჭირიმე, რომ ამდენ ხანს ეს აზრად არ მოგსვლია... ეეჰ, სიყმაწვილე უდარდელია და ამიტომ, ალბათ.

— შენც ჩემი დაქვეითება გსურვებია და ეს არის, ჩემო გვადი. არ გრცხვენია მაინც, რომ სალანდიას მრთავ? სხვა ვერავინ გაიმეტე ჩემთვის, არა? — იწყინა ვითომ ფორიამ, რომელიც სრულიად არ მოელოდა გვადისაგან ასეთ წინადადებას.

— ერთი ნაკლი ვის არა აქვს, ჭირიმე? რა ვუყოთ, რომ სალანდია. შენს გვარზე რომ გადავა, სალანდიად ვილა ახსენებს? ასეა, ჭირიმე, და ნურც დაფიქრდები, მალე გააკეთე ეს საქმე, თუ მამაშენისა ... გინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ გვადის რაღაც უცნაური აჩქარება დაეტყო. თვალები სულ გაუბრწყინდა და სახეზე სისხლი წამოაწვა. ასე მიუახლოვდა არჩილს. ცერზე შესდგა, რომ ყურთან ახლოს მისწვდენოდა. საიდუმლოდ შესჩურჩულა:

— ჭკვიანი ხარ მეთქი იმიტომ გითხარი, ჭირიმე, რომ ვიცი, ანგარი რიშიც კარგად გეხერხება, ცხონებულმა მამაშენმა რომ იცოდა ისეთი ჰო და, გოჩას რომ ვაჟი არ ჰყავს მისი ძველი სახლიც შენი იქნება და ახალიც. რაც გააჩნია და აბადია, სულ შენზე გადმოვა. ასე არ არის? აბა დაუფიქრდი ჩემს სიტყვას.

ისევ მოშორდა. უცებ ისევ ჩაიხითხითა, თითქოს მკერდიდან ნიაღვარი წამოსკდაო

— წართმევასაც ვინ გაგიბედავს, ჭირიმე, როცა თვითონ წამრთმევი გვერდით გეყოლება. მიმიხვდი თუ არა?

ჩვეულებრივზე უფრო გააგრძელა ხითხითი. სულ აუწია და აუწია. ხმას ყივილიც კი დააწყებია. ეტყობოდა, რომ თავში მეტად მხიარული აზრი უღიტინებდა. სიცილისაგან ათახთახებულ მუცელზე ხელები მიიჭდო, წელში მოიკეცა და არჩილის წინ წყალმიშვებული დოლაბივით დატრიალდა.

არჩილისათვის გაუგებარი იყო გვადის ასეთი ყოფა. მაგრამ რაკი მისი სიცილი მეტად მადიანი ეჩვენა, თვითონაც აჰყვა. ამან უფრო წაახალისა გვადი.

— არ გეგონოს, ჭირიმე, თქვენს ქორწილში რომ ხარი დაიკლება იმის ტყავს გთხოვდე, თუმცა ადათითა და ღვთის კანონით დღეის იქით მე მერგება. უარს ვამბობ, ეს ახლავე გამომიცხადებია შენთვის, რომ იცოდე, ჭირიმე! მაგრამ არც ისე ივარგებს, რაკი ამდენი გემატება და ბედნიერდები, სულ ხელცარიელი დამტოვო. ამას არც შენ იკადრებ, ჭირიმე... პატარა სათხოვარი მაქვს და უარი არ მითხრა, იმ მამაშენის სულს გაფიცებ.

სულ ხელები უცახცახებდა მოუთმენლობისაგან, ამას რომ ამბობდა.

არჩილსაც დიდი ცნობისმოყვარეობა აღეძრა, რა უნდა იყოს ასეთიო.

— კი მაგრამ რა არის ამისთანა, გვადი, სული რომ გძვრება, სანამ იტყოდე? მითხარი, შე კაცო, და ის იქნება. რა უცხო კაცი მნახე, ან რა იქნება ისეთი, რომ არ აგისრულო, რადგანაც ჩემზე ამდენს ზრუნავ.

ისეთი თვალები დაანახა, თითქოს წინასწარ ყაბულს გაუხდაო.

გვადი უფრო გათამამდა. სალოკი თითი გულთან მიაბჯინა, რომ თხოვნა ბეჯითი გამოსვლოდა.

— დიდ საქმეს დიდი ჩამორჩენაც ხვდება, ჭირიმე, აბა!

სული მოითქვა, თითქოს მოემზადაო და მერე ერთბაშად რაღაც ტოტებით წარმოსთქვა:

— როცა საქმეს მორჩები, ჭირიმე, საცა სამართალია, გოჩას ბიკარა მე და ჩემ შვილებს უნდა გვერგოს.

სთქვა და არჩილს გაკვირვებაც კი არ დააცალა, გაშლილი ხელის გული პირთან მიუტანა, ვითომ დახშვა მოუნდომა.

— პა, პა, პა! უარი არ გამაგონო, ისედაც არ წამოგცდეს ტყვილად, ჭირიმე! არ დამიღუპო ბარტყები.

— დაიცა, გვადი, — შეაყენა ფორიამ. გამოშვერილი ხელი დაუჭირა და ფრთხილად ძირს ჩამოაშვებინა.

ცოტა არ იყოს დაბნეული იყო არჩილი. ყოველ მის წარმოდგენას აღემატებოდა ის, რასაც მას გვადი სთხოვდა.

— კი, მაგრამ... — დაიწყო და ვერ გააგრძელა. სიტყვა გამოლეოდა.

— კი თუ არა, კი თუ არა? — აბეზარა ბავშვივით მიეძალა გვადი. არ მოეშვა.

არჩილს იმიტომ კი არ უჭირდა პასუხის გაცემა, რომ გოჩას კამეჩის ჩუქება ენანებოდა. გაოცებას შეებოჭა იგი, ამისთანა რამე საიდან მოუვიდა ახლა გვადის ჭკუაშიო.

— ღმერთს ვფიცავარ, გვადი, თვითონ ის შენი ქებული ნაიაც რომ გეთხოვა, დამითმეო, ამდენი არ გამიკვირდებოდა. მე შენი ვერაფერი გამიგია: ან დიდი ეშმაკი უნდა იყო, კაცი ვერ მიგიხვდება ისეთი, ან დიდი ბრძენი, ჯერ რომ არ გაჩენილა ისეთი. რადგანაც ასეა შენ თვითან მასწავლე, ჩემო გვადი, შენს თხოვნაზე რა გიპასუხო: კამეჩი ხომ გოჩასია?

— შენი რომ გახდება, მაშინ, ჭირიმე, შენი! — მოკლედ და ბეჯითად მოუჭრა გვადიმ.

— მაშინ კამეჩს კი არა, სულს არ დაგიჭერ, ჩემო გვადი. კეთილი, ყაბულსა ვარ.

მაგრამ აქ ტანი მაღლა აიზიდა არჩილმა. გაიმართა, ხელები ზურგსუკან დაიკრიბა და გვადის ზევიდან ასე დახედა. თითქოს გამოუცნობ და ეშმაკურ რასმე ამოცანას ეკითხებაო ღიმილით მიმართა:

— ეს ყველაფერი კარგი, ჩემო გვადი, ოღონდ იმაზე რას იტყვი, რომ გოჩამ მანამდე თავისი კამეჩი გაჰყიდოს?

— ჰა, როგორ შეელევა, უმალ დედამიწა გადატრიალდება... არა, ეს არ იქნება, ჭირიმე.

— კი მაგრამ რომ იქნეს? მაშინ რა ვქნათ, შე კაცო?

— არამც და არამც არ იქნება! გოჩა ყველაფერს გაჰყიდის, კამეჩს კი არა.

— მგონია გოჩა კიდევ სხვანაირად ფიქრობს, ჩემო გვადი, აი, სწორედ წუხელი იყო ჩემთან და ერთხელ კიდევ შემომჩივლა თავისი გასა-

ჭირი. მითხრა: თუ აქ არაფერი მოხერხდა, სადმე განზე, სხვაგან უნდა შევიძინო მასალა, რაც უნდა დამიჯდესო. ალბათ, ნიკორა უნდა გავყიდო, სხვა გზა არა მაქვსო... სახლს კი თავს ვერ დავანებებო.

ამის გაგონებაზე გვადის სახე მოექცა. თითქოს ენა ჩაუვარდათ, ერთ-ფერი სთქვა.

— ამდენ ხალხში დაქადნებული სიტყვა როგორ უნდა გამიმტყუნდესო და ონისეს დასაცინავად თავი როგორ გავიხადოო. ასე მითხრა და მართალიცაა, კაცმა რომ სთქვას. რა ქნას საწყალმა კაცმა...

— ჭირიმე, დავიჯერო, რომ შენ მოინდომო, ვითომ ვერ უშველი ამ საქმეს.

გვადის ცრემლიც კი მოსდგომოდა თვალებზე. უბედურზე უფრო უბედურად გამოიცქირებოდა. ეს რა საშინელი ამბავი შეიტყო?

ასე ხელიდან როგორ უნდა გამოცლოდა ნიშანში ამოღებული, მთელი გულით შეყვარებული და უკვე თავისად მიჩნეული გოჩა სალანდიას მეწველი კამეჩი.

— მარტო ჩემი მონდომება რას გააწყობს, ჩემო გვადი? როცა შეგეძლო, ვშველოდი კიდევაც, რა დაგიმალო. ახლა კი სხვა დრო დადგა. ეჰ, რა ბევრი გელაპარაკო: გადაქეჟილს გადატეხილი სჯობიაო, ხომ გაგიგონია, და მეც მოჭრილად უნდა გითხრა ერთი რამე. შენთან რომ მოვდიოდი თავში აზრი დამიტრიალდა. წარმოიდგინე, ჭკუაში დამიჯდა... ახლა რომ ვაკვირდები, შენთვისაც მეტად სახეირო გამოდის. იქნება, ის კამეჩი მართლა ხელიდან არ წაგივიდეს. გადავწყვიტე, გვადის ვეტყვი მეთქი, თუ მომიწონა — კარგი, თუ არა — ჯანაბას გოჩა და მისი ოდაც მეთქი. არა, გულახდილად ვსთქვათ, ჩემო გვადი: გოჩა ხელსაკრავი კაცი არ არის. განა ცოტა ამაგი მიუძღვის, თუ გინდა, შენი ოჯახისადმი? კეთილი საქმე კაცს არ უნდა დაუვიწყო, ხომ ასეა? მერწმუნე, გოჩასთანა მეზობელი ამ ჩვენს ორკეთში მეორე არ არის, ჭირში თუ ლხინში რომ აგყვება... კაცობა სწორედ ამას ქვიან. ჰოდა, თუ რამე შეგვიძლია ამისთანა მეზობელს ჩვენც ხელი უნდა მოვუმართოთ. ჭირში უნდა, გვადი, მეზობელი, ჭირში, თორემ ლხინში ყველა კი გემეზობლება.

— მე რომ დაქცეული კაცი ვარ, რა შემიძლია, ჭირიმე, თორემ თავს არ დავიზოგავ, შენც კარგად იცი. ამასწინათ კიდევაც ვუთხარი გუჩას: ფიცრის თავიც კი ვერ აგიწიე მეთქი, სინიდისის მოსაწმენდად, და გული მტკივა მეთქი. მართალიცაა, ჭირიმე.

— ჰო და გული თუ მართლა შეგტკივა, გოჩას მშველელი მხოლოდ შენა ხარ და სხვა არავინ. გინდა — გააყიდვინებ კამეჩს, გინდა — შეარჩენ. როგორც ვსთქვი, შერჩენა იმას ნიშნავს, რომ მერე შენი გახდება და ისაა...

გვადიმ ყურები დასცქვიტა. თან ეჭვით შეხედა ფორიას, ხომ არ დამცინისო. მაგრამ არჩილს საქმიანი სახე ჰქონდა. ეტყობოდა, არ ხუმრობდა.

— აი, გითხრა, ოღონდ კარგად მომისმინე: როცა გამგეობის განრიგება მივიღე, თუ ვის რამდენი მასალა არგუნეს, პირველ რიგში მე, რა თქმა უნდა, შენთვის გადავაწყე ფიცრები და ჩემს ანდრიასაც ეთხარი: ეს ყორე გვადი ბიგვას ეკუთვნის და ყველაზე უწინ ურემზე ის დაუდევი მეთქი... ვსთქვათ, ორმოცი ფიცარი უნდა გადამეწყო შენთვის... მე კი ორმოცის მაგიერ სამოცი გადავათვლევინე, ესე იგი ოცით მეტი... საქმე, ჩემო გვადი, ფიცრის გამოტანაა ქარხნის ეზოდან. კონტროლი თვალყურს ადევნებს, ვისთან მიდის მასალა, ბარათს სინჯავს. გოჩასთან მიგაქვსო რომ ვსთქვათ, არ შეიძლება, არ დაგვანებებენ, რადგანაც განრიგებაში გოჩა სალანდია არ სჩანს. გვადი ბიგვას მასალას კი გზა ხსნილი აქვს... ამნაირად, ჩემო გვადი, ანდრია რომ სამოც ფიცარს მოგიტანს, მიღებაზე ხელი არხეინად მოუწერე, ოღონდ ის კი არ დაგავიწყდეს, რომ ზედმეტი ოცი გოჩას ეკუთვნის, და შენი მხოლოდ ორმოცი იქნება. მორჩა და გათავდა. ორჯერ რომ ასე მოხდება, გოჩასაც ახლა მეტი აღარ უნდა. შენც დასახლდები და ისიც... ხომ გაიგე, რაც გითხარი.

გვადიმ პასუხი დააგვიანა. ისევ უცნაურად გულჩათხრობილად აეხამხამებია თვალები, როგორც ამას წინათ, როცა არჩილმა საჩუქრად მოტანილი შეკრული გაუწოდა.

— ვერა, ჭირიმე, ვერ გავიგე. — უპასუხა ბოლოს და სახე ისეთი გულუბრყვილო, სულელური გაუხდა, რომ მისი პატრონისაგან სხვა პასუხი მართლაც არ იყო მოსალოდნელი.

ცუდად ენიშნა ეს ფორიას.

გაუგებარი რა უნდა ყოფილიყო მის სიტყვაში, განსაკუთრებით გვადისათვის, რომელსაც არა ერთხელ პირველი სიტყვიდანვე გაუხსნია არჩილის უფრო რთული და ეშმაკური განზრახვების კვანძები.

— კი მაგრამ, რა ვერ გაიგე, გვადი ჩემო, — დაუწია ხმას არჩილმა. — სამ ფიცარში, რომელიც შენ მოგივა. ორი შენი იქნება, ერთი კი გოჩასი. რა არის ამაში გაუგებარი, აბა დაფიქრდი.

გვადიმ ისეთი სახე უჩვენა, თითქოს ღრმად დაფიქრდაო.

მერე უცებ ცალ ხელის თითები გაფარჩხა ორი მოკეცა და სამი გამართული თვალებთან ახლოს მიიტანა. ისე დააცქერდა, თითქოს პირველად ხედავსო. ამ დროს არჩილის მიეშველა.

— ჰო, ასეა, ჩემო გვადი, კარგად ანგარიშობ. ეს ხომ სამია? ერთი მოკეცე, აი ასე. — თითონ მოუკეცა ერთი თითი. — ვითომ გადაგიგდია. რამდენი შეგრჩა გამართული?

— ორი. ეს უეჭველია, ჭირიმე.

— ეს არის და ეს. მეტი კი არაფერი. ამას შენი ჭირიმიაც იანგარიშებს, შე კაცო.

გვადიმ არჩილის მიერ მოკეცილი მესამე თითი უცებ ისევ გაშალა და იმ ორს გვერდით ამოუყენა, გაათამაშა. თანაც არჩილს ისე შეხედა, რომ უსიტყვოდ მიახვედრა: ეს მესამეა რომ მაწუხებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაცო, გადააგდე იქით. გითხარი შენი არ არის მეობა.

— ხელი ხომ უნდა მოვაწერო, ჭირიმე.

— მერე რა? რა გენაღვლება? შენ შენი ხომ არ დაგაკლდება. რა დიდი კომისარი მყავხარ, რომ ასე უფრთხილდები ხელის მოწერას.

— ნასწავლი რომ არ ვარ, ეჭვი მებადება, ჭირიმე... ხომ არ მატყუებს მეთქი.

არჩილმა მოთმინება დაჰკარგა.

— რას მიქვიან „ეჭვი მებადება, ხომ არ მატყუებს", — მოიმიზეზა მან გვადის სიტყვები და გაჯავრდა. — ვინ გგონივარ მართლა? რა არის ეს ძვირფასი ხალათი, ან ეს ფული, თუ მე შენ გატყუებ? კაცის ცნობა დაჰკარგე? ამაგს რომ მიქარწყლებ, მლანძღავ და მაგინებ, ვითომ რაო? შემირცხვეს ეს ულვაშები თუ... — ვითომ ბრაზმა სიტყვა არ დაასრულებინა, თითი აიკრა ცალ ულვაშზე, განიერი ბეჭები აათამაშა, წელზე რევოლვერის ბუდე შეაქანა და გვადის წინ მოკლე ნაბიჯით გაიარ-გამოიარა. — რას მიქვიან, ღმერთო კი მომკალი!

რა ნახა რომ ფორია გაბრაზდა გვადიმ მესამე თითი მოკაკვა.

— უარი რომ არ მითქვამს, ჭირიმე?— უკან დაიხია გვადიმ.

— უარია მაშ რაა? ხელის მოწერა არ გინდა. აბა ისე ვინ მოგცემს ფიცარს, ბავშვი ხომ არა ხარ? იქნება, მე მთვლი ბავშვად? ეს მაჩუქეო, ის მომეციო. დღეს კიდევ გოჩას კამეჩი გამომტყუე. სულელი ვარ, რომ დაგთანხმდი. აბა, როგორ მოგცე, როცა ხელის განძრევაც არ გინდა. მართლა ყმა ხომ არა ვარ შენი, რომ ყველაფერი აგისრულო და შენ კი კაცად არ ჩამაგდო. სად გაგონილა ასეთი ამბავი. როგორ გეკადრება?

გოჩას კამეჩის ხელმეორედ ხსენებაზე გვადის იერი შეეცვალა. ახლა უფრო ბეჯითად შესძახა არჩილს:

— უარს არ ვამბობ მეთქი, ხომ გითხარი, ჭირიმე.

მაგრამ არჩილი ამით არ დაკმაყოფილდა.

— ჰმ ხელის მოწერაო, დაგიჩემებია! შე კაი კაცო, ცარიელ ქაღალდზე ხომ არ გაწერინებენ ხელს. მერე ორიოდე ფიცარი რომ დროებით გოჩას ათხოვო, რომ კამეჩი არ გაყიდოს, რა დიდი საქმეა. მით უმეტესი, როცა ეს კამეჩი ... — აზრი განზრახ არ დაასრულა და ისე განაგრძო: — ამას გარდა კიდევ იმას გეუბნები, შენს ოდას არაფერი დააკლდება მეთქი. მეტი რა გინდა, კაცო?

გვადიმ ხელი მაღლა ამართა, არჩილის თვალწინ სამივე თითი დაატრიალა, მერე ერთი მოკეცა და ბეჯითად წარმოსთქვა:

— ჰა, ჭირიმე! ჰა, შენი თვალით დაინახე, რასაც გეუბნები... ოღონდ შენი სიტყვაც არ დაივიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXI

როცა ორკეთის კოლმეურნეობა ახალი ოდების მშენებლობას შეუდგა, მეზობელ სანარიელებს ეს ამბავი შეუნიშნავი არ დარჩენიათ. ჯერ შინაურობაში ასტეხეს განგაში:

ორკეთი წინ გვისწრებს და როგორ მოვიქცეთ, რომ არ ჩამოვრჩეთო.

მერე ორკეთელებს ფიცხლად დიდი სამდურავიც შემოუთვალეს:

— ტყე და ქარხანა ჩვენცა გვაქვს, ოდები ჩვენც გვჭირია და შეჯიბრებაში რატომ არ გამოგვიწვიეთო. რაც ამ ახალ დროში წესად გვაქვს, რატომ დაივიწყეთ და განზე გაგვიდექით. გინდათ არ გინდათ, ჩვენს შორის შეჯიბრება უნდა მოხდეს და უკან არ ჩამოგრჩებითო.

ორკეთლები, რა თქმა უნდა, უკან არ დაიხევდნენ.

ორკეთისა და სანარიის ურთიერთ დამოკიდებულებას თავისი ისტორია ჰქონდა და სანარიის გაფიცხებაც ამ ისტორიიდან გამომდინარეობდა.

საქმე ის არის, რომ ეს ორი სოფელი ძველთაგანვე, თუმცა კარგი მეზობლები იყვნენ, მაგრამ ამავე დროს ერთმანეთის სასტიკი მიმბაძავნი და მეტოქენიც. ამ უკანასკნელ გარემოებას მათ შორის არა ერთი და ორი დიდი უსიამოვნება გამოუწვევია ძველად. ხანგრძლივი ჩხუბისა, დავის და მდურების მიზეზიც კი გამხდარა. მაგრამ ახალი ცხოვრების პირობებში მათ ძველებურ უმიზნო ქიშპობას ნიადაგი გამოცლოდა. მისი ადგილი ახლა კანონზომიერ სოციალისტურ შეჯიბრებას დაეჭირა, რომლის წყალობით ორთავ კოლმეურნეობას არა ერთი გამარჯვება რგებია წილად, და მათი სახელი რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობათა საპატიო დაფაზედაც აღბეჭდილა.

კვირა იყო და დილიდანვე ორკეთი სანარიის კოლმეურნეობის დელეგაციის დასახვედრად ემზადებოდა. ხალხი დიდ ზეიმს და ამბავს მოელოდა.

რაკი დასვენების დღეც იყო, ორკეთლებს ისედაც სადღესასწაულო განწყობილება ჰქონდათ. კვირაობით კოლმეურნეობის სახლის ეზოში ყოველთვის სხვადასხვა გასართობი ეწყობოდა—ცეკვა-თამაში, სიმღერა, ბურთი — რაც შეღამებისას კინო-სურათის აუცილებელი ჩვენებით ან კომკავშირლების მიერ გამართული წარმოდგენით თავდებოდა.

ნაშუადღევს უკვე შინ აღარავინ აპირებდა დარჩენას. კოლმეურნე იყო თუ კერძო, დიდი თუ პატარა, ყველას საკოლმეურნეო ეზოსკენ ეჭირა თვალი, სადაც მეზობლებთან შეხვედრა იყო დანიშნული საშეჯიბრო ხელშეკრულების დასადებლად.

სხვებს არც გვადი ჩამორჩებოდა თავის შვილებითურთ. მისი უფროსი ვაჟი, ბარდღუნია, დილიდანვე წასულიყო სახლიდან. ნაიას

და ელიკოს დაებარებიათ — კოლმეურნეობის ეზოს მორთვაში დაეხმარეო. მერე უმცროსებსაც შინ არ მოეცადათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითონ გვადი დღეს მაინცადა-მაინც გუნებაზე ვერ იყო. ბევრ ფიქრობდა, თი ამბავი დაემართა, რასაც არ მოელოდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ საყვარელ ჭირიმიას არჩილი ფორიას მიერ გუშინ მოძღვნილ ხალათს ჩაცმევდა და სანარიელების საზეიმო შეხვედრაზე ასე გაისტუმრებდა. ამისთვის შემოენახა გუშინდელს აქეთ: უცებ გავახარებ პატარასო.

მაგრამ ამ დილას ეს თავისი გადაწყვეტილება არამც თუ ვერ შეესრულებია, გამოჩენითაც კი ვერ გამოეჩინა ძვირფასი საჩუქარი. ჯერ ეგონა, ეს იმიტომ მოუვიდა, რომ დანარჩენ ბავშვებს გული არ დასწყვეტოდათ. მოერიდა, მამა რომ იყო. თავი რომ შეიკავა და მერე ფიქრში შევიდა ამას სხვა მიზეზიც დაემატა უფრო საყურადღებო და უფრო ჩამაფიქრებელი: ასეთ უჩვეულო ხალათს რომ დაინახავდა ბარდღუნია, უთუოდ უნდობლად, ეჭვით შემოხედავდა და ჰკითხავდა:

— ეს რა არის, ბაბაია, ამისთანა რამე სად გიშოვნიაო?

ვსთქვათ ბარდღუნიასთვის აეხვია გვადის თვალები. მარიამს ხომ ვერ დაარწმუნებდა, ვერ ეტყოდა: ბაზარში ვიყიდეო, თავის სიცოცხლეში რომ არ უყიდია ისეთი რამე.

ასეთ ფიქრებსა და ჩხრეკას რომ გაჰყვა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს ხალათი სრულიად გამოუდეგარი იყო მისთვის და ბოლოს უბედურებასაც რასმე გადაკიდებდა. ნაქურდალი ეგონება ვისმე და შეიძლება კიდევაც დამიჭირონო.

ადვილი საქმე კი არ იყო გვადისათვის ამ აზრთან შერიგება. ამდენი წვალებით ნაშოვნი ხალათი უქმად ურჩებოდა.

და, იქნება, ის სამი თითი, რომლებზედაც გუშინ ფორიამ საოდო ფიცრები უანგარიშა, გვადის იმიტომ არ მოუკეცავს მას აქეთ, რომ წინათგრძნობა აწუხებდა: ამისაგანაც სიკეთე არ გამოვაო.

ამდენი ფიქრითა და ჯავრით დატვირთული გვადი არც კი წავიდოდა დღევანდელ დიდ შეკრებაზე, რომ სანარიელების ძველი ქიშპობისა და დავის შემსწრე არ ყოფილიყო და იმდროინდელი მათი ჯავრი და ჟინი ახლაც გულში ჩარჩენილი არ ჰქონოდა.

კაცმა რომ სთქვას, დღის შესაფერისად არც კი ეცვა გვადის. სანარიელების ამბავი რომ იცოდა, ეჭვი არ ჰქონდა რომ ისინი დიდის რიხით ჩამოვიდოდნენ, — ხანჯლიანები, წვერიანები. წინადაც ჩაცმა დახურვას გადაყოლილი ხალხი იყვნენ და ამით თავიც კი მოჰქონდათ ორკეთლების წინაშე.

სხვენზე შეგდებულ ძველ სკივრში გვადის რაღაც ჩასაცმელი კი ჰქონდა შემონახული, ალათიაზე ჯვარი რომ დაიწერა იმდროინდელი. მაგრამ ცაეჭვოა, რომ ახლა გამოდგომოდა. რამდენი ხანია, რომ არც კი მიუკითხავს, არ გაუმზეურებია. ჩრჩილი შეჭამდა უთუოდ.

მამის ძველებური ყამა კი უტყუარად ეგულებოდა იმავე ყივრში, მაგრამ რა სასაცილო იქნებოდა, რომ ამ დაფლეთილ ჩოხაზე შემოერტყა. ესეც არ იყოს, გვადის თვითონაც არ ახსოვდა, რომ ოდესმე ეჭერალი რტყმოდა.

მაგრამ რახან წაუსვლელობა არ იქნებოდა, ისევ რაც ტანზე ეცვა, იმას მიხედა. უფრო ჩოხაზე იზრუნა, რასაკვირველია, საცა გარღვეული ნახა, საჩქაროდ მილამბ-მოლამბა. ღილებს ადგილი გამოუცვალა. შეავიწროვა ვითომ, მუცელს შემიწევს და წელის ნამდვილ ნაკვთებს გამომიჩენსო.

ქალამანიც გამართა, თასმით რომ ჰქონდა ფეხზე აკრული. უთასმოთ მოირგო.

როგორც გვადი ბიგვას, არა უშავდა რა, რომ ტანზე დაიხედა.

ამ სახით იცნობდნენ. დღესაც ამ სახითვე ნახონ.

ნელი ნაბიჯით გაუდგა გზას კოლმეურნეობისკენ.

ხელები ზურგს უკან დაეწყო. ამდილანდელი ჯავრი, ხალათის ამბავმა რომ შეჰყარა, გულზე ცოტათ გადაუვიდა. მაგრამ მაინც ფიქრებში ყოფ გართული. მარჯვენა ხელზე ისევ სამ თითს ათამაშებდა ვითომ მალულად. ისინი არჩილის წინადადების შემდეგ ერთხელაც კი არ შეუსვენებია.

— დასწყევლოს ღმერთმა, კაცის ჭკუა რას არ გამოიგონებსო, — ამბობდა გუნებაში.

თითებს რომ აკვირდებოდა, ამჩნევდა, რომ სამიდან ერთი, სწორედ ის, რომელზედაც ფორიამ უთხრა — შენი არ არისო, — დანარჩენ ორთან ჯერ კიდევ ვერ მოერიგებინა, მათ გვერდით ვერ მოეთავსებინა. არჩილის რომ არაფერი სჯეროდა საერთოდ, ახლა იმაშიც შეეტანა ეჭვი, ორი და ერთი მართლა სამს შეადგენდა თუ არა, ან თუ შესაძლებელი იყო და მართებული, სამის დანაწილება ცალკე ორად და ერთად.

თითების ანგარიშიდან გოჩას კამეჩზე გადაიტანა ფიქრი. სიტყვა-სიტყვით მოიგონა, თუ რა ფანდებს მიმართა გუშინ, რომ არჩილ ფორიასათვის დაპირება დაეტყუებია: — როცა გოჩას ჭონებას დაეპატრონებოდა. მისთვის კამეჩი ეჩუქებია.

მარჯვედ მოუვიდა ეს გვადის. უცებ მოიაზრა. ელვასავით.

ხალათის საქმეში უღალატა ჭკუამ. თორემ ისე იშვიათად მოსვლია გვადის მარცხი. ჭკუა ყოველთვის კარგად უჭრიდა.

ხალათის ამბავი უფრო უნახავი თვალისა და სიხარბის მიზეზით მოუვიდა. ჭკუისთვის არ უკითხავს მაშინ. მაგრამ ამდილას რომ ჰკითხა, ა.. კი კიდევაც არ გამოაჩენია.

ისევ თავის გუშინდელ ფანდებს დაუბრუნდა. თავი შეიქო გუნებაში. ამან შეუცვალა ხასიათი, შეახალისა.

— ის როგორ იყოო, — ჰკითხა ახლა თავის თავს, — რომ ფორიას ნაია შერთეო?

და შესდგა. მიმოიხედა, ახლოს ხომ არავინ არისო. მერე ფუცელი შეიგდო და წელში მოიღუნა. ასე წინასწარ დიდი და ხანგრძლივი სიცილისათვის გაემზადა.

იმდენი იცინა და იცინა, სანამ თვალებიდან სულ კურცხლები არ გადმოჰყარა.

— შერთული შერთე, ჭირიმე? გარიგებული საქმე გაარიგეო, ძლივს ახერხებდა თქმას და ფრუტუნსა და ხითხითს ერთად განაგრძობდა.

მაგრამ ფორიაც რომ მაშინვე დაჰყვა მოქნილი ღვედივით, ვითომ აზრადაც არასოდეს მოსვლოდეს ნაიას შერთვა და გოჩას ახალი ოდის დაპატრონება.

აქ უთუოდ ფორიას რაღაც მამაძაღლობა იმალება, თორემ გვადის თავი ასე რატომ მოატყუებია?

ბაგრამ არაფერია, გვადი ამასაც გახსნის ბოლოს.

— ა?.. კიო, მიირთვიო, ბატონი ბრძანდებიო, არც კი დაფიქრებულა ის ყურუმსაღი, ისე დაყაბულდა კამეჩის ჩუქებაზე.

გვადი სულელი კი არ არის, რომ ფორიას სიტყვა ნაღდი ეგონოს... მაგრამ კაცს რომ სიტყვას ათქმევინებ, პირობას მოაცემინებ, ამასაც თავისი მნიშვნელობა და ძალა აქვს.

კაცის პირობა ანკესივითაა. ანკესს კი ხან ამოყვება თევზი, ხან არა. უნდა სცადო კი — ანკესი წყალში გადააგდო. ჰო და, გვადის რა ენაღვლება: თუ შეასრულა, ხომ კარგი, თუ არა-რას კარგავს?

აი, ხალათის მოცემაც არ უნდოდა არჩილს. არ უნდოდა. რას ქვიან? უთუოდ არ უნდოდა. რა თქმა უნდა, არც თუმნიანის გამეტება უნდოდა, ალბათ. მაგრამ გვადის ანკესს ბოლოს ერთიც მოჰყვა და მეორეც.

რაკი ფორია გოჩასთან მორიგებულია, მის ქალს უთუოდ შეირთავს. ეს გათავებული საქმეა. გვადისაც სათქმელი ექნება:

— მე ჩაგაგონე და, აბა, შენი პირობა სად არისო!

არა, თქმა არ უნდა, მოსაგებ საქმეში შერგო თავი გვადიმ და ადრე თუ გვიან უთუოდ ხელს მოითბობს.

რაც შეეხება გოჩასთვის მისაცემ ფიცარს...

ამ სამი თითის ანგარიში ჯერ კიდევ არ გაუთავებია გვადის.

იფიქრებს, მოიაზრებს...

ისე კი არ მოუვიდეს, რომ კამეჩს გამოეკიდოს და ნაღდი ოდა კი დაჰკარგოს.

იქნება, შესაძლებელი გახდეს, რომ არც ერთი გაუშვას ხელიდან და არც მეორე.

ეს ჩინებული იქნებოდა.

მაგრამ ღმერთმა კი აშოროს გვადის, რომ ხელიდან ორივე წაუგდეს.

მალე კოლმეურნეობის სახლიც გამოჩნდა. სულ წითლად იყო გადაბრიალებული იმდენი დროშა გადმოეფინათ ზედა და ქვედა, ალაყაფის კართან რამდენსამე ქალსა და კაცს თავი მოეყარა.

— ჩამოსულან და დამგვიანებიაო, — გაიფიქრა გვადიმ. ნაბიჯს მოუმატა.

მალე იცნო: შინაურები იყვნენ. კარის სვეტებზე აქეთ-იქით კიბეები მიედგათ. ზოგი სულ მაღლა თავზე ასულიყო, ზოგი კიბეზე იდგა. ყვიროდნენ. ყველაზე უფრო მკაფიოდ ელიკოს ხმა ისმოდა. — ვეება რასმე აბრას ზევით ეზიდებოდნენ. ეტყობოდა, რომ ჭიშკრის თავზე უნდა აეტანათ.

როგორც იქნა, ასწიეს. აბრა გაიმართა.

მან შორიდანაც კი მოსჭრა გვადის თვალი. ათასი ფერით იყო აჭრელებული, და ზოგი ისე ბრჭყვიალებდა მზეზე, რომ კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა. — რა უნდა იყოსო, გაიფიქრა გვადიმ.

სანამ მიუახლოვდებოდა, აბრა მაღალი სვეტების ერთი თავიდან მეორემდე გასჭიმეს და დაამაგრეს.

ამ დროს გვადიმ დალანდა: მისი ბარდღუნია კარის თავზე ასულიყო და ქიმზე ჩამომდგარიყო. უიმედოდ ეჩვენა გვადის მისი ფეხის საყრდენი.

— პაი, პაიო, იყვირა და გაიქცა.

ბარდღუნიამ ადგილი თავის თავად გამოიცვალა. გვადი დამშვიდდა. ახლა აბრაზე დახატულ სურათს დააკვირდა, სურათმა ისე გააოცა, რომ შესდგა და წამოიძახა:

— სანარიელია ნამდვილად! ეს რა ნახეს ჩემმა თვალებმა? აფერუმ, ნამდვილად სანარიელია!.. წვერიც აქვს... შეხედე, ხანჯალიც არტყია ჰო, ჰო, ჰო! ეს რა ხელმა გააკეთა! მგონია, ვიცნობ კიდევაც ვინცაა... მოიცა, მოიცა... — ძალიან უნდოდა გამოეცნო, სურათზე რომელი სანარიელი ეხატა.

მის ხმაზე კართან შეჯგუფებულებს მოულოდნელად გერა გამოეყო. ხელი ქოლგასავით ჩამოიჩრდილა მზის წინააღმდეგ და გვადისკენ გამოიხედა.

— გვადი ხარო? — დაუძახა. — შენი ნახვა მინდოდა სწორედ, ჩაილაპარაკა მერე და გვადისკენ წამოვიდა.

სახეზე ეტყობოდა, რომ უთუოდ რაღაც სასწრაფო საქმე უნდა ჰქონოდა.

— ამხანაგო გვადი, აბა, შენ იცი, დღეს თუ არ შეგვარცხვენო, — დაიწყო მან შორიდან. მაგრამ როგორც კი დაუახლოვდა, დაწყებული სიტყვა შესწყვიტა.

— გამარჯობაო, მიესალმა და ჩამოსართმევად ხელი გამოუწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვადიმ რასაკვირველია, მაშინვე ჩამოართვა ხელი.

ამ დროს მოხდა ის, რასაც არც გვადი მოელოდა დაეჭრა ეროვნული კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

გერას უცებ სახეზე გაოცება შეაფრინდა და გვადის ხელი მაგრად მოუჭირა.. თვალებში ჩახედა და დააკვირდა. მერე სიცილი აუტყდა. გვადის ხელი არ გაუშვა, ისე თავი ჭიშკრისაკენ მიატრიალა.

— ნაია, გამოიქეცი ჩქარა, უნდა რაღაცა გაჩვენო.

გვადის კი განძრევის საშუალებას არ აძლევდა.

ცივმა ოფლმა გადაასხა გვადის, ეს რა უბედურება დამემართა, ხომ არ დამიჭირესო?

როცა ნაიამ მოირბინა, გერამ ხელის გული გადმოაბრუნა და ნაიას ზედ დაკრული გვადის სამი თითი დაანახა.

— ხომ ხედავ, რა მალე გადიდკაცებულა გვადი: ხელს სამი თითით მართმევსო — აუხსნა მან ნაიას.

— მე კი მართლა რამე მეგონა, — არაფრად ჩაუგდო ალმოჩენა ნაიამ.

— ამას როგორ მიბედავს თავმჯდომარეს! უნდა დავიჭირო უთუოდ — განაგრძო ხუმრობა გერამ, მაგრამ ისე, რომ სახე განზრახ შეკრული ჰქონდა და მართლა გამწყრალი კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა.

— ალბად, გაიგო, რომ დღეს სანარიელებს გვერდში მოვუსვამთ და... — დაიწყო ნაიამ გვადის მართლება, მაგრამ გერამ სიტყვა გააწყვეტინა.

— სულ ტყუილია! უნდა ვათქმევინო, ეს რას ნიშნავს, — მოჰკიდა მკლავში გვადის ხელი და თავისთან წაყვანა მოუნდომა.

გულშეწუხებული გვადი ფეხზე ძლივს იდგა. ერთი თვალი მაინც თავის ხელისათვის მიეპყრო, რომელიც ჯერ კიდევ გერას ეჭირა:

მოკეცილი ცერი და ნეკი ჯვარედინად დაეკრიფა ხელის გულზე, ხოლო ფორიას საიდუმლო ფიცრების მოანგარიშე სამი თითი გამართული დარჩენოდა.

— ფუი, ეშმაკსო, — ამის თქმაღა მოახერხა და დაჭერილი ხელის განთავისუფლება სცადა. გერამ არ დაანება.

ფერი წასვლოდა საწყალ გვადის, ხმა ჩაწყვეტოდა და თვალებში ისეთი შიში და დაბნევა ჩასდგომოდა, რომ გაგიჟებამდე ცოტა უკლდა.

შეეცოდა ნაიას.

— გაუშვი, კაცო, ვერ ხედავ, მართალი ჰგონიაო, — უთხრა გერას.

გერამ ახლა მიაქცია გვადის ყოფას ყურადღება. გაუკვირდა:

— ბიჭოს, გვადი ხარ, კაცო შენ, თუ ვინმე სხვაო? — მიმართა რბილად და ხელიც შეუშვა.

— კი, ჭირიმე, გვადი ვარო, — მართლა უპასუხა გვადიმ, თითქოს მის წინ ნამდვილად უცნობი ვინმე დამკითხველი მდგარიყო.

— მერე და ასე რამ შეგაშინა?.. — გულის გასაკეთებლად გაუცინა კიდევაც. მაგრამ მერე თვალები მაინც მოხუჭა და მცდელი ეჭვი შეაქერდა გვადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ იმოქმედა ასე ჩემმა ხუმრობამ და აქ უფრო საგულისხმიერო რამე ხომ არ იმალებაო. ამბობდა თავმჯდომარის სახის გამომეტყველება.

ბოლოს უთხრა:

— მართლა საქმე მაქვს, ამხანაგო გვადი, შენთან. წამოდი, უნდა გელაპარაკო. — ამ სიტყვებით ნაიასთან ერთად ისევ აბრის გამმართველ ჯგუფისკენ გაეშურა. გვადი უკან გაჰყვა უსიტყვოდ.

ჭიშკართან გერა შეჩერდა. ელიკო რაღაც ჯავრობდა და კიბეზე ასულებს შენიშვნას აძლევდა. გერა მას გამოესაუბრა. საუბარში ნაიაც ჩაერია.

გვადი რომ გერასა და ნაიას ყურადღების გარეთ დარჩა, მაშინვე იქ მდგომ ხალხს ზურგს უკან მოეფარა. მერე ეზოს მაღალ ზღუდეს გაჰყვა. ერთიც გერასკენ მოიხედა, თვალს ხომ არ მადევნებსო და, რა დარწმუნდა, რომ მისთვის არავის ეცალა, რაც ძალა ჰქონდა ფეხებში არ დაუზოგავს, ისე მოუსვა.

ბიოლრბი კაჭახიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქმოთას ხალიჩა

კვლავ გინახულე გრძნობით მღელვარემ,
კვლავ ის ეზო და იგივ სახლი ჩანს;
მაგრამ კედელზე ახლა ელვარებს
შენი ნაქსოვი გრძელი ხალიჩა.
გაჭიმულა და ლაღად გაშლილი
დაჩერებია რკინის საწოლებს.
გაოცებული ვუმზერ ბავშვივით
და მეჩვენება: შენს თავს მაწონებს.
ზედ მოგიქარგავს, ვით მზის ამოსვლა,
შოთა—მგოსნობის სახე მთავარი:
ძღვნად მიწოდებულ „ვეფხის ტყაოსანს"
მორიდებულად ართმევს თამარი.
თვალი მეფის წინ არ ებინდება,
შუბლზე გაკვრია ფიქრთა კრებული;
დგას მუხლმოყრილი — აზრის დიდება
და მიჯნურივით გაფითრებული.
შეერთებულან ასე საოცრად
ფერი შინდის და ფერი ნარინჯის...
იმ დღეს დედილომ თურმე გაკოცა,
რომ დაასრულე ქსოვა ხალიჩის.
აი, ჩემს თვალშიც უკეთესდები,
ბევრად ჯობიხარ შენს თავს წინანდელს.
გიყვარს სიბრძნე და შოთას ლექსებიც
ყველა ოჯახში, გინდა, ბრწყინავდეს.
თითქოს აკვანი შენთვის ერწიოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასმათს ხანდახან ისე ეგონებ.
დღე არ გაივლის, რომ არ ეწვიო
დიდი გენიით შექმნილ სტრიქონებს.
ალალადებულ სიბრძნით იზრდები,
როგორც ნარგიზის ნერგი — მიწიდან.
გიფართოვდება განცდა, მიზნები
და სიყვარულიც მეტად გიზიდავს.
ჯერ ყვავილი ხარ, ჯანით ივსები,
გშვენის ლოყაზე ფერის მატება;
გშვენის ფიქრი და მთელი ღირსებით
ქალს ნესტანობა მოგენატრება.
თურმე სიყვარულს ჩუმად ატარებ
და ნესტანივით ძილი გიკროებ.
ბევრი გასაფრენ ჩიტს რომ გადარებს,
ალბათ ქორწილი მალე იქნება!
ჯერ თუ მშობლები ვერ შეგელიენ,
მაშინ შეჰყრიან ბიჭებს მაყრებად
და ტანლამაზს და აზრით მშვენიერს
შოთას ხალიჩაც მზითვად გაგყვება!

1937 წ. 28 სექტემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალე ბოგოხიძე

სიმღერა გმირულ ესპანეთზე

ცაზე გაჩნდა მძლავრი ქარი,
ყუმბარებმა მიწა დასწვეს,
ღელავს სისხლის ნიაღვარი
მტარვალს, რისხვა გულზე აწვეს.

რესპუბლიკის ღვიძლო ძმებო,
ნუ შეკრთებით, დროშა მაღლა!
აზიდულო თეთრო მთებო
მტერს დაატყდით თავზე ნალმად!

სადაც მხედრის ელავს დაშნა
ხმალი, ხმალზე მონავერცხი,
დაუნდობელ ფრანკოს ლაშქარს
წაუკიდეთ ნგრევის ცეცხლი!

ხედავთ, სარდალს ბრძოლის ველზე
დაჭრილ გმირს, რომ გულში იკრავს?
გააჩაღეთ ცეცხლი ცეცხლზე
წინ, მებრძოლო რესპუბლიკავ?!

შეარყიე მთა და ხევი,
წინ, მღელვარე დასავლეთო!
მაღლა დროშა, დროშა ძლევის
შენ გმირულო ესპანეთო!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. ქვარიანი

შოთა რუსთაველი

ოარი რაყიფი

ნაწყვეტი რომანიდან

როცა სიხარულით სავსე მოხუცი კახაბერ იშვებდა ნადიმზე თამარის გვერდით, სწორედ იმ დროს წესის სასახლესთან მოხდა საშინელი ამბავი, რამაც კინაღამ შეიწირა მშვენიერი მზია.

განთქმულია დიდი ყაბარდო მამაცი ვაჟებით, მაგრამ მათში საარაკო გმირობით დიდად ირჩეოდა თენგიზ რაინდი. აუწერელია ჩერქეზთ ასულთა სინაზე და სიშვენიერე. ბევრ მათგანს მწვავე სიამით აუჩქროღლა გული გმირმა თენგიზმა, ბევრს დაუფრთხო ძილი და მოსვენება მისმა საარაკო მამაცობამ. ხოლო თვით თენგიზ ყინულივით ცივია მათთვის. უკვე ერთი წელია ამ მოყმის გულში მის უნებურად დაიდგა ტრფობის სევანი კოლხეთის ერთმა ასულმა. პირველად იხილა იგი მშობლებთან ერთად ქალაქ ძაუგში. მხოლოდ ერთმა ნახვამ, ქორფა ასულის თვალთა ციალმა და ტურფა სახის სინაზე-უმანკოებამ გაალღო გმირის ფოლადის გული, მაიჯადოვა მისი სულიერი არსება. მალე შეიტყო ვაჟმა, ვინც იყო ეს თილისმა ცირა. მიხვდა, რომ ადვილად ვერ იგდებდა ხელთ ამ იშვიათ საუნჯეს და ეს სიძნელე გულში ჩასვენებულ ქალის სახესთან ერთად უცნაურად აღიზიანებდა ვაჟის სურვილებს და თავმოყვარეობას.

ჩერქეზმა სცადა და მიუგზავნა შუამავლად ქალის მამას ღირსეული პირნი, სთხოვა საცოლოდ ასული, მაგრამ ცივი უარი მიიღო. მწვავედ იწყინა ზვიად ერისთვის უარისთქმა თავმოყვარე რაინდმა. დაიფიცა წინაპართ საფლავნი, ან მომკვდარიყო ამ სახიფათო გზაზე, ან ჩაეგდო ხელში მშვენიერი მზია.

სწორედ იმ დღიდან თავის გამბედავ ძმათფიცულებთან ერთად თენგიზ რაინდი გუშაგად ედგა წესის მიდამოს. ვით ბოროტი სულის შა-

ვი ლანდი დასტრიალებდა იგი კახაბერის ციხე-სასახლეს, რადა ეხელთა დრო და გაეტაცა მისი ასული. მაგრამ შეუვალი იყო მზეთუნახავის მაღალი კოშკი, გარემოცული სქელი გალავნით და ბურჯ-ციხეებით, სადაც დღე და ღამ გუშაგად იდგნენ რაჭის რჩეული ვაჟნი და თუნდა გმირის ბელადობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავარდა ხმა. მოხუცი კახაბერ საუკეთესო ვაჟკაცებით კოლხეთის დედაქალაქს გაამგზავრა თამარის წინაშე და, აჰა, დაგა შესაფერი დრო ქალის გასატაცად. თენგიზ რაინდმა თავის უდიდეს სიმამაცეს მცირეოდენი ხერხიც მიაშველა: მან ადრევე მოისყიდა ერთი მხევალი:

„დახე, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკის ძირისა“.

ამბობს შოთა თავის უკვდავ პოემაში. და სწორედ ამ ოქრომ გახადა იუდის კერძად ოსის დიაცი ბურუხან, რომელიც მუდამ თან ახლდა ერისთვის ასულს. აი, ამ ბურუხანს უნდა გაეტყურებია მზია რაიმე მიზეზით ციხე-გალავნის გარეთ.

მზე ჩასვლაზე იყო მიწურული, მისი სხივები წითლად ღებავდა წესის მიდამოს. ციხის გადაღმა, მდ. ლუხუნას პირას, წვანე კორდზე იდგა თეთრად მოსილი საოცნებო შვენების ქორფა ასული. მხარზე მშვილდ-კაპარჭი ეკიდა, კენარ ტანს კი ოქროს პაწია ხანჯალი ამკობდა. ეს ტურფა არსება გაჰყურებდა მის წინ აზიდულ მაღალ მთებს. მარცხენა ხელი უნებლიეთ ეალერსებოდა ლამაზ ჯეირანს, რომელიც მიკვროდა პატრონს, ხან კი პოტნიდა ბალახს. ეს განმარტოებით მდგარი ასული უნებლიეთ გაგონებდათ ნადირობის ქალ-ღმერთს, სვანეთის ზღაპრულ დალის.

ცოტა მოშორებით ოსი დიაცი მარწყვს კრეფდა და ბალახის ღეროზე ანცმევდა. მან მიმოიხედა მცირე ხანს შემდეგ, წამოხტა, უცებ მიეფარა იქვე ჯანხველას ბუჩქს და ორ-სამჯერ დაიჩხავლა ყვავივით: პასუხად მოისმა ჭოტის ძლიერი ხმა. ერთი წამიც და კორდზე მდგარ ასულის წინაშე მოულოდნელად გაჩნდა იშვიათი შვენების მაღალი ტანის ჭაბუკი, ფოლადის ჯავშან-მუზარადით ჭურვილი და საუკეთესო იარაღში მჯდარი.

უცხო რაინდის დანახვაზე ქალმა შეჰკივლა და გაქცევა დააპირა.

ვაჟი გადაეღობა წინ და დინჯად მიუახლოვდა.

— ნუ ჰკივი ჩემო ყველავ. მიყვარხარ, სულო, იმ დღიდან, ოდეს გიხილე პირველ ძაუგში. არ ძალმიძს, ტურფავ, უშენოთ ყოფნა; მაჯადოებს ეგ სახე ნატიფი და თვალები გიშრის. ძლივს გნახე მარტოდ მე ბედნიერმა. უნდა გაგიტაცო ნებით ან ძალით.

ქალი გონს მოვიდა, შვილდ-ისარი მოიმარჯვა და კუშტად შესძახა:

— ვინ ხარ, თავხედო, ვინ უბედავს კახაბერის ასულს ასეთ მქისე საუბარს?! ჩამოხვედ გზიდან... ბურუხაან! დაუძახა ხმამაღლა თავის მხევალს.

არ იყო პასუხი.

— ვინა ვარ? მაგ ეშხით ტყვედქმნილი ჩერქეზთ თავადი თენგიზ. რაკი გიხილე მარტოდ, ჩემო ყველავ, ვერ წახვალ ჩემგან, ან მოგვდები შენს თვალწინ, ან ჩემი ხარ სამუდამოდ.

— ტყუილა მომცდარხარ, ნუ ელი მაგას! გზა მომეცი, ბელადოვ, ...რო, თვარა გაგგმირე ისრით, ჩამოდექ გზიდან!..

ამ სიტყვებით ქალმა ისარი დაუმიზნა.

— ვითომ მოკვლას ლამი, შვენიერო?!. უკვე ერთი წელია, რაც გმინავს ეს ჩემი გული, მაგ თვალთა ისრით მძიმედ კოდილი. ჩემი ხარ, ტურფავ! არ ძალუძს სულიერს შენი წართმევა!.. — წამოიძახა რაინდმა მღელვარე ხმით და თამამად მიუახლოვდა ქალს. გახტა განზე ჯეირნის ნუკრი. გავარდა ნაზი თითებით ტყორცნილი ისარი. სწრაფად აირეკლა იგი ვაჟის ბექთარმა.

უცნაურად გადიხარხარა მთიელმა და მიიხუტა მკერდზე მშვენიერ მზია, ქალმა იკივლა საშინელი ხმით და გული წაუვიდა.

ბავშვივით აიტაცა იგი მიჯნურობით შმაგად ქცეულმა ჩერქეზმა და გადადგა ნაბიჯი გასატაცებლად.

მოსახვევში, სვანეთის გზის პირას ტყეში მიმალული ჰყავდა შეკაზმული მერანი, ხოლო ცოტა მოშორებით მის ნიშანს ელოდნენ რკინაში მჯდარი ძმადფიცულნი.

— შესდეგ, დიაცო, ქურდად მოსულო, შესდეგ, თუ არ მოგძულებია სიცოცხლე!

ამ სიტყვებთან ერთად ბუჩქებიდან ვეფხვივით გადმოხტა რკინაში მჯდარი კუშტი რაინდი და გადაელობა თენგიზს.

— ვინ ხარ, ბედშავო?! ვის ულობავ გზას?! იქნებ ვერა მცნობ დიდ ყაბარდოში გმირობით განთქმულ თენგიზს?

— არ ეგების ვაჟკაცს ბედით მოსვლა და უმწეო ქალის ქურდულად გატაცება! შესდეგ, რაინდო!

— ვინ ხარ, რომ მოხველ ასე იჩქითად და ჰყივი შმაგად? იქნებ შენა-ხარ თვით ციხის თავი, რომელთან ბრძოლა ეგრე მენატრის?

— დიახ, თვით მე ვარ დათუნა გოცირიძე, ციხისთავი კახაბერისა და მიხარის, რომ ვპოვე ღირსი რაყიფი. გიწვევ დავლურში, ჩერქეზთ თავადო!

— მე შენი ქება გამიგონია. ჩემი სალამი ღირსეულ რაინდს! მზათ ვარ ამ წუთას!

თენგიზმა მოწიწებით დაასვენა მწვანე მდელოზე ისევ გულწასული მზია და საომრად მოემზადა.

ცელქი ჯეირანი მივარდა პატრონს და ალერსით ლოკვა დაუწყო მის სპეტაკ სახეს.

ქალი თანდათან გონს მოვიდა და წამოჯდა კიდეც. მან თვალი მოკრა იქვე მდინარის პირას ორ განთქმულ გმირს, რომელნიც მუქარით იწვევდნენ მოსაკლავად ერთი-მეორეზე.

აჰა, შეყვარებულ რაინდთა შორის საერთო სატრფოს თვალწინ შეიქმნა მედგარი ბრძოლა.

დიდხანს ირკინა ორმა რაყიფმა — არ ზოგავდნენ ერთი მეორეს. ზიჰქონდათ მძლავრი იერიშები.

ცხარობდა თენგიზ. დინჯად იბრძოდა რაჭველი გმირი. შორს ისმოდა ფარზე დარტყმული ლახტის ფოლადის ხმა. ცეცხლს უკიდებდათ სატრფოს თვალები. გამწარდნენ გმირნი. შორს გადისროლეს რკინის კეტები, იშიშვლეს ხმლები და სასიკვდილოდ შეუტიეს ერთმანეთს, მაგრამ ბედშავად გადუტყდა ხორასნის რკინა ჩაუქ მთიელსა. ამის მნახავმა დათუნამ ხმალი ჩააგო. შემდეგ იშიშვლეს ბასრი კალდიმი და შეუტიეს ერთმანეთს. განახლდა ბრძოლა მკაცრი, მედგარი. დიდხანს ირკინეს. გამწარდნენ დიდად: რამდენიმე ალაგას გაკაწრულ ორივე გმირს სისხლი სდიოდა. შორს ისმოდა ხაფი ხმა მათი. გამწარდა თენგიზ, მივარდა რაყიფს და დაუქნია გამეტებით ბასრი კალდიმი. დათუნამ სწრაფად მიაგება თავისი მახვილი. ჩერქეზის ხანჯალი წკრიალით დაეცა სიპ ქვაზე, მდინარის გაღმა. უსაზღვრო ბოლმამ და ბოროტებამ მოიცვა უიარაღო თენგიზ. გაშმაგებით მივარდა იგი რაყიფს. ამავე დროს დათუნამ შორს გასტყორცა თავისი ფარ-კალდიმი და ორი ფალავანი სასიკვდილოდ ეძგერა ერთი-მეორეს. ჯერი მიდგა სხეულის ღონესა და საჭიდაო ფანდებზე. ამ მხრივაც უპირატესობა რაჭის ციხისთავს ჰქონდა. მცირე შებრძოლების შემდეგ მან გამოჰკრა თენგიზს მაგარი კვანტი.[1]) დასცა პირაღმა, დააჯდა გულზე.

— მომკალ, გურჯო რაინდო, მომკალ, გაფიცებ მზიას! — შეჰყვირა წაქცეულმა ჩერქეზმა განწირული ხმით.

— ეგ არ ეგების, თენგიზ. ქართველი არა კლავს უიარაღო მტერს. აღზდეგ, შევრიგდეთ. — ამ სიტყვებთან დათუნამ ააყენა ზეზე ჩერქეზი, ბრაზმორეული და შერცხვენილი.

— გეევედრები, მომკალ, რაინდო! ბედი შენ გწყალობს... შენ გაიმარჯვე... შენია მზია... მე კი აღარა მაქვს სასიცოცხლო პირი. თავი მომეჭრა. ვერ გამოვჩნდები ქვეყნად ასეთი... მომკალ!..

— არ შეიძლება. ვერ მოგკლავ, ვერა, გმირო ჩერქეზო. უნდა იცოცხლო.

— არა, არასდროს! აქ სატრფოს თალწინ უნდა მოკვდეს თენგიზ რაინდი. ის ვერ იხილავს თავის სამშობლოს, თავის ნათესავთ, თავის მეგობრებს. იმისი სისხლით უნდა შეწითლდეს ეს მთის მდინარე. გემუდარები, მომკალ, რაინდო!..

---

[1]) დღემდე ხალხში ცნობილია გოცირიძის კვანტი (სარმა).

ამ სიტყვებთან ერთად თენგიზმა გადიგლიჯა თავისი ბეჭთარი და გაერ-შიშვლა სპეტაკივით თეთრი მკერდი.

ნუ ცხარობ, გმირო ჩერქეზო. ძმად შევეფიცოთ ერთ[illegible] გრცხვენის მისვლა შენს სამშობლოში, დარჩი აქ ჩვენთან, როგორც ჩემი და მზიას ძმობილი.

მზიას ხსენებაზე თენგიზმა უცებ გახედა ქალწულს და ვაჟკაცის თვალებს მოსწყდა ორი ობოლი ცრემლი.

— არა, გურჯო რაინდო. ეგ არ ეგების... ფრთა მოტეხილი არწივის სიცოცხლე მარტოოდენ ტანჯვა იქნების... სჯობია მოკვდეს... შენ აღარ მკლავ დიდ სულოვნობით. მაშ მე თვით მოულებ ბოლოს ჩემს თავს და თან წავიღებ სამარადისოდ მზიას სიყვარულს...

ამ სიტყვებთან ერთად გახტა მთიელი ელვის სისწრაფით, დასწვდა ძირს გდებულს დათუნას კალდიმს და, სანამ რაჭველი გონს მოვიდოდა, თენგიზ რაინდმა ტარამდე ჩაისო გულში ბასრი მახვილი...

დიდი ყაბარდოს ქება-დიდება, აქამდე უძლევი გმირი მკვდარი დაეცა. მისი მომაკვდავი ბაგეები ძლივს ფუჩუნობდენ კახაბერის ასულის უმანკო სახელს...

ამის დანახვაზე ერთი შეჰკივლა მზიამ უცნაური ხმით და გულწასული დაეცა მოლზე. დათუნა კი უძრავად იდგა, ვით კლდე და ლოდის ქანდაკი... ამ საშინელ სურათს მიაშტერა თავისი ცივი თვალები მთებიდან ახლად ამოწვერილმა ციატა მთვარემ და მხოლოდ აქაფებული პატარა მდინარე თავისი ჩხრიალით თითქოს მოსთქვამდა ასე უდროოდ დაღუპულს საჩერქეზოს დიდებულ ვაჟკაცს...

გაენათის მონასტერში

ოკრიბის თავში, მაღალი მთის კალთაზე, ამწვანებულ ტყესა და ბაღებს შორის, თეთრად მოჩანს დიდ მანძილზე გაენათის დიდი მონასტერი, დავით აღმაშენებლის მიერ 1103 წელს აგებული, ნიშნად კახეთის შეერთებისა და მით არაბთა მიერ დაქსაქსულ საქართველოს სრული გაერთიანებისა ერთ მძლავრ სახელმწიფოდ. მონასტრის შუაგულს საკმაოდ ვრცელ მოედანზე გოროზად ამართულა სუფთად ნათალი დიდრონი ქვებით ნაგები მაღალ-გუმბათიანი დიდი ტაძარი, ეკვთერებით გარემოცული და შემკული გარედან ლამაზი ჩუქურთმებით, ხოლო შიგნით იშვიათი ფრესკებით, სოფიას კენჭით და მდიდრული კანკელით.

ეზოს სამხრეთით მოჩანს გრძელი საჯვარე, სადაც ასაფლავია კოლხეთ-ივერის ძლიერების გამჭედი დავით აღმაშენებელი. ჩრდილოეთით კი კლდეზე გადაშვერილა ორ-სართულიანი დიდი შენობა. აქ არის გენათელის ბინა და სასულიერო აკადემია. ამ შენობის გვერდით მოჩანს სანთელ-კელაპტრების საკეთებელი სახელოსნო. დასავლეთით აღუმართავთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალალი სამრეკლო და ვრცელი სატრაპეზო ბერთა სერობისათვის. ხოლო აღმოსავლეთით და აგრეთვე სურომოვლებული ქვის გალავნის გადალმა მოჩანს ბერთა და მორჩილ-მოწაფეთა მრავალი სენაკი.

მთავარი ტაძრის წინ, დასავლეთით, უხვად მოჩუხჩუხებს ანკარა წყარო, თიხის მილებით მთით მოყვანილი. წყაროს აუზთან ძეწკვით ჰკიდია ვერცხლის ხელადა და მომცრო თასი.

გაენათის მონასტერი ირგვლივ მოცულა ვრცელი ყანებით, ზვრებით და ბალ-ბოსტნებით. ესენი მუშავდება თვით ბერ-მორჩილთა მიერ. აქვე გაბნეულია ათასამდე სკა. მონასტრის ცოტა ზემოთ, ცაცხვებით დაჩრდილულ ფერდობზე ამართულა წმ. გიორგის გუმბათიანი თეთრი ტაძარი და სწორეთ აქედან იშლება საოცნებო სურათებად წყალ-წითელას ზურმუხტოვანი ველი, უხვი ყანებით დატვირთული, რიონის ვრცელი ვაკე და სურამ-ფერსათის მოლურჯო მთები, რომელთ მწვერვალზე თეთრ ზოლად მოჩანს უმდნარი თოვლი.

იქნებოდა დილის 9 ჟამი, ოდეს სამრეკლოს თავზე მდგომარე მორჩილმა თვალი მოჰკრა ქუთაისიდან მომავალ ცხენოსან რაზმებს და იწყო ზარების საზეიმო რეკა.

ზარების ხმაზე სასახლის დარბაზიდან ფართო აივანზე გამოვიდა ლოსითეოზ გენათელი თავისი კრებულით, ყველანი საზეიმოდ მოსილნი. მახვილმა თვალებმა უკვე გაარჩიეს თამარის თეთრი მერანი, დიდებულთა ამალა და სამხედრო რაზმები, რომელთა წინ სამეფო დროშის ფრიალით მოაქროლებდნენ ბედაურებს საპატიო გუშაგნი. მათი სამხედრო სიმღერა გუგუნით ეფინებოდა ოკრიბის არეს. უკვე შეუდგნენ ალმართს. ნახევარ ჟამს შემდეგ მიუახლოვდნენ კიდეც მონასტრის ბაღებს და გალავანს. აქ კი ყველანი ჩამოხტნენ ცხენებიდან. შეიქნა მონასტრის ეზოში მოძრაობა. ფართოდ გააღეს ბჭის კარები. მიტროპოლიტი ჯვრით ხელში და მთელი კრებულით შეეგება მეფეს შესავალ კარებთან.

ზეიმით შებრძანდა თამარ თავისი ამალით დიდ ტაძარში. შეუდგნენ საზეიმო ლოცვას. ოკრიბელთა გუნდის განთქმული გალობა მამუკა ყიფიანის ლოთბარობით სმენას ატკბობდა და სასოებას ჰგვრიდა მლოცველთ. მთავარდიაკონის ანთიმოზის ძლიერი დვრინით ზრიალი გაჰქონდა ტაძრის სარკმელებს, ლოცვის შემდეგ პანაშვიდი გადაუხადეს საფლავზე ჯერ დავით აღმაშენებელს, შემდეგ მის შვილს დიმიტრი მეფეს, მას შემდეგ დავით მესამეს დემნას მამას და თამარის მამას გიორგი მესამეს. ბოლოს კი უბედურ დემნას. იგი იყო დასაფლავებული ლიტონად ტაძრის სამხრეთით მიდგმულ ექვთერში.

ყველა პანაშვიდზე თამარ მუხლმოდრეკილი ლოცვილობდა, მხურვალედ, და ცრემლით ალტობდა ქვის იატაკს. ხოლო ეს ცრემლები ყველაზე უხვად ეფქვეოდა დემნას საფლავს.

პანაშვდებს შემდეგ ცრემლთა დენით მისუსტებულმა თამარმა გაიხმო მიტროპოლიტი და საიდუმლოდ ამხილა, რომ მიცვალებისა შემდეგ ... დაესაფლავებიათ ამავე ეკვთერში, დემნას გვერდით.

— მხოლოდ შენ, წმ. მამაო, გიმხელ ამ ჩემს მძიმე ხვაშიადს, გენუკვი, ღრმად ჩაიმარხო იგი გულსა შინა, არა იცოდეს იგი ხორციელმა, თვინიერ სანდო პირისა, რომელსაც გაუმხელ მას სიკვდილის ჟამსა.

ზენაარი ფიცით შეაჯერა მეფე გენათელმა, რომ საიდუმლოდ იქნება დაცული მისი ნება-სურვილი.

მართლაც, ძველი გადმოცემით, თამარის სიკვდილს შემდეგ შემზადებულ იქნა სამი ძვირფასი კუბო: ერთი მათგანი ზეიმით წაასვენეს და დაასაფლავეს მცხეთას, მეორე — ვარძიას, ხოლო მესამე — გაენათს. დღემდე არ იციან დანამდვილებით, სად ასაფლავია ის ადამიანი, რომელმაც ასეთი ღრმა ხსოვნა დასტოვა ქართველი ერის გულში. ხოლო გაენათის მთავარ ტაძარზე, სამხრეთით მიდგმულ ეკვთერში, დღესაც კი აჩვენებენ ზოგიერთს უკუღმა გადაბრუნებულ გრძელს ლოდს, რომლის ქვეშაც თითქოს განისვენებდეს „პირიმზე“ თამარ...

მშვენიერ რაჭაში

მცირე საუზმის შემდეგ გაენათის მონასტერში, თამარ და მისი ასაბია გაეშურენ ტყიბულის გზით რაჭისაკენ, რათა დაღამებამდე გადაევლოთ ნაქერალის მაღალი ქედი და შეესვენათ სოფ. ნიკორწმინდაში.

სწორეთ იმ დროს, როცა მგზავრები ნაქერალის აღმართს შეუდგნენ, მის წვერვალზე, კლდიდან მოხეთქილ დიდ ანკარა წყაროსთან, უზარმაზარ ხეებქვეშ გზიდ პირას თავი მოეყარა უამრავ თავად-აზნაურს და მდაბიო ხალხს სავსე ხონჩებით.

ამ ხალხში ირჩეოდნენ რაჭის ცნობილი მესტვირეები, ხოლო განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ბრმა მოხუცი. მისი ბრგე აღნაგება, მამაცი სახე, თეთრი სირმეული წვერი და მხრებამდე დაფენილი სქელი ჭაღარა თმა, ფაფანაკით ოდნავ ფარული, იზიდავდა შეკრებილი ხალხის თვალს. ეს მოხუცი ქვაზე იჯდა, ჩონგურს უკრავდა და საამო ხმით სევდიან ჰანგებს ღიღინებდა. მოხუცს გვერდით ეჯდა მისი ეტიკი, 10 წლის ქოჩორა ბიჭი, რომელიც თვალს არ აშორებდა თავის უბედურ ბაბუას.

აუარებელი ხალხი ეხვია მოხუცს. ეს იყო ერთ დროს დიდი ვაჟკაცი და ცნობილი ხუროთმოძღვარი რევაზ ბერეკაშვილი. თვის მიერვე შეთხზული ლექსით მოსთქვამდა იგი თავის საშინელ წარსულს: გიორგი მესამის დროს დაკარგულ თვალებს მკაცრი ბატონის სეხნია წულუკიძის ბრძანებით. გმობდა ულმობელ ბატონებს, იმავ დროს ამკობდა „პირიმზე“ თამარს, რომელმაც გამეფების დღიდანვე აკრძალა ადამიანის სიკდილით დასჯა ან დასახიჩრება, რომელიმე ასოს მოკვეთით და თამარის ეს ბრძა-

ნება, ამიერით კანონად ქცეული, სასტიკად იყო დაცული მის ვრცელ საბრძანებელში. მოხუცს სურდა გაეგონა მაინც იმ ადამიანის ხმა, რომელმაც ეს დიდი საქმე მოიმოქმედა.

ღიღინებდა ჩონგურზე ბრმა მოხუცი. მისი მწარე სევდით დაძაბული ჰანგები კვნესით ეზავებოდა მთის გრილ ნიავს, იწვევდა ხალხში ცრემლებს და უზომო სიბრალულს.

ეს მწარე მოთქმა-ღიღინი ბრმა მოხუცისა თალხით მოსავდა იმ დიად სურათებს და სანახაობას, რაც ისე ფეერიულად იშლებოდა ნაქერალის თხემიდან.

ნაქერალის საოცნებო მწვერვალი... სწორედ აქედან ტკბება ადამიანის თვალი ხაზ-ფერადების სიდიადით და უშრეტი ნაირობით. იქ, შორს, მაღალი მთებით შემოვლებულ კოლხეთის ვაკეს ვიდრე პონტომდე მოლურჯო ბლონდად მოვლებია ცხუნვარე ბუღი, თითქოს შერუჯულა და იწვის ზაფხულის მზეო. აქ კი რაჭის ზურმუხტოვანი მიდამო ნებივრობს, ვით პატარძალი, ელამუნება ფაქიზი ფრთებით ცელქი ნიავი, მთის შარბათით ესოდენ მთვრალი. იქ, კოლხეთისკენ სიცხე, ალმური და პაპანაქება, აქ კი სიგრილე, სუფთა ჰაერი, ცის ლაჟვარდი და მზე მცინარე...

აქ, რაჭაში, ყველაფერი უცნაურია: აგერ შარა გზის ორივე კედრით ამოხეთქილა მიწის სიღრმიდან ორი პაწაწა ტბა, ხარითვლად წოდებული, ცივი, ანკარა, სავსე კალმახით; ქვემოდ უცებ ჭრება ვაკეზე მთელი მდინარე შაორი და სამ ეჯს იქით სადღაც ჯურღმულში ღრიალით მოჰქუხს თეთრი კლდის ძირას, ჭელიშის უდაბნოს გვერდით. ნიკორწმინდის ჭალებთან კიდევ მოზრდილი ხრამია გვირაბიანი, სადაც ზამთრობით თბილა, ხოლო ზაფხულობით ზედმეტი სიცივის გამო, ყინულის ჩურჩხელები კეთდება. ამავე სოფლის ქვემოთ, ალმოსავლით ბზინავს „ჭელია-ღელე“ — ეს უცნაური ტბა თავისი მორღვეული ნაპირებით, რომლებიც დიდრონი ხეებითურთ რამდენიმე ჟამით ადრე ამიდის შეცვლამდე შეცურდებიან ხოლმე რიგობით შუაგულ ტბაში და მით ადრევე ამცნევენ ხალხს წვიმის მოსვლას. ხოლო გამოდარების წინ ბრუნდებიან ისევ უკან თავიანთ ალაგას. ამ სახით ეს უცნაური ტბა მორღვეული ნაპირებით მთელ მიდამოში ბუნების უტყუარ ბარომეტრის როლს ასრულებს და მასთან სხვადასხვა ლეგენდას იწვევს.

დასავლეთით კიდევ, სოფელ ცახთან, ჰგიებს მაღალ კლდეში მრავალდარბაზიანი გვირაბი, სტოლაქტიტებით და ქიმერებით სავსე. საოცარია აგრეთვე სოფელ შავრისკენ მიმავალ გზიდან უცებ გაშლილი ფეერიული სანახაობა, — ჩამავალი მზის სხივებზე ათასფრად მოლივლივე ლეჩხუმ-სვანეთის მთაგრეხილები, რომელთა მსგავსს იშვიათად იხილავს ადამის შვილი მთელ დუნიაზე. კიდევ სხვა მრავალი რამ, რომელთა ჩამოთვლით დაშვრების ენა. და, ბოლოს, თვით ნიკორწმინდის შვენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოროზად მდგარი თეთრი ქვის დიდი ტაძარი, იშვიათი ჩუქურთმებით და ფრესკებით შემკული.

თითქმის ყველა ესენი თავისი თვალით იხილეს თამარ მეფემ და მასმა ამალამ, ოკრიბიდან ნაქერალის ქედით გადმოსულებმა. ამათ მასპინძლად მიუძღოდა დიდი კახაბერ. მან ადრევე გაგზავნა წესში თავისი ოთხივე ვაჟი მეფის შესაფერ დასახვედრად.

სწორეთ რაჭის ბუნების სისპეტაკე-სიკეკლუცემ დაუცხრო თამარს შფოთარე გული, დაავიწყა დროებით მაინც ამსოფლიური ვნებანი. მისი გვემული სული ფრენდა ზეცად.

დიახ, შვენიერია რაჭა და ამ ბუნების ღირსი შვილია მხნეობით, პატიოსნებით და სტუმარმოყვარეობით განთქმული რაჭველი ხალხი, მარად მშრომელი ქალ-ვაჟიანად, ხან კი მესტვირე და მოშაირე ტკბილი ლექსებით.

კახაბერის ნადიმზე

სისხამ დილითვე შეიქნა დიდი მზადება რაჭის ერისთვის სასახლეში. ვრცელ ეზოში, საჯალაბო-სახაბაზოსა და მარანში ხელმარდად მუშაობდნენ კახაბერის კალთებ-აკეცილი და დამკლავებული შინაყმები — ქალნი და კაცნი. ამზადებდნენ ღირსეულ სადილს იშვიათ სტუმრებისათვის. სახეზე ხვითქი სდიოდათ მეტი ჯაფისაგან, მაგრამ რა ექნათ: ყველას ხვდებოდა მოურავის მახვილი თვალი და ბრძანებელი მჭექარე ხმა. იგი შუაალაგას იდგა და განკარგულებას იძლეოდა, ვით ბრძოლის ველზე დიდი სარდალი. აგერ ხელმარჯვე ბიჭებმა ხეებქვეშ რამდენიმე წყებად გრძელი სეფა ამართეს. იქ მდინარის პირას წამოაქციეს ოცი მსუქანი ერკემალ-დეკეული და ორმოცი ვერძი, ურავის მთიდან ჩამოდენილი. საჯალაბოს გვერდით დაიკლა კიდევ უამრავი გოჭი, ბატკანი და ვარია-ქათამი. აგერ სახაბაზოს გახურებულ თორნეებში ხაბაზი დედაკაცები სახე-წაკრულნი შეუდგნენ უგემრიელეს პურის, ლავაშებისა და პირვარდის ოთხკუთხა ხაჭაპურების ცხობას. იქით კიდევ დიდ ქვაბებში ხარშავდნენ რაჭულ ლორს, თხილის შამფურებზე სწვავდნენ ნიგვზის ნეშოში გახვეულ ხარისთვალა-შაორის მსუქან კალმახებს. დიდ მარანში მოხადეს კიდეც ასჩაფიანი ჭურები და ამოიღეს შვიდი წლის ლალისფერი და ქარვასავით ყვითელი კაპისტონის და საკმეველას ტკბილ-მაგარი ღვინო, ტოლა-ხვანჭკარას დიდ ზვრებში დაწურული. გაავსეს ღვინით უამრავი დორა-გოზაური და იქვე ჩააცივეს წყაროს აუზებში.

ამ საერთო მზადება-ფაცურში არც დიდი დიასახლისი იჯდა ხელდაკრეფილი. იგი შიმუნარ-მოახლეებით დადიოდა აქეთ-იქით, თავის თვალით ზვერავდა ყველაფერს, იძლეოდა შესაფერ შენიშვნებს და დარიგებას.

ამ ფაცა-ფუცით სარგებლობდა ორი მიჯნური მზია და დათუნა ერთიერთ მიმართ ტყორცილი ნაზი ღიმილი, რაიმე სიტყვა ან ოფუფუნელის შეხება ანატიფებდა ვარის ფერებად მათ შვენიერ სახეებზე. ... გული წინასწარ გრძნობდა რაღაც საამო მოლოდინს და ივსებოდა უზენაესი სიხარულით.

უკვე შუადღე იყო, ოდეს ციხის გუშაგებმა ბუკის მჭექარე ხმებით ამცნეს სასახლეს ამბროლაურის შარაგზით იშვიათი სტუმრების გამოჩენა. მათ მაშინვე შეეგებნენ ცხენებით კახაბერის ვაჟნი, დათუნა გოცირიძე და რაჭა-დვალეთის დიდებულნი.

სამეფო ასაბიამ ხიდისკარი გამოვლო და სასახლის ეზოში შევიდა. დიდი ზეიმით მიიღეს კახაბერმა და მისმა მეუღლემ მეფე თამარ, ივერ-კოლხეთის დიდებულნი და როქისპის რაზმი.

ფრიად მოეწონათ მეფე-დიდებულთ წესის მიდამო, ციცაბო კლდეები, მათ შორის ღრიალით მჩქეფი გიჟი რიონი, თეთრი ბარაკონი, ერისთვის სასახლე და ციხე-კოშკები,—ეს „არწივის ბუდე“, როგორც უწოდეს ყოველივე ამას სტუმრებმა. მცირე შესვენება-მუსაიფის შემდეგ სუფრაზე დასხდნენ.

შეიქნა ცაცხვებ ქვეშ, მოლზე, დიდებული ნადიმი. ხელმარდ ფარეშებს მოჰქონდათ სუფრაზე ხონჩით და ვერცხლის დიდი ლანგრებით ნაირნაირი საჭმელი. დიდად მიიქცია სტუმართ ყურადღება რაჭულმა უგემრიელეს პურმა და კალმახმა, რომელთა მსგავსს ვერ ჰპოვებს ვერსად ადამიანი. მეტად შეაქეს რაჭული ღვინო. მერიქიფენი დორა-გოზაურებით ხელში დაჰქროდნენ სუფრებს შორის და ავსებდნენ სასმისებს.

ოქროს თასი, ვერცხლის ბადია და აზარფეშა, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი და მოსევადებული ოქრო-ვერცხლარშიანი კულა-ყანწები ხელიდან ხელში გადადიოდა. შარბათივით ტკბილი კაპისტონი და საკმეველა ახალისებდა გულს. თამადად არჩეული ზორბა კახელი გულბაათ ბახუტაშვილი იშვიათი ხელოვნებით მეთაურობდა სუფრას. კაფია, მუნასიბი, ზმა და შაირი, რაჭველ მესტვირეთა მოსწრებულ ლექსებთან ერთად, აცხოველებდა ნადიმს. ჩანგი, ებანი, წინწილ-ბობღანი, ნარდი, ათძალი, ქნარი და ტურულა, მუტრიბთა მიერ მწყობრად დაკრული, ატკბობდა სმენას. ნაირნაირი ხელხვავი, სუფრული, კრიმანჭულ-ძილის პირი და მრავალჟამიერ, მომღერთა მიერ შვენივრად თქმული, დიდ ნეტარებას გვრიდენ დამსწრეთ. ბოლოს, მოხდენილი ცეკვა-შუმპარი, ქალ-ვაჟთა მიერ შესრულებული, აგვირგვინებდა საზღაპრო ლხინსა.

„თამარ წყნარი, პირმცინარი, ხმანარნარი, შუქმფინარი“, სამეფო გვირგვინით და თვალ-მარგალიტით მკობილი, იჯდა სუფრის თავში მდიდრულ სევანზე. მხარს უმშვენებდნენ მეფეს მარჯვნით კახაბერ, ხოლო მარცხნით დიასახლისი დიოფალი სალომე. ამათ გვერდით ორივე მხრივ

ისხდნენ დიდი სარდლები, ვეზირები, სეფე-წულნი და კეკლუცი ბანოგანნი. თამარს თავს ადგნენ შვენიერი მზია და მისი მიჯნური. ქალს ეთამაშებოდა მეფეს ხილს და ტკბილეულს, ხოლო ვაჟი აწვდიდა ღვინოს-ოქროს ჯიალით. მეფე ხანდაზმით გახედავდა ორივეს და მის სახეზე ნაზი ღიმილი გაიელვებდა. მან უკვე იცოდა ამათი საიდუმლო და ამ სამი დღის წინათ ძომხდარი ბრძოლა ორ რაინდს შორის ლუხუნას პირას. მიჯნურთ მფარველმა გადაწყვიტა ამათი შველა. თამარს თითქო ესმოდა შეყვარებულთა იდუმალი ხვნეშა, გულის ფანცქალი. მან ლმობიერად გადაავლო თვალი მზიას და დათუნას, შემდეგ ნაზი ღიმილით გახედა თავის მამობილს. კახაბერ თითქო მუხვდა მეფეს იდუმალ ზრახვას და მოწყენით თავი ჩალუნა.

მეფემ სევდიანად გადახედა ზარხოშად მყოფ დიდებულთ და მგოსნებს, რომლებიც ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ ზმებსა და კაფია-შაირებში. უცებ შეწყდა ყველაფერი, გამეფდა უცნაური სიჩუმე. ეს დუმილი დაარღვია თამარის ნარნარმა ხმამ:

— დიდო მგოსნებო, რიტორნო და ფილოსოფოსნო! გვამცნეთ მუნ კრებულთ, თუ რა უფრო საცნაურია ამ ქვეყნად: კაცის პირადი ღირსება, მისი სიმამაცე, ნიჭი, ცოდნა და ზრდილობა, თუ ბრწყინვალე გვარი, მაღალი ხარისხი, სიმდიდრე, ყმა და მამული?

თამარის ასეთ მოულოდნელ შეკითხვაზე ისევ ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. შეაკრთო და გააოცა ყველანი მეფის ასეთმა უცნაურმა შეკითხვამ, სხვებზე უფრორე თვით მოხუცი კახაბერ, რომლის მხილავმა გულმა იგრძნო რაღაც ცუდი.

ამ დროს წამოდგა დინჯად მგოსანთა შორის ყველაზე მცხნოვანი „დილარიან"-„ვისრამიანის" ავქსონი სარგის თმოგველი, ხელთ იბყრა აზარფეშა ღვინით სავსე, გადახედა სუფრას და დაიწყო:

— დიდო მეფეო, ბრწყინვალე თამარ, კოლხეთ-ივერის შვენიერებავ, სიბრძნევ ციურო, ქვეყნის დიდებავ და ქალთა შორის საკვირველებავ! გწადს შევადაროთ დიდი გვარი პირად ღირსებას? მე მოგახსენებ:

„ვით მზე დიადი აფრქვევს მიწას შუქსა და სითბოს,
ესოდენ გვარი, დიდი გვარი ჰფენს ყველას სიტკბოს.
უგვარო კაცი არის ჭია, მწერი მცოცავი,
ფრთებ-დაგლეჯილი სხვისი მონა და საცოდავი,
რა გინდ ღირსებით იყოს იგი შემკულ-მოსავი.
დიდ გვარიანი შუქ მფენია, ვით მზე ბრწყინავი;
იგი ლომია, უგვარო კი — მატლი მფორთხავი".

დაამთავრა მგოსანმა ეს ლექსი, მკაფიოდ თქმული, დალია მეფის სადღეგრძელო, მიუახლოვდა თამარს წყნარად, დაიჩოქა ცალ მუხლზე, ეამბორა ბროლის თითებს და დაჯდა თავის ალაგას.

— სარგის თმოგველის რუბაიამ დიდი აღტაცება გამოიწვია დამსწრე დიდებულთა შორის. სიხარულით აივსო მეტადრე ... ...

ნოება თანდაყოლილი საუნჯეა, რომელთაც ანიჭებს ადამიანს თვით ზეცა. ამიტომ ნუ გიგკვირს რომ ზეცით მომადლებული [illegible] ხალა სდგას ადამიანის ბოძებულზე ან მემკვიდრეობით მიღებულ ნუ. ჩუკვირდი ამ სიტყვებს, ჩემო ძვირფასო მამობილო. შენ ხვდები კიდეც, თუ რად ვამბობ ამას. არ მსურს დაგატანო ძალა, ხოლო გამხელ, ბრძენო კახაბერ, გებრალებოდეს ორი მიჯნური, შეიბრალე შენი ნუგეში მშვენიერი მზია, ლმობიერ იყავი გმირ დათუნას მიმართ, რომელმაც ლუხუნას პირას მედგარი ბრძოლით დასძლია ჩერქეზი თავადი, განთქმული თენგიზ, იხსნა განსაცდელისაგან შენი ასული და თვით შენ აგაცილა დიდი შერცხვენა.

ბრძანა მეფემ ეს სიტყვები შუმად და კვლავ გადახედა შეყვარებულ ქალ-ვაჟს, რომელთა გულს იმედის შუქი მოჰფინეს შოთას უკვდავმა სიტყვებმა და თამარის საუბარმა კახაბერთან.

ამ დროს კახაბერ წამოიჭრა მძიმედ, დაიჩოქა ცალ მუხლზე თამარის წინაშე და მოახსენა:

— დიდო მეფეო, მზად ვარ შეგწირო მთელი საუნჯე, ჩემი ცოლშვილი, ჩემი სიცოცხლე. თვით ნუგეში ჩემი ასული მზია ინებე უბრალო მხევლად, ხოლო ნუ ისურვებ რომ უგვარო ჭაბუკს, ჩემს შინაყმას, ვიღაც აზნაურ გოცირიძეს მივცე იგი... გეაჯები მუხლმოდრეკით, ნუ შემირცხვენ ულვაშს საქვეყნოდ! ნუ გწადის, დიდო, მეფეო, გამხადო სასაცილოდ თქვენთვის თავდადებული მოხუცი კახაბერ!..

მეტის აღელვებით რაჭის ერისთავს თვალები ცრემლით აევსო. ფრიად მწუხარე თამარმა უბრძანა კახაბერს წამოდგომა და მოისვა გვერდით. მეფე ღრმა ფიქრს მიეცა. უცებ გაუბრწყინდა სახე. მან გაშალა სუფრაზე თავისი აბრეშუმის ხელმანდილი, მოატანია მელანი, ორბის კალამი და დასწერა რაღაც. შემდეგ გადასცა იგი წასაკითხავად თავის მოლარეს შოთა რუსთველს. ფიცხლავ წამოდგა შოთა, გაშალა მანდილი და ხმა მაღლა წაიკითხა შემდეგი:

„სახელითა ღვთისათა მე, თამარ დავითიან-ბაგრატოვანი, მპყრობელი სრულიად საქართველოისა, სომხეთისა, კავკასიონის ხალხთა და რან-შარვანისა, ვაძლევ ჩემს ერთგულ რაჭველ აზნაურს დათუნა გოცირიძეს თავადის ხარისხს და ქსნის ხეობის ერისთაობას ციხე-კოშკებით, სოფლებით, ყმით და მამულით“.

— ახლაც არა ხარ კმაყოფილი, ჩემო ძვირფასო მამობილო? ახლაც უარს ეტყვი სიძეობაზე ქსნის ერისთავს დათუნა გოცირიძეს? — უბრძანა ღიმილით თამარ მეფემ.

უზომოდ გახარებულმა კახაბერმა და მისმა მეუღლემ დაიჩოქეს თამარის წინაშე, მხურვალე გრძნობით ეამბორნენ მის კალთას და ხელებს.

— არა ვარ ღირსი შენის წყალობისა, დიდო მეფეო. კურთხეულ იყავ სამარადისოდ, რამე თუ შენ გაახარე მოხუცის გული და მოჰფინე ჩემს ოჯახს უსაზღვრო ბედნიერება.

ღალადებდნენ ამ სიტყვებს კახაბერის ბაგენი.

ამავე დროს დაემხო მეფის წინაშე უდიდესად გახარებული ორი მიჯნური. მხურვალე გრძნობით ემთხვივნენ ისინი მეფის კალთას და თითებს, მათ სახეზე უსაზღვრო ბედნიერება ციალებდა. თვალებში ნეტარების ცრემლები კრთოდნენ.

ამ სურათმა გული აუჩუყა იქ დამსწრეთ. მოხიბლა თამარ მის წინ დაჩოქილ მზია-დათუნას ბედნიერებით მოციალე შვენიერმა სახემ. მან ჩაიკრა გულში ორივე შეყვარებული, აკოცა ორივეს მშობლიური გრძნობით და უსურვა ბედნიერება ახალ ცხოვრებაში.

— აბა დასვით ბედნიერი მიჯნურნი ჩემს სიახლოეს! გააჩაღეთ ნადიმი! მუდრიბნო, დაუკარით საამო ჰანგები — დღეს დათუნას და მზიას ნიშნობაა—ბრძანა მხიარულად მეფემ.

უსაზღვრო სიხარულმა შეიპყრო დამსწრე საზოგადოება. სწრაფად გაშალეს ახალი სუფრა და გაიმართა ახალი ლხინი. კვლავ მოგვარეს თამარს მზია და დათუნა. ნეტარებით ანატიფებულ მათ სახეს მორცხვობის ელფერი დაჰკროდა. ისინი დასვეს თვით მეფის გვერდით.

გაიმართა მილოცვა და პირის სანახავის მირთმევა. თამარმა მოიხსნა იშვიათი თვლებით მოოქვილი ფარმავალი და მიუბოძა კახაბერის ასულს. დამსწრე სტუმრებმა მიართვეს ნეფე-დედოფალს ნაირ-ნაირი ძვირფასი პირისანახავი. თვით კახაბერმა უბოძა სიძეს ოქროთი მოჭედილი იშვიათი ღირსების ხალიბის ხმალი, სიდედრმა კი შემოარტყა მას ოქროს სარტყელი, ძვირფასი თვლებით შემკული.

— ვერ ვამჩნევ აქ შენს მიმრთმეულ პირის სანახავს, ჩემო მგოსანო, — შენიშნა შოთას თამარმა ნაზი ღიმილით.

— ამ წუთას, დიდო მეფეო!

იგი წამოდგა მარდად, მიუახლოვდა მიჯნურთ და დალოცა:

— იყავით დღეგრძელ, კოლხეთის სიტურფენო. გიყვარდეთ მარად ერთი მეორე წრფელი გრძნობით. მიიღეთ ჩემგან მცირე ნობათად ეს არმაღანი.

ამ სიტყვებთან ერთად შოთამ ამოიღო უბიდან და გაშალა სუფრაზე მზია-დათუნას წინ თამარის ხელმანდილი, რომელიც ამიერით სიგელი იყო ქსნის ერისთაობისა.

რუსთველის ასეთმა საოხუნჯო ოინმა აღტაცებაში მოიყვანა თამარ და დიდებულნი. ამავე დროს თამამად სამი სასმისით შესვა თამარ მეფის, ორი მიჯნურის და შოთას სადღეგრძელო. აგუგუნდა მრავალ-ჟამიერ და სუფრული. მომღერალთა საამო ხმები და საკრავთა ნაზი ჰანგები ატკბობდა სუფრას. ისევ გაჩაღდა ცაცხვებქვეშ საზეიმო ლხინი. აცეკვეს ნეფე-დედოფალი, რომელთა ნარნარა როკვამ მოხიბლა ყველანი.

მზე დიდი ხნის ჩასული იყო და შეყვარებულთა მესაიდუმლე ძალიან მუხა-ცაცხვების ფოთოლთა შორის სინაზით აფრქვევდა თავის ცალტა სხივებს, ვერცხლის ფერებად აფოროჯებდა ბედნიერ სუფრას, ნაბადაც მიდამოს ტკბილ-ქართული მწყობრი გალობა-სიმღერა ეფინებოდა. ამ დროს ცოტა მოშორებით გაისმა ქნარის ნაზი ჰანგები, რასაც სინარნარით ეზავებოდა ვილაც ჭაბუკის საამო ხმები:

„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი...
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი...“

მოსხლტა მგზნებარე ჰანგებად ეს უცნაური ლექსი და ჩასწვდა გულში მოლხინე მეფე-დედოფალს.

ეს იყო შოთა. იგი განშორებოდა სუფრას და იქ ყვავილთა შორის, რიონის პირას ზევსურს უკმევდა დიდებულ გრძნობას...

მიჯნური

შუალამეს კარგა გადასცილდა. საზეიმო ლხინით მიქანცულს ყველას ეძინა კახაბერის დიდ სასახლეში, მხოლოდ ციხეთაგან ხანდაზმით გამოტყორცილი გუშაგთ ყივილი და მდინარის მუდმივი ჩქეფა-ღრიალი არღვევდა ბუნების ყუდროებას.

ამ დროს ხის ქვეშ მდინარის პირას გაჩნდა ვილაც ჭაბუკის შავი ლანდი. იგი მოსხლეტით დაეშვა მოლზე. ბორგავდა ვაჟის შფოთარე გული. კარგა ხანია დაკარგა მან ძილი და სულის სიმშვიდე. უკვე შვიდი წელია, რაც ჭაბუკის გულში აღმოცენდა სიყვარულის ნაზი ყვავილი და იქცა უტეხ ვნებად. გაწამებულ ჭაბუკს მოსძულდა თავი, მთელი ქვეყანა. მის თვალებს დღე და ღამ წინ ედგა ქალის ციური სახე, მისი თილისმა თვალები, სადაც კრთოდა მხიბლავი სინაზე, შარბათი და ნეტარება. დიდხანს ებრძოდა ვაჟი ამ უცნაურ გრძნობას. ამ გაშმაგებულ ბრძოლას შეალია ძლიერი ნების მთელი ძალ-ღონე. ვერაფერს გახდა... იგი დაეცა მძაფრად ძლეული. სიყვარულის თილისმა-ძალამ გასტეხა დიდი არსების სულის სიმტკიცე, უშრეტი ცეცხლით აავსო ვაჟის მგზნებარე გული. ამიერით შეიქნა იგი უიმედო მიჯნური, ველად გაჭრილი. ეხლაც კი ამ ულმობელმა ვნებამ წამოაგდო ზეზე, გასტყორცა რიონის პირას ცრემლთა სადენად.

— ვინ ვარ ბედ შავი, ან ვინ არს იგი?! ვით ვბედავ მის სიყვარულსა მე უბედური?! იგი მეფეა პორფირმოსილი, ის პირიმზეა, ხალხის ხატება, ის ნათელია სიბრძნე-შვენების, მე კი... ოჰ, ვაგლახ მე! ხალხისა შვილი, ეული, ჩანგზე დამჟღერი ვინმე მგოსანი, ლექს-მაირების მოგვი, ქურუმი... არა, ეს არ ეგების! ეს არის ჩემგან მეტის-მეტი კადნიერება. ვით ვბედავ ამას ფიქრით ან ზრახვით? ჩაკვდი გულშივე, წყეულო ვნებავ, ჩემს უნებურად წარმოშობილო! ჩაკვდი, მტარვალო! ნუ შმაგობ, გულო, ტრფობის დაშნებით დაჭრილ-გვემულო!.. — წამოიძახა ვაჟმა

მღელვარეთ, დაემხო მოლზე და გმინვასთან ერთად მის თვალებს მოსკ-და ცრემლების ნაკადი.

დიდხანს იყო ეგრე მდუმარე. მხოლოდ ბორგავდა გულის შეფოთარე. შემდეგ წამოჯდა გაშტერებული: გაიტაცა მდინარის კვნესამ. ლივლივა ზვირთებს მოავლო თვალი, დამშვიდდა ოდნავ...

— მერე რა ვუყოთ, რომ მეფეა! მეფეა, მაგრამ მაინც ქალია, ქალი შემკული ჩვილი გულით, ნაზი გრძნობებით... ერთ დროს ხომ იგრძნო მიჯნურობის სიტკბო-სიმწვავე. ტრფობის სახმილმა ხომ დაშანთა მისი არსება... დიდხანს გლოვობდა... დრო მკურნალია. ის კი ქალია, თვით სიყვარულის მონა, სპათარი... მაგრამ თქმულია: „მიჯნურსა მიჯნური შეებრალების“... არ შემიბრალებს ესდენ წამებულს? განა უარყობს ჩემს შმაგურ ვნებას? მაშ მომკლას ბარემ! მომიღოს ბოლო, მაკმაროს ბედშავს ესოდენ ტანჯვა და წამებანი... — წამოიყვირა უნებურად ბოლო სიტყვები და წამოიჭრა ზეზე შმაგივით.

უცებ მის მზერას, ნახევრად შეშლილს, წინ აეყუდა მოშავო ჩადრში გახვეული დიაცის ნაკვთი, თითქო ზმანება რამ უჩვეულო.

— ვინა ხარ შენ? მოჩვენება თუ ხორციელი?

— იყურე, შმაგო! ნუ ჰყივი ეგრე! არ გაიგონონ... წამოხვედ აქეთ და შევეფაროთ დიდ ხეთა ჩეროს.

— ღმერთო ძლიერო! ნუ თუ ის არის? ციური ხმები ხომ იმისია!.. თამარ, ღვთაებავ ჩემო, ცით მოვლენილო!..

შმაგი ჭაბუკი დაემხო ქალის წინაშე.

— აღზდეგ ვნებულო! დაიცხრე გული! ნუ ბორგავ ეგრე! ამ ჩემს გულს ჩაწვდა შენი კვნესანი და ფეხაკრეფით ჩამოველ კოშკით, უკანასკნელად რომ გესაუბრო. წამოხვედ აქეთ, მთვარისა შუქზე არ დაგვინახონ.

მოშავო ნაკვთი მოსხლტდა უეცრად და შეეფარა ხეების ჩეროს. ჩამოჯდა მერხზე. ჭაბუკი გაჰყვა ვით მთვარეული.

— ადრევე ვგრძნობდი მაგ გულის ჟღერას, რომ მომიძღვენი ხოტბაქებანი, მასში დავრწმუნდი ამ სამი დღის წინათ თვით ვარდციხეში. ყურს გიგდებდი, კოშკის ფიტონზე მისვენებული, ოდეს ჩანგზედა აკვნესებდი შენ მიჯნურობას. იმ მწვავე ხმებმა, გულის სიღრმიდან ამოხეთქილმა და ჩემი ბავშვობის საყუდ-წალკოტის სანახაობამ მე ამიშალა ტკბილი და მწარე მოგონებანი. საშინლად მძიმე ურვა და ჭმუნვა მოაწვა ჩემს გულს. თვალთ დამიბნელდა. განქარდა ჩემთვის მთვარის ციაგი და გულწასული ტახტს მივესვენე. გონს მომიყვანა ერთგულმა ხვაშაქ. ო, დია, ღმერთო! ბევრი ცრემლი სდინდა ჩემს თვალებს... თვით ამაღამაც არ დამეძინა. სევდის ბურანით გარემოცული კოშკის სარკმელით თვალსა გარემოს მიმოვავლებდი, ოდეს წყლის პირას მთვარისა ჩუქზე შენ დაგინახე. ჩემს სმენას ჩაწვდა მწარე გმინვა და უნებლიეთ ჩამოველ დაბლა, ვით გარინ-

დული... რა გწადის, ვაჟო? რად იტანჯები? მითხარ გულახდით, დიდო მგოსანო!

მაგრამ ჭაბუკი, ქანდაკივით გაქვავებული, ხმას არ იღებდა. ცვლილის თვალებით შეტრფოდა იგი დიდი თამარის ზეციურ სახეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რად ყურობ შოთავ ხმა ამოიღე...

— ო, ძიყვარხარ, მზეო, მიყვარხარ ისე, რომ მსგავსად არვის არ ყვარებიხარ... არც ეყვარები... საბედისწერო ტრფიალებით მიყვარხარ მე ბედკრულს...

სთქვა ეს სიტყვები და მოსხლეტით თამარის ფერხთან დაეშვა. ცრემლით დაალტო ქალის ქოშები.

— აღსდეგ, საბრალოვ, მომიჯექ გვერდით. შენსა წინაშე მეფისა ნაცვლად მხოლოდ ქალია. რომ არ ვიცოდე, სიყვარული ჩვენს უნებურად გულში გვებადოს, გავრისხდებოდი დიდად, სასტიკად. კადნიერებად და თავხედობად მას ჩაგითვლიდი... შოთავ, ჭაბუკო შვენიერო, დიდო მგოსანო, ჩემთვის მკვნესარევ, მიჯნურობით ველად გაჭრილო, ვერ გეტყვი მძულხარ... ვის არ მოხიბლავს ეგ თვალები, შენი ლექსები ან ვინ გაუძლებს ზეციურ შენს ნიჭს, ენამზეობას, ციური ხმების და პოეზიის ჯადოთილისმას, ჰანგთა მუსიკას... მგოსანთა მეფევ, ჭაბუკთა შორის შურის აღმძრელო, შენ გევლებიან კოლხეთ-ივერის ტურფა ასულნი, თეთრ მკერდ უმშვენებთ შენი სურათი, გულსა კი მარად შენი ხატება... ქალი თუ კაცი, ყრმა თუ მოხუცი იზეპირებს შენ მიერ შექმნილ უკვდავ ქმნილებას — „ვეფხის-ტყაოსანს". მაგრამ რა გითხრა!.. განა ძალმიძს, რომ ამ ტანჯულ გულში შენ მოგცე ბინა და ნაზი გრძნობა გაგიზიარო? არა... არას დროს!.. ამის მიზეზი სამი რამ არის: პირველ ყოვლისა—მეფის გვირგვინი და სასახლისა და მკაცრი ადათი, მეორე — მე მყავს ქმარი, შვილები და უნდა ვიყო მათი ერთგული. ეჰ, ბოლოს, ამ გულს, დაფერფლილს მიჯნურის ალით, გახურებულ შანთებით ნატანჯს, განაღა ძალუძს კვლავ გაცოცხლება და უზენაესი ტრფიალების კვალად შეგრძნობა?! ო, არა, არა, ძვირფასო შოთავ!.. ეგ მარტო ოდენ ბავშვის ჩქურია, ყალბი ოცნება... თავს ნუ იტყუებ, დიდ ბრძენს და მგოსანს ეგ არ შეგფერის....

— მაშ, რა ვქნა მზეო? მოვიკლა თავი? უშენოდ ყოფნა არ შემიძლია!

— შენ ჩემზე უფრო ბედნიერი ხარ. ჩემს პიროვნებას, ვნებას, სურვილებს ბორკავს მარადის მეფის კირთები. ტახტის მსხვერპლი ვარ და დიდებულთა რჩევისა მონა... შენ კი... ოჰ, შენ ხარ თავისუფალი, ვით ცის ფრინველი, ვით გაზაფხულის ნაზი პეპელა. სად გსურს, იქ წახვალ და გაფრინდები. რაც გსურს, მას იზამ.... ო, რა სიამით თვით დღესავე მივატოვებდი გვირგვინს, დიდებას, ობლად დავყრიდი ქმარსა, შვილებსა და მონასტერში, იქ, სადმე შორს მონაზვნის სქიმში შავად მოსილი წმინდა ლოცვაში, წამებულ დემნას მოგონებაში სულსა დავლევდი... მაგრამ მე ბედშავს ამის უფლებაც არა მაქვს, არა...

თამარს მღელვარება დაეტყო, მარგალიტებად წასკდა ცრემლები.

— რაღა შთენია ჩემს გულს დამსხვრეულს? ან დავიწყება, სულის სიმტკიცე, ცხოვრების ეტლით და სიამით გატაცებანი, ან ღმერთი, ლოცვა და მონასტერი... ჯერ ჭაბუკი ხარ, ყრმა საუცხოვო, საკვირველ-ცხონებით და იმედებით. შენ მზე გიცინის და გაზაფხული. შენ თვით მეფე ხარ, მეფე დიადი. ენა მზეობით, ციური ნიჭით ტურფა ასულთა გულის დამყრობი და ერის სულის მომჯადოებელი. გაქვს ყოველივე, ხარ ზენა მადლით მირონცხებული. შენი ცხოვრების საველი შარა ია და ვარდით მოფენილია. მაშ რა გსურს კიდევ ულმო ჭაბუკო?

— რა მსურს, ღვთაებავ? ო, გკადრებ, გეტყვი, თუნდ აქვე ლოდით მე ჩავიქოლო... მსურს შენი სახის და თვალების მარადის მზერა... მსურს, რომ ვისმინო სულ მუდამ ჟამს ციური ხმები, მაგ ბაგეთაგან გადმონადენი.. მსურს თანაგრძნობა მოვიპოვო შენს სპეტაკ სულში... მსურს, რომ გაათბოს ჩემმა ვნებამ ეგ ცივი გული, გაბზარული, სევდით მოსული და აგრძნობინოს მიჯნურობის ახალი ძალა... ო, მსურს, მზიურო, შენი ალერსი და სიყვარული მარადიული!..

— ეგ არ ეგების, ჩემო შოთავ, გითხარი კვალად... რად მიმზერ ბედშავს, ულმოდ დასჯილს, მწარედ დატანჯულს? რა ნახე ჩემში? მე ხომ ლანდი ვარ წინანდელი ნესტან-დარეჯნის, ნაკვთათ უხეში, სულით უძლური... მიმოიხედე ირგვლივ, ჭაბუკო. თავს გევლებიან, ვითა ფარვანა, შენს სატრფიალოდ აღტყინებული ტურფა ასულნი, ნაზნი მხიბლავნი და მშვენიერნი, როგორც მაისის ლილა მზიანი...

— რას ვაქნევ იმათ! არ მსურს ისინი!.. მათ სიტურფეს ვერ იკარებს ეს ჩემი გული... ო, არავინ მსურს თვინიერ შენდა, შუქო ციურო! მოდი ჩემდამი... იგრძენ ამ გულის კვნესა, წამება!..

— არ ძალმიძს, ვაჟო, შენი კურნება, ვერას გიშველი მე უბედური...

— მაშ რა ვიაზრო, რა ჩავიდინო?

— თუ ეს ცხოვრება და ტურფანი ვერ დააცხრობენ მაგ გულს შფოთარეს, ვერ ძალუძთ სრულად დაანელონ მიჯნურობისა გახელებანი და ვერ დათოკვენ ვნების სახმილს, გულში აზვირთულს, მაშინ... ო, მაშინ...

— რა მაშინ? მაუწყე მალე, მნათო ციურო!

— მაშინ... ო, მაშინ განვედ ამ სოფლით, აღიკვეც ბერად, განშორდი კოლხეთს, სამესხეთოს და ივერიას, წარვედ უცხოეთს, სადაც სწავლობდი და სად ატარე სიყმაწვილის დღენი ნეტარნნი. იქ წმინდა ალაგს იერუსალიმს, ჯვრის მონასტერში, ჯვარცმულის ჭვრეტით გოლგოთასთან დალიე სპეტი მოხუცისა ნეტარი დღენი... და ეს ცხოვრებაც, ჩემო შოთავ, ხომ გოლგოთაა, ტანჯვა-წამების ბიაბანი, სისხლით და ცრემლით უხვად მორწყული...

— როგორ?! გავშორდე ყველას?! ძვირფას სამშობლოს? მოვწყდე მარადის ცხოვრების ტალღებს, ტოლსა, მეგობრებს ნორჩი ჭაბუკი?! აღარ

ვიხილო ამიერით ეგ სახე შენი, სახე ღვთიური?! ვერ გავიგონო ვერასოდეს ეგ ხმა ციური და ცოცხლად მკვდარმა ბერმონაზონის შავ სუდარაში გამოხვეულმა ვათრიო მარად ცხოვრებისა უფერო დღენი?! [illegible] ამას მირჩევს ჩემი კერპი, ხატი, ღვთაება!.. რა დაგიშავე [illegible] არ ძალმიძს, მზეო, მე უბედურს ვატარო ქვეყნად ეგ მძიმე ჯვარი, მძიმე კირთები... ცხოვრება მწყურის! მსურს, რომ შევსვა შარბათით სავსე მისი ფიალა... ვერ გავექცევი ჩემს სამშობლოს, ჩემს ივერიას, ესდენ საყვარელს! ვერ გავექცევი მაგ სახის ღიმილს და ზეციურსა თვალების მზერას!.. ვერა და ვერა!.. უმჯობესია ჩემ თავს, ბედით კრულს, აქ, შენს თვალწინა, მოულო ბოლო და შეუერთდე უსულო გვამი მდინარის ზვირთებს, ვიდრე გავშორდე... ვიდრე მოგშორდე სამარადისოდ შავს სუდარაში გამოხვეული...

— მაგას არ იტყვის ძე ხორციელი, შენსავით ბრძენი და გონიერი. თუ ვერ ჩაიკლავ გულში სიყვარულს, მიჯნურთა სახმილს, ეს უკეთესი უკვდავი დიდი პოემა... ერს, დაობლებულს შენის განვლით ამა სოფლად ძეგლი ხელთუქმნელი უკვე აიგე და ეს ძეგლია შენი „ქებანი“ და ის უკვდავი დიდი პოემა.. ერს, დაობლებულს შენის განვლით ამა სოფლიდან, იგი დარჩების ჟამთა სრბოლაში იმედ-ნუგეშად, ვით სახარება, ალთქმა ახალი. იგი იქნების, ვით ებრაელთა ცეცხლისა სვეტი, ქართლის ცხოვრების ათასწელთა მანათობელი... გაიზეპირებს მას, შეიტკბობს დიდი, პატარა და მისი უშრეტი ფილოსოფია-პოეზიით ნაზიარები, იმის ემბაზში განბანილი, ნათელღებული დიდებულ შოთას ლოცვა-კურთხევით მოიხსენიებს აწ მადლიერი შთამომავლობა.... ვფიცავ ზენას, შენ ასწილ უფრო დიდებული ხარ და ბედნიერი, ვიდრე მეფენი და კეისარნი, გვირგვინ-პორფირის მატარებელნი... დამშვიდდი, შოთავ, და ამ სიტყვებით გთხოვ შეაჯერო ეგ შენი გული. ამაებს გამხელს შენი მოკეთე, შენი ერთგული და მეგობარი მეფე თამარ, ათწილად უფრო თვით შოთაზე გვემულ-ტანჯული...

— და რაც შევქენი: „ქება“, „პოემა“, შენდამი ღვთიურ სიყვარულით ნაკარნახევი, სუყველაფერი შენ შთამაგონე, სასწაულებრივ მოვლენილო ქვეყნად შვენებავ! შენ იყავ ჩემი ციური მუზა. ძილში თუ ფხიზლად, მთვარისა შუქზე თუ ვარსკვლავების მიმქრალ ციმციმზე ჰანგებს ზეციურს ჩემს სულს აფრქვევდი... მაგ სიყვარულის დიადმა ძალამ მაქცია მგოსნად. მომცა სახელი, ქება, დიდება... ფრთები შეესხა ჩემს სულს შფოთარეს და ცის უსრულებაში ეთერის ზვირთებს შეენავარდა სამარადისო ნეტარების მოსაპოებლად... და შენ კი, ჩემო სულის მეფევ, კერპო, ჯალათო, მაგ განაჩენით ბნელ ჯურღმულში მტყორცე საბრალო... რა დაგიშავე? რად გამწირე მე უბედური, ობოლი სული, ობლად მსვლელი ამ ქვეყანაზე? რად მომაწოდე ნაზი თითებით, ოჰ, ეგ ფიალა აღსავსე

შხამით? ო, ძნელია ჩემთვის შესმა მაგ შხამის! ეგ ულმობელი მკაცრი სასჯელია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოსთქვა შოთამ ეს სიტყვები მღელვარე ხმით, თამარს ფერხთან დაემხო კვნესით, იწყო ქვითინი...

ცრემლით აივსო თამარ მეფის შავი თვალები... დიდხანს სდუმდა ის... შემდეგ მიმართა მტკიცე სიტყვებით:

— ვფიცავ, შოთავ, ეს ერთად-ერთი არის სალბუნი მაგ გულის წყლულთა დასაამებლად. შეჯერდი ამას! განვედ ამ ქვეყნით და შეაფარე გული მსხვრეული წმინდა ჯვარისა დიდებულ ლავრას, იქ მონასტრისა კედელთა შორის წმინდა მამებთან ღვთის ვედრებაში ჰპოვე ნუგეში, სიმშვიდე სულის... მასთან წარიღე ჩემს სალაროდან დიდი საგანძ... თვალმარგალიტი, ოქრო-პერპერი, ლარი ტვირთული და უხვი ხელით განუზიარე ქართველ მონასტრებს, აკადემიებს სინას მთაზე. იერუსალიმს და ულუმფოში, თან დიდსა ლავრას ივერიისა ათონის მთაზე და ბიზანტიის მონასტერსა, სადაც გაივლო გზად მიმავალი. მაშ, დიდო შოთავ, მარად ჩემთვის მოსაგონარო, გწყალობდეს ღმერთი და აკურთხოს შენი ნაბიჯი მაგ ახალ გზაზე, დაგიტკბოს გული, ვნებით ღელვილი, და დაგიამოს სული შფოთარე. დეე, გიწინაძღვროს წმ. გიორგიმ, გფარვიდეს წმ. ნინო ვაზის ჯვრით ხელში, ივერთ მფარველმა ზეცის ქალწულმა თავისი კალთა გადაგაფაროს!..

წარმოსთქვა მეფემ ეს კურთხევა მღელვარე ხმითა.

— განა ამრიგად იშორებენ ტანჯულს, წამებულს? შვიდი წელია, რაც უყვარხარ შენ ამ გულს მთებარეს. შვიდი წელია უიმედოდ კვნესის იგი... სად არის შენი თანაგრძნობა და სიბრალული? გვედრებ, მიბოძო რამ საჩუქარი, მარად ხსოვნაში რომ ვატარო... იმით ვცოცხლობდე მე ამ ქვეყანათ განშორებული...

— საჩუქარიო? მართალი ხარ... სულ დამავიწყდა. აჰა, მგოსანო, ინებე ჩემგან მცირე სახსოვრად.

ამასთან ერთად მეფემ მოიხსნა ხვთისმშობლისა პაწაწა ხატი, რომელიც მარად ეკიდა გულზე ოქროს ძეწკვით, კვართისა ქვემოთ, და თავის ხელით შეაბა შოთას. თანაც შეეხო, ვით სიო ნაზი, შუბლზე ამბორით.

— მხოლოდ ეგ? სხვა არაფერი? შებღავლა შოთამ და დაუკოცნა თამარს მხურვალედ კალთა, ხელები...

— სხვა კიდევ რა გწადს?

— ასეთი ღამე ტკბილი და მწარე, ბნელი, შუქმფენი ჩემთვის არ-დეს არ დაღამდების და ვერც ვიხილავ ამიერით თამარს-პირიმზეს... ამიტომ გვედრებ მუხლმოდრეკით, ჩემო სიცოცხლევ, მაჩუქო შენი მწვავე კოცნა, კოცნა პირველი, უკანასკნელი, რომ მისმა სიტკბომ, შარბათ-ნექტარმა მარადიულად ალხინოს სული ესდენ შფოთარე და წამეული...

თამარ, გაფიცებ ერს საქართველოს, ერთი ამბორი!.. ამბორი ქალის, შეყვარებულის!.. ვნებით მგზნებარე, აცეცხლებული!

სანამ ამ სიტყვებს დაამთავრებდა, შოთას ცხელ ტუჩებს ჩეკავენ მწვავედ ქალის ბაგენი...

ეს იყო წამი თვით ნეტარების და ნეტარება მარადიული...

შემდეგ ხის ჩეროს მოსხლტა ლანდი, შავი დოლბანდით გარემოცული, და მაღალ კოშკს შეაფარა თავი.

შოთა კი იდგა ერთ ალაგას გარინდებული, თითქო ბურანში, ვით ადრიატი ლუში მარმარის, ვერ გაერკვია. სიცხადე იყო ეს, თუ სიზმარი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე პუშკინი

მეფე სალტანის ზღაპარი

(ნაწილი პოემიდან)

სამი ქალი, სამ ჯარასთან
იჯდა ერთხელ ფანჯარასთან
„მე რომ ვიყო დედოფალი, —
ნატრულობდა ერთი ქალი, —
მთელ ქვეყანას მარტოხელა
მივართმევდი სადილს ხელად“.
და მეორე ამბობს ქალი:
„მე რომ ვიყო დედოფალი
მთელ ქვეყანას, ვამბობ მართალს,
მოვუქსოვდი ძვირფას ფართალს“.
მესამე — კი ამბობს ქალი,
„რომ გამხადა დედოფალი
ჩვენ დიდ მეფეს, გულით უხვსა,
მე შევძენდი მზე — ჭაბუკსა“.

ეს სიტყვები, რომ სთქვეს ყველამ,
აჭრიალდა კარი ნელა,
აღებს მეფე სახლის კარებს,
ვინც პარტრონობს იმათ მხარეს,
კართან მდგარა მეფე რაკი
გაეგონა ლაპარაკი
და უმცროსის სიტყვა თქმული
მოესმინა სიხარულით.
„გამარჯობა პირად მზესა,
შენ დედოფლად გაგხდი დღესა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაჩუქე მზე — ჭაბუკი,
სანამ მოვა ზამთრის ბუქი,
თქვენ — კი, ჩემო დებო კარგო,
რომ აღარსად დაიკარგოთ,
გამოჰყევით უკან დასა,
მეფესა და დედოფალსა:
სახაბაზოს მივცემ ერთსა
საფეიქროს მეორესა".

გამოუძღვა მეფე სტუმრებს
და სასახლეს მიაშურეს,
მეფეს გრძნობა ჰქონდა წმინდა,
საღამოსვე დაქორწინდა.
ართობს ლხინი სალტან მეფეს
ღვინო ჭერში ააშხეფეს.
სტუმარი და მასპინძელი,
რომ გათავდა ლხინი გრძელი,
თან გამოჰყვა ახალგაზრდათ
და ლოგინი დაუმზადდათ,
დააწვინეს ერთად ფართოდ
და დასტოვეს მარტოდ — მარტო
ვისაც დარჩა სახაბაზო,
სცემს ფარეშებს და სულ ბრაზობს,
და ფეიქრად განაწესი,
იცრემლება და თან კვნესის:
„ჩვენი და და ჩვენი ტოლი,
როგორ გახდა მეფის ცოლი".
არ იმტყუნა ცოლმა პირი,
შეასრულა დანაპირი,
დაორსულდა იმ ღამესა.

ეს გაეგო მეფის მტერსა,
და დაესხა დიდი ჯარით,
ეტყვის მეფე დედოფალსა:
„გაუფრთხილდი ქალო თავსა",
შემოხვია მერე ხელი,
შეუმშრალა კოცნით ცრემლი,
მერე ლურჯას შემოახტა
და ლაშქარით ლაშქარს დახვდა.
იმ დროს როცა მტერს უტევდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლს ღვრიდა და ჯავშანს ხევდა,
დაებადა მეფეს ვაჟი,
ტანმაგარი, როგორც კაჟი.
დასტრიალებს დედა ახლა,
ვით არწივი თავის ბახალს.
და ერთ შიკრიკს ატანს ამბავს,
რომ ახაროს ბავშვის მამას.
ხაბაზსა და ფეიქარსა
და სიდედრსა ჯადოქარსა,
სურთ დალუპონ ახლა იგი.
დაიჭირეს ეს შიკრიკი.
სხვა გაგზავნეს კაცი ბრიყვი,
ეს ძისწერეს სიტყვა სიტყვით:
„დღეს აქ მორჩა დედოფალი.
არც ვაჟი ყავს და არც ქალი.
არც ბაყაყი, არც თაგუნნა,
უცხო მხეცი რამ გვარგუნა“.

მეფემ ეს რომ გაიგონა,
ჩამოეხრჩო, სურდა, მონა,
შეიბრალა მერე, თანაც
ეს ბრძანება გაატანა:
„დამიცადეთ, რომ მანდ ჩემი,
გაგიცხადოთ განაჩენი“.

მიდის, ჩქარობს ჩვენი მონა.
გზას ორი დღე მოანდომა.
ხაბაზმა და ფეიქარმა,
და სიდედრმა ჯადოქარმა,
შეიტყუეს სახლში მონა,
და არაყი ასვეს ბლომად.
გზაში დაღლილს და ნამთვრალევს,
მეფის წიგნი შეუცვალეს.
და სასახლის დიდმა კრებამ,
წაიკითხა მეფის ნება:
„ნაზირ-ვეზირთ მეფე უთვლის,
არ დაკარგონ ერთი წუთი,
დედოფალი, მისი ვაჟი,
გადაჰყარონ ერთად ზღვაში“.
თქმა არ უნდა ყველას ცოტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალტან მეფე შეეცოდა,
დადოფალი უფრო მეტად,
და უეცრად ყველა ერთად
შემოვიდა დედოფალთან,
დაუკოცნეს ცრემლით კალთა,
უთხრეს, რომ მას და მის ვაჟსა
კაატანენ დღესვე წყალსა,
ეს სასჯელი არის რადგან
ბრძანებაა მეფისაგან.
და იმ წამსვე დიდი კასრა,
დაახურეს საწყალ ქალსა.
ჯერ დაფისეს, დააგორეს,
გაატანეს ზღვათა მორევს.
დაიფარა კასრა შხეფით
და შესრულდა სიტყვა მეფის.
ლაჟვარდ ცაში სხივი ელავს,
ლაჟვარდ ზღვაში ტალღა ღელავს
ქარი დენის ღრუბელს მაღლა,
მიაქანებს კასრას ტალღა,
ვით საბრალო ქვრივი ქალი,
ტირის, კვნესის დედოფალი,
და იზრდება ბავშვი ყუთში,
ყოველ წამს და ყოველ წუთში.
დედა სტირის, დედა კვდება,
ბიჭი ტალღას ეუბნება:
„ხან აღმა და ხან — კი დაღმა,
მოლივლივე ჩემო ტალღა,
ხან ნელა და ხან კი ჩქარა
ზღვის ნაპირებს სჭრი და ღარავ-
ხან დაფარავ მიწის კიდეს,
გემებს ზურგზე აიკიდებ.
გთხოვ, საბრალო დედა ბავშვით,
არ დაგვღუპო, ტალღავ, ზღვაში“.
ტალღამ ხვეწნა შეიწყნარა,
და ნაპირზე კასრა წყნარად
გამორიყა. ჭავლი წმინდა
ისევ უკან გადადინდა.
და გადარჩნენ. დედამ იმ წამს,
ქვიშიანი იგრძნო მიწა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის მოუვა ახლა აზრად,
რომ მოვიდეს, გახსნას კასრა,
რომ მშვიდობით ის და ბავშვი
გამოვიდნენ ახლა კარში.
მეფის წული ადგა ფეხზე
მიაბჯინა თავი ფსკერზე,
სთქვა; „კასრაა მეტად ბნელი,
მოუხდება მას სარკმელი“.
გაანგრია კასრის ძირი
და გამოჰყო გარეთ ცხვირი,
გამოვიდა დედა-შვილი,
წინ ველია გადაშლილი.
ველზე მოსჩანს ერთი გორა,
ზღვის ტალღები ირგვლივ გორავს;
და გორაზე მარტოდ-მარტო
იდგა მუხა ტოტებ ფართო.
„ახლა ვახშმის დროა სწორედ“,
სთქვა ბავშვმა და უმზერს შორეთს,
მოოამტვრია ტოტი დიდი,
გაიკეთა მტკიცე მშვილდი,
ჯვრის ზონრიდან წვრილი ლამბა
მუხის მშვილდსა გამოაბა.
მერე წვრილი ტოტი ნახა,
წვერიც კარგად წაუმახვა.
და წავიდა. სანაპირო,
სჩანდა კარგი სანადირო.
მიაჩქარებს ვაჟი ფეხსა,
თითქოს ზღვიდან ესმის კვნესა...
ტალღა გორავს იქით-აქეთ,
ხედავს, ხდება ცუდი საქმე:
გედი მოსჩანს ზვირთებს შორის,
დავს დასხმია საწყალს ქორი.
დაკორტნილი გედი სწვალობს
წყალს ამღვრევს, და თან ფართხალობს,
ნისკარტი და კლანჭი ქორის,
გედს საბრალოს გლეჯს და ჰკორტნის.
გატყორცნილი ამ დროს სარჩა[1]

[1]) ერთნაირ ისარსა ჰქვიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორს მოხვდა და ყელში ჩარჩა.
ძირს დაეცა მტაცებელი
გადმოჰლვარა სისხლი ბევრი.
ვაჟი ხედავს ქორი ყვინთავს
და ვით კაცი ისე გმინავს
მიფრენილა გედი ახლოს,
ნისკარტს ურტყამს, წყალში ახრჩობს.
როცა მორჩა ბრძოლას მკაცრი,
ასაუბრდა როგორც კაცი:
„ო, ძლიერო ჩემო მხსნელო,
მეფის წული ვაჟო ქველო.
ნუ იდარდებ, ჩემო კარგო,
რომ ისარი დაგეკარგა
და რომ გედის გადამკიდე
იშიმშილებს სამ დღეს კიდევ.
დაგამახვებს მომავალი,
რომ გადახდა ვიცი ვალის.
შენ იხსენი არა გედი, —
ქალწული და მისი ბედი.
ვინც მოჰკალი შენი ხელით.
ის ქაჯია, ავის მქნელი.
რაინდს გულში ჩაგისახავ.
სადაც გინდა, იქ მომნახავ,
ახლა დარდი აიცდინე,
შინ წადი და დაიძინე“

და გაფრინდა გედი ცაში.
დედოფალი, მისი ვაჟი
აქ მთელი დღე, დარჩნენ უქმად;
არ ჩაუდევთ პირში ლუკმა,
მოერიათ ისევ ძილი.
მეორე დღეს ადრე დილით,
ხედავს ვაჟი, რომ მთლად ჭალა
დაეფარა ერთ დიდ ქალაქს.
გალავანში მოსჩანს ბევრი,
სასახლე და მონასტერი,
გაიღვიძა შემდეგ დედამ,
დაიძახა: „რასა ვხედავ“,
ვაჟმა უთხრა: „არის გედის,
ნათაბაში, ნამოქმედი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ორივემ მიაშურა,
წინ გადაშლილ უცხო სურათს.
დედამ თავის ფალავანით
როცა განვლო გალავანი,
მაშინ უცბად ატყდა ტაში,
ზარის რეკვა და განგაში;
ხალხი იმათ შეეგება,
თავადების შეხვდა კრებაც,
ალტაცებით მთელი ერი,
მღერის „მრავალ-ჟამიერი“,
და დედოფლის ნებართვითა,
ვაჟი კვერთხით დაიტვირთა,
მოახურეს ფარჩა ტანზე,
აიყვანეს დასვეს ტახტზე,
და შესძახეს: „ჩვენო დიდო,
ბატონო და მეფე გვიდონ“.

ალ. ჭუთათელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიროსპირ

რომანი

მეოთხე წიგნი

დამსჯელი რაზმი

„მიკიტანო მელია,
ფული შემომელია“...
ჰუმორული სიმღერა.

როდესაც იოკიმე აბულაძემ სამაზრო კომისარს კარისმერეთის მილიციის განიარაღება, ახლომახლო სოფლებში არსებული უკმაყოფილება და გლეხთა აჯანყებისათვის მზადება აცნობა, ქუთაისის მაშინდელმა მესვეურებმა გადასწყვიტეს ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების, შენიშნული გლეხების განიარაღება და მათი დაპატიმრება. ამ მიზნით გაიგზავნა ზემოიმერეთისაკენ დამსჯელი რაზმი — სამოცი ცხენოსანი გვარდიელი. რაზმის უფროსი იყო ოტია მდივნის ცოლისძმა: კორნეტი დათა ყიფიანი, თითონაც ზემოიმერელი მემამულის შვილი და განიარაღებისათვის მიჩნეული სოფლების მცოდნე.

რაზმი ქუთაისიდან დილით გავიდა. ცხენოსნებმა სალორიის ტყე გაიარეს და რიონის სადგურის შემდეგ მდინარე ყვირილას მიადგნენ. პირველად ისინი გაჩერდნენ ვარციხეში. ვარციხის სასახლიდან მრეწველი ანანოვი კარგახანია გაქცეულიყო. მისი ღვინის სარდაფების მუშები ახლომახლო სოფლებში წავიდ-წამოვიდნენ. ჩასვლისთანავე რაზმის უფროსმა ყიფიანმა ვარციხის მილიცია აღადგინა და სარდაფებს დარაჯები მიუჩინა. აჯამეთში ტყის მოჭრა აკრძალა და საეჭვო გლეხების დევნა და დაპატიმრება დაიწყო.

ვარციხეში რაზმის ჩამოსვლა ადრე გაიგო კარისმერეთმა. ნიკო გოცირიძემ და გალაკტიონ გელაშვილმა მზადება დაიწყეს: აღრიცხვაზე აიყვანეს და შეაიარაღეს ასამდე გლეხი. ვარციხეში ყიფიანი დაკმაყოფილდა ათიოდე გლეხის დაპატიმრებით და მათი ქუთაისის ციხეში გადაგზავნით. ამის შემდეგ ანანოვის ღვინის სარდაფებში დამზადებულ შამპანურით — „რიონით“ — დამთვრალი ყიფიანი, მენშევიკური გვარდიის მთავარი შტა-

ბის ერთერთი ინსტრუქტორი-აგიტატორი ვარლამ ფოფხაძე, ყიფიანის თანაშემწე სიმონ წერეთელი, მათი ამხანაგები სანდრო წულუკიძე და კოწია ჩხეიძე კარისმერეთისკენ გაეშურნენ. ჭენებით მიჰყვებოდნენ ცხენები აჯამეთის ტყეში. ნაბიჯით მომავალ რაზმთან ბაკი-ზემდეგ დატოვეს.

ყიფიანი და წერეთელი ქეიფის და ლხინის მოყვარულნი იყვნენ. უხაროდათ ზემო იმერეთში — ღვინის რაიონში — გამგზავრება. ქუთაისიდან წაიყვანეს მათ თავიანთი ამქრები: უსაქმო თავადი სანდრო წულუკიძე და კოწია ჩხეიძე. წულუკიძე და ჩხეიძე ქუთაისის კლუბში შულერობას, ბულვარში და ჩილინგაროვის საშაქარლამოსთან ლაზღანდარობას და ოხუნჯობას, სამიკიტნო-რესტორნებში ქეიფს იყვნენ შეჩვეულნი. სიმღერაში, დარდიმანდობაში ტოლი არა ჰყავდათ, და ყიფიანმა ისინი თავის სიძესთან — ოტია მდივანთან წაიყვანა ზედაზენში საქეიფოდ. ოტიას სიმღერა და მისი ცოლის—ბაბოს დაირა განთქმული იყო მთელს ზემო იმერეთში.

სოფელ სარბევში შედარებით უფრო კარგი „წესრიგი“ დაუხვდა ყიფიანს. გვარდიის შტაბის აგიტატორიც კმაყოფილი დარჩა და ლამაზად ქარგავდა ყალბ რევოლუციურ ფრაზებს. არც იმდენი ხალხი დაუტუსალეგიათ აქ. სამი დღის „საქმიანობისა“ და ქეიფის შემდეგ ყიფიანი გაემგზავრა აჯანყებულთა მთავარი ბუდის დასარბევად კარისმერეთში. სარბევსა და კარისმერეთს შორის, გზის მოსახვევში, სოფლის მახლობლად მდიდარი გლეხის სამსონ მოსეშვილის დუქანი — სამიკიტნო იყო. აქ თავდება აჯამეთის ტყე და აქედან კარგად მოჩანს კარისმერეთის ეკლესია, მთის კალთებზე დარაზმული ვაზის მწკრივები. მოსეშვილის დუქანთან იყრებიან სვირისკენ, ზესთაფონისკენ და ქუთაისისკენ მიმავალი გზები. მოსეშვილს დიდი გამოჩენა ჰქონდა მგზავრების, მეურმეებისა და გლეხებისგან. განსაკუთრებით ზემოაღნიშნულ ქალაქებში გამართულ ბაზრობის დღეს. სამსონ მოსეშვილი ვაჭრობდა წუმწუმით, სანთლით, ნავთით, ჭრაქით, სარეცხი საპნით, კოჭაძაფით, ტარნითა და ჭურჭლეულობით. დუქნის მეორე მხარეს სამიკიტნო იყო, საქონელი გამოლეოდა სამსონს და ცალიერი თაროებიღა სჩანდა. დუქნის ახლოს მისი მამული იყო. ყიფიანი, წერეთელი და ინსტრუქტორი ვარლამ ფოფხაძე ჭენებით წავიდნენ. სამსონის დუქანს რომ მიუახლოვდნენ, გაქაფული ცხენები ნელის ნაბიჯით წაიყვანეს, თითქოს: რა გრძელი გზა გავიარეთო. სამსონი მიეგება მათ: მობრძანდით, ჩემო ბატონო. მხედრები ცხენებიდან ჩამოხტნენ.

— სხვა, სამსონია, როგორ ბრძანდები, რა ამბავია თქვენკენ?—შეეკითხა ყიფიანი (აქით სამსონის, ნესტორის, ლუკას და სხვათა ნაცვლად „სამსონიას“, „ნესტორიას“, „ლუკაიას“ იტყვიან), ბუხრის ქუდი მოიხადა, შავი ჩოხის უბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლი მოიწმინდა.

— როგორ ვიქნებით, ჩემო ბატონო, ნაძირალებმა და დეზერტირებმა კარისმერეთში მილიციას იარაღი აჰყარეს. მილიციის უფროსს ელიზბარ ბაქრაძეს საჯაროთ თავი მოსჭრეს, — უპასუხა სამსონმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედას უტირებთ!—დააწყნარა მიკიტანი ყიფიანმა.

— ისინი ბევრია, ბატონო, ერთი სამასი გლეხი მაინც იქნება გასულ ტყეში! — გაბერა აჯანყებულთა რიცხვი მიკიტანმა.

ვარლამ ფოფხაძემ მოიწყინა.

— სად არიან, თუ იცი, დაბანაკებული?—შეეკითხა მიკიტანს.

მიკიტანმა ხელი ტყისაკენ გაიქნია:

— ვინ იცის, აჯამეთის ტყე დიდია. ბოლშევიკური ორგანიზაცია შეადგინეს. მიკვირს, ეს ნასწავლი ხალხი მაინც რამ გააგიჟა!

მიკიტანი რუსეთიდან ჩამოსულ სტუდენტებზე ნიკო გოცირიძეზე და კირილე მეძმარიაშვილზე ლაპარაკობდა.

— სწორედ იმათი დაპატიმრებისათვის ჩამოვედი!—უპასუხა ყიფიანმა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ბატონო, გააოხრეს სოფლები, ტყე გაჭრეს, ვენახი აჩეხეს, მემამულეების მიწები დაიტაცეს. ალბათ, მალე მეც დამაქცევენ! — შესჩივლა თავის მხსნელს მიკიტანმა.

იგი ზორბა, ჩასუქებული კაცი იყო. წითელი ლოყები და შავი ულვაშები ჰქონდა. წვერი — გაპარსული. შავი სატინის ხალათზე ვერცხლით მოსევადებული ქამარი ერტყა. შარვლის ტოტები წინდებში ჰქონდა ჩატანებული და ფეხზე ქუსლჩაკეცილი წუღები ეცვა.

ყიფიანმა მელასავით შეაპარა:

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, სამსონია, გვარიანად მოგიწყვია დუქანი!

დუქანში თოკი, ტარანი, ორი ნაჭერი სარეცხის საპონი და რკინის ჟანგიანი კასრა ეკიდა.

— რაღა მომიწყვია, ჩემო ბატონო, რა რომ რუსეთის გზა გადაიკეტა, საქონელიც გათავდა და ხალხიც უკაპიკოდ დარჩა!

— ცოტა მოითმინე. ნახე მერე რა თეთრი პური, ნაირნაირი საქონელი და სიმდიდრე მოზღვავდეს!

სამსონი კარგ გუნებაზე დადგა. ყიფიანი აცდენდა:

— სამსონია ,არაყი დამისხი, ნაღვინები ვარ და მომიხდება!

სამსონმა ჩარექიანი ბოთლიდან დაუსხა არაყი, კარში გაიხედა და წაიბურდღულა:

— გადაუწყდეს იმ აქციზს, ორჯერ შტრაფი დამადვა!

ყიფიანი ტრაბახობდა:

— ყურზე ხახვი არ დაგაჭრას ერთბაშად, აქ არა ვარ!?

ჩურჩხელა შუაზე გადატეხა. სამსონმა იმედიანად ჩაიცინა. საინით მჟავე ბადრიჯანი მოიტანა: ნაღვინები თუ ხართ, გულს მონახავს, მოგიხდებათო.

— სამსონია შენ გამოხადე ეს არაყი? — შეეკითხა ყიფიანი.

— არა, ბატონო, ჩემი მეზობლისაა, ბიჭია ლაითაძის!

ყიფიანმა კიდევ გადაჰკრა, ტუჩზე ხელი მიიდო, დაიგემოვნა და ბიჭის არაყი შეაქო:

— კარგი არაყი ჰქონია, შენმა გაზრდამ!

დუქანში მეურმეები შემოვიდნენ, თავი დაუკრეს ოფიცრებს და გაკვირვებული მიაჩერდნენ.

— რომელ სოფლიდან ხართ? თქვენკენ რა ამბავია? ვინც ცარცვა-გლეჯას და ყაჩაღობის გზას დაადგება, ზურგზე ბოლს ავადენთ და ციხეში ჩავყრით!—აშინებდა ყიფიანი.

დუქნის წინ ორი ცხენოსანი გამოჩნდა. ერთი ჩოხაში იყო. მეორე შუახნის კაცი, რუს მოხელის ტანსაცმელში. ცხვირზე სათვალები წამოეკოსა.

გლეხებმა თავები ჩაჰკიდეს, თითქო დანაშაული ჩაედინოთ. ამ დროს სამსონმა თავი გაჰყო კარებში. თვალებში ნიკოლოზის კოკარდამ მიანათა. გული ჩაუწყდა და ბიჭს არაყის ბოთლი დაამალინა.

— დევილუპე, ბატონო, მგონი აციზია!—დაიძახა მან, ყიფიანმა გაკვირვებით უპასუხა:

— ისემც ღმერთი გიშველის!

რუს მოხელის ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი დუქანში შემოვიდა. ყიფიანს მიესალმა, ჭიქას უყნოსა, არაყის სუნი ეცა და პატენტი მოითხოვა. მოხელემ ოქმის შედგენა დაიწყო. სამსონი გაფითრდა და კაცი აფრინა შინ: არაყი გადაემალნათ.

— ნუ გეშინია—უთხრა ყიფიანმა სამსონს და მოხელეს მიუახლოვდა:

— მე თავადი დავით ყიფიანი გახლავარ!

მოხელე წამოდგა. ბოდიში მოიხადა. ხელი ჩამოართვა, მერე რუსული ლაპარაკი დაიწყეს.

— რაო, რას ამბობს? — შეეკითხა ხახა-დაღებული სამსონი ყიფიანს. აქციზმა ოქმი შეაყენა და ჯარიმა შეაწერა სამსონს.

— რა წყალში ჩავვარდე ახლა?—შეეკითხა ყიფიანს სამსონი.

— სამსონია, კანონს, ხომ იცი ვერ გავექცევით! — მერე კუთხეში გაიხმო:

— ეს კაცი ლოთია. თუ სადილზე დაპატიჟებ, დავათრობ და შენ თვალწინ დავახევინებ ოქმს. სადილზე თუ მოგიცადოს, შენც ქე დაპატიჟეაბა, როგორ გინდა!?

მოხელემ თავი გამოიდო. უარზე დადგა.

— მიშველე ბატონო, რამე! — დაუჩოქა ყიფიანს მიკიტანმა.

სამსონის ქალები შეუდგნენ წაბლის ფოთოლში გახვეული თხელი ჭადების ცხობას. იწოდა გოჭი და ქათმები. დედაკაცები ჯარასავით ტრიალებდნენ: ღომის-ღომს რეცხდნენ. ქვევრის მოსახდელად სამსონი გაეშურა.

ამ დროს ცხენოსანი რაზმი კარისმერეთში შევიდა, სკოლასა და ეზოში დაბანაკდა. რაზმის მეთაურები კი წულუკიძესა და ჩხეიძესთან ერთად ქეიფობდნენ შეძლებული გლეხის, მიკიტნის სამსონ მოსეშვილისას. ამავდროულად კოწია ჩხეიძე აირჩიეს. ხელში ყანწი აიღო. იჭექა ძრავალჟამიერმა. ჩხეიძე შუახნის კაცი იყო. მელოტ თავზე მხოლოდ შუა ალაგას ჰქონდა თმა შერჩენილი ვაცის ქოჩორივით, წარბები — ეშმაკივით აძგიბული, ნიკაპზე—სოლისმაგვარი პატარა წვერი და ჟღალ ჩოხაში გამოკრული ფიცარივით თხელი ტანი. ყველა იცნობდა მას, როგორც ოხუნჯს და გონებამახვილ კაცს. იგი დამცინავი და გამკილავი იყო. არც ერთი ქეიფი და ზეიმი არ მოეწყობოდა უმისოდ ქუთაისში.

შუაღამისას მოხელეს ოქმი დაახევინეს, რიჟრაჟზე დაიძინეს, გვიან ადგნენ, წყაროზე პირი დაიბანეს, დაიწმინდნენ და დინჯად, აუჩქარებლად შემოუსხდნენ დილის სუფრას. საუზმე სადილად გადაიქცა და კარისმერეთში მხოლოდ მეორე დღეს ღამით მივიდნენ. რაზმი ინახულეს. მერე ნაქეიფარი და ნალოთარი ოფიცრები და თავადები მასწავლებლის ეხლა კი კარისმერეთის კომისარის იოკიმე აბულაძის სახლში ლოგინებზე გაიშვართენ. მოხელეს—აქციზს გასივებულ ფეხებზე აღარ სძვრებოდა წულამესტი. ფართო სატევარი ამოიღო და გაჭრა დააპირა. არ დაანებეს. და ისიც გაუხდელი დაწვა ლოგინზე. ხითხითებდნენ: რა ჩინებულად გააცურა მიკიტანი მოსეშვილიო. ჩემოდანი მოუტანეს. წულუკიძემ ჩოხა ამოიღო და ნაცვლად ამისა შიგ აქციზის კოკარდიანი ქუდი და ტუჟური ჩაალაგა.

ყიფიანის რაზმის ჩამოსვლა ძალზე გაეხარდა კარისმერეთელ თავად-აზნაურობას, მემამულეებს. ყველაზე მეტად კი ოტია მდივანს უხაროდა, რადგან ოფიცერი დათა ყიფიანი მისი ცოლის ძმა იყო და უპირველეს ყოვლისა მის მამულსა და სახლკარს დაიცავდა იგი.

— ჩემი ბიჭები ჩამომივიდენ. ახლა იმ უცხვირპირო გელაშვილებს, ტურიაშვილებს და ენდელაძეებს მათრახისცემით გაასივებენ! — ტრაბახობდა ოტია.

მართლაც, ჩამოსვლისთანავე ფრანგ აგრონომის სახლიდან გარეკეს გლეხთა საბჭო. მეთაურები დააპატიმრეს, საშინლად სცემეს და ყველანი კარისმერეთის ციხეში შეჰყარეს. მემამულეებს ჩამორთმეული ადგილები დაუბრუნეს. მათ შორის ოტიასაც. შეუდგნენ შემჩნეულ გლეხებისა და ბოლშევიკების დევნასა და დაპატიმრებას. მაგრამ ნიკო გოცირიძეს, მეჯმარიაშვილს, გალაქტიონ გელაშვილს, რაჟდენ ტურიაშვილს და იმათ რაზმს ვერასგზით ვერ მიაკვლიეს. აღდგენილ იქნა ელიზბარ ბაქრაძე და მისი მილიცია.

ყიფიანმა მოსთხოვა გლეხებს, ჩაებარებინათ იარაღი.

ტყეში გახიზნული ჯარისკაცები მოთმინებიდან გამოვიდნენ. შეადგინეს სამხედრო რევოლუციური შტაბი. კარისმერეთის, ზედეზენის, ჭიპიკო-

ნის და მალალ-გორის აჯანყებულ გლეხთა რაზმში 150 კაცი იყო. შტაბმა დაადგინა დამსჯელი რაზმის განიარაღება. ეს ყიფიანმა, რასაკვირველია, არ იცოდა.

კარისმერეთის სკოლაში იწყო დენა თითოოროორმა გლეხმა და მამხანების ჩაბარება. რაზმის მეთაურებმა იფიქრეს: აჯანყებული გლეხები შეშინდნენ, გვნებდებიან და, ალბათ, წინააღმდეგობასაც აღარ გაგვიწევენო. სწორედ ამის გამო, როდესაც ტერეზა თვისი შვილებით, იონა და სტუმრები ურმით და ცხენებით ზედაზენში გაეშურნენ,—ყიფიანმა გადასწყვიტა ერთი დღით ამათთან ერთად წასვლა და ჩხეიძე და წულუკიძე თან წაიყვანა. სიფრთხილისათვის რაზმთან მაინც დასტოვა თავისი თანაშემწე—წერეთელი. ფოფხაძემ უარი განაცხადა ზედაზენში წასვლაზე, მეტიც: მას არ მოსწონდა ყიფიანის გამგზავრება: „სამხედრო ნაწილის უფროსი თავის მხედრებთან უნდა იყოს ასეთი დაძაბული მდგომარეობის დროს და არ უნდა დარბოდეს უმიზეზოდ აქით-იქითო“. ინსტრუქტორ ფოფხაძეს ცნობები ჰქონდა ადგილობრივი მენშევიკებისაგან, აჯანყებულები ემზადებიან რაზმთან საბრძოლველადო.

მაგრამ უფრო სწორი და მრავალმხრივი ცნობები ჰქონდათ აჯანყებულ გლეხებს, ვინაიდან მოსახლეობის უმრავლესობა იმათ მხარეზე იყო. აჯანყებულებს კავშირი ჰქონდათ გაბმული მემამულეთა მოჯამაგირეებთან და მათი მეოხებით იცოდნენ თუ რა ხდებოდა მემამულეთა სახლებში და მტრის ბანაკში. მაგრამ მოსყიდული ხალხი და თავიანთი ჯაშუშები მემამულეებსა და რაზმის მეთაურთაც ჰყავდათ და ამნაირად ერთმანეთის საიდუმლოება ორივე ბანაკმა იცოდა.

ოტია

„ვინც ლუარსაბის სახეში თავისთავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავისთავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დაიწყებს და „გიჟიას“ დაუძახებს ამ მოთხრობის უხეიროდ დამწერსა. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ“.

ი. ჭავჭავაძე: „კაცია-ადამიანი?!“

მთის კალთაზე შეფენილ სოფელ ზედანს რომ გაჰხედავ, ყველაზე უმალ წმ. გიორგის ეკლესიას და რკინის სახურავით გადაჭედილ ოტია მდივანის სახლს შეამჩნევ. ორსართულიანი ქვიტკირის სახლი მაღლობზეა გადმომდგარი. მზის ჩასვლისას მის შუშაბანდს ცეცხლი ეკიდება, თითქოს იწვის, ხანძარი გასჩენიაო. ექვსთვლიან სახლს წინ კარგა მოზრდილი ბაღი აქვს ალვის ხეებით, მაგნოლიით და კვიპაროზით დამშვენებული. სათი-

ბი მეტად დიდია: ერთი თავიდან მეორე თავამდე ცხენიც კი დაიღლება ჭენებით. ასეთივე დიდი სათიბია სახლის უკან.

თელის ფიცრისგან აგებული სამზადი მოზრდილი ოდის ოდენაა, რომელსაც ბობოლა გლეხიც კი შეიშურებს სამოსახლოდ. ეზოში ოთხი მაღალი სასიმინდე დგას, იელის წნელით ნაღობი და სანიავო, ხულა, ბეღელი, თონე. სახლის გვერდზე ტალავარია მარნით.

ოტიას რამდენიმე უღელი ხარ-კამეჩი ჰყავს. ძროხები, ექვსი ცხენი, რომელთაც სახლის ქვედა სართულში, თავლაში აბამენ. ქვედა სართულში, თავლისა და საჯინიბოს გარდა, მოჯამაგირეთათვის საცხოვრებელი ოთახია და საწყობი. საწყობის კედელზე მათრახები, აღვირები, თოქალთო-უნაგირები ჰკიდია. იატაკზე და თაროებზე კი სამეურნეო იარაღი, ხელსაწყო და ათასგვარი ნივთი ალაგია. ცხენებისა და ხარ-კამეჩის გარდა, ოტიას ცხვარი, თხა, ღორი და უამრავი ფრინველი ჰყავს. ამ ეზოგარემოს გარდა, რომელიც ორი სათიბით, ვენახით, თხილნარით, იონჯით და ბაღით თორმეტ ქცევას შეადგენს, ოტიას კიდევ აქვს მამული სხვადასხვა ადგილას: შუბანზე, ყვირილაზე, სანიავოზე, და ნამიდვრალზე. ამას უნდა მიუმატოთ კიდევ მთა და დიდი ტყე. ამრიგად, ოტია მდივანზე უფრო შეძლებული მემამულე, ანანოვის გარდა, მართლაც მთელს ამ არემარეზე იშვიათად თუ მოიძებნებოდა.

მთაზე გადმომდგარ ქვიტკირის სახლს მდივნები „მაღლა სახლს“ უწოდებდნენ, ხოლო დაბლა, მდინარისპირად აგებულ ხის სახლს „დაბლა სახლს“. ოტიას მამა არჩილი ცოლის შერთვამდე დაბლა სახლში სცხოვრობდა თურმე. ეხლა ნასახლარში ოტიას მოურავი ბეგლარი სანიკიძე სცხოვრობს თავისი ოჯახითურთ. იგი დაბლა სახლის მამულს უვლის და შემოდგომაზე მაღლა სახლის მარანში მიაქვს ძარიანი ურმებით კრახუნა, ციცქა და ცოლიკაური. კენწეროებამდე აბელილ მუხების ქვეშ მდგარ ორ სასიმინდეს ავსებს ოტიას ყანაში მოტეხილი სიმინდით.

ნასახლარი ჩინებული მამულია. ბეგლარის მიერ მოვლილი ვაზები ჯარისკაცებივით გარაზმულან. გვერდით ლამაზი ეზოა და შიგ, ხის სახლისა და სასიმინდეს გარდა, პატარა ხულა და ბეღელიც სდგას. ნასახლარის შემდეგ აჯამეთის ტყე იწყება.

ბეგლარს მამულის მცველი ნაგაზები ჰყავს, რომელთაც დიდი შიში აჭამეს ბავშობისას კორნელის. გარს შემოეხვივნენ ყეფით. გაფითრებული ყმაწვილი დიდედას დარეჯანს მიუყვანა ბეგლარმა. ახოვანი ქალი დარეჯანი მუხის ქვეშ იჯდა. ბეგლარის ცოლთან საუბრობდა. ძაღლების ყეფა შემოესმა და ომახიანი ხმით გასძახა: „არიქა, ბეგლარ, მოკალი მაგ ძაღლი, მოკალი, მოკალიო“. წამოვარდა, დიდი ქვა ესროლა ნაგაზს და აკივლებულს კუსუბო მოუქცია. დარეჯანმა შარდი დააქცევინა შვილიშვილს. წყალი შეასვა და მერე კალთაში ჩაიწვინა. ჩიტივით აფართხალე-

ბული გული ციდით შემოუჯვარა, წრუპუნი იწყო და შეულოცა: „გულო ჩადი საგულესო“. შვილიშვილს თვალები დაუკოცნა და კაბის ქვეშ დაკიდულ დიდი ჯიბიდან ტკბილისკვერი, თხილი და უნაბი ამოიღო და მისცა.

პირამდე სავსე, ჩაგანძული ოჯახი ჰქონდა დიდედა დარეჯანს. შვილიშვილები „დედუას“ უწოდებდნენ. დარეჯანი გამოიტანდა ალიონზე კოთხოთი სიმინდს — სამზარეულოს საძირკველზე დაჯდებოდა და კაბადაკარწახებული დაიძახებდა: „ჯიჭი, ჯიჭი, ჯიჭიო“. ფართო ეზოდან, სათიბიდან და მახლობელ გორიდან წამოვიდოდა უამრავი ფრინველი: ინდოური, იხვი, ბატი. ქათამი ჯიშიანი ჰყავდა, სანაშენო, მოშინაურებული და ტყედწასული, გაქსუებულიც, მამალ-ხოხობივით გრძელკუდიანი, რომელსაც დიდედა დარეჯანი იჭერდა, კუდის ღეროებს ჰგლეჭდა და აკრიახებულს შუათანა თითით კვერცხს უსინჯავდა. სათიბიდან ბატის ურიცხვი გუნდი რომ ფრენით წამოვიდოდა, ეს მართლაც წარმტაცი სანახაობა იყო. სამზარეულოს საძირკველზე იჯდა ფრინველით შემოჯარული დარეჯანი და გაისმოდა ყვერულის ლულუნი, ბატის ღაღანი და სისინი, აფხორილი ინდოურის აურზაური...

საღამო ჟამს წყემსები მორეკავდნენ ცხენის ჯოგს, საქონლის ნახირს და ცხვრის ფარას. „მო...ო...დი, ირემა! მო...ო...დი, ირემა!“ — დაუძახებდა დარეჯანი რქა-მოტეხილ ჯიშიან ძროხას, და წითური, თეთრქოჩორა ირემა მოიწველიდა ერთ კასრა რძეს.

დიდედა დარეჯანის და ბაბუა არჩილის სიკვდილის შემდეგ შვილებმა საგრძნობლად დააკნინეს ეს ჩაგანძული ოჯახი. თუმცა ოტიას მეუღლე, ყიფიანის ქალი ბაბო კარგი მეოჯახე და გამრჯე იყო, მაგრამ ოტია და მისი ძმები ჰყიდიდნენ მთის, ტყის, საყანე ადგილების ნაწილს და დაუსრულებელ ქეიფში ჰფლანგავდნენ ფულს.

ბაბო ლაზათიანი, წარმოსადეგი, იერიანი ქალი იყო; მაღალი, ტანადი; ჯიღასავით დიდრონი და შუქიანი თვალები ჰქონდა, არწივივით მოღუნული ცხვირი. ჯანით და გაბედულობით ვაჟკაცს არ ჩამოუვარდებოდა, იგი ოცდათოთხმეტი წლის ქალი იქნებოდა, სიცოცხლით სავსე და ჯერ კიდევ ახალგაზრდა. ოტია კი სამოცისა. ცოლქმართა ჰასაკის სხვაობა ხელსახები და საგრძნობი იყო, ალბათ, ამიტომაც უყვარდა ბაბოს ახალგაზრდა თავადებისა და აზნაურების სტუმრობა, მათთან აშიკობა და ეშხიანი, შავი თვალების ბრიალი.

ცოლქმარი — ბაბო და ოტია — სამზარეულოს წინ საძირკველზე ისხდნენ და ტერეზას მოჯამაგირის დომენტი ხვედელიძის ხელით მოტანილ წერილს კითხულობდნენ. თავის ძმას და რძალს სწერდა ტერეზა; ხვალ დილით ვაპირობთ ზედაზენში ამოსვლასო. გახარებულმა ოტიამ გადასწყვიტა ცხენების გაგზავნა კარისმერეთში საყვარელი დის ტერეზას, დის-

წულებისა და მათი სტუმრების ამოსაყვანად. გარიჟრაჟამდე გავაგზავნი, ბატონო, — უპასუხა ოტიას მაღალ კანჭებზე შემდგარმა მოურავმა ბეგლარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეგლარს ოდნავ თეთრი გარევია წვერში. შავ სატინის ხალათზე შვინდისფერი ჩოხა მოესხა, ფეხებზე წულები და პაჭიჭები ჩაეცვა. თავზე კი მტუტისფერი სვანური ქუდი დაეხურა. გვერდზე დაკიდულ ნაგანს ჩამოეკაჩა ჟამთავითარების გამო აქირჩნილი კავკასიური ქამარი და მწევარივით წვრილი წელი უფრო დავიწროვებოდა ორმოცი წლის ვაჟკაცს. იგი მაღალი, მხარბეჭიანი და ჯანიანი კაცი იყო, რუსეთ-იაპონიის ომში ნამყოფი ჯარისკაცად — ეფრეიტორად. ცოტა რუსული წერაკითხვაც იცოდა და ჯარიდან განთავისუფლების შემდეგ ქუთაისის სატუსაღოში მსახურობდა დარაჯად. მერე სოფელს დაუბრუნდა. ღონიერი და მამაცი ვაჟკაცი ერთ დროს ყაჩაღობაზედაც აწერდა ხელს, ბევრჯერ გაუძარცვავს აჯამეთის ტყეში ქუთაისიდან დილიჟნით მიმავალი მგზავრები. განთქმული მონადირეც იყო. უიმისოდ ოტია მდივანი თავისდღეში არ წავიდოდა სანადიროდ ეწერზე. სწორედ ამ ნადირობის, ვაჟკაცობისა და დარდიმანდობის წყალობით დაუახლოვდა იგი ოტიას. თავად-აზნაურთა შორის ტრიალებდა, ქეიფობდა, ბოლოს შვილიც კი მოანათლინა და მოურავად დაუდგა ოტიას. ცბიერი ბეგლარი მოხებხებულად ატყუილებდა მას. ბატონის ადგილ-მამულიდან დიდძალი გამორჩენა ჰქონდა. ამიტომ იცავდა ერთგული ძაღლივით იგი ოტიას ადგილ-მამულს და მის სახლში მიღებულ, თავის კაცად ითვლებოდა. მაგრამ რევოლუციის შემდეგ ფრონტიდან დაბრუნებული გლეხები—გალაქტიონ გელაშვილი, რაჟდენ ტურიაშვილი, გიორგი აბესაძე და სხვები მასზე არა ნაკლები ვაჟკაცები იყვნენ და ბეგლარი გააფრთხილეს: ოტია მდივნის მამულის ჩამოთრმევაში თუ წინააღმდეგობა გაგვიწიე, სიცოცხლეს გამოგასალმებთო. ბეგლარი შეშინდა. ოტიაც მოტყდა. ძველებურად ველარ დაიარებოდა ცხენით თავის ადგილ-მამულში. მოხუცებულობა შეეპარა. ეხლა პერანგის ამარა ზის იგი ამ პაპანაქება სიცხეში სამზადის წინ, ლურჯი, დიაგანალის ხვანჯრიანი შალვარი ეცვა დიდ მუცელზე შემოჭერილი. ქუსლ-ჩაკეცილ წუღამესტებში შეუდგამს პატარა, მსუქანი, თეთრი და შიშველი ფეხი. ღილებმოხსნილი მადეპალამის პერანგი აჩენს წითურსა და სქელ კისერს, უბეწვოს და დედაკაცივით მსუქან გულმკერდს. მსუქანი მწყერის კურტუმოსავით პატარა ხელები მუხლის თავებზე დაუწყვია. ნეკზე გოჯის სიგრძე ფრჩხილი მოუშვია, ყვერულის დეზის მსგავსად, არისტოკრატობის მაჩვენებელი თითქოს. თითზე საგვირგვინო ბეჭედი წამოუგია: ბაჯაღლო ოქრო. შუბლიდან წურწურით ჩამოსდის ოფლი და საჩვენებელი თითით იწურავს, ბაღდადურით იმშრალებს. მისი პირისახე ფართო, მსუქანი და ჯანიანია. ეს უზარმაზარი გოგრისოდენა თავი დადგმულია

მორგვივით სქელ კისერზე. მელოტ თავზე მხოლოდ შუბლის ზემოთ შუა ალაგას, შერჩენია თხელი ქოჩორი ყოჩივით. უკან ფაფარივით აყრია ბალარა თმა. გრძელი და ფართო წვერი წელამდე სწვდება და ისიც შეჭალარავებულია, ნაცარმიფრქვეულსა ჰგავს. უხვად ნაზარდი [illegible] შესთხელებია მოკუმული ბაგეების ირგვლივ და მრგვალი ნიკაპი ილანდება. ბაგე ორშიმოს პირივით და ყუნწმიწყვეტილი ხაპივით მოსწრუპნია, თითქოს ღვინის სახვრეპად აქვს მოწყობილიო. ვინ მოსთვლის რამდენი საპალნე ღვინო შეუხვრეპია ამ ბაგეებს?! ხშირი წარბები და მოცისფრო, ჭროღა თვალები აქვს.

ოტიამ ტერეზას წერილი დაკეცა და ბეგლარს შეეხვეწა:

— ჩემი საყვარელი და, დისწულები და მათი ძვირფასი სტუმრები მეწვევიან ხვალე, და თუ კაცი ხარ, თეთრაწყალში კალმახები დამიჭირე.

ბეგლარმა უპასუხა:

— ერმილე გამატანე. ამალამ ვითევზავებ, ბატონო!

ბაბომ გადახედა სამზარეულოს კარებში ატუზულ და სმენად გადაქცეულ ბიჭს და დაუძახა:

— ხომ გეყურება, ბეგლარს უნდა წაყვე ამალამ სათევზაოდ!

ოტია შეეკითხა:

— სად ჯობია, ბეგლარ, თევზაობა?

ბეგლარმა უპასუხა:

— წაბლარას ხევში, იქ მაქვს ფაცერი გამართული.

— წინათ ნასახლართანაც ბევრი თევზი იყო. რა თევზი იცის იმ დალოცვილმა თეთრაწყალმა! — სთქვა ოტიამ და მოჰყვა: — ერთხელ ცხენზე ვიჯექი და მამულს ვათვალიერებდი, ბუჩქიდან კურდღელი წამოხტა და წევარი მიუტია.

— ბროლია? — შეეკითხა ბეგლარი.

— გახსოვს, ბეგლარ, ბროლია? — შეკითხვითვე მიჰმართა ოტიამ და განაგრძო: — იქნებოდა ერთი, აგერ იმ მთავარი მოზვერის სიმაღლე, დედი ჩემის სული ნუ წამიწყდება! კურდღელმა მისკენ მოჰკურცხლა. შენც არ მომიკვდე: წარბიც ვერ შეარხევია წევარმა. ბოლოს ბროლია მიუახლოვდა და მთის ძირში, როგორც იქნა, შუბივით მაღლა აზიდული მარცხენა ყური დაბლა დაუწურია კურდღელს. მაგრამ მთის კალთაზე ბროლიას ძალა გამოელია და კურდღელი ისე გაქრა თვალიდან, რომ მარჯვენა ყური არ იქნა და ალა, შენც არ მომიკვდე: ისევ ისე შერჩა თავზე შუბივით დარჭობილი!

ბეგლარი და დომენტი ხვედელიძე დიდის ინტერესით უსმენდნენ ბავშვივით მღიმარ, მოცისფრო ცქრიალა თვალებით მოუბარ ოტიას, ოტიამ განაგრძო:

— ჰო, რა თვალის სეირი იყო! სწორედ ამ დროს ცხონებულმა მაბა ჩემმა, არჩილმა, შემომძახა: არიქა ოტია, მიხედე ბოშო, რა დეემარცა იმ ქალსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეგლარი შეეკითხა:

— რომელ ქალს, ბატონო?

— აგერ გითხრა, უპასუხა ოტიამ. — თვალი მოვკარი, ყმაწვილო: დედა ჩემი თეთრაწყალთან ხრამში გადავარდა. ცხენი გავაქანე და არ იკითხავთ, რა ვნახე? ცხონებულ დედა ჩემს თავისი საშინაო ჩითის კაბა დაუკარწახებია და თეთრაწყლის ნაპირზე მოზღვავებულ თევზებისთვის მიუშვერია. თევზი მდინარიდან ნაპირზე ცვიოდა, წყლიდან სადაფისფერ ტანს ისროდა, ხტოდა, დედა ჩემს სახეზე ეხეთქებოდა. ბალახში ფართხალობდა და ყირამალა გადადიოდა!

დომენტი ხვედელიძემ შენიშნა:

— შეხედე, ქვირითის ყრის დრო ყოფილა.

ოტიამ ისევ განაგრძო:

— არშინის სიგრძე ბოლოწითელა ცხონებულს თავზე ახტებოდა, დედა შეჰკივლებდა, ხარხარებდა და წყლისკენ მიშვერილი კალთა სავსე ჰქონდა თევზით. მივეშველეთ და იმ საღამოს ათი ფუთი თევზი დევიჭირეთ, ძარიანი ურმით ამოვიტანეთ, იმ დედი ჩემის სული ნუ წამიწყდება! — დაასრულა ოტიამ.

— ეხ, ჩვენო ტკბილო დედუა! — დაიწყო ბაბომ: — რა ნათლად მიდგას თვალწინ შენი ჭკვიანი, ლამაზი, ფართო სახე და სიცილ-როხროხი! რა წარმოსადეგი, გამრჯე, მეოჯახე, დინჯი და თანაც რა ნასწავლი ქალი იყო!

ბეგლარმა უპასუხა:

— სოლომონ მეფის სარდლის პაპუნა წერეთლის შთამომავალი, აბა, რა იქნებოდა!?

— როდესაც ბატონს არჩილ მდივანს ქალბატონი დარეჯან წერეთლის ქალი შეურთავს, მაყრიონს სამასი ცხენოსანი გამოჰყოლია — განაცხადა ბაბომ გაგონილი.

— რისი სამასი! — გაუწყრა ბაბოს ოტია, — სამასი კი არა, ათასი ცხენოსანი ყოფილა. სულ რჩეული თავადები და აზნაურები: ერისთავები, წერეთლები, მდივნები, აბაშიძეები, ყიფიანები და სხვები. წინ კოხტად მოფარდაგებულ და ქალის უნაგირით შეკაზმულ ბედაურს მოაქროლებდა ჩიხტაკოპით და თეთრ ლეჩაქით მორთული ცამეტი წლის მზეთუნახავი, თამარ მეფესავით ლამაზი ასული. უკან მზითვით დატვირთული ქარავანი მოჰყვებოდა! — დაიწყო დედის ქება ოტიამ.

— ნუ-თუ ცამეტი წლის გაათხოვეს? — გაუკვირდა ბეგლარს.

— ცამეტი წლის ყოფილა, იმ ცხონებული დედი ჩემი. სულ ვეფიცები! — უპასუხა ოტიამ და საბუთიც მოიყვანა: — დედა ჩემი, რომ სულ პატარა ყოფილა, მამა ჩემისგან გამიგონია: ქორწილის შემდეგ დედა ჩემს ზემოთიდან ზედაზენში გამდელი გამოჰყოლია და ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ცუდი ნიშანია: შინ გამოზრდილი დამღუპავს და სიცოცხლეს გამიმწარებს! — ამბობდა.

ბეგლარმა გაიფიქრა: გულთმისანი ყოფილაო!

მამა-პაპათა ურმით

„მისი კაბის ქვედა ქობიდან მოსჩანდა ფეხი წაბლისფერი აბრეშუმის ვიწრო ბოტინკებით. იგი ჰგავდა რომანტიულ წიგნებში დახატულ ქალს. ქვეყანა უეცრად გაფართოვდა ვაჟის წინაშე. მის გაცისკროვნებულ ცენტროდ იქცა ქალი, რომელშიაც ყოველივე იყრიდა თავს“.

ფლობერი: „სენტიმენტალური აღზრდა“.

მზიანი და ცხელი დღე იყო. ტერეზა მხეიძის მოჯამაგირემ დომენტი ხვედელიძემ კამეჩები შეაბა ურემში. ზედ ქალბატონი ტერეზა, ვარდო და ნინო დასხდნენ. დომენტი წინ მიუძღოდა კამეჩებს აყალო მიწისფერი წულებით და მტუტისფერი პაჭიჭებითა და სვანური ქუდით. კამეჩივით მიიზლაზნებოდა „ჩულიანი“ გლეხი ორლობეში ნაურმალ გზაზე და ამ გამოცდილი მეურმისა და მეურნის სახრის მრავალნაირი და უხილავი მნიშვნელობის მქონე მოძრაობა, სახრის ტრიალი და ქნევა ჯადოსნურად იმორჩილებდა სპილოსავით მოდღვლეფილ და გაფანჩულ ქაჩაჩებიან კამეჩებს. ესტატე ტერეზას ცხენზე „ხაბარდულაზე“ იჯდა, კორნელი, სტეფანე და იონა ოტიას მიერ გამოგზავნილ ცხენებზე — „კუკურიზე“ და სხვებზე. პლატონ მოგველაძე ჩერქეზულს მიაგელვებდა.

დომენტიმ ორლობეში გაატარა ურემი. შემდეგ მწვანე მინდორზე გაიყვანა და აჯამეთის ტყისკენ აიღო გეზი.

ახალგაზრდა მეთაური სიმონ წერეთელი ცხენოსნებს, ურემზე მსხდომ ტერეზას და მაყაშვილის ქალებს გამოემშვიდობა ტყისპირად, გული დასწყდა: ოტია მდივანთან ვერ მიდიოდა საქეიფოდ და ისიც ასეთ წარჩინებულ საზოგადოებასთან ერთად. თვალი გააყოლა ურემზე მსხდარ ქალებს. გოლიათ ყაყაჩოსავით ქანაობდნენ მინდორზე მათი ქოლგები, თითქოს სანათურებით გაჩირაღდნებული და უცხო ფერების აბაჟურები ჰხურავთო.

დომენტიმ აჯამეთის ტყეში შეიყვანა კამეჩები. ბორბლის ნაკვალევს მიჰყვა. დაიწყო აღმართი, თიხისფერი აყალო მიწა. ორლო-ჩოღრო გზა, წვიმისაგან დახეთქილი, ალაგ-ალაგ ჩაშავებული. ურემი დაეკიდა. ქალებმა ჭალებს წაავლეს ხელი. ურმის ბორბალი ხან მარჯვნივ და ხანაც მარცხნივ ვარდებოდა თხრილში. ჭალები ხელიდან უსხლტებოდათ ქა-

ლებს. ჰკიოდნენ, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ. სახეზე მუხის დაცვარული ფოთლები და ტოტები ედებოდათ. ნინომ თვალი იტკინა. როგორც იქნა ქოლგები დაკეცეს, აიარეს ალმართი, მაგრამ შემდეგ ღელისაკენ, დალმართზე მგზავრობა უფრო სატანჯელი აღმოჩნდა. ისევ დაიწყეს კივილი ქალებმა. ნინოს ფერი წასვლოდა. დომენტის ემუდარებოდა, გააჩერებინა ურემი.

— ნუ გეშინია, ნუ გეშინია, ქალბატონო! — ანუგეშებდა ქალებს დომენტი და მწიფე მაყვალივით უკრთოდნენ გულუბრყვილო, მორჩილი თვალები. ხანაც ურმის უღელს მოავლებდა ტალახისფერ გოლიათ ხელს, მარჯვნივ და მარცხნივ მიმოსწევდა საჭესავით და უმოწყალოდ გადაუჭირებდა კამეჩებს შვინდის სახრეს: „ო, ხი! ო, ხიო“! უცნაურ ბგერებს გადმოსცემდა და ასე შეუწყრებოდა კამეჩებს.

ვარდო და ნინო პირდაპირ დაიტანჯნენ. ურმის ბორბალი შესდგებოდა ეხლა ლოდზე, მერე ერთბაშად, საშინელი ძალით დაეცემოდა მიწაზე და მაშინ ვარდო და ნინო ისე შეხრიდნენ ტკივილისაგან გატანჯულ სახეს, თითქო გულღვიძლი და შიგნეული ჩაუწყდათო. „წინ სამი ღელეა, ხოლო მთაში ასეთი აღმართი და დალმართი არ გამოილევა“. — გაიფიქრა კორნელიმ. ვეღარ გაუძლო გულმა: ცხენიდან ჩამოხტა და ნინოს შესთავაზა. მუხლი მოღუნა. ზედ შეაყენა ნინო. უზანგში შეადგმევინა ფეხი და უნაგირზე დასვა. აღვირი დაიჭირა და ნელის ნაბიჯით წაიყვანა ცხენი. სული მოითქვა ნინომ. „კუკურის“ ჩაზნექილი ზურგი თითქო მსუბუქი იალქანიო, თითქო ზღვის ტალღები ნელინელ არხევენო ნინოს ტანს. ეს არის მხოლოდ: ქართული უნაგირი უჭირებდა საქმეს. მისი კაბა მუხლის თავების ზემოთ მისცურავდა.

ისევ დაეშვა დალმართზე ურემი. ეხლა ვარდოლა იყო სატანჯველში. დომენტი გულმკერდით აწვებოდა უღელს, ტყის კაცივით იჩაჩხებოდა, ფაფხურობდა და ასე იმაგრებდა დალმართზე დაქანებულ და გახურებულ კამეჩებს. სახეში და რქებზე შემოჰკრავდა გამეტებით სახრეს და კამეჩები მალმალ ახამხამებდნენ თვინიერ თვალებს, ტერეზა შეჩვეული იყო ურმით მგზავრობას, რამდენჯერ გაუვლია მას, მის დებსა და შვილებს ეს აჯამეთის ტყე ბნელ ღამეში, წვიმაავდრისა და ელვა-ქუხილის ჟამს. ნაბდებ-წამოხურულნი ისხდნენ ურმებზე იმ „წკურუმ“ ღამეში და გზას უნათებდნენ „ყაზახები“ ანთებული კვარით, ჭრაქით და ჩირალდნებით.

კორნელი შემოტრიალდა. თვალი მოჰკრა ნინოს შიშველ მუხლის თავებს და გულმა რეჩხი უყო. შეკრთა, თითქო მის არსებას რაღაც ძლიერი დაეჯახაო. თავჩაღუნული მიდიოდა. ხანგამოშვებით შეაპარებდა თვალს ნინოს ფეხებს. რამდენჯერ უვარჯიშნია მას სატანვარჯიშო დარბაზში ქალებთან ერთად. რამდენი ლამაზი გოგო უნახავს შიშველი ტა-

ნით, მარტოკა ტრუსებში და ასე არასდროს არ აღელვებულა. პირიქით, შეეჩვია კიდეც: შიშველი ტანის ცქერა, სრულიადაც აღარ მოქმედობდა მასზე. განა არ იყვნენ ფეხშიშველი ლამაზი ასულები საბანაო-სალაბორატორიო საზოგადოებაში, ერთი ციდის სიგრძეზე გამოჩენილმა ნინოს მუხლისთავის ტიტველმა ხორცმა რომ ამრიგად ააღელვა?! იქნებ იმის გამო, რომ ეს ანტიურ ქანდაკებასავით ლამაზი, ჩამოსხმული და წარმტაცი ფეხი დაფარული იყო კორნელის თვალისათვის ამდენხანს და ოდნავ ტიტველი ხორცის ხილვამ თვალთ მიანათა ვით სანუკვარმა, საგანმა, სურათმა! მანამდე მას უნახავს ნინოს ფეხები მუხლის თავებამდე მხოლოდ — მის ზემოდ კი არა. ნინომ შენიშნა, კაბა ჩაიწია და მუხლებზე გადმოიფარა.

— ნუ გრცხვენია, ჩემი ნინო, — უთხრა კორნელიმ.

ნინო გაწითლდა. თავი დაჰხარა, რომ მუხის ტოტი არ დასჯახებოდა. მუხლის თავი ისევ გაუშიშვლდა. ცხენი შეაჩერა კორნელიმ. გაუსწორა კაბა. ხელი დაადო მუხლზე და უთხრა:

— ღვთაებრივი ფეხები გაქვს, ნინო.

ეს გულუბრყვილო და საამური ურთიერთობა აჯამეთის ტყეში ახალგაზრდებისა დაარღვია მაკვიტმა იონამ.

— შეხედეთ, რა უსირცხვილო ქალი ყოფილა! როგორ გადამჯდარა მამაკაცივით ცხენზე! — არცხვენდა ქალს: — მუხლები დამალე, არ გამაგიჟო ამ აჯამეთის ტყეში!

ყიფიანმა ისეთნაირად გადიხარხარა, რომ კორნელიმ შეურაცხყოფა იგრძნო და ქორივით გადახედა. იონა პლატონთან მივიდა, დიდი ცხვირის დაღრენილი ნესტოები დაჰბერა და ზედაზენამდე იძახდა: „კანჭები, კანჭები, იმ გოგოს კანჭები მაგიჟებენ“-ო.

პლატონი ჯერ იონას შეხედავდა, მერე აჯამეთის ტყეში გაიხედავდა და მისი ხითხითი ტყის სიჩუმეს არღვევდა: „ფავნი ხარ იონა, მოხუცი ფავნი“-ო.

პლატონმა სურო და მარჯანისფერი კურკანტელები, ძაღლყურძენი მოსწყვიტა, ნინოს მიართვა: ვაკხანალიის დროს მენადები ამით ირთავდნენ თავსო.

ესტატე და ყიფიანი ომსა და აჯანყებაზე საუბრობდნენ.

აჯამეთის ტყე გაიარეს. დაბლა სახლისკენ გაუხვია დომენტიმ. წინ კარგა მოზრდილი მდინარე გადაიშალა, ჩქარი და აქაფებული. დომენტიმ ფონი მოსძებნა. უღელზე დაჯდა და კამეჩები მდინარეში შერეკა. გახურებულ კამეჩებს იამათ გრილი ტალღების შეხება. შეჩერდნენ. ქაფინია ტუჩები შეახეს წყალს, თვალები განაბეს და მდინარეში ჩაწოლა დააპირეს. დომენტიმ მაგრა გადაჰკრა სახრე კამეჩებს. როცა ამანაც ვერ გასჭრა და ერთი კამეჩი დასაწოლად მუხლებზე დაეშვა, სახრე შეაბრუ-

ნა და ტარის წვერი ქვემოდან ატაკა მუცელში, თან ისე მძლავრად შესძახა „ო, ხი, ო, ხი კამეჩოო, რომ კაცს ეგონებოდა უზარმაზარი ბირდაბირით ხერხავენ ხეს აჯამეთის ტყეშიო. კამეჩებმა ჩქარის ნაბიჯით მიაშურეს ნაპირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო შესდგა მდინარეს პირად და დაიძახა: — მე ვერ გადავალო.

კორნელი მოახტა გავაზე ცხენს, ხელი მოჰხვია ნინოს, აღვირი მოზიდა და ცხენი მდინარეში შეიყვანა. პლატონმა იონას მიაძახა:

— უშველე ჰერაკლ, კენტავრმა შენი დეიანირე მოიტაცა! მალე მოზიდე შვილდი!

ნინომ კივილი მორთო. მაშინ კორნელიმ უფრო მაგრა მოჰხვია მკლავები ნინოს.

— მდინარეს ნუ უცქერი, რეტი დაგეხვევა. ფეხები ასწიე, წყალი დაგისველებს, — ასწავლიდა კორნელი.

კუკურიმ თქარა-თქურით გაიარა მდინარე, ცივი შხეფები ესხურებოდა ნინოს გახურებულ სახეს. ნინო კიოდა და თანაც იცინოდა. ვარდო ურმიდან უყურებდა.

— ძალზე დაძმობილდნენ კორნელი და ნინო. როგორ იქნება მაგათი საქმე, არ ვიცი, — სთქვა ვარდომ.

ტერეზიმ უპასუხა:

— ნინოს ვენაცვალე, ცქრიალა და ნიჭიერი გოგოა.

როდესაც კორნელიმ ნაპირზე გაიყვანა ქალი და ჩამოხტა, ვარდომ ისევ უთხრა ტერეზიას:

გული მეუბნება: ვაი, თუ კი კორნელიმ ნინო მომტაცოს? — ტერეზამ გაიცინა:

— რა ცუდი ბიჭი მოგტაცებს მერე?

ვარდომ ჩაფიქრებული სახით მიუგო:

— ადრეა ჯერ ნინოსთვის ქმარშვილი.

ამ სიტყვებიდან ტერეზასთვის აშკარა გახდა, რომ ვარდო წინააღმდეგი არ იქნებოდა კორნელისა და ნინოს დაქორწინებისა. ამ წუთიდან განსაკუთრებული ყურადღებით და თბილი გრძნობით ეკიდებოდა მაყაშვილებს.

კორნელი ისევ წინ მიუძღოდა ცხენს, რომელზედაც მისი სასოება და „ღვთაება“ იჯდა. „ბედნიერია. მან ჯერ არ იცის, რა ჭირ-ვარამი, შრომა და ჯაფა სჭირია ოჯახს“, — გაიფიქრა მისმა დედამ.

როცა ცხენოსნები მდინარის პირად დავაკებულ ადგილზე გავიდნენ, კორნელიმ ცხენზე ჯდომის წესი ასწავლა ნინოს და აღვირი გადასცა. ნინოს ეხლა თითონ მიჰყავდა „კუკური“. იღიმებოდა, და კორნელის ეგონა: ღიმილით ეგებება მას ზედაზენი, ზედაზენის მოსახლეობა და მთელი ეს ქვეყანა.

სტუმრები მოვიდნენ

„კვეხნაში კი ნუ ჩამომართმევ და ჩემი ნახელი სათათრემდინ არის გავარდნილი, იმერეთშიც მისულა ჩემი ქება. მაგრამ, აი, ამ შენმა უხეირო ლუარსაბმა ასე გაგიხადა ის ფხიკიანი იმერელი, რომ... რომ... სულ ჩემი მზე ვალოცვინე. თითონვე თავის პირით მითხრა: ბაყბაყ დევი ხარო. თითიც მომიკაკვა და ყურში ჩუმად ჩამჩურჩულა: სანაძლეო მოიგე, ნახევარი იმერეთი შენი უნდა იყოსო. რომ მეჩივლა, რასაკვირველია, იმ ნახევარს გამოვიტანდი, მაგრამ ჩვენი მამა პაპის მამულებიც მაშინ ისე ოხრად გვრჩებოდა და იმერეთი რაღად მინდოდა?“

ი. ჭავჭავაძე: „კაცია-ადამიანი?!“

სტუმრები მიადგნენ ოტია მდივნის სათიბის ჭიშკარს, დიდსა და ყავრით გადახურულს. სათიბი და ეზო მესერით იყო შემოვლებული. ბაბომ თვალი მოჰკრა სტუმრებს და ყვირილი მორთო: ოტია, სტუმრები მოვიდნენო. ბაბო და ოტია ჭიშკრისაკენ გაეშურნენ. მოურავმა ბეგლარმა ჭიშკარი გააღო. დომენტიმ ცარიელი ურემი ეზოში შეიყვანა. მოჯამაგირეებმა ერმილემ და დათუამ სტუმრებს ცხენები ჩამოართვეს.

— ტერეზას ვენაცვალე! — დაიძახა ბაბომ, მკერდზე მიიკრა მული, პირისახე და თვალები დაუკოცნა. მერე სტეფანეს და კორნელის გადაეხვია. სტუმრებს ხელი ჩამოართვა.

ოტიას ცრემლი მოსდგომოდა თვალზე სიხარულისგან.

ამ დროს ბაბოს ძმამ დათამ ცხენი ყალყზე შეაყენა, ასკუპა და შურდულივით გაუშვა სათიბში. ნაგანი იძრო, დასჭყივლა და გაისროლა. გიჟი, გიჟიო, — ხარხარით მიაძახა ბაბომ. იგი მაღალი, ტანადი, თეთრი, ფერხორციანი და საამო ქალი იყო. ფართო სახეს შვენოდა შვილდისებურად მოზიდული წარბები, დიდრონი, შავი და კრიალა თვალები, არწივსავით მოღუნული ქართული ცხვირი და ბროლივით თეთრი „მიჯრით მიწყობილი“ კბილები. კლავისოდენა გველის მინაგვარი, წაბლისფერი თმის დაგრაგნილი ნაწნავები მურგვივით ჰქონდა დახვეული კეფაზე და სპილოს ძვლის სავარცხელით დამაგრებული. ლამაზ ხელებს უმშვენებდა ოქროს სამაჯური და საათი, ხოლო გრძელს, შხვართსა და ბოლოში გაწვრილებულ თლილ თითებს — თვალ-მარგალიტებით მოჭედილი ბეჭდები. შვენოდა გულსაკიდი და ძვირფასი ქვებით მოკიაფე ზარისებრი ოქროს საყურე. ისეთი გრძელი, შემოქობილი, შლეიფიანი კაბა, კოფთა და ტუფლები ეცვა, იფიქრებდი მასკარადისათვის შეუკერავსო. იმერეთში სილამაზით განთქმული, ჩიქვანის ქალი თუ შეედრებოდა ბაბოს!

ევროპულ ტანსაცმელს არ შეეფერებოდა დიდედა დარეჯანის მიერ ნაბოძები უძველესი, ქართული სამკაული: ოქროს გულსაკიდი, ზარისებრი საყურე.

ახოვანმა და საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილმა, დარდიმანდმა ქალმა, მისმა ეშხმა და ლაზათმა მიიპყრო სტუმრების ყურადღება. განსაკუთრებით კი პლატონისა. თვალს ველარ აშორებდა. შთაბეჭდილებას ანელებდა მხოლოდ ოდნავ პროვინციული მიხვრა-მოხვრა, თავის დაჭერა და ომახიანი, ვაჟკაცური, ბოხი ხმა.

ბაბოს დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის ქალთა გიმნაზიის ექვსი კლასი. ზამთრობით ქალაქში ცხოვრობდა, ხანდახან ტფილისშიც ჩადიოდა, მაგრამ ამ მთამ შეუძლებელია თავისი ელფერი ოდნავ მაინც არ დააჩნიოს ადამიანს.

ბაბო მოლიმარი და ბედნიერი სახით ისე სწრაფად შემოტრიალდა და დაიძახა: მობრძანდით, ჩემო ბატონო, თითქო თექვსმეტი წლის ისეთივე ტანკენარი გოგონა ყოფილიყოს, როგორიც იყო მაშინ. როდესაც იგი ოტიამ მოიტაცა და ნაბადში გახვეული ზედაზენში ამოიყვანა რაშისებურ ულაყით. მას აქეთ თვრამეტმა წელმა განვლო.

მაშინ ოტიაც წარმოსადეგი კაცი იყო. ორმოცდაორი წლის იქნებოდა. ლიპიც არ აჩნდა, ჭალარაც აქა-იქ ერია და, თუ არ დააკვირდებოდა კაცი, ვერც კი შენიშნავდა. ეს მისი ხანჯალი და რევოლვერი, რომელსაც იგი „სმიტს“ ეძახდა უფრო ვაჟკაცურად და მოხდენილად ეკიდა, ვიდრე ახლა. მკლავიცა და ჭკუაც უკეთ უჭრიდა. რუსულიც უფრო ეხერხებოდა. ქუთაისის გიმნაზიის ხუთი კლასით დაკმაყოფილდა — ოტია. მეტი სწავლა არ ისურვა. ზეწრები დაგრიხა, ერთმანეთს გადააბა, პანსიონის მეორე სართულიდან ქუჩაზე დაეშვა და სამუდამოდ გაიპარა გიმნაზიიდან ქეიფსა და ქალებს აყოლილი ჭაბუკი. მერე სოფელს დაუბრუნდა და მამის არჩილის სიკვდილის შემდეგ შეძლებული მემამულე გახდა. გუბერნატორის, წარჩინებული რუსი მოხელეების სახლში დაიარებოდა, მასთანაც ხშირად ყოფილან ზედაზენში სტუმრად ისინი. მიღებული კაცი იყო. კარისმერეთის ბოქაული და სტრაჟნიკები დღე და ღამ ოტიასას სცხოვრობდნენ, ქეიფობდნენ და მისი სახლკარის და მამულების ერთგული მცველები იყვნენ. ახლა კი რაა მისი ცხოვრება? მამაპაპათა ყოფილი ყმები და შინ გაზრდილი მოჯამაგირე გლეხები აღარ ერიდებიან. კორნეტი დათა ყიფიანი ცხენიდან გადმოხტა, ბაბო და ოტია ჩაჰკოცნა. ყველანი სახლისაკენ გაეშურნენ. ოტია დათას მიჰყვებოდა. ბაბო — ტერეზას.

— რა ამბავია, ბოშო, ვერ აგიწერ. დამაქციეს და ამომაგდეს გლეხებმა. ტყე გამიჭრეს. იმ მამაძაღლმა გოჯასპირმა და მისმა ყაჩაღმა შვილმა გალაქტიონმა ბოქლომი გამომიცვალეს სარკოიას მამულის ჭიშკარზე და შიგ ბეგლარს და ბიჭებს არ უშვებენ, შეახვილიფეს ამხელა მამული. — შესჩივლა ცოლის ძმას ოტიამ.

— ნუ გეშინია, ოტია, ცოტა დამაცალე, აქაც ამოვალ ჩემი რაზმით და მაშინ ყველას გავბაწრავ და ციხეში ჩავყრი, — უპასუხა დათამ.

— ე, ბიჭო, მიშველე რამე! ჩემი ცოლის ძმა არ ხარ!? ... ... დგენ ყაზახები და მაპარტახეს, მერე რითი ვიცხოვროთ მე და შენმა დაიამ? მათხოვრობა უნდა დევიწყოთ, დედიჩემის სული ნუ წამიწყდება! პატიოსნებას გეფიცები! — უკანასკნელი ორი სიტყვა რუსულად უთხრა ოტიამ.

ბაბოს და ტერეზას სულ სხვა სახის საუბარი ჰქონდათ.

— რა ლამაზი გოგონაა მაყაშვილების ქალი! მოდი, კორნელის შევრთოთ, — უთხრა ტერეზას სოფელში ჭორიკანობას და მაჭანკლობას შეჩვეულმა ბაბომ.

ალმართზე მიდიოდნენ.

— მგონი, მასე ეწყობა საქმე! — უპასუხა დინჯად ტერეზამ.

ბაბომ კორნელის და ნინოს გადახედა, დაიხარა და ტერეზას ყურში წასჩურჩულა:

— კორნელის ენაცვალოს ბიცოლა, შეხედე ტერეზა, მაყაშვილის გოგონას რავა ეკურკურება! — მერე ისე ხმამაღლა გადიხარხარა, რომ მთის წვერზე მცხოვრებნიც კი გაიგონებდნენ.

ტერეზამ გაიღიმა და ისევ დინჯად და ჩუმად უთხრა:

— ძალიან კარგი გოგონაა, მაგრამ ჯერ რა დროს კორნელის ცოლია!?

ბაბო ასე არ ფიქრობდა:

— მერწმუნე, ტერეზა, კაცი რაც უფრო ადრე მოეკიდება ცოლშვილს, მით უკეთესია. იქნებ მწარე გამოცდილებითაც ამბობდა ამას ბაბო: ოტია ძასთან შედარებით უკვე ღრმად მოხუცებული სჩანდა. პლატონმა თვალები გადმოკაკლა და, როდესაც ბაბოს ჯანიანი ხარხარი გაიგონა, იონას უთხრა:

— რა დიდებული ქალია, ცარიელი სქესი მეტყველებს მასში. კარგი ვაჟკაცი თუ დაიურვებს მაგას. სარეცელზე ეგ საშინლად ავხორცი იქნება!

— ოტიას ხომ ხედავ: მოხუცია — უპასუხა იონამ, — ქალი მამაკაცს არის დანატრებული და თუ ვარგხარ, ამასაც დავინახავ!

ამ დროს ნინო კორნელის ეუბნებოდა:

— რამოდენა ქალია! ერთი ხელი რომ გაიქნიოს, სახლის თავზე ამაგდებს. ალბათ, ქართველი ქალები წინათ ასეთი ახოვანი, მოსულნი და ძლიერნი იყვნენ.

კორნელიმ უპასუხა:

— მე არავარ ასეთი მამაკაცური ქალების მოტრფიალე, მე შენისთანა თხელი და ნაზი ქალი მომწონს! — ნინომ ალერსიანად გაუღიმა, მკლავში ხელი გაუყარა, მაგრამ მიეკრა კორნელის და სახლისკენ მიმავალ ალმარ-

თზე მთელი ტანის სიმძიმით დაეყრდნო. ამ უსიტყვო საქციელში უფრო მეტი აზრი იყო გამოხატული, ვიდრე სიტყვაში. ნინოს სახის მეტყველება და მისი ქცევა სიტყვით ასეთნაირ აზრს ატარებდა: „გმადლობ, ბატონო, მე სამუდამოდ შენი ვარო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმართი რომ აიარეს სტეფანე შეჩერდა. ესტატეს, ჩხეიძეს და წულუკიძეს თითოთ უჩვენებდა მდინარის პირად გაშლილ ჭალებს, უკან მთას, სარკოიას, ტყეს:

— ეს სულ ოტიას მამულია და აი, იქ, მთაშიც ბევრი ადგილ-მამული აქვს!

სტუმრებმა თვალი ვერც კი გადააწვდინეს ოტიას მამულს, წულუკიძემ სთქვა:

— მოსახლე და მემამულეც ასეთი უნდა!

ქვის მაღალი კიბით ავიდნენ ქვითკირის სახლის მეორე სართულში. შუშაბანდიან ჰაივანზე გაჩერდნენ. აჯამეთის თვალუწვდენელ, შავნაბადა ტყეს, შავზღვამდე გადაშლილ რიონის ველს, ამწვანებულ მთაგორებს და შორეულ ქედებს გაჰხედეს. აქედან უფრო წარმტაცი სურათი იშლებოდა ვიდრე ტერეზას სახლის აივნიდან. თვალს ვერ აშორებდნენ. როდესაც სტუმრებმა გული გაიძღეს ბუნების ლამაზი სურათის ჭვრეტით, ბაბომ შინ შეიყვანა ისინი. ხელპირი დააბანინა მარმალილოს პრიალა პირსაბანში. მოქარგული, თეთრი და უმტვერო პირსახოცი მიაგება.

ოტიას სახლი ევროპულად ჰქონდა მორთული. დიდი დარბაზი პარკეტის იატაკით, ჩუქურთმებიანი ჭერით. ჭერიდან ჭაღი ეშვებოდა. კედლები ხალიჩებით იყო მორთული, ტახტზე ეწყო ოქრომკერდით და აბრეშუმის ძაფით ნაგვირისტევი და ნაქარგი ხავერდის მუთაქები და ბალიშები. კუთხეში „მერკურის“ ფირმის გრამაფონი იდგა. ესტატემ ფირფიტები დაათვალიერა. ფირფიტებზე ქართული ხალხური სიმღერები იყო. ქართველი მსახიობებიდან: სარაჯიშვილი, რუსი მომღერლებიდან: სმირნოვი, სობინოვი, შალიაპინი, იტალიელი: კარუზო, ტიტარუფო. ორკესტრების გადაშინჯვისას ესტატე „ძველ ბოვარულ მარშს“ წააწყდა და ცალკე გადასდო. ოტიამ განაცხადა: ეს გრამაფონი და ფირფიტები ჩემმა დისწულმა ევგენიმ მიყიდა ტფილისში ხუთი წლის წინადო.

ბაბომ თავის საწოლ ოთახში შეიყვანა ვარდო და ნინო. აქ იყო ორი ნიკელის ფართო საწოლი. ხალიჩა-მიკრულ კედელთან ოტიას ლოგინი იდგა. კედელზე ეკიდა ორი შაშხანა, ორი მოკლე კარაბინი, სანადირო თოფები, ხმლები და ხანჯლები. ფანჯარასთან ტუალეტი იდგა შესანიშნავი რგვალი სარკით და ნივთებით. ეს ბუდუარი პეტერბურგიდან გამოაწერინა ბაბოს გუბერნატორის ცოლმა აგრაფენამ, ტერეზას სკოლის ამხანაგმა და მეგობარმა. ერთი სიტყვით, ვარდო მაყაშვილიც კი, გაოცებული დარჩა ოტიას სახლის მორთულობით და ნივთებით. არ ეგონა

ასეთნაირად მორთულ სახლს თუ ნახავდა ზემოიმერეთში და ისიც ძოში მივარდნილ სოფელ ზედაზენში.

როდესაც ბაბომ სწორი რუსულით საუბარი დაუწყო, მსხ ეფორო მეტად გააოცა. ისინი მალე დამეგობრდნენ. ბაბომ ნინო გულზე ძიბუტა, სილამაზე შეუქო და შუბლზე აკოცა. უმალვე მოთაფლა დარბაისელმა იმერელმა ქალმა თავადის ესტატე მაყაშვილის ცოლშვილი.

— რა ჩინებული რძალი გყოლიათ, — უთხრა ტერაზას ვარდომ.

ტერეზამ სასტუმროში გაიყვანა. თავისი ძმების ოტიას და სხვათა ახალგაზრდობის დროინდელი სურათები უჩვენა: წვერულვაშიანი ლამაზი ვაჟკაცები, იმერული გრძელი ჩოხებით, ხმლებითა და ხანჯლებით მართლაც ფეოდალური საქართველოს წარმომადგენლებს მოგაგონებდნენ.

— გაფრინდა ის დრო! — ჩაიქნია ხელი ბაბომ.

სტუმრებთან ოტია, სტეფანე, კორნელი და იონა დარჩნენ. ტერეზას გულმა არ მოუთმინა და ბაბოსთან ერთად შემოიარა ეზო-გარემო, სადაც ბავშვობა და თავისი ახალგაზრდობა გაუტარებია. წყარო და ღარის წყალიც ინახულა. წყალი შესვა და ხელპირი დაიბანა. მერე თხილნარში შევიდა. ხეხილით სავსე უკანა ეზოში მსხალი და ვაშლი შეჭამა. ბოლოს სამზადი ინახულა. მოსამსახურე ქალები სალომე და ეპრაქსია გადაეხვივნენ და ქალბატონს ხელი დაუკოცნეს.

დიდი მზადება იყო: შუა ცეცხლზე ქვაბები ეკიდა და შიგ ჩვილი ხბოს ბეჭი და ქათმები იხარშებოდა. ცეცხლთან შამფურზე წამოგებულ გოჭს ატრიალებდა ერმილე.

— გაგიწყვეტია ოჯახი! — უთხრა ტერეზამ.

— მანამდე არაფერი გეტკინოს, ჩემო საყვარელო ტერეზა, რამდენხანს მე თქვენისთანა სტუმრები არ მეწვიონ! — უპასუხა ბაბომ, გადაეხვია, აკოცა და გობიდან სახაჭაპურეთ მოზელილი ყველი აიღო და გასინჯა: ზედმეტი მარილი არა ჰქონდესო. სპილენძის უზარმაზარი ქვაბი წყლით იყო სავსე და შიგ ბეგლარის მიერ მდინარე თეთრწყალში დაჭერილი კალმახი ეყარა.

— კალმახები კეცსა და კეცს შორის შევწვათ, სალომე, და ქინძმარი გადავასხათ, — უთხრა მოსამსახურეს, ჭაღარით მოსილ ქალს ბაბომ.

— ბატი კუხმაყვალის წვენში ჩაიწყვეთ. საცივს ტერეზას გავაკეთებიებ. შენ რომ საცივის გაკეთება იცი, ტერეზა, შენ შემოგევლოს ჩემი ოავი, იმისთანა არსად არ მიჭამია!

სტუმრები ეზოში გამოსულიყვნენ. ცაცხვის ქვეშ დამსხდარიყვნენ. მანამდე თავლაში ყოფილან. ოტიამ ცხენები დაათვალიერა. ყველაზედ მეტად პლატონ მოგველაძის „ჩერქეზული“ მოეწონა. ხახა გააღებინა. კბილები გაუსინჯა. გავაზე ხელი შემოჰკრა.. ათასნაირად ასწონდასწონა. მერე ისევ დაიწყო ჩერქეზულის შემოწმება. თვალებთან ხელი მიუტანა:

მარჯვენა თვალზე მალე დაბრმავდებაო, — განაცხადა. როდესაც ცალცხვის ქვეშ დასხდნენ, სტეფანემ სტუმრებს უთხრა:

— ბიძია ოტიას ალია რომ გენახათ, გაოცდებოდით! მახსოვს, ალიაზე შეჯდებოდა ბიძია ოტია; ხელზე მიმინოს დაისვამდა და სანადირო ასე წავიდოდა.

ოტიამ სტუმრებს შეშჩივლა:

— მიმინო ჩემმა ცოლმა მომიკლა. ბატის გულ-ღვიძლი მისცა და ის ტურის შესაჭმელი ჭირიანი ყოფილიყო.

მიმინოსა და ცხენის ხსენებაზე ფეოდალურ საქართველოს მოტრფიალე პლატონ მოგველაძე საუბარში ჩაერია:

— გაგიჟებით ვეტრფი მიმინოს. კარგ კაპუეტს გიპნოზის ძალა აქვს. კამარას შეჰკრავს, ხოხობს ბუჩქთან ახლოს მიუჯდება. თვალს თვალში გაუყრის. მონუსხავს, ძალას გამოაცლის, წაახდენს და დაიჭერს.

ოტიამ დაუმოწმა:

— სწორია, კაპუეტი წაახდენს!

ესტატე მაყალაშვილი, ყიფიანი ჩხეიძე და წულუკიძე საუბრით დაინტერესდნენ.

— თქვენ ალია ახსენეთ, არ დაგრჩენიათ მისგან სანაშენო? — შეეკითხა ესტატე.

— არა, ალია სანდროს მოგვარე კაცმა, ნოდარ წულუკიძემ მომპარა, — მიუგო ოტიამ.

სანდრომ თავი ჩაჰკიდა, თითქოს დაირცხვინაო:

— წულუკიძის ქურდობა არ გამიგონია!

ოტია არ დაერიდა:

— სწორედ იმ წყეულმა ნოდარ წულუკიძემ მომპარა! — უპასუხა ოტიამ და მოყვა:

— ალიას ჩემს მეტი ვერავინ ვერ ეკარებოდა. ცხენის გახედნა და ცხენოსნობა სტეფანეს და დათას ახსოვს, რანაირი ვიცოდი. ალია მაშინ გოუხედნავი მყავდა და ჯოგთან ერთად გავაგზავნე იმ ზაფხულს ‘გორამაღალზე საბალახოდ. ყარაბახული ულაყის სახელი განთქმული იყო მთელს იმერეთში. მას ბევრი ნატრობდა, განსაკუთრებით კი ზეკარზე საქონლის საბალახოდ გადმოსული მეჯოგე მეგრელები: კვარაცხელია, თოლორდავები. ერთხელ ის წყეული ნოდარ წულუკიძე მესტუმრა. ათი ძმაკაცი ახლდა. ერთი კვირა შევინახე და ვაქეიფე, დედიჩემის სული ნუ წამიწყდება! წულუკიძე მოჩხუბარი, ლეკურის იშვიათი მხმარებელი, დიდი მოქეიფე და კარგი ცხენოსანი იყო!

— სულმთლად ჩვენ სანდრო წულუკიძეს ჰგავნებია, ისე ღმერთი ამას უშველის! — შენიშნა კოწია ჩხეიძემ.

ოტიამ გაიცინა:

— სანდრო ნოდართან ვერ მივა! ჰო და ის ნოდარ წულუკიძე მთელ ერთ ღამით გორა მაღალზე ასულა. მეგრელი მწყემსები მოუსყიდია და ალიასთვის მიუგნია. ხელში გრძელი თოკი მოუმარჯვებია, საგდებელი ესროლია და ალიასთვის თავზე გადაუცვია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც წულუკიძემ ალია საგდებელით დაიჭირა თურმე... ცხენი დაფეთდა. ყალყზე დადგა. მაგრამ ნოდარ წულუკიძემ მაგარი მკლავით მისწია ბაწარი, დაითოკა და ულაყი მოიახლოვა. სწრაფად მოახტა თურმე ალისფერ ცხენს. ფაფარში ხელი ჩასჭიდა. თოკი ცხვირზე მოახვია და გაქაფულ პირში ჩაუგდო. ალია გაგიჟდა. ყალყზე დადგა, დატრიალდა, ისკუპა და ადგილიდან მოსწყდა. მწყემსებმა და ქუთაისიდან დაბრუნებულმა მეურმეებმა უამბეს თურმე ოტიას: წულუკიძემ ალიას სადავე ვერ დაუჭირა, ცხენი თხრილებს და ხრამს ახტებოდა, ხანის წყალში ნაპირიდან გადავარდა და თქარათქურით გაირბინაო. ალიამ სოფელი ხანი, კაკასხიდი, ბოლოკოლური უკან ჩამოიტოვა. ბაღდათში ჩამოვიდა. ფერსათი, დიმი და როკითი გაიარა. აჯამეთის ტყეში რაშივით შევარდა, ვარციხესთან დაიქანცა. გაქაფულ და ნესტოებ გაბერილ ულაყს ფართო ქშენა, ფრუტუნი და ხველა აუვარდა. ხავერდის ტყავში გახვეული მაგარი კუნთები დაურბილდა, დაუსუსტდა, სქელი კისერი მოეგრიხა, თავი ჩაჰკიდა. დანებდა წულუკიძეს. წულუკიძემ სადავე დაუკავა. რიონზე გავიდა, პირდაპირი გეზი აიღო: პატრიკეთს ჩაუარა, მუხიანი და ფარცხანაყანები, მაღლაკი, გუბი, კუხი გაიარა და შემდეგ საწულიკიძოში ჩავიდა.

უამბობდა ოტია ყოველივე ამას სტუმრებს.

— წარმოგიდგენია, ბატონო ოტია, რა გუნებაზე დადგებოდით, როდესაც ალიას დაკარგვას გაიგებდით? — შენიშნა პლატონ მოგველაძემ.

— ალიას დაკარგვა რომ გავიგე, იმისთანა შენს მტერს, მე გულზე შემომეყარა! მთელი ქუთაისის გუბერნია შევძარი, ყმაწვილო. საქმე ლუბერნატორამდეც კი მივიყვანე, მაგრამ ალიას ვერსად ვერ მივაკვლიე. ის წყეული წულუკიძე ცხენის წყალზე გასულა და ალია ფიდო დადიანისთვის მიუყვანია სამეგრელოში. თითონ წულუკიძეს მერე კაცი შემოაკვდა ჩხუბში: უფროსი ძმის ცოლზე მისი მოურავი შეისწრო, ალაგესთან დეეწია, ლეკური იშიშვლა, რეკა და კვინიხში შემოკრა. გაპობილი თავის ქალა მჭიდროდ დევიდა ერთმანეთზე, ისე რომ ფოლადი ძლივს გამოაძრო ხრიალით. მერე ხანჯალი იძრო და საკატლეტე ხორცივით მთლადერთიანად დაკეპა და ამისათვის ციმბირში გადაასახლეს. ან კი რა გადასასახლებელი იყო, თუ კი რძალზე შეისწრო იმ კაცმა ყაზახი?! — დასძინა ოტიამ.

მოურავი ბეგლარი აიწურა. გაფითრდა. ანთებული თვალები ყაჩაღისებურად შემოავლო სტუმრებს. ქურდულად დააცქერდა რატომღაც ოტიას დისწულებს სტეფანესა და კორნელის.

— სულმთლიანად დაუკეპია, შე კაცო, და გადაასახლებდენ, აბა რას უზამდენ? — შენიშნა კოწია ჩხეიძემ.

— დაკეპავდა, ყმაწვილო, აბა რას უზამდა? რძალზე [illegible] — შევისწრო, შიგ ხარხაში მივცემ ტყვიას! — უპასუხა ოტიამ [illegible] ის კი არა და ერთხელ ფერსათში დიმიტრი კიკნაძე შემეჯიბრა ღვინის სმაში, დაჩაგვრა მომინდომა, — დაცლიდა ყანწს და გადმომიგდებდა: თუ ბიჭი ხარ მომყევი სმაშიო. სანაძლეო დავდოთო, ვინც წააგოს, საჯაროდ თითი მოკაკვოსო. ვაი, ღმერთმა მამკლას მაშინ, შენ თუ კისერი არ მოგტეხემეთქი, — ვიფიქრე. მასპინძელს დიდი ყანწი მოვთხოვე, ორი ბორჯომის ბოთლი პირწმინდათ ჩევიდა, დედიჩემის სული ნუ წამიწყდება!! — დაიფიცა ოტიამ.

— ორი ბორჯომის ბოთლი როგორ დალიეთ ერთბაშად, ბატონო ოტია?! — გაუკვირდა პლატონს.

ოტიამ ასწავლა:

— ცოდნა, უნდა, ყმაწვილო! ყანწს არ უნდა უსუნო. ღვინის დალევის მერე სული უნდა ამოითქვა, ღვინის ორთქლი და სიმაგრე ამოუშვა. ბატის ან ქათმის ფრთით, ტყემლით უნდა წეიხემსო და ერთი კაკალი კაცი ვერ გაჯობებს სმაში. დავლიე და დოულოცე. შეშინდა და მიშარა: უარი განაცხადა. თავს ნუ იგდებ, თვარა გაგათავებთქვა, დოუძახე. წახდა ყაზახი: ცხრები აწურა და მამალი ინდოურივით აიფხორა. სავსე ყანწი მივართვი. ნახევარიც არ ექნებოდა დალეული, მიტკალივით გაფითრდა, თვალები მიეჭყუტა და სლოკინი ოუვარდა. ყანწი სტოლზე დააგდო, ბირკვილზე გადახტა და ეზოში გამექცა. წამოვავლე ყანწს ხელი და გამევეკიდე. აღარ მევეშვი, ვსდიე და ვსდიე, ყმაწვილო, უკან. ის იყო მიმასწრო ღობესთან და ვიძვრე ხანჯალი, იქნებოდა ჩემგან ასე ერთი ორმოცი ფეხის ნაბიჯზე. ხანჯალი წვერით დევიკავე, ვესროლე, ზე კაკალ დუნდულზე მივარჭვე იმ ჭირიანს და ბარძაყი სააღდგომო კვერცხიეით შეუღებე, დედი ჩემის სული ნუ წამიწყდება!

ესტატემ, პლატონმა, იონამ და ყველამ ხმამაღლა გადიხარხარეს. იონა ფიქრობდა: რა სისულელეს უყვება ამ პატივცემულ სტუმრებსო და ოტიას უთხრა:

— კი, მაგრამ ასე ძალით ვის გაუგონია, ოტია, ღვინის დალევინება? იქნებ არ შეეძლო იმ კაცს და უნდა მოგეკლა?

ოტიამ უპასუხა:

— მაშინ არ უნდა გამეჯიბრო. რო დამალევინებ, ყმაწვილო, შენც უნდა დალიო, აბა, რავა გინდა!

ოტიას დაეთანხმნენ გამოცდილი მსმელები ღვინისა ჩხეიძე და წულუკიძე: სრული სიმართლეაო.

— მე რომ თქვენს ადგილას ვყოფილიყავი, უსათუოდ მოვკლავდი. ლვინის სმაში თქვენ გიჯობნიათ, მაგრამ სირბილში დიმიტრი კიკნაძეს და აძას გადაურჩენია! — ოხუნჯობდა ჩხეიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ სიცილი დაიწყეს.

— კი მაგრამ მე მახსოვს ალია მერეც გყავდა, შენ ხელში დაბერდა კიდეც, — შენიშნა იონამ.

— ჰო, — უპასუხა ოტიამ, — ფიდო დადიანი ჩვენი მოკეთე იყო და ალია იმავე ფასში დამიბრუნა, რაც წულუკიძემ გამოართვა.

— ეს რა მოგსვლიათ, ბატონო ოტია, იძულებული გამხდარხართ გეყიდნათ საკუთარი ცხენი, — უთხრა ღიმილით ესტატემ.

— ვიყიდე, დედიჩემის სული ნუ წამიწყდება! ვაი, რა ოქროს თუმნიანები ჩოუთვალე, იმ ჩემი ცოდვით სავსე ფიდო დადიანს! — სწუხდა ოტია. მსუქან მუცელზე მოჭერილი ქამარხანჯალი გაისწორა. მთიდან მონაბერმა ნიავმა შეეღლალებელი წვერულვაში გაუშალა. მოღუნული ცხვირის ნესტოები გაუფართოვდა. სქელ კისერზე დარაიის ახალუხის თეთრი საყელო უჭერდა. ღილები შეიხსნა. შუბლიდან ისევ წურწულით ჩამოსვლოდა ოფლი. ისევ საჩვენებელი თითით იწურავდა ოფლს და ბაღდადურით იმშრალებდა.

ესტატე მაყაშვილი და პლატონ მოგველაძე განცვიფრებულნი მისჩერებოდნენ ზემო იმერელ ფეოდალს. პლატონი ფიქრობდა: „ზღვის ტალღასავით მოლივლივე წვერულვაშ შორის მოთავსებული ბაგეები, ხშირი წარბები და ჭროღა თვალები საშინელია, ალბათ, როცა მრისხანებით მოიკუპრებიან და აღენთებიან!“

სუფრის გაშლის მოლოდინში მოსაუბრე სტუმრები უზარმაზარ ტალავარში შეეიდნენ. აქედან ჩინებულად მოსჩანს გურია-აჭარის, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მთები. ოტიას სახლის უკან ტყით დაფარული, ამწვანებული მთაა აღმართული. იქიდან უბერავს ეს გრილი ნიავი. სტუმრებმა ხალვათობა იგრძვნეს.

— რა შეედრება სოფელს? ერთი შემოგვხედეთ, რასა ვგევართ ქალაქში მოხარშული ხალხი და მერე თქვენს თავზე დაიხედეთ. ზედ გეტყობათ სოფლის ბარაქა, ჯანი და ჰავა, — განაცხადა პლატონ მოგველაძემ.

ოტიამ „ეს არეული დროება“ დასწყევლა. მოიგონა დედა, მამა, „ბედნიერი წარსული“ და სახეზე ნეტარი ღიმილი აღარ შორდებოდა.

ამ დროს ცაცხვის ქვეშ სუფრის გაშლა დაიწყეს. მოურავმა ბეგლარმა დოქები, თოხი, ხის ბარი, ორშიმო მოიტანა და ქვევრის ხდა დაიწყო. ყველანი გარს შემოეხვივნენ. შედარებით პატარა ქვევრი იყო. ამ ტალავარში ას და ორას ჩაფიანი ქვევრებიცაა. ტკბილის ჩასხმის წინ, შემოდგომაზე ბეგლარი გრძელ კიბეს ჩაიდგამს, ფარანს ჩაიტანს და ასე დაუწყებს ხოლმე ამ ვეება ქვევრებს ხეხვასა და რეცხას გრძელ ჯოხის წვერზე

წამოგებული ბალის გამხმარი ტყავით, თაგვისარა ჯაგნარი ბალახით, ბეგლარმა ქვევრის თავზე დაყრილი შავი მიწა თოხით გადაღლო. ძერეხის ნიჩაფი წყალში დაასველა. ზედ ფეხი დაადვა, დააჭირა ქვევრის თავზე დაგლესილი, საზელ თიხასავით სველი ალიზი მიწა [illegible] რად გასჭრა, რგვალი ფიცარი მოასუფთავა და ქვერს სარქველი-ორგო აჰხადა. ქვევრი სავსე იყო ცოლიკაურით. იქიდან თითქო უცნაური ხმაური ისმოდა. ყურძნის მარცვლები, ჭაჭა და კურკები ედგა. ნელა ჩაუშვა ბეგლარმა კუპრისფერი ორშიმო, ყურძნის მარცვლები გასწია და მიწაში ჩაფლულ, ჩაკირულ ქვევრიდან ღვინო ამოიღო. ღვინო დოქებში გადაიღო. ოტიამ ჩოხის სახელო დაიკაპიწა. ღიმილით აიღო ხელში ტიკჭორასავით წელში გამოჭირებული ჭიქა, ბეგლარს შიგ ღვინო ჩაასხმევინა. ქარვისფერ ცოლიკაურს გაჰხედა, ჭიქა კახელ თავადს ესტატე მაყაშვილს მიართვა და ჭაშნიგი გააშინჯინა, როგორც აღმოასვლეთ საქათველოს მკვიდრს. ესტატეს მამაც მევენახე იყო და ვეჭილმაც ღვინის კარგი შეტყობა იცოდა. ჭიქაში ღვინო შხეფებს ისროდა.

— ვაი საყვარელო, რა ღვინო იცის თქვენმა კახურმა ვენახმა, მისი ძირი არ გახმეს! — უთხრა ოტიამ.

ესტატემ ჭიქა მაღლა ასწია, ანკარა ღვინოს გაჰხედა, ტუჩზე ვიიდო, გემო გაუსინჯა, თავი სიამით გააქანა, ღვინო გადაჰკრა და განაცხადა:

— ჩინებული ღვინოა. რეინისა და ბურგუნდიის ჩქეფს მაგონებს. ეს უფრო მაგარია, მაგრამ ისე სასიამოდ და იოლად ისმება, თითქო ღვინოს კი არა, ეთერსა და ჰაერს სვამო.

ოტიას იამა — უპასუხა:

— ჩვენებური ღვინო კახურ ღვინოსთან ვერ მივა.

ჩხეიძეს სული მისდიოდა. ბეგლარს ჭიქაში ჩაასხმევინა ღვინო, გადაჰკრა და ისიც ჩაერია საუბარში:

— ღვინოს დაყენება უნდა, ბატონო! თუ კარგად დააყენებ, იმერეთშიც — აი, ხომ ხედავთ — ასეთი დიდებული ღვინო დგება!

დაირა და ჩარირამა

„მასპინძელსა მხიარულსა
ჰყავს სტუმრები საყვარლები“...
ხალხური სიმღერა

ბაბომ ცაცხვის ქვეშ გაშლილ სუფრაზე სტუმრები მიიპატიჟა. სუფრას შემოუსხდნენ. სუფრის თავში პლატონ მოგველაძე დასვეს.

— პლატონი განთქმული თამადაა, დიდებული მოლაპარაკე და ოქროპირი, — გააფრთხილა ადრევე მასპინძლები იონამ.

— მარტო ლაპარაკი რად მინდა, ყმაწვილო, თუ ღვინის სმა არ იცის და არ მასვა! — უპასუხა ოტიამ ღიმილით, თითქო ღვინოზე [illegible] არ დაელიოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათა ყიფიანი, სანდრო წულუკიძე, კოწია ჩხეიძე ჩასილაღებული ჩოხებით ფეხზე წამოდგნენ, თავაზიან ღიმილით ულოცავდნენ პლატონს თამადობას, თითქო ეხვეწებიანო: აბა, შენ იცი, თუ ბევრ ღვინოს დაგვალევინებ, გვალხენ და კარგ დროებას გაგვატარებინებო. ნინო კორნელის გვერდით იჯდა და კორნელიმ ჩასჩურჩულა: ჰო, რა მსმელები ჩამწკრივდნენ ერთადო. პლატონის ხელმარჯვენივ ისხდნენ: ბაბო, ესტატე, ვარდო, ტერეზა. ხელმარცხნივ: სტეფანე, ოტია, დათა და მისი ჰამქრები. ბოლოში: მოურავი ბეგლარ სანიკიძე და ტერეზას მოჯამაგირე დომენტი ხვედელიძე.

სუფრაზე ეწყო ნაირნაირი საჭმელი: თხელი ჭადები, რომლებსაც წაბლის ფოთლის ძარღვები დამჩნეოდა, თონის პური, კიტრი, წიწმატი, თვისბოლოკი, გადაზელილი ყველი რძის წვნითა და პიტნით, სულგუნი, ჭყინტი ყველი საკრაჭუნებელი და უმარილო, ნადუღი, მხალი, ხაჭაპური, ახალი ვარიები ბროწეულის, კუხმაყვალის და ნიგვზის წვენში ჩაწყობილი...

ისე წაესივნენ საჭმელს, თითქო მთავარ კანში გამოსულ აბრეშუმის ქამშეულ ჭიებს ჩელტებზე თუთის ტოტები და ფოთოლი დაუყარესო. ირონამ, ყური მიუგდო მოშივებულ ხალხის ჭამისა, ღეჭვის, დგვლეფის ხმას და სიჩუმე დაარღვია.

— ნელა ჭამეთ, რამ გაგახელათ, მტრის ოჯახში ხომ არა ხართ!

პლატონმა ვერცხლის ახარფეშა აიღო წარწერით: „შე უგუნურო, დალიე, ქვეყანა შენი იქნება!“ თამადა ფეხზე იდგა. თვალები მსახიობივით ელანთო. შორეულ ქედებს გაჰხედა ნაღვლიანად და ასე დაიწყო:

მე ვსვამ ფეოდალური საქართველოს ხატის, აწ განსვენებულთა და ნეტარ-ხსენებულთა არჩილ და დარეჯან მდივნების ხსოვნისათვის. იმათი ხატი, თვისებანი ცნაურდებიან ძეთა და ასულთა მათთა სახით. დარეჯანი ზეპირად იტყოდაო „ვეფხის-ტყაოსანს“, მსმენია. ეს უკვდავი ქმნილება აუცილებელი და ყველაზე უკეთესი მზითვი იყო ოდითგანვე ახლად გათხოვილ ქართველი ქალისათვის, რათა თაობიდან თაობაში გადასულიყო ქართველთა შემნახველი, გენიოს შოთას მარჯვენით დაწერილი სიტყვა, წიგნი საერო სახარებად ქცეული!

მერე პლატონმა ილაპარაკა გვარის გაგრძელების უკვდავებაზე, მოჰყვა არჩილ და დარეჯან მდივნების ისეთ ხობტა-ქებას, რომ ოტიას, ტერეზას და ბაბოს თვალზე ცრემლი მოადგათ.

— რა მოლაპარაკე ყოფილა ეს კაცი, შენი ჭირიმე! — ამბობდა ოტია ბალდათურით იწმენდდა თვალებზე ცრემლებს!

განსაკუთრებული სიყვარულით დალია თამადამ ტერეზას, ვარდოს და ბაბოს სადღეგრძელო. ბაბოს სადღეგრძელოს დროს პლატონმა ხელში კვლავ უცნაურად ამეტყველდა. იგი კოლხეთის მეფეს, ბოლოს ... მედეას შეადარა პლატონმა; მედეამ იცის ტრფობაც და არწივის თვალების ცივი სიშორეც, მისმა ხელმა იცის ალერსიც და ვეფხის ტოტების საშინელი ბრჭყალების ჩვენებაც. სიამით სავსე ბაგე შესაძლოა მეორე წუთში შხამით აღსავსე ბროწეულად გეჩვენოსო. ორმაგია იგი, ვით ამორძალი პენთესილე, რომელსაც ძუძუები აქილეს დასაღუპავად ჰქონდა აწვდილიო.

— უკვე ძუძუებზე ჩამოვარდა ლაპარაკი და თუ ქალი ხარ, არ გამოაჩინო, თორემ ცუდათ წავა საქმე! — იოხუნჯა იონამ.

შემდეგ პლატონმა თამარ მეფეს შეადარა ბაბო, შეამკო, თავბრუ დაახვია. ნინო კი ისევ წმინდა ნინოს ხატს შეადარა და „ბოტიჩელის მგალობელ ანგელოზებს, უნაზეს და უსპეტაკეს შროშანივით რომ აუწვდიათ ცისაკენ თავიანთი ფერმკრთალი სახეებიო“.

შემდეგ დაიწყეს სიმღერა: „მრავალჟამიერი“, „მასპინძელსა მხიარულსა“, „ხელხვავი“. დათა ყიფიანს, სანდრო წულუკიძეს და კოწია ჩხეიძეს ჩინებული ხმები ჰქონიათ. მაგრამ ოტიას პირველი მაინც სხვა იყო: ზარივით წკრიალა, მაღალი და უჩვეულო. პლატონი აღენთო, ხელთ აიღო ყანწი და ოტია ადღეგრძელა:

— შეხედეთ ოტიას, მის წვერულვაშს, მის გაფანჩულ ხშირ წარბებიდან მაცქერალ მოცისფრო თვალებს. მთიდან მოფრენილი არწივის მოღუნულ ცხვირს! არა, და არა! — გადაიქნია ისტერიულად თავი სასოწარკვეთილმა, ქართველმა ცრუ პატრიოტმა და აბდაუბდის მროშავმა პლატონმა — ქართველი ხალხი არ გადაშენდება! არ გადაშენდება მანამდე, სანამ არსებობენ ოტიას მსგავსი ქართველები! სანამ იარსებებს პური, ვენახი, ქვევრებში ღვინო, ორშიმო და ათასწლოვანი ჩვენი ხალხური სიმღერები! — პლატონმა დასცალა ყანწი და ოტია მდივანი გადაკოცნა.

— ოქროპირია ჩვენი პლატონი, ოქროპირი! — დაიძახა ესტატემ.

— რა ვიცი, ძალიან კი შემაქო ეს მოხუცი კაცი! — გაიცინა ოტიამ.

— რა უყოთ რომ მოხუცდი, მანც ლომი ხარ, ოტია, ბებერი ლომი! — მიაძახა დათა ყიფიანმა.

— ბებერი ლომი ზედგამოჭრილი სახელია ოტიაზე! — ყვიროდა კოწია ჩხეიძე.

— არა ვარ, ბაბა, ბებერი! იმე, ამისთანა გინახავს! შენთან მართლა ლომი ვარ! — უპასუხა ოტიამ ჩოხაში ფიცარივით გახვეულ წარბაძგიბულ კაფანდარა კოწიას.

— დიახაც არა ხართ მოხუცი, ბატონო ოტია! ჩვენთან შედარებით თქვენ მართლაც ჯერ კიდევ ჭაბუკი ხართ. ჩვენ ორ თაობას შორის ვართ

გაჩხერილი და დაღალატიანებული: არც ძველს ვწევივართ და არც ახალს. ბიჯნა კრწანისის შემდეგ იქნა გავლებული! — ამბობდა ...-გველაძე გაუგებარ ფორმულებით.

ისევ აღფრთოვანებით შესძახეს ოტიას: ლომი ხარ, ოტია, ბებერი ლომიო! ოტიამ თავი მოიკატუნა:

— რაღა ლომი ვარ, შე კაცო, ხომ ხედავთ, ბუდიდან ამოგდებას ღა სახლკარის დაქცევას მიპირებენ...

დათამ გაამხნევა:

— ნუ გეშინია, ოტია, დედას უტირებთ შენს მტრებს!

სტუმრებს ღვინო მოეკიდათ:

— ოტიას ცოლიკაური ისეთი მაგარია, რომ უკვე კეტი შამომკრა თავში! — დაიძახა იონამ, ყანწი დასცალა და კორნელის გადაუგდო:

— დალიე, ბავშვი ხომ არ გგონია შენი თავი! გმირი და მებრძოლი ვარო, რომ იძახი, დალიე, სიძესავით რომ წამომჯდარხარ მანდ!

ოტიას მოსწონდა, სიამოვნებდა, როდესაც სტუმრები მის ოჯახში ღვინის სმას გააჩაღებდნენ. იონას კისერში წაავლო ხელი, მოსწია და ტუჩებში აკოცა. იონა აიმრიზა:

— რა მეზარება წვერულვაშიანი და ბებერი კაცის კოცნა! — ოტიამ გაიცინა:

— შენმა მზემ, შენ დიდი ქოჩორა ბიჭი მყავხარ!

ტერეზამ დაუშალა, მაგრამ იონამ მაინც დაალევინა კორნელის ღვინო. ოტია სიყვარულით სავსე თვალებით მისჩერებოდა ეხლა კორნელის:

— დალიე, გენაცვალე, ჩემო საყვარელო დისწულო. ნამდვილი ყურძნის წვენია, დედიჩემის სული ნუ წამიწყდება, კი არ გაწყენს, დედის რძესავით შეგერგება.

მერე ნინოს გადახედა, მოაგონდა თავისი ყმაწვილკაცობა:

— იმდენი შენ იცოცხლე, ჩემო კორნელი, რამდენი მე შენს ხნობაზე და მერეც ქუთაისში და თფილის ქალაქში დრო მიტარებია!

დათამ შენიშნა:

— მე შენ გეტყვი, ...ბგილ-მამული და ქონება არ გიწყობდა ხელს?!

ოტიამ დისწულის კორნელის და ცოლის ძმის დათას გასაგონად დაიწყო:

— ჩავიდოდით, ყმაწვილო, თფილისში მე, სვიმონ ერისთავი, პაპუნა წერეთელი და იქაურ თავადებთან ვაჩნაძე-მაყაშვილებთან ერთად ვქეიფობდით ორთაჭალის ბაღებში!

მაყაშვილის გაგონებისას ნინომ ყური მიუგდო ოტიას. ოტია ამბობდა:

— ვიქეიფებდით ერთს მაგრად და მერე დევერევოდით გოგოებს!

ნინომ თავი ჩაღუნა. ბაბომ გესლიანად შენიშნა ოტიას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ორთაჭალის გოგოებს რომ დეერეოდით, ჩემო ოტია, იმიტომაც დაგჭირდა კისლავოდსკი და ათასი დავიდარაბა.

ოტია ამ დროს თუთუნს აწყობდა. ხანგრძლივ მიაჩერდა ბაბოს, როდ, მერე გაიღიმა და ნინოს გადახედა, თითქოს ეხლა იგრძნო წელან თქმულის უხერხულებაო.

— დეეერეოდით, რავა, ვარშიყობდით, ბოშო, სხვა კი არაფერს ვშობოდით, — გულუბრყვილოდ უპასუხა ბაბოს ოტიამ, თუთუნის ქაღალდს ენის წვერი გაუსვა და ბაბოს შეეკითხა:

— ეარშიყება, აბა, რას უშობა კორნელი ახლა ამ ბოვშვს?

ბაბოს გულს შემოეყარა, იცოდა ოტიას ამბავი: სიმთვრალეში გადაქარბება, გაჯიუტება და ხანდახან გალენჩება იცოდა. ბაბომ წარბი შეჭკრა და თვალებით ანიშნა, სისულელეს ნუ როშაო. ოტიამ, პირიქით, უყვირა ცოლს:

— რა გინდა, ბოშო, რას ჩამაცივდი! ლაპარაკს მიშლი თუ?

ვარდომ გამოიყვანა ბაბო უხერხულ მდგომარეობიდან. თავი დაბარა და ოტიას შეეკითხა:

— ბატონო ოტია, კისლავოდსკში ყოფილხართ?

— იცოცხლეთ, ჩემო ბატონო, მე კისლავოდსკში დრო მიტარებია, — უპასუხა ოტიამ და მოჰყვა:

— ერთხელ შავი ჩოხა ჩევიცვი და ჩემ ძმაკაცებს გიორგი ერისთავს. პაპუნა წერეთელს, სპირდონ მიქელაძეს და აქვსენტი ფალავას გოუარე და ყველა ერთად ჩასირმული, ჩასილაღებული და იარაღით მორთული შევედით პარკში. პავილიონში კაზაჩი პოლკის მუსიკა უკრავდა. ქალები და კაცები ყავას სვამდენ! რუსის ქალებს ძალიან მოვწონდით.

ახლა მთელი სუფრა უგდებდა ყურს ოტიას.

— ერთი თავადიშვილის ქალი მომწონდა: ტატიანა კონსტანტინოვნა. გვარი დამავიწყდა. შესანიშნავი ქალი იყო. კავალრები ბუზივით ესეოდენ. მე ბიჭის ხელით შშვენიერი თაიგული გოუგზავნე, თუმცა ფული წინალამით წავაგე კარტში. ტატიანა კონსტანტინოვნამ დამინახა, გამიცინა და თავი დამიკრა. „Какие прелестные грузинскке князья“ [1])-ო, უთხრა ქალმა გვერდში მჯდომ, ლორივით ჩასუქებულ ინჟინერს. ინჟინერი ტატიანა კონსტანტინოვნას ეარშიყებოდა. გული მოუვიდა, რადგან ჩვენ ჩავრჩრდილეთ. ამიტომ ჩემს გასაგონად უპასუხა: „Еслиб только вы знали, Татьяна Константиновна, какие они все глупые“ [2])-ო. სისხლი ამივარდა, ყმაწვილო, თავში და შევძახე: „Инжинер, подите сюда!“ [3])

---

[1]) რა მშვენიერი არიან ქართველი თავადები.

[2]) ნეტავ იცოდეთ, ტატიანა კონსტანტინოვნა, როგორი სულელები ყველა ისინი.

[3]) ინჟინერო, აქ მოდით.

მეთქი! აკანკალებული და ზეზეულად გათავებული ინჟინერი წამოდგა და შორი-ახლოს გამიჩერდა. მივვარდი, ხანჯალი ვიშიშვლე და ეუბნებოდი: „Станьте сейчас же на колени и извинитесь, а-то зарежу“ [1])-თქვა, გავაფრთხილე. — ამბობდა ოტია.

პლატონს მოეწონა ოტიას მიერ კისლავოდსკში ჩადენილი გმირობა და რომ უფრო კარგად მოესმინა მისი ლაპარაკი, ფეხზე წამოდგა და ისე დაუგდო ყური.

ოტია განაგრძნობდა:

— წახდა ყაზახი, იკადრა და დეიჩოქა. სიმინდის ფოჩვივით გადაგრეხილ ქერა ულვაშში წავატანე ხელი და ცალი ულვაში სამართებელივით გაქანქალებული ხანჯლით ძირში მივასრიპნე, მთლად ერთიანად მოვპარსე. დედი ჩემის სული ნუ წამიწყდება! მერე ქალთან მივედი, წინ მაგიდაზე დოუდევი და ვუთხარი: „Татьяна Константиновна, приймите от меня в подарок усы вашего недостойного кавалера“-თქვა. ქალმა გაიღიმა და მიპასუხა: „Благодарю вас, Князь“ [2])-ო.

საშინელი სიცილხარხარი ატყდა სუფრაზე. პლატონი იძახოდა:

— აგაშენათ ღმერთმა, ბატონო ოტია, იმ დოყლაპია და უზრდელ ინჟინერისათვის ულვაში რომ მოგიჭრიათ, თქვენი მარჯვენა იკურთხოს!

იონა შეეკითხა:

— თუ ღირდა ის ქალი ამდენ ამბავად?

— ღირდა და მეტი არა! — უპასუხა ოტიამ — ო, რა ლამაზი ქალი იყო. ახლაც სნაკვად მაქვს, ყმაწვილო, გულში ჩარჩენილი! — ოტიამ მკერდი ჩაიმჯიღა.

— ბაბოზე ლამაზი მაინც არ იქნებოდა, — გაეხუმრა იონა.

— ოტიას მე არ მოვწონვარ! — უპასუხა სიცილით ბაბომ და პლატონს გადახედა.

— ისეთი კაცი ჯერ არ დაბადებულა, თქვენ რომ არ მოსწონდეთ, ქალბატონო ბაბო! თქვენი დაირა და ცეკვა გვაღირსეთ, ისე ვერ წავალთ ზედაზენიდან! — დაიძახა პლატონმა.

ბეგლარის თვალმა იელვა და პლატონზე ბოროტად შეჩერდა. იგი რატომღაც ღელავდა ამ ღამით. სუფრიდან ხშირად დგებოდა.

— დაირა, დაირა! — გაიძახოდნენ სტუმრები.

ბეგლარი სასადილო ოთახში შევიდა. კედლიდან დაირა ჩამოხსნა და ერმილეს გადასცა: კარგად გაახურე ცეცხლზეო. ესტატე ისევ რუს ინჟინრის ამბავს იგონებდა:

---

[1]) ეხლავე დაიჩოქეთ და ბოდიში მოიხადეთ, თორემ დაგკლავთ.

[2]) ტატიანა კონსტანტინოვნა, მიიღეთ ჩემგან საჩუქრად ულვაში თქვენი ულირსი კავალერისა.

[3]) გმადლობთ, თავადო.

— რა დიდებული ხმარება გცოდნიათ ხანჯლისა, ბატონო ოტია!

ოტიამ უპასუხა:

— რომ გითხრათ, ჩემო ბატონო, არ დაიჯერებთ და ბიბლიოთეკა
მამი ჩემის არჩილისეული ხანჯლით ლეკურიანი კაცი გამიფუჭებია. ქვევიდან ავკრავდი, ლეკურს ხელიდან გავაგდებინებდი ან ვადაში გადაუტეხდი. ო, რა ფოლადია! სთქვა ოტიამ და განაგრძო: — ერთხელ ვარციხეში მარიობა დღეს ჩხუბი ამიტეხეს ქალის თაობაზე და მთელი სოფელი დამესია! ყვირილამდის მსდიეს. სულ უკანასკნელი ერთი ასი კაცი მაინც იქნებოდა. რიყის ქვები მოხიკეს და კოხიკით დამაყარეს, მაგრამ ვიშიშვლე ეს ჩემი მამის არჩილისეული ხანჯალი და ტყვიასავით წამოსულ ქვებს შევაგებე. ყველა ხანჯლის პირზე დევირტყი და ევიცდინე, დევირტყი და ევიცდინე, იმ ჩემი მამის სული ნუ წამიწყდება!

ჩხეიძემ ეშმაკურად გაიღიმა:

— მე უკეთეს ამბავს გეტყვი. შენი სახელის მოხიარე ოტია ჩიქოვანი თუ გაგიგონია? — შეეკითხა ოტიას კოწია ჩხეიძე.

— როგორ არ გამიგონია! უპასუხა ოტიამ.

— ჰო და, იმ ოტია ჩიქოვანის ძმა ალექსი ჩიქოვანი ჩხუბში მოუკლავს ყარამან ხიდირბეგიშვილს. ოტიამ ათი წელიწადი ეძია ძმის მკვლელი: სისხლის აღება უნდოდა, და ერთ დღეს ქუთაისში შეეფეთა თეთრ ხიდზე. ოტია ჩიქოვანმა სასწაული რამე ხმარება იცოდა ლეკურის, ვერავინ ვერ მოასწრო შეხედვა, ისე სწრაფად და თვალის ერთ დახამხამებაზე იშიშვლა ლეკური, მოუქნია და სწყვიტა ყარამან ხიდირბეგიშვილს კისერში. ისე სუფთად გაატარა კისერში ლეკური, რომ ტანზე შერჩენილმა ყარამან ხიდირბეგიშვილის თავმა კიდე მოასწრო დაძახება: რას მერჩოდი, ოტიაო? მერე დაირწა და თეთრ ხიდიდან რიონში გადავარდა! — დაასრულა ნაამბობი კოწია ჩხეიძემ.

— ეს შეუძლებელია!

— არა, შესაძლებელია!

შეიქნა დავა და ყვირილი სუფრაზე. კამათობდნენ: შესძლებდა ოტია მოასწრებდა თუ არა ყარამან ხიდირბეგიშვილის გადაჭრილი თავი ტანიდან გადავარდნის წინ დაეძახა ოტია ჩიქოვანისთვის: რას მერჩოდი, ოტიაო?

სტეფანემ განაცხადა:

— რა წამს შეაჩერებთ ცოცხალ ორგანიზმში ტვინისაკენ სისხლის დენას, მაშინვე იწყება სიკვდილიც!

— ანემია და არა სიკვდილი, — უპასუხა ესტატემ — სიკვდილი რამდენიმე წუთის შემდეგაა შესაძლებელი და თუ ამ ხნის განმავლობაში მიაწოდებთ ხელოვნურად ტვინს სისხლს, იგი ისევ გაცოცხლდება. სისხლით კვების შეწყვეტა არც თუ ისე მალე იწვევს ნერვიული სისტემის დაღუპვას. ამ დებულების დასამტკიცებლად მეცნიერმა ბრუნო-სეკარმა ძაღლს თავი მოჰკვეთა. მოკვეთილ თავში ხელოვნურად სისხლის მიმოქ-

ცევის აღდგენის შემდეგ ძაღლის თავი მიაპყრობდა ხოლმე თვალს მას, ვინაც ეძახდა სახელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შესაძლოა, მაგრამ ეს მაგალითი ამ შემთხვევაში [illegible] ვინაიდან ხიდირბეგიშვილის მოკვეთილ თავში სისხლის მიმოქცევა არავის აღუდგენია. ჩანს იგი მაშინვე მომკვდარა და, მაშასადამე, თვალის ტრიალს და ლაპარაკსაც ვერ შესძლებდა! — ამტკიცებდა სტეფანე.

— მას თვალის დახამხამებაზე უმალ მოჰკვეთეს თავიო. ეს იყო, ალბათ, წამი წამწამისა მსწრობელი. ამ ხნის განმავლობაში არამც თუ სიკვდილი, ანემიაც არ მოხდებოდა. იგი მოასწრებდა დაძახებას, — ურჩობდა პლატონი.

ოტია გაიძახოდა:

— მოასწრებდა, ყმაწვილო, უეჭველად მოასწრებდა!

კოწია ჩხეიძე გულში ფიქრობდა: ისე ღმერთი თქვენ გიშველით. მაგრამ ოტიას და პლატონის გასაგონად კი მაინც ამბობდა:

— კი, ბატონო, ნამდვილად მოასწრო!

სტეფანემ კოწია ჩხეიძეს ღიმილით შენიშნა:

— ხიდირბეგიშვილის მაგალითი ძალიან წააგავს „ათასერთ ღამის“ ერთ ზღაპარს, სადაც მოკლული ბრძენის თავი უპასუხებს ხალიფს შეკითხვებზე.

ვარდომ გულუბრყვილოდ განაცხადა:

— ხმალის ხმარებაც ასეთი უნდა!

პლატონ მოგველაძემ რიხიანად უპასუხა:

— ხმალი განა ყველას უნდა ერტყას! ხმლისა და სატევრის ხმარებას თავისი წესები აქვს. ბევრს ალა-ალა ჰგონია! საქართველოში ხმლისა და სატევრის გარშემო მთელი რიტუალებია შექმნილი.

ამ დროს ბეგლარმა გახურებული დაირა მოიტანა და ბაბოს გადასცა.

ყველა სმენად იქცა:

— ბატონო პლატონ, თქვენ სადღეგრძელო მიირთვით და მე მის შემდეგ დაუკრავ. გარდა ამისა, ერთის პირობით: თუ თქვენც თქვენს ნაწარმოებს წაიკითხავთ, — უთხრა ბაბომ.

— გთხოვთ, ბატონო პლატონ, გთხოვთ! — გაისმა სუფრაზე ყვირილი.

პლატონმა იონას გადახედა. გაიფიქრა: ეხლა მისი სადღეგრძელო უნდა დავლიოთ.

— კეთილი, მე წავიკითხავ ჩემს ნაწარმოებს, — სთქვა პლატონმა, წამოდგა, აზარფეშა აიღო და დაიწყო: — მეგობრებო, ნება მიბოძეთ დავლიო სადღეგრძელო იშვიათი და უცნაური ადამიანისა. ეს გახლავთ ამ კუთხის მამაგე, სულით მდიდარი და ხალხოსანი იონა. ის, რაც მის შესახებ მიფიქრია, ეხლა ლექსის სახით მინდა ვუთხრა!

მზე აჯამეთის ტყის იქით ჩასულიყო. ალისფერი ცის დასავალი აშუქებდა პლატონის სახეს, მსახიობივით დაძაბულს, მის დიდრონსა და შავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებს. თავჩაღენილი იონა, ღრმად სუნთქავდა. უხაროდა: „ასეთი „დიდი ადამიანი და პოეტი“ უძღვნიდა ლექსს. მერე თავი ასწია და პლატონს შეხედა. მოეჩვენა, თითქო პლატონის თვალები შუქს ისვრიან და ეს შუქი აჯამეთის ტყემდე და ალისფერ ცის დასავლამდე აღწევსო. ცოტა ხანს დუმილის შემდეგ პლატონმა დაიწყო:

Sic transit gloria Mundi

იქნებ კვლავ ზიხარ დიდ მუხის ძირზე
და კენკავს შაშვი სუროს და კუნელს!?
დაფიქრებულსა ჭირსა და ლხინზე
მთის მწვერვალები გაწვდიან სურნელს.

სიო თუ ახლავს ხანისწყლის არხებს
და მწვანე ყანა ნელა ქანაობს.
იქნებ ჭალარა შენ თმას კვლავ არხევს
ეს „ხაბარდული“ ქარის მარაო!?

გულის ყაფაზი მაღლა გეწევა
სავსე შუბანის წმინდა ჰაერით,
გიყვარს ვენახი, ვაზი, ლერწები,
კარისმერეთის საქმე საერო.

თითქოს არ იყო დინჯი თამადა,
ისე დადიხარ ხანდახან მუნჯი.
შენ დაარიგე უხვად, თამამად
საღსარებო გულის საუნჯე.

მიფრინავს წლები, ვით ლექსთაწყობა.
ხარ ბერი-კაცი, გულით ჭაბუკი.
გესმის ცხოვრების იდუმალობა
და ჭიდილის დროს მებრძოლთა ბუკი.

დაგყურებს მთები, წინ — დავაკება.
ცისა ტატნობის ლიაა თვალი.
შენ ეხლა ძალგიძს თავშეკავება
და გზათა ხილვა გარდაუვალი.

აჯამეთს რისთვის ზვერავ მაგ თვალით?
ვინ გადირბინა მდინარე ხარბად?
თხაფეხა ლმერთის თუ ჩანს ნაკვალი:
ხითხითით მიდასს განშორდა ალბათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გავიფიქრე: ღირდა თუ არა
სოფლის მიღება სიკვდილის გარდა
და მყის შენს თვალებს გადაუარა
შევარდენივით ღიმილმა მარდათ.

შუბანზე რეშის იდგა თარეში.
ხარხარებს მეხი, როგორც სატანა.
შავ ღრუბელიდან ელვა დაეშვა
და ჩირაღდნებმა დიდხანს გასტანა.

ტყე აჯამეთის ხელუკარები
აიგრუზა და წვება ტოტი ძირს.
შენ სალამს გიძღვნის ეზო-გარემო,
გემშვიდობება, როგორც მეფე ლირს.

შენს ორმაგ სიტყვას სავსეს პამფლეტით
ფარისეველთა ბრბო ვერ გაიგებს.
გესლს და დაცინვას მსგავსად ჰამლეტის
ვერვინ მიხვდება, დაითარიღებს.

ძაგრამ უეცრად გაურევ მართალს
და მაშინ ვიღაც თვალებს მიგასობს.
ეს მე დავიჭერ შენ უცხო აზრთა,
როგორც კოლხელი ქალი იაზონს".

სტუმრებმა ტაშის ცემით გააყრუეს ოტიას ეზო. იონა წამოდგა. პლატონთან მივიდა. თვალცრემლიანმა გადაკოცნა. ამ დროს დაბერებულა ბაბოს დაირამაც, თითქო ათასი ცხენოსანი წამრვიდა ყიჟინით და თქარათქურითო. ეს იყო გმირული მისალმება, თითქო ბრძოლის ველიდან დაბრუნებულს, გამარჯვებულ მხედართმთავარს ეგებებიანო.

ბაბოს აზიდული ჰქონდა წარბები და მოღუნული ცხვირის ფართო ნესტოები არაბული ცხენის მსგავსად დაბერილი. ეჟვნებით მორთულ ფართო დაირას ძალზე შვენოდა ეს ეშხიანი, მხნეობით სავსე ქართული სახე, ჯილის ოდენა, შუქიანი თვალებით დამშვენებული. ლამპის სინათლეზე მის ზარისებრ საყურების თვალმარგალიტს ცეცხლი ეკიდებოდა და ციცინათელასავით ციმციმებდა მისი სახის ირგვლივ. ლამაზი ხელით და მკლავით შემოვლებული დაირა განზე ჰქონდა გაზიდული. საკვირველი იყო, თუ როგორ გამოსცემდნენ ქალის შხვართი თითები ესოდენ მძლავსა და უამრავ ხმას.

სუფრა აიწია ქეიფით. ხალხი აილეწა. პლატონმა შესძახა:

— აუ, დაური, დაური, დაური, ჯარებმა დაურბანდი დაარბიეს!

ბაბომ შესწყვიტა დაირის გრიალი და ლეკურზე გადავიდა. აღტაცებული პლატონი წამოხტა, წრე შემოხაზა, ფეხები გაუსვა და ბაბოს წინ შეჩერდა. მაღალი ქალი წამოიჭრა, დაირა მაღლა აიტაცა, წელი გაზნიქა და ტანის ლამაზი მიმოტანით აგრიალებდა მაღლა აზიდულ დაირას, თანაც წარმტაცად ცეკვავდა. პლატონ მოგველაძე აენთო. საოცარი სისწრაფით უსვამდა ფეხებს. ფეხის წვერებზე დგებოდა. ციბრუტივით ტრიალებდა. ფეხსფეხზე აჯვარებდა, ერთურთს აკვანტებდა, რიტმს ურევდა. ყველაფერს ჰგავდა მისი ცეკვა: ველური ტომების სიმბოლიურ როკვას კოცონის გარშემო, ექსტაზში მოსული ვაკხების შაბაშს, — ყველაფერს რასაც გნებავთ, ხოლო ქართულ ლეკურს კი არა. მიუხედავად ამისა, ცეკვის დასრულებისას პლატონი თავის ადგილზე მივიდა, სუფრას მედიდურად გადახედა და გადასძახა:

— ადექით, ყველამ იცეკვეთ! სცრუობს ის ქართველი, ვინც იძახის ცეკვა არ ვიცო! არც ერთს ტომში არ ცნაურდება ისე ძლიერად დიონისური თავდავიწყება, ექსტაზი და ვაკხური გზნება, როგორც ქართველში!

მერე „დიდი მამულიშვილის“, თავადის, „დინჯი კახელისა“ და „ბრძენი პოლიტიკოსის“, ზემო იმერეთის სტუმრის, ვექილის ესტატე მაყაშვილის სადღეგრძელო დალია. ისევ იგრიალა დაირამ. ისევ დაირხა ლეკური. ეხლა ბაბოს ძმა დათა ყიფიანი გამოვიდა მინდორზე ლამპებით განათებულ ცაცხვის ქვეშ. იგი მაღალი, წითური და მხარბეჭიანი კაცი იყო. წაბლისფერი პატარა ულვაშები შეკრეჭილი ჰქონდა, წვერი გაპარსული. არწივის ფრთებივით გაშალა ხელები. ჩოხის სახელო აიკაპიწა. გაფრინდა. ქორივით დაიწყო ტრიალი და შემდეგ ბაბოს წინაშე დაერჭო, თითქოს არჩეულ მსხვერპლს დაეცა ციდანო. ბაბომ ისევ აიტაცა დაირა. ვაჟს გაექცა. გნოლივით გაგოგმანდა. დათა მიჰყვა. თავი დაუარ: ქალი უკან გამობრუნდა შემკრთალი სახით. ასე რამდენჯერმე დაედევნა დათა. მერე განზე გაექცა, ჩოხის კალთები აიკეცა და შორიდან აყურებინა ტანის ლამაზ როკვას და რხევას, ფეხთა სიმარდეს, ვაჟკაცურ ლაღობას, თითქო ცაში ირაოს აკეთებსო, თავს აწონებს და ხიბლავსო. მერე ისევ გაეშურა ქალისაკენ. დაიმორჩილა იგი და შეხმატკბილებულნი ეხლა ურთიერთს უღიმოდნენ და ისე წარმტაცად სცეკვავდნენ, რომ სუფრაზე ერთსულოვანი და დაუსრულებელი ტაში ატყდა. პლატონის და მაყაშვილთა აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

კალმახი მოიტანეს ქინძ-ძმარში ჩაწყობილი. პლატონმა შეაქო თეთრაწყალის კალმახი. ოტიას თვალები გაუბრწყინდა. პატარა ფევზი შეარჩია. ხელი წაავლო ბოლოში და თავით ხახისაკენ გადაუძახა.

დამსჯელი რაზმის უფროსის, ბაბოს ძმის დათა ყიფიანის სადღეგრძელო დალიეს.

ესტატე მაყაშვილმა სთქვა:

— გისურვებთ გამარჯვებას „საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებთან ბრძოლაში“, მტრებთან, რომელნიც აჯანყებენ ეროვნულ-ჩამორჩენილ და შეუგნებელ ნაწილს თავად-აზნაურთა, წარჩინებულთა, ინტელიგენციის, ჩვენი ქვეყნის „სასიცოცხლო ძალების“ წინააღმდეგ.

იონამ კამათი დაიწყო:

— ფეოდალები, მემამულეები, თავად-აზნაურობა და მათი წიაღიდან გამოსული ინტელიგენტები ვერ ამოსწურავენ ქართველი ხალხის ცნებას. მშრომელი ხალხი, მუშები და გლეხები საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ. ყური უგდოთ იმათაც, რა სურთ მათ და რა აწუხებთ? — მოურავი ბეგლარ სანიკიძე და ტერეზას მოჯამაგირე დომენტი ხვედელიძე, სმენად იქცნენ. დომენტის მოეწონა იონას ნათქვამი. კინაღამ არ დაიძახა: მართალიაო.

იონას სიტყვებმა სუფრა აშალა. ოტია მთვრალი იყო და ცხარობდა:

— რა სურს გლეხებს, შე გამობრიტინებულო, ამდენხანს ვერ შეიტყე? რა სურს და ჩვენი სიკვდილი, სახლკარის დაქცევა, ადგილმამულის წართმევა. მიდი და უგდე ყური! მიდი და მიემხრე მათ! შენ, ჩემო ძმაო, შენი სისულელით მამაპაპისეულ ადგილ-მამულზე უარი განაცხადე. არაფერი არ მოგეძევა.

იონამ უპასუხა:

— რას ილანძღები ოტია? გამობრიტინებულიცა ხარ და კიდეც მეტი! გაიგე რომ გლეხებს თქვენი, მემამულეების ზედმეტი მიწები უნდათ მხოლოდ და ადამიანური ცხოვრება.

— სად მაქვს მე, შე უცხვირპირო, ზედმეტი მიწები? — იწყინა ოტიამ, — მიწა და მამული შენ ხომ არ მოგიცია ჩემთვის, რომ მართმევ?! მიწა ბაბუა ჩემმა და მამა ჩემმა შრომით და ჯაფით შეიძინა. მერე მე უმატე, და უმატე, სხვა ასე თქვენსავით რომ ქეიფობდა და ადგილ-მამულს ყიდდა, მე მაშინ მიწაში ოფლს ვაქცევდი, ვჯახირობდი, ფულს ვაგროვებდი და ადგილ-მამულს ვყიდულობდი.

— თავს ნუ იკატუნებ, ოტია. ასეთ აშკარა სიცრუეს შენ ვინ დაგიჯერებს? შენი შრომა და ჯაფა კაცს არ უნახავს. სახალისოდ თუ გასხლავდი და დამყნიდი ხანდახან ვაზს! — უპასუხა იონამ. დომენტი ხვედელიძემ გადიხარხარა. შეზარხოშებულმა გლეხმა ველარ მოითმინა და წამოიძახა: მართალიაო.

კამათში ბაბო ჩაერია. ოტიას უყვირა:

— შე კაცო, კამათისთვის და ჩხუბისთვის კი არ მოსულა ეს დიდებული საზოგადოება ჩვენსას!..

ბაბოს მხარი დაუჭირეს მისმა ძმამ დათამ და კოწია ჩხეიძემ.

თამადამ კოწიას, სანდროსი და კორნელის სადღეგრძელო ითქვა. რჩებოდა მხოლოდ ბეგლარის, დომენტის და კიდევ რამდენიმე კაცის სადღეგრძელო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ისევ მოიტანეს გახურებული დაირა. ბაბომ ხელთ მიიღო, ჰაერში შეატრიალა. ჯერ მაგრად შემოჰკრა, დააგრიალა. მერე სახეზე აიფარა და წკიპურტის ცემით დოლივით ჩაარაკრაკა. შეანელა. უჩუმრად დაუწყო დაირას ხანგრძლივ და დაჟინებით წკიპურტის ცემა, თითქო ცაცხვის ფოთლებსა და ტოტებზე წვიმის დიდრონი წვეთები სცვივაო. უფრო და უფრო ამძლავრა წკიპურტი ბაბომ და ბოლოს ისე დააგუგუნა, თითქოს ცაცხვს, კაკალს, მუხას, აჯამეთის ტყეს, მთას და რკინით გადაქედილ ოტიას სახლს ხოშკაკალმა გადაუარაო. ოდნავი მიყუჩების შემდეგ ხმა კვლავ გაძლიერდა, მომძლავრდა, აქარიშხალდა. დაირა ისევ მაღლა ილეწა ჰაერში, თითქოს მისი ხმებით მინდორველი, მთა და ბარი, მთელი ქვეყანა ცათამდე აღივსოო. გეგონებოდათ, გახურებული დაირის გრიალი ცის გუმბათს ჩამოანგრევსო. მერე დაეშვა ხმა ციდან, მიწას განერთხო, სადღაც შორს, ხევხევში ჩაწვა და იქ მიიძინა.

ეს მთელი სიმფონია იყო. სტუმრები გაოცებული დარჩნენ.

— ვერ წარმომედგინა, თუ დაირაზე ასეთი ვირტუოზული დაკვრა შეიძლებოდა? შესანიშნავი იყო! — უთხრა აღტაცებით ნინომ.

— მოგეწონა, გენაცვალე? დაირა რა არის, ჩემო ნინო, აი, კარისმერეთში ჩამოვალ და შენ დაკვრას მოვისმენ როიალზე! — უპასუხა ბაბომ.

პლატონი წამოხტა. ხელები დაუკოცნა ბაბოს და ექსპრომტით მიჰმართა:

„დამისხით ისევ ოტიას ღვინო,
კვლავ გააბურეთ, ბაბო, დაური,
ბაბო, უთქვენოთ ვით მოვილხინო?
მე დღეის იქით ვარ აქაური!“

ექსპრომტი ტაშით დააჯილდოვეს. ბაბო ნეტარებისაგან კისკისებდა. განსაკუთრებით დათა ყიფიანს მოეწონა ექსპრომტი. მოეწონა თვით პლატონიც.

თამადამ აზარფეშით დალია რიგს გარეშე, გამეორებით, ბაბოს სადღეგრძელო. სკამი ახლოს მისწია ბაბოსკენ. ეჩურჩულებოდა. ბეგლარი მოიღუშა. ხოლო ოტია გახალისდა. გვერდზე კოწია ჩხეიძე მოისვა. თვალებში მიაჩერდა. წარბები შესტეხა. ჭროლა თვალები ეშმაკურად შეათამაშა. კოწიამ იგრძნო და მოინუსხა. ხარაბუზას მსგავსი გრძელი ულვაშები გაისწორა. მოთეთრო, მარილი და ანთებული თვალები დაატრიალა. მარცხენა თვალის ნახევარი სისხლივით გასწითლებოდა. მელასავით აცმაცურებდა ტუჩებს სუსტი აგებულობის, ტანად წვრილი და კაფანდარა

ჯოწია. გულის ფიცარი ჩავარდნილი ჰქონდა. ოტიამ აბრეშუმიანი ნაზი, ჭალარა წვერი ხელში დაიკავა, კოწიას მუხლი ჰკრა, თავ[illegible] მიიდო და ენის კლიტემდე აღებულ ხახით მიაკივლა: „ბე...ე...[illegible]“ იყო შეძახილი, საკვირველი მიმართვა. პლატონმა და ყველამ ნათლად დაინახეს კალმახით გამაძღარი მოხუცის ენა, ნალექითა და თეთრი ყლარტით დაფარული. გაზნექილი ენა ისე ედო ოტიას ხახაში და ისე აცახცახებდა თითქო ბულბული უსტვენსო, ხოლო თვალები ნეტარებისაგან გაენაბა. კოწია ჩხეიძე დაიგრიხა, დაიმანჭა, წარბები აძგიბა, ერთგული ძაღლივით მიეტმასნა ოტიას, და ხმა-დაბალი ღიღინით დაიწყეს: „ჩაა... რიი...რაა...მა!“ მათ მისდევდათ იონას და წულუკიძის ბანი. ყოველ თქმას ოტია და კოწია ასრულებდნენ თავისებური მეტყველებით, სახის განსაკუთრებული იერით, რომელშიაც ოხუნჯობა, დაცინვა ისმოდა:

„ოთხმოცი წლის ბებია,
რათ არ გათხოვდებია?“

დაცინვა ძლიერდება:

„ჩიხტაკოპი დაიხურე, —
შენაც დაგშვენდებია!“

ოტიას და კოწია ჩხეიძეს სიმღერის დროს ღიმილი არ მოშორებიათ. მაგრამ, მალე სერიოზული ხაზიც დაეტყოთ სახეზე. თითქოს მომღერალნი დარწმუნდნენ, ჩიხტაკოპით დამშვენებული ბებია მათ წინაშე დგასო და შემდეგი ფრაზა: „ჩარირამა, ჩემო ბებია“ ოტიამ და კოწიამ მთელის ტანის რხევით წარმოსთქვეს. წარბაზიდულნი უცქეროდნენ და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ოხუნჯობაში მსახიობებივით. ბებიას ურჩევენ ფერუმარილის წასმას, გათხოვებას, ოტიამ ამოიკვნესა და გაიმღერა:

„ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო.
ჩემო ახლოს მეზობელო“.

შემდეგ თვალები ღიმილით განაბა. სამი თითი, პირჯვრის გამოსახვის დროს რომ იციან, ისე შეაკავშირა, ტუჩებთან საოცნელად მიიტანა, თითქოს არა ჰქონდა გზა ხსნილი ოთხმოცი წლის ბებიის სიყვარულით დამწვარ-დადაგულ ოტიას, და ამოიოხრა:

„უი, შენ რომ ცეცხლი წამიკიდე“...

სიმღერა დასრულდა. ოტიამ გადიხარხარა. ასეთი არტისტული შესრულება ამ საოხუნჯო ხალხური სიმღერისა არასოდეს არ გაუგონია პლატონს:

— ჯერ კიდევ დიდებულად რეკავს თქვენი პირველი, ბატონო ოტია! — უთხრა მან.

— ლომი ხარ, ოტია, ბებერი ლომი! — შესძახა დათა ყიფიანმა.

— რამ დამაბერა, ყმაწვილო? გული მე არ მტკივა და ღვიძლი. ეუბრ სად მაბია, კი არ ვიცი. მე მგონია აგერ, მაქვს, ყმაწვილო! — ასთქა ოტიამ და მარჯვენა ხელის მუშტი მხარზე დაიკრა. ჩაიხითხითა: — ეს ... ამ ცოლიკოურის ღვინოს და კალმახს ნუ მომაკლებთ და პირველს იმისთანას ვიტყვი, ყმაწვილო, რომ შენგან მოწონებულს: სულ ნემსის ყურში გავაძვრენ!

— იმე! ასე თუ გასვეს და გაჭამეს, კი გააძვრენ, შენ ნუ მომიკვდები! — უპასუხა ჩხეიძემ.

ამ დროს ნინოს უცნაური რამ მოეჩვენა: თითქო მიწიდან რაღაც ქმნილებანი აიმართნენო, სახე არ უჩანდათ და ღამეში მარტო ამ ქმნილებების თვალები ანათებდნენ ნაკვერცხალივით. გრძელი ხელები წამოემართნენ ურჩხულებივით სუფრისაკენ. ამას ყიჟინა მოჰყვა.

— არ გაინძრეთ, ხელები ასწიეთ!

ოტიას ეზოს ირგვლივ იგრიალა შაშხანებმა და ნინოს გული წაუვიდა. კორნელიმ სტაცა ხელი და მკერდზე მიიწვინა. რა წამს შაშხანები წამოიმართნენ, ყველამ ხელი ასწია, გაისმა ქალთა კივილი. დათა ყიფიანმა ნაგანი ამოიღო და, ის იყო უნდა ესროლა, მის წინ პირისპირ მდგომ და შაშხანა მომართულ კაცისათვის რომ ბეგლარმა შესძახა:

— არ ისროლო. — მაშინვე ორი კაცი ეცა ყიფიანს უკანიდან. მათ ხელად ჩაბლუჯეს, შეჰკრეს და ნაგანი ააცალეს. ეხლა მთელი ეზო აივსო შეიარაღებული ხალხით. ბაბომ იკივლა, ვეფხვივით გაიჭრა, წრე გაარღვია და ძმას ხელგაშლილი გადაეფარა.

— უკან, არ გაბედოთ, თქვე წამხდრებო! — დასჭექა ვაჟკაცურად.

მომხდურებმა იარაღი აჰყარეს ხელაწეულ ჩხეიძეს, წულუკიძეს და ოტიას.

— ა ბაბა, მიირთვი ეს სმიტი, ამიზა მკლავ? — უთხრა მათ თავზარდაცემულმა და გაოგნებულმა ოტიამ.

ბაბომ ამოაძრო ძმას ქარქაშიდან ხანჯალი, აღმართა და კვლავ ვაჟკაცურის ხმით და თვალების ბრიალით დაიძახა:

— არ მომეკაროთ!

შაშხანიანებმა უკან დაიხიეს. ვერავინ შეჰბედა დიაცს სროლა. ერთმა ჩაბალახახვეულ მომხთურთაგანმა დაიძახა:

— ნუ გეშინიათ, არავის არ მოვკლავთ, ჩვენ ყაჩაღები არა ვართ, ქალებს და ბავშვებს არ ვერჩით!

ამის შემდეგ ძმას აფარებულ ბაბოს ისევ მიჰმართა ბეგლარმა:

— დაწყნარდი, ქალბატონო, მომეცი ხანჯალი.

ბაბომ ხანჯალი გაიქნია:

— ხელი არ ახლოთ ჩემ ძმას, ნაბიჯი არ გადმოადგათ, თორემ შუაზე გაგაპობთ!

მომხდურებმა მოულოდნელად სტაცეს ხელი მაჯაში გადაუგრიხეს და ხანჯალი წაართვეს. მაშინ ბაბო სახლისაკენ გაიქცა, საკარიერ ოთახში შევარდა, კედელს ეცა, მაგრამ ზედ არც ერთი თოფი, ხმალი და ხანჯალი აღარ ეკიდა.

— ძმას მომიკლავენ, არ გავატან! — იკივლა ბაბომ.

ბეგლარმა ხელი მაგრა შემოჰხვია, თვალებში მუდარით ჩაჰხედა. აღარ უშვებდა. ბაბომ შეწუხებული სახე მაღლა ასწია, თავში სტაცა ხელი, გულმკერდზე მიიკრა და მტირალის ხმით უთხრა:

— ბეგლარ, ახლა გამოჩნდება შენი კაცობა, მიშველე, ძმას მომიკლავენ, ჭკუას დავკარგავ!

მერე ისევ ეზოში გამოვარდა. დაბალი და განიერი კაცი იონას ეუბნებოდა:

— ჩვენ გლეხები ვართ, ჩვენ მუშებისა და გლეხების მტრებს ვებრძვით!

წელზე ტყვიებით სავსე ფალასკა ჰქონდა შემოკრული. ჯარისკაცმა იცნო იონა. ჩაბალახი მოიხადა, იონამაც იცნო იგი და როდესაც გაიგო, ოტიას სტუმრების დატუსაღება და წაყვანა გადაუწყვეტიათო, ჯმუხსა და შავწვერიან გლეხს ერმილე ენდელაძეს განუცხადა.

— ესტატე და პლატონი ჩემი სტუმრებია. არაფერ შუაში არიან.

— მაგათ არ ვახლებთ ხელს! — უპასუხა ერმილემ.

ამის შემდეგ ვარდოს და ტერეზას გულს მოეშვათ. დედა სველი ცხვირსახოცით შეეხო ნინოს საფეთქელს და ყურში წასჩურჩულა:

— ნუ გეშინია, ყიფიანს და მის ამხანაგებს იჭერენ, ჩვენ არავინ გვერჩის!

ტერეზამაც გადუსვა თავზე ხელი:

— დაწყნარდი, გენაცვალე!

ნინომ კორნელის თავი გაანება და დედას მიეყრდნო. მაშინ კორნელის ბეჭს ხელი შეახო სახეზე ჩაბალახაფარებულმა ერთმა ჯარისკაცმა და ჩუმად უთხრა:

— კორნელი, ვერ დააწყნარე?

კორნელის გაუკვირდა: საიდან იცის ჩემი სახელიო, თითქო ნაცნობი იყო მისი ხმა. ფეხზე წამოდგა.

— ვინა ხარ? — შეეკითხა. მაგრამ ჯარისკაცმა ხელით ანიშნა: ნუ მეკითხები, არ გიპასუხებო.

ღამის ორი საათი იქნებოდა. კარისმერეთის მხრიდან საშინელი სროლა მოისმა, ისეთი განუწყვეტელი და ხშირი, თითქოს ფრონტია და მთელი დივიზია ისვრისო. ყიფიანი გაფითრდა, ტანთ გააჭროლა, იფიქრა: ჩემს რაზმს ებრძვიანო. ერთბაშად გამოფხიზლდა. მიხვდა შეცდომას, თავისი რაზმი რომ მიატოვა კარისმერეთში და ზედაზენში ამოვიდა საქეიფოდ. წეროეთელის და ფოფხაძის სახე თვალწინ დაუდგა. „ვინ გაიმარჯვებს: ჩე-

მი რაზმი თუ გლეხები? ღმერთო, ჩვენებს გაუმარჯვე!" — ამბობდა გულში ყიფიანი. სროლა გაძლიერდა. ჯარისკაცებმა ყიფიანს, ჩხეიძეს, ბერიძეს ელს წრე შემოარტყეს და ჭიშკრისკენ წაიყვანეს. უკან კვილით ბაბო მოსდევდა. ესტატე, პლატონი და კორნელი ლობესთან იდგნენ და ბჭობდნენ.

ტერეზას მოჯამაგირემ დომენტი ხვედელიძემ რკინის კოლოფი „მონპასიე" გახსნა, თუთუნი გაახვია გაზეთის ქაღალდში და ჩაფიქრებულ სახით განუცხადა იონას:

— სულ ყველა ვიცანი... შორებული არავინ ყოფილა.

— ვინ იყვნენ? — ჰკითხა იონამ.

— ტურიაშვილები, გელაშვილები და აბესაძეები.

კორნელის მყისვე მოაგონდა უცნობის ხმა და ეხლა მიხვდა რომ უცნობი რაჟდენ ტურიაშვილი იყო.

ოტიას მოჯამაგირეები სალომე, ეპრაქსია, დათუა და ერმილე სახლის უკანა აივნის ქვეშ ატუზულიყვნენ და სუფრასთან მჯდომ და გაშეშებულ ოტიას მისჩერებოდნენ. ჩურჩულებდნენ. სალომე შეეკითხა დათუას:

— ასე როგორ მოგვეპარენ? ერთიც არ დეიყეფეს ძაღლებმა!

— იქნებ დეიყეფეს, მარა ბაბოს დაირა და ოტიას ჩარირამა შენ გაგაგონებდა!? — უპასუხა ერმილემ.

სალომე შეეკითხა:

— ბიჭო, ერმილია, სად დეიკარგა ჩვენი ძაღლები? — და სამზადისკენ წავიდა. ხმადაბლა დაიძახა: — ბროლია, კვესია!

სამზადის უკან, ბეღელიდან წკმუტუნი და უილაჯო ყეფა შემოესმა. ჭრაქი წაიღო, ბეღლის კარი გააღო და იყვირა: ბროლია ძლივს იდგა ფეხზე. ბარბაცებდა. მკვდარი კვესია, გელია, ბუკია და ტურია ერთმანეთზე მიგდებულიყვნენ და ენაგადმოგდებულ ხახიდან ქაფი სდიოდათ.

— მოწამლულია! — სთქვა ეპრაქსიამ.

— დედა, ვინ მოწამლა ნეტავი? — უკვირდა სალომეს.

ერმილეს გადახედა.

— მე რა ვიცი! — წაიბურდღულა ბიჭმა.

ძნელი მისახვედრი არ იყო: ძაღლების მოწამლვაში უთუოდ გლეხების ხელი ერია. გლეხები სათიბში ისე უნდა გადასულიყვნენ და მუცელზე ხოხვით ისე მიპპაროდნენ სუფრას, რომ არც ერთ ქრისტიან კაცს და სულდგმულს არ უნდა გაეგო. ამ საქმეში ხელი შეუწყო მათ ოტიას მოჯამაგირემ ერმილემ.

სუფრა აყრილი იყო და სკამები ყირამალა ეყარა. ტერეზა და ვარდო ისევ სუფრასთან ისხდნენ და ნინოს ამშვიდებდნენ. ტერეზას წინ იჯდა გაშტერებული, ღვინითა და შიშით გალენჩებული ოტია, უაზრო თვალებით მისჩერებოდა თავის დას ტერეზას და გაოცებული ხმით ერთსა და იმავეს ამბობდა:

— რა ამბავია, დიდება შენს სახელს, ღმერთო! რა ამბავია?

კარისმერეთიდან კვლავ ისმოდა თოფის სროლის ხმა. ცოტა ხნის შემდეგ ოტიას ეზო მეზობლებით გაივსო, მთელი სოფელი შეკრებილა. ოტია ადგილიდან არ იძროდა. უაზრო თვალები გასშტერებოდა, დამბლა დაცემულივით ძლივს აბრუნებდა ენას და ისევ ერთსადა იმავეს ეკითხებოდა თავშეყრილ ხალხს:

— რა ამბავია, დიდება შენს სახელს, ღმერთო! რა ამბავია?

ბაბო

„სარწმუნეობას გაფიცებ,
მაგ ძუძუ-მკერდი დამალე:
მოგჩერებივარ, მიტყდება
გულის წუხილი მალ-მალე!"
ხალხური.

ბაბო რატომღაც აჩქარებდა სტუმრებს: დაწექითო. მაყაშვილები წინა ოთახში მოათავსა. პლატონი, იონა, სტეფანე და კორნელი დარბაზში, ხოლო ტერეზა კი საძინებელ ოთახში. ლოგინზე დაგორებული ოტია ხვრინავდა და ხროტინებდა. ხანდახან გაუგებარ სიტყვებს ლუღლუღებდა, შფოთავდა, თითქო მაჯლაჯუნა აწვება და ჰხუთავსო. ოთახში პატარა ლამპა ბჟუტავდა იისფერი აბაჟურით. ბაბომ უჩუმრად გაიარა, მოჩვენებასავით.

— დაწექი, რას დაბორიალობ ამ ნაშუალამევს!? — უთხრა ტერეზამ.

ბაბო ლოგინზე დაჯდა. გახდა დაიწყო. ოტიამ ამძლავრა ხროტინი. ბუნთქვის დროს ხორხი ხრიალებდა და ხანაც სალამურივით უსტვენდა ცხვირის მილი.

— ეს საცოდავი იხრჩობა და მაინც არ იშლის ღვინის სმას!—ამოოხრა ტერეზამ.

— მას უკან რაც ყაზახებმა ადგილმამული წაგვართვეს და შეგვავიწროეს, — ეს უბედური სულ გალოთდა! — უპასუხა ბაბომ.

— არა, გენაცვალე, მაგ ვერ აიტანს ასეთ დამცირებას. გული გაუსკდება და მოკვდება. რა ცხოვრებას მოესწარი, შე საცოდავო ჩემო ძამია ამ სიბერეში?!—სწუხდა ტერეზა.

ბაბო დაწვა და წუწუნს მოჰყვა:

— ყველაფერს წაგვართმევენ. თითივით გაგვაშიშვლებენ. სულ იმას ვტიროდი: ერთი შვილი რატომ არ გაგვიჩნდა, რატომ მოგვიძულა და დაგვწყევლა ასე იესო მაცხოვარმა მეთქი. იესო მაცხოვარმა დასწყევლოს ამ ყაჩაღების თავი და ტანი. რათ მინდოდა თურმე შვილი და ძირი, თუ აღარაფერს შეგვარჩენდენ?!

— არც იმათ შერჩებათ, ბაბო, ეს წუთისოფელი. გამოჩნდება ჩვენი პატრონი! — უპასუხა ტერეზამ.

— როდის გამოჩნდება, გენაცვალე? ხომ ხედავ დღითიდღე ... დება ცხოვრება? ვაი, ჩემს უბედურ დღეს! იქნებ ძმა ცოცხალი ველარც კი ვნახო!—ტერეზამ ანუგეშა ატირებული რძალი: დათას მოკვლას ვერ გაბედავენ გლეხებიო.

დუმილი ჩამოვარდა. ბოლოს ბაბომ საიდუმლო გაუმხილა ტერეზას:

— რა დროს მოგვიღეს ბოლო? მაშინ როდესაც ცა გამეხსნა და მგონი მისმინა უფალმა!

— რა ცა გაგეხსნა?

— ორსულად უნდა ვიყო! ორი თვეა არ მჭივრებია რიგი. გულის რევა მაქვს...

— ღმერთო შენი სახელის ჭირიმე, მოგვხედე და უშვილოდ ნუ გარდაავლინებ უბედურსა და დაჩაგრულ ჩემ ძმას!—სთქვა ტერეზამ პირჯვრის სახვით და დაწვრილებით გამოჰკითხა რძალს ორსულობის ამბავი. ღვინით გალეშილი ოტია კვლავ ხვრინავდა, ხროტინებდა და ისე იგუდებოდა, თითქო მთავარი სული ამოსდისო.

ამ დროს უკანა აივანზე ქურდულად ამოვიდა ოტიას მოურავი ბეგლარი. დარაჯივით აეტუზა სვეტს. ჰღელავდა. ყურს უგდებდა უბრალო ჩქამის ხმასაც კი. ხანგამოშვებით თავს მოიქცევდა ქალბატონის საძინებელ ოთახისკენ. მისი დიდრონი თვალები ფოცხვერის თვალებივით ანათებდნენ ბნელ ღამეში და როს იქვე, სათიბთან ალმართულ მთის ზემოდ ლრუბელი გაირღვა და ვარსკვლავებმა უმატეს ციმციმს, აივანზე ჩაბალახით თავწაკრული უცნობი გამოვიდა. ხელი ჩასჭიდა ბეგლარმა, ნაბადი მოჰხურა და კიბე ჩაირბინა. წელზე ხანჯალი შემოარტყა და მაუზერი დაჰკიდა. თქარათქურით გაიარეს მდინარე და აჯამეთის ტყეში შეეიდნენ. სძინავდა სოფელს. მამლის ყივილი ისმოდა მხოლოდ. ბნელი ღამე იყო. გარღვეულ ლრუბლებში აქაიქ ჩანდა ცა და თითო, ორორი ვარსკვლავი შუქს ვერა ჰფენდა დედამიწას. ცხენები შეკრთნენ. ფრუტუნი იწყეს. მხედრებს შორიდან ცხენის ფეხის ხმა და უცხო ლაპარაკი შემოესმათ. შესდგნენ და რევოლვერებზე დაიდვეს ხელი. გზაზე რვა ცხენოსანი მოდიოდა, ორი დაწინაურებული. როდესაც გზის მოსახვევში შეჩერებულ ცხენოსნებს გაუსწორდნენ, უმალვე იშიშვლეს რევოლვერები. ერთმა დაიძახა: „ხელები ასწიეთო!“ ბეგლარმა იცნო გალაქტიონ გელაშვილი და უპასუხა:

— ბეგლარი ვარ, გალაქტიონ, გამარჯვება!

გალაქტიონი, რაჟდენი და გიორგი აბესაძე ახლოს მივიდნენ. ნაბადწამოსხმულის ვინაობა გამოჰკითხეს. მაშინვე ვაჟკაცური ხმა გაისმა:

— ადგილმამული წაიღეთ! რაც დაგვრჩა იმის წართმევასაც გვიპირებთ! გოჯასპირ არ წაგვართმევდა ჩვენ ადგილმამულს შენ და რაჟდენს რომ არ შეგეგულიანებიათ. რადგან ძალაზეა საქმე, რა [illegible] მერითვით, ბატონო. ძმის მოკვლას რაღას მერჩით, ეს არის [illegible] გალაქტიონ?

გალაქტიონმა და რაჟდენმა იცვნეს ოტია მდივნის მეუღლე ბაბო. წუმწუმით გაანათეს. მხედარს ჩაბალახით ჰქონდა წაკრული თავი. შავი სატინის ხალათი, ლურჯი ფერის დიაგანალის შალვარი და აზიური ჩექმები ეცვა. ვაჟკაცურად იჯდა ცხენზე წარბაზიდული და შავ თვალებს აბრიალებდა. გალაქტიონი გაოცდა და უპასუხა:

— თქვენმა ძმამ აგვაწიოკა, ჩამოხრჩობას გვიპირებდა. ჩვენ კი დავიჭირეთ, ციხეში ჩავსვით და არავის არ მოუკვლავს.

— დღეს თუ არა, ხვალ მოკლავთ!

— ხვალ ქუთაისში გავგზავნით!

— რას ერჩით დათას? ის კაცი ჯარში მსახურობს და მთავრობის ბრძანებას ასრულებს! დათა თქვენთან გაზრდილი არაა? როდის იყო იგი თქვენი მტერი? თქვე დალოცვილებო, თქვენც ხომ ჯარში მსახურობდით? თქვენც ხომ მთავრობის ბრძანებას ასრულებდით?

— ჩვენ ამ მთავრობის ბრძანებას არ ვასრულებთ, ხომ ხედავთ?—უპასუხა გალაქტიონმა.

— როგორც გერჩიოთ, ჩემ ძმას მე უნდა გავყვე ქუთაისამდე. თქვენ ვერ გენდობით.

— ჩვენ ყაჩაღები არა ვართ და უდანაშაულო კაცის კვლა არ გვაინტერესებს.—უპასუხა რაჟდენმა.

— თუ ცოცხალია უნდა მაჩვენოთ დათა ამაღამ!

— ამაღამ არ გაჩვენებენ!

— მკვდარი ყოფილა! — შეჰკივლა ბაბომ. ცხენი მოსზიდა, მათრახი გადაჰკრა და კარისმერეთისკენ გაჰკურცხლა.

— ქალი კი არა ქაჯია ეს ოჯახქორი, — მიაძახა გალაქტიონმა. ბეგლარი შეეკითხა:

— გალაქტიონ, მართალი მითხარი, ცოცხალია მაგის ძმა? თუ ცოცხალია, რას უპირებთ?

— ცოტა ხანს ციხეში ვაყუყუტებთ და თუ დაგვაყენეს, მერე ქუთაისში გადავგზავნით.

— დამსჯელი რაზმი დაგნებდათ?

— დაგვნებდა. იარაღი ავყარეთ და ეკლესიის გალავანში შევრეკეთ!— ბეგლარს თავზარი დაეცა, მაგრამ გულში გაიფიქრა: „ამ ხალხს ძალაუფლება ჩაუგდია ხელში და ახლა თავი უნდა მოუქონო, თორემ მეც მომდგებიან და შემავიწროებენო“. ამიტომ თანაგრძნობით ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მსხვერპლი არ ყოფილა?

— იმათ მხარეზე ორია მკვდარი და ოთხიც დაჭრილი. ჩვენ კი ერთი შოგვიკლეს და ორიც მსუბუქად დაგვიჭრეს.

— ვინ მოჰკლეს?

— ლავროსი თოიძე!

— ბესარიონის შვილი ჭიპიკონადან?

— დიახ! — უპასუხა რაჟდენმა.

— უი, ჩემს თავს! — შესძახა, ცხენი ასკუპა და ჭენებით გაზოუდგა ქალბატონს მოურავი.

— თავი გამაგდებიე, ბეგლარი თუ არ ყვარობდეს ბაბოს! — სთქვა გალაქტიონმა.

— ის ბუბრუცუნა ოტია, აბა რას მოერევა ამ ანგეშივით ქალს? — უპასუხა რაჟდენმა.

ბეგლარი დაეწია ქალბატონს აჯამეთის ტყის ბოლოს, კარისმერეთის აღმართზე ურმის ჭრიალი შემოესმათ. გლეხებს დამსჯელ რაზმთან შეტაყების დროს მოკლული ლავროსი თოიძე მიჰქონდათ ჭიპიკონაში. ნაკვერცხალივით ანათებდნენ ვიწრო გზაზე დაფეთებულ ხარების თვალები, თითქო გრძნობდნენ თუ რა უბედურებით სავსე ტვირთი მიაქვთ ამ ბნელ ღამით სოფელშიო. მოხუცმა მეურმემ შეაჩერა ხარები. აყირავებულ და იღლიაში გამოჩრილ უღელს დააწვა; ასე გაჰხედა უცნობ ცხენოსნებს, ბეგლარმა რაღაც უთხრა ქალბატონს. ქალმა დახედა ნაბადდახურულ გლეხის გვამს და უპასუხა:

— ჯერ სადაა. მაგათი სინსილაც კი...

— რაო?—გაოცებით შეეკითხა მეურმე მეზობელ გლეხს.

— თქვენი სინსილაც კი გაწყდესო!—უპასუხა მან.

სდუმდა აჯამეთის შავათ მინაბდული ტყე. მხოლოდ ჭოტის ხმა ისმოდა შორს მწუხარებით სავსე და როცა ცხენთა ფლოქვების თქარუნი მისწყდა,—მეურმე ერთბაშად მიხვდა უცნობ მხედარის სიტყვებს. „თქვენი სინსილაც და ფესვიც ამოვარდესო“—დაიძახა და მაგრად გადაუჭირა სახრე ხარებს. კვლავ აჭრიალდა ურმის შეხურებული და გაუსაპნავი ღერძი აღმართზე.

მთის ძირას, კარისმერეთში აქაიქ სანთლები ბჟუტავდა. შორს რკინიგზის სადგურის ლამპები ციმციმებდნენ. მთაში, კარისმერეთზე და წინ გაშლილ ველზეც ისეთი ღამე და მყუდროება მოფენილიყო, თითქო სამუდამო ბნელეთი და ძილი შეჰყრია ქვეყანასო.

კარისმერეთის ბაზარში არ შესულან ცხენოსნები: ეშინოდათ აჯანყებულ რაზმის დარაჯებისა, კირილე მეძმარიაშვილის ბინაზე ლამპა ენთო და ეზოსთან შეჩერდნენ. კირილე მეძმარიაშვილის და ნიკო გოცირიძის ბრძანების გარეშე არავინ აჩვენებდა ბაბოს ამაღამ ძმას.

„მასპინძელო“—დაიძახა ბეგლარმა. მაშინვე გაიღო კარები და ივანზე კირილე და რამდენიმე გლეხი გამოვიდა. კირილემ იცნო ოტია ბდიგნის მოურავი და შინ მიიპატიჟა. ბეგლარი და ბაბო ეზოში [illegible]—ცხენები სარზე მიაბეს. ოთახიდან ყაყანი ისმოდა. ყველანი [illegible]ულნ, მაგრამ კამათი არ შეუწყვეტნიათ. მაღალი, გოლიათი, ჩოხაში გამოწყობილი შუახნის კაცი, ყოფილი ოფიცერი ნოდარ ყიფიანი ედავებოდა სტუდენტს ნიკო გოცირიძეს, კირილე მეძმარიაშვილს, ჭიათურის მუშას მიხა ფრუიძეს, შეიარაღებულ გლეხს ფარნა კვესიტაძეს და სხვებს:

— მილიცია მოხსენით, მთავრობის რაზმი დაატუსაღეთ, ყველგან თქვენი ხალხი ჩააყენეთ, კარგი და პატიოსანი, მაგრამ რაღას ერჩით თავად-აზნაურობას, ბრუნდსა და მართალს რომ აპატიმრებთ და სახლკარს უნგრევთ?

— რატომ ბრუნდსა და მართალს! რისთვის არავინ ახლო ხელი იონას? განა მისი მამა აზნაური არ იყო? მაგრამ იონა ხალხოსანია, სოფლის დამხმარე და მისგან გლეხების შევიწროვება არავის ახსოვს,—უპასუხა კირილემ. იონას ხსენებაზე ნოდარ ყიფიანი აიმრიზა:

— თავქარიანი, გაქუცული იონა რა მოსატანია?! თქვენ კარგად იცით: მე რევოლუციონერი ვარ, იონაზე და არავიზე ნაკლები არ მიბრძოლია, 1905 წელს საკუთარი რაზმით გამოვედი. კაზაკებს შევეტაკე. წერეთელს და აბაშიძეს სახლკარი გადავუწვი, ჩემი რაზმი მთელ ამ კუთხეს თავზარს სცემდა, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში, როდესაც თვითმპყრობელობა დაემხო, რუსეთს თავი დავაღწიეთ და თავისუფალი, დამოუკიდებელი ქვეყანა გავხდით, — ეხლანდელი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა, ანარქია და ავანტიურაა!

— ავანტიურა გერმანელი ოკუპანტების შემოყვანაა და მათზე ჩვენი ქვეყნის გაყიდვა!—უპასუხა შელანძღულ-ქურთუკში გამოწყობილმა მუშამ მიხა ფრუიძემ.

— საქართველოს გაყიდვის უფლებას არავინ მისცემს ვინმეს. ის არ სჯობია გერმანიის მოკავშირე ქვეყანა გავხდეთ?—ჰღელავდა ყიფიანი.

— რა სჯობია უთქვენოდაც კარგათ ვიცით! საქართველოს დღევანდელი დამოუკიდებლობა ეს არის: გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკურ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.—მოიგონა ლენინის ნათქვამი მიხა ფრუიძემ.

— მაშ, სად არის ხსნა?

— ხსნა საბჭოთა ხელისუფლებაშია!—რუსეთისა და საქართველოს მშრომელი ხალხის კავშირში! — მოუჭრა ფრუიძემ.

— საბჭოთა ხელისუფლება ჩვენმა ხალხმა არ მიიღო, ხომ ხედავთ ყველგან დამარცხება განიცადეთ. ახლა ზემოიმერეთის ეს ჩვენი პატარა კუთხე გინდათ აოხრდეს და სისხლით მოირწყას?!—აფრთხილებდა ადგილობრივ ბოლშევიკურ ორგანიზაციის წევრებს თავადი ნოდარ ყიფიანი.

— მაშ რას გვიბრძანებთ?—შეეკითხა ნიკო გოცირიძე.

— შეურიგდეთ უნდა მთავრობას და ხელი აიღოთ ოჯაუბაზე!— ურჩევდა ყიფიანი.

— ჩვენ ბრძოლაზე ხელს არ ავიღებთ!—განუცხადა მ[illegible].

— თქვენზე ნაკლები რევოლუციონერი და სოციალისტი, ყმაწვილებო, მე არც წინად ვიყავი და არც ახლა გახლავარ. დაფიქრდით! მე შუამავალი ვარ და მასეთ პასუხს მთავრობას ვერ გადავცემ!—მოიკატუნა თავი ყიფიანმა.

ფრუიძემ დაცინვად მიიღო ოფიცერის, თავადის სიტყვები. გაბრაზდა და მიახალა:

— მიბრძანდით მენშევიკების მოციქულო, რენეგატო სოციალისტ-რევოლუციონერო და მოახსენეთ თქვენს მთავრობას ჩვენი გადაწყვეტილება. მიგვიფურთხებია მასეთ მთავრობისათვის.

ნოდარ ყიფიანმა დაბალი ბუხრის ქუდი აიღო და ლეკსავით გადახოზრილ თავზე დაიხურა. ლაგამის ქაჩვისაგან ნიჩაფივით ფართო ხელით ჩამოიფხატა. იარაღს ნაჩვევი, დაძაგრული ხელი შეახო ხანჯლის ტარს, თვალმა ბოროტად გაანათა ოთახში, ზეაღიმართა გოლიათი, მხარბეჭიანი კაცი და შეჰკივლა:

— რა თავს იგდებ, ბიჭო,შენ?

— თავადო, ბიჭები თქვენს ოჯახში მოიკითხეთ!—არ დაერიდა მიხა ფრუიძე, ტანმორჩილი, შაგვრემანი, ჯერ უწვერული მუშა და მაზუთით გაზუნზულ ქურთუკის ჯიბეში ჩაიყო ხელი.

— ხმა ჩაიწყვიტე!—დაიღრიალა ნადირივით ნოდარ ყიფიანმა და ხანჯალი ნახევრამდე ამოსწია ,ქარქაშიდან, მაგრამ რაზმელმა ფარნა კვესიტაძემ მოასწრო მიხა ფრუიძეს: შაშხანა გადმოიღო, შუბლზე მიაყენა ბრაზმორეულ თავადს და წაახდინა. ყიფიანმა ვეება ხელის გული დაჰკრა ოთხი თითის სიფართე სატევარის ტარს და იარაღი ქარქაშში ჩააგო. რაზმელი ყოფილი ჯარისკაცი იყო და რევოლუციის შემდეგ არა ერთი და ორი ოფიცრის განიარაღება უნახავს ფრონტზე, და თავადაც მონაწილეობა მიუღია ოფიცრებისათვის იარაღისა და ჩინმენდლების აყრაში. შეიბღალა თავადის ყიფიანის თავმოყვარეობა გლეხის შაშხანის წინაშე. არ ელოდა თუ ამას გაუბედავდნენ. სისხლი მოაწვა ყელში. „ამ ცინგლიანმა გლეხმა გამაფუჭა ამდენ ხალხში ველურ დივიზიის ყოფილი ოფიცერი, განთქმული ცხენოსანი და ხმალში სწორუპოვარი ვაჟკაცი. რა დროს მოვესწარი, წინად ჩემი სიტყვა კანონად იყო მიჩნეული ამ მაზრაშიო“—გაიფიქრა. ბრაზით დააბრიალა თვალები და ყვირილი დაიწყო:

— თქვენ აქ რა გინდათ, თქვენ ხომ ქართველები არა ხართ. წადით მოსკოვში, რუსეთში წადით! — მუქარით დასტოვა კირილე მეძმარიაშვილის ბინა: „ბოლოს ინანებთო“.

ჩოჩქოლი მისწყდა. ბაბომ ნაბადი გადაიგდო. ნიკოს წინ წასდგა და სიტყვასიტყვით მოახსენა განცვიფრებულ კრებას ის რაც გალატიონ გელაშვილს უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადგილმამული წაიღეთ! რაც დაგვრჩა იმის წართმევასაც გვიბირებთ! რადგან ძალაზეა საქმე,—რა გაეწყობა: მიირთვით, ბატონო! ძმის მოკვლას რაღას მერჩით, ეს არის კაცობა!—მოურავი მიეშველა ქალბატონს! ამ ქალს მისი ძმა დათა რომ ანახოთ, თქვენ რა დაგიშავდებათო!? დიდი მუდარის შემდეგ, ბაბოს ანახვეს ძმა და მერე იგი ზედაზენისკენ გაეშურა.

ცხენს მიაჩქარებდა. გარიჟრაჟამდე უნდა მისულიყო ზედაზენში, რადგან ადრე იცოდა ადგომა ოტიამ და ბაბო, რომ შინ არ დახვედროდა, ერთ ალიაქოთს ასტეხდა. ბაბოს დაცხა. ნაბადი მოიხადა და ბეგლარს გადასცა. ცისკარმა მოატანა. ბეგლარმა დაინახა ბაბოს ალანძული ლოყები. შალვარში და სატინის ხალათში გამოკრული ავსილი ტანი და ლაჯები, ძლიერ შვენოდა ქალს მამაკაცის ტანსაცმელი და ცხენზე ჯდომა. აფუებული მკერდი, მსუქანი ბარძაყები, შხვართი და წვრილი თითები, ნაზი და თეთრი ხელები ამხელდნენ მასში ქალობას. სხვაფრივ კი ჩაბალახით თავწაკრული მხედარი კარგ პატივით ჩასუქებულ, ახოვან თავადს ჰგავდა. მოურავი თვალს არ აშორებდა: აღელვებდა ქალბატონის წელის თანაბარი რხევა, მკერდზე აზიდული ძუძუები და ბრიალა თვალთა მეფური ხედვა. ტანში ჟრუანტელი უვლიდა. ხახა უშრებოდა და ქვასავით მაგარი კუნთები ეკუმშებოდნენ. მერე მთელს სხეულში უცნაურმა სითბომ დაჰკრა. სახსრები გაულბა. გახურდა მოურავი. მის უნაგირს ცეცხლი მოედო. ბაბომ ხალათის საყელო შეიხსნა. ცხვირსახოცით მოიწმინდა ოფლი სახეზე, გედივით მოღერებულ კისერსა და ჩასუქებულ გულმკერდზე.

— გაოფლიანდი, ქალბატონო!?—შეეკითხა მოურავი და მკლავი რკინის სალტესავით შემოარტყა წელზე. იღლიის ქვემოდ დაადო ტუჩი და გაფანჩულ ულვაშებით ლიტინი დაუწყო. რეტი დაესხა, კისრის ძარღვები თოკივით დაეჭიმნენ. ისევ იელვეს აჯამეთის ტყეში ფოცხვერის მსგავსმა მომწვანო თვალებმა. ხახა დაადო მოურავმა. გრძელსა და მსუნაგ გბილებში ჩაიგდო ქალბატონის ჩვილი და უნაზესი ხორცი. ტყეში ჟინმორეული ქალის კისკისი გაისმა. ულაყმა დაიჭიხვინა და ფაფარში სწვდა ბაბოს ფაშატს.

— არავინ დაგვინახოს ამ შუა გზაზე, შე გადარეულო! უთხრა მოურავს ქალბატონმა. თვალები დაუბრიალა, მკერდში ალერსით ჩაჰკრა მუშტი და განზე გაიწია. მოურავი ისევ მიეჭრა ქალთან და უთხრა:

— სარწმუნოებას გაფიცებ, ქალბატონო, ეს ძუძუ-მკერდი დამალეჭკუას დავკარგავ. — ბაბომ ენებიანად გადიხარხარა და უპასუხა:

— რაფერ დავმალო, ბეგლარ?—მერე ისეთი ეშხიანი თვალებით გადახედა, რომ მოურავმა მართლადაც კინალამ არ დაკარგა ჭკუა. ცხენიდან

ჩამოხტა, ქალს აღვირი გამოსტაცა ხელიდან და შუა ტყეში შეიყვანა. აყალო მიწასავით მოწითალო, დაბზარული და ბანჯგვლიანი ხელები მოჰკიდა წელში და ამოდენა ქალი ხურჯინივით გადმოიღო ცხენიდან. მერე ცხენები დააბა. ძირს, ტოტებ-დაზნექილ მუხის ქვეშ ნაბადი გაშალა და ბაბოს გვერდით მიუჯდა. ღადარიდან აღებული კეცივით მხულვარე ხელის გული შეახო. ცეცხლი მოეკიდა ქალს მკერდზე. თავი გადასწია, თვალები მინაბა. ნეტარებით სავსე ღიმილმა გახსნა მისი ტუჩები და კბილებმა აჯამეთის ტყის იქით მოახლოვებულ ცისკარივით გაანათეს. მოურავი დააცქერდა. სულმთლად აიმღვრა კაკალი კაცი. ღონიერი მკლავებით მკერდთან მიიზიდა და ტუჩებზე დააკვდა ქალს, თითქო ღვინით სავსე სველსა და მოსევადებულ კულას დაეწაფაო. უბის ქვეშ შეაცურა კოჟრიანი ხელის გული და გამთბარ მუცელზე გადაუსვა ფეხმძიმე ქალს. ბაბო გაიზმორა. ზანგელა გველივით დაკლაკნა მკვრივი ტანი ნაბადზე და ტყეში დამკვიდრებული სიჩუმე დაარღვია ქალის აჩქარებულმა სუნთქვამ. ულაყი შემოტრიალდა, ბრიალა თვალები მიანათა და ხვიხვინი დაიწყო. მუხის შტოზე განაბული თრითინა შეკრთა, ისკუპა და ფოთლებმა ხმაურით ჩამოჰყარეს შხაპუნა წვიმის წვეთების ოდენა ცვარი.

ალ. ჯეიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

ოთახი

ერთმან ქუა აიღო და მკერდსა
იცემდა და მეორემან ჯიქა აიღო
და ნებისამებრ სმიდა.

„ვისრამიანი“

წურბელები

ბურთაობიდან დაბრუნებულმა ქიშვარდიმ ფრთხილად შეაღო კარი-პატრუქ-ჩაწეული ლამფის შუქი ვერ ერეოდა ოთახის სიბნელეს. ცოტა ხანს შესდგა, რომ თვალი სიბნელეს შესჩვეოდა და არაფერს დასჯახებოდა. შემდეგ ფეხაკრეფით გაემართა თავის საწოლისაკენ. გორგალივით დახვეული საბურთაო ტანსაცმელი ტაბურეტზე დასდო. ლოგინზე ჩამოჯდა და მხოლოდ მაშინა მიმოიხედა.

ფარნას ჩვეულებისამებრ პირგაღებულს ეძინა და ბირდაბირის ხმაზე ხვრინავდა. ხვრენა ხან მიწყდებოდა, ხან ახალის ძალით იფეთქებდა. შემდეგ დედის საწოლისკენ გაიხედა. ბინდ-ბუნდში შენიშნა, თითქოს ესმამ თავი წამოსწია ბალიშიდან, ხმა კი არ ამოუღია. ქიშვარდიმ ლოგინის წინ, პატარა რგვალ მაგიდაზე, თვალი მოჰკრა მისთვის გამზადებულ ვახშამს, წაბლის ფურცელში გამომცხვარ კვერს და საცივს. ისეთ გუნებაზე იყო, რომ „დანა პირს ვერ გაუხსნიდა“. მადაც არაფრისა ჰქონდა. მაგრამ ვახშამს რომ თვალი მოჰკრა, გაეხარდა. კარგად ენიშნა. თავი და ფილტვი,—ქიშვარდის სანუკვარი ნაჭრები შემოენახა დედას შვილისთვის. ჩანს, ,ქარიშხალმა ჩაიარა, გაიფიქრა მან.

ქიშვარდი დედის საყვედურს ერიდებოდა და ამიტომ შემოვიდა ასე ფრთხილად. ის აფიქრებდა, რომ ფარნა ადრე წამოვიდა ბურთაობიდან, მაშინვე, როგორც კი სამხთოელებმა ლელო გაიტანეს. შესაძლოა მამას ესმასთვის არ უამბნია, რომ ლელო ქიშვარდიმ გაიტანა. შვილის ქებაზე ძუნწი იყო გულჩათხრობილი ფარნა. მაგრამ იმას კი უთუოდ „მიახარებდა“ ცოლს, რომ მისმა შვილმა ბონდოს კოჭი ამოუგდო. ქიშვარდი მოელოდა, რომ დედა ჩივილითა და მოთქმით შეხვდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მიქენი, ნენა, რაზე დაამარცხე ბონდო, რა გაუძლებს ახლა პაპულას საყვედურებს და წყევლასო.

ქიშვარდის შიში უსაფუძვლო არ იყო.

დედამ მართლაც შენიშნა შვილის ლანდი, კარებში, რომ შემოვიდა. ბონდოს კოჭის ღრძობის ამბავიც მოუტანეს ესმას ჯერ კიდევ ფარნას დაბრუნებამდე.

ესმას გული ულონდებოდა, როცა წარმოიდგენდა პუპულას ჩამოსვლას თბილისიდან. გადაგვასახლებს აქედანო, ფიქრობდა გულშეწუხებული. გულში ცეცხლი უტრიალებდა. ჯერ კიდევ დიდი რიდი და შიში, ჰქონდა ესმას ერთ დროს სიმდიდრით გალაღებული ნათესავისა.

თავისთავად ლელო-ბურთში კოჭის ღრძობა დიდი არაფერი იყო. ბურთაობაში მოთამაშეს მკლავი ან ფეხიც რომ მოეტეხა, ამაზე არავინ არ ასტეხდა დავიდარობას. მაგრამ პუპულა „მისი ჭირიმე ბონდოსთვის“ ხელის დაკარებასაც არავის შეარჩენდა, ქვეყანას შესძრავდა. ყველაზე უფრო კი ის აშინებდა ესმას, რომ პუპულა ქიშვარდის „ხატზე და ჯვარზე“ გადასცემდა.

დიდი მორწმუნე არ იყო ესმა, მაგრამ რატომღაც საშინლად ეშინოდა პუპულას წყევლისა.

— ერთს ხელებს რომ გაშლის პუპულა და „ღმერთო და შენი სახელის ჭირიმეო“, იტყვის და ხელის გულებს ერთმანეთზე გაუსვამს, ასე მოსპე, მოსპე, მოასინსილეო, წამოიწყებს, ჩიტს ჩამოაგდებს ხიდან, — იტყოდა ხოლმე ესმა.

ამიტომ ასე დაზაფრული შეჰყურებდა ახლა ქიშვარდის, რომელიც დასაწოლად ემზადებოდა. აღარაფერი უთხრა შვილს, შეეშინდა, ქმარს არ გაღვიძებოდა და ჩხუბი არ აეტეხა ქიშვარდისათვის.

ქიშვარდიმ ხალათი გაიხადა და ისე გაიშოტა ლოგინზე. უცებ რაღაცამ გულშემზარავად დაიჭყივლა. ქიშვარდი ზეზე წამოვარდა. ვერ შეამჩნია ხვადი, ლოგინზე რკალივით მოხრილს რომ ეძინა. წამოიწია და მიმოიხედა, ხომ არავის გამოეღვიძაო. ყველას ეძინა. ისევ წამოწვა ლოგინზე. კატა კი ისევ მის სასთუმალთან მიცოცდა, რკალივით მოიხარა და თხილისაგან გაკეთებული საბზუალას ხმაზე ულრუტუნებდა ყურში. ქიშვარდიმ სცადა კატის ჩაგდება ლოგინიდან, მაგრამ ვერაფერს გახდა. რამდენჯერაც არ ჰკრავდა ხელს, კატა კლანჭებით დაებღაუჭებოდა საბანს და ისევ ამოდიოდა ზევით. ქიშვარდიმ თავი გაანება. კატამ ერთი გაიზმორა სასთუმალთან, კვლავ მოიკალათა და ნებიერად ღრუტუნი გაბა.

ქიშვარდიმ თვალი მოხუჭა, დაღლილობა კისერს სწყვეტდა. მაგრამ ღღევანდელი ლელო-ბურთის შთაბეჭდილებები ძილს უფრთხობდნენ. ჯერ ბონდოს ყოფა აფიქრებდა, მძიმედ ხომ არ დაშავდაო, შინამდის როგორ მიიყვანესო.

ამ საგონებელს თან ერთოდა უფრო მწვავე ფიქრი ციცინოზე.

თავისთავს არ უტყდება ქიშვარდი, თორემ უფრო მეტად [illegible]ვებს, მიაცილა თუ არა ციცინომ ბონდო შინამდის. [illegible] რომ გუშინდელმა დღემ კიდევ უფრო დააშორა მას ციცინო. ისევ ცოცხლად დაუდგა თვალწინ ბონდოს დაცემის სურათი, და ამ მოგონებამ გული მოუშხამა.

როგორი მზრუნველობა გამოიჩინა მაშინ ციცინომ დამარცხებულ ბონდოსადმი. რა ნაზად უწმენდდა დაკაწრულ ლოყიდან სისხლს, უსწორებდა შუბლზე ჩამოშლილ ქოჩორს. ქიშვარდი კი ისე პირქუშად მიატოვა. არც კი მიუხედავს მისკენ, ისე აედევნა სახლში მიმავალ ბონდოს. ნეტავი ახლა სად არის ციცინო?

— წუხელ იქნებ სულაც სიპიტოსას დარჩა? პუპულა ხომ თბილისშია. აბა ვინ უვლის ბონდოს? იქნებ პელო და მარგალიტაც იქ არიან, მათ ხომ გუშინ ერთად გააცილეს კოჭნაღრძობი ბონდო... ნეტავი აგრე იყოს! — გაიფიქრა მან.

ამ აზრმა ცოტათი დაამშვიდა და ისე მოეჭიდა მას, როგორც წყალწაღებული ხავსს. ქიშვარდი ცდილობს თავისი თავი დაარწმუნოს, რომ პელო და მარგალიტაც იქ არიან.

ამ ფიქრებმა მთლად ააფორიაქეს ქიშვარდი. მაგიდაზე დადგმული ლამფაც თვალელბში უჭიატებს და გულს უწუხებს.

ლამფას ზურგი შეუქცია და ბუხრისკენ მიაბრუნა. მაგრამ ძილი მაინც არ მოდიოდა. ლამფას ცუდი სუნი ასდიოდა. ეტყობოდა, ნავთი ამოწურულიყო. ლამფის ალი ხან იფეთქებდა და უცნაურ ლანდებს აათამაშებდა კედელზე, ხან ისევ მიიბეჟუტებოდა. და ამ უცნაურ შუქზე ქიშვარდი ისე ათვალიერებდა ოთახს, თითქოს პირველად ხედავდა იქაურობას.

დაბალჭერიანი ფიცრულის კედლები ომის დროინდელი დასურათებული გაზეთებით იყო აჭრელებული. ბუხრის თაროზე ალებასტრის თეთრი მტრედები იდგა. კამოდის თავზე კერამიკის თავკანტურა კატა იყო დაყუნცული. იატაკის ოდნავ შერხევაზე კატა თითქოს ნიშნის მოგებით თავის ქნევას იწყებდა.

ბუხრის ხელმარცხნივ ომში დაღუპული უფროსი ძმის ილაკრიას სურათი ეკიდა. ლამფის მილეულ შუქზე ჩვეულებრივზე უფრო გამორეცხილად ეჩვენებოდა ქიშვარდის კარპატების ხნარცვებში დაღუპული ძმის სახე. იერი სრულიად დაჰკარგოდა სახეს. ბრტყელი იყო და უცნაურად ჩამოგრძელებული, სახის ნაკვეთებიც თითქოს ზედ მიგლესიაო. ჩრდილსა და ნათელს ვერ არჩევდა მასზე თვალი. თითქოს გლოვის ბურუსით არის მოცულიო სახე, და მხოლოდ მელნით ჩახატული თვალები გამოიყურებოდნენ ღრმა ფოსოებიდან დაშტერებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნეტავ მარტო ამ საღამოს გამოიყურებიან ასე ნაღვლიანად ეს თვალები, თუ მუდამ ასეთები იყვნენ?

ალბათ, ყოველთვის ასე გაცრეცილად, ულიმღამოდ მოსჩანდა ცუდი ფოტოგრაფის მიერ გადიდებული სურათიდან უფროსი ძმის სახე და აღარ იყო ამ ქვეყნად ერთდროს კისკასი ილაკრია, რომ სისხლი და ხორცი ჩაეგა ამ გაცრეცილი სურათისათვის. სურათის ჩარჩო ირიბად ეკიდა. ესეც მხოლოდ ახლა შენიშნა ქიშვარდიმ.

— ჩამოვარდნაზეა, — გაიფიქრა და შეშფოთდა.

ამ სურათის ჩარჩო ციცინოს და ქიშვარდის რომანის მესაიდუილე იყო. აქ ინახავდა ქიშვარდი ციცინოს წერილებს.

ახლა ქიშვარდის შეეშინდა, ჩარჩო არ ჩამოვარდეს, წერილები არ ჩამოცვივდეს და ხელში არავის არ ჩაუვარდესო. იდაყვზე დაყრდნობილი ფრთხილად წამოდგა ზეზე. ტანი ისე დაიჭირა ჰაერში, საწოლს ჭრაჭუნი არ დაეწყო. იცოდა, დედა წამოიძახებდა: რა დაგემართა, ნენა რატომ არ გძინავსო.

ფეხაკრეფით მივიდა სურათთან და ჩარჩოს გასწორება სცადა. მაგრამ უხერხული მოძრაობის დროს ხელი წერილების დასტას მოხვდა და ფარატინა ფურცლები იატაკზე მიმოიფანტნენ. ქიშვარდიმ სურათის ჩარჩოს გასწორებას თავი ანება, წერილები აკრიფა და ისევ თავის საწოლისკენ წავიდა. ფრთხილად ავიდა ტახტზე და წერილებს ფურცვლა დაუწყო. არეულია აქ ციცინოსი და მისი წერილები. გაახსენდა ქიშვარდის, რა გზით დაიბრუნა ციცინოსთვის მიწერილი წერილები და სირცხვილის ალმური მოადგა სახეზე.

როცა ბონდო ბათომიდან დაბრუნდა, ქიშვარდის გული გაუხეთქა ქიონიას ნაუბარმა, ბონდო მთელ დღეებს ციცინოსას აღამებსო. იმედი გადაიწყვიტა მაშინ სრულიად ქიშვარდიმ. პირველი აზრი, რომელიც მას დაებადა, წერილების უკან დაბრუნება იყო. ეფიქრებოდა, ენამწარე ბონდოს არ ჩაუვარდეს ხელში ჩემი წერილები და მთელ სოფელში ყბად-ასაღები არ გავხდეო. ციცინოს უმცროსი ძმა ბაქურია „შეასახელა“, — ჩემი წერილები მიშოვნე როგორმეო.

ბაქურიამ კი ზედმეტი ერთგულება გამოიჩინა. ერთ მშვენიერ დღეს ციცინოს მთელ მიმოწერას მოხვია ხელი და ქიშვარდის მოურბენია. აქ სხვა წერილებთან ერთად ქიშვარდის წერილებიც იყო. მაშინ ისე შეკრთა, რომ ვერ გაბედა მათი გადაკითხვა და ჩარჩოს უკან დამალა. მას აქეთ სულ იმის ფიქრში იყო, როგორ დაებრუნებია ციცინოსათვის ეს წერილები. ახლა კი მბჟუტავი ლამფა კვლავ თავისკენ მიაბრუნა, და ნაღვლიანად ფურცლავდა, თავის რომანის ამ უიღბლო მატიანეს.

„მორეული ტრფობით, უსაზღვრო აღტაცებით გაგებებ წერილობით სალამს, გისურვებ რკინისებურ ნებისყოფას, წინდახედულ ნაბიჯებით მსვლელობას, რომელიც ყველაზე წინ სდგას პირადად თქვენს და სულ-

მთლად ქალის ცხოვრებაში", — იწყებოდა ჩვეულებრივი სატრფიალო ჩუქურთმებით წერილი.

„ახლა იმედი მაქვს, ჩემს ამბავს იკითხავთ, მე ვარ. როგორც გაგიგონიათ სტამბოლის კაჟი".

ქიშვარდიმ ნაღვლიანად გაიღიმა, კაჟი კი არა ამჟამად დარდისგან ცვილივით დარბილებული იყო.

მეორე წერილიც ასე იწყებოდა:

„ჭიღებ კალამს და გისურვებ იმას, რაც გსურდეს ამ ქვეყანაზე. ქალი ისეთი რამ არის, რომ სულ პატარა ნიავია საკმარისი, რომ მის ცხოვრებას ელფერი შეუცვალოს, ყოველივე ამის თავდასაცავათ მიგაკუთნებთ რკინისებურ ნებისყოფას, წინდახედული ნაბიჯებით მსვლელობას, ცხოვრებაში ას პროცენტიანს... ახლა იმედი მაქვს, რომ ჩემს ამბავს იკითხავ, მე ვარ და ვიყავი როგორც გაგიგონია მოსკოვის კაჟი, მაგრამ ეს ძალიან მაღონებს, რომ შენი ამბავი არ ვიცი. ისე რომ ვთქვათ, ჯანმრთელობით ძალიან კარგად ვარ, მხოლოდ ცოტა გულის სისუსტეს ვგრძნობ. ეს რის ბრალია, არ ვიცი. სხვა სალაპარაკო ბევრი მაქვს შენთან მნიშვნელოვან საკითხებზე, მაგრამ იმას რა იტყვის. არ ვიცი, ასეთი პატარა წერილი კი არა, გაზეთი არის საჭირო. ჩვენს შორის ჯერ არაფერი თქმულა, მაგრამ არ ვიცი, ჩემი საქმე როგორ წავა, როგორ გამიჭრის ბედი და ილბალი. დანიელა ამბობს, რაიონში აგროტექნიკოსების კურსები იხსნებაო და იქ უნდა წახვიდეო, თან წასვლა მინდა და თანაც გული აქეთ მრჩება, შენ მიხვდები რატომ. ჩემთვის ჯერ პირველი მაისი არ ყოფილა და როდის გათენდება, არ ვიცი. აბა შენ იცი, თუ მეტყვი, როდის იქნება ჩვენი პირველი მაისი. მეტს არაფერს მოგწერ, მხოლოდ იყავი კარგად, პასუხს მოველი გულისძგერით, ახლა მშვიდობით, კიდევ მშვ. მშვ. ახლა მშვ. კიდევ მშვ.

შენი ქვესკნელამდე, კუბოს კარამდე.

„ქიშვარდი".

და ამ დაუსრულებელ გამომშვიდობაზე ლამფაში ნავთიც ამოიწურა. ძლივსღა ბჟუტავდა. რულმორეული თვალივით მილეულიყო. ერთი სულთმობრძავივით ამოისუნთქა და ჩაქრა. ოთახში წყვდიადი გამეფდა. ისედაც გულშეწუხებულს დამწვარი პატრუქის სუნმა სული შეუხუთა. აივანზე გამოსვლა არჩია დასაძინებლად, მაგრამ ლოგინის გატანა ეძნელებოდა, არ უნდოდა ხმაურობა აეტეხა. ამიტომ წერილები იღლიაში ამოიდო. ხალათს ხელი დაავლო, გვერდით მდგომ ტახტიდან ქურდულად ჭილოფი ჩამოიღო და კარები გამოაღო. ესმამ კვლავ წამოსწია თავი ბალიშიდან. შვილის ლანდს მოჰკრა თვალი, ფეხაკრეფით რომ გავიდა კარებში, მაგრამ არაფერი უთხრა.

ქიშვარდიმ მოაჯირთან გაფინა ჭილოფი; წამოწვა, ხელები თავქვეშ შემოიდო და კრიალა ცის გუმბათს მიაშტერდა. ბაკმოვლებული მთვარე

მაღლა ასულიყო და ვერცხლის ბლონდში ხვევდა არემარეს. მაგრამ ბოლმამოწოლილ ქიშვარდის ყველაფერი შავბნელად ეჩვენებოდა ამ კაშკაშა ღამეში. შორს ცაში, თითქოს მთვარეზე მაღლა, ფარიზდებულიყვნენ ფარატინა ღრუბლები. ისინი მტრედების დაჭრილ ფრთებად ეჩვენებოდა ქიშვარდის. საიდანღაც გულშემაღონებლად იძახდა ჭოტი და მის ხმაზე დედის ნაღვლიანი სიმღერა აგონდება ქიშვარდის, ბავშვობაში გაგონილი: „სიკვდილმა ჩამოიარა, არავინ დახვდა შინაო“.

— რა უცხოთ მოფოლაქებულია ცა, — ფიქრობს ქიშვარდი. — თითქოს ვიღაც გულუხვ მთესველს თვალმარგალიტი მოუბნევია ამ მუქ ლაჟვარდზე. მაგრამ რა დაკარგულად მოსჩანან უძირო ცის გუმბათზე ეს წვრილი ვარსკვლავები. რა გულგრილნი არიან ისინი ადამიანის ბედისადმი. ზოგი ისე მილეულად ციმციმებს, თითქოს სინათლის წყარო ამოსწურვიაო. მხოლოდ მარიხი დგას თვალდაჭყეტილი საყორნიის მთის თავზე, გგონია, თვალხილულად იზრდება და შწიფე ნაყოფივით ლამობს ცის გუმბათიდან მოწყვეტასო.

რატომღაც გულს უტოკებს ქიშვარდის ამ მნათობის ცქერა. რაღაც ნაღვლიან სიხარულსა გვრის. მარიხივით კაფია შუქით გაანათა მის ცხოვრებაში ციცინომ. ახლა კი მისი ოცნების ციდან მოწყვეტას აპირებს. მომდურებულივით მიიბრუნა სახე მარიხისაგან. თავისი საყვარელი ვარსკვლავთა გუნდი, ხომლი მოსძებნა. საოცარია, რომ ის სხვა მნათობებივით სამყაროს უსაზღვროებაში უთვისტომოდ დაკარგული არ მოსჩანს. რაღაც ადამიანურია ამ რვილში, თითქოს შორ სავალს გასდგომიან მგზავრებიო. საამო მასლაათით მიემართებიან სამყაროს გზით. მათი მომზირალი ქიშვარდი ისეთ მარტოობას აღარ გრძნობს.

დიდხანს მისდევდა ქიშვარდი თვალით ხომლის სვლას და ფარატინა ღრუბლების მოძრაობას. ცის ხაღის ჭვრეტამ თითქოს გამოუნელა მწვავე ფიქრები. ისევ წერილებს მიუბრუნდა, ისევ გადაშალა წერილების კონა. ახლა ეუეუნას ბარათი მოხვდა ხელში ციცინოსადმი ბათომიდამ მოწერილი.

— რა ქნა ამ წყეულმა ბაქურიამ, ვისი წერილები არ მოიტანა აქ! — სასოწარკვეთილებით გაიფიქრა მან.

ძილი თვალს არ ეკარებოდა და მთვარის შუქზე ისევ წერილის კითხვას შეუდგა. ეს წერილი მასაც შეეხებოდა.

„სალამი, დაიკო ციცინო!

იმ დროს. როცა ყველაფერს სიხარულის ელფერი ახასიათებს და ყველა თავის საკეთილდღეოთ ბრძოლობს, ამ დროს მეც ნაღვლიანი მარტო ვზიგარ ჩემთვის, ჩემს წარსულზე ვფიქრობ, მომავალს ვნსაზღვრავ და გული სიმწრით მევსება, რისთვის დავრჩი ასეთი უბედური მეთქი, რატომ დამირჩა ასეთი ბედი თქვა, და ფიქრის შემდეგ ვიღაცის ნელი კარის კაკუნი ისმის, ვაღებ კარს და წერილს მაძლევენ ხელში. ჩემდა უნებლი-

ვათ რაღაც სიხარული დამეტყო. წავიკითხე და ძალიან გამახარა შენმა წერილმა და მოწერილმა ამბებმა, სადაც სრული დარწმუნებული ვარ, რომ ჩემთვის კარგი გსურს, მაგრამ რომ იწერები, კაკო გავიცანიო და მამიას ცხრას სჯობიაო, ეს, ჩემო დაია, კარგობაზე არ არის დამოკიდებული. ცავ, მის მაგერი ნეტა ჩემთვის გაჩნდება ვინმე? აბა ხომ იცი, თქმულია, უკეთესის უკეთესი არ დაილევაო. შენ ქიშვარდზე უკეთესს ვინმესაც შეიძლება გადაეყარო სადმე და აბა წაყევი მას. რაღა მას ჩააფრინდი... მაგრამ მგონი ბევრ კარგ ბიჭზე უკეთესი ქიშვარდი იყო შენს თვალში და მიტომ აფასებ, ასე რომ, ჩემო ცოგანო გოგო, მეც მას ვაფასებ და მიყვარს, თვარა იცოცხლე მაზე უკეთესები იმდენი არიან, შენ შენ კაკოს და მამიას ორთავეს წააჯობებს, მაგრამ მე მაინც ჩემი გლახა მამია მირჩევნია. მარა რა ვქნა, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი, დაქცეული წყალი არ აიხვეტება...“

შემდეგი წერილი ვიღაც ვაჟისა იყო, უფრო ატაცებული სტილით დაწერილი.

— ალბათ, ალეგროზე თუ მისწერეს ციცინოს, — გაიფიქრა ქიშვარდმ.

ხელი ძნელი გასარჩევი იყო და ქიშვარდი ნაწყვეტ-ნაწყვეტად კითხულობდა.

„...როგორც მე თქვენ მიცნობთ ფიზიონომიურად და ანალოგიურათ. რამდენიმე დროთა მომენტში თავს ვგრძნობ უბედურად... რამოდენიმე წინადადებაში გამოგიხატავთ გასაგები ენით: თუ არ ვცდები, ორი გული, რომელიც გაჟღერებულია არაჩვეულებრივი მაგნეტზმით, და — არა მარტო ლითონები სხვა სულიერიც კი შეიძლება მიიზიდოს, და აგრე ძლიერ დამაგნიტებული გული ვერ ითმეის შეუხვედრელობას, აქვს სურვილი თავისივე მგზნებარე მაგნეტიზმთან იყოს და იხილოს მისი ხილვა. იმედია მომიტევებთ და სიყვარულის ფართო მასის გარეშე არ დამტოვებთ. საყინულეში ყინული გათავდა, წერილის წერაც დამთავრდა, მაგრამ ჩემი გული ცხელი რჩება, როგორც ღუმელი, ისე კარგად და კარგად.

თქვენი ს. ვ.... დ“.

დიდხანს ფურცლავდა წერილს ქიშვარდი. ბოლოს დაღლილობამ თავისი გაიტანა ოდნავ ჩასთვლიმა, რაღაც ბურუსში გაეხვია, მაგრამ ეს არც ძილი იყო და არც ფხიზლობა. დღეს ღამეს გადაება. დღევანდელი ბურთაობის შფოთი ახლაც არ ასვენებს. ამ ძილფხიზლობაში ეჩვენება, ვითომ ისევ ლელო-ბურთის თამაშს განაგრძობს. ბურთი ლელოსკენ მიაქვს, აი იმ ადგილს მოაღწია, სადაც გუშინ ბონდო დაეწია. ლელომდე მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი დარჩა. საცაა გაიტანს ლელოს. მაგრამ უცებ რაღაც ძალამ შებორკა. ისე დაუმძიმდა ფეხები, თითქოს ძარღვებში ტყვია ჩაუსხესო. ბრაზი ახრჩობს, მაგრამ ფეხი ვერ მოუცვლია. მდევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები კი საცაა დაეწევიან. ერთი საშინლად გაიწია და გამოელვიძა. ოფლად გალვრილიყო. ფეხი გაბრუჟებოდა. გვერდი შიცვალა.

ისევ ჩასთვლიმა და ისევ ამ წყეულ ძილფხიზლობის [illegible] ვია. როგორც კი თვალი მილულა, ეზმანა, ვითომ ისევ ლელოსკენ გარბის, მაგრამ რატომღაც ლელოს ზღუდეს გასცდა და შეუჩერებლად გაექანა სიპიტოს სახლისკენ... რაღაც უჩვეულო ძალას გრძნობს ტანში, თითქოს ქარი ჩაუდგა მუხლებშიო. აი მოსწყდა კიდეც დედამიწას. ზევით და ზევით მიექანება. ღობეებს გადასცდა, ხეების კენწეროების თავზე მიჰქრის. სიპიტოს სახლს უახლოვდება. ციცინო და ბონდო აივანზე სხედან. ნიავი ციცინოს აბრეშუმის ხილაბანდს აფრიალებს, სახლის სვეტს ახვევს. ქალს თავი ბონდოს მკერდისთვის მიუყრდენია, ქიშვარდისაც ულიმის. ამ ღიმილით გამხნევებული მიჰქრის ქიშვარდი წინ. უნდა აივანს ჩაუქროლოს, ბონდოს მკლავებიდან ციცინო გამოსტაცოს, მაგრამ ის უცნაური ძალა, დედამიწას რომ ააცილა, შეჩერების საშუალებას არ აძლევს, წინ მიაქანებს. აი აივანს გაუსწორდა. უნდა ხელი მოხვიოს ციცინოს, მაგრამ ბონდომ ცბიერად გაიღიმა და ციცინო თავისკენ მიიზიდა. ქიშვარდის ხელი ვერ მისწვდა ციცინოს მკლავს, მარტო თავშალი შერჩა ხელში.

კვლავ მაღლა და მაღლა მიიწევს, საყორნიის მწვერვალისაკენ. უკან მისდევს ბონდოს ხარხარი. ამ სრბოლაში მთის თხემს შეელეწა და იქ დარჩა მარტო, ღამის წყვდიადში. მარიხიც უცებ ჩაქრა.

ისევ გამოელვიძა. დალეწილი ზეზე წამოდგა. ამ ზმანებამ ისე გაუფუჭა გუნება, თითქოს ყველაფერი ცხადლივ მომხდარიყოს.

— დანამდვილებით მაინც გავიგო, სად არის ახლა ციცინო, გაქეჟილს გატეხილი სჯობიაო, — გაიფიქრა მან და ამ ფიქრმა თითქოს აიტაცა.

კიბე ჩაირბინა. უსაზმნოდ გაიარა ეზო, ალაგეზე გადაეშვა. ქურდული ძუნწულით გასწია სიპიტოს სახლისკენ. შარაზე გაგრძელებული თავისივე ლანდი აედევნა და შეაკრთო. უცხო ვინმედ მოეჩვენა.

რა უნდა სთქვას, ვინმე რომ შეეფეთოს გზაში? გაუელვა უცებ თავში. რა საბაბი უნდა მოიგონოს, რა უნდა უპასუხოს? თითქოს ვალდებული იყოს ყველას აუხსნას, საით გარბის ასე გახელებული. იგონებს და ვერაფერი მოუგონია. გარბის, შესდგება და დააყურებს: ეჩვენება თითქოს მთელი სოფელი ფეხზე დგას და მას უთვალთვალებს, მის ფეხის ხმას უგდებს ყურს. სოფელს კი ღრმა ძილით სძინავს, ჩქამი არსაიდან ისმის. მხოლოდ საკუთარი ლანდი მისდევს მოთვალთვალესავით.

სიპიტოს ეზოს მიუახლოვდა და უცებ შეკრთა.

რა უბედურება იქნება, ახლა ჭიშკარი რომ გაიღოს და ციცინო, პელო და მარგალიტა გამოვიდნენ შარაზე. ხომ თავი მოეჭრება ქიშვარ-

დის, ხომ მიწა გაუსკდება სირცხვილისაგან. ამ ფიქრმა სულ დააბნია. ისე ჩაურბინა სიპიტოს ეზოს, რომ შეჩერებაც ვერ მოახერხა. ქუჩაში ულად გახდა ოდას. ოდა ჩაბნელებული იყო. ახლა სხვა ფიქრმა გასტეხა, იქნებ სულ მარტონი არიან ციცინო და ბონდო. ორღობით მოუხვია და სიბრილით წამოვიდა შინისაკენ. დაოსებული დაბრუნდა. ახლა აივანზედაც ვეღარ მოისვენა. ეზოში ჩაიტანა ჭილოფი. დადიოდა გულშეწუხებული, თითქოს საფარს ეძებსო. ვერსად იპოვა მყუდრო ადგილი. დიდი კაკლის ძირში მიეგდო.

ასწლოვან კაკალს ტოტები ძირს დაეხარა, თითქოს ისინიც ქიშვარდისებრ ფიქრების სიმძიმით დადრეკილანო. მიწიდან ამოსულ ძირზე მისდო თავი. კაკლის ფოთლები პირისახეს ეხებოდნენ, ქიშვარდი უსაზმნოდ სრესდა კაკლის ფოთლებს. მათი მომწარო ძელქიანი სურნელება თავბრუს ახვევდა.

ასე იწვა დიდხანს გარინდებული. ბაკმოვლებული მთვარე მაღლა ავიდა. ხომლმაც ცის სხვენს მიაღწია. ქარმა იმძლავრა. ზღვის ტატნობზე დაყრდნობილი ღრუბლები აიშალნენ და გაიისფრდნენ. ბაკმოვლებულ მთვარესთან ამოსული თეთრი მტრედების ფრთები ერთმანეთს გადაეჭდნენ, დამუქდნენ და შხუილით წამოვიდნენ დედამიწისაკენ. დედამიწაც თითქოს ზე ავიდა და დამძიმებული ცა ფარდასავით დაეშვა დაბლა. რამდენიმე წუთის წინ მოკრიალებული ცა სამზადისის გამურულ სხვენს დაემსგავსა. პირველი წვეთები ტყლაშუნით დაეცა კაკლის ჟვერს. თქორი იწყებოდა, მაგრამ ქიშვარდის ადგომის თავიც აღარა ჰქონდა. თითქოს კუნთები მოჰკვეთიაო. მსხვილი წვეთები კი უტყლაშუნებდნენ კაკლის ფოთლებს. ხე ტოტებს იბღერტავდა და შურდულის ქვასავით მოქნეული მსხვილი წვეთები ხალათში ატანს ქიშვარდის.

მალე ცამ ღრუბელი გადაიყარა. განთიადმაც მოატანა.

მზე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ მისი პირველი სხივი უკვე საყორნიის წვერზე თამაშობდა. ღლის ნათელით დამფრთხალი ვარსკვლავები მიიმალნენ.

მხოლოდ მარიხი შერჩა გავარდისფრებულ ცის თაღს. და ქიშვარდისაც შერჩა მწვავე ფიქრები ციცინოს შესახებ. ლოდივით აწვა გულს ეს ფიქრები და არ იცოდა, რა გზით მოეშორებინა. ისეთი აუტანელი იყო ეს გრძნობა, როგორც თვალის წვა, როცა უცხო რამ სხეული ჩავარდება შიგ. თვალის შელოცვა მოაგონდა ქიშვარდის, ესმამ რომ იცოდა.

როცა ქიშვარდი ხეხილს გოროხს შესტყორცნიდა და უკან წამოსული ნაფშხვენები თვალში ჩაუვარდებოდა და აუწვავდა, გამწარებული ბავშვი თვალების სრესით და ღრიალით დედასთან მიირბენდა. დედა თვალზე ხელს დაადებდა და შეულოცავდა:

— იაგუნდის მარანშია მოციქული ჭამად იჯდა.

პეტრემ ჰკითხა პავლესაო, რატომ არ სჭამ პურსაო.

ლოდი მაწევს გულსაო, გადაუსვამ ხელსაო, გადავაგდებ ქვლდესაო.

და შეუბერავდა თვალებზე. ბავშვი გაოცებული უგლეზელ-ყურეზელ-დის ბუტბუტს, და სანამ შელოცვა დასრულდებოდა, გოროხის ნაფშვნი ცრემლში გაიხსნებოდა და ბავშვებსაც თვალი დაუამდებოდა.

ახლაც მწვავე ტკივილი უღონებს გულს. ახლაც ისევე უსასოა, როგორც მაშინ. რატომ არ შეუძლიან ახლაც მიირბინოს დედასთან მის ჩამომჭკნარ ძუძუებში თავი ჩარგოს და თავისი სიმძიმილი შესჩივლოს. უთხრას, ლოდი მაწევს გულზეო.

ეხ, დედას თავისი სადარდელიც ეყოფა, ისედაც გამშრალია ომში დაღუპულ შვილებზე ტლოვით და მოთქმით. აბა, ვის უთხრას? მარტოდმარტო არის თავის სიმძიმილთან. ვის გაანდოს თავისი გულის წუხილი, ვის შესჩივლოს? სილოვანმა მოაგონდა. სილოვანა სიყრმის მეგობარია, თანშეზრდილი, კარგი გულისაა, ამხანაგისთვის წყალში გადავარდება. მაგრამ ცოტა მქისეა სილოვანა. აგდებით იცის „გრძნობების“ შესახებ ლაპარაკი. აბა ვის უნდა უთხრას? სხვა უფრო მახლობელი მეგობარი არა ჰყავს. რა ქნას? სადმე მაინც უნდა წავიდეს, თორემ ეხლა საცაა დედა ადგება და საყვედურის ცრემლით აევსება თვალი, დაიწყებს მოთქმას:

— ნენა, რა გვიქენი აგი, რა გაუძლებს ახლა პუპულას წყევლას, გადაგვასახლებს აქედან.

ამ ფიქრებში გათენდა კიდეც. თემშარაზე გაისმა ურმის ჭრიალი, ბორბლის ქვიდან ქვაზე გადაგორება. ქიშვარდი თემშარაზე ვავიდა. მაინც სილოვანასას წასვლა გადასწყვიტა. სილოვანა სიპიტოს კარის მეზობელია და ქიშვარდის იმედი აქვს, რომ მისგან გაიგებს ციცინოს და ბონდოს ამბებს.

არ უნდა ვინმე შეხვდეს. თემშარიდან გადაუხვია. საცალფეხო ბილიკით გაემართა. ბილიკი ყოფილ სიპიტოსეულ მამულზე, ნაციხვარზე, გადადიოდა.

ფერდის ზედა მხარეზე ხეხილი იყო გაშენებული, ხოლო ღელის პირები შქერით და ეკლით დაბურული თხემლებით იყო დაფარული. ღელის მეორე მხარეს კოლექტივის ჩაი იწყებოდა. მზის პირველი სხივი უკვე ნაციხვრის კორტოს ეთამაშებოდა, მაგრამ ღელის პირები ჯერ ისევ ჩაბნელებული იყო.

უცებ რაღაც მტვრევისა და ლაწანის ხმა მოისმა. ეს ხმაური ჩაბნელებულ ღელიდან მოდიოდა. ქიშვარდიმ ფერდობი ჩაირბინა, გადაიხედა, საქონელი ხომ არ ჩასულა კოლექტივის ჩაიშიო. შენიშნა, ვილაც კაცი ღელესთან გავლებულ მესერს არღვევდა. შქერის ბუჩქები უშლიდნენ კარგად დანახვას. ქვევით ჩაინაცვლა. სიპიტო იცნო. აკაციის ხის მე-

სერს არღვევდა. მაგრამ ეს არა გავდა მის ჩვეულებრივ მუშაობას. ისე ჰგლეჯდა მესერს ეკლიან მავთულებიდან, თითქოს ხანძრიდან გადასარჩენიაო. გამძვინვარებულ დათვს ჰგავდა სიპიტო: კი არ [illegible] ძახტოდა.

ქიშვარდი განცვიფრებული შესცქეროდა. რა გააფთრებით მოჰგლიჯა სიპიტომ მესრის ერთი ფენა მავთულიანად და მესრის გამოხსნას შეუდგა. მავთულს კი არ აშორებდა, გლეჯდა. ეტყობოდა ჩქარობდა.

მესერს გაწიწმატებით ისროდა ღელისაკენ, რომელსაც საურმე გზა ჩაუდიოდა. ბოძებს ფერდობზე აგორებდა, ბოძები ხმაურით და ლაწანით მიგორავდნენ ჩირგვებში.

— რას ღვრიალებს ასე უთენია, რა ბუზარა შეჯდომია?

ვერ გაიგო ქიშვარდიმ, თუ რატომ არღვევდა ასეთის გააფთრებით მესერს სიპიტო, რომელიც ახლა მუხის მსხვილ ბოძს ჩასჭიდებოდა, ანჯღრევდა, მაგრამ ვერ ამოეღო. ბოძს ძირში მიაფურთხა, რა მაგრად დამისვია ეს ოჯახდაქცეულიო. — მისი ამოგდება რომ ვერ მოახერხა. ისევ მესერს მიუბრუნდა, კეტი გადაუდო, მოგლიჯა და ჭილოფივით განზე გაათრია.

— შენს მკვდარს და ცოცხალს! — შეაგინა ვიღაცას გამწარებულმა, — მავთულის ეკალი შესობოდა და სისხლიან თითს იწუწნიდა. ქიშვარდი მაშინვე მიხვდა, ვის „მკვდარსა და ცოცხალს“ აგინებდა სიპიტო.

სილოვანას უკურთხებსო, გაიფიქრა, და მყის თვალწინ დაუდგა სიპიტოს და სილოვანას შეჯახების სცენა.

სოფსაბჭოს წინ სამღვთოელო გიჟი კოსანდილა, სიპიტო, პუპულა და ალვასი დგანან. დევგმირივით, წამოსდგომია თავზე ტანმორჩილ სიპიტოს თმააბრუძგვნილი თვალებარეული კოსანდილა. სახე მოპარსული აქვს. მხოლოდ ნიკაპს ქვევით კისერი გამხმარი გვიმრისფერი წვერით აქვს შებურდული (კისრის მოპარსვას არ ენდობოდა კოსანდილა დალაქს, ეშინოდა, ყელი არ გამომჭრასო). მხარზე გადაფხრეწილი ხალათიდან ჩაჟანგებული ძარღვიანი მკლავები მოუჩანს.

— მაგის კვიჭიჭაზე ბლოტიალით შემომეფხრიწა ბლუზა-შარვალი, მაგან კი უნომრო სამმანეთიანი მომცა, — ყვიროდა გიჟი.

გარდა ამისა, კოსანდილა ორ მანეთს უჩიოდა სიპიტოს, პანტის დაბღერტის ქირაში რომ დააკლო.

მუშაობაში ოთხ კაცს უტოლდებოდა კოსანდილა, თავისი შრომის ფასი კი არ იცოდა. ყველაფერზე სტანდარტული ქირა ჰქონდა დაწესებული. წისქვილზე საფქვავის წაღება იქნებოდა, შეშის დაპობა, ბჟოლის დასხეპვა თუ ყანის გამარგვლა, ყველაფერში ერთთავად ხუთ მანეთს მოითხოვდა — არც მეტს, არც ნაკლებს. სიპიტომ კი პანტის დაბღერტაში და-

პირებული ხუთ მანეთიანის მაგიერ სამ-მანეთიანი შეატყუა, ისიც „ნომერ მოგლეჯილი“, რომელიც კოოპერატივშიაც კი არ მიიღეს.

— მაგას ჰგონია, ასე ადვილად მომიშორებს ახლა — ყვიროდა კოსანდილა. — საფლავში ჩავდევ ჩემს ხუთ მანეთს, საფლავში!

— მერე რაზე მორეკე, ბიჭო, კვიჭიჭა კოლექტივის მამულში? — შეეკითხა სოფსაბჭოს თავმჯდომარე.

კოსანდრილამ უაზროდ დააბრიალა თვალები:

— რეიზა არ მოვრეკავდი ახლა, რა მქონდა ზორი, ხუთი მანეთი დამპირდა ქირად, თუ თქვენ მომცემთ ხუთ მანეთს, სულ მოგირეკავთ ერთს დღეს, რაც სამხვთოში ხილია, მწიფეს და მკუხეს. მაგან მომცეს ჩემი ხუთი მანეთი, თვარა ცოცხალს არ დავარჩენ, — არა ცხრებოდა გიჟი.

სიპიტოს ხუთ მანეთს არ ჩიოდა ახლა, მას სხვა მუცლის ტკივილი ჰქონდა. იცოდა, რომ იოლად არ ჩაუვლიდა ეს ამბავი, მალულად რომ დააბღერტინა თავის ნაქონ მამულში საარყე პანტა.

ამ ერთი თვის წინათ გამოაცხადეს ყრილობაზე, — კოლმეურნეობაში გაერთიანებულ მამულებიდან ყოფილი მეპატრონეები ხის მოსავლით ვეღარ ისარგებლებენო. სიპიტოც იყო ამ ყრილობაზე, მაგრამ წაუყრუა. ისე იქცეოდა, თითქოს არც გაუგონია ეს განკარგულებაო. წინანდებურად შეველესავით ტრიალებდა თავისეულ მამულში, ნაცხვარზე. აკაციის მესერს ისევ ამაგრებდა. ხის მოჭრას არავის არ ანებებდა. იმ ღელიდან, მის მამულს რომ ჩაუდიოდა საშენი ქვის აღებაზედაც კი ედავებოდა მეზობლებს.

როცა საარყე პანტა დამწიფდა, სიპიტოს გული აუტოკდა. თითონ მაინც ვერ გაბედა პანტის დაბღერტა, პუპულას მიანდო ეს საქმე: შენობით გააკეთე, თუ რაიმე მოხდა, იმდენს პასუხს არ მოგთხოვენო. პუპულა ალვასის შეუჩნდა, საზიაროდ მოვრეკოთ, მოფარებულშია და ვერავინ გაგვიგებსო. გულხარბი ალვასი დატრიალდა.

ციცინოს უმცროს ძმას ბაქურიას შეუჩნდნენ, შენ დაგვიბღერტე, ანკესებს გიყიდითო. ბაქურიამ ცივი უარი სტკიცა:

— მე მაგ ღორის საჭმელ კვიჭიჭას გულისთვის პიონერის გალსტუკს არ დავკარგავო.

კოსანდილას მეტი არავინ აღმოჩნდა სამღველოში, რომ ეს საქმე გაეკეთებიოს. და ერთი კვირის წინ, როცა ნადინების ხიდის მშენებლობაზე შაბათობა მოაწყეს და მთელი სოფელი იქ იყო გაკრეფილი, სიპიტომ დრო იხილეთ და დააბღერტინა კოსანდრილას ნაცხარის პანტები. მაგრამ სიპიტოს დაენანა გიჟისათვის ხუთი მანეთის მიცემა. სამ-მანეთიანი შეატყუა და ისიც „უნომრო“. დიდხანს ეღრიჯა კოსანდრილა სიპიტოს და როცა ვერაფერს გახდა, უჩივლა — მომატყუაო. მაგრამ რატომღაც

სოფსაბჭოს მაგივრად სილოვანას შესჩივლა, როგორც კომკავშირის მდივანს. სილოვანამ სოფსაბჭოში წაიყვანა კოსანდრილა. ამაზე დაიბარეს სიპიტო, პუპულა, ალვასი და კოსანდილა. ალვასი დაუდგა ბაბინ ბაჭულას ვექილად. სოფსაბჭოს თავმჯდომარის წინ სარგალა თევზივით იგრიხებოდა.

— გამობეჟუტურებული დედაბრები რაცხა აბდლურს ვიზამთ შენ როგორ გეკადრება მაგისთვის ყურადღების მიქცევაო.

არ უშველა სიპიტოს ალვასის ვექილობამ.

გიჟ კოსანდრილას აბა რა პასუხს მოსთხოვდნენ. სიპიტოს კი ოქმი შეუყენეს, დააჯარიმეს და სულ აუკრძალეს ნაციხვარში ფეხის შედგმა. ამაზე წაეჩხუბა სიპიტო სილოვანას. — კოსანდილას შერიგება რა ძვირი დამიჯდებოდა, რომ სოფსაბჭოში არ გაგეცხადებიაო.

და ახლა სიპიტო გაკაწრულ თითიდან სისხლს იწოვდა და მკვდარსა და ცოცხალს უგინებდა სილოვანას.

ქიშვარდი ახლო მიდგა. ცოტა ეშინოდა კია, ჩხუბი არ ამიტეხოს, გუშინ ბონდოს კოჭი რომ ამოვუგდეო.

— რას არღვევ, ბიძია, მაგ ღობეს? — გადასძახა მან სიპიტოს.

ქიშვარდის ხმაზე შემკრთალმა სიპიტომ არეულად მოიხედა მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ მისცა პასუხი — აგერ კოლექტივს უნდა ნასათიბვარში გადაიტანოს ღობეო და სულ სხვა რამეზე ჩამოუგდო სიტყვა.

— მამაშენს უთხარი, რეიზა არ გამოიარე სანამყენე კვირტებიზა თქვა.

შეატყო ქიშვარდიმ, რომ სიპიტოს არ ესიამოვნა მისი მისვლა.

კარგი, ვეტყვიო, — გადასძახა სიპიტოს და სილოვანასკენ გაეშურა.

სიპიტოს სახლთან შედგა. არც ეზოში და არც აივანზე არავინ ჩანდა. ახლა კი მართლა ეუცხოვა ეს ამბავი. შიში შეეპარა გულში: მძიმედ ხომ არ დაშავდა ბონდო დაცემისასო. მაგრამ სიპიტო როგორ წავიდოდა მაშინ ასე უთენიას სამუშაოდო. ამ ფიქრით შემკრთალი მიიჭრა სილოვანასას. უფრო მეტად გაოცდა, როცა სილოვანას ოდის ბოძზე მიბმული სამღვთოს ექიმის სარდიონის ორღა ულაყი დანახა.

ნუ თუ სილოვანა გახდა ასე უცებ ავად. თუმცა წუხელ რაღაც ცუდად გრძნობდა თავს, ძლივს მიაღწია შინამდის. ძაღლის შეყეფებაზე სილოვანას დედამ, ელისაბედმა გამოიხედა. შეშფოთებული გამოეგება ქიშვარდის.

— ცუდათაა ჩემი მტერის და ავის საქმე! სილოვანა მყავს ძალიან ავად. რაცხა ფარსაგი არ უნდა სჭირდეს. ვიღუპები, სიცხით მეწვება ბიჭი. დედა რა მეშველება ახლა! — იძახდა აფორიაქებული ელისაბედი და გამხდარ, ნაოჭებით დასერილ ლოყებზე გამეტებით იცემდა ხელს. ისედაც ტანთ მორჩილი, ჯავრისაგან თითქოს სულ დალეულიყო.

ქიშვარდიმ სწრაფად შეაღო კარი.

ელისაბედის შეშფოთება უსაფუძვლო არ იყო. ქიშვარდის თვალებ. მოხვდა სილოვანას მიბნედილი მზერა. გრუზა თმა შუბლზე ჩამოსცლოდა. ლოყები შეფაკლებოდა, თვალებში სისხლი მოსწოლოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფი მძიმედ სუნთქავდა, თითქოს შორი გზა გაევლო, ძალიან გულ-მკერდი საბერველივით ადი-ჩამოდიოდა, ცნობა არა ჰქონდა. ჟამიჟამს უსაზმნოდ წამოიკვნესებდა: „არიქა, ბურთი გააპარეს"-ო.

სარდიონი ავადმყოფის სასთუმალთან დგას. მაჯას უსინჯავს. მარჯვენა ხელის გულზე თავისი სიამაყე გელაზისტოლა უცხო ქრონომეტრი უდევს. ამ ჯადო საათის ციფერბლატი დასერილია უთვალავი ისრებით ჟამის ყოველ ნაწილს რომ უჩვენებენ. უბის ჯიბიდან სტეტოსკოპი ამოიღო. მეორე გვერდზე გადაბრუნება სთხოვა ავადმყოფს. სილოვანამ ჯიბიდან. მეორე გვერდზე გადაბრუნება სთხოვა ავადმყოფს. სილოვანამ გვერდის შეცვლა სცადა. მტკივნეულად დაეღრიჯა სახე. მშრალი ხველა აუვარდა, რომელიც თითქოს მთელ გულ-მკერდს გლეჯსო. ტკივილისაგან დაიგრიხა, კინალამ აქვითინდა ამოდენა ვაჟკაცი.

— ვაი დედა, ვიღაცამ ნემსები გამიყარა გვერდში! — დაიგმინა.

— აიტ, შე გლახავ, რა გაკვნესებს! — შესძახა სილოვანას თავისი წვრილი ხმით სარდიონმა. თითონ მიეშველა გადაბრუნებაზე მასაც გაუჭირდა ამოდენა ვაჟკაცის აწევა. სუფთად მოპარსული თავი და სიმსუქნისგან დაკეცილი კისერი გაუჭარხლდა.

საოცრად ისმოდა ამ ზორბა კაცის პირიდან ეს წრიპინა ხმა. მაგრამ იმდენი გულკეთილობა იყო ამ „აიტ, შე გლახავ" შეძახებაში, რომ ქიშვარდის ერთბაშად გუნება შეეცვალა. რჩევისა და დახმარებისთვის მოვიდა სილოვანასთან. სილოვანა კი ასეთ ყოფაშია. თვითონ საჭიროებს ქიშვარდის დახმარებას.

— ჭვალი რა უნდა იყოს! ნემსი კი არა, ხუთი ტყვია მომხვდა ავსტრიის ფრონტზე და კურცხალი არ გადმომიგდია. ერთმა შიგ გულში გამიარა, — სთქვა სარდიონმა და თავისი ოხუნჯობით ნასიამოვნებმა გულიანად გადაიხარხარა — ასეა მუდამ. კაცი თუ არ ყოფილა მძიმედ ავად, უფრო უჭირს ავადმყოფობის გადატანა, — მიმართა მან შეშფოთებულ ელისაბედს და ავადმყოფს თერმომეტრი ჩაუდო იღლიაში. სინდიყის სვეტი ერთ წუთში ორმოცს ასცილდა. სარდიონმა მაინც არ შეიცვალა ნირი.

— არაფერია, ორ დღეში ისევ შესძლებს ლელო-ბურთის თამაშს, მხიარულა სთქვა მან ავადმყოფის გასამხნევებლად და შემდეგ დაბალი ხმით გადაულაპარაკა ქიშვარდის: ფილტვების ანთებაა აშკარად, მაგრამ გული კარგი აქვს და საშიში არაფერია. ოღონდ ახლავე ყინულია საჭირო. მე მაინც გულის გასამაგრებელს გამოუწერ. ჰო, რა რიცხვია დღეს? — იკითხა და ჯიბიდან ისევ თავისი ქრონომეტრი — კალენდარი ამოიღო. მერე რეცეპტი დასწერა და ელისაბედს მიუბრუნდა, შიშისგან თვალებ-

გამოჭყეტილი რომ შეჰყურებდა ექიმს. — ნუ გეშინიათ, სახიფათო არაფერია. ოღონდ არ გააციოთ.

— შენს პირს შაქარი, მარა, რა ვიცი, შეშინებული ვარ. [illegible] და ასჯერ, გადასცემს ხატზე პუპულა. აგი თავის ტკივილი [illegible] ცოდვაა! — არ მშვიდდებოდა ელისაბედი.

— მაგი სისხლჭარბობის ბრალია, წურბლების დასმა მოუხდება. ყინული უნდა ახლავე, ყინული. სიცხე არ აუვარდეს თავში. თოვლი სიპიტის მეტს მგონი არავის აქვს. წურბლები კი სკაჩიას აქვს, იმ ეშმაკის ფეხს, სახლში თუ მიუსწრობ იმ შარახვეტიას, სთქვა სარდიონმა, აივანზე გავიდა და თავისი ტანადობისათვის გასაოცარი სისწრაფით ჩაირბინა კიბე. მარჯვედ გადააცვა სადავე თავის იორღა ულაყს და სანამ ქიშვარდი მიეშველებოდა, უნაგირზე მოექცა. ცხენი ერთ წუთს ჩაიზნიქა სარდიონის სიმძიმის ქვეშ, მაგრამ მალე გაიმართა და თოხარიკით გაემართა ჭიშკრისაკენ.

— ახლა პუნქტზე მივდივარ, მერმე გამოვივლი და თვითონ დავასხამ წურბლებს, შენ თოვლზე უშველე ჩქარა, დაუძახა უკვე შარაზე გასულმა სარდიონმა, მათრახი გადაუჭირა და იორღა სწრაფად დასძრა ადგილიდან. ცხენი გოგმანით წავიდა. ქიშვარდმა მოწონების თვალი გააყოლა სარდიონის იორღას, სანამ ცხენი და მხედარი ორღობეში არ მიიმალნენ.

სარდიონთან შეხვედრამ ერთბაშად შეუცვალა გუნება ქიშვარდის, თითქოს გადააგიწყდა წუხანდელი ღამის გულისწუხილი. რაღაც სითბო მოდიოდა ამ კაცისაგან, ისეთი ადამიანი იყო სარდიონი, გულთბილი, დაუზარებელი. მებორნესავით შუაღამისას გააღვიძებდნენ ავადმყოფთან წასაყვანად და ისიც დაუზარებლად ამხედრდებოდა თავის იორღაზე.

სარდიონს ძველად ჯარში ჰქონდა ფერშლობა ნასწავლი. წლების განმავლობაში მუშაობდა თავის სოფელში და ექიმზე ნაკლებად არ ენდობოდნენ სამღვთოში. მაგრამ მის განუხორციელებელ ოცნებად საექიმო ინსტიტუტის დასრულება გამხდარიყო. მასზე არაკად ამბობდნენ სოფელში:

როცა სარდიონის მაჭანკალს სასიძოს ხელობა გამოჰკითხეს, მან თითქოს მიუგო — დოხტურია ბატონო სარდიონი. მარა რა ქნას, ახლა სოფელშია და ფერშლობს. ამ ანეგდოტში იმ დროინდელი სოფლის ყოფა იყო ასახული, თითქოს სოფელი ექიმის ღირსი არ იყო.

მხოლოდ ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ეღირსა სამღვთო საექიმო პუნქტს და სარდიონმაც მოახერხა სამედიცინო ინსტიტუტის დასრულება.

თითქოს ჯარასავით დატრიალდა ეს დღე ქიშვარდისათვის. სილოვანას ავადმყოფობამ საკუთარი სიმძიმილი დაავიწყა. როგორ შეიძლება ასეთ დროს ფიქრი თავის თავზე.

ქიშვარდიმ ჯერ ვედროს დაავლო ხელი და სიპიტოსას გავარდა თოვლის მოსატანად. გაუბედავად შეაღო ჭიშკარი. ეზოში არავინ სჩანდა. მხოლოდ ეზოში გაჭიმულ მავთულზე რგოლით მიბმული ნაგაზი ლოკინით დარბოდა წინ და უკან. ძაღლის ყეფაზე არავინ გამოიხედა ოდიდან. ამან შეაშფოთა ქიშვარდი. მაშ, როგორც სჩანს, ბონდო სახლში არ მოუყვანიათ აბა სად უნდა იყოს? ისე მძიმედ ხომ არ დაშავდა გუშინ, რომ რაიონის საავადმყოფოში წასაყვანი გახდა? თოვლის მიტანა რომ არ ეშურებოდეს, სოფლის საბჭოში გაიქცევა ამბის გასაგებად. მაგრამ სილოვანა როგორც მიატოვოს ასეთ გასაჭირში. არა, ისეთი არაფერია, ალბათ. აკი თავის ფეხით მიდიოდა გუშინ ბონდო სახლში, ელიზბარას და სეფერას მხრებზე დაყრდნობილი. იქნებ სოფლის საექიმო პუნქტზე წაიყვანეს ნაღრძობი კოჭის შესახვევად? ქიშვარდიმ ვედრო დააგდო და ნაციცხვარისკენ გაიქცა. სიპიტო იქ არ დაუხვდა. ახლა სკაჩიასთან აუხვია წურბლების მოსატანად. წურბლები ისე საშურო არ იყო, მაგრამ იქნებ მისგან გაიგოს, საით წავიდა სიპიტო. ბონდოს ამბავიც ეცოდინება სკაჩიას. იგი ხომ „კატის ფოსტაა“, მთელი ქვეყნის ამბები იცის. სკაჩია ნაციცხვარის ზევით სახლობს.

კინაღამ გული ბუდიდან არ ამოუვარდა. სანამ აღმართს აირბენდა. დაღლილობისა თუ უსიამოვნო ფიქრებისაგანაა ნეტა, მუხლები რომ მოეკვეთა.

რაღაც ბედად „შარახვეტია“ სკაჩია სახლში დაუხვდა, მესერს ავლებდა, ეზოს გარუჯულ ბოძებზე მავთულს სჭიმავდა.

ქიშვარდიმ ვერ გაიგო, ნაღვინევი იყო თუ გულმოსული სკაჩია: ვიღაცას ლანძღავდა ახლო კი არავინ ჩანდა.

— ეგ წუპაკი, სულ-კატიანი ეგა!.

ქიშვარდის არც კი დააცალა ხმის ამოღება, სიპიტოს ლანძღვა მოჰყვა.

— რა დიდგულზეა, თუ იცის! ამას როგორ აბედვინებენ! მოდი, აგერ ნახე. ორმოცი ძირი მანდარინი დავრგე, მეოთხე ბრიგადის ბიჭები მომეხმარენ, მიწა გადამიბარეს იმ ოჯახაშენებულებმა, ნერგიც უფასოდ მომცეს კოლექტივის სანერგედან. ახლა ყაისარა დამწვარას თხებმა ქე ამომაგდეს კაცი, ქე გამოხრეს ამდენი ნაკვდავ-ნაწყვდავი. ამდენხანს ღელის კედაროდან მესერი ჰქონდა შემოვლებული სიპიტოს ნაქონ მამულს. ახლა რომ გაუგია, ხის ნაყოფით აღარ მასარგებლებენ ნაცეცხვარშიო, მესერი აუღია, მე თუ გამიპინტრაშენ ეზო, ჩემი ღობერით რატომ ისარგებლოს კოლექტივმაო. მე არც გამაგებია, ისე აიღო ღობე. ყაისარმა კიდო თხები შემომისია. ამ დილით კოლმეურნეობის გამგეობაში ვიყავი. შინ რომ დავბრუნდი, ეზო თხებით სავსე დამხვდა. თორმეტი ძირი მანდარინა გადაუხრავთ იმ მგლის შესაჭმელებს. მოდი, აგერ ნახე, რა საცოდავი სანახავია. რა ეკუთვნის ახლა ამის მქნელს? — გაწიწმატებით იქნევდა ხელებს სკაჩია

და ზედ ძირში გადახრულ მანდარინის ბუჩქების ირგვლივ დასტო

ბული მზრუნველობა ბონდოსადმი. მაინც ყველაფერში თავისი თავი მიაჩნდა დამნაშავედ: ვისი ბრალია? რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, უსაყვედურებდა თავის თავს ქიშვარდი. განა თითონ არ მიიყვანა ქიშვარდიმ თავისი მეტოქე ციცინოს სახლში? ამ ამბავმა სულ აუმღვრია გუნება, შეზარდა გუშინდელი დღე. რა დიდის ამბით მოელოდა ამ ლელო-ბურთს და რა ცუდად დასრულდა ის ქიშვარდისათვის. ისე გამოვიდა, რომ ლელო მან კი არა, ბონდომ გაიტანა. აბა ბონდო რას ინაღვლის, კოჭის ღრძობა რა უნდა იყოს! გუშინ თითონ რომ კისერი მოეტეხა, ის ერჩივნა. ვიდრე თავისი ფეხით მიიყვანდა ბონდოს ციცინოსთან. ქიშვარდის სული უწუხდა. ერთ ადგილას ვერა დგებოდა. სკაჩაიამ კი სოფლის ამბები ვაუბა:

— დღეს ხომ მოდიხარ სოფსაბჭოში? ავიაქიმის ინსტრუქტორია ჩამოსული. წვევანდელები ვოროშილოვის ნიშანს აბარებენ. ნადინების პირას აქვთ ვარჯიშობა. ქალიშვილებიც მონაწილეობენ სროლაში. იცი, მეც მინდა ვცადო ხელი. წინათ ასეულში პირველი მსროლელი ვიყავი. ვნახოთ ახლა, თუ მაჯობებენ ახალგაზრდები! რავა ფიქრობ შენ? — ჰკითხა სკაჩიამ, მკლავში ხელ ჩაავლო და შეაჩერა უკვე ალაგეზე შემდგარი ქიშვარდი, თუმცა ის ყურს აღარ უგდებდა სკაჩიას ლაპარაკს.

გამომშვიდობება და მადლობის გადახდაც კი დაავიწყდა. ჩაფიქრებული ჩარბოდა თავდაღმართში წურბლებიანი ბოთლით. ბოთლი სლიპი იყო და წამდაუწუმ უსხლტებოდა ხელიდან, ორჯერ კინაღამ გაუვარდა. ცხვირსახოცი ამოიღო და ბოთლი გაამშრალა. ამის მეტად არც კი ენახა ეს პარაზიტები, სკაჩიამ კულაკებს რომ შეადარა.

წურბლებს სულაც არ ეტყობოდათ, თუ ასეთი ბოროტი ბუნებისანი იყვნენ, ერთობ მშვიდნი და უწყინარნი სჩანდნენ. ჭანჭურის კურკებივით მოკუნტულიყვნენ და ბოთლის კედელს მიჰკროდნენ. ისე განაბულიყვნენ, რომ სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდათ.

— ცოცხლები არიან მაინც? — გაიფიქრა ქიშვარდიმ. ბოთლი შეანჯღრია, ჭურჭლის კედელზე მიკრული წურბლები საშინლად ლაყლაყებდნენ, ბოთლის კედელს ეხეთქებოდნენ, მაგრამ მაინც არ სწყდებოდნენ.— კედელზე მიწებებული ხო ამრ არიან ეს წყეულები,—გაიფიქრა ახლა, ბოთლს კორპი მოხადა და შიგ ჩაიხედა. მოკუმშული წურბლები, როგორც კი ჰაერი ჩაუვიდათ, გველებივით გაიწელნენ. საოცრად იკლაკნებოდნენ. კუდზე შეიმართებოდნენ და რგოლებად შეკრულ ტანს ჰაერში ასავსავებდნენ, ერთი წუთით გაიწელებოდნენ, წინა საწუწნარით მოჭდობოდნენ ბოთლის კედლებს, შემდეგ შურდულის ღვედივით მოიკეცებოდნენ და ახლა კუდით მიეჭდობოდნენ ჭურჭლის გვერდს.

ქიშვარდიმ ვერც კი შენიშნა, ერთი წურბელა როგორ ამოძვრა ბოთლის ყელიდან. ხელი დაავლო, უნდოდა ბოთლში ჩაეგდო, მაგრამ ამ ლირწიანი პარაზიტის შუაზე გაგლეჯა უფრო ადვილი იყო, ვიდრე მიჭდობი-

ლი ადგილიდან მოშორება. დიდხანს ეწვალა, ფრჩხილით ძლივს მოაცილა ბოთლის ყელს, მაგრამ ახლა თითზე მიეჭდო წურბელა საოცარის ძალით. აქედანაც ფრჩხილით მოიგლიჯა, მაინც ვერ დაიხსნა თავი [illegible] ნებზე მიეჭდო. სანამ ერთს ეომებოდა, მეორემაც ამოჰყო თავი ყელიდან.

ეს რა ხათაბალას გადავეკიდეო, — გაიფიქრა მან. ადვილი არ გამოდგა წურბელებთან ომი. ბოთლი მიწაზე დადო. აქშიო, დაუძახა, თითქოს წურბელებს სმენა ჰქონოდათ. დიდხანს ეწვალა. სანამ ისევ ბოთლში ჩარეკავდა. ერთი მაინც გაექცა ა ბალახში დაემალა. ქიშვარდიმ ბოთლს პირი დაუცო. რაკი ნახეს წურბლებმა, რომ სხვა გზა აღარა ჰქონდათ, ბოთლის კედელს მიეჭდნენ და მოიკუნტნენ. ქიშვარდიმ ცას შეხედა, მზე კარგა მაღლა ასულიყო. ოფლი მოიწმინდა შუბლიდან და თავდაღმართი ჩაირბინა.

— მოიტანა თოვლი? — გამოსძახა აქოშინებულ ქიშვარდის სარდიონმა, რომელიც მოაჯირზე გადმომდგარი ხელებს იბანდა.

— სიპიტო არ დამხვდა სახლში, ნაცხვარში მუშაობდა ამ ღილით, აქეთ რომ მოვდიოდი, იქით გავიქეცი, მარა ვერც იქით მიუსწარ. აგერ წურბლები მოვიტანე, მაგრამ ერთი ქე გამექცა, — დარცხვენით სთქვა ქიშვარდიმ და კიბე სწრაფად აირბინა.

— ჰაიტ, შე გლახა, რაფერ გაგექცა, ჩიტი ხომ არ იყო? — გაეხუმრა სარდიონი.

— რა ვიცი, ჩიტზე უფრო ძნელი დასაჭერი ყოფილა. ამ წყეულს ხელს ვერ მოავლებს კაცი, ისე გაგიშპება თითებში.

— აბა ერთი შაქარწყალი დამიმზადეთ, მე თქვენ გიჩვენებთ მაგათ სეირს.

სარდიონმა ბოთლს თავი მოხადა, ხუმრობით დაუწრუწუნა, თითქოს ეძახის აბა ამოდითო, და თავისი კოტიტა მსუქანი თითებით საოცარის ოსტატობით გამოიყვანა ბოთლიდან ერთი წურბელა. ავადმყოფს ყურის ძირში შაქარწყალი მოსცხო და წურბელი მიადო. წურბელი ხარბად მიეჭდო კანს, ერთ ხანს გარინდდა, კბილი მოიმაგრა, შემდეგ გაშმაგებით დაიწყო წოვა. მთელი ტანით ძიგძიგებდა, სარდიონმა ეხლა მეორე ამოიყვანა. ეს ცოტათი გაინაზა.

— ეს, ალბათ, ახალგაზრდაა, — სთქვა სარდიონმა, — ცოტა უნდა გააბრაზო.

მესამე წურბელიც დაასვა ავადმყოფს, ძაბრისებური პირით მიეჭდო ორივე საწუწნარზე დაეყრდნო, ტანი აიზნიქა და ყურის ნიჟარის ქვეშ შეუძვრა ავადმყოფს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ერთი წურბელა უკან საწუწნარს მოსწყდა, ტანი გასავსებად გაშლილ ტომარასავით აიგდო.

— შეხედე, როგორ ჩამოეკიდა, — სთქვა სარდიონმა, — მაგას ჯიბეები აქვს გვერდებში და სისხლს იქ ინახავს. იმ ჯიბეებს შლის ახლა. შეხედე, იმიტომ დაეკდა თავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა მეორე წურბელაც ჩამოეკდა, პირველი კი ისე გაიბერა, რომ სისხლით დამძიმებული სხეული ველარ დაიმაგრა თავით დაკიდებულმა კვლავ მიეჭდო უკანა საწუწნარით, ფეხი მოიმაგრა და აამოძრავა კუნთები. მაგრამ აი პირველად დასმული წურბელა უკვე ტიკჭორასავით გაიბერა. კუნთებს დუნეთ ამოძრავებს, თითონაც მოეშვა, დონდლო გახდა. ტანის მოძრაობა თანდათან შენელდა. ბოლოს სულ შეწყდა.

— აი ეს ეხლა მოსძვრება, — სთქვა სარდიონმა და წურბელას ლამბაქი შეუდა.

პირველი მართლაც მოსწყდა, ლამბაქზე ტყაპანი მოადინა. ცოტა ხნის შემდეგ დანარჩენებიც მოწყდნენ. სისხლით მთვრალები იყვნენ. უსასოდ გორავდნენ ლამბაქის ფსკერზე. სილოვანას კი ყურის ძირში სისხლი მოჟონავდა.

— აბა ახლა თოვლისთვის გაიქეცი. აწი სიპიტოც მოვიდოდა, — სთქვა სარდიონმა და ხელით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

ქიშვარდი შარაზე გავიდა. სიპიტოს ჭიშკართან შესდგა. ქიშვარდის აფიქრებდა ის, რომ სიპიტო და სილოვანა წაკიდულები იყვნენ. გაუბედავად შეაღო ჭიშკარი და ეზოში შეიჭვრიტა. სიპიტო სანერგეში ფუსფუსებდა. ისევ მიხურა ქიშვარდიმ ჭიშკარი და უიმედოდ გახედა შარა გზას, თითქოს მშველელს ეძებსო. სკაჩიას მოჰკრა თვალი. სოფსაბჭოს მხრიდან მოდიოდა. ჩვეულებისამებრ რაღაცას თავისთვის მოლაპარაკობდა. თანაც ვაშლი ამოიღო ჯიბიდან, პიჯაკის სახელოზე გაიწმინდა და ხარბად ჩაკბიჩა. ქიშვარდის იმედი მიეცა. იფიქრა, სკაჩიას მივიყოლიებო, სკაჩია დიდ დევ-გმირი არ იყო, მაგრამ მაინც მორიდებულ ქიშვარდის საფარად გამოადგებოდა.

— აგერ სიპიტოსთან მივდივარ თოვლისთვის, — გასძახა მან შორიდან სკაჩიას, — მეშინია, კეტით არ გამომეკიდოს. მოდი, მიმყევი ერთ წამს.

სკაჩიას ყოველგვარ საქმეში ჩარევა უყვადა და ხალისიანად დათანხმდა. ეზოში შევიდნენ. სანერგის კარებს მიადგნენ. სიპიტო ნერგს თხრიდა და ხავსით მოგებულ ყუთში აწყობდა. ეტყობოდა, ნერგს სადღაც შორს გასაგზავნად ამზადებდა. ეზოში შესულები რომ დაინახა, შუბლი მიწაში გასვრილი ხელით მოიჩრდილა და სანერგეს ჭიშკრისკენ წამოვიდა:

— თოვლისთვის მოვედით... ფილტვების ანთება აქვს სილოვანას, — შორიდან შეაგება ქიშვარდიმ. ფული არ დაურჩათ და ნისიად უნდა მოგვცე, მე ვიქნები თავდები. მე მოგიტან ჩემი ხელით, — დაასრულა ქიშვარდიმ.

სიპიტომ უგემურად მოიღრიცა სახე.

— ხო! ასეა მაგისთანა მეზობლები, თუ დასჭირდი, მაშინ ქე მრგადგებიან ხელ გაშვერილი, ისე კი შესაჭმელად არ დაგინდობენ. ეგეც ლაბი დასაქცევად არ ენანება სილოვანას, არც მეზობელი მიაჩნია და არც ნათესავი, მისი აჩეიკის მეტი არაფერი სწამს. ის დღე რატომ არ დეიქცა, მაგი რომ დაებადა დედამისს, — მაგან მომიგონა, სიპიტო არაყით ვაჭრობსო, მოჰყვა ბუზღუნს სიპიტო. მიწით მოსვრილი ხელები ვაშლის ხეს შეახოცა, ბარი გულდასმით გაწმინდა და სანერგედან გადმოვიდა. ფარდულისკენ გაემართა ყანთრის გამოსატანად. ქიშვარდი და სკაჩიაც თან მიჰყვნენ.

— მაგის გულიზა შემექნა აგი სანერგე ასათხარი. თლათ სილოვანას ბრალია, — არა სცხრებოდა სიპიტო. კარი გამოაღო, ფარდულში შეევიდა.

ფარდულის კარი ღიად დარჩა. ალბად აღელვებისაგან თუ იყო, თორემ სხვა დროს სიპიტო კაცს არ შეაჭვრეტინებდა თავის ფარდულში. სკაჩიაც იმავ წუთს ფარდულის კარებთან გაჩნდა და თაგვივით შეისუსუნა შიგ. ჰაერი ისე შეითქვა, თითქოს რაღაც იყნოსაო. რაღაც ეშმაკური ღიმილი აუთამაშდა სახეზე. ქიშვარდის თვალი ჩაუკრა, ანიშნა, ახლო მოდექიო. ქიშვარდიც მიუახლოვდა. ფარდულიდან არყის მძაფრი სუნი მოდიოდა. ფარდულის ერთ კუთხეში ცხენს საპალნეებად მოკოჭილი სავსე ტიკები გაარჩია. იქვე საჩალვადროდ გამზადებული ხილის ყუთები ელაგა.

— ჰმ! სილოვანამ მომიგონა, სიპიტო ნაყიდ არაყს დაათრევს ფოთშიო, კაი მოგონებაა, გიცხონდა მამა! — გადაულაპარაკა სკაჩიამ ქიშვარდის და თვალები ეშმაკურად მოწკურა. — ვინცხამ მამალი რომ მეიპარა და კუდი ქე უჩანდა ახალოხიდან, ისეა ახლა სიპიტოს საქმე. აი სავსე გუდები რა მოხელეა აბა? აი ნაციხვარზე ჩუმათ რომ მორეკა კვიჭიჭა იქიდანაა გამოხდილი, მარა ნაყიდიც ბევრი აქ. ჩემთან მაინც არ ამბობდეს შუმი სპეკულანტია, შუმი. მეიცა ერთი მაგას შეუყენო შაშხათი. ნახე. რა შიში ვაჭამო! — ეშმაკურად სთქვა სკაჩიამ და კერებს გადაეყუდა.

— სიპიტოო!.. — წარმოსთქვა სკაჩიამ.

სიპიტო, რომელიც ამ დროს ჩალაში ჩავარდნილ ყანთარს ეძებდა, წელში გაიმართა და მისკენ მიბრუნდა.

— ტყემლისაა ვითომ მაი არაყი თუ კვაჭიჭასი? — მიამიტად იკითხა სკაჩიამ. — რაცხა კაი სუნი აქ, დუხივითაა თლათ.

სკაჩიას შეკითხვაზე სიპიტო ისე შეკრთა, თითქოს ცივი წყალი გადასხესო. ღომის ჩალის კონა ხელში შერჩა. აფორიაქებული დატრიალდა, მიიხედ-მოიხედა, ვითომ თითონ ეძებდა, თუ სად არის აქ არაყიო. შემდეგ უცებ მოისაზრა. ჩალის კონა გაშალა და სავსე ტიკებს მიაყარა, ვითომ აქ არაფერიაო, თითქოს მხოლოდ ხელი გაინთავისუფლაო. მერე ეკითამამდა და, პირიქით სკაჩიას შეუტია:

— რას ყარაულობ, შე გლახა. ხაო ხომ არ გაქ ენაზე, რის არაყი, სადაა აქ არაყი. — შემდეგ ისევ მიმოიხედა და შეკრთა: ერთი ტიკი ჩალით დაფარავი დარჩენოდა.

— ისე გავბერე ავი გუდა, თაგვმა არ დამიხრასთქვა. რაფერი ლაბარაკი იცი, კაცო შენ?! გულს გოუხეთქავ კაცს. რანაირი ხუმრობაა ახლა მაგი, ვინცხა გეიგონებს და მართალი ეგონება,—ახლა უფრო შემარიგებელ კილოზე სთქვა სიპიტომ და სკაჩიას სიამტკბილობით მოუქცია ღრანჭი.— შენ ახლა საცხა ხილით გასკდებოდი და არაყი გინდა, ჩაცეცხლო. მოიცა, აგერ ბოთლში ჩარჩა ცოტა ნაწური მგონი, სთქვა სიპიტომ, კუთხეში მიდგმული ტკეჩიანი ბოცა აიღო, მუხლზე დაიდო და ფეხიან ჭიქაში ჩამოუსხა არაყი.

— აი, ჩაცეცხლე!—ვითომ ხუმრობით უთხრა სიპიტომ, თუმც გულში ამაზე უარესსაც უსურვებდა სკაჩიას.

სკაჩიამ ჯერ დაყნოსა და საჭაშნიკოთ ცოტა მოსვა.

— აკი ვთქვი, კვიჭიჭა ყოფილა, კვიჭიჭა. — შემდეგ ჭიქას მარცხენა ხელი ქვევით შემოუდგა, მარჯვენა პირზე დააფარა და მუხლზე დაჰკრა.

— ხედავ, რა ძეწკვი მოიყენა, აი კაი სამოცგრადუსიანი იქნება — მოწონებით სთქვა მან, სულდაუღებლად გამოსცალა და ისეთი გამომეტყველებით გაუწოდა უკან ჭიქა, თითქოს ეუბნებოდა, ერთი კიდევ ჩამოასხიო.

სიპიტომ შორს დაიჭირა:

— აღარაფერი დარჩა ბოცაში სულ გამოვწურე.

— მოუჭირე კისერზე ბოცას ხელი, მოუჭირე! გადმოდინდება რამე! — ხითხითით ეუბნებოდა არყით გახალისებული სკაჩია სიპიტოს, და სიპიტოც აჰყვა მის ღრეჭას, ვითომ ხუმრობით უჭერდა ტკეჩიან ბოთლს ხელს. როგორც იყო, „გამოუწურა“ ნახევარი ჭიქა.

— აი, გასკდი და გაიხეთქე კვერცხივით მუცელზე! მაცალე ახლა, ყანთარი ჩამივარდა ჩალაში,—სთქვა სიპიტომ, შებრუნდა და ისევ სასწორის ძებნას შეუდგა.

სკაჩიამ არაყი ქიშვარდის გადააწოდა, ქიშვარდიმ იუარა.

— დალიე, ხომ გაგიგონია, ყვავს კაკალი გააგდებიე ისიც კარგიაო, ჰა, ხომ დავიჭირე დღეს ერთი სპეკულიანტი! — აღტაცებით წარმოსთქვა სკაჩიამ.

ვითომ მართლა დააქვს ფოთში არაყი? — შეეჭვდა ქიშვარდი, — რაფერ მოახერხებს ახლა მაგას, აკრძალული რომაა არაყის ზიდვა?

— შენც ერთი, შენგან არ მიკვირს! — სთქვა სკაჩიამ. — სიპიტო რის სიპიტოა, რომ გასაძრომი ხვრელი ვერ ნახოს. მაგი მე მკითხე შენ, უნაგირადან დააქვს უსათუოდ, მეგრელი მეჯოგე ყავს იქ მოყვარედ მოკიდებული: ჯაროია კვარაცხელია, ბავშვს უნათლავს იმას მაგი ღდინძალ-

ლი. იგი ეხმარება სპეკულიანტობაში. ჯაროიაც დიდი აფირიხტია, ბოლა-სახლებულ იყო ორ წელიწადს მოჯამაგირე მწყემსის მოკვლაზე.

— ვითომ ? კვლავ იჭვნეულად იკითხა ქიშვარდიმ.

მაგი მე მკითხე შენ. ძველადაც უნაგირიდან დაქონდა სიპიტოს ყანაში, — სთქვა სკაჩიამ და ფარდულის კართან ბოკონზე წამოჯდა, თავისი ბამბუკის ყავარჯნები წინ დაიდო და ფეხები ზედ გააწყო. „მოირახათა". როგორც თითონ ამბობდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ სკაჩია გრძელი ამბის წამოწყებას აპირებდა: — აღარ გახსოვს შენ ბაღნობას სამარგელში რომ დაყავდი მამაშენს სიპიტოს ყანაში უნაგირაზე? ჰო და იქ ედგა სიპიტოს ჯარგვალა. იმ სახლს ჩალანდრები სიპიტოს საბაჟოს ეძახოდენ. სწორედ კარგ ალაგას ჩადგმულ ფაცერივით იყო ის უნაგირას სახლი. სულ იქ ტრიალებდა, რუსეთიდან რომ ჩამოვიდა მენშევიკების დროს. ოჰო, რა ამბები ჰქონდათ! ქარხანასავით იყო, ქარხანასავით. ჩვენებურ სამოცგრადუსიან არაყს იქ ანელებდენ ჩალანდრები. წყალს გაურევდენ, პილპილას მიურთავდენ, მერე ვერ გაასაღებდენ, თუ? ციებით დაყოყილ ჭალადიდელ მუშტრებს პილპილიანი არაყი სპირტად ეჩვენებოდათ, რა ფოკუზები იცის სიპიტომ, მაგი მე მკითხე შენ. — ცოტა მოწონების კილოთი სთქვა სკაჩიამ. რას არ მოახერხებდა, თუ მალთაყვის ხიდი შეკრული იყო ურმებს ორმაგ ძირს გამოადგამდენ და არაყით სავსე გუდებს ხილის ქვეშ მოაქცევდენ. მენავეებთანაც ქონდა კავშირი, და ხიდზე თუ მაგარი დარაჯი იდგა, ნავში გადატვირთავდენ არაყს და ისე შეიტანდენ ფოთში. ასეთი მოხერხებული კაცია და მაგი ვერ მოახერხებს ახლა არაყის წაღებას? აგერ, ნახავ მაი არაყი თუ ამ დღეებში არ გააპარონ მაგან და ელიზბარამ. მაგას ანე ადვილად ვერ გასტეხს კაცი. უკვტავა ბალახი რომაა, იმასავითაა ერთ კვირას რომ ეგლოს მზეზე მოჭრილი, მერე თუ დააწვიმა გაცოცხლდება.

სკაჩია რაღაც ახალი ამბის წამოწყებას აპირებდა სიპიტოზე, მაგრამ ამ დროს ფარდულიდან სიპიტოს ხმა მოისმა:

— გამოაღე, ბიძი, მაგ კარი. ვერსად ვნახე ეს დასამტვრევი ყანთარა!

ქიშვარდიმ კარი გამოაღო და კვლავ შეიხედა ფარდულში. შეიხედა და იმ მხარეს, სადაც სიპიტო ყანთარს დაეძებდა, თვალი მოჰკრა კუთხეში მიწყობილ საშენ მასალას. გული სიხარულით აევსო.

— უჰ, რა მასალაა, ერთი ოდა გამოვა! — წამოიძახა ისეთის აღტაცებით, რომ სკაჩია ზეზე წამოაგდო. ორივენი კარებზე მიდგნენ და ჭვრეტა დაუწყეს ფარდულის კუთხეში მოწყობილ მასალას.

რა არ იყო აქ: ცემენტით სავსე კასრები, გორგლად დახვეული ეკლიანი მავთული, სახურავის თუნუქი, საკოჭავი თოკები, ომის დროინდელი უნაგირები, ყაოფლეები, ხელბარგები. ფიცრები და საძირკვლის ხეები.

— სულ დაყურსული წაბლია, — სთქვა სკაჩიამ. ოდას რომ აშენებდა, მაშინ აქვს გამოტანილი დიდრაყიდან. რა მასალაა, კვიული არ ექნება, სთქვა სკაჩიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურული გლეხი ხომ გულგრილად ვერ შეხედავს წაბლის მასალას, როგორც აფხაზი აუღელვებლად ვერ ჩაუვლის ბედაურ ცხენს. მაგრამ ქიშვარდის განსაკუთრებით ცემენტის კასრებზე დარჩა თვალი, მიეჯრით რომ იყო მიდგმული კუთხეში; მას სწორედ ცემენტი აკლდა ბუხრის საძირკვლის ჩასადგმელად.

ცემენტია ჩემი საქმე, — ჩაფიქრებით სთქვა ქიშვარდიმ. — ცემენტი რომ მქონდეს, რამდენი ხანია შეუდგებოდი ოდის შენებას. შერმანდიამ შემპირდა, შემოდგომაზე მოგვივა ცემენტი და გიწილადებო. მაგრამ ეს როდის იქნება. აღარ შემიძლია მეტის მოცდა, დევიხრჩვით იმ ფიცრულში. სტუმარი ვერ მოგვიყვანია. ახლავე უნდა გამოვიწყო ოდა.

ქიშვარდიმ სკაჩიას არ უთხრა, რად ეშურებოდა ასე მშენებლობის დაწყება. მას თავიდან არ გამოსდიოდა ალვასის ნათქვამი — უოდო კაცს ქალს როგორ მივათხოვებო.

ახლა ქიშვარდი შორიდან უალერსებს ცემენტიან კასრებს. ერთი წუთით გულმა გაუწია, მოდი ვთხოვ სიპიტოსო.

— ხომ არ ასესხებს კაცს ნეტა, თითქოს თავისთვის წარმოსთქვა მან.

— შენ გგონია ვითომ უარს გეტყვის? — სთქვა თავისი „ყოვლისმცოდნეობით“ აღტაცებულმა სკაჩიამ. — მისებურად გეტყვის ნეტა შენთან მილიონი მქონდეს მობარებულიო. მარა, იცოცხლე, შინა ყმად გაგიხდის სამაგიეროდ, ცხრა ტყავს გაგაძრობს თუ დიდ სარგებელს არ გამოელის კაციდან, ხომ იცი, ისე თავის ჩამოსახრჩობათ თოკს არ ათხოვებს კაცს სიპიტო. მაინც რას კარგავ, სთხოვე. ამას წინად ივაკიამ, — წამოიწყო რაღაც ამბავი სკაჩიამ, მაგრამ ამ დროს სიპიტო გამოვიდა ფარდულიდან. ხელში ყანთარი ეჭირა.

— წამოდი, ბიძია, — უთხრა ქიშვარდის.

ქიშვარდი და სიპიტო ფარდულისაკენ წავიდნენ. სკაჩია კი ჭიშკარში გადავიდა და არყით გამხიარულებულმა სიმღერა გააბა. დიდხანს მოისმოდა ორღობეში მისი კრიმანჭული.

უა უახო, უახო, ურუახო, ურუახო!

ქიშვარდი სიპიტოს მისდევდა უკან და თავში სკაჩიას სიტყვები უტრიალებდა: „თუ დიდ სარგებელს არ გამოელის სიპიტო, თავის ჩამოსახრჩობ თოკს არ ათხოვებს კაცსო“. და ეს ფიქრი ბორკავდა, რომ სიპიტოსთვის ეთხოვა თავისი გაჭირვების ტალკვესი — ცემენტი. არც იცოდა, როგორ წამოეწყო. ამ ყოყმანში ცხენისზურგაზე ჩამოვიდნენ. სიპიტომ წისქვილში შეიარა. დაცარიელებულ ხვიმერში სიმინდი ჩაყარა. ფქვილი მოსინჯა ხელით, შემდეგ გემოთი გასინჯა და ქიშვარდის მიუბრუნდა:

— რა უნდა ქნას კაცმა, ასეთი მეზობლები რომ ეყოლება? სილოვანა, კალენიკა და ივაკია სულ ჩემ დაფსებას უცდიან, სულ იმას ფიქრობენ, სიპიტოს ნასახლევზე ვიბუნდრუკოთო. რა ფინთია გულხარბი კაცი! ახლა ამ წისქვილზე რომ ყვირიან, ქვეყნის მინდი შემოდის სიპიტოსო, კაცობაა და სამართალი მაგი? რაცხა ორი ოყა სიმინდი შემოვა კვირაში ამ ღინტილა წისქვილში და მაგენი იძახიან, კეთდება მაგ წისქვილით სიპ* ტოო. მაგენს გონია, ყველაფერი მუქთათაა ნაშოვნი. მისით კი არ ამოგორებულა ეს წისქვილის ქვები ამ ალმართში. ამ დიდ ქვაში,—სთქვა სიპიტომ და დიდ გელაზს ფეხი აუწია,—ოქროს თუმნიანი მაქვს მიცემული. ამ პატარაში კიდევ ოქროს ხუთ მანეთიანი. მაშინ კაი ფული იყო. ერთი დიდი ბეჭედი გამოვიდოდა ან რამე კაი ნივთი. წისქვილის წყალის გაყვანას ფული და მუშაობა არ უნდოდა? ჯარგვალას ჩადგმა იანგარიშე. ჰო და ივაკიას გონია ყველაფერ მისითაა გაკეთებული. დეიქცა მაგენის ოჯახი! — დაიწყევლა სიპიტომ. — მოდი ერთი ეს ტომარა გამიწიე, — უთხრა ჭიშვარდის და ალაში ფქვილის ახვეტას შეუდგა. — კაცს რომ თავისთვის არაფერი გაუკეთებია, სხვის ნაშრომსაც ვერ დააფასებს. აი, ექვსი თვალი ოდა რომ დავდგი, დაყურსული წაბლი, კაცი რომ გამოიხედავს შორიდან, იტყვის, კაი მოსახლე ცხოვრობსო, მტერს გული მოუკვდება. ბელელი ავაშენე, ჭუხნა, ნალია, ყველაფერი წაბლის. მამული რომ შევიძინე, მაშინ სად იყვნენ? წამოწვებოდა ყაძახი სკამლოგინზე, მიეფიცხებოდა ცეცხლს, იძახოდა, გამომიცხვე ქალო კვერიო. მე მაშინ დიდრაყაში ჩემ სიმაღლე მორებს ვაგორებდი. ახლა დავაჟკაცდა ივანე და კალენიკა, ახლა გახდნენ დიდი სტახანოველი და საგაზეთო ხალხი, თვარა რა მუშები იყვნენ უწინ? ყანაში რომ მოგეხმარებოდენ, თავზე თუ არ დაადგებოდი, სულ ჩრდილს ეძებდნენ, მზემ არ დაგვწვასო.მეც რომ მაგენსავით ვყოფილიყავი, რა მექნებოდა. აბა რა გამიკეთეს უწინ, რა ამიშენეს, თუ კაცი ხარ? ბაბუამ რომ თხმელის ჯარგვალა დაუტოვა ივაკიას, იგი ქონდა ამდენხანს. ახლა გამოუწყია მაგ გლახას პალატიანი ოდა. ახლა ფოჩიხობს რაცხას და ლურსმიზა კიდო მე მომადგა კარზე. მერე რა მახოხი მომიწყო, სოფსაბჭოში მიჩივლა ძვირად დამიფასა ლურსმანიო. ასეა შაირიანი კაცის საქმე. შუბლის ძარღვი მთლად გაწყვეტილი უნდა ქონდეს კაცს, იგი რომ მოგიხერხოს. რა დროს მოესწრენ მაგ გლახები, წამოჯდებიან სოფსაბჭოს კომისიაში, ვითომ დიდი მიროვოი პოსრედნიკები მყავდეს, იძახიან შევაწეროთ სიპიტოს ამდენი და ამდენიო. ჩემზე უნდათ გაკეთდნენ. უნდათ მთლად გამპუტონ, რომ მერე მოვუქურუჟღე შეციებული წიწილივით გვერდში. მაგენს მივედარო! მარა არ მოესწრებათ მაი დღეი, მაგენის ტოლი მიდღემჩი არ გავხდები! სიპიტო ვარ მე. სიპიტო! ზღვაში რომ გადამაგდონ ხელ-ფეხ შეკრული, მაინც არ დავიკარგები, — რაღაც გაწიწმატებით, თოკზე მიბმულ ღაჟოსავით წამოიჭყივლა სიპიტომ, რაღაც გიჟურად გაუბრწყინდა თვალები, ვიღაცას მისამართით

შემართა წითელი გინგლით დაფარული კორძიანი მუშტი. დიდის რიხით იმეორებდა — სიპიტო ვარ მე, სიპიტოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიშვარდის გუნებაში გაეცინა, ივაკიე და კალენიკა მუდამ გაპუტული იყვნენ და მხოლოდ ახლა ამოსდიოდათ ღინღლი და ბუმბული, ახლა იშენებდნენ ოდას, ახლა გაჩნდა მათ ოჯახში რიგიანი ტანისამოსი და ქვეშაგები. სიპიტო კი კვლავ იმეორებდა დაჩემებულ ფრაზას — სიპიტო ვარ მე, სიპიტოო, თითქოს ვინმე სადავოდ ხდიდა, რომ ის სიპიტო იყო.

ხომ არ შეირყაო, გაუელვა თავში ქიშვარდის.

— ასეა, ბიძი, ოჯახის აშენება, — უცებ დაცხრა და ხმას დაუწია სიპიტომ, — აგერ ოდს აშენებას რომ აპირობ, ნახავ, რა ადვილი საქმეა, ნახავ, რამდენი ოფლი გაგდინდება.

— ხო, მეც მაგი მინდოდა, — ძლივს ამოსთქვა ქიშვარდიმ, — იქნება მასესხოთ ცემენტი, თუ გაქვთ, ერთი ბოჭკა მონარჩენი, დაიწყო გაუბედავად ქიშვარდიმ. — ყელს ვერ ამოაცილა ხმა, შემდეგ იფიქრა, წისქვილის ქვების გრიალში იქნება ვერ გაიგონოსო და ისე შეჰყვირა, თითქოს ყრუს ელაპარაკებაო. — გინდა ფულად თუარა და შემოდგომაზე დაგიბრუნებ, შერმანდია დამპირდა, ენკენისთვეში მოგვივა ცემენტი და მოგცემო.

სიპიტომ ყური სცქვიტა.

— ჰო და კაი დაგემართოს, — შენზეც ქე ვარ გულნაკლული, იმ გზის დაზომვაზე მტერივით რომ დაგლიჯინობდი ჩემს ეზოში კუთხე რომ არ დასტოვე ისე, რომ პალო არ დაგესოს. ნათესავი აღარ ახსოვთ ახლანდელ ახალგაზრდებს და მოყვარე, სისხლი და ხორცი. აი ხომ ხედავ, არ ვყოფილვარ ასე დასაკარგავი კაცი! ასე უნდა გაიმეტო, ბიძი, შენიანი? იმ თავუხლარ კომსომოლებს კი არ უნდა აყვე. რას აყოლიხარ მაგ სილოვანას. მამამისიც მასავით უკმაკური იყო. მაგან გაუჩეხა პირველად ქარცივაძეებს გათოხნილი ყანა და ქე გადაყვა იმ ახალთაობას. შენ სხვა დედმამის შვილი ხარ, სხვა ოჯახის შვილი. იცი, ახლა ცემენტზე რომ მითხარი, მეც ურემი მჭირდება ფოთში გასაგზავნად მაგაზე დავწრიალობდი დღეს მთელი დღე, აი ნერგი უნდა გავაპარო როგორმე, თორემ შერმანდიას ამბავი რომ ვიცი, კიდევ შემიკვეთს ნერგის ჩაბარებას, — სთქვა სიპიტომ და ხმას უცნაურად დაუწია, თითქოს ამ გელაზების გრიალში ვინმე გაიგებს ჩვენს ნაუბარსო.

— ამას შენობით გეუბნები, ბიძი, და მხარზე ხელი დაადვა ქიშვარდის, — სხვას კი არ გავანდობ, მარა შენ ნამუსიან ბიჭი ხარ ჩვენი სისლი და ხორცი, თუმცა, ნათესავობა ქე დაკარგა ახლანდელ დროში ხალხმა, — ამოოხვრით სთქვა მან, — მამაშენმაც ქე აილო მთლად ხელი, თლად გაუცივდა გული ჩემს ოჯახზე, შენდებოდეს შეეწიეო, იქცეოდეს შეესეიო, ისე შობა ახლა მამაშენი. სულ წყალში ჩამიყარა, რაც ჩემ სიცოცხლეში

პატივი მიცია. ახლა ცხენისზურგას ჩამორთმევას მიპირობენ და ფარნა მისისიანებს შერმანდიას.

სიპიტოს ისევ მოეძმარა გული იმ დილის მოგონებით, [illegible] სანამყენო ტოტების წასაღებად მოვიდა ეზოს გაზომვის [illegible] რა დამცირება განიცადა მაშინ სიპიტომ, რამდენხანს მისდეკდა ფარნას აქოშინებული, ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, სანამყენო ტოტები წაიღეო. ცხენიზურგას შესახებ კოლექტივში არაფერი თქვაო. ამაყი სიპიტო მაშინ მზად იყო ფარნას წინაშე მუხლი მოეყარა. ფარნა კი გაჯიუტდა, გაჯიქდა და არაფრის გულისთვის არ დასთანხმდა.

ო რა მწვავედ იგრძნო მაშინ სიპიტომ, თუ რამდენად ჩამოაქვეითა ის ახალმა დრომ. ისე დამცირდა, რომ ფარნას თვითონ ეხვეწებოდა, მის ბაღში მოჭრილი სანამყენე ტოტები წაეღო კოლექტივის სანერგისათვის. როგორ ქედმაღლურად დაჰყურებდა ერთ დროს მისას მოჯამაგირესავით ნამუშევარი ფარნა. სიპიტო წელმოწყვეტილი გამობრუნდა მაშინ. ამ მოგონებაზე ახლა მწარედ ამოიგმინა, ტუჩები ჩაიკვნიტა და ისევ შერმანდიას გადასწვდა.

— ძაღლის ბალანი იყოს აი ჩემი ულვაში, — გაანჩხლებით სთქვა მან და წიქორია ულვაშებზე ხელი გადაისვა, — თუ შერმანდიას მაგის სამაგიერო არ გადაუხადე! დადგება დრო და მაგას ვაწყევლინებ დაბადების დღეს.

შემდეგ თითონ შეაკრთო საკუთარმა სითამამემ, შეშინებული მიმოიხედა და ქიშვარდის მიაშტერდა.

— არ დამღუპო, ბიძია, არ გამთქვა სადმე, მამაშენსავით არ მიღალატო. არ ვიცი რას მემართლება ის კაცი. კარგის მეტი, რა მიქნია. რამდენხანს ყავდა მიბარებული მამაშენს ჩემი ხარები.. იმით ხნავდა და იმით თესავდა. ახლა აღარც ურემი მაქვს და აღარც ხარი მყავს. ურემი მჭირდება ფოთში გასაგზავნად. აბა მე ვინ მათხოვებს კოლექტივის ხარებს, შერმანდიე ისეც მახრჩობს საყვედურებით, პასიური ხარ, არ მუშაობ. ცენტზე რავა გეტყვი უარს. კაცი კაცითაა და ხეი ძირითო, მარა შენც უნდა შემიწყო ხელი. მომიხერხე რამენაირათ მაგი ურმის საქმე. თქვი ვითომ შენ გჭირდება ურემი. ოდის მასალა მაქვს მოსატანი თქვა, უთხარი ბრიგადირს, შენ არ გაგაწბილებს. ქირას მე მივცემ, შენობით უთხარი, შენობით, — იმეორებდა სიპიტო. — პატარა ქე იმასქენი, — თქვა მან და რაღაც უცნაურად მოწკურა თვალები და ისე გაჰკრა ცერი სალოკ თითს, რომ ქიშვარდიმ იგრძნო, ეს უცნაური მოძრაობა ქრთამის მიცემას გამოხატავდა. ქიშვარდის ფიქრები სხვაგან იყო. უგულოდ უსმენდა, მაგრამ სიპიტოს ხელის ამ უცნაურ მოძრაობაზე გაოცებული მიაშტერდა. სიპიტოც როგორღაც დაიბნა და უხერხულობის დასაფარავად კედლიდან ობობას ქსელს დაუწყო ჩამოცოცხვა. ქიშვარდის შეზარდა სიპიტო.

„რა მჭვარტლიანი გული აქვს, — გაიფიქრა, — ამ წისქვილის კედელივით შავი და ბინძური“.

რაც უფრო მეტად უფიქრდებოდა ქიშვარდი მის წინადადებას, მით უფრო მეტად ენთებოდა სიბრაზე გულში.

„ეს ტურა, წიქორია, — ფიქრობდა ის.—აგი როგორ გამიბედა! სილოვანას ხომ ვერ გაუბედავდა მაგის თქმას. მაგას გონია, კომკავშირელი რომ არა ვარ, ამხანაგობას ვუღალატებ“.

ჭირივით შეზარდა მისი გაჭარხლებული სახე, ცეცხლისფერი წვერულვაში, მსუქან ქუთუთოებში ჩამძვრალი ჭროლა თვალები.

ახლა თოვლი რომ არ სჭირდებოდეს, სახეში ეცემოდა სიპიტოს. მოღუშული იდგა, არაფერი უპასუხა. გული ელეოდა, სანამ იქაურობას გასცილდებოდა. სიპიტომ შეატყო, რომ მისმა წინადადებამ ააშფოთა ქიშვარდი. ცოცხი კუთხეში მიაგდო და შემკრთალი ხმით დაიწყო:

— ამ ცემენტში ფულს არ გამოგართმევ, საბარავში მომეხმარე ახალ სანერგეზე. არ დამკლა, ბიჭო, არ გამთქვა შერმანდიასთან, არ შეირცხვინო ნამუსი, — თქვა სიპიტომ, წისქვილიდან გამოვიდა კარი ჩაკეტა და არეული ნაბიჯით სათოვლისკენ წავიდა.

დიდხანს ეწვალა სიპიტო, სანამ სათოვლის მძიმე ბოქლომს გააღებდა. ფერდში დარანივით ღრმად შეთხრილი იყო სათოვლე. საშინლად ბნელოდა. შიგ გამჭვარტლულ ნათურას ძუნწი შუქი ვერ ერეოდა ამ სიბნელეს. არც სათოვლის ძირზე მიყრილ თოვლს ჰქონდა ჩვეულებრივი შუქი. რომ არ გამდნარიყო, თოვლი ნახმარი, გამჭვარტლული ისლით იყო დაფარული. სინესტეს მჭვარტლი გაელხვო და მურს თოვლი შავთეთრ ზოლებად აეჭრელებია. სათოვლის კედელი ერთ ადგილას მოღვეულიყო. თოვლი მიწაში იყო ასვრილი.

სიპიტომ ქიშვარდის ვედრო გამოართვა, კართან მივიდა სინათლეზე გახედა, დაიწუნა, ამ ძირგაგლეჯილ ვედროთი როგორ წაიღება თოვლიო, კაი ოჯახის შვილი ასეთ ჭურჭელს სახლში როგორ გააჩერებსო. შემდეგ ისლი გადასწია, დაიხარა და თხუნელასავით დაიწყო ფუგნა თოვლში. გაყინული თოვლი ხის ნიჩბით ჩამოანგრია, ვედრო აავსო, სასწორის ერთი კაული ხელში დაიჭირა, ხოლო მეორეზე ვედრო ჩამოჰკიდა. სასწორის ენა ორმოცს დაშორდა. სიპიტო დაიხარა, ვედროდან ერთი ნატეხი თოვლი ამოიღო და მოჭრილ თოვლს მიატკეპნა. ისევ დაჰკიდა ვედრო კაულზე. ახლა წონას დააკლდა. სიპიტოს ახალი ნაჭერის ჩამოჭრა დაენანა, ხელებით დაუწყო დაფშვნილ თოვლს დაგუნდავება. ქიშვარდის შეეზიზღა ეს წრეგადასული სიძუნწე—ისეთი სასოებით ილებდა მჭვარტლში და ტალახში შესვრილ თოვლს სიპიტო, თითქოს ბაჯაღლო ოქროს სწონისო, თანაც ქიშვარდის მეათეჯერ უმეორებდა:

— ფული შენ იცი, ბიძი, შენ გენდობი, თორემ სილოვანა დილენჯი მე არაფერს გადამიხდის. მაგი კარგად მაქვს დაცდილი. ზარალის მეტი

არაფერი ყრია ამ სათოვლეში გადასახადი კი ქვეყანას ოდენაა. რამდენმა კაცმა შეირჩინა თოვლის ფული. ასე მიაქვს ყველას ნისიად. მერე გადაბრუნდება, მოკვდება კაცი და დეიკარგა სიპიტოს ფული. შესვლა ვგრ...— სთქვა მან და სათოვლის კარზე ნახშირით მიწერილ ხაზებზე მიუთითა, — იანგარიშე, სეონა მოვკდა, მისიანებს ხუთმეტი ფუთი თოვლი ჰქონდათ წაღებული. ეოეოფინა მოკვდა, მანაც ოცი ფუთი თოვლი გაიყოლა. წევიდა და დეიკარგა, დააწერე შენ ყინულზე. აი, ხომ ხედავ, აქანე ყველაფერი ფული ღირს. აბა ივაკიას რატომ არა აქვს სათოვლე, თუ ადვილი გასაკეთებელია.

რას ჩააცივდა ივაკიასო, — ფიქრობდა გულგაწყალებული ქიშვარდი. სიპიტომ კი ვერაფრით ვერ დაასრულა თოვლის აწონა. ხან მეტი გამოდიოდა, ხან ნაკლები. დაფხვნილ თოვლს ისევ გუნდებად ჰკრავდა. არ გასწორდა ყანთრის ენა. ქიშვარდის გული ელეოდა. ცემენტს აღარ ჩიოდა, მტერი ჩავარდა ამის ხელშიო, — ფიქრობდა გულში. მოაგონდა სილოვანა, სიცხისაგან შუბლი რომ უსკდებოდა. აქ კი სიპიტო მთელი საათის განავლობაში მისხლობით სწონის ტალახში შესვრილ თოვლს. ქიშვარდი ბრაზმა აიტანა, მზადაა ვედრო ხელიდან გამოგლიჯოს და თავზე გადააყაროს ეს მიწაში შესვრილი თოვლი, თითქოს ახლა შეიცნო, თუ რატომ ეძახდნენ სიპიტოს ჯილაგის ხალხს წურბლებს. ველარ მოითმინა, აწონა აღარ დააცალა, ვედრო ხელიდან გამოსტაცა და გარეთ გამოვარდა.

— არა უშავს რა, ნაკლები იყოს, დაიწვება იგი ბიჭი სიცხით, — მიაძახა სატხად დარჩენილ სიპიტოს.

— აბა ფული შენ იცი, ბიძი, ფული, — დაადევნა უკან სიპიტომ.

მირბის ქიშვარდი, ვედროს ძირი გაბზარული აქვს და ყინვასავით ცივი წყალი ჩაუდის ხერხემალზე.

მაგრამ ქიშვარდი სიბრაზისაგან ვერაფერს გრძნობს, თავში უტრიალებს სიპიტოს სიტყვები: თქვენს ოჯახზე ამდენი ამაგი მაქვს გაწეული და ფარნამ სულ წყალში ჩამიყარაო.

„ამაგი, ამაგი“, იმეორებს გულში.

—ვერ იქნა ვერ დაიხსნა ფარნას ოჯახმა თავი სიპიტოს და პუპულას დამადლებისა და დამუნათებისაგან. მუდამ ასე აყვედრიდა მათ სიპიტო. მერე რა იყო საიმისო? ქიშვარდის კარგად ახსოვს ეს „ამაგი“. ერთი უღელი ხარი რომ მიაბარა სიპიტომ ფარნას და მის სანაცვლოდ ფარნა და ესმა შინაყმებივით მუშაობდნენ მთელი წლობით ამ „მოკეთის“ და „მოამაგის“ ოჯახში.

თავის ზურგზუდაც განიცადა ქიშვარდიმ ამ სიმდიდრით გალაღებული ნათესავის „ამაგი“. ერთხელ სიპიტომ ორი საპალნე სანახევროდ დამპალი ყავარი მისცა ფარნას ფიცრულის გადასახურავად და იმის საფასურში ფარნა და ქიშვარდი მთელ კვირას მუშაობდნენ სიპიტოს ყანაში. უნაგირაზე იყო ეს ყანა. ცუდი სიზმარივით აგონდება ქიშვარდის ამ დახაშ-

მულ უნაგირზე მუშაობა. ეს ყანა სოფელს ხუთი საათის სავალით იყო დაშორებული. შუაღამეზე წამოდგებოდნენ და გაემგზავრებოდნენ საგზლით დატვირთულნი. უძინარ ბავშვს დაღლილობა კისერს სწყვეტდა. მამა-ჯებდა ფეხშიშველი, გოროხებზე თითებს იმტრევდა. ჩავიდოდნენ დათენთილები, ნოყო წყლით გაიჭყიპებოდნენ და შეესეოდნენ სარეველათი გაკრულ ყანას. იქ დახაშმა პირველად ქიშვარდი. ციება დააწყებინა. ქინა-ქინა ძნელი საშოვარი იყო მაშინ. რამდენიმე აბი მისცა სიპიტომ და მის საბადლოდ ორ დღეს აბარვინა ქიშვარდის თავისი ბაღი.

რა დრო იყო, როგორ პარპაშობდნენ მაშინ სიპიტო და ყაისარა. მთელი სოფელი ხელში ეჭირათ. სიმინდის ტეხაზე, თხილის და ყურძნის კრეფაზე ქირას როგორ გაიმეტებდნენ. ვინ გაბედავდა მამითადში მიხმარებაზე მათთვის უარი ეთქვა. ობობასავით ქონდათ ქსელები გაბმული. აკი ამბობდა დღეს სკაჩია სიპიტოს საბაჟოს შესახებ.

განა ყაისარა ბობოლა არ იყო, პირველად რომ შემოიღო სამღვთოში მწვანილით ვაჭრობა? ყველა კრებაზე, სადაც რისიმე აშენების საკითხი დაისმებოდა, სამკითხველოს შეეხებოდა საქმე, სახალხო სახლს თუ საექიმო პუნქტს, ყველაფერი რომ გაჰყვიროდა (მისი ჩახჩახა ხმა ათას კაცის ხმაში გამოირჩევოდა).

არ გვინდა, არ გვინდა ვინცხა შესჭამს ახლა მაგ ფულსო. ეკლესია რომ დაანგრიეს და სახალხო სახლის შენებას შეუდგნენ, მაშინაც ჩხუბი ასტეხა ყაისარამ. კოჭები მე მეკუთვნის, მამაჩემმა შესწირა ეკლესიაო.

ყოფილი ერობის თავმჯდომარე ლონგინოზი კი კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დროს გაიძახოდა, კულაკები სად არიან ჩვენშიო. სიპიტოც კვერს უკრავდა, ჩვენებური შეძლებული გლეხი რუსეთის კულაკს მოჯამაგირედ ეკუთვნისო.

სიპიტოს განკულაკება დაუპირეს. ესმამ შვილის სიკვდილივით შეიცხადა ეს ამბავი.

მაშინ თითონ ქიშვარდიმაც ხომ უკან დაიხია, კომკავშირის ღია კრებიდან გამოიპარა, სადაც სიპიტოს და ყაისარას განკულაკების საკითხი ირჩეოდა.

ამ ფიქრებში გართული გარბოდა ქიშვარდი. ვერც კი შეამჩნია, როგორ აირბინა ცხენისზურგას ალმართი. თავში ერეოდა სკაჩიას დღევანდელი ნაუბარი, ცემენტის ამბავი და სიპიტოს საყვედურები. ასე აფორიაქებულმა შეაღო ოთახის კარები.

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲜᲐᲠᲘ

— გადამაყოლა იმ დამწვარმა ამ ერთ ფუთ თოვლს! — წამოიძახა ქანცგამოცლილმა ქიშვარდიმ და ვედრო ძირს დადგა. მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ხალათი მთელ ზურგზე მოლუმპოდა.

მკლავებ დაკარწახებული სარდიონი ისევ ავადმყოფს დასტრიალებდა. კოტოშებს ადგამდა გვერდებზე. ოთახი დენატურატის სუნით იყო გაჟღენთილი. ლამბაქზე სპირტი ლურჯ ალად ადიოდ-დადგრიდა სილოვანას ფართო გვერდზე კოტოშების მთელი წყება იყო გამწკრივებული

ცოტათი მოუფონა ავადმყოფს, თითქოს ბინდი მოშორდა თვალებიდანო.

— აბა ახლა თოვლის ბუშტი, ჩქარა! — სთქვა სადრიონმა, როცა კოტოშების დადგმას მორჩა. — ვისა აქვს ახლო-მახლო თოვლის ბუშტი?

— ალვასის აქვს, ალვასის, მარა ვინ წავა ახლა? — აწრიალდა თავგზააბნეული ელისაბედი. — დედა, რა მეშველება ახლა? ივაკიასს გადავირბენ, ბალანას გავაგზავნი. რავა მოვკალით ქიშვარდი დღეს სირბილით, საჭმელიც არ უჭამია, დედა რაფერ გამოშტერებული ვარ! — ვიშვიშობდა ელისაბედი.

მისმა შეწუხებულმა სახემ თუ იმოქმედა, რომ ქიშვარდიმ დაუფიქრებლად წამოიძახა:

— რას მერიდებით ასეთ დროს, მე მოვარბენინებ ამ წუთში! — მხოლოდ შემდეგ მიხვდა, თუ რა ძნელი საქმე იკისრა: საყორნის მთის გადავლა არ გაუჭირდებოდა ახლა ისე, როგორც ციცინოსას მისვლა.

არ იცის ქიშვარდიმ, როგორ შეხვდება ციცინო, გუშინ ასე კუშტად რომ მიატოვა. გუშინდელ საღამოს აქეთ თავიდან არ გამოსდის ციცინოსადმი მიმართული საყვედური. გულში იმეორებს — ჩემთვის არც კი შემოუხედავსო. ისიც ეფიქრება, თუ ბონდო როგორ შეხვდება. უკმეხი რაიმე რომ უთხრას ქიშვარდის და უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდოს, მაშინ რა ქნას, ჩხუბს ხომ ვერ აუტეხს ავადმყოფს.

ელისაბედს კი თავისი დარდი აწუხებდა:

— ჩემი სიკვდილი, შენ რავა მოგკალი და დაგახრჩვე დღეს! — დაიწყო წუწუნი ელისაბედმა. მაგრამ ქიშვარდი ყურს აღარ უგდებდა მის ბოდიშებს, თავის ფიქრებში იყო გართული. კიბე სწრაფად ჩაირბინა.

— ეჰ რაც მოხდება, მოხდეს! — გაიფიქრა — ამაზე უკეთესი საბაბი რაღა იქნება, ავადმყოფი ამხანაგის გულისათვის მივდივარ, ციცინოს სანახავად ხომ არა, — და ამ ფიქრზე თითონ დაიჭირა თავისი თავი: როგორ დაშორდა ისე ციცინოს, რომ საბაბის ძებნა სჭირდება მისას წასასვლელად.

არა, მარტო ციცინო არ არის ამაში დაბნაშვაე. ამ ბოლო დროს, საერთოდ, უძნელება ქიშვარდის სეფესას მისვლა. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა კოსტა დაბრუნდა. გრძნობდა, რომ სეფეს უფროსი ვაჟი კვიმატად ხვდება მას. ვერ იტანს კოსტა კოლექტივის მომხრე ხალხს და, თუმცა ცდილობს ამის დაფარვას, მაგრამ ვერ ახერხებს: სილოვანა ხომ თვალის დასანახვად ეზარება, კონწიმოლას რომ ეძახდა გაბოროტებით. მაგრამ ქიშვარდი რატომღაც ალვასიმაც აითვალწუნა. ბონდოს ჩამოსვლის

შემდეგ გულცივად ხვდება. მთელ ოჯახში მარტო სეფე და ბაქურია მისი მომხრე, ციცინო? ციცინოსი კი არაფერი იცის. განსაკუთრებით გუშინდელი დღის შემდეგ. ორ ცეცხლს შუაა. გული წინ მიუწევს, ფეხებს უკან რჩება. უნდა კი ერთი თვალით შეიჭვრიტოს, თუ რა ხდება ციცინოსას.

ბონდო, ალბათ, ფაშასავითაა წამომჯდარი და ნებივრობს. ციცინო თავს დასტრიალებს, ფიქრობს ქიშვარდი.

ჭიშკარში გაუბედავად შესდგა ფეხი. ფიქრობს, როგორ დაიჭიროს თავი, როგორი გამომეტყველება მიიღოს.

არა, რაც მოსახდენია, მოხდეს. მუდამ ასე მორცხვი და გაუბედავი ხომ არ უნდა იყოს. თავს ძალა დაატანა, ეზო გაიარა. ერთი წუთით პარმაღის წინ შედგა, უნდა გულის-ძგერა შეაყენოს. მაგრამ აქ უფრო მეტად აუტოკდა გული. სახლიდან ქალიშვილებისა და ყმაწვილების ხორხოცი მოისმის. ვიღაც სტუმრები არიან, გაიფიქრა მან და კვლავ შეკრთა. უფრო გაუძნელდა შესვლა. თავს ძალა დაატანა, ტანი ძლივს აათრია კიბეზე. პარმაღის ბოძს მიეყრდნო. გულს ბაგა-ბუგი გააქვს. ოთახიდან გიტარის ზუზუნი მოისმის, ვიღაც მიკნავებული ხმით მღერის:

„ჭლექიანი დღე იყო,
მზე ბრწყინვალე სტიროდა,
მთვარეს ნისლი ებურა,
ისიც იცრემლებოდა“.

ქიშვარდი სიმღერის დასრულებას უცდის, მაგრამ ახლა მეორე ხმამ წამოიწყო:

„გავა ზამთარი და გაზაფხულზე ...“

ქიშვარდიმ მაშინვე გამოიცნო ეს მეორე ხმა — კლეოპატრა იყო. ქიშვარდი გაუბედავად იდგა, თითქოს უკან გაბრუნებაზე ფიქრობდა, რომ უცებ კარები გაიღო და ის გამოვიდა პარმაღზე, ვისზე ფიქრიც მთელ დღეს თავში უტრიალებდა. ციცინოს ხელში ჭურჭლეულით სავსე ლანგარი ეჭირა, ბოძზე მიყრდნობილი რომ დაინახა, შეშინებულმა შესძახა, რომელი ხარო. შეკრთომისაგან თეფშები კინაღამ გაუცვივდა. როცა იცნო, სახე გაუბრწყინდა და ჩვეულებრივი ღიმი ჩაუდგა თვალებში. ესეც შენიშნა ქიშვარდიმ მთვარის შუქზე. ამან გაათამამა, ციცინომ მკლავში ხელი მოჰკიდა და სახლში შეიპატიჟა. ეუცხოვა ქიშვარდის გუშინ კუშტად განშორების შემდეგ ესოდენ გულთბილი შეხვედრა.

რა გულკეთილიაო,—გაიფიქრა და მთელი დღის სამდურავი ამოერეცხა გულიდან. მისი ღიმილი მალამოსავით მოეცხო ქიშვარდის დაკოდილ გულს. მაინც უხერხულად გრძნობდა თავს, მოსვლის მიზეზი ამცნო, მეჩქარებაო, მიახალა. ისე არეულად ლაპარაკობდა, თითქოს თავს იმართლებსო, რომ მოვიდა. ციცინო არ მოეშვა, ყინულის ბუშტს ბაქურიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავატანო. ამ დროს ოთახიდან კვლავ მოისმა ხმაურობა — და ხორხოცი. ქიშვარდიმ ფეხი გაიდგა, სტუმრები ყოფილან, ჩაუცმელი ვარ და ვერ შემოვალო. ციცინო არ მოეშვა.

— რის გერიდება, ჩვენი ბრიგადის ხალხია, ნენა ხაჭაპურს აცხობს და ცოტა ხანს დარჩი, — უთხრა ციცინომ. ხელი ჩასჭიდა მკლავში, ოთახში შეიყვანა და სტუმრებს წარუდგინა ხუმრობით, იცნობდეთო.

— მობურთავეს გაუმარჯოს! — შესძახეს სიცილით მამიამ და კაპიტონამ. ამან კიდევ უფრო დააბნია.

ქიშვარდიმ ბონდო მოძებნა თვალებით, მძიმე ავადმყოფი ეგულებოდა. გაუკვირდა, როცა ბონდო ჩვეულებისამებრ ქალიშვილების წრეში ჩამჯდარი დაინახა. ქალიშვილები მოსულიყვნენ ბონდოს სანახავად. და, თუმცა ნაღრძობ კოჭში მწვავე ტკივილებს გრძნობდა, იმდენი ვაჟკაცობა გამოეჩინა, რომ ზეზე წამომდგარიყო.

ბონდომ არაფერი შეიმჩნია. თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს მათ შორის. — ემატოს ჩვენს კამპანიასო, დაიძახა. ქიშვარდის მხოლოდ ის მოხვდა თვალში, რომ სუფრის გაწყობით გართული ალვასი რატომღაც პირქუშად შეხვდა.

ნეტავი რას მიწყრებაო, — გაიფიქრა. სკამის კიდეზე ჩამოჯდა უხერხულად. მხოლოდ ახლა იგრძნო დაღლილობა მთელ დღეს გახელებული რბენისაგან. ახალგაზრდები ყვავილნარის თამაშით იყვნენ გართული. ქიშვარდის იამა სილოვანას ოთახის გულშეწუხებულ ატმოსფეროდან ამ მხიარულებაში გადმოსვლა.

— აბა ქიშვარდისაც მიეცით ყვავილნარი, — სთქვა ციცინომ. ერთი წყება ქაღალდი გამოართვა მამიას, სახეგაჭრხლებული და აფორიაქებული რომ ეძებდა პასუხს, ალბათ, რომელიმე კვიმატ კითხვაზე თავის წინ გაშლილ ქაღალდებში. ციცინო თითონაც მიუჯდა გვერდში, რომ გაემხნევებინა. ერთი ქაღალდი ჩაიკითხა, გვირილაო, მიაძახა ქიშვარდის, ქაღალდი გადასცა და ისევ გავიდა სამზადში. ქიშვარდი ჩვეულებრივად ახალგაზრდების გართობის დროს სხვების ქცევას უკვირდებოდა და ამიტომ ვერ ებმებოდა საერთო მხიარულებაში. ახლაც სხვის თამაშს უყურებდა და თანაც ციცინოს ქაღალდზე პასუხს ეძებდა.

მამიას და კაპიტონას ეტყობოდათ, რომ სიმწრის ოფლში იწურებოდნენ. სახეგაშეშებულნი ისხდნენ, თვალები არეოდათ, თითეულს ხელში მთელი დასტა ყვავილნარი ეჭირა, მაგრამ მთელი ეს სიბრძნე თითქოს არ იყო საკმარისი ახალგაზრდების გრძნობების გამოსახატავად და მოთამაშეები ყვავილნარის ფურცლებზე აწერდნენ იმას, რაც მის შემდგენელის ფანტაზიას გამორჩენოდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ მამიას და კაპიტონას ტუჩები ქიმიური ფანქრით ჰქონდათ მოსვრილი. ბონდო კი მარჯვნივ და მარცხვნივ აწვდიდა ყვავილნარის ფურცლებს. ხშირად ზედმეტად თამამ

რამეს მიაწერდა. ქალიშვილები წითლდებოდნენ, მაგრამ მაინც ეს ერჩიათ დამუნჯებულ ბეკნია ვაჟებს. თანაც უჩურჩულებდა რალაცეებს ყურში კლეოპატრას, რომელიც ბონდოს ყოველ სიტყვაზე კისკასებდა ხმირად მანამდეც კი, სანამ ბონდო იტყოდა რასმე.

ქიშვარდის შეშურდა ბონდოს სითამამე. მანაც გადაშალა ყვავილნარის დასტა, ციცინომ რომ მიაჩეჩა ხელში. თამაშში ჩარევა სცადა. ციცინოს შეკითხვაზე პასუხს ეძებდა. რამდენიმე ფურცელი ჩაიკითხა, ვერაფერი გამოსძებნა შესაფერი. ციცინო ამ დროს უკანა ოთახში გავიდა. ყინვის ბუშტი გამოიტანა.

— ახლავე გავატან ბაქურიას, — გადაულაპარაკა ქიშვარდის, რომელიც თავდახრილი იჯდა და ქალალდებს ათვალიერებდა.

ყვავილნარის შემდგენელთ მთელი ქართული ლიტერატურა გადმოექოთებიათ, მაგრამ ისეთი მაინც არაფერი შეეტანათ ყვავილნარში, რაც ქიშვარდის ახლანდელ მდგომარეობას მიუდგებოდა. ქიშვარდი დიდ გასაჭირში იყო. ციცინოს გამოწვევაზე უარს ხომ ვერ იტყოდა, უკან ხომ ვერ დაიხევდა, რამე უნდა ამოერჩია, და სახეგაჭარხლებული დიდის გულმოდგინებით ფურცლავდა ყვავილნარს.

— არაფერი არ არის საიმისო, — ფიქრობდა ის სასოწარკვეთილი.

„მე თქვენთან ვპოვე მომაკვდავმან ჩემი წამალი წყლულისა“, ინუგეშებდა თავს ნარგიზი. არა, ეს მას არ შეეფერება. ქიშვარდის ახლა უფრო დაწყლულებული აქვს გული, ვიდრე ოდესმე. ქვევით ჩაიკითხა: „იგი მიენდოს სიყვარულს, ვინცა თავისა მტერია“ — ოხრავდა ზაფრანა. ეს უფრო ჰგავს სიმართლესო. გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო. ფიქრობს, გადააწოდოს თუ არა ციცინოს ეს ფურცელი. მაგრამ სანამ ყოყმანობდა, ციცინო უკვე წამოდგა და სამზადში გავიდა ხაჭაპურის მისახედავად. ქიშვარდიმ ახლა სხვა გამოძებნა: გაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო. ესეც ჭკუაში დაუჯდა. ეს აზრი არ იყო, მთელი ღამე რომ უტრიალებდა თავში, სიპიტოს სახლის დასაზვერავად რომ წამოაგდო შუალამისას? მოუთმენლად ელოდა ციცინოს შემოსვლას და ეს მოლოდინი მწუხარებად თუ იხატებოდა მის სახეზე. ალბათ, ამიტომ იყო, კლეოპატრამ „ყაყაჩო“ რომ გადმოაწოდა: „გამხიარულდი, ბუხარო, გულჩათხრობილი ნუ ხარო“. ქიშვარდიმ ძალის-ძალად გაიღიმა და რამდენიმე ქალალდი ჩაათვალიერა. ძლივს წააწყდა „სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია“-ო. ამ ტრფიალების ფორმულაზე შეჩერდა, საუკუნეების მანძილზე რომ გაშოიტანა ხალხმა. ცალკე გადასდო, სხვებში არ ამერიოსო. ფიქრობდა, ციცინო რომ შემოვა, გადავაწოდებო. დანარჩენ ფურცლებს ხელში ატრიალებდა, ათვალიერებდა ყვავილნარის უკანა მხარეზე მინაწერებს. ესენი უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე დანაბეჭდი. იმათ ამოკითვას შეუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რა უნდო ხარ, რა უგულო,
რა ორგული, ორგულური,
რა ძნელია ამის ცნობა,
თუ ვის ეტრფის შენი გული“,

სწერდა ვიღაც ენძელას საპასუხოდ.

ეს კარგი რამაა, მაგრამ ვის უნდა მისწერო. ეს მგონი ყველა ქალს მიუდგება, გაიფიქრა ქიშვარდიმ. მეორე ფურცელი აიღო. ერთგან არჯაკელის საპასუხოდ სფინქსისებური კითხვა იყო დასმული: „სილამაზეს სცემ პატივს თუ ადამიანობასო“. ერთი ბოდიშობით პაემანს თხოულობდა: „სად შეიძლება ერთმანეთს შევხვდეთ, თუ არ გეწყინებათო. და იქვე ფრჩხილებში იყო ჩასმული—აფთიაქთან ან სამკითხველოსთანო. „შროშანა“ სატრფოს გულის კარებს თავს ახეთქებდა, ნესტან-დარეჯნის წერილი მოემარჯვებინა:

„მე სიკვდილი არა მიმძიმს, შემოგვედრებ რადგან სულსა,
მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა“

და თავისებურად გადაეკეთებია: „მე თქვენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულში. ჩამრჩა გულში, ჩამრჩა გულში“ ბარე ათჯერ იყო გამეორებული. „ბუნებამ ყველაფერი შემოგვთავაზა, მე ახლა მაღელვებს თქვენთან ყოფნა, ვინ იცის, ხვალ სიკვდილი მელოდება. ეს კანონია დიალექტიკისა. სწერდა ვიღაც ღიღილოს საპასუხოდ.

ეტყობოდა დიდი, ჯაფა-გადახდილი იყო ყვავილნარი, ბონდომ რომ ჩამოიტანა ბათომიდან. მთელი სამღვთოს ახალგაზრდობის რომანიული წვა გადაეტანა თავის ზურგზე.

მის კითხვაში ქიშვარდი ოდნავ გაერთო, თავისი გასაჭირი დაავიწყდა, მაგრამ მაინც ვერ ჩაება საერთო მხიარულებაში. ისე თავისთვის ბუსავით იჯდა და ფურცლავდა ყვავილნარს. სხვებიც დიდად გართულნი იყვნენ ამ თამაშით.—სარკეში რომ იხედებოდე, უკეთესი იქნებოდაო, — ეწედა ერთგან. ნეტა ვის შეეხება ეს თავხედური მიმართვა, — გაიფიქრა ქიშვარდიმ და უნებურად შიფონერის სარკისკენ გაიხედა და თავისი გაჭარხლებული სახე დაინახა.

ამ დროს ციცინო შემოვიდა. ხაჭაპური შემოიტანა. ალვასიმ ალუბალზე დაყენებული არაყი და თხილი დადგა მაგიდაზე. ქიშვარდის თვალში მოხვდა ალვასის განსაკუთრებული ყურადღება ბონდოსადმი. სულ მას დასტრიალებდა თავს. ზედმეტი ერთგულებით ორი წყვილი დანა-ჩანგალი დაუდო წინ. ეს გადამეტებული ყურადღება შეუმჩნეველი არ დარჩათ ყმაწვილებს. მამიამ ქალიშვილებს გადაულაპარაკა — ისეთი კულტურულია ბონდო, რომ თხილსაც ჩანგლით სჭამსო. სხვებსაც თვალში მოხვდათ ალვასის დაუსრულებელი ყურადღება ბონდოსადმი, ყურთბალიში რომ შემოუდვა ფეხქვეშ. თითქოს მის მეტი არავინ უჩნდა თვალში.

ყმაწვილებმა ყვავილნარს თავი გაანებეს. ქიშვარდიმ ჯიბეში ჩაიდო გამზადებული პასუხი — „სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია“-ო. მაგიდა ტახტისაკენ მისწიეს. ქაფქაფა ხაჭაპურს [illegible] მაგრამ სახელდახელოდ დამზადებული ხაჭაპური ამდენ სულს რას გასწვდებოდა. ალვასი კი ბონდოს უბოდიშებდა, შენ რავა მოგეწონება ასე ნაუცფათევად გამომცხვარი ხაჭაპურიო. გულში კი ფიქრობდა — ნაუცფათევი კი არა საგანგებოდაა დამზადებული, მაგრამ ამ ლიანგს *) რას ეყოფაო. ხაჭაპური მართლაც მალე მოათავეს.

თხილის მტვრევის ხმაურში მამიამ ჩონგური ჩამოიღო. კლეოპატრას გადააწოდა, სთხოვა ემღერა. კლეაპატარა გაინაზა, მარგალიტამ იცის ახალი სიმღერებიო, და ჩონგური მას გადასცა. მარგალიტა დიდის ამბით შეუდგა ჩონგურის აწყობას. დიდხანს ეწვალა, თითონაც გაიტანჯა და სხვებიც გააწვალა. ხან სიმი უწყდებოდა, ხან ხრახნილი გამოვარდებოდა ტარიდან, ხან ჯორას დაუსხლტებოდა ფეხი, ტკაცანით დაეცემოდა ჩონგურის ტანზე და მოხარშული თუთის ფიცარს დიდხანს გაჰქონდა საამო ჟრიალი. თითქოს უკან გამოსცემსო წლობით დანამღერებ ჰანგებს. მაინც ვერ იქნა, ვერ ააწყო ჩონგური მარგალიტამ. ყველას მოსწყინდა ეს დაუსრულებელი სამზადისი. ყველაზე ადრე კი ბონდოს გამოელია მოთმინება, რადგან ნაღრძობი კოჭი დაუსივდა დიდხანს ჯდომისაგან და ტეხვა დაუწყო.

— გაათავე აწი, მაკინა, ნუ გადაგვაყოლე მაგ ჩონგურის აწყობას. ამდენხანს პიანინოს ააწყობდა კაცი, — გასძახა მან მარგალიტას.

მარგალიტამ საშინლად იწყინა, ძველი სახელი მაკინა რომ დაუძახეს. ამ ექვსი წლის წინათ გადაითქვა სახელი მარგალიტამ და როგორც თითონ ამბობდა, სიკვდილივით ეზარებოდა, თუ ვინმე ძველს სახელს მაკინას მოაგონებდა. ახლაც თითქმის აცრემლებული მიუბრუნდა ბონდოს:

— რა დეიჩემე ბიჭო, აი მაკინა, სიკვდილივით მძულს მაგი სახელი. რეიზა ვერ დეისწავლე ამდენხანს, მაკინა რომ აღარ მქვია. მარგალიტა მქვია, მარგალიტა. განგებ შობი შენ ახლა მაგას, — სთქვა მარგალიტამ. ცოტას გაწყდა ცრემლები მოადგა თვალებზე. მთელი სახე გაუწითლდა.

— რა ვიცი, მე შენ ნათლობას არ დავსწრებივარ. ახლა ბაღნებს აღარ ნათლავენ და ოცდაათი წლის ქალებს ვინღა მონათლავს, ხუცესი რომ არაა სამღვთოში.

მარგალიტა ამან კიდევ უფრო გააბრაზა. მთელ სახეზე სისხლი მოადგა, კისერიც კი გაუწითლდა. მის სახეზე ცხვირი ისედაც ფარავდა ყველაფერს, ღიმილის დროსაც კი, როცა მარგალიტა ნაზად გაშლიდა ტუჩებს, ცხვირი თითქოს შემტევად მოიწევდა წინ. ახლა კი სიბრაზი-

*) ლიანგს ჭარხალს ეძახიან გურიაში.

საგან კისერიც გაუწითლდა და ცხვირის მეტი თითქოს არაფერი ჩანდა მის ტანჯულ სახეზე. მისი სახის ეს ნაწილი დაუსრულებელი ოხუნჯობის საგანი იყო ყმაწვილებისათვის. ძმა არ ყავს მარგალიტას, ... მოესწრო ძმასავითო, ამბობდნენ მასზე მარგალიტა ისეთ ცუდ გუნებაზე დადგა, რომ გასაქცევად ემზადებოდა. ახლა მაგიდის ქვეშ ფეხით ეძებდა ტუფლს, რომელიც უჭერდა და გაეხადნა.

ციცინომ შეატყო, რომ მარგალიტას ბონდოს ოხუნჯობა ვერ მოენელებია. მათი შერიგება სცადა ბონდოს უთხრა, კარგი ახლა, ნუ გააფუჭე მხიარულობა, შერიგდითო. ბონდო ისე წამოდგა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. თითონ მივიდა კოჭლობით მარგალიტასთან. გვერდით მიუჯდა და მისი სკამის საზურგეს ხელი გადაადო:

— ახლა აპარატი რომ მქონდეს, სურათს გადავიღებდით შესარიგებლად, ასე, სოფლურად. მე ასე დავჯდებოდი, ხელებს დავიდებდი მუხლებზე, მარგალიტა მხარზე დამადებდა მარცხენა ხელს.

— მართლა გადავიღოთ ხვალ სურათი, — წამოიძახა კლეოპატრამ, — სოფლურად კი არა, კულტურულად გადავიღოთ.

— სოფელი შენ უკულტურო გგონია? ძალიან თავი აგიგდია! — სთქვა მამიამ.

ამ საუბარმა მარგალიტა ისევ სიმღერის გუნებაზე მოიყვანა. კვლავ შეუდგა ჩონგურის აწყობას. მაგრამ ვერა მოუხერხა-რა. ყველა გულგაწყალებული შეჰყურებდა მარგალიტას.

ბონდომ ქალიშვილებს მოუხმო თავისთან: აქ მოდით, სიყვარულის ფორმულას გასწავლითო. ყმაწვილები დაინტერესდნენ სიყვარულის ფორმულით. ყველამ ბონდოსთან მოიყარა თავი. ბონდომ კაპიტონას ფანქარი გამოართვა და ციცინოს ალბომში ჩახატა ეს ფორმულა:

$$\frac{\text{სიყვარული} + \text{მომენტი}}{\text{ალიმენტზე}} = \text{ჯამაგირი } 1/3$$

ყველა ამ ბრძნულ ფორმულის ამოკითხვას შეუდგა. ისეთი ხარხარი ატყდა, რომ მარგალიტა ყველას გადაავიწყდა. მას ხალხი შემოეცალა, და ნერვიულობისაგან თუ იყო, ჩონგურის სიმი ხელახლა გაუწყდა. ესეც ბონდოს გადააბრალა. გადასძახა:

— ძაან არითმეტიკა გისწავლია ბათომში, რაღას ემართლება დედაშენი იმ არითმეტიკის მასწავლებელს, რომ სწყევლის და დუგავს, დამიჭლექა ბიჭიო.

ბონდომ წყენა არ შეიმჩნია, თითონაც სხვებთან ერთად გადიხარხარა. მარგალიტას სიტყვებზე, ბრაზი კი გულში ჩაიხვია და, სანამ მარგალიტა ჩონგურს ააწყობდა, ლურჯ ბაფთაზე ჩამოკიდებული გიტარა ჩამოიღო კედლიდან, თვალები მარგალიტას გამოსაჯავრებლად განაბა, თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდზე გადახარა, სიმებს თითები ჩამოჰკრა და მარგალიტას მინამსგავსი მიკნავებული ხმით დაიწყო:

„ჰერიო, ჰერიო, მეც იმისთვის ვმღერიო,
ჩემი ბიჭი უნდა გახდეს გლავნი ინჟინერიო“.

ბონდოს სიმღერა საერთო სიცილმა დაჰფარა, მარგალიტა კი ისევ აილეწა. გაბრაზება ვერ დაჰფარა. ყველა იცოდა, რომ მარგალიტას მითიური სატრფო ჰყავდა, სახელად გოგი, რომელსაც „მარგოს გოგის“ ეძახდნენ ხუმრობით. გოგი საინჟინეროზე სწავლობდა თბილისში. მარგალიტას და გოგის რომანი აგერ ექვს წელიწადს გრძელდებოდა. გაუთავებელი მიწერ-მოწერა ჰქონდათ. სამღვთოს ფოსტის მოწიგნარი დაშვრა მათი წერილების ტარებით, მაგრამ ეტყობოდა, რომ „მარგოს გოგი“ ინსტიტუტის დამთავრებას არ აპირებდა. მარგალიტას კი გათხოვება უგვიანდებოდა, თმაში უკვე ვერცხლის ძაფები გამორეოდა და, თუმცა ყოველ ღერს გულმოდგინედ გლეჯდა და წარბებსაც იპუტავდა, მაინც ეს ჟამთა სვლასთან ბრძოლა უნაყოფო იყო. მეგობრებიც ურჩევდნენ — დაანებე გოგის თავი, ხომ არ გინდა შეაბერდე მასზე ოცნებასო. ყველამ იცოდა ეს ამბავი. მარგალიტაც იფერებდა მომლოდინე სასძლოს ტრაგიკულ როლს. ეს მითიური საქმრო თითქოს ამართლებდა სხვების თვალში მის ქალიშვილობის ხანდაზმულობას. მაგრამ მისი გრძნობების ასე სააშკარაოზე გაფოტანა და ისიც ყბად ასაღებად, მარგალიტამ ვერ მოითმინა. ისევ ციცინო ჩაერია საქმეში. ძლივს დაამშვიდა გაფხორილი მარგალიტა. ანუგეშა, ახლა ჩემზე და კლეოპატრაზე იმღერებს ბონდო რაიმე მწარე ლექსებსო. როგორც იყო, დაწყნარდა, მაგრამ ბონდოს მაინც არ შეარჩინა მარგალიტამ ყბად აღება. ჩონგურის აწყობას აღარ დაუცადა, სიმებს თითები ჩამოჰკრა და დაამღერა:

„ინდიგო რომ შეგიკერავს, კოვერკოტი გგონია,
შენი ქეციანი თავი დიდი ვინმე გგონია“.

ბონდოსადმი შურით ავსილმა ყმაწვილებმა მოწონების ტაში დაჰკრეს. განსაკუთრებით ქიშვარდის იამა, რომ ბონდოს უკბინეს. ყმაწვილები მარგალიტას აქეზებდნენ, აბა, მარგო, დასცხე მასეთი მწუთხე-მწუთხე, არ შეარჩინო ერთი იგი მიუმღერე, კედლის გაზეთში რომ გასწერეს ნარდის თამაშზე — „დობიროში ვდურთე თავიო“. მარგალიტამ ხელად შეასრულა ყმაწვილების შეკვეთა. ქიშვარდიმ თავი დახარა. ლექსი რომ მისი გამოთქმული იყო. და ეს ბონდომაც კარგად იცოდა. ბონდომ კი შური ისევ მარგალიტაზე იძია. ხუმრობაში ჩაატარა ეს მისი სათრეველი ლექსი. სიცილით მიაძახა მარგალიტას:

— მასე მაღალი ხმით ნუ მღერი, თვარა ვინცლა გაიგონებს და რპერაში მიგიწვევს!

მარგალიტას ახალი სიმღერის დაწყება უნდოდა, ბაგრამ ბონდომ დაასწრო და დაამღერა გიტარაზე:

„მარგალიტა ხუტულიო,
წარბებ-გამოპუტულიო“.

თუმცა ყმაწვილები მარგალიტას მხარეზე იყვნენ, მაინც სიცილი ვერ შეიკავეს. ყველაზე მეტად მამია ხარხარებდა, თუმც ის დიდი ხანია ცდილობდა გოგის ადგილი დაეჭირა მარგალიტას გულში და მაზე ამბობდნენ, მარგალიტასთან „გრძნობა“ აქვსო. მას უგზავნიდა დღეს ყვავილნარის ფურცლებს. მიტომ ქონდა ტუჩები მოსვრილი ქიმიური ფანქრით:

— რა მასხარაა! — მოწონებით გადაულაპარაკა კლეოპატრამ ქიშვარდის ბონდოს შესახებ.

ქიშვარდისაც შეშურდა ბონდოს ნიჭი საზოგადოების გამრთობისა. რა უნარი აქვს ასეთი, გაიფიქრა. ქიშვარდიმ რომ რაიმე სთქვას წვეულებაში, მთელ საათს უნდა აწყნაროს ხალხი. ბონდომ კი საკმარისია ერთი პირი გააღოს და ყველანი უკვე ხარხარს იწყებენ.

მარგალიტამ ბონდოს ლექსი შეურაცყოფად მიიღო. აბრეშუმის თავსაფარს ხელი დაავლო და კარებისაკენ გავარდა. ამან დაარღვია საერთო მხიარულება. ყველანი ზეზე წამოცვივდნენ. ძლივს მოაბრუნეს ციცინომ და კლეოპატრამ.

— აბა მოდით ყარყუმობია ვითამაშოთ! — სთქვა მამიამ, ქუდი აიღო და ჩამოატარა.

— აბა ვინ რას ჩამოხვალთ.

ზოგმა სავარცხელი ჩასდო, ზოგმა მკერდის საკინძი, ზოგმა აბრეშუმის ცხვირსახოცი. ქიშვარდიმ თავისი სადაფის ტარიანი ჯაყვა ჩააგდო ფანტში. ყარყუმად ბონდო არიჩიეს. ყადივით წამოჯდა ტახტზე. ყარამანამ ქუდში ხელი აურია. ამოიღო რალაც ნივთი მუჭაში დაიჭირა და ყარყუმს მიმართა:

— ამის პატრონს რა ეკუთვნის?

— დაიძახოს, ქალი მინდა და რა ვქნაო, — დაადგინა ბონდომ.

ყველა გულის ფანცქალით მოელის მამიას მუჭის გაშლას. ყველას ეშინია, მისი ნივთი არ აღმოჩნდეს შიგ. მამიამ ნელა გაშალა მუშტი ყარამანას სავარცხელი აღმოჩნდა. წრის შუაგულში გაადგეს ყარამანა. უხერხულად იგრიხება, იცის რომ უწმაწურ რამეს მიაძახებენ. ძლივს ამოღარღნა:

— მართლა რა ვქნა, ქალი მინდა ძაან!

ყოველი მხრიდან ისმის შეძახილი. ზოგი სად გზავნის, ზოგი სად. გათავდა ყარამანას გასაჭირი. ისევ ჩაჰყო მამიამ ქუდში ხელი. დიდხანს

აფათურებს, ნივთებს ურევს. ქიშვარდის გულს ბაგა-ბუგი გაუტეხს. ფიქრობს, ვაი თუ ჩემი ჯაყვა ამოიღოსო. გრძნობს, რომ სისხლი მოაწვა სახეზე და' რატომღაც ცხვირის წვერი აუქავდა. თითქმის ეჯავრებოდა ანტანა. აქეთ-იქით იცქირება, თითქოს გასაქცევად ემზადებაო. იცის, რომ ბონდო რაღაც სისაძაგლეს დააკისრებს. შურს იძიებს მასზე.

— ამის პატრონმა რა ქნას?

— სარკედ იქცეს, — აცხადებს ყარყუმი.

მამიამ ისევ გაშალა მჯიღი. კაპიტონას ფანქარი აღმოჩნდა.

ახლა ვინც რას გააკეთებს, სარკემ მას უნდა წაბაძოს. ზოგი ვირივით აბარტყუნებს ყურებს მის წინ, და კაპიტონაც სარკესავით იმეორებს ამ მოძრაობას, ზოგი ჩაბუქნავს და კაპიტონაც მას მიბაძავს, ხალათზე წაავლებენ ხელს. არის ერთი ხარხარი და სიცილი.

— ვისია ეს საკინძე? — კითხულობს მამია. პატრონი არა ჩნდება.

ამოაქვს ნივთები მამიას და ბონდოს ფანტაზიაც გაცხარებით მუშაობს.

რა თამაში არ მოიგონა ბონდომ! ეს „მტრედების კვებაო" ეს ხიდიო, ეს „მათხოვარი და ჩანთაო". მათხოვარი ვაჟი იყო, ჩანთა — ქალიშვილი. რას გაიმეტებთო, ეკითხებოდნენ ქალიშვილს. თუ ვაჟი მოსწონდა, კოცნას გაიმეტებდა, თუ არა და სილით გაუმასპინძლდებოდა. ყველაზე კარგი „ნომერი" იმის გამოსარკვევად, თუ ვინ ვის მოსწონდა ის გამოდგა, „გულს, ფრთას და მახვილს" რომ ეძახდნენ. ქალიშვილს შეეკითხებოდნენ: ვის აძლევთ ფრთას, ვის აძლევთ გულს და ვის აძლევთ მახვილსო.

ციცინოს შეხვდა ეს კითხვა. ის დაიბნა. ქიშვარდი სასიკვდილო განაჩენივით მოელოდა ციცინოს პასუხს.

— მახვილი ვაჟკაცობის ნიშანია, — სთქვა ციცინომ, ქიშვარდისთვის ეს გაიმეტა.

— გულს ვიღას აძლევ! — მიაყვირეს მარგალიტამ და კლეოპატრამ. და ციცინომ რომ პასუხი არ გასცა, მის მაგივრად დაიძახეს: ბონდოს, ბონდოსო!

ისევ დაიჩაგრა ქიშვარდი. შემდეგი ამოცანა „სამი მგზავრი და ერთი ნავი იყო". სამი მგზავრი უნდა გადაეყვანათ ერთი ნავით მდინარეზე. ესეც ციცინოს შეხვდა გამოსახსნელად.

— ვის გაიყვან გაღმა, ვის დასტოვებ გამოღმა და ვის ჩააგდებ წყალშიო.

— ქიშვარდის გადავიყვან, — წამოიძახა უცბად ციცინომ.

— ის უფრო სანდოა და იმიტომ, — მიაძახა კლეოპატრამ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ეს ვისია? — დაიძახა მამიამ და ქიშვარდის ჯაყვა ამოიღო ქუდიდან.

ბონდომ გამოაცხადა, მტრედების კვებაო.

ციცინო და ქიშვარდი ერთმანეთთან ზურგშექცევით უნდა დამსხდარიყვნენ და სამჯერ დათვლის შემდეგ ერთმანეთისაკენ შემობრუნებულიყვნენ. თუ ერთი მხრით დაურჩებოდათ მიბრუნებული სახე, ერთმანეთისათვის უნდა ეკოცნათ. თუ სხვადასხვა მხრივ, სილა უნდა გაერტყა ქალს.

ქიშვარდი გაჭარხლებული გამოვიდა წრეში. მზად იყო, გარედ გავარდნილიყო. ჯერ რაღაც უხერხულად ამოაღარღნა:

— ამნისტიას ვაცხადებო! — მაგრამ საერთო ღრიანცელში მისი ნათქვამი ვერავინ გაიგონა. ძალად დასვა კლეოპატრამ სკამზე ციცინოს გვერდით. შემთხვევით იყო თუ განგებ, სამჯერ დათვლის შემდეგ ციცინო მისკენ მიბრუნდა და არც შერხეულა, ისე მიუშვირა სახე, თითქოს იცოდა ქიშვარდის სიმორცხვის ამბავი. ქიშვარდი მაინც უხერხულად იჯდა.

— რა ბრინჯივით დაიბენი! დედაბერი ხომ არა ხარ, თუ ფანტში ვერ აკოცებ ქალიშვილს, ისე ხომ სულ ვერ მოახერხებ! — მიაძახა გასამხნევებლად მამიამ. ქიშვარდის ტუჩები ციცინოს ლოყას შეხო; იმ წუთში ზეზე წამოვარდა და ყმაწვილების წრეში გავიდა, რომელთაც უკვე საცეკვაო ჩაგუნა წამოიწყეს.

ეტყობოდა, წვეულება ორ მოწინააღმდეგე ბანაკად იყოფოდა. ბონდოსადმი შურით ავსილი ყმაწვილები განზე გავიდნენ, მაგრამ ქალიშვილები კვლავ ეხვეოდნენ გარს ბონდოს, შენ რომ ცხვირსახოცის ფოკუზი იცი, ის გვაჩვენეო.

მამიამ მარგალიტას ჩაავლო მკლავში ხელი და ისე ეწეოდა თავისკენ, რომ ჩრია მკლავი კინალამ ამოუგდო სახსრიდან. არ იქნა, ვერ მოსწყვიტა მარგალიტა ბონდოს წრეს. გაჯავრებულმა მიანება თავი — აწი ჩვენ შორის უფსკრულიაო, მიაძახა.

ბონდო კი ფოკუსის ჩვენებას შეუდგა. ციცინოს აბრეშუმის ცხვირსახოცი გამოართვა, სახე დაიგრიხა, თვალები ნუშივით მოწურა, ცანცარით დადიოდა, თავს აქიცინებდა და ვითომ ჯამბაზ ჩინელს აბრაზებსო, უცხო ხმაზე ჰყიოდა: „შინდირ, მინდირ, ფოკუზ, მოკუზ, იჰა! იჰა! იჰა!“ ცხვირსახოცს სული შეუბერა და „გააქრო“. შემდეგ დაკარგული ცხვირსახოცის ძებნას შეუდგა, ხან იდაყვიდან ამოუღებდა ქალიშვილებს ცხვირსახოცს, ხან გულისპირიდან. ალვასიც ქალიშვილების წრეში იდგა და ალვისით შესცქეროდა ბონდოს.

ყმაწვილები გარიყულნი დარჩნენ. შურით შეჰყურებდნენ ბონდოს ფოკუზებს. მამიამ დაუძახა:

— შენ ნამეტან ნახუნაგს ნუ არტყამ მაგ ფოკუზით!

ქიშვარდიც შურმა აიტანა. რა გულით სურს იცოდეს ყველა ის გასართობი, რაც ბონდომ იცის! ისიც ხომ ყურადღების ცენტრში იმყოფება მაშინ. სიცოცხლეს მისცემდა ახლა ერთი ფოკუსის გულისათვის. მართლა თაფლი ხომ არ სცხია ბონდოს, ყველა რომ მას ეხვევა! მამია ყმაწვილებს უამბობდა, თუ როგორ გააცურა ბონდომ ამ ფოკუსით ავტობუსის კონდუქტორი ბათომში:

— თუმნიანი მისცა ბონდომ კონდუქტორს და ამნაირი ფოკუზით თვალდახელშუა გამოართვა ის თუმნიანი, ხურდაც მიიღო და ბილეთიც.

რაკი ვერაფრით მოახერხეს ბონდოს წრის დაშლა, ყმაწვილები პატეფონის ფირფიტების გამორჩევას შეუდგნენ.

— ერთი ის დადგი: „შავო ბიჭო, გენაცვალე, თეთრო, გამეცალეო". ნამეტანი კაი ჩაძახილია. მაგი სწორედ ჩემზედაა გამოთქმული, — იძახდა მამია და ისევ თავისკენ ეწეოდა მარგალიტას. მარგალიტა კი ბონდოს წრისკენ მიიწევდა.

„ქალმა სთქვა, ქმარი არ მინდა" დაუდო ყარამანამ. ყმაწვილები პატეფონის ირგვლივ შეჯარდნენ და სიმღერა ააყოლეს. მანქანას პირიდან ართმევდნენ ჰანგებს. მამია წვრილს აწევდა, კაპიტონა კრიმანჭულს, ქიშვარდი ბანს ეუბნებოდა.

„ორერა", იძახოდა პირველი მუხლი, ხოლო მეორე ცაში ისროდა ამ „ორერას", საქანელასავით არყევდა ჰაერში. ყმაწვილმა საცეკვაო ოჩაგუნაზე გადაიყვანეს ეს სიმღერა და მამიამ უკვე საცეკვაოდ აიწყო ფრთები. ხელები გაშალა, დავლას აპირებდა, მაგრამ ამ დროს უკანა ოთახიდან სეფეს სულ-შეხუთული ხველების ხმა მოისმა. სეფეს შეკვნესებაზე მამიამ ხელები თავზე დაიდო, მოიხარა და ფეხაკრეფით გაძვრა კარებში. სხვებიც მიჰყვნენ. ერთხანს ეზოში ისმოდა ხორხოცი, შემდეგ ორლობეებს მოედო მხიარულება. დიდხანს ისმოდა „ორერა, ორერა", ყიჟინა, ძაღლების და ტურების გამოჯავრება.

ქიშვარდი კი ისევ გულ-დაძმარებული ბრუნდებოდა შინ. „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს", იმეორებდა გულში.

ყველგან შეიძლება ძალის გამოჩენა, მაგრამ „გრძნობის საქმეში" კი არა. არა, ბონდოს რაღაც „ნუსხა" აქვს. თავიდანვე მოსჭრა თვალი ციცინოს და ხელიდან გამოაცალა ქიშვარდის. ჰქონდა კი ციცინოს რაიმე გრძნობა ჩემდამი, ფიქრობს, ქიშვარდი. იქნებ ეს ბავშვური გატაცება იყო, ჯარღალაში ჩასახული სიყვარული და არა ნამდვილი „გრძნობა". რა იღონოს, მდინარეს გადალახავს ადიდებულს, საყორნიას მთას გადაივლის ამ შუაღამისას, მაგრამ რით უნდა მოინადიროს ქალის გული?

არა, სჯობს, ყველაფერი დაივიწყოს. აგროტექნიკოსთა კურსებზე წავიდეს და სანამ იქიდან დაბრუნდება, ჯარში გაწვევის დროც მოვა, გაიფიქრა და ხელი ჩაიქნია. ხელი ჯიბეს მოხვდა. რაღაც ჩაჭმუხნული ქაღალდი შეიცნო. ამოიღო, დახედა. ყვავილნარის ფურცელი აღმოჩნდა, ციცინოსთვის გადასაწოდებლად გამზადებული. მთელი საღამოს განმავლობაში მაინც ვერ მოახერხა გადაეცა. ისევ ჩაიკითხა მთვარის შუქზე ნარგიზის ქვეშ ხაზგასმული სიტყვები:

„სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟან ჟიონო

ლიდი ოკეანე

რომანი [1])

ოლივიეს კეფაზე ხელი ედო და ყვიროდა: „მომხვდა“, „მომხვდა“. ჩაჩქანი გადავარდნოდა.

ყუმბარა მოულოდნელად დაეცა მათ, თითქოს ცამ იჭექაო. მიწა ჯერ კიდევ ზანზარებდა.

ახლა თითქოს სიჩუმე კრუსუნებდა; მაგრამ ეს მხოლოდ მის ყურს ესმოდა ასე, ნამდვილად კი ყველგან მიწა განუწყვეტლად ბელტების შადრევნებს ისროდა. ოლივიეს საკუთარი ხმა საიდანღაც გარედან ესმოდა. თითქოს სხვა ლაპარაკობსო.

— მომხვდა, მომხვდა!

ბოლოს მოესმა მძიმე და ხანგრძლივი კვნესა, ისეთი ხმა, თითქოს აუზი იცლებაო. მკლავ-ქვეშ გაიხედა.

ორმოს ფსკერზე პირაღმა ეგდო დაფლეთილი, მუცელ-ჩაჭყლეტილი შოვენი. ლურჯი ცის ნაჭერს შესცქეროდა. თვალები გაქვავებოდა. როგორც როდინში ისე ურევდა ხელებს თავის მუცელში. მუშტებს წისქვილის ქვასავით ატრიალებდა. წელები ხელებზე დახვეოდა. ყვირილი შესწყვიტა. თავის წელებში გაიხლართა და გაშეშებული ხელებით ისინი მუცლიდან ამოიგლიჯა.

ოლივიემ კეფას ხელი მოაშორა და ზედ დაიხედა. სისხლი არ იყო.

— არა, არ მომხვედრია, — სთქვა.

მაგრამ უცებ გულისრევა ირძნო. ყელში რაღაც ებჯინებოდა, ლოყები ებერებოდა, ტუჩებს უხსნიდა, პირი დააღო და მარტოდ დარჩენილი ადამიანის კვნესა აღმოხდა.

— ვერდენთან, — უთხრა მალანმა.

— ეს, — სთქვა კლერისტენმა და გაშლილი ხელი პეწიან ქაღალდს დაჰკრა, — თითონ უნდა ნახო, რომ დაიჯერო. კიდევ ეს ფოტოსურათები, მე ვამბობ, მოჩმახულია. რა ძნელია მერე! ბიძია ლოსთან რომ მიხვიდე,

---

[1]) დასაწყისი იხ. №№ 1 — 2 და 6 — 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრუდე ცხვირიდან სწორ ცხვირს გამოგიყვანს. ბურლისაგანაც კი ლამაზ ვაჟკაცს გამოიყვანს.

ბურლმა ჩიბუხი პირიდან გამოიღო და სთქვა:

— წმინდა ლაპრი თავის ძაღლის ყეფას ყურადღებას არ აქცევს.

— რაც უნდა ითვალთმაქცონ, — სთქვა კლერისტენმა, რომელიც ჟურნალის თვალიერებას განაგრძობდა, — ეს მკვდრებია, ნამდვილად მკვდრებია. ამასთან მხოლოდ გერმანელები... ჩემი პატარა მეუბნებოდა, რომ ჩვენ ისეთი ზარბაზანი გვაქვს... თვითონ პარიზშია მონ-ვალერიანთან, მან ყველაფერი იცის...

— ვერდენში, — სთქვა მალანმა, — ვერ წარმოიდგენ, რა არ არის: იქ ცემენტში ჩასმული სიმაგრეებია. შიგ ყველაფერი აქვთ: სამზარეულო, საკითხავი წიგნები, სასადილო... ყველაფერი საუცხოოდ არის მოწყობილი.

— ის ადგილი სადღაა, სადაც ჟლეტენ? — ჰკითხა ბურლმა.

— როგორ? — სთქვა მალანმა, — როგორ? ვინ? ვის?

— დიახ, — სთქვა ბურლმა და ჩიბუხი გამობერტყა. — სად ჟლეტენ, სად?

— ვის, გეკითხები? — უთხრა მალანმა.

— ადამიანებს! შენ კი არა, მე გეკითხები, — სთქვა ბურლმა — სად ჟლეტენ?

და გადახედა ყველას, თვალებში ჩააშტერდა თითოეულს: მალანს, კლერისტენს, პანკრასს, ყველას, ვინც კი ჩიბუხს სწუწნიდა, ყველას, ვის უსიცოცხლო თვალებშიც ლურჯად მოკიაფე, მაგრამ გაყინული დღე ასახულიყო.

— . . . კაპიტანთან, — სთქვა ჩრდილმა.

— რა უნდა? — თავაუწევლად ჰკითხა ჟოზეფმა.

გზასთან იჯდა, ფერდობზე. ყველის დიდ ნაჭერს ღეჭავდა.

— ჰო, რა უნდა? უკვე ყველაფერი ავუხსენი.

— სთქვა, ჩემთან მოვიდესო... ასე სთქვა უთხარით, აქ მოვიდეს, მისი ადგილი აქ არისო.

— ჯანდაბას მისი თავი! მისი ადგილი სადღაა? — სთქვა ჟოზეფმა, — მაგრამ მაინც წამოდგა... — შენ სადღა ხარ?

— მე აქ ვარ, — უპასუხა ველოსიპედისტმა, — ფრთხილად, ველოსიპედის თვალს არ მოედო.

ღამის ნალექივით გაშლილ ტალახიდან ჟოზეფმა ფეხები ამოათრია. ძეულს ჩაუარა, რომელიც ისვენებდა. მან სრულად მიიღო თავისი წილი დაღლილობა, ღამე, ტალახი, შიმშილი, ძილი, რომელიც თავის ქალაზე ცეცხლის მუზარადად ჩამოცმოდა. დაქანცული იყო. გუშინ სალამოს უკ-

ვე იყო იქ ზევით. იმიტომ კი არა, რომ ბუნების სიმშვენიერით დამტკბარიყო. ყველაფერი ეს დაგროვილი იყო მის თავში, ფეხებსა და გულში; და საღგონებიან ადამიანისათვის ძნელი იყო კვლავ პერსპექტივა დგომოდა ყოველივე ამას და ხელახლა წასულიყო იქით.

— საღგონებიან ადამიანისათვის, — სთქვა მან. — ცოდნა იმისი, რომ ზევით მიდიხარ.

ასეული იქვე იყო სიბნელეში, გზის პირად. არავითარი ხმაური, დროგამოშვებით ვინმე ყელს თუ ამოიწმენდდა, ან სალაშქრო კარდალას თოფის კონდახს თუ მიაწკარუნებდა.

შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოდგებოდა, მაგრამ იგი არ იყო ბალახის შრიალის სასიამოვნო სიჩუმე. არა, იგი მძიმე და სქელი სიჩუმე იყო, ხუფქვეშ მოქცეული სიჩუმე. ჰაერი შეხუთულიყო დამდგარ წყალში ჩაძირულ მიწასა და დამძიმებულ კუნთოვან ღრუბლებს შორის, რომლებიც თითქოს ქვეყნის გარეცხვას ლამობდნენ. ღრუბლები არ სჩანდა ამ ღამეში. მხოლოდ გრძნობდი, გესმოდა, როგორ მისცურავდნენ, როგორ იხლართებოდნენ. მათი სიმძიმე მხრებსა და გულს აწვებოდა.

— ვინ არის?

— კავშირგაბმულობის ჯარისკაცი, — მიუგო ჟოზეფმა.

— სად მიდიხარ?

— კაპიტანთან.

— თქვენ იყავით დასაზვერავად?

მკაფიო ხმა იყო, ქალიშვილივით ნათელი, რაც დილის მზესა და მამლის ყივილს გაგონებს.

— დიახ, ჩემო ასპირანტო.

— მაშ თქვენა ხართ?

— დიახ, მე ვარ.

— მერე? — ჰკითხა წყნარად ახალგაზრდამ.

ბუჩქებიდან კაპიტანის ბურდღუნი ისმოდა.

— ეს ჩემი ღვედია, — ამბობდა იგი, — უკანა ღვედია. აი იქ მოედო, გეუბნებით... არა, არ მოსწიოთ, ბატონო რევერშონ, კარგად დახედეთ.

— კავშირგაბმულობა, — სთქვა ჟოზეფმა.

— ოჰ, მოხვედი! — სთქვა კაპიტანმა (მისი ღვედი უკვე აეხსნათ.) — ახლა საქმე გაიჩარხა, გმადლობთ, რევერშონ! აბა მითხარი, რას აკეთებდი?

— ვჭამდი, ჩემო კაპიტანო.

— ვჭამდი! სჭამდა! წასვლამდე დრო არა გქონდა, რომ გეჭამა? ხომ იცი, მუდამ ჩემს გვერდით უნდა იყო: ჩემთან, ჩემთან, ჩემ ფეხსაცმელთან გესმის? სადა ვართ ახლა?

— ახლა, ჩემო კაპიტანო... ჩვენ, ალბათ, წისქვილის მახლობლად უნდა ვიყოთ.

— რაო? უნდა ვიყოთო!.. გვერდითო! იყავი თუ არა ადასტურებ? ჰო თუ არა? იცი კი, სად ჯანდაბაში ვართ? ჰო თუ არა?

— ჩემო კაპიტანო, წისქვილის მახლობლად უნდა ვიყოთ. დასავლეთად რომ გავსწიე, პონ-რუჟს ავუარე, გზა იქით მიდის. წელან კი მარცხნივ მოვუხვიეთ გზაჯვარედინზე. ამ მხარეს არ ვიცნობ, ამასთან ღამეა...

კაპიტანს სული შეეხუთა, წამოხტა.

— აი, — სთქვა მან, — ბატონებო! უყურეთ ერთი ამას! ამ მხარეს არ ვიცნობო, აი როგორ მიპასუხებს! თანაც ღამეაო. ამას ჰქვია კავშირის დაჭერა! ჩემი რუკები თანა გაქვთ?

— წავიდნენ მოსატანად, ჩემო კაპიტანო.

— ჰო, მართლა! კარგი! რევერშონ, წადით, გამიგეთ, ოცეულებს ხომ არ ჩაეძინათ. არ მინდა ჩაეძინოთ. უთხარით ასპირანტს, ისიც აქ მოვიდეს. ყველანი აქა ხართ, იმის გარდა. ის ბიჭი მუდამ ჯარისკაცებთან დაეხეტება. შენ კი ცოტა აქეთ მოდექ! — უთხრა ჟოზეფს.—მაშ მოსაზრება არა გყოფნის მითხრა — სად ვიმყოფებით. კარგი სექტორი ხომ მაინცნახე? ხომ იცნობ?

— დიახ, ჩემო კაპიტანო, ვიცნობ, — უპასუხა ჟოზეფმა.

— მერე?

— ვერ არის კარგად.

— ვინ ვერ არის კარგად?

— აი, ჩემო კაპიტანო, წავედი დასავლეთად: იქ ხვრელია, სწორედ ვრენიეს იქით. იქ გზას არა უშავს რა, მე-13 ნომრის ქვეშ შეიძლება გავლა. გვირაბია. იმის იქით დილიდან საღამომდე უშენენ. ყველაფერი დანგრეულია. ზევიდან უნდა მოვუაროთ.

— მოვუვლით ზევიდან.

— აი აქამდეა იქ ტალახი.

მუხლზე ხელი წაივლო.

— სადამდე? — ჰკითხა კაპიტანმა, რომელიც სიბნელეში ვერაფერს ხედავდა.

— მუხლებამდე.

— ტალახსაც გავივლით. ჰოდა, სად ვერ არის კარგად?

— შემდეგ, ჩემო კაპიტანო, არხია, ზედ კიდევ ბოგირი. აი ამ ბოგირს — ზარბაზნებს ნიშანში აქვთ ამოღებული.

— მერე?

— პირველი ოცეული მარჯვნივ არის მოტეხილ ხემდე, სხვები მარცხნივ — გორაკ 120-დე. სანგრები აღარ არის.

— როგორ, სანგრები აღარ არის?

— ტალახში ჩაიფლენ.

— საფარი?

— არც საფარია, ჩემო კაპიტანო! ყველაფერი ტალახშია ჩაფლული.

— არც ერთი საფარი არ არის?

— არც ერთი.

— მერე კაპიტანი სად იყო, შენ რომ მიხვედი? სად, რომელ საფარში?

— ორმოში იყო გაწოლილი თოფით ხელში. ვკითხე: ეი, სად არის შენი კაპიტანი მეთქი — მიპასუხა: მე ვარო.

გზიდან მოისმა მათკენ მომავალი ლეიტენანტის რევერშონისა და ასპირანტის ფეხის ხმა. ჟოზეფმა ჩაახველა.

— ბოგირზე კი, ჩემო კაპიტანო...

— რა იყო ბოგირზე?

— ბოგირზე, ჩემო კაპიტანო, სიფრთხილე გვმართებს. ეს ბოგირი აქვთ ნიშანში ამოღებული. ტყვიამფრქვევებს და თოფებს სასკდომი ტყვიებით განუწყვეტლივ ისვრიან. იმ კაპიტანმა მითხრა: დღე და ღამ გვითვალთვალებენო. ოდნავ ხმაურზე პროჟექტორით დაგვეძებენ და ისე ესვრიან ადამიანებს, როგორც ღორებს. გუშინ საღამოს, მგონი, მთელ საათს ესროდენ ვირთაგვებს, რომლებიც ბოგირზე დარბოდნენ.

— აი რუკები: — სთქვა ლეიტენანტმა მოსვლისთანავე. — ასპირანტს ჰქონდა, წასვლის წინ იმისთვის მიგიციათ.

— ჩემო კაპიტანო! — უთხრა ასპირანტმა, — თქვენ მითხარით: როდესაც დამჭირდება, მოგთხოვო.

კარგი! თქვენც აქა ხართ? სწორედ დროზე მოხვედით. მაშ რუკები გვაქვს, შეგვიძლია გავსწიოთ. მოითმინეთ, ეს-ეს არის სექტორის შესახებ ცნობები მივიღე. ყველაფერი რიგზეა. ბოგირი ყოფილა.

— არხზე?

— ჰო, არხზე. აბა. ბატონებო, წადით თქვენს ოცეულებში. ვუსტვენ. — დაუსტვენს.

ხმაურობა მისწყდება. ასეული გზაზე გამწკრივდება.

— განათება ხომ შეიძლება აქ?

— შეიძლება, — უპასუხა ჟოზეფმა. ჩვენ გორაკს ვართ მოფარებული.

კაპიტანმა ელსანათს მოუკიდა და ჯარისკაცებს მიუნათა.

ასეულის უკანასკნელ რიგამდე მუზარადებ-ქვეშ მოსჩანდა ბრწყინავი თვალები, თითქოს შუქმფენი ქვებიაო, ისეთი, ცხვრის ფარას მაშუქას რომ მიანათებენ და მაშინ გამოჩნდება.

— აი რას მღეროდნენ მაშინ, — სთქვა მალანმა, ამოახველა და ღუმელის ნაცარში ჩააფურთხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ მერცხლად მაქცია,
შორს, შორს გავფრინდებოდი;
სენტ-ელენეს კუნძულზე
მშვიდად მოვისვენებდი.

— ეს სიცოცხლის განადგურებაა მეთქი, — ჩაიბურღღუნა კრიჭაშეკრულმა ბურლმა. — სიცოცხლის განადგურებაა. აი თქვენ ჩიბუხს ეწევით, სხედხართ აქ... ჩემთვის კი, გაიგეთ, ასეა: თითქოს ვხედავდე, როგორ დაადგა კაცმა ნეხვში ამოსვრილი ფეხები ყურძნის მტევანს. ასეა ჩემთვის!

— ერეტიკოსი ხარ, აი ვინა ხარ შენ, — სთქვა ფირმენმა. — შეუთ.ნ ლაპარაკი არ შეიძლება, მაშინვე დიდებულ გამომეტყველებას მიიღებ, მქუხარე ხმით კედლებს შეაზანზარებ. მაშ, შენ ამჯობინებდი...

— არა, — უთხრა ბურლმა, — არაფერსაც არ ვამჯობინებდი. არაფერსაც არ ვამჯობინებდი.

იგი მუხლზე ხელს ზანტად ისვამდა. სქელ წარბებ-ქვეშ თვალები ასწია, რომ ფირმენისთვის კარგად შეეხედა.

— ვიცი, რასაც იტყვი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს, გესმის, ყველაფერი ეს ერთი ადამიანის სიცოცხლედაც არა ღირს, არა ღირს იმ სიხარულის დღეებად, იმ სიმშვიდედ და ბედნიერებად, რომლის მოპოებაც ადამიანის მშრომელ ხელებს შეუძლიათ.

და ჩიბუხიანი მარცხენა ხელი მაღლა აღმართა. ჩიბუხის გრძელი ტარი კანკალებდა, მის ბოლოში ნერწყვის ძაფი ქანაობდა.

— მხოლოდ საკუთარი ცხოვრების მოწყობა, გაუმჯობესება, რომელიც გარშემო ყველასთვის დასაყრდენია, მხოლოდ ეს, ხომ იცი ამისი ფასი?

— შვილი შენ არა გყავს, — სთქვა მალანმა, — არც სხვა ვინმე. რას გააბი ჭიანურივით.

ბურლი მალანისაკენ მიბრუნდა, ჩიბუხის ტარი კი ისევ ფირმენისაკენ ჰქონდა გაშვერილი და მის წინ აქანებდა, თითქოს ამბობსო: ამას მარტო მალანს კი არ ვეუბნები, ამას ყველა დანარჩენსაც ვეუბნებიო.

— არა, არა! შვილი არა მყავს, არავინ არა მყავს, მარტოხელა ვარ, დიახ!

ბურლმა შეკრული კრიჭა გახსნა და გაკვეულად დინჯად დაიწყო ლაპარაკი.

— იცი, რის თქმას მაიძულებს თქვენი ომი? ის მაიძულებს ვთქვა — უკეთესი! ღმერთმა უწყის, როგორ მინდოდა ჩემი ბელინასაგან შვილები მყოლოდა; ისე მინდოდა, რომ, როდესაც სოფელზე გავივლიდი, მალულად სხვის ბავშვებს ვკოცნიდი. ახლა კი ვამბობ: მით უკეთესი. ეჰ, ძალიან იცავთ თქვენს ბავშვებს, აქ, ღუმელს შეჰომსხდარნი, სითბოში, მუცელამოვსებულნი. არა, ბავშვები არა მყავს, (აგრამ ვიცი. სახლებში

არ მიცხოვრია, ვცხოვრობდი ფაცხაში; ჩემ ფეხს არ შეუსვენია, ცხვარს ნივუძლოდი, მთელი ცხოვრება ცხვარში ვტრიალებდი. სიცოცხლე პირუტყვთან გამიტარებია და ცხოვრებას თქვენზე უფრო კარგად ვიცნობ მთელი ავკარგით. ღრმად ჩამიხედავს ცხოვრებაში, მისი ძალა მიგრძვნია, ცხოვრება მთლიანად მინახავს დედამიწიდან მოყოლებული ვიდრე მაღლა ვარსკვლავებამდე. იცით, თქვენ ახლა რას აკეთებთ? მალან, იცი? გეუბნები შენ, რომელსაც სამი შვილი გყავს და რომელიც ჭამასა და ძილს არ იკლებ. ნეხვში მოსვრილი ფეხსაცმელით შენს შვილებზე დადიხარ; მათ თავზე, ტუჩებზე, თვალებზე; დიახ, შენ, შენ, მალან ახალჩიბუხიანი, მუდამ ღუმელს მიმჯდარი გასათბობად!

წამოდგა. სკამი ფეხით უკან მიაგდო.

— ამის ატანა აღარ შემიძლია! — სთქვა მან.

ჩიბუხი დინჯად დაბერტყა. ამ დროს სათითაოდ ყველას შეხედა. ყოველ მათგანს თვალი რაიმე ნივთისთვის მიეპყრო: ზოგი ღუმელის ხუფს შეჰყურებდა, ზოგი მინის სურას, ზოგი კედელზე მიკრულ ღვინის აფიშას. არავინ არ ცდილა ბურლისათვის თვალი გაესწორებინა. მან ნელა კარებისაკენ გასწია და გარედ გავიდა.

— შესდექით, შესდექით!

ვინც არხზე გადასვლა მოასწრო, გარბოდა პროექტორის შუქზე, ტყვიამფრქვევის ტყვიებქვეშ მოხრილი. მიწამ ჩაყლაპა ისინი. დარჩა მხოლოდ ჩუმად მოლივლივე სინათლის წრე, რომელიც ტალახსა და მკვდრებს აშუქებდა.

— შესდექით, შესდექით! — ჩუმად იმეორებდა მიწაზე გაწოლილი ჟოზეფი.

არხის ფერდობს მიჰკვროდა, ჩამალულიყო ბნელ, საიმედო ორმოში, სადამდეც პროექტორი ვერ აღწევდა.

— შესდექით! ნეტავ შესდგნენ. მაშ მათ აღარ ესმით! არ ესმით იქ, ბოგირზე!

ყვირიან. ფეხებს წყალში ტყაპანი გაუდის.

ჟოზეფი თავაუწევლად მხარზემოთ იცქირება: ერთი მათგანი ხელებით ბოგირის ძელს ჩამოჰკიდებია, ტანის ატანას ცდილობს, მაგრამ მხრებზე აბგა აქვს. პროექტორის სინათლეზე მოსჩანს. მკვდრებით გაჭედილი ბოგირი სიმძიმისაგან იზნიქება.

— ვერონ! ვერონ!

კუშპოს ხმაა. მაშ კუშპოა ის, ხელებზე ჩამოკიდებული, რაკი ვერონს ეძახის. თითონ ვერონი სადღაა? მკვდრებს შორის? თუ იქ ქვემოთ სადმე, ესმის და მიწით ყურებს ივსებს, რომ არაფერი გაიგონოს?

— ჰო, — ამბობს ჟოზეფი, — მოვდივარ.

ფართო მხრები წამოსწია. მაშინვე პროექტორის შუქი დაეცა გარშემო კი ღამე მღერის, ტყვია ფუტკარივით ირევა. ჟოზეფი კვლავ ჩაწვა, დაპატარავდა, აღარ განძრეულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერონ, ჩქარა, ჩქარა!

სწორედ ამ დროს ტყვიამფრქვევი ბოგირის ფიცრებსა და მკვდრების გვამებს ნაკუწ-ნაკუწად აქცევს.

— ჩქარა, ჩქარა!

— ღმერთო, ღმერთო! — ოხრავს ჟოზეფი.

— ჩქარა!

ახლა ტყვიამფრქვევი რაღაც თბილსა და ცოცხალს ახრამუნებს: თბილ ხორცში ღრუტუნებს.

— ვერონ!

ადამიანის სიმძიმისაგან წყალი იპობა; განთავისუფლებული ბოგირი ირწევა, ნელა კვნესის.

დილა ადრიან, როცა მიწას საკუთარი ოხშივარი ასდიოდა, ყოველთვის სიწყნარე ჩამოვარდებოდა. მკვდრების ფარაჯაზე ნამი ბრწყინავდა. განთიადის ქარი, მსუბუქი და გრილი, სადღაც პირდაპირ მიჰქროდა. ყუმბარით ამოთხრილი ორმოების ფსკერზე ტალახში წყლის ცხოველები ფუსფუსებდნენ. წითელთვალებიანი ვირთაგვები სანგრებს გასწვრივ ნელნელა მიდიოდნენ. ირგვლივ განადგურებული იყო ყოველივე ცოცხალი, გარდა ვირთაგვებისა და ჭიებისა. არ იყო არც ხე, არც ბალახი, არაფერი, გარდა ღრმა კვლებისა. გორაკის მაგივრად მხოლოდ ხორცგაცლილი, გახრული ძვლებიღა დარჩენილიყო. მაგრამ ყველაფერი ეს მაინც დილის ნისლში იყო გახვეული.

ისმოდა დუმილის ჩავლა, მისი ჩუმი ელექტროსებური ტკაცანი. მკვდრებს სახე ტალახში ჩაეფლოთ, ან ორმოდან მშვიდად იცქირებოდნენ. თან მის კიდეზე ხელები დაეყრდნოთ და მკლავებზე თავები ჩამოედოთ. ვირთაგვები უახლოვდებოდნენ და ყნოსავდნენ. მკვდრიდან მკვდარზე ხტებოდნენ, ჯერ პირტიტველა ახალგაზრდებს ირჩევდნენ, ლოყას დასუნავდნენ, შემდეგ ჩაცუცქდებოდნენ და შეუდგებოდნენ ხორცის ჭამას ცხვირსა და პირს შორის, შემდეგ ტუჩებს, გამწვანებულ ლოყას შეეჭცეოდნენ. დროგამოშვებით ულვაშებზე თათებს გადაისვამდნენ გასაწმენდად. თვალებს კლანჭების ოდნავი გაკვრით ამოუგდებდნენ მკვდარს და ლოკავდნენ ღრუს წამწამებს შორის. შემდეგ თვალს ჩაკბეჩნენ, როგორც პატარა კვეცხს, ნელა ღეჭდნენ ღრანჭმოქცეულნი, თან წვენს წუწნიდნენ.

დილაობით, როდესაც განთიადი ჯერ კიდევ კარგად არ იყო გაშლილი, განიერი ფრთების ნელი რხევით ყორნებიც თავის მოყრას იწყებდნენ. ისინი ბილიკებსა და გზების გასწვრივ დავარდნილ ზორბა ცხენებს დაე-

ძებდნენ. დავარდნილი ცხენების გვერდით, რომლებსაც მეტალები კაპერსის ყვავილის მსგავსად დასკდომოდათ, ეყარა აყირავებული ოთხთვალები და ზარბაზნები, ერთმანეთში არეული იყო [illegible] ვები, პური, ჯერ კიდევ დოლბანდ შემოხვეული საკვები [illegible] მეხების დენთის ყვითელი პატარა ჯოხები.

იქიდან ყორნები შავი ფრთების ფარფატით მიემართებოდნენ დაკლაკნილი სანგრების ჯვარედინისკენ, იქითკენ, სადაც გზაზე გადასარბენად ამოსასვლელი იყო. იქ სტოვებდნენ თავიანთ წარმომადგენლებს ღამღამობით სურსათის განმანაწილებელი რაზმები. ისინი სისხლისა და ღვინის ხსნარში ეყარნენ. მიწაზე გაშხლართულ ადამიანებს წაქცეული წვენის ვედროები ფეხებში გასჩხეროდათ. პურიც კი, რომელიც მათ მოჰქონდათ, რკინითა და ტყვიით იყო დახვრეტილ-დაფლეთილი. მოსჩანდა ადამიანის წვენით გაჟღენთილი სველი და წითელი პურის გული, თითქოს მკის დროს ღვინოში პური ამოევლოთ სტომაქის გასამაგრებლად. ყორნები სჭამდნენ პურს და ,,ბავე დროს დახტოდნენ ზედ, კლანჭებით ზელავდნენ მას. შემდეგ იმდენად თავხედდებოდნენ, რომ ცდილობდნენ მკვდრის თავიდან მუზარადი გადაეგდოთ. სულ ახალი მკვდრები იყვნენ, ზოგი ჯერ კიდევ თბილი და მხოლოდ ოდნავ გალურჯებული. ყორანი ჩაჩქნს მიაგორებდა. ზოგჯერ, როცა მკვდარი უხერხულად ეგდო, თითქოს პირით მიწას კბეჩსო, ყორანი თმასა და წვერზე ებღაუჭებოდა, სანამ კისრის იმ ნაწილს არ გამოუჩენდა, რომელიც წვერსა და მკერდის ბალანს ჰყოფს. ნაზი და ქორფა ადგილი იყო. წითელი სისხლი იქ ჯერ კიდევ იბუშტებოდა. ყორნები მაშინვე ამ ადგილს კორტნიდნენ, ტყავს ააძრობდნენ, შემდეგ დინჯად შეექცეოდნენ, დროგამოშვებით ჩხაოდნენ. დედალ-ყორნებს ეძახდნენ.

მკვდრები ინძრეოდნენ. მკვდარ, დაძრულ სხეულში ნერვები იჭიმებოდა და განთიადის შუქზე რომელიმე ხელი ნელ-ნელა ზევით აიწეოდა. ასე რჩებოდა შავი გაშლილი ხელის გული ცისაკენ აშვერილი. უზომოდ ღაბერილი მუცლები სკდებოდა და ადამიანი მიწაზე იკრუნჩხებოდა. ერთბაშად მოშვებული ძარღვები თრთოდა, თითქოს სიცოცხლის ნაწილი დაუბრუნდაო. მხრებს იშმუშნიდა, როგორც წინათ შერებოდა სიარულის დროს, მხრებს იშმუშნიდა როგორც ჩვეულებად ჰქონდა. ცოლი მას შორიდანვე სიარულზე გამოიცნობდა ხოლმე სხვებს შორის. ამ დროს ვირთაგვები გარბოდნენ მისგან. მაგრამ მხრებს ამოძრავებდა არა სიცოცხლის ძალა, არამედ სიკვდილის მექანიკა, და ერთი წუთის შემდეგ მკვდარი კვლავ უძრავად ეგდო ტალახში. ვირთაგვები ისევ უბრუნდებოდნენ.

ნაკელით უზომოდ გამაძღარი მიწაც კი ცდილობდა ჩვეულებრივზე უფრო ჩქარა ამოძრავებას. იგი თრთოდა, როგორც რძე ადუღების წინ. ხორცითა და სისხლით ძალზე განოყიერებული ქვეყანა თავის ძლევამო-

სილებისაგან სულს ძლივს ითქვამდა. აფორიაქებული მწვანე ტალღებს შორის ცოცხალი ტალღა იბერებოდა. შემდეგ მუწუკი პურის კანივით სკდებოდა. მოდიოდა ეს ორმოებიდან, სადაც ამდენი ადამიანი, ცხენი, ... მარხული, ფუვდებოდა ხორცის, მაუდის, ტყავის, სისხლის, ძვლის ცომი. ლპობის ძალისაგან კანი სკდებოდა. დედალი ყორნები მწვანე და ცისფერ მაუდის ბუდეებში მოუსვენრად იქნევდნენ ნისკარტებს, ვირთაგვები ყურებს სცქვეტდნენ ადამიანის თმითა და წვერით შემთბარ სოროებში. თეთრი, მსუქანი ჭიების გორგლები ჩამორეცხილ ფერდობზე დაგორდებოდა.

დილასთან ერთად უდაბნოდან დიდი საბარგულის რახრახი მოისმოდა. ეს იყო ადამიანების, ოთხთვალების, ზარბაზნების მდინარე, რომელიც ქვემოთ ხევში, გორაკებს შორის ხმაურობდა: ხორცის დიდი ტვირთი, მიწის საკვები.

დღე ფეხს ითრევდა, გათენებას აგვიანებდა. ჯერ დაფლეთილ ჰორიზონტს სინათლის არშია შემოევლო, შემდეგ მკრთალი ცეცხლი ღრუბლებში დაცურდა, სანგრების ხვეულებში წყალივით დაეშვა, ასეთი იყო გათენება. სინათლე გადნა ცისა და დედამიწის უსაზღვრო სივრცეში და ასე დარჩა — ძველი რუხი ბზისფერისა. ეს იყო დღე.

ბაბუა გზას მიუახლოვდა. მისკენ მომავალს დააცქერდა.

დელფინა წინსაფარს იქმუქნიდა.

— ხომ ხედავ? — სთქვა ბაბუამ, — ის არის.

ბაბუამ მუშტები მოკუმშა.

უცხო კი აუჩქარებლად მოდიოდა. ტალახს ფეხს არიდებდა, მალმალე ბალახისკენ გადაუხვევდა. ყვითელი ფეხსაცმელი უბრწყინავდა. ცხენის ჩარჩივით ლურჯი ხალათი ეცვა. მკერდზე ხალათი გახსნოდა, ქვეშ მოუჩანდა კურტაკის მაუდი, სუფთა საყელო, მშვენიერი ჰალსტუხი. ორი ჟანდარმი მოჰყვებოდა.

— სალამი პატიოსან კომპანიას! — სთქვა მან ათი მეტრის მანძილიდან.

ბაბუამ დააცალა ახლოს მისვლა.

— სალამი! — უპასუხა ბოლოს ხმადაბლა, უხალისოდ.

მოსული ბალახზე ფეხსაცმელს იწმენდდა.

— ზორბა ტალახი ყოფილა აღმართზე. საიდან გაჩნდა?

— წყარომ გადმოხეთქა.

— ნუთუ გადმოხეთქა! — სთქვა ადამიანმა.

ბაბუამ თავისი მაგარი, მოხუცი სხეულით გზა გადაღობა. ამნაირად გორაკის ფერდობზე შეაჩერა ადამიანი და ორი ჟანდარმი. სახლისაკენ არ გაუშვა.

ბაბუა იდგა წელში გამართული, მოკუმული, ტალახიანი მუშტები მზად ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანმა ხალათის უბეში ხელი ჩაიყო. საათი და ქაღალდი ამოიღო. საათს დახედა. ბაბუას ქაღალდი წინ აუფრიალა და გაუწოდა.

— თხებისათვის მოვედით, — სთქვა მან.

ბაბუას მომზადებული მუშტები არ გაუშლია.

— თხები არა გვყავს.

ადამიანმა ქაღალდი ტუჩებში დაიჭირა, დაუსტვინა და ჟანდარმებს გადახედა.

— ნახვა ხომ შეიძლება?

— ყველაფერი უკვე ნანახია, — უპასუხა ბაბუამ.

ადამიანმა ორი ნაბიჯი გადადგა ბაბუასაკენ. კარგად მოსჩანდა მისი მშვენიერი აბრეშუმნარევი ჰალსტუხი, ზედ დიდი, ცხენის ნალისებური ქინძისთავი. ბაბუამ ორივე ხელით დოინჯი შემოიდგა, რომ ასე გზა უკეთ გადაელობა.

— მამა! — დაუძახა დელფინამ.

— თავი დამანებე, გითხარი, ყველაფერი ნანახია მეთქი.

— მართალია, მაგრამ, — განუმარტა ადამიანმა და სალოკი თითი ასწია, — მაგრამ მაინც საჭიროა ვნახოთ, რადგან აი ქაღალდი: ეს რეკვიზიციაა.

— რის რეკვიზიცია?

— თხებისა.

— ძია შაბრან, — მიმართა ერთ-ერთმა ჟანდარმა, — თხების რეკვიზიციაა კოლონიური ჯარისათვის, ინდოელებისათვის, მათ გამოსაკვებად, ხომ გაიგეთ? ვიცით, რომ თქვენ ექვსი თხა გყავთ. სჯობს გამოტყდეთ!

— დიახ, მყავს, — უპასუხა ბაბუამ. — მერე რა? მყავს და ჩემთვის ვიტოვებ. შენი ინდოელები ფეხებზე მკიდია.

ადამიანმა ოდნავ მხრები აიჩეჩა; იქ, უკან, ხედავდა მთლად გონებადაკარგულ დელფინას, ერთად-ერთი წინალმდეგობის გამწევი ეს მოხუცი იყო; მას კი ორი ჟანდარმი ახლდა.

— აბა, — სთქვა მან, — გავსწიოთ! თუ ეს ჯიუტობს, ჩვენი ბრალი არ არის.

და ნაბიჯი გადადგა. მაგრამ ცხვირწინ ბაბუას მაგარი მუშტი დაუხვდა.

— შენი ბრალი იქნება, — უთხრა ბაბუამ. — თუ ერთი ნაბიჯი კიდევ გადმოგიდგამს, ქეჩოში ხელს დაგავლებ და რა ატრაბანიც არ უნდა ბრძანდებოდე, ერთს ისე დაგანჭლრევ, რომ რწყილებს ათი წლით დაგაკარგვინებ. მიფრთხილდი! შენისთანა ვაჟბატონი ბუმბულია ჩემს ხელში.

— მამა! — ყვიროდა დელფინა.

— თავი დამანებე! — გამოეხმაურა მამა. — ეს მამაკაცის საქმეა. რაც მინდოდა, ვთქვი. მორჩა დ გათავდა. კარგ რჩევას გაძლევ, აყლაყუდავ! გატრიალდი და გასწი, მხოლოდ ერთს, მაგრამ კარგ რჩევას გაძლევ. აქ სხვის ნება-სურვილზე სიარულს დაჩვეულნი არ არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გიჟია! — სთქვა ადამიანმა.

— თხებში ფულს მოგცემენ.

— არა!

— სავალდებულოა.

— არა და არა!

— არ ესმის. გეუბნებით, ეს ყველასათვის სავალდებულოა. ეს ინდოელებისათვის არის, ომისათვის, ომისათვის!

— მესმის, — უთხრა ბაბუამ, — კმარა ყვირილი, ხმა ჩაგეხლიჩება. მესმის, ძალიან კარგად მესმის, მეტის მეტად მესმის: ომია! მე კი გეუბნები არა-მეთქი, და ეს არას ნიშნავს. ჯერ ადამიანები, მერე პური, მერე ცხვარი, შემდეგ ცხენები, თხები, ყველაფერი, ყველაფერი მაგას მოუნდა. მერე, რატომ ყოველთვის ერთსა და იმავეს მიაკითხავთ ხოლმე? შენ რატომა ხარ აქ, რატომ? ვხედავ კარგ ფერხორცზე ხარ, აქ რას აკეთებ? ეი, ჟანდარმებო! ეს კაცი აქ რას აკეთებს? იქ ამისათვის ადგილი არ არის თუ? დღეს იქ აუცილებლად მოჰკლავდნენ ვინმეს, ადგილი თავისუფალია. როგორ ჰფიქრობთ, განა შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს ასე? ჯერ შვილი, მერე ცხენი, პური, ახლა თხები! მითხარით, მხოლოდ თვალებს გვიტოვებთ სატირლად? ამას იმიტომ გვიტოვებთ, რომ იცით დაგვჭირდება. ვინ იძლევა ყველა ამ განკარგულებას? სად არის ის შეშლილი, ვინც ასეთ განკარგულებას იძლევა?

ადამიანმა ჟანდარმებისაკენ დაიხია.

— კამათის დრო არ არის, — სთქვა მან, — ყოველთვის ერთი და იგივეა. გვითხარით — ჰო თუ არა!

— არა!

— უარს ამბობთ?

— უარს ვამბობ!

— მალე გაიგებთ ახალ ამბავს ჩემგან.

— გმადლობთ, — უთხრა ბაბუამ, — ძალზე გაგვახარებთ, მხოლოდ ხშირ-ხშირადაც ნუ მოიწერებით.

როდესაც მათ ზურგი იბრუნეს, ბრაზმორეულმა ბაბუამ ბოროტად და სევდიანად ჩაიცინა.

— ქუდი მომე, — უთხრა ბაბუამ დელფინას, სახლში შესვლისას. — მერი უნდა ვნახო. შენ ნუ სწუხარ, — განაგრძო მან, — დელფინა, ჩემო შვილო, ეს რომ ნამდვილი რეკვიზიცია ყოფილიყო, ქალალდს მივიღებდით, გამოაქვეყნებდნენ. გზირი მოვიდოდა. აქ არაფერია. მერე ეს ორი ცხვირჩამოშვებული ჟანდარმი. რალაც უწესობაა, გეუბნები, მომე ქუდი, ბატისტენს ვნახავ.

ამ დილით მშვენიერი ჰაერი იყო: მოოქროვებული ჰაერი, მოთბო, ნაზად მთრთოლვარე. ისეთი მსუბუქი და მოალერსე, თითქოს გიღიტინებსო. ცა მოწმენდილი იყო.

ბაბუამ დიდი შავი ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და თავჩაღონული გასწია. ერჩია თვალდახუჭული წასულიყო, მაგრამ ის მაინც ვერ ბედავდა გზას, გათავხედებული ბალახბულახით დავიწროვებულს. [illegible] ურმე გზას მხოლოდ ზონარის სიგანე შერჩენოდა. აქ ადამიანები აღარ დადიოდნენ. სქელმა ხორციანმა მათოთმა ამოავსო ურმის თვლის კვლები. იმასაც კი, რაც შუაზე ბილიკივით მიიკლაკნებოდა, ხავსი მოსდებოდა. ბაბუას მძიმე ლურსმებიანი ფეხსაცმელი ეცვა. ბალახს ფეხს მაგრა ადგამდა, რომ გაესრისა, ზედ თავისი კვალი დაეჩნია, რომ გადაერჩინა ადამიანებისათვის გზა და ყველაფერი ის, რასაც ახლა ბალახის შეუჩერებელი ზრდა ანადგურებდა.

ეჰ! ქუდის მოხდა მისთვის საჭირო არ იყო, რომ დაენახა, რა ხდებოდა მიწაზე. აზრით, გონებით ყველაფერს სწვდებოდა. თვალწინ ედგა ჭაბუკის წვერივით მეჩხერი პურის ყანა, ყვითელი სისხლნაკლული ყანა. ზოგან სქლად ამოსული, ზოგან მოტიტვლებული. ქალის ხელით დათესილი პური, ბავშვის საოამაშო ყანა, რომელსაც ბალახი მოერია მას შემდეგ, რაც ყოველგვარი ხერხი და ცოდნა დაივიწყეს. მას შემდეგ, რაც გამოცდილებით დატვირთული, მაგარმკლავიანი ვაჟკაცები ფარასავით სასიკვდილოდ გარეკეს.

ოჰ, ეს შეუჩერებელი ზრდა-გაფურჩქვნა!

სადღა იყო გუთნები, ყანები რომ გადაებრუნებინა, წითელი მიწის დიდ სივრცეს გარს შემოვლებოდა. აღარ იყო აღარც ნიჩაბი, აღარც თოხი, აღარც ბარი, აღარც ფარცხი. სადღა იყო მეკობრე აჩაჩი, ზურგზე აკიდებული რომ მიჰქონდათ ვერან ადგილას ცოტაოდენი ახალი მიწის ხელში ჩასაგდებად. ახლა ყველაფერი ბალახით დაიფარა. კარგ მოსავალს იძლევა მხოლოდ ძახველა, მაყვალი და გარეული ვაზი, რომელიც თავისი გრძელი ნერვიული ასთითიანი ხელებით ყველაფერს ხუთავს. თითქოს დიდი ცირკი მოაწყესო: შერეკეს შიგ მთვრალი მიწის მუშები და აბრძოლებენ ერთმანეთის გვეოდეების ჩასალეწად.

ბშვენიერი დღესასწაულია სწორედ!

შეუჩერებლად იზრდებოდა ყველაფერი. ისმოდა, როგორ ეშვებოდა გორაკებიდან თესლებისა და ძირების ნიაღვარი. ისმოდა, როგორ სკდებოდა მინდვრებში ღვია. როგორ სივდებოდა იონჯაში ხვართქლის სქელი ქულა.

— ყველაფერი დაიღუპება, ყველაფერი!

მხოლოდ მზე, წვიმა, ქარი და მიწა რჩებოდა: განთავისუფლებული, ადამიანის მორჩილებიდან გამოსული; ყველაფერი ეს უბრუნდებოდა დიად, პირველყოფილ ცხოვრებას.

მერიის წინ, ქვის სკამზე მოხუცი ქალი იჯდა. იჯდა დარბაისლურად. ხელები წინსაფარქვეშ მუხლებზე დაეკრიფა.

— აჰა, ბიცოლა მიეტ, — მიმართა ბაბუამ. — რას აკეთებთ ამ ჩრდილში?

— ჩემს ბიჭს ვუცდი, — უპასუხა მოხუცმა ქალმა. — ზევით არის, სინჯავენ.

— სად ზევით?

— მერიაში, რასაკვირველია, კომისიაში ტარდება.

მერიის კარი ღია იყო. დერეფანში დიდი მტვერი მოსჩანდა.

— რაო, ბიცოლა მიეტ, მართალს ამბობთ? იქნებ ხუმრობის გუნებაზე ხართ? — ჰკითხა ბაბუამ.

— არა ვხუმრობ, — უთხრა მოხუცმა ქალმა, — მართალს ვამბობ. კომისიაში დაიბარეს. გავიფიქრე: ვაი თუ მთელი ამ აღელვებისაგან ბიჭს ბნედამ მოუაროს, სჯობია მასთან ვიყო-მეთქი. წინა დაბარებისას წყალში ჩავარდნილიყო და კინაღამ დამხრჩვალიყო. ამიტომ ვუცდი.

ბაბუამ ფანჯრებს ახედა. ფარდები ჩამოუხსნიათ, მინები დაუწმენდიათ. შიგ მოსჩანდა, როგორ ბრწყინავდა კეპიზე სირმა; მოსჩანდა აგრეთვე თეთრი ხალათი და ტიტველა ადამიანის მომწვანო, მკვდრისფერი კანი.

— ალბერიკ, — მიმართა ბაბუამ დერეფანში შეხვედრილ დარაჯს, — ბატისტენს სთხოვე გამოვიდეს, მხოლოდ ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი.

— თითონ შედი, — უთხრა ალბერიკმა, — მხოლოდ ერთი წუთით. კომისიაში მუშაობს.

ბაბუამ კარი შეაღო; შიგ საჯინიბოსა და ოფლის სუნი იდგა; ტანზე იხდიდნენ და გატიტვლებულნი იცდიდნენ. მეორე ოთახში გვარს იძახდნენ. მაშინ ერთი მათგანი ფეხშიშველი მიდიოდა, თან პირუტყვივით ფეხებს მიატლაშუნებდა. როგორც კი იქ შევიდოდა, ხმა მოისმოდა: „ასწონეთ!“ სიმძიმისაგან სასწორი ჭრაჭუნებდა.

— ორმოცდაათი კილო, — მოისმოდა ვიღაცის ხმა.

ბაბუა ერთ წუთს შეჩერდა, რომ ტიტვლები ეცნო. ჩვეულებრივად მათ ტანისამოსში ხედავდა. შარვალსა და ხალათში ბევრი რამ იმალება: თიაქარი, რომელიც მუცელს სოკოსავით მიჰკვრია, შუაში ჩატეხილი ბეჭი, ჩაზნექილი მკერდი, მრუდე ფეხები, დაგრეხილი ხელები, სატკბური წყლული. აი ეს, აწითლებულ-საჯდომიანი, ხომ ნოტარიუსი იყო. სათვალები არც კი მოეხსნა. მან ხუმრობა სცადა.

— თქვენცა ბაბუა?

— ჩემამდეც მოაღწევენ, — უთხრა ბაბუამ.

მერი შევიდა გადმოკარკლული თვალები ჰქონდა, გაბერილი კისერი ცელულოიდის საყელოზე გადმოფენოდა. ბაბუა კუთხეში მიიყვანა.

— ვიცი, შაბრან, — უთხრა მან, — თხების გამო ხარ მოსული. უკვე მესამე ხარ. არა, არაფერი არ უნდა მისცეთ. უსამართლო საქმეა: ვიღაც მარსელელია, რომელიც ინდოელებისათვის თხებს ყიდულობს. მაგრამ თავის ხარჯზე, არა სახელმწიფოსთვის. საქმის დასაჩქარებლად რეკვიზიცია

ითონ გამოიგონა. ჟანდარმებს ას სუს აძლევს. არა, არაფერი მისცეს-
სხვებიც ნუ მისცემენ.

— უნდა გაგეფრთხილებინეთ, ბატისტენ. ჩემგან ვერაფერი წაიღეს,
მაგრამ სხვებისაგან წაიღებენ.

— თუ სიმართლე გინდა, გეტყვი, — სთქვა მერმა და ხელები უმწეოდ
დაუშვა, — თავგზა დამებნა, გონება ამერია. აქაც მიხედე, იქაც, საცხობ-
შიაც, წისქვილშიაც, ყველგან უნდა მივუსწრო, ყველაფერი უნდა გავა-
კეთო, ყველაფერზე უნდა ვიზრუნო. ეს ჩემი საქმე არ არის. აღარ ვიცი,
სადა ვარ. დღეს, მაგალითად, ანშოს ნაკვეთი უნდა დამეფარცხა, მე კი,
როგორც ხედავ, აქა ვარ.

ბაბუამ გატიტვლებულ ადამიანებს გადახედა.

— ოჰ, მართლა, — სთქვა მან, — ქვემოთ ბიცოლა მიეტი ვნახე. მის
შვილზე რას იტყვი?

— წაიყვანეს.

— არ გითქვამს, რომ ბნედა სჭირს.

— ეჰ, ვთქვი. ის კი ლომივით დამეტაკა: მე ბრძანება მაქვს, ბრძა-
ნება, ბატონო მერო, დამილრიალა; ბრძანება მაქვსო. იმიტომ ვსინჯავ,
რომ ჯარისთვის ადამიანები წავიყვანოო. რამდენს იწონის? სამოც კილოს-
კარგი! სიმაღლე, წონა, — ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ ეს ვიცოდ. თუ
დაეცემა, იქ ნახავენო. ასეა — ნახვამდის, — უთხრა ბოლოს მერმა.

ბაბუამ ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა. ამოიოხრა.

— რა გაწუხებს?

— არაფერი, — უპასუხა ბაბუამ.

უსიტყვოდ ჩაუარა ბიცოლა მიეტს. მოხუცი იქვე იჯდა დარბაისლუ-
რად, წინსაფარქვეშ ხელდაკრეფილი.

მაშ ასე ყველა მიჰყავთ, ისიც კი.

სჩანს ადამიანთა მოდგმის დაშრეტა უნდათ.

მესამე კლასის გაუნათებელ დარბაზიდან ჯარისკაცი გამოვიდა. გუ-
შაგს მიუახლოვდა.

— ლუი, — მიმართა მას.

პასუხის მიცემამდე გუშაგმა სადგურის კომისრის კანტორაში შეიხე-
და. კომისარს თავისი მუნდირის ფოლაქები თავიდან ბოლომდე გაეხსნა,
საყელოც კი. დიდი მუცლით, რომელსაც თხელი პერანგი ჰფარავდა, მა-
გიდის კიდეს მიბჯენოდა. ბიუვარის საშრობ ქაღალდზე წითელი და
ლურჯი ფანქრით გულმოდგინედ როზეტს ხაზავდა.

— რა იყო? — ჰკითხა გუშაგმა.

— მათარა თანა გაქვს?

— საწოლზე ჰკიდია.

— იცი რა, — უთხრა ჯარისკაცმა, — გუსტავმა ლიანდაგზე, სემაფორთან, ერთი კასრი ბორდო იპოვა. ხიშტი ჩაჰკრა. ნახვრეტი თითით აქვს დაცობილი. ერთ მეტრზე სცემს. აავსეს ვედრები. შენს მათარასაც გაგივსებ.

ბიბლიოთეკა

სადგურის ცარიელი ჯავშანი ღამის ქარში რკინის ფრთებს ამღერებს. სათადარიგო ლიანდაგებზე გრძელი, დაღლილი მატარებლები ქშინავენ. ვაგონებიდან ხარები ადამიანისებური მწუხარებით შეჰკვნესოდნენ მთვარით გაშუქებულ თავისუფალ საძოვრებს.

წყნარად სძინავს ადამიანებით გაჭედილ მატარებელს, რომელზედაც პირდაღებული ზარბაზნებით სავსე ღია ვაგონები მიუბამთ.

ორი კაცი რკინის გზის რაზმიდან სემაფორის ბერკეტთან ერთმანეთს ედავება.

— გახსნილია, გეუბნები!

— დაკეტილია-მეთქი! ხუთასმეოთხე თავის დროზე მოდის.

— გახსნილია.

ორივე ხელი ბერკეტზე უდევს. სადგურის კომისარი კი ამ დროს მაგიდის კიდეს ქაღალდის საჭრელს უკაკუნებს, თან ღიღინებს:

თავი ხან ქვევით,
თავი ხან ზევით.

ღიღინებს და დაჰყურებს კარგად დახატულ, მრგვლად გამოყვანილ უთავფეხო როზეტს. ნელ-ნელა სვამს ორლიტრიან ბიდონიდან და ფართო ლიმილით შეჰყურებს ელნათურის ძაფებს.

ადამიანებით დატვირთულმა მატარებელმა გრძლად დაუსტვინა. დაიძრა.

სოფელში შესვლისთანავე სიარული უხდებოდათ ორმოებზე გადაფარებულ ფიჩხ-კონებზე. ზედ რომ დადიოდნენ, ფეხსაცმლის გარშემო წითლად ჟონავდა. მოჩხრიალებდნენ სისხლით სავსე ნაკადულები. კუდდაშვებული ავთვალა ძაღლების ხროვა ცხვირს აყოლებდა ჰაერში მოდენილ სიკვდილის სუნს.

ღია საძნე ფარდულის ჩრდილში კედლებზე, გაკრული იყო მოკლეხელებიანი დიდი ზომის რაღაც გიგანტები. ეს იყო ზორბა სხეულები, გოგორა პურივით შუაზე გაპობილი, მაგრამ ფართო, პირღია წითელი ჭრილობით.

ეს სოფელი სასაკლაო იყო. დროგამოშვებით გამოშიგნული და კაცებზე ფეხებით ჩამოკიდებული ხარების სიმძიმისაგან მოისმოდა სქელი კედლების ოდნავი ტკაცანი.

კაცს სისხლითა და წელებით პირამდე სავსე ვედრო მოჰქონდა, წონასწორობის დასაცავად თავი და მარცხენა ხელი განზე გაეწია. მეორე კაცი უკან მიჰყვებოდა, მთელი ქუჩა დაეჭირა.

— შენ ვედროიანო, მაგრე ნუ იჩქარი, — დაუძახა უკან მიმავალმა; მას ცხრილით ახალდაკლული ხარის მეოთხედი მიჰქონდა, რომელსაც ჯერ კიდევ სისხლი სდიოდა.

ეზოში ეროების დარტყმის ყრუ ხმა ისმოდა, თითქოს ტაბლაზე ... სცემენო. ხარი ეცემოდა. მოკირწყლულ ეზოს ჩლიქები ფხეკდა. ცხვრის მუცელს დიდი საბერველით ჰბერავდნენ. გაბერილ მუცელზე რკინის ჯოხს უტყაპუნებდნენ.

— კარი დაიკავე, — უთხრა ცხრილიანმა მეორეს, რომელიც ამ დროს კარებიდან გამოდიოდა და რომელსაც ხელში პატარა დანა ეჭირა, სულ პატარა დანა ნემსივით წვეტიანი. დანა ბრწყინავდა დიდ მუშტში, რომელსაც სისხლი ისე ჰქონდა შემოკრული, თითქოს ხელთათმანიაო.

— რამდენს იწონის? — ჰკითხა მან და განიერი ზურგით კედელს მიეყრდნო, რომ გზა მიეცა.

— სამოც კილოს, — უპასუხა ვედროიანმა, — უამისოდ, — და სისხლიან ნარჩენებზე მიუთითა.

ღია კარებში მოსჩანდა ეზოს სინათლე და ამ სინათლეზე — კაცი, რომელიც ცულის ღონიერი მოქნევით ხარის თავს კუნძზე სჩეხდა. ხანდახან შეჩერდებოდა, ტვინის ნაკუწებით მთლად მოსვრილი ულვაშები რომ მოეწმინდა, მერე თითებს დაიბერტყავდა. ქათმები და იხვები შემოსეოდნენ. ხორცის ნაკუწებისათვის ერთმანეთს დარეოდნენ.

— რეგოტაზ, რეგოტაზ! — ჩუმად უძახდა ოლივიე.

იცოდა, რომ მას, მიწაზე დამხობილს, ველარ გააგონებდა, მაგრამ მაინც ეძახდა, რადგან ხედავდა მის განიერ გაშლილ მხრებს, ზორბა ტანს და მსხვილ ფეხებს.

სცადა ზურგზე გადაბრუნება, რათა სახე დაენახა. მეტად მძიმე იყო. მძიმეც იყო და რბილიც ერთსა და იმავე დროს. მკვდრის წინ გაწვა. თმაში ხელი ჩაავლო. შეეცადა მისი სახის დასანახავად თავის აწევას.

სახე აღარა ჰქონდა. აღარც პირი, აღარც ცხვირი, აღარც ლოყა, აღარც თვალები: ერთიანად დაჩეჩქვილი ხორცი და ამოშვერილი პაყარა თეთრი ძვლები. მხოლოდ შუბლის ნაწილი შერჩენოდა და იქიდან მიწაზე ტვინი ენთხეოდა.

— რეგოტაზ!

მკვდრის ხელი მაგრა ჩაბღაუჭებოდა მიწას, რომელსაც მცირედი ბალახი შერჩენოდა.

ეოზეფი პატარა ბილიკით ფერდობზე გარბოდა. მარჯვენა მკლავს ხელს აშველებდა. მარცხენა ხელის გულით სცდილობდა დაეფარა ჭრილობა იდაყვზე, სადაც დაჩეჩქვილი ხორცი და ძვალი ერთმანეთში იყო არეული, თითებს შორის სისხლი შადრევანივით სცემდა. უნდოდა ჭრი-

ლობა დაეხშო. ცოტას გაირბენდა, შემდეგ ორ-სამ ნაბიჯს ქშენით გაივლიდა და ისევ გარბოდა. ჭრილობის დახშობას ვერ ახერხებდა. მარცხენა ხელს მაგრა აჭერდა, მაგრამ სისხლი მაინც გადმოდიოდა. სისხლისგან იცლებოდა. ეჩვენებოდა, თითქოს ამ ხვრელით ტანში ჰაერი შეიჭრა. თითქოს იგი აღარ იყო მრთელი, კარგად დაცული ამ ბინძური ჰაერისაგან, თითქოს ეს დაფლეთილი მიწა, ცეცხლი, დენთი, სისხლი, — ყველაფერი სხეულში შესდიოდა; და თუ კვლავ ასე გაგრძელდა, ჟოზეფი ყოველივე ამაში გაითქვიფება. მისი სხეული გადნება, როგორც შაქარი წყალში.

შავი გვამი, რომელსაც ფრჩხილები ტირიფის ქერქში ჩაესო, ისევ იქ, არხის ნაპირზე იყო ჩაცუცქებული, იქ კი, მაღლა, ცაში, იერიშის მომზადების გრიგალი დანავარდობდა. ამ მხარეს ოდნავი სიწყნარე იყო. მიმწვანო განთიადი დენთისა და დამწვარი ძვლის სუნით იყო გაჟღენთილი.

— არხი, არხი! — ყვიროდა ჟოზეფი.

არხი იქვე იყო, თავის ნაპირებში გაწოლილი, უძრავი, სიდამპლისაგან მბრწყინავი.

— ალვის ხე, ალვის ხე! — ყვიროდა ჟოზეფი.

თვალი მოჰკრა ალვის ხეს, მხოლოდ გახლეჩილ ძირკვს და ზედ მიკრულ წითელი ჯვრის დაფას.

მიწით სავსე ტომრებზე მუზარადის კაკუნით შეუდგა კარის ძებნას.

— აქ არის, — მოისმა ხმა.

მისი ფარაჯის კალთა ვიღამაც დასწია. უფროსი ექიმი მობრუნდა:

— ხელი მოჰკიდეთ ამას, ხელი! — სთქვა მან.

ექიმი თავშიშველი იყო, უმუნდირო, პერანგის სახელოები იდაყვამდის გადაკეცილი ჰქონდა.

ხელში ხერხით დაიხარა თავგადაგდებულ ადამიანისაკენ, რომელიც პირდაღებული გმინავდა. ეს იყო ტკივილის, დაღლილობისა და სიმშვიდის დიდი გმინვა.

— დაიცადე მანდ, — უთხრა ჟოზეფს სანიტარმა.

— ჩემი მკლავი... — სთქვა ჟოზეფმა.

— მოიცა.

— ფაბრ! — დაიძახა უფროსმა ექიმმა.

— აქა ვარ!

სისხლში მოსვრილი ხელი მხარზე დაადო.

— ამას შორს გადაუძახე.

მაჯის საათს დახედა და ულვაშებში ამოიოხრა.

წაიყვანეს ადამიანი, მთელი ხმით რომ გმინავდა.

— ფაბრ!

— აქა ვარ!

— ცოტა ხნის შემდეგ წახვალ იქ, მიწურის უკანასკნელ ნაწილში (კაპრალის ყურისაკენ დაიხარა), მკვდრებს გაიტან, ისინი თავშესაფრის აღარ საჭიროებენ. ადგილი არ გვეყოფა. გასწი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა ეხლა შენ! — უთხრა ჟოზეფს.

სქლად შეხვეულ ხელს შეეხო. ვეღარ სცნობდა საკუთარ ხელს. კარგად თუ დაუხშეს მაინც? დაუხშეს ის ნახვრეტი, საიდანაც თითონ ჟოზეფი იღვრებოდა ჰაერში? უნდოდა დაეხედა ნახვრეტი, მერე თითონ დაეხშო, რომ დამშვიდებულიყო. სქლად შეხვეულ ჭრილობას ხელს ჰკიდებდა. აი იქ, სილრმეში, უკვე იწყება ტკივილი. ხერხემალში სიცხემ დაუარა, შემდეგ კი ციებამ.

დროგამოშვებით კაპრალი ნახშირის სანათს აქანებდა. მაშინ იქ, სილრმეში, გამოჩნდებოდნენ ხოლმე ისინი, ვინც თავისთვის წყნარად გმინავდნენ. მათ აღარ აწუხებდათ აღარც მიწა, აღარც სიცოცხლე. კაპრალი პატარა ბავშვივით სანათს არწევდა, რომელიც სილრმისაკენ ცეცხლის ენებს ისროდა. იქ დაჭრილები ჩაემწკრივებინათ. შუაში მწოლარეს, წაბლისფერ წვერებიანს ლოყები ჩავარდნოდა, თვალები ჩასცვინოდა, ცხვირი დანის პირივით გათხელებოდა. თავი ისე ჰქონდა შეხვეული, თითქოს შუბლზე გვირგვინი დაუდგამთო. სისხლი ჟონავდა, სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა.

— გაათავებ თუ არა? — ამბობდა უფროსი ექიმი.

კაპრალი სანათს სდგამდა.

სისხლის, ეთერისა და იოდის სუნი იდგა. კუთხეებში ბინძური შესახვევები ლპებოდა.

— რომელი საათია? — იკითხა უფროსმა ექიმმა.

მწოლარე ადამიანს ებრძოდა. ის კი ხელებით თავს იცავდა და ყვიროდა.

— გააკავეთ! მოდით, გააკავეთ!

— ხუთი საათია. — უპასუხა ფაბრმა.

— მოდით, გააკავეთ მეთქი ეს! ხელები აუწიეთ. ნუ ჰყვირი! დააწექით. მაგრე! ფაბრ, ეთერი, დიდი შესახვევი, ხალათი გაუჭერით. ჯერ გული, გული. მაგრე, არა უშავს რა. საკაცე და ამ წუთშივე ვრენიეში გაისტუმრეთ, ფრიპო, შენა და კიდევ ვინმემ გასწით ვრენიესაკენ, მაგრამ გზით არ წახვიდეთ, სანგრებით წადით, გესმით?

უფროსმა ექიმმა შუბლი მოიწმინდა.

— ფაბრ! — სუსტი ხმით დაიძახა. — არაყი.

კაპრალმა ბიდონი მიაწოდა. ექიმმა ტუჩზე მიიყუდა.

— ეჰ, — აღმოხდა და ტუჩები გაილოკა.

მისი საუცხოო თვალები უიმედობას გამოხატავდნენ, ჩვეულებრივი სიმკაცრე დაჰკარგოდათ. ტუჩებზე დაღლილმა ღიმილმა გადაურბინა. კაპრალიც წყნარად იღიმებოდა.

— მიეცი ეს აი იმას, — უთხრა ექიმმა და უჩვენა ჟოზეფზე, რომელსაც უკვე ახრჩობდა ტკივილი და ეთერის მძიმე სუნი, რომელიც ეცალი ამოუვსო.

ბიბლიოთეკა

გარეთ უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ცა ჩამოწვაო. ამან ჟოზეფს მუცლის სიცალიერე აგრძნობინა. უფროსმა ექიმმა გასისხლიანებული დანა მაღლა ასწია.

— იერიში! — სთქვა. შემდეგ დაუმატა: — ფაბრ! — გადი, ნახე.

ფაბრი გავიდა. თენდებოდა. ყუმბარები აღარ ვარდებოდა. ისმოდა მხოლოდ არხის შხაპუნი და იქ, განთიადის მწვანე არშიასთან, ადამიანების სუსტი ყვირილი, წრიპინი, თითქოს ვირთაგვები იბრძვიანო. ტყვიამფრქვევი ნელა კაკანებდა. წისქვილის გვერდით გრანატების მტევანი გასკდა.

— დიახ, — სთქვა ფაბრმა შემოსვლისას, — დაიძრნენ, წამოვიდნენ.

— მაშასადამე, ახლა... — სთქვა ექიმმა. ირგვლივ მიმოიხედა. თვალი მოავლო უკვე დაღვრილ სისხლს, ადამიანთა სასაკლაოს.

ახლა ამ პატარა მიწურში, რომელიც არხის ნაპირს იყო მიკრული, მოჰქონდათ ხორცით სავსე საკაცეები და აქ სცლიდნენ. ულმობელი ცეცხლი არხის მეორე ნაპირზე რეზერვებს ანადგურებდა. ცეცხლი და კვამლი ადამიანებზე ბუქნას გადადიოდნენ. არხში წყალი ცხენის კანივით თრთოდა. სანათის ალი ხან ჩაქრებოდა, ხან ჭერისაკენ ავარდებოდა. მთელი მიწური გემივით ირწეოდა.

გარედან ისმოდა ძახილი:

— ფაბრ! ფაბრ!

მოკრუნჩხული ან ფარაჯებსა და ხალათებში გახვეული დაჭრილები რიგებად იყვნენ ჩამწკრივებული. შუა ადგილიდან ვიღაც თვალდაუხამხამებლად იცქირებოდა, ან ხელი აიწეოდა მაღლა დაჭყლეტილი თითებით, იქ კი, სადაც მუცელი იყო, თანდათან იზრდებოდა სისხლის გუბე.

— ფაბრ! დარჩი აქ, — უთხრა ექიმმა. — წადი, მიწა მოიტანე.

ნიკაპით თავისი ფეხები დაანახვა, რომლებიც სისხლში უსხლტებოდა.

ფაბრმა ტომრიდან მიწა ამოიღო. ექიმს ფეხქვეშ დაუყარა. ის კი დასისხლიანებულ სხეულში დანას ატრიალებდა.

— იქით, მოშორებით წაიღეთ.

— შემდეგი!

— არაფერი ეშველება. წაიღეთ.

— ...

— მიწა.

ფაბრი გავიდა. გაფითრებული იყო.

— სახვევი!

— ფაბრ!

— სული მეხუთება, სული მეხუთება!

— ფაბრ, უბრძანეთ მკვდრები სილრმეში წაილონ.

— ფაბრ, ფაბრ. — იძახოდნენ გარედან.

ფაბრი გარბოდა, წელში მოხრილი, კრიჭაშეკრული, გზაზე ... სხლტა და ჟოზეფს დაეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, შე ძველო! — უთხრა ბოდიშის ნაცვლად.

ჟოზეფმა შეხედა ეთერის სუნისაგან გამოშტერებული თვალებით.

— გაანთავისუფლე, ფაბრ, ადგილები. მკვდრები არხში გადაუშვი.

ორმა კაცმა საკაცე შემოიტანა.

— ფრთხილად, — ამბობდა ზურგით მომავალი.

ექიმმა დახედა.

— მომკვდარა. გაიტანეთ. ფაბრ, მიწა!

სისხლიანი ხელით შუბლი მოიწმინდა.

— ექიმო, ექიმო! — კვნესოდა ადამიანი.

— რა იყო, ბიჭუნავ? — მიუბრუნდა უფროსი ექიმი.

ხელით შეეხო რბილ, მთლად ტალახში მოსვრილს, მთრთოლვარე მკერდს.

— სული მეხუთება!

— ბიჭებო, ვისაც შეგიძლიათ, მომეშველეთ! — დაიძახა ფაბრმა. — მკვდრები გავიტანოთ. კაცს სული შეეხუთება.

— მოიცა, — უთხრა ექიმმა. — ბიჭებო, ჩემო პატარებო. — მიმართა მან. — თქვენ, რომლებსაც გესმით, ხომ ხედავთ, ადგილი აღარა გვაქვს? ხომ ხედავთ ამხანაგებს, რომლებიც მოჰყავთ? ისინი თქვენზე უარეს მდგომარეობაში არიან. ვისაც საკუთარი ფეხები გივარგათ, ადექით და ვრენიესკენ გასწით. იქ უკეთ მოგივლიან. საწოლებია. აბა, გასწით! ფაბრ, თითო არაყი გადააკრევინე! ერთმანეთს არ ჩამოშორდეთ, ერთად იყავით. გზა ვრენიეში პირდაპირ მიდის.

— სირბილი შეგიძლია? — ჰკითხა ფაბრმა ჟოზეფს.

— შემიძლია, — მიუგო ჟოზეფმა.

ჟოზეფს ახსოვდა, სად იყო ვრენიე. ხეებია იქ. ჰოსპიტალი ტბასთან არის.

— შემიძლია, — გაიმეორა ჟოზეფმა.

იქ მათ გადამღობი ცეცხლი მოელოდათ.

— არხს რომ გასცდებით, სირბილით გასწით, — უთხრა ფაბრმა.

თვალი გააყოლა მიმავალთ. შესახვევებით დამძიმებულთ. არხს რომ გასცდნენ, სირბილი სცადეს, მაგრამ ვერ შესძლეს. ისევ ნაბიჯით გასწიეს. ხანდახან ბოლში ქრებოდნენ. ორად მოკეცილებმა თავი შეჰყვეს რკინისა და ცეცხლის ჯოჯოხეთში.

— შებრალება არ არის! — სქელ ტუჩებში ზიზღით ჩაილაპარაკა ფაბრმა.

მეხუთე ანგელოზმა დასცა საყვირსა

გუშინ, ნაშუადღევს, როდესაც ყასაბი მოულოდნელად შრიალებულ და, თავს წაადგა შეგირდთან მწოლარე თავის ქალიშვილს. ... მთლად გახდილი, პირალმა გაწოლილი სქელი ფონსინი შენიშნა, რომლის სიმძიმისაგან საწოლი ჩაზნექილიყო.

— ავად ხომ არა ხარ? — კინალამ ჰკითხა, მაგრამ ამ დროს თვალი მოჰკრა ბიჭს, რომელიც ამ გატიტვლებული ქონის უკან ლოგინსა და კედელს შუა მიმალულიყო.

დილით ყასაბი საკუჭნაოსთან მივიდა.

— მანდა ხარ, უსაქმურო? — ჰკითხა.

— დიახ, — უპასუხა შეგირდმა.

— ადექი, ერთად უნდა გავემგზავროთ.

დილის ქუჩას შარდისა და ზირაკის სუნი ასდის. თენდება, მთის ქარს სიგრილე მოაქვს. კაბრიოლეტი საჯინიბოსთან მიაგორეს.

შეგირდს ტანმორჩილი ცხენი გამოჰყავს. ყასაბი მოსართავებსა და აბზინდებს ასწორებს. ბურდღუნებს:

— ლორი! ლორი! შემდეგ გადასწყვეტს შეგირდს გადახედოს.

— ლორი ხარ!

— დიახ,—ეუბნება შეგირდი.

— ადი, დაეგდე. ახლა საკადრისად მოგეპყრობი. ყასაბი თავის რუხ სქელ წარბებს აამოძრავებს. ბიჭი ეტლში ჯდება და ციკანივით კანკალებს. შარაზე გავიდნენ, ძია ნეგრს შეხვდნენ.

— კეთილი მგზავრობა, გუსტავ! — უთხრა ნეგრმა და ხელი ასწია.

— გმადლობ, შენც, შენც! — მიუგო ყასაბმა.

დილაა. ნელი ქარი ჰქრის, როგორც იცის ხოლმე ივნისში ჰექა-ქუხილის შემდეგ.

მთელი მიწა დაფარულია ოქროსფერი, მწიფე პურით. ბიბინებს, თითქოს გორაკების ლურჯ დიდ ჯამში ერბო ჩაუსხამთო. ღრუბლები დიდი გემებივით ჰაერის დენას მოჰყვებიან. სურვილი გებადება სახლიდან გამოხვიდე და ლარივით გაჭიმულ გზას დაადგე. ისეთი დროა, როდესაც გულს ემღერება. თვალი შორს მანძილს სწვდება. მოსჩანს „ბონ-მერის“ გორაკი, მზის პირდაპირ — ესკარიადი, ვარდის ბუჩქის ეკალივით წვეტიანი და ყავისფერი.

იულია ღია განჯინასთან ტანთ იცვამს. პერანგზე მხოლოდ კაბა გადაიცვა. დააკვირდა, როგორ ადიოდ-დადიოდა მისი მკერდი. რუვიერში მთების კიბეზე ზარი რეკს. ქარის მიერ აწეული ცის თალი მკერდივით სუნთქავს. იულია ფეხშიშველა ჩადის სამზარეულოში. ესიამოვნება, ფეხს რომ ცივი ქვა ხვდება. საყავეს იღებს, ფინჯანში ყავას ისხამს. კარისკენ

მიდის მშვენიერი ალვის ხესავით აშოლტილი, ქაშანურის ქილასავით წერწეტა. დოინჯს იკეთებს და ნელა წრუპავს ყავას ტუჩებგამოწვეული. ხანდახან ბალახში ფეხს აათამაშებს, ნამით რომ დაისველოს. ... ბალახი თავისი ცივი ენებით თითებს უწუწნის. იულია ჰყვავის.

მადლენა საქათმედან ბრუნდება და თითო ხელში სამ-სამი კვერცხი უჭირავს.

— შავმა დასდო? — ჰკითხავს იულია.

— შავმა და რუხმა, კიდევ იმან, ფეხზე წითელი ძაფი რომ აქვს შებმული.

მადლენა ხელს გაშლის.

— შეხედე, ეს წვეტიანი კვერცხი მისი დადებულია. საკმაოდ დიდია. ახლა ისიც შეუდგება კვერცხების დებას.

ჟერომი ქალებს მიუახლოვდება. ჰკითხავს:

— რა მოხდა, რა ამბავია აქ?

— ნიშნიანმა ქათამმა კვერცხის დება დაიწყო.—მამა დახედავს კვერცხებს მადლენას ხელში და ამბობს:

— ქალაქში მივდივარ, წერილს ვიკითხავ. ხვალ სამი კვირა გახდება, რაც ჟოზეფისაგან არაფერი არ მიგვიღია. მადლენა ფრთხილად აწყობს თიხის ქილაში კვერცხებს. იულია ფინჯანს სამზარეულო ბაკანთან რეცხავს და მულს ჰკითხავს:

— დღეს სამუშაო გაქვს?

— სარეცხის გაფენას ვფიქრობ, უკვე დროა.

— სუკოტში ყანის მომკის დროც არის, — ამბობს იულია. — ჯერ-ჯერობით მარტოკა დავიწყებ.

ტიტველ ფეხზე სქელფეხსაცმელს იცვამს. იატაკზე ქუსლს ურტყამს, რომ ფეხი კარგად ჩაუვიდეს. ცელს დახედავს. ცელის პირს ცერს გადაუსვამს. სალესი ქვის დასასველებლად ქამარზე წყლით სავსე ხარის რქას ჩამოიკიდებს. ცელს მხარზე გაიდებს და გასწევს.

ყასბის ეტლი მიჰქრის ზეგანზე, ურმის თვლების ნაკვალევში. ქარი მიერეკება, ხან გაუსწრებს და მტვერში ბუქნაობს, ხან მუშის ხეებს შეარხევს და პურის ყანისკენ გაინავარდებს.

დროგამოშვებით გუსტავი სადავეს მიუშვებს ხოლმე, სქელ წარბებს შეიჭმუხნის, პირს მიიბრუნებს.

ბიჭი გაშეშებული ზის, ფიქრებში წასული. უწვერულვაშოს წაგრძელებული სახე ვირთაგვს მიუგავს. ქარს ყლაპავს. ყასბისაკენ არ იხედება. პირდაპირ გზას გასცქერის. ხელები მუხლებზე უწყვია. ვერ ბედავს ხელის წავლებასაც კი ეტლის ძარისთვის. მთელ ტანს და თავს ცხენის მოძრაობას აყოლებს.

ფოსტაში არაფერი არ აღმოჩნდა. წერილები ჯერ არ მოსულიყო. ეერომი ქვის სკამზე მოხუცებს მიუჯდა.

ონკანთან სამი ქალი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მათგანი აუზის ეიდეზე თეთრეულს სწურავს, მეორე დოქს ავსებს, მესამე დოიჩ-შემოყოილი იცდის.

— ყოველ დღე ლურჯები მაცვია, — ამბობს მრეცხავი.

სველი თითებით ლიფის ამოჭრილს გადასწევს და პერანგის ლურჯ არშიას უჩვენებს.

— აი ეს კი საკვირაოდ მაქვს. დახედე მაქმანს.—გასაპნული სარეცხიდან ორი თითით პერანგის საბეჭურებს ამოსწევს. ხელზე გაშლის და უჩვენებს.

— ეს ჩასაყენებელი მაქმანია.

ონკანის ფართო ღარი მღერის. დოქში ჩასვლისას წყალი ხმას უწევს.

ახალგაზრდა ამოდრიკმა სარწყულებლად ცხენი მოიყვანა. ნესტოებდაბერილი პირუტყვი წყლის გასაფანტავად აუზს უბერავს, საპონი ცხვირს მოხვდება, ჩაისუნთქავს და კუნტრუშს მოჰყვება.

— დაიჭი შენი ცხენი, — ყვირის მრეცხავი, — დაიჭი, შე საძაგელო.

— შენი საპნის ბრალია, შე ბაღის საფრთხობელავ!

ცხენი დამშვიდდა. წყალს ვედროდან სვამს. ბიჭი და ქალი ჩხუბობენ. აუზის წყალს პეშვით ერთმანეთს ასხამენ.

— მარგოტ, დამიჭირე ერთი.

მეორე ქალმა დოქი დადგა და ბიჭს ხელი მოხვია. მკერდზე მიიკრავს, და რაკი ბიჭი ფართხალებს, ფეხებს განზე გასდგამს და კანჭებს მარწუხივით მოუჭერს.

— მაგრე, მარგოტ, კარგად დაიჭი, გავბანო ერთი ეგ წვინტლიანი.

ბიჭი ხვლიკივით იკლაკნება, მაგრამ მრეცხავი გასაპნულ ქალის პერანგით სახეს უთხუპნის.

იულია გაშეშებული იდგა პურის ყანის წინ. გაჰყურებდა გადაშლილ მინდორს, რომელიც, კომშის ხეებით შემოვლებული, გუბურს ჰგავდა. მერე ცელი ტარით მიწაზე დასდო და შეუდგა ლესვას ქვით, ძველი ლურჯი სალესი ქვით, რომელზედაც მისმა თითებმა ჟოზეფის თითების ნაკვალევს მიაგნეს. ქვამ მთელი ხელი გაუვსო, გრძნობს მის სიმძიმეს, როდესაც ცელის პირს სირგძეზე უსვამს.

ქარი უკვე გაათბო ამოსულმა მზემ. იგი მიყუჩებულია, თითქო სძინავსო. მაგრამ დროგამოშვებით არხევს მწიფე თავთავს და მაშინ მძიმე ყვითელი ყანა ტალღასავით ღელავს.

იულიამ პირველი ნაბიჯი გადადგა, პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი. იგი მიჯნაზე აღმოჩნდა. მინდორი ზედ მიჰკროდა, მარცვლის სიმძიმისაგან მას ოდნავ ტკაცანი გაჰქონდა. ქალმა შემოირტყა განიერი, მაგარი,

თბილი ტყავის ქამარი, რომელიც თეძოებზე ხელივით შემოვლო. ხარის რქა დაიკიდა — სწორედ იქ, სადაც მამაკაცები იკიდებენ ხმალს. იულია დაიხარა, მთელი ძალა მარჯვნივ გადაიტანა, შემდეგ მარცხენა ფეხი სროლა და დიდი ცელი პურს მოედო.

აი რიგებად გამწკრივდა პურის თავთავი, მწყობრ რიგებად, გეფიცებით პატიოსნებას. თუ შეეცდები, თუ ღეროების ძირს დაცემის დროს ცელის წვერს ოდნავ ასწევ, ეს ღეროები ლამაზ მაქმანებად დაეფინება. კარგად გამოდის, თითქოს ჟოზეფის ხელით ყოფილიყოს ნაკეთები. იულიას ხელებსაც ჰქონია ძალა და ღონე.

იულია მიიწევს მოსრილი, განზე გადგმული ფეხებით; ხარის რქა მუცელზე სცემს, მარჯვნივ და მარცხნივ ქანაობს, მიჰყვება დიდ ბრტყელ ცელს, რომელიც მერცხალივით ნავარდობს მიწაზე.

ქალი უკვე ყანის შუაგულში იყო, როცა ეტლის რახრახი გაიგონა. ცხენი შეჩერდა, და ძახილი მოესმა:

— ეი, ქალო!

იულიამ მოქნეული ცელი შეაჩერა, წელში გასწორდა, თვალები ხელით დაიჩრდილა.

— ჰო, გუსტავი. — გაიფიქრა ქალმა და დასძახა: — მოვდივარ.

ცელი დასდო და ეტლისაკენ გაეშურა. ოფლი ტანზე წურწურით ჩამოსდიოდა, თან ცივდებოდა, მაგრამ მზე, როგორც იულიასთან ახლოს მიტანილი დიდი პირი, ნელ-ნელა ათბობდა.

აი იულია ცხენის წინ დგას. ხელებს ასწევს თმის გასასწორებლად და ამ დროს შავი და ბალნიანი იღლიები გამოუჩნდება. ცხენი თავს გვერდზე წაიღებს და ყურებს შეარხევს.

— რას ჰფიქრობთ ნეზვის შესახებ? — ჰკითხავს გუსტავი.

— იქვეა, — უპასუხებს იულია.

— უკეთ არის?

— არა, ახლა მუცელზე მოედო.

— უნდა გადასწყვიტოთ. — ეუბნება გუსტავი, — უმჯობესია გადასწყვიტოთ, დაყოვნება არ ივარგებს.

იულია ცოტახანს უსიტყვოდ დგას, ტუჩებში თმის ჩხირები უდევს.

— სახიფათოა, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ფეხები გაჭიმოს. აი რა მოხდება!

— ახლა დრო არ არის, — ამბობს იულია და ფანჯრის მინასავით დაბინდულ ჰაერს შეჰყურებს.

გუსტავი მისკენ დაიხრება.

— ახლა ყველაფრის დროა, ჩემო კარგო, დავკლავ და ყინულში ჩავდებ, ჭირი ნუ გაწუხებს. ჯარისკაცებისათვის გამოდგება.

— ფასი? — ჰკითხა იულიამ.

— კაი ფასი გითხარი. ვეღარაფერს ვერ მოვუმატებ. ქალი ყოყმანობს.

— როგორც გენებოს, — ეუბნება გუსტავი და სადავეს იმარჯვებს. მათრახს ხელს ჰკიდებს.

— კარგი მაგრე იყოს! — ეუბნება იულია და ფეხს ფეხზე შესდგამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ ასე, — ამბობს გუსტავი, — სჯობს ახლავე. ამოდი. შენ იქით გაიწი, — მიმართავს გუსტავი შეგირდს.

ბიჭი იულიასა და გუსტავს შუა მოექცა. ზორბად მიჭეჭყეს. სკამი ვიწროა, ქალი კი სქელი და მოუდრეკავი, მაგრამ დანჭღრეული ეტლის ქანაობა მალე დაბეკნის მათ.

მუხლებზე დაწყობილი ხელები ბიჭს არ აუწევია. გახევებული ზის, ვერ ბედავს გუსტავს მიეყრდნოს. ისევ ქალს ეკვრის, მზესავით ცხელსა და ოფლიანს. ოფლი ქალის პერანგსა და თხელ კაბაში ატანს, ბიჭს ასველებს, იგი თითქმის ეწებება ქალს.

— მადლენა, ნეზვის გამო მოვედით.

— ჰო, მე კი გარდეტს მივდივარ სამი პურის სასესხებლად, — ეუბნება მადლენა. — დანავიწყდა მამისათვის დამებარებინა.

— არ ვიცი, — ამბობს იულია, — რას გავხდებით მე და გუსტავი. ნეზვი ცუდად არის, სენი, სჩანს, შიგნიდან ღრნის.

გუსტავს ეცინება.

— თავი გაანებე. ორიც კარგად ვეყოფით. ნუ სწუხარ. აქ ხერხია საჭირო. ნეზვს ქალივით უყვარს ალერსი.

გუსტავი თვალებს წკურავს და ხარბად ათვალიერებს იულიას მკერდს, ახალგაზრდა მხრებს და იღლიიდან გამოპარულ ხუჭუჭა ბალანს.

საღორე დიდი თაღიანი სარდაფია. კარს რომ გააღებ, სარდაფის ცივი სუნთქვა გეცემა. ცოტახნით ზღურბლზე უნდა შეჩერდე, რომ სიბნელეს, სიცივეს და შარდისა და დამპალი ბზის ამქავებულ სუნს შეეჩვიო.

— ვხედავ, — ამბობს გუსტავი, — იქ არის, სიღრმეში, მისკენ მივდივარ.

— ფრთხილად, — ეუბნება იულია, — უჯოხოდ არ წახვიდე.

გუსტავმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და როცა მიუახლოვდა, პირუტყვი ისე უეცრად წამოიჭრა, რომ ნეხვის წუმპის ტყლაშუნი მოისმა. გუსტავი განზე გახტა.

— კარი დაკეტე!

მოდარაჯებული იულია ცალ კარს ხურავს. ქალს ეცინება, ხედავს, როგორ ხტება გუსტავი ფიცარზე და გაწითლებული, აქლოშინებული თვალაბნეული გამოდის.

ნეზვი დინგით კარს აწვება, ყვითელი კბილებით ფიცარს გლეჯს. ორმოებს უგავს თვალები, შიგ მიმხმარი სისხლით.

— ხომ ხედავ, რომ იქ ხელცარიელი შესვლა არ შეიძლება? — ეუბნება იულია და სიცილისაგან ლოყები ებერება.

გუსტავი სულს მოითქვამს. ტერ ნეზვს, შემდეგ იულიას შეხედავს, ულვაშებს იკვნეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხელცარიელი დავიმორჩილებ, — ამბობს ის.

— ეშვებით ხელებს დაგიფლეთავს.

— ვერაფერსაც ვერ მიზამს. უკან დაიხიე.

— გუსტავ, ბავშვურად იქცევით.

— ბავშვურად?! ვნახოთ, უკან დაიხიე, — ეუბნება გუსტავი ცივად. უფრო შორს დადექ, კიდევ უფრო შორს. აქ ქალი საჭირო არ არის. რასაც მე ვფიქრობ, კაცმა უნდა გააკეთოს.

და რაზას ხელს დაადებს.

იულიამ დაიხია პურის სალეწის გოგორასკენ. ორი ნახტომით საძნე ფარდულის კიბეზე შეუძლია გაჩნდეს. გუსტავმა კი თითონ უშველოს თავს.

გუსტავი რაზას გამოიღებს. წარმოსთქვამს რაღაც სიტყვას, შემდეგ სხვა სიტყვას. უძრავად დგას, თვალებს არ ახამხამებს. მხოლოდ აბურძგნულ ულვაშებში ჩამალული პირიდან მოდის წყნარი ხმის ტალღები. უცხო სიტყვებს ბუტბუტებს, თითქოს კერასთან კატა კრუტუნებსო. გუსტავი არ ანძრევს არც ხელს, არც მხარს, არც თავს, და კარი თავისთავად იღება, თითქოს იქ კარგი თანაშემწე ჰყავსო.

იულია სუნთქვას იკავებს. ნეზვის დინგი წინ მოიწევს, კბილდაღრეჯილი. გუსტავი არ იძვრის. განაგრძობს ბუტბუტს. თავისი თავის რწმენა აქვს. ვითომც აქ არაფერიაო, ობობას ქსელს შესცქერის. ლორის დიდრონი კბილები უკვე გუსტავის წვივებთან არის, საკბენად დალესილი. პირის ერთი მოდებაა საკმარისი, რომ დაფლითოს ეს ბებერ-ძვლებიანი ხორცის ნაჭერი. ნეზვი ხახას აღებს. სიმღერა შარვალსა და ხელებს ჩაჰყვება ქვემოთ, ბალახისკენ. ნეზვი უკან იხევს. ადამიანი ერთ ნაბიჯს გადასდგამს წინ. ნეზვი ბოსელში შედის. ადამიანი შეჰყვება.

იულია შეკავებულ სუნთქვას გზას მისცემს, ყოველივე ეს თვალსა სჭრის ავარდნილი ალივით. აღარაფერი ესმის. დამარცხებულია. იგი იქვე დგას, ჰაერს ღრმად ისუნთქავს. ფიქრის უნარი დაეკარგა. მზე ლოყას სწვავს. ლოყაზე შესველებულ ხელს იფარებს.

მამაკაცი! მამაკაცი! მამაკაცის შრომა, მამაკაცის ძალა!

თუმცა წელან იულიამ მამაკაცის ქამარი მოიხსნა, მაგრამ მაინც გრძნობს იქ, მუცლის ქვემოთ, წყლით სავსე ხარის მაგარი რქის ქანაობას.

როდესაც მადლენამ დაინახა, რომ ისინი საღორეში საქმეს შეუდგნენ, სწრაფად კულულები გაისწორა, წინსაფარი გაიბერტყა და გარდეტისაკენ გასწია.

ველი აქედან უფრო ლამაზია, ვიდრე შორანის მხრიდან. იქ ბევრი ბებერი ხეა. ბაბუას ასე მოეპრიანა. ბლომად არის ნუშის ბებერი ხე, მთლად დაავადებული, ქერქმიმხმარი, ჭრილობისაგან დაუძლურებული ალუბლის ხეები, რომლებსაც წებო ძირამდე წითურ გრძელ ძაფებად ჩამოსდით, არის აგრეთვე ლეღვის ხეების მთელი ტყე, სადაც ფრინველი უფრო მეტია, ვიდრე ლეღვის ხე და სადაც ფრთოსანთ განუწყვეტელი ბრძოლა აქვთ.

ყველაფერი ეს ძალიან ჰგავს ამ შაბრანებს, ოქროპირებს, მსტვენარებს, მომღერლებს, ნაზი გამოხედვის ოსტატებს, რომელნიც ფულისთვის თავს არ იტკივებენ, მაგრამ თავაზიან ქცევას კი დიდ ყურადღებას აქცევენ.

— რაღა თქმა უნდა, ჩემო შვილო, — ეუბნება მოხუცი დელფინა, — წადი, ვარცლში თითონ მონახე. იქ არის, მარცხნივ, ქატო გადმოყარე... არ არის? მაშ მარჯვნივ დახედე... ხომ ნახე?

ყოველთვის, როდესაც დელფინა „ჩემო შვილო"-ს ეუბნება, მადლენას ყელი ისე უხურდება, თითქოს არაყი დაულევნიაო. პურს მიაგნო. აი, აქ არის ქატოს-ქვეშ, თეთრი და რბილი პურები. — სამი გეყოფა? — ეკითხება მოხუცი.

— მეყოფა, სწორედ ხვალამდის. თქვენ ხომ არ დაგაბრკოლებთ?

— ნუ მერიდები, ჩემო შვილო!

მადლენამ პურები მკლავზე დაიწყო. ხელები ისე მოხვია, თითქოს პატარა ბავშვი უჭირავსო. რა სასიამოვნოდ მოისმის ოლივიეს დედის სიტყვები „ჩემო შვილო". და ეს მაგარი და მძიმე პურები მკერდთან აქვს, ქატოს, სქელი პურის გულის და ბზის სურნელება ოლივიეს სურნელებაა, როდესაც ის ჯორებით პურს ლეწდა...

— ახალი ამბავი ხომ არ მოგსვლიათ? — ეკითხება მადლენა.

— ოთხი დღე იქნება, რაც წერილი მივიღეთ, მაგრამ ადრე დაწერილი უნდა იყოს. არაფერს იწერება, რომ არ შეგვაწუხოს. მაგრამ მაინც ვწუხვართ.

როგორა ჰგავს ოლივიე თავის დედას! ზედგამოჭრილი ის არის, მისი სახეა. აი სანათის პატარა ლურჯი შუქივით მოციმციმე მისი ლამაზი თვალები, ტუჩების ეს წითელი ზოლი, ცხვირი, ეს ლოყები, სწორედ ის არის. ოლივიეს სახე გამოსჭვივის ამ მოხუცის სახეში, თითქოს რძეში ამოვლებული.

— თუ რამეში დაგჭირდეთ, — ეუბნება მადლენა. — დღისით, ღამით, რა დროც უნდა იყოს, გამომიყენეთ, თუ მომგრიდებით, დედა დელფინა, ხომ იცით...

— ვიცი, — ღიმილით უპასუხებს მოხუცი მის წინ მდგომ დაუბარებელ ქალიშვილს, რომელიც ეუბნება, გამომიყენეთო. — ვიცი, ჩემო შვილო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურებით ხელში მადლენა შინ ბრუნდება. პურები მსუქან, ულამაზო ვარა ბავშვივით უჭირავს, რომელიც თითქო სახვევიდან უცურდება. მადლენამ ეზოს სკამზე წითელი მატყლის ქამარი დაინახა. კარგად იცნობს ამ ქამარს. ოლივიესია. პურებს ბალახზე დააწყობს, იხედება. არავინ არის... სწრაფად მალავს ქამარს წინსაფარქვეშ. პურებს აიღებს და დაღმართზე დაეშვება.

იულიამ მიმავალ ეტლს თვალი გააყოლა. ფეხშეკრულს, ხის პალოთი პირდაცობილ ნეზვს თავი ძირს ჩამოუკიდნია. ეტლის თვალი ეხახუნება მის ყურს. მოსახვევში ეტლი თვალს მიეფარა.

იულია ყანაში დასაბრუნებლად მოემზადა, როდესაც შეგირდს თვალი მოჰკრა, მისკენ მორბოდა.

— გაგექცათ? — ჰკითხა იულიამ.

— არა, გუსტავს ყელსახვევი დაავიწყდა.

ბოსელში შევიდნენ. ყელსახვევი ბაგის ზედა ხარიხაზე ჩამომჯდარიყო. იულიამ შეგირდს გადახედა. დოინჯი შემოიყარა.

— აბა ახტი! — სიცილით ეუბნება ბიჭს.

ყმაწვილი ხტება და ხელსახვევს მხოლოდ ფრჩხილების წვერით სწვდება.

— რა ზაზუნა ყოფილხარ! — დასცინის იულია.

— თქვენ ვილასა გევხართ? — ქვემოდან შესცქერის შეგირდი.

იულია ილიმება ზევიდან, მშვენიერი ტიტველი მხრების სიმაღლიდან. შავი თვალები ნაკვერცხლებივით უელავს. დოინჯშემოყრილს ძუძუები ისე დაბერვია, თითქოს პერანგიდან გადმოხტომას ლამობენო.

— თქვენ კი ნეზვსა გევხართ.

იულია ბიჭს მკლავში ხელს ჩაავლებს და ანჟღრევს. ქალი იცინის ბიჭიც.

— კიდევ იტყვი?

— ვიტყვი.

— იცოდე, დაგეჭიდები! — ემუქრება იულია.

— მეც დაგეჭიდები, — უპასუხებს ბიჭი.

ყმაწვილი ცდილობს წელზე ხელი მოხვიოს, თითქოს უნდა მიწას მოჰგლიჯოსო. მაგრამ ქალი თავის ღონიერ ხელებს მარვალში ჩაავლებს, ასწევს და ჩალაზე წააქცევს. იგი უსხლტება. კინაღამ წამოდგა. მაგრამ ქალი ზედ დაეცემა, მთელი თავისი სიმძიმით დააწვება და ზურგით ჩალაზე დააკრავს.

— ესეც შენ, უსუსურო მოჭიდავევ, — აჯავრებს იულია.

ქალი ზედ აზის, როგორც ცხენზე გადამჯდარი. თავისი სიმძიმით გაკავებული ჰყავს. იულია ტიტველა ტანით აზის ბიჭს მუცელზე. უეცრად წამოდგება, პერანგის საბეჭურებს გაისწორებს.

— აბა, ადექი, — მკაცრად მიმართავს ბიჭს.

იულია მთლად აილეწა. ცეცხლი მოედო მის ლოყებსა და შუბლს, თითქოს ავად გახდაო. ბიჭი კი ჩალაზე იწვა და იცინოდა.

— ადექი!

იულიას მოესმა ნაზი, მტრედის ღუღუნის ხმა.

ბიჭს ფეხი წაჰკრა და მკაცრად გადახედა. მთლად სირცხვილისაგან იწვოდა, გაშლილი ხელი დაიფარა მკერდზე, სადაც პერანგი ამოჭრილი იყო.

კარს სამივე ერთად მიადგა ჟერომი დაბიდან დაბრუნებული; მადლენა — გარდეტიდან და იულია — ბოსლიდან.

ჟერომმა სთქვა:

— წერილი არ იყო.

ორივე ქალმა წამოიძახა:

— ოჰ!

რძალ-მულს თავთავისი სადარდელი და საზრუნავი აქვს.

ცოტა ხნის შემდეგ იულიამ ამოიოხრა და იკითხა:

— რას ნიშნავს ყოველივე ეს?

შუადღის სიცხემ დააჭირა.

ფერმის დახშულ დიდ დარბაზში გრილი ჩრდილია. როგორც მიწისქვეშა წყალსაცავში. სიჩუმეა. მხოლოდ ერთი ფუტკარი ცეკვავს დარაბის ჭურჭუტანიდან შემოსულ განიერ და ბრტყელ სხივში.

დროგამოშვებით იულია ჭამას სწყვეტს და ჩუმად ზის, მაგიდის კიდეზე ხელებ-ჩამოდებული, წინ გადახრილი, მკლავებ მოღუნული, თითქოს რაღაცას უნდა დააცხრესო. შემდეგ ისევ განაგრძნობს საჭმლით კუდის ამოვსებას, მაგრამ მის თვალებს მოუსვენრობა ეტყობა. უკანასკნელი ლუკმის ღეჭვა არც კი აქვს მოთავებული, რომ წამოდგება.

როგორც დილას, იულია ახლაც მოემზადა ყანაში წასასვლელად: განიერი ტყავის ქამარი, ხარის რქა, ცელი.

— შუადღეზე არ ისვენებ? — ეკითხება მადლენა.

— არა, — უპასუხებს იულია და ქამარს იკრავს.

— ძალიან ცხება, არ გაწყინოს. — ეუბნება მადლენა.

— ჰო, — კრიჭა-შეკრული უპასუხებს იულია.

მხარზე ცელი გაიდო და უსიტყვოდ გზას გაუდგა. მის მიერ ღიად დატოვებული კარი თონესავით აცხუნებს. პაპანაქება სიცხეში იულია უჩრდილო გზას მიჰყვება. ლობეს ხერხის კბილის ოდენა ჩრდილი აქვს. ლობე

და მასზე ჩაძინებული ჩიტები სამარისებრ სიჩუმეს მოუცავს. ქარი არა ჰქრის. ნუშის ხეები არ იძვრიან. ცხრა თვალა მზე მთელი ტანით დასწოლია მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი ცოფმორეული მიდის, ფეხებში ბალახი ედება, რომელსაც ფეხის მკვეთრი გაჭნევით გლეჯს.

ტუჩებს მოკუმავს და თვალი ჰორიზონტს ზემოდ ცის ნაჭრისთვის მიუპყრია, თავისუფალ ლურჯ ნაჭრისთვის. ქვასავით მაგარ და წყალივით ნათელ ნაჭრისთვის. ზედ არაფერი ისახებოდა დედამიწიდან. მიდის ტუჩებ-მოკუმული, თვალებ-გაშეშებული.

მაშ ასე, ყველაფერი გათავდა!

ეს თივა, თივის სუნი ბოსელში, ნაკელის სუნი, სუნი მუშა პირუტყვისა, რომელიც ოფლში იწურება, რომელიც ცხოვრობს, მისი საკუთარი სუნი, მისი კანისა და თმის სუნი, — ყოველივე ეს ჯადოქრად ევლინება, ზელავს, ამზადებს, როგორც ცომს, რომელიც მხოლოდ საფუარს ელის. ზედმეტად კიდევ ეს ძახილი! მამაკაცთა ძახილი იქ, მინდვრის სიღრმეში! ეს მოხუცი მამაკაცები! და უცბად იულიას ჰგონია, რომ ისინი ახალგაზრდები არიან.

ყველაფერს ბოლო ეღება ყველაფერს!

საშველი აღარ არის!

აღარც შრომა შველის, რომელიც ჰკლავს ნერვებს, აღარც გონების გამომფიტველი დაღლა. აღარც ის, რომ ეს მოქანცვა თეძოებს უმძიმებს. ოჰ ღმერთო! თავი როგორ დავიცვა!

რა გინდა მერე ალაგმო? ქალის სხეულის პატრონი რას უნდა დაეუფლო? ჩალაზე ბიჭიც კი ვერ გადაგიწვენია ისე, რომ გონება არ დაჰკარგო!

ეს მზეც!

ოჰ! ფეხი მკერდზე დამადგი, გამჭყლიტე, ქუსლი დამაჭირე, რომ ყველაფერი ის, რაც ჩემს სხეულშია, თავში არ ამივარდეს!

იულიას სიარულის დროს ტანი ნარნარად ერხევა. სიმრგვალე, რომელიც მისი სხეულის შუაგულს წარმოადგენს, ზღვის ტალღასავით ღელავს. აქ უკვე უძლურია, მისცეს ამ ნაწილს ისეთივე მკაცრი გამომეტყველება, როგორიც აქვს მის ტუჩებს, სახესა და გულს. იგი ნაზია მწიფე ატამივით, რომელსაც ფუტკრის შეხებაც კი ათრთოლებს.

იულია უკვე უახლოვდებოდა ყანას, მაგრამ იქ, წვივებს შუა, კიდევ გრძნობდა ჩალაზე წაქცეული ბიჭის სითბოსა და თრთოლვას. და მთელი სხეულით, მთელი ძალ-ღონით, გაცოფებული ქალი პურის ყანას დაეძგერა.

— ასე, ასე! — იძახის იულია, და აფორიაქებული ღეროები მის გვერდით რიგებად ეწყობა.

დიდი სურვილი კი მის ტანში მოუსვენრად დასრიალებს. საშველი აღარ არის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა მთლად მოედო.

მთელი მისი სხეული ამღერდა, ეს სიმღერა მოისმის ყველაფერში: მკის ამ რიტმში, თავთავის ამ რხევაში. ამ რქაში, რომელიც მუცელზე სცემს, ამ სიცხეში, რომელიც კეფას უწვავს, ოქროსფერი ღეროების წაქცევაში, ცალფრთიანი ცელის ქროლვაში.

ეს ბიჭი... თბილი, სიცოცხლით სავსე ტანი, რომელიც მის ქვეშ იკლაკნებოდა.

ეჰ, სიცოცხლე, სიცოცხლე!

გუსტავი? ისეთი რა უთხრა ნეზვს?

რას შვრება გუსტავი, რომ ასეთი მზესავით ცხელი გამოხედვა აქვს? რას შვება მას შემდეგ, რაც დაქვრივდა?

ჟოზეფი!

ვილა დარჩა: ან რბილძვლებიანი ჭაბუკები, რომლებიც ჭყინტლი ყველივით დაიწრიტებიან, ხელი რომ მოუჭირო, ან მოხუცები.

რამდენი წლის იქნება გუსტავი? რა ძალა იფარება ნეტა მისი თვალების ელვარებაში, მსხვილ ძვლებში, კარივით განიერ მის ზურგში?

იულია შესდგება. ხელის ზურგით თმასა და შუბლს მოიწმენდს.

„რა მომელის?“

თეძოებზე ხელს გადაისვამს.

იქ, გზაზე ნუშის ხეების ტყის მეორე მხარეს, ეტლი ხტის ურმის თვლის ნაკვალევზე. ცხენი ეუვნებს არაწკუნებს.

იულია ცელს დააგდებს. მკაცრი გამომეტყველა აქვს, მოკუმული ტუჩები. გზისკენ გადახტება. ეს ნახტომი დიდხანს იყო მასში დაბმული. არ ეძახის. დაბერილი ნესტოებით ხარბად ისუნთქავს ჰაერს. ბალახზე გარბის.

იქ კი ცხენმა სიარულს მოუჩქარა, ზეგანი იმ ადგილას ტალღისებურად აზვირთულია. ეტლი მეორე მხარეს ეშვება.

იულია გზის ფერდობზე ეცემა წყენისა და დაღლილობისაგან. სულს ძლივს ითქვამს. მთელი ცა გულზე აწვება. თავი ისე უზანზარებს, თითქოს ყურებში მთიელთა დიდი საყვირით ჩასძახიან.

ამ საღამოს ყველაზე ადრე მადლენა წავიდა დასაძინებლად.

უკვე გახდილი იყო, როცა იულიამ დერეფანში ჩაიარა, ზეწარქვეშ მადლენამ სწრაფად რაღაც დამალა.

ტოტა ხნის შემდეგ იულიას ოთახში საწოლმა დაიჭრაჭუნა. ქალი წვებოდა. შემდეგ საწოლმა კიდევ დაიჭრაჭუნა. მერე კიდევ და კიდევ. შემდეგ აკვნესდა ბზის ლეიბი, თითქოს ზედ ვიღაც დაცურავს და ზელ-ფეხს იქნევსო.

ფეხშიშველა მადლენამ რძლის ოთახის კარებთან მიირბინა.

— იულია, — დაუძახა გარედან, — ავად ხომ არა ხარ?

— არა, — უპასუხა იულიამ.

მადლენა ოთახში დაბრუნდა და კარები მაგრა ჩაკეტა. ზეწარ-ქვეშ დამალული გამოიღო — ოლივიეს ნაქონი მატყლის წითელი ქამარი იყო. დიდხანს დასცქეროდა, ხელით ეხებოდა, უალერსებდა. პერანგს აიწევდა და ქამარს რამდენჯერმე ტანზე შემოიხვევდა.

ჩუმად იცინოდა, ძალზე თბილი იყო, ძალზე სასიამოვნო, — აშკარად გრძნობდა ოლივიეს.

თარგმანი ფრანგულიდან
იროდიონ ქავუარაძისა

(შემდეგი იქნება)

რუსთველის იუბილესათვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ნათენაძე

შოთა რუსთველის ვინაობა-სადაურობის შესახებ

დიდი სტალინის ბრწყინვალე ეპოქამ ცხოვრების ახალი პირობები შეგვიქმნა. უზრუნველყოფილია საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მასების კულტურულ-ეკონომიური და პოლიტიკური წინსვლა. საშუალება მოგვეცა შევისწავლოთ კაცობრიობისა და კერძოდ ქართველი ერის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი ღირებულებანი — კულტურული მემკვიდრეობა.

ძველად რუსთველოლოგიას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. ამ პრობლემის დამუშავებას ცალკეული მკვლევარები ეწეოდნენ. მასალა მკვლევარებს ძირ-ფესვიანად არ ჰქონდათ შესწავლილი. მათი მუშაობა არ იყო კოორდინირებული.

დღეს რუსთველოლოგია აღიარებულია საკავშირო მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიულ პრობლემად. რუსთველის სახელობის ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად ასეული მკვლევარი მუშაობს ამ პრობლემაზე. უკანასკნელ წლებში ამ პრობლემის დასაძლევად დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული. ვემზადებით რუსთველის იუბილესათვის.

ყველაზე სუსტად დამუშავებულ ადგილს რუსთველოლოგიაში წარმოადგენს პოეტის ვანაობა-სადაურობის საკითხი. ეს ადგილი ხელოვნურად დაბნელა ზოგი მკვლევარის უსისტემო კვლევამ [1]), რადგან ისინი თავიანთ დასკვნებს ამყარებდნენ შეუმოწმებელ მასალაზე და უსაფუძვლო ჰიპოტეზებზე. მოხდა ეს იმიტომ, რომ აღნიშნული მკვლევარები ახლოს არ გაეცნენ იმ ობიექტებს, საიდანაც მათ უნდა მიეღოთ ფაქტიური მასალა საძიებელი საკითხის გასაშუქებლად: მათ არა ჰქონდათ შესწავლილი საქართველოს ის კუთხე, სადაც დაიბადა და აღიზარდა პოეტი.

---

[1]) ზოგი რუსთველოლოგის მტკიცებით, შოთა რუსთველი იყო არა მესხეთიდან, არამედ ჰერეთიდან. ზოგმა რუსთველი მაჰმადიანად აღიარა, ზოგმა კიდევ მანიქეველად, ხოლო ბოლო დროს პროფ. კ. კეკელიძემ „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორად რუსთველის მაგიერ სარგის თმოგველი წარმოგვიდგინა.

„ვეფხის-ტყაოსნის“ ხელნაწერები პოემის ავტორზე გადმოგვცემენ შემდეგ ცნობებს:

„დავჯე რუსთველმან, გავლექსე, მისთვის გულ ლახვარ სობილი“ [1]
(სტროფი 7).

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამადარი“ (სტრ. 8).

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“ (სტრ. 1741)

„ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ შეუშრობელსა“
(სტრ. 1745).

ამგვარად, „ვეფხის-ტყაოსნის“ ხელნაწერებში გვაქვს პირდაპირი მითითება იმაზე, რომ პოემის ავტორი არის რუსთველი, მესხი. სხვა მასალაც რომ არა ჰქონოდათ, ესეც საკმარისი უნდა ყოფილიყო მკვლევართათვის, რომ არ დაეტოვებინათ თავიანთი ყურადღების გარეშე მესხეთი, როდესაც იკვლევდენ პოეტის ვინაობა-სადაურობას. ყოველ შემთხვევაში, ვისაც არ სჯეროდა რუსთველის მესხობა, სხვა საკითხებთან ერთად უნდა შეემოწმებინა შემდეგი:

1. გვაძლევს თუ არა „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსიკა მითითებას იმაზე, რომ მასში მოიპოვება რომელიმე პროვინციული კილოს ნიშნები? მოსჩანს თუ არა პოემაში მესხური, კუთხური კილოს გავლენა?

2. არსებობდა თუ არა მესხეთში შოთას ეპოქაში დაბა რუსთავი? რას წარმოადგენდა მაშინ რუსთავის თემი?

3. როგორია და რამდენად დამაჯერებელი მესხეთში შერჩენილი გადმოცემები რუსთველზე?

ამ საკითხების შემოწმების დროს რუსთველოლოგები აუცილებლად შემატებდნენ მეცნიერებას საერთოდ და რუსთველოლოგიას კერძოდ ახალ საყურადღებო მასალას.

თავი პირველი

„ვეფხის-ტყაოსნის ავტორის სადაურობა პოემის ლექსიკის მიხედვით

რაც უნდა დახვეწილ ლიტერატურულ ენაზე იყოს დაწერილი ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები, მას მაინც აზის დალი იმ კუთხის დიალექტისა, საიდანაც არის ამ ნაწარმოების ავტორი. ეს ნიშანი ცოტად თუ ბევრად ანია ყველა ჩვენს ძველ და ახალ ლიტერატურულ ძეგლს.

[1] ყველგან სტროფები ნაჩვენები გვაქვს კ. ჭიჭინაძის უკანასკნელი გამოცემის მიხედვით.

აკადემიკოსმა ნ. ი. მარრმა დაამტკიცა, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ დაწერილია მესხის მიერ, რადგან პოემაში ბლომადაა ისეთი სიტყვები, რომლებიც მესხურ-ხალხურ დიალექტში შესულია მეზობელი ქვეყნების ენებიდან (არაბულიდან, სპარსულიდან, სომხურიდან და სვანურ კილოდან) [1].

მარრის მიერ დასაბუთებული ეს დებულება ჯერ არავის არ დაურღვევია. დავუშვათ პირობით, რომ მარრს ამ მიმართულებით არაფერი არ გაუკეთებია. გამოვარკვიოთ, არის თუ არა „ვეფხის-ტყაოსანში“ მესხური ხალხური კუთხური დიალექტის დამახასიათებელი ნიშნები?

თუმცა „ვეფხის-ტყაოსანი“ დაწერილია დიდი მხატვრის და ფრიად განათლებული კაცის მიერ, მაგრამ ამ უკვდავ პოემას, როგორც ყველა სხვა ძეგლს, მაინც აშკარად ეტყობა მესხური კუთხური კილოს დიდი გავლენა. პოემაში ბლომად არის მესხურ-ჯავახური პროვინციალური დიალექტის დამახასიათებელი სიტყვები.

მიუხედავად იმისა, რომ პოემის დაწერიდან განვლო 700 წელმა, „ვეფხის-ტყაოსნის დიალექტი დღემდე მესხეთ-ჯავახეთში თითქმის იგივეა, რაც ჩვეულებრივი ხალხური სასაუბრო დიალექტი. ამავე დროს მესხეთ-ჯავახური სიტყვები უჩვეულოა საქართველოს სხვა კუთხეების დიალექტში. არა თუ უჩვეულოა, ბევრი მათგანი სრულიად გაუგებარია ან ხმარებულია სხვა მნიშვნელობით. გაუგებარი ყოფილა ეს სიტყვები არა მარტო „ვეფხის-ტყაოსნის“ ჩვეულებრივი მკითხველისათვის, არამედ პოემის კომენტატორებისთვისაც. მათ არასწორად განმარტეს მთელი რიგი ქართული (მესხურ დიალექტში ცნობილი) სიტყვე-

---

[1]) Н. Я. Марр: „Грузинская поэма „Витязь в барсовой шкуре“ Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема“. „Известия академии наук“, 1937 г., стр. 415 — 506

მარრი, სხვათა შორის, თავის ამ შრომაში (გვ. 486) სწერს:

„Итак, месхский говор, родная речь поэта, заключала в себе не только пережитки сванского языка и отложения искони соседнего армянского языка, но и многочисленныя мусульманския. Пережитки сванского в месхском говоре находят свое об'яснение в том, что сваны в лице входящего в их состав мосохского племени некогда владели Месхиею и господствовали в ней. Отложения армянского языка в месхском говоре находят об'яснение в том, что те же более древние хозяева области Месхии, именно сваны, успели обменяться, как теперь выясняется, на первоначальной своей родине в Армении, с армянами лексическими заимствованиями, а затем армяне искони и непрерывно были соседями Месхии да и владели временами ею или во всяком случае ея частью.

Что же касается мусульманских лексических элементов в месхском говоре, а оттуда и в творении Шоты, об'яснение их следует искать лишь в культурном мусульманском влиянии на месхов.“

ბი. ზოგი სიტყვა ახსნეს საწიინალმდეგო მნიშვნელობით, ზოგი მიაკუთნეს სომხურს, ზოგიც აუხსნელი დარჩა.

იმის დასამტკიცებლად, რომ „ვეფხის-ტყაოსანში“ სჭარბობს მესხურ-კუთხური დიალექტი, შეგვეძლო მოგვეყვანა „ვეფხის-ტყაოსნიდან“ მრავალი მაგალითი. მაგრამ ამჟამად დავჯერდებით მხოლოდ რამდენიმე მაგალითს.

პირველი ჯგუფი მესხურ-კუთხური სიტყვებისა, რომლებიც გვხვდება „ვეფხის-ტყაოსანში“ და გაუგებარი ყოფილა საქართველოს სხვა კუთხეებში ან ლექსიკოლოგებისათვის:

1. **„ახეწა“** (სტროფ. 706, 711). კარიჭაშვილი ასე ხსნის ამ სიტყვას: „აფხეკა, აცერცვნა“. აბულაძე უმატებს: „დაპოტვნა, დასერვა, ახოკვა“. ამ სიტყვის ასახსნელად ლექსიკოლოგები მიმართავენ ხუთ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას. მაგრამ არც ერთი მათგანი სწორი არ არის. „დაპოტვნა, დასერვა და აცერცვნა“ სრულებით არ შეეფერება „ახეწას“. „ახეწა“ მესხურ-ხალხურში ნიშნავს აკაწვრას. როდესაც ყანას წუნს დასდებენ ცუდი მოხვნის გამო, იტყვიან, „რატომ აგიხეწია“, ე. ი. ზემოდან რად დაგიკაწრავსო. პოემაში „ახეწა“ გვხვდება შემდეგ სტროფებში:

706. „პირსა იცა, გაიხეთქა, ღაწვი ვარდი აიხეწა;
ლალი ქარვად გარდიქცია, ბროლი სრულად დაილეწა“.
811. „ვით მიამბე წასვლა მისი, ვინ ალვისა მორჩი ხეწნა!
ვაზირისა ცრემლმან ცხელმან ღაწვნი თეთრნი აახეწნა“.

2. **„გაბასვრა“** (სტროფები 675, 981). კარიჭაშვილი ხსნის: „შერცხვენა, გალანძღვა“. აბულაძე უმატებს: „გაკილვა, გაკიცხვა“. კაკაბაძე: „გალანძღვა“.

არც ერთი განმარტება სწორი არ არის. აქაც მიმართავენ იმავე ჯამოცნობის მეთოდს, კონტექსტის მიხედვით. „გაბასვრა“ ნიშნავს გულის მოკვლას, გაბრაზებას. ხშირად იტყვიან — გული გამებასრა, გული ნუ გამიბასრე. შეიძლება კაცს გული გავუბასროთ (გული მოუკლათ) ისე, რომ არც შევარცხვინოთ, არც გავკილოთ, არც გავლანძღოთ, სრამედ სხვა რაიმე მოქმედებით.

921. „მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწყლულა,
იგი ფიცი ჩემგან სრული, მან აღარა გამისრულა;
მას თუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ლხინი გარდასულა,
სხვა მოყვარე თვალსა ჩემსა გაკიცხულა, გაბასრულა“.

2. **„დანასვა“** (სტროფ. 195, 1268, 1306) ნიშნავს არა ჩვეულებრივ გაფუჭებას, დაუშნოვებას, დაჩაგვრას, წახდენას, როგორც ლექსიკოლოგები განმარტავენ, არამედ გარკვეულ შემთხვევაში ყინვისაგან მცენარის (მარცვლეული, ხილი, ყვავილი) მოძრას. მოძრულ ხორბლიდან გამოდის „ნასი“ პური.

195. „ახალმან ფითქმან დათოვა, ვარდი დაბრთვილა, დანასა“.

4. **„კაპანი“** (სტროფი 444). კარიჭაშვილი და ჭიჭინაძე ხსნიან კაპანს როგორც ქვიან ადგილს. კაკაბაძე — ქვა-ღრეაო, აბულაძე კი ამბობს — სიტყვა სომხურიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ქართული სიტყვა, რომელიც სომხურ ენისათვის სრულებით უცნობია, აბულაძემ და კაკაბაძემ (რადგან მათ არ ესმოდათ ამ მესხური სიტყვების მნიშვნელობა) სომხურ ენას მიაკუთნეს.

„კაპანი სომხური კი არა, ქართულია და ნიშნავს არა ქვა-ღრეს და ქვიან ადგილს, არამედ კლდეზე გაკიბულ ვიწრო გასავალს, ძნელად გასავლელ გზას.

5. **„მოსავსება“** (სტროფი 218). კარიჭაშვილს და კაკაბაძეს ახსნილი აქვთ როგორც „შესრულება, შევსება, ავსება“. მესხურ დიალექტში კი მოსავსება ნიშნავს გაჭარვებას, შემსუბუქებას.

როგორ გვასმენს ამ სიტყვას თვით კონტექსტი?

ავთანდილმა დაინახა მისკენ მომავალი ექვსი „წვეროსანი“ კაცი, რომელთაც დაკოდილი „უწვეროლო“ ყმა მოჰყავდათ.

ავთანდილმა:

218. „უყივლა თუ: „ძმანო, ვინ ხართ, მეკობრეთა დაგამსგავსე!“
მათ მიუგეს: „დაგვიწყნარდი, გვიშველე რა, ცეცხლი ავსე“;
ვერა გვარგო, მოგვიმტკივნე, ჭირი ჭირით მოგვისავსე,
სატირელნი მოგვიტირეს, ღაწვი შენცა დაისავსე“.

სტროფი არავითარ განმარტებას არ მოითხოვს, აქედან პირდაპირ მოსჩანს, რომ ავთანდილს ეხვეწებოდნენ: გვიშველე რამე, დაგვივსე ცეცხლი, ჭირი ჭირით მოგვიქარვე, იტირე ჩვენთან ერთადო.

6. **„ნირი“** (სტროფი 1136) არის არა ნიხრი (ტაქსა), როგორც ლექსიკოლოგები ხსნიან, არამედ საგნის მდგომარეობის გამომხატველი, ხარისხის მაჩვენებელი. მესხეთში ამ სიტყვას ხშირად ხმარობენ ისეთ საგნებზე, რომლებიც არც საყიდია და არც გასაყიდი: „ისე შეინახე, რომ ნირი არ შეუშალო“. ამბობენ კიდევ: „მტერმა ნირი ვერ შამიშალაო“.

7. **„ნიში“** (სტროფი 368) განმარტულია ლექსიკოლოგების მიერ როგორც სალამური, ფლეიტა (არაბულ-სპარსულიაო). საბა ორბელიანი ამბობს: „ნიში — ნიშანთ ნაწილიაო.“ მარრი — знак, значение.

ჯერ წავიკითხოთ სტროფი. ტარიელი ამბობს:

368. „მამა მომიკვდა, მოვიდა დღე სიკვდილისა მისისა;
ქმნა გაუცუდდა ფარსადანს ნიშატისა და ნიშისა.“

როგორც ხედავთ, კონტექსტის მიხედვით არ არის მისაღები არც სალამური, არც ნიშანი. „ნიში“ მესხურ-ხალხურად კარგი, სასიხარულო ამბის გამოცხადებაა. იტყვიან: ნიში მომიგო, ნიში მიუგე, რაც ნიშნავს

სასიხარულო ამბის გამოცხადებას. ამგვარად, „ნიში“ ნიშნავს სასიხარულო ამბავს, სასიხარულო მდგომარეობას.

8. **„საქულბაგე“** (სტროფი 658) ყველა ლექსიკოლოგს საიდუმლო ადგილად მიაჩნია. მესხეთში დაქულული ადგილი ბნელს, საიდუმლო ადგილს ნიშნავს. ახალციხეში საქულბაგეს უწოდებენ ბნელ სარდაფს.

საქულბაგის საბაზრო ადგილად გაგება მიუღებელია კონტექსტის მიხედვითაც. ხვარაზმელები ზარდაცემულნი გარბოდნენ ტარიელისაგან დამარცხებულნი. საბაზრო ადგილზე რა უნდოდათ, თუ ზარდაცემულები გარბოდნენ?

658. „კვლა სვასა მიველ, მოვკიდე ხელი ნავისი ბაგესა,
ზღვასაცა დავნთქი, დავხოცე, ომიმცა რაღა აგესა!
სხვანი გამექცნენ, მიმართეს მათ მათსა საქულბაგესა“.

9. **„ტანაჯორი“** (სტროფი 489). ამ სიტყვის ახსნაზე ბევრი იდავეს ლექსიკოლოგებმა, მაგრამ მაინც ვერ ახსნეს „ტანაჯორის“ ნამდვილი მნიშვნელობა. ჯავახეთში ბავშვები ბზრიალა ქვით თამაშობას „ტანაობა“-ს უწოდებენ, მაშასადამე, „ტანაჯორი“ ბზრიალა ქვაა და არა „პატარა ერთგვარი მწერი“ როგორც ლექსიკოლოგებს ჰგონიათ.

ტარიელი ამბობს, თუ რა დღე დააყენა ხატაელებს:

489. „შიგან ასრე გავერივე, გლონის გოჯსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცნე, ცხენ-კაცისა დავსდგი გორი,
კაცი ჩემგან განატყორცნი, ბრუნავს, ვითა ტანაჯორი;
ერთობ სრულად ამოვსწყვიტე წინა-კერძი რაზმი ორი.“

10. **„წვერვა“** (სტროფი754) ნიშნავს არა ცლას, ლევას, ფუშვას, როგორც აბულაძე ხსნის, არამედ ქვემოდან ზევით დიდ სიმაღლეზე თვალთვალს. დიდ სიმაღლეს მესხეთ-ჯავახეთში „წვერი“ ეწოდება. იტყვიან: „წვერზე ავიდა“, გაწვერა. ავთანდილი ეუბნება თინათინს:

754. „ცუდი არის დამძრალისა გასათბობად წყლისა ბერვა,
ცუდი არის სიყვარული, ქვევით კოცნა, მზისა წვერვა.“

11. **„ხადილი“** ნიშნავს მესხურად ტკბილად საუბარს, მუსაიფს, მუდარას: „მოდი, ქალო, ვიხადილოთ“, უხმობენ ერთმანეთს ქალები და სხდებიან კარაპნებში, ხელსაქმობენ და ხადილობენ (მუსაიფობენ). კარიჭაშვილს, აბულაძეს, კაკაბაძეს და ჭიჭინაძეს კი ჰგონიათ, რომ თუ სადილი და წვეულება არ გაიმართა, ანუ პურ-მარილი არ იქნება, ისე „ხადილი“ არ შეიძლება. ხადილი რომ მუსაიფს ნიშნავს და არა „სადილს“, ეს ჩანს რუსთველის წინამორბედის შავთელის ნაწარმოების კონტექსტიდანაც:

„სამსახეობით, სამსახეობით,
ხადი უფალსა და მაცხოვარსა“.

როდის იყო ნაგულისხმევი ძველი ცნებით, რომ ღვთის-მოშიში ქრისტიანი ღმერთთან ერთად სადილობდა?

აუხსნელად აქვთ დატოვებული ლექსიკოლოგებს შემდეგი მესხურ-ჯავახური სიტყვები:

12. „შამათა", სტროფი 1708 — ხმაურობა, აურზაური.
13. ბღნეჯა „ 937,1009 — პირის ღმეჭა, ჭყანვა.
14. ეაგეთა „ 1440 — სამისო, შესაფერი.
15. მეკეთა „ 426 — მომეწონა.
16. რუბი „ 1209 — საწყაო ჭურჭელი, კოდის მეოთხედი.

მეორე ჯგუფი სიტყვებისა, რომლებიც გაუგებარია სხვა კუთხეებში, მაგრამ არა მთელს საქართველოში, არამედ ზოგან, თანაც ხმარობენ სხვა გაგებით და ამ სხვა გაგებით (არა სწორი გაგებით) აუხსნიათ რუსთველოლოგებსაც:

1. განდობა.
2. განალამცა.
3. გარდაჭდობა.
4. გულფიქალი.
5. დია.
6. დასაბურავ-ჩასაცმელი.
7. ლაღაბი.
8. მთხვევა.
9. მღალავი.
10. მოგრაგნა.
11. იჩქითი.
12. პაშტა.
13. ანძრახობა.
14. უმეცარი.
15. ქცევა.

1. **„განდობა"** (სტროფი 166) ნიშნავს ვინმესათვის საიდუმლო რამის თხრობას, ისე რომ სხვაგან არ გაამჟღავნოს. კარიჭაშვილი და აბულაძე კი ხსნიან მას საწინააღმდეგო მნიშვნელობით—„გაზიარება-გამხელაო". გამხელას მესხეთში გათქმა ეწოდება. რუსთველი კი ამბობს „ამა საქმესა ვერა ვიქმ მე განდობასა სხვათასა" (166 სტროფი). აქედან ცხადია, რომ განდობა არის არა გამხელა, არამედ პირიქით.

2. **„განალამცა"** (სტროფები 40, 141 და სხვა) ახსნილია კარიჭაშვილის მიერ როგორც „დიალაც", „ოლონდაც". აბულაძე უმატებს — „იქნება", „ეგება", კაკაბაძე—„ოლონდაც". ამ სიტყვას რუსთველი ხმარობს რამდენიმე მნიშვნელობით. ასევე იხმარება მესხეთში (მაგრამ არა იმ მნიშვნელობით, როგორც ზემოთ არის ახსნილი). პირველ შემთხვევაში „განალამცა" ნიშნავს კინალამ (როგორც იმერეთში კიღამ). ამ გაგებით არის ხმარებული 141, 304, 548, 1731 სტროფებში. მეორე შემთხვევაში ნიშნავს „განა"-ს და „დიალ"-ს (სტროფები 40, 927, 1586). მესხურ „მრავალჯამიერში" სამჯერ იმეორებენ „განა ჩვენგნითა". ამგვარად, „იქნება" და „ოლონდაც" „განალამცას" სრულებით არ უდგება.

ერთი სტროფი ჩვენთვის უცნობი მესხური პოემისა, რომელიც წაწერილია ვანიქვაბის მონასტერში, ასე იწყება:

„ლომო, განალამც მიყვარა შენებრ ვერავინ სადარად,
წყალად ევფრატად გიტევან, გულო, და როსტომ სადარად,
ტანი ხატისა საროსა, ნარინად აყვავებულსა,
მე, გული სულთა არა მყავს, თუ არ შენ გახლავს სადარად."

3. **„გარდაჭდობა"** (სტროფები 311, 787) ახსნილია კარიჭაშვილის და აბულაძის ძიერ როგორც „გადახვევა". „ყელი-ყელსა გარდააჭდეს" (311), „ვერ შევმართე შემოჭდომა" (569).

თუ გარდაჭდობა გარდახვევაა, ყელი ყელსა როგორ უნდა მოეხვიოს? რა არის ჭდე? დაჭდობა? დაჭდობა ნიშნავს მჭრელი იარაღით ნიშნის ამოჭრას ან ერთმანეთში ჩაჭდეხა-გამოწყობას. ჭდეს ბესხეთში ხმარობენ ქალები ხანულობის დროს (რძის გადამუშავების გასაადვილებლად, ერთმანეთისაგან სესხება). მეხანულეები სპეციალურად გაკეთებულ ჭდეს (2 მტკავლის სიგრძე სახრეს) ჩაჭყოფენ რძიან საყაო კასრში და იქ, სადაც რძე შემოსწვდება, ჭდეს გააკეთებენ (დააჭდობენ), რომ არ დაავიწყდეთ, რომელს რამდენი რძე აქვს ერთმანეთისაგან ნასესხები.

საბაც ასე ხსნის: „ყელი ყელზე გარდადება, გინა ნაჭდობის შეწყობა". მაშასადამე, აქ უნდა ვიგულისხმოთ მეტაფორული გარდაჭდობა, ე. ი. მაგრა ჩაჭკონებიან ერთმანეთს, ისე რომ ყელი ყელს დასჭდობია და არა შემოხვევია.

4. **„გულფიქალი"**. კაკაბაძე ხსნის — „მოხაზულობა", აბულაძე უმატებს, რომ „ფიქალი" (რომლისაგანაც წარმოსდგება სიტყვა „გულფიქალი") ნიშნავს მოხაზულობას, ხოლო გულფიქალი ნეკნებ დაფარულსო, გულნატიფსო. ნამდვილად კი ფიქალი არის სასლის თხელი ნახეთქი. ფიქალი ხმარება მესხეთ-ჯავახეთში, როგორც საშენი მასალა სახლების დახურვის დროს კოჭების ზემოდან დასაწყობად. გულფიქალი კი ნიშნავს გულმაგარს. „გულფიქალს" ხშირად ხმარობენ ხალხურში.

1594. „თქვენთა უყვარს ერთმანეთი, ქალი მას და იგი ქალსა,
მით ვიგონებ საბრალოსა, მტირალსა და ფერ-ნამკრთალსა;
მუხლმოყრილი გეაჯები, ნუღარ აწვევ იმათ ალსა,
რომე მისცე ქალი თქვენი მკლავმაგარსა, გულფიქალსა."

5. **„დია"**. ამ სიტყვას ჩუბინაშვილი, კარიჭაშვილი და აბულაძე ხსნიან როგორც „დიახ", „ძალიან", „მეტად". მესხეთ-ჯავახეთში კი ნიშნავს მხოლოდ „დიახ"-ს.

6. **„დასაბურავ-ჩასაცმელი"** მესხეთ-ჯავახეთში საერთო სახელწოდებაა ტანსაცმელ-ფეხსაცმელისა და თავსახურავისა. არის მიღებული მათი ცალკე სახეებიც: ტანთი — რაც ტანზე იცმების (საცვლებიც, გარესამოსელიც), ფეხთი — რაც ფეხზე ჩაიცმების, დასაბურავი — თავზე დასახურავი.

7. **„ლალაბი“**. პ. ინგოროყვა ამბობს: „ვილაყბეთანი“ ლაყბობას ნიშნავს, „აქ კი ყალბისმქნელი, პოემის შინაგანი გაბათილების მიზნით, უკეთ- მა აბრუნებს პოეტის სიტყვებს, „ვეფხის-ტყაოსანს“ იგი აცხადებს ლალ- ბობად“ (იხ. პ. ინგოროყვას „რუსთველიანა“, გვ. 53).

„ამითა ვილაყბეთანი“ (სტროფი 1743) ნიშნავს ამით თავი შევიქციეთ, გავირთეთ. ინგოროყვას კი თავის შექცევა მიაჩნია უშვერ ლაპარაკად ანუ ლაყბობად დღევანდელი გაგებით, იმ დროს, როდესაც პოემის კონ- ტექსტით და ხალხურშიაც ლალობა, ლალაბი, სალალაბო ნიშნავს ხუმ- რობას, სახუმარო გართობას.

ჩახრუხაძესაც ასე ესმოდა:

„უგავს შატბიერს, გულად ლაყბიერს,
ალათისარად დაშვრა მოხევად.“
(„თამარიანი.“ მე-5 ოდა, 25 ტაეპი).

8. **„მთხვევა“**. კარიჭაშვილი და აბულაძე ამ სიტყვას ხსნიან როგორც შეხვედრას, გზაზე შემოყრას. მესხეთში კი ნიშნავს ამბორებას. „ვეფ- ხის-ტყაოსანშიც“ ამავე მნიშვნელობითაა ხმარებული. მართალია, კაცი კაცთან უნდა მივიდეს ჯერ ანუ შეხვდეს წინასწარ, რომ ეამბოროს, მაგრამ „მთხვევა“ მაინც ამბორებას ნიშნავს და არა შეხვედრას.

დავიმოწმოთ კონტექსტი:

463. „რამაზის კაცი მემთხვია, ვინ ხატაეთზე ხანია;
მან მითხრა მოციქულობა გულისა მოსაფხანია.“

470. „სამ დღე ვიარე, მემთხვია სხვა კაცი მისივე ხანისა,
კელა ეძღვნა უცხო მრავალი შესამოსელი ტანისა.“

1160. „მას ღამითვე საწვეველი რა მიართვეს წიგნი ყმასა,
შეღამდა და წაცავიდა, სხვა ემთხვია მონა გზასა;
ამას ღამე ნუ მოხვალო, ვერა მპოვებ შენთვის მზასა.“

ე. ი. აქ ყველგან, სადაც ხმარებულია „მთხვევა“, ნაგულისხმევია წი- ნასწარ განზრახული მისვლა, მიგებება და უმცროსის მიერ უფროსისად- მი თავმდაბლობის ნიშნად ამბორება და არა მოულოდნელი შემოყრა გზაზე.

9. **„მლალავი“-ს** ასახსენელად კარიჭაშვილს და აბულაძეს სიტყვების საყოველთაო მობილიზაციისთვის მიუმართავთ. აი ეს სიტყვები: „მოჩხუ- ბარი, მოდავე, წამრთმევი, წამგლეჯი, გამრეკი, დამდევნი, დამრთხობი, ხელის შემშლელი, მოძალე“. მაგრამ არც ერთი მათგანი ამ ცნებას არ უდგება, რადგან „ლალვა“, „ვალალა“ წყევლას ნიშნავს და არა სხვარა- მეს. ასევე უნდა გავიგოთ იგი კონტექსტის მიხედვით:

1294. „შუქ-ქუშად მეუბნებოდა, ქუშტი თავისა მკრძალავი,
ვითა ასპიტი მჭვრეტელთა მისთა თვალითა მლალავი.“

10. „**მოგრაგნა**“ (სტროფები 479, 612, 1477) და წამოგრაგნა კარიჭაშვილს, აბულაძეს, კაკაბაძეს ახსნილი აქვთ შემდეგნაირად: „[illegible] მოვლა, გადაგორება, მომრგვალება, წაფარება, დამხობა, [illegible] მრგვალად გადმოხურვა“. ნამდვილად კი მოგრაგნა, გრაგნა ნიშნავს მონგრევას, ძლიერად მოგრეხას.

11. „**იჩქითი**“ (სტრ. 26, 269) სწრაფს ნიშნავს. ერთ მესხურ გამოცანაშიც კი იხმარება: „ზედ იჩქითი, ზედ იკრიჭი, ზედაც კიდე დიდი მთაო“. ნაგულისხმევია ადამიანის თავის ნაწილები: თვალები (იჩქითი), კბილები (იკრიჭი). წინათ, ეტყობა, „იჩქითი“ მამაკაცის სახელადაც ყოფილა ხმარებული: წუნდის ეკლესიის აღმშენებელი, თანახმად წარწერისა, არის „გურგენისძე იჩქითი“.

12. „**პაშტა**“ ნიშნავს პატარას. ასე ხსნის ყველა ლექსიკოლოგი. პროფ. აბულაძის აზრით კი, დიდს ნიშნავს. მესხეთ-ჯავახეთში ერთ ხალხურ ლექსში, რომელსაც „საპატარძლოს“ ეძახიან, ნათქვამია:

„მურჯახეთით წამიყვანეს
პაშტა ქალი მეო,
დადე და დადეს მაყრები
უკან გავყარეო.“

13. „**უნძრახობა**“ (სტრ. 402, 789) ახსნილი აქვთ აბულაძეს და ჭიჭინაძეს როგორც კადნიერება, უზრდელობა, ჩაუგდებლობა. მესხეთში ამ ცნებას ორი გარკვეული მნიშვნელობით ხმარობენ. პირველ შემთხვევაში უნძრახობა ნიშნავს უფროსის პატივისცემით მისთვის ხმის არგაცემას. მაგალითად, ძველი ჩვეულების მიხედვით, ზოგიერთ ოჯახში პატარძალი ბავის მამამთილს სრულებით არ დაელაპარაკება, ხმას არ გასცემს. უნდა მოახერხოს როგორმე შეკითხვაზედაც ხმა არ ამოიღოს და ხელით ან სხვა როგორმე ანიშნოს პასუხი. ყოველივე ეს ულრმეს პატივისცემას ნიშნავს. „უნძრახობა“ ეწოდება შემდეგ ადათსაც: ახალწლის გარიჟრაჟზე პატარძალი გადის წყაროზე, უკვლევს წყაროს ქერით და შემდეგ „უნძრახი“ წყალი მოაქვს სახლში. ალდგომის წინა პარასკევს, დიდ პარასკევს, ისე უნდა შედღვიბონ და ამოიღონ კარაქი, რომ ხმა არავის გასცენ. ეს არის უნძრახი კარაქი. უნძრახი წყლის მოტანა, უნძრახი კარაქის ამოღება, — ყოველივე ეს სრულდება ვითომ ოჯახში ბარაქის დასამკვიდრებლად.

მეორე შემთხვევაში უნძრახობა ნიშნავს გაბუტვის ან წაკიდების გამო ხმის გაუცემლობას. აი ამ მეორე მნიშვნელობით ხმარობს რუსთველი უნძრახობას ორივე ადგილას (402, 789 სტროფებში).

14. „**უმეცარი**“ ახსნილია აბულაძის მიერ როგორც „შტერი, აჩქარებული, ცქაფი, მოუფიქრებელი“. ჩვენში კი ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ უცოდინარს, უვიცს. ასევე ესმის რუსთველს. შეიძლება დინჯს, მოფიქრებულს და აუჩქარებელს პიროვნებასაც ეწოდოს ჩვენში უმეცარი, თუ ის რომელიმე საქმის, ამბის ან ხელობის (რომელიც საჭიროა) მცოდნე

არ არის. წერა-კითხვის არმცოდნეებს უმეცრებს ეძახიან ჩვენში, მაგრამ განა ყველა მათგანი ცქაფი და აჩქარეებულია?

15. „ქცევა“ (შემოქცევა — 178 სტრ.) ნიშნავს შემობრუნებას, მობრუნებას. ასევე გვესმის მესხეთში, მაგალითად, კალოს ქცევა — ბრუნვა.

მესამე ჯგუფი სიტყვებისა, რომლებიც გასაგებია სხვა კუთხეებშიც, მაგრამ გამოითქმებიან არა ისე, როგორც მესხეთში და „ვეფხის-ტყაოსანში“, არამედ სხვანაირად:

1. ბურვა, ებურნეს (სტრ. 130, 564, 1206, 1211) ხურვა, დახურვა.
2. კაზმა, ლამაზობა (სტრ. 1181) — გამოწყობა.
3. უჩუმობა (სტრ. 327) — უმობა, ჩუმად ყოფნა.
4. ასულე (სტრ. 257) — გაჩუმდი.
5. შეჯრა, გაჯრა — გაჭედვა, გაკვეხება.

მეოთხე ჯგუფი — მესხეთისათვის ეთნოგრაფიული მნიშვნელობის მქონე სიტყვები:

1. აზავერი, აზავრება (სტრ. 501, 506) — ორი სოფელი აზავრეთის სახელწოდებით.
2. ხაყე (საყევარი) — სოფელია მესხეთში.
3. ლები (ლებისი) — სოფელია ვარძიის მახლობლად, სადაც თამარის ჯარმა გიორგი რუსის ჯარი დაამარცხა.
4. ქაჯეთი — თმოგვის ციხე.
5. აწყვერი (მაწყვერელი) — სოფელი და ციხე მესხეთში.
6. რ უ ბ ი — საწყაო ჭურჭელი.
7. ს ა რ ო — სოფელი.

მეხუთე ჯგუფი სიტყვები გვხვდება როგორც „ვეფხის-ტყაოსანში“, ისე მესხურ ხალხურში:

1. ნ უ კ ვ ა, ს ა ნ უ კ ვ ა რ ი, გ ე ნ უ კ ვ ი — სტრ. 135, 166, 258, 259, 304, 711, 821, 995, 1028 და სხვ.
2. დ ი ა — სტრ. 123, 219, 302, 392, 1140 და სხვ.
3. ხ ა ს ი — სტრ. 46, 179, 190, 595, 1268.
4. დ რ ა მ ი — სტრ. 427, 587, 733, 1299.
5. გ ა ნ ა ღ ა მ ც ა — სტრ. 40, 141, 173, 192, 304, 548, 1586.
6. ძ რ ა — სტრ. 147, 162, 313, 579, 1083, 1206, 1444, 1503, 1523, 1524.
7. წ ა დ ი ლ ი — სტრ. 103, 233, 778, 935, 939 (ორჯერ), 994 (სამჯერ), 998, 1135, 1261, 1334, 1452, 1508, 1540, 1547. 1548, 1549, 1639, 1790 (ორჯერ).

ს ხ ვ ა შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ე ბ ი მესხური და რუსთველის დიალექტის იგივეობის შესახებ. ზოგჯერ რუსთველს გრამატიკულად ფრაზები ითქოს სწორად არა აქვს დალაგებული, ქვემდებარე, შესმენილი და ამხსნელი სიტყვები არ არის თავის ადგილზე. მაგალითად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არ საქმე სასურველია“ (სტრ. 171).
„პირმსუქანი არ პირხმელი“ (სტრ. 1140).
„მჭირდა სადამდის ხელობა“ (სტრ. 1556).
„მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვპოვებ ვერა“ (სტრ. 1598).
„არა ცუდათ წელთა ებმეს“ (სტრ. 1608).
„არა ვარდნო და არა იანო“ (სტრ. 1610).
„სოფელი აღარ შენია“ (სტრ. 1666).

ასევე, თითქოს გრამატიკული ნორმების დარღვევით, იხმარება ზოგჯერ ფრაზები მესხურში. მაგალითად: „არ ვარგი კაცი ხარ“ და სხვა (უფრო ქართველ მაჰმადიანებში, რომელთაც ახალი გრამატიკა არ აუთვისებიათ).

ასევე ხმარობს ზოგჯერ ამ ნორმებს შოთას თანამედროვე მესხი საგის თმოგველი „ვისრამიანის“ თარგმნის დროს:

„არ ყოფილა გული შენებრ ლაღ ტიანი არის და არ ყოველი კაცი შენებრ შეუპოვარი არის“ („ვისრამიანი“, გვ. 91: ანთოლ. I ტომი).
„არ შენ დედალი მამალსა შვენი“ (იქვე, 38 გვ.).
„შენი ჭირნი არ ცუდ იქნეს“ (იქვე, გვ. 103).
„შენ აღარ იგიხარ“ და სხვა.

ასევე ხმარობს მეორე მესხი შავთელი:

„იტყვის იგავსა არ თუ იგავსა“,
„ზირაქის მსგავსად გულისხმიერად“ („აბდულ მესსიანი“, სტრ. 66), [2]
„კაცმან სულელმან და უსულელმან
„ვერ გულისმაყოს მისი მისანი (იქვე 23, 21).

ასევე იქცევა მესხი ჩახრუხაძე:

„რა თუ ზევსი, არათ უზევსი.
„არ შენ ხარ მნათი დაუყონებლად“ (ოდა 4, ტაეპი 6).
„განატრო ელთა: უმძის ტროელთა,
„არ შენთვის მკვდარ ქმნა ელენთ სათნელად“ (ოდა 4, ტაეპი 16).

(ჩახრუხაძეები რომ მესხები არიან, ამას სხვა დროს შევეხებით დაწვრილებით).

მესხურ დიალექტშიც და „ვეფხის-ტყაოსანშიც“ თანდებულის „გან“-ის მაგიერ ყველგან „გნით“ იხმარება (ერთგნით, ორგნით, სამგნით, ჩემგნით, შენგნით, სხვაგნით, ყოველგნით და სხვა. იხ. სტროფები: 6, 46, 189, 203, 272, 649, 357, 592, 593, 685 და სხვ.), ხოლო „ში“-ს მაგიერ — „შიგან“ („რაშიგან“, „მაშიგან“, „შიგნით-შიგან“ და სხვა. სტროფები 52, 201, 613, 1106 და სხვ.).

მესხურ ხალხურ მეტყველებას შერჩა ბევრი ძველი ქართული სიტყვა, რომელიც არ არის დღევანდელ ლიტერატურაში და არც დღეიდან გამოცემულ ლექსიკონებში გვხვდება. მაგალითისათვის მოვიყვანთ ორ-ოლ სიტყვებს:

არაქანი — რუსულად სმეტანა.

ბანგი — სახეზე გამოსული დიდ-ბალნიანი შავი მეტხორცი.
ბუდუმელი — პირმოღუშული, მუდამ მოწყენილი, უცხვირპირო.
ბუტუსარა — კაცი, რომელიც ვითომ წვალობს, ფუსფუსებს, მაგრამ ვერაფრის გაკეთება ვერ მოუხერხებია, ხელიდან არაფერი გამოუდის.
ბღუნძი — სახის ნაოჭი (морщина).
გათქმა — საიდუმლოების გამხელა.
გალალია — განუწყვეტელი, მთელი (გალალია ღამე — მთელი ღამე, გალალია წელიწადი — მთელი წელიწადი).
გახუხვა — მოძრული, შეცივნული საგნის ცეცხლზე გათბობა.
გარდამორე — დიდი საქმე, დიდი რამე.
დათხუნა — ბალახი.
დალკიმება — დაკავშირება.
ვას-ვასი — უთავბოლო ყოყმანი, დაუბოლოებელი ყოყმანი.
ვარიოზი — დიდი ურო.
ზარბი — ძალა, სისწრაფე, სიხაფე.
ზორზალი — კანკალი.
თავაქალი — უდარდელი, რომელიც განსაცდელში ადვილად ჩავარდება წინდაუხედაობით.
თავალა — დიდი აღმართი.
თოხათური — დიდი ნესვი.
თოხმახი — ხის ურო.
კამუკი — შელაპარაკება.
კარაკანი — ლავგარდანი.
კვლიავი — ბალახი.
კეტრანუკი — ქრცვინი (хорёк).
კოპჭა — დუგმა, შესაბნევი კაუჭი.
კოტაკი — პატარა მოწყვეტილი კონცხი.
კუწუნწრახი — მეტისმეტად ძუნწი.
ლუკლუკი — მუდარა, ხვეწნა.
მათხაფი — პატარა რკინის კეტი.
მარდული — ოდნავ დანოტიავებული.
მურჯი — მომწვანო-ლურჯი ფერი.
საგირგნობელი — რაც გულს ეზიზღება, ეგირგნება (приторный).
სრენა — ცხვირით უშნოთ სტვენა სუნთქვის დროს (сопеть).
საკმელა — ბალახი.
საქვე — საწოლი.
სისო — წმინდა ხერხი.
სუნდო — სასულე (отдушина).
შანდაკი — ფართო, განიერი ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკინკრუხება — უთავბოლოდ ზედიზედ რამის შელაგება.
შეხიჭვა — ზემოდან შეყინვა.
ჩაბჯინება — მეტის სიცილისაგან ან ტირილისაგან გულ[illegible]
ჩაჯიყვა — მაგრა ცემა.
რთმელა — ხე.
პოლორჭიკი — პატარა საცლბი, კორპი.
ხოშაკი — კომპოტი, ხილის ან ხმელი ჩირის ნახარში.

გარდა ასეთი „უცნობი" სიტყვებისა, ზოგი მესხური სიტყვა მოხსენებულია საბას ლექსიკონში, მაგრამ არ არის ახსნილი. მაგალითად:

გილანი — ბუღა-ხარის ქინჩხი.
კუტალი — პატარა ხის კოკა.
სავატობა — გასაქანი ადგილი, სიფართოვე.
ცრინტილა — სურდო.
წაკულაკი — ხილის ახალი ნაყოფი, ძალიან მოუსვლელი.

ხამუში — შეუჩვეველი მუშის ან მუშასაქონლის მოუსვენარი, უცნაური ქცევა. საბა არასწორად ხსნის: შესვენებულის მუშაკთაგან მხნედ მუშაობაო და სხვა.

ცალკეული სიტყვების გარდა, მესხური დიალექტის ძიება „ვეფხისტყაოსანში" არკვევს მთელი ფრაზებისა და წინადადების გამოთქმას ერთისა და იმავე ლექსიკით. მაგალითად:

„გაჰყარეთ სმა და ნადიმი» (74 სტროფი).
„გაჰყარეს საქონელი და დაიზიპნენ" (ხალხური).

„ხმა დამივარდა, შეიქმნა ძახილი მოსაწყვარი,
წამოველ, წევნა დამიწყეს: დაგხოცე ჩემი მდევარი" (602 სტროფი).
„დავარდა ხმა, დაიწყო ჩვენმა ლაშქარმა მოდენა" (მესხური ქრონიკები, „ქართლის ცხოვრება", მარიამ დედ. ვარიანტი, გვ. 946).

„აკოცეს და მოიკითხეს თავის თავის თვითეულად" (1706 სტროფი).
„ეს მოკითხვა თვითეულად" ან და „საერთოდ" დღემდე შერჩენილი ადათია მესხეთ-ჯავახეთში.

ზოგი სტროფი „ვეფხის-ტყაოსანში" დაწერილია მთლიანად მესხურ კილოზე, მაგალითად:

994. „სადაცა გწადდეს, მუნ იყავ მითვე წესითა მაგითა;
მწადდეს — გულითა ბრძენითა, გწადდეს — ცნობითა შმაგითა,
მაგა ქცევითა ტურფითა, ანაგებითა ნაგითა
ოდენ გამაგრდი, არ მოკვდე, არ დასდნე ცეცხლთა დაგითა".

1584. „ტარიელ უთხრა": კარგსა იქმ შენ პატრონისა კრძალვასა.
აწ დადექ, იქი ნუ მიხვალ, იქმცა უჩემოდ ხალვასა."

ავიღოთ ორი სტროფი „ვეფხის-ტყაოსნიდან":

1154. „ესე გვარი საზრახავი დაუძრახავს გულსა შინა:
მერმე იტყვის: შენგან კაცი ჩემი შემწე არავინა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისთვისაცა გადმოვჭრილვარ, მისი ძებნა რადგან მიწა,
რათაცა ვიქმ მპოებ ვიქმ, გულმა სხვამცა რა ისმინა."
466. გვერდსა დავისხენ ვაზირნი, ვიუბნეთ, დავიზრახენით."

შეადარეთ ამას მესხური ხალხური:

„გადასავლელო ღურბელო, რად არ გადივლი ცასაო,
გადადი, გადაემზრახე ივენე ჩემსა ძმასაო."

ან და მეორე ლექსის ადგილი:

„ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე, ვარსკვლავებსაც გავემზრახე,
მთვარეს კაცი მიუგზავნე, მანდ ვიყავ და ვერა ვნახე." [1]

კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად, რომ მესხურ კილოზე მესხური ლექსიკით არის დაწერილი „ვეფხის-ტყაოსანი", რომ მისი ავტორი წარმოშობით მესხია.

ძველად, როდესაც, სხვადასხვა კუთხის დიალექტებისა და ლექსიკის განსხვავება უფრო ღრმა იყო, ვიდრე დღეს, რუსთველის კილოს ქართული ლიტერატურული ტრადიცია აშკარა მესხურად სთვლიდა.

არჩილ მეფე „რუსთველისა და თეიმურაზის გაბაასებაში", რომელიც 250 წლის წინათ არის დაწერილი, თეიმურაზს ათქმევინებს:

„ღაზოდა სთქვი, შემოიღე ჯავახური ენა მძიმე,
ქისიყურად პასუხს მოგცემ, ამოხვიდე შენ ვინძი მე"
(„გაბაასება", მე-30 სტროფი, ანთოლოგია, ტომი 2, გვ. 99).
„უყურე ბრიყვსა მესხსა და ამაყსა შეუპოვარსა,
რაღას ველაყბო ჯავახსა, ღარიბსა შეუპოვარსა?"
(იქვე, სტრ. 31)

რა თქმა უნდა, რუსთველი მუდამ მესხეთში არ დარჩენილა. მან, ალბათ, ბავშობა მესხეთში გაატარა, შემდეგ კი, როგორც მასალიდან ირკვევა, კახეთში უსწავლია. როგორც თამარის მეხოტბეს, მეფის კართან დაახლოებულ მეტად განათლებულ კაცს, კარგად ეცოდინებოდა ქართული ლიტერატურული ენა. მიუხედავად ამისა, რუსთველის ლექსიკაში მაინც სჭარბობს მისი მშობლიური კუთხის კილო — მესხური[1]).

თავი მეორე

„ჭაჯეთი"

შევეხოთ ეხლა პოემის ისტორიულ-გეოგრაფიულ საჩუქს.

რუსთველის სამშობლო, ისტორიული წარსულით და აწმყოთი მდიდარი საქართველო, მისი ბუნება, ციხე-ქალაქებისა და გმირების თავგადა-

[1]) ასეთი ლექსიკური მასალა შეგროვილი აქვთ, ჩვენს გარდა, რამდენიმე ამხანაგს—ბორჯომშიძეს, გ. ხმალაძეს, ი. მაისურაძეს და სხვებს. საჭიროა რუსთველის სახელობის ინსტიტუტმა შეადგინოს და დაამუშაოს ეს მასალა.

სავალი უეჭველია წარუხოცელ შთაბეჭდილებას ახდენდა გენიალურ პოეტზე. ყოველივე ეს თავის თავად უშრეტ მასალას წარმოადგენდა პოემისათვის. იშვიათია ისეთი შემთხვევა, როდესაც პოეტი თავისი მბრძანებელი ნაწარმოებისათვის იყენებდეს არა თავისი ქვეყნის ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას, ფაქტს, ცოცხალ ბუნებას, არამედ სხვა ქვეყნის ცხოვრებიდან აღებულ მასალას. ამიტომ მეტად საეჭვოდ მიგვაჩნია ზოგიერთი მკვლევარის ჰიპოტეზა, თითქოს რუსთველს „ქაჯეთის“ მოდელად აღებული ჰქონდეს სხვა ქვეყნის ციხე-ქალაქი. არ უნდა იყოს სწორი მოსაზრება პროფ. კორნ. კეკელიძისა, რომელიც ქაჯეთის მოდელად ალამუთის ციხეს სთვლის.

გავეცნოთ ჯერ ქაჯეთს, როგორც აგვიწერს მას თვით რუსთველი. ფატმანი მოუთხრობს ავთანდილს ქაჯეთის ამბავს:

1305. „ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია:
ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია,
მის კლდესა შიგან გვირაბი, ასაძვრომელი ხვრელია,
მუნ არის მარტო მნათობი, მისთა შემყრელთა მწველია.“

1306. „გვირაბის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს არ პირ-ნასები.
ათი ათასი ჭაბუკი დგის, ყველა კაი ხასები;
ქალაქის კართა სამთავე სამ-ათას სამ-ათასები.
გულო, გაგსაჯა სოფელმან, არ ვიცი და, გლახ, რას ები!“

ნესტან დარეჯანი ასე აგვიწერს ქაჯეთის ციხეს:

1363. „ციხეს ვზი ეგზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდაწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,
მათთა შებმელთა დახოცვენ, მართ ცეცხლად მოედებიან.“

ფრიდონი ტარიელსა და ავთანდილს ეუბნება:

1454. „ქაჯეთს ერთხელ კვლაც ვყოფილვარ, ნახავთ, თქვენცა გემაგრების.
ყოვლგნით კლდეა, გარეშემო მტერი ვერა მოგადგების;
თუ იდუმალ არ შეუვალთ, ცხადად შებმა არ ეგების;
მით ლაშქარი არად გვინდა, რაზმი მალვით ვერ მოგვყვების.“

გმირები მიუახლოვდნენ ქაჯეთს, გამოჩნდა ქალაქი:

1457. „მივიდეს, აჩნდა ქალაქი, მცველთა ვერ დასთვალვიდიან;
გარე კლდე იყო, გუშაგთა ხმა ჯარვით გაადიდიან.“

1458. „ყოლგნით მრგვალი, შეუვალი, არსით იყო ყოლა პირი;
სამთა კართა ცხრა ათასი მოყმე სცვიდა, ვითა გმირი.
შუა ციხე ამართული, კლდე კეკლუცი, არ დუხჭირი;
გვირაბითა შესავალი ახვრეტილი, ვითა სტვირი.“

ამ სტროფებში რუსთველი ქაჯეთს შემდეგნაირად გვიხატავს:

ქაჯთა ქალაქი არის დიდი ციხე-ქალაქი, ყოველგნით მრგვალი, შეუვალი, საბრძოლველად მიუდგომელი. ქალაქს გალავანი ორტყია და სამი კარი აქვს. შუა ქალაქში ამართულია მაგარი და იმდენად მაღალი კლდე, რომ „თვალნი ძლივ გარდასწვდებიან". კლდეზე აგებულია ციხე. კლდეს გვირაბი აქვს, ახვრეტილი, ვითა სტვირი". ეს ციხეში შესავალი გზაა. გვირაბის კარს დღე და ღამ გუშაგები იცავენ და მუდამ გვირაბზე დგანან.

რამდენად შეეფერება ეს აწერილობა იმ ციხე-ქალაქებს, რომლებსაც მკვლევარები ქაჯეთად ჰგულისხმობენ?

პროფ. კეკელიძეს, როგორც აღვნიშნეთ, ქაჯეთად მიაჩნია ალამუთის ციხე, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ სპარსეთში, ყაზვინის მახლობლად, და რომელიც XII საუკუნის მეორე ნახევრამდე ასასინ-მოლიდების ხელში იყო. ალამუთის ციხე 1256 წელს აუღია მონღოლების, სპარსელებისა და ქართველების შეერთებულ ჯარს (ვითომ რუსთველის სამ გმირს, მათ რაზმებს); „ვეფხის-ტყაოსანი" დაწერილიაო ალამუთის ციხის აღების შემდეგ, 1257 წელს, ხოლო პოემის ავტორი არისო სარგის თმოგველი და არა შოთა რუსთველი (პროფ. კეკელიძე: „ავტორი „ვეფხის-ტყაოსნისა" და დრო მისი დაწერისა", „მნათობი", 1931 წ., №7-8, გვ. 152-171, № 9-10, გვ. 213-226.

ეს ჰიპოთეზა მოკლებულია დამაჯერებლობას. მოვიყვანთ ორიოდე მოსაზრებას ამ ჰიპოთეზის წინააღმდეგ.

1. პროფ. კეკელიძის მტკიცებითვე ირკვევა, რომ ალამუთის მფლობელებად ყოფილან ასასინ-მოლიდები, წოდებულნი დავებად, ფედავებად ანუ დევებად. ხოლო ერთ-ერთი გმირი (ტარიელი, ავთანდილი თუ ფრიდონი) თავისი ჯარით ქუჯი ანუ ქაჯი ყოფილა (იხ. „მნათობი", №9—10, გვ. 215).

ამგვარად, პროფ. კ. კეკელიძის აზრით, ალამუთს (ქაჯეთს) ფლობდნენ დევები (და არა ქაჯები), ხოლო ეს ციხე აიღეს არა დევებმა, არამედ ქუჯებმა (ქაჯებმა), ე. ი. „ვეფხის-ტყაოსანში" შეშლილია გმირების და სხვა მომქმედ პირთა სახელები. პროფ. კ. კეკელიძის მოსაზრებით, ქაჯეთის მფლობელები დევებად უნდა იწოდებოდნენ და არა ქაჯებად, ხოლო გმირები — ქაჯებად. გავიხსენოთ, რამდენ ადგილას არიან გმირი ქაჯები და ქაჯეთი დასახელებული პოემაში. თურმე ყველგან შებრუნებულად უნდა ვიგულისხმოთ. პროფ. კეკელიძე ამბობს, გადამწერების ბრალია, თორემ სადაც ქაჯი სწერია, იქ ქუჯი უნდა ვიგულისხმოთო. კეთილი. მაგრამ როგორ შეაბრუნეს გადამწერებმა მომქმედ პირთა სახელები, ე. ი. დევების (გმირების) მაგიერ ქაჯები დაგვიწერეს და ქაჯების მაგიერ დევები? შესძლებდნენ ამდენი სიყალბის ჩადენას გადამწერები, რომ არ არეოდათ რითმი და შაირი? ან რა აიძულებდა გადამწერებს, ასეთი სიყალბე ჩაედინათ?

2. პროფ. კ. კეკელიძის აღწერილობით, ალამუთის ციხე-ქალაქი „იყო გაშენებული მიუვალ ციცაბოებსა და ნაპრალებზე, რომლებსაც ... ლა გვირაბებითა და ხვრელებით შეიძლებოდა მხოლოდ" („მნათობი", № 7—8, გვ. 166).

რუსთველის აღწერილობით კი, ქაჯთა ქალაქში შესვლა შეიძლებოდა სამი კარით და არა გვირაბებით და ხვრელებით, ხოლო შუა ციხეში მარტო ერთი გვირაბით (და არა ბევრით).

როგორც ხედავთ, რუსთველის ქაჯეთისაგან დიდად განსხვავდება ალამუთი.

დავათვალიეროთ რუსთველის სამშობლო, ხომ არ არის აქ ისეთი ციხე-ქალაქი, რომელიც თავისი აღწერილობით უფრო შეეფერება ქაჯეთს?

გავეცნოთ მესხეთის ერთ-ერთ ძველ ციხეს, რომელიც ძალიან ახლოა პოეტის დაბადების ადგილთან. ამ ოდესღაც სახელოვანი ციხე-ქალაქის ნანგრევები მდებარეობენ მესხეთში, ასპინძის რაიონში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ხერთვისიდან ათი კილომეტრის, ხოლო ცნობილ კლდის ქალაქის ვარძიიდან ოთხი კილომეტრის მანძილზე. ამ ციხე-ქალაქის ნანგრევები გარს შემორტყმულია მაღალი ქედებით და აყუდებული თვალუწვდენელი კლდეებით. ქალაქის შუაგულთან მტკვრის ღრმა ხეობა ძალზე შეევიწროებულია: უთვალავი საუკუნის განმავლობაში მტკვარს გაულევია მის წინ გადაღობილი დოლერიტ-კონგლომერატების ვულკანური შენადული, გიგანტური ჯებირი, და ისე ღრმად ჩაუჭრია იგი ვიწრო კალაპოტად და ჩამჯდარა შიგ, რომ ეს გიჟმაჟი მდინარე ამ უზარმაზარ ნაპრალში ზევიდან პატარა ღელესავით მოსჩანს, ნაპრალი კი ისეთი ვიწროა, რომ მის მეორე ნაპირზე ქვას გადააწვდენთ.

ქალაქის შუაგულში აღმართულია მაღალი კლდე. შორიდან კლდე წაკვეთილ პირამიდას წააგავს. აი, ამ მიუვალ კლდეზე აგებულია შუა (მთავარი) ციხე. ქალაქის შენობები, რომელთა ნანგრევებს ეხლაც ბლომად ვხვდებით, მიკრული ყოფილან ამ კლდის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის და დასავლეთის კალთებზე და კოტაკებზე. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით ქალაქს გალავანი ჰქონია, ხოლო დანარჩენ მხარეებიდან მას საზღვრავს მტკვარი ციცაბო ნაპირებით. შენობებთან ერთად კლდეს მიჰკვრია რამდენიმე ეკლესია. ერთ-ერთში დაცულია XII — XIII საუკუნის მხატვრობა და რამდენიმე წარწერა. ორი ეკლესიის ნანგრევები შუა ციხეშია. ერთი ეკლესიაც გამოჭრილია კლდის დასავლეთ გვერდში.

ქალაქის დასავლეთ ნაწილში ყოფილა ზეთის სახდელი ქარხანა, რომლის ვეებერთელა „დინგის ქვა" იქვე გდია.

თვით შუა კლდე იმდენად უზარმაზარია, რომ თუ კაცს თვალი კარგად არ უჭრის, კლდის წვერიდან მტკვრის ნაპირზე, კლდის ძირში მდგომ ადამიანს ვერ გაარჩევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდის წვერი შემოვლებულია დასავლეთიდან ორმაგი, ხოლო დანარჩენ გვერდებიდან ერთმაგი მაგარი გალავნით. ციხის შუა ადგილზე ყოფილა დარბაზები, ეკლესიები და სხვა ნაგებობები (ახლა ნანგრევებია). კლდეში ამოუჭრიათ და მოუდულაბებიათ ორი დიდი აუზი.

ციხე-ქალაქს ჰქონია რამდენიმე კარი. ერთი კარი, სახელად „რკინის კარი", გალავნის ნაწილთან ერთად გადარჩენილა დანგრევისაგან. გალავნის გარეთ, ძირში, გამოჭრილია რამდენიმე წყება გამოქვაბული. შენობებისა და გალავნის ასაგებად შუა ციხეშიც და ქალაქშიც უხმარიათ ქვიტკირის სხვადასხვა შემადგენლობის ხსნარი და სხვადასხვა საშენი მასალა (ქვა). წყობა სხვადასხვანაირია: ეტყობა, ციხე რამდენჯერმე დაქცეულა და განახლებულა სხვადასხვა ეპოქაში.

ციხე-ქალაქი დანგრეულა 1088 — 1089 წელს მიწისძვრის გამო (ამას უფრო ვრცლად შევეხებით სხვა ადგილას).

ციხის შუაგულიდან ანუ კლდის წვერიდან მიიმართება ქვემოთკენ ჩაკიბული გვირაბი. სანათური სარკმელების გამოჭრის გასაადვილებლად, გვირაბი ძალიან ღრმად არ ჩაუჭრიათ კლდეში. რამდენიმე ადგილას კლდე ჩამონგრეულა და გვირაბი გამოჩენილა.

გვირაბს ქვემო ნაწილში, სანამ იგი მტკვარს დაუახლოვდებოდეს, აქვს რვა სანათური-სარკმელი, რომლებიც ჩამწკრივებულია ისე, როგორც სტვირის თვლები (თითების დასადები).

გვირაბი ეშვება მტკვრამდე და მიიმართება მტკვრის ქვეშ, მაგრამ აქ იგი გამოქედილია ლამით და ქვიშით. ეტვი არ არის, ეს გვირაბი მტკვრის ძირზე მეორე ნაპირას გადიოდა და ოდესღაც საიდუმლო წყალქვეშა გზის დანიშნულებას ასრულებდა.

სანამ გვირაბი კლდის წვერიდან ძირამდე ჩავიდოდეს, მას რამდენიმე ადგილას გამოჭრილი აქვს საყარაულო საკნები. ამ საკნებში გაკეთებულია თარო-სარკმელები, კარადები და სხვა მოწყობილობა. ეტყობა, ეს საკნები მოწყობილი ყოფილა მუდმივ საგუშაგოებად, საცხოვრებელ პუნქტებად.

ამ გვირაბით ციხის შუაგულში შესვლა ახლაც კი, როდესაც გვირაბს არავინ იცავს, მეტად ძნელია. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ გაუძნელდებოდა მტერს ამ ციხის აღება, როდესაც გვირაბის საკნებში გუშაგები იდგნენ.

შუა კლდის კალთაზე გამოდიოდა დიდი არხი, რომელიც წყალს აწვდიდა ქალაქს და მის ქვემოთ მდებარე სოფლებს [1]). არხი გადიოდა გვირაბის საყარაულო საკნების მახლობლად, ისე რომ გვირაბის გუშაგებს შე-

---

[1]) ეს არხი იწყება სოფ. ახჩიასთან, გადის ვარძიისა და თმოგვის ქვეშ და მიდის სოფ. ჯოლდამდე. არხის სიგრძე 12 კილომეტრს უდრის. იგი კლდეში გამოჭრილ გვირაბებშია გაყვანილი.

ეძლოთ წყალი არხიდან მტკვარში გადაეშვათ და უწყალოთ დაეტოვებინათ ქალაქის მოსახლეობაც და მის ქვემოთ მდებარე სოფლებიც.

ციხის პირდაპირ გამოდის დიდი წყარო. წყაროს სათავე მტკვარზე ბევრად მაღლაა, მაგრამ იგი დიდი ოსტატობით გადაუყვანიათ მეორე ნაპირზე, სათავისავე სიმაღლეზე, და იქიდან კლდეში გამოჭრილი დიდი არხით შეუყვანიათ შუა ქალაქში.

შუა ციხის პირდაპირვე, კლდეში, გამოჭრილია მიუდგომელი და შეუძრნეველი სათვალთვალე გამოქვაბული. აქ ჩასაფრებულ გუშაგებს შეეძლოთ სრულიად შეუმჩნევლად ეზვერათ მტერი, შეეტყოთ მისი ზრახვები და სრულიად უვნებლად ემუსრათ მტრის რაზმები.

ასეთია ამ ციხის ზოგადი აწერილობა. იგი მიუდგომელია საბრძოლველად. მარტო მისი გარეგნობა დასცემდა თავზარს მტერს. საკმარისი იყო კლდის წვერიდან რამდენიმე საგორავი დაეშვათ, რომ გაეჟლიტათ შემოსეული მტრის მთელი რაზმი.

ეს არის თმოგვის ციხე-ქალაქი, რომლის ნანგრევებს დღესაც კი განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი თავისი მდებარეობის სიმშვენიერით.

უფრო საყურადღებოა ციხე-ქალაქის თავგადასავალი.

თმოგვი ოდესღაც შეადგენდა საქართველოს უდიდესი და უძველესი ციხე-ქალაქის — წუნდის ნაწილს. წუნდა ძველი ქალაქი ყოფილა. მის დაარსებაზე ძველი ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, თითქოს მისი ამშენებელი ყოფილიყოს ქართველთა ტომების წინაპრის — ქართლოსის შვილიშვილი ჯავახოსი: „აგაან, ჯავახოს, აღაშენა ორნი ციხე ქალაქნი წუნდა და ქალაქი არტანისი“ („ქართლის ცხოვრება“, გვ. 7).

წუნდის სიძველეს ადასტურებენ მისი დღევანდელი ნაშთები და მატიანეს მეორე ადგილი, რომელიც აგვიწერს ალექსანდრე მაკედონელის ჯარის გამოლაშქრებას საქართველოში:

„პოვნა (ლაპარაკია ალექსანდრე მაკედონელზე) ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი, შუა ქართლ წუნდა, ხერთვისი მტკვრისა, ოძრახე მოკიდებული კლდესა ღადოსა“ („ქართლის ცხოვრება“, გვ. 14).

მაშასადამე, 356 — 322 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე წუნდა ალექსანდრე მაკედონელის ან მისი ერთ-ერთი სარდლის შემოსევის დროს საქართველოში იმდენად ძლიერი ციხე-ქალაქი ყოფილა, რომ მტრისთვის დიდი წინააღმდეგობა გაუწევია.

წუნდაში ყოფილა პირველი მეფის ფარნაოზის (302 — 234 ჩვენს წ-მდე) მომდევნო მეფეების საზაფხულო რეზიდენცია.

ქალაქ წუნდაზე გადიოდა მესხეთიდან სპარსეთისაკენ მიმავალი დიდი სავაჭრო გზა, რომელზედაც უვლიათ ძველად ქარავნებს. წუნდაშივე

ყოფილთ ოდესღაც დიდი ქარვასლა და სასტუმრო აბანოებით, რომლების ნანგრევებიც 1) დღემდე კარგადაა დაცული.

ეროვნული

თმოგვის ციხეს წუნდისაგან ჰყოფდა მხოლოდ მტკვარი, რომელიც აქ ზაფხულობით ძალიან პატარავდება. შეუძლებელი იყო ამ ძველი ქალაქის წუნდისა და თმოუვის ციხის ერთმანეთისაგან განკერძოებულად არსებობა.

პირველ საუკუნეში (86 — 88წ.) ქართველ-სომეხთა შორის მომხდარა ომი, რომლის დროსაც სომხებს დროებით დაუპყრიათ ჯავახეთი და მესხეთის ნაწილი. „ქართლის ცხოვრება" ასე აგვიწერს ამ ომს:

„მაშინ მეფე იქმნა სომხითს დიდი იგი მეფე იარენდ. და დაივიწყა მან კეთილი ქართველთა, ემძლავრა ფარსმან არმაზელსა და მიუღო სამზღვარსა ქართლისას ქალაქი წუნდა და არტანი მტკვრამდე. დასხნა წუნდას შინა არსნი მხეცნი ნათესავნი და ეწოდა სახელად ქაჯატუნი, რომელი ესე ითარმგნების დევთა სახლად..."

რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველებმა"... სდევნეს საზღვრამდე სომხითისა და შეიპყრენ ზარენ [2]), ძე მეფისა, ტბის პირად, რომელსაც ცელი სახელედების, და უკუ მოიყვანეს... მისცეს ქართველთა ძე მეფისა შეპყრობილი... უკმოსცეს სომეხთა საზღვარნი ქართლისა ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტაანი და ამიერითგან იქმნეს მოყვარე სომეხნი და ქართველნი" („ქართლის ცხოვრება", გვ. 31, 32, 36).

ამგვარად, წუნდა-თმოგვის მოკლე ხნით სომხების ხელში ყოფნის დროს თმოგვის ციხეს წოდებია ქაჯატონი ანუ ქაჯთა სახლი (ქაჯთა ციხე).

ამავე სახელით მოიხსენება წუნად-თმოგვი, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, „ქართლის ცხოვრების" სხვა ადგილებში. ასევე იხსენიებს მათ ვახუშტი [1]).

წუნდა ყოფილა ჯავახეთის საერისთაო რეზიდენცია და მეფეების საზაფხულო სამყოფი. წუნდის ერისთავს მონაწილეობა მიუღია მეფე ამაზასპის (180—186) მკვლელობაში („ქართლის ცხოვრება", გვ. 42). მეფე მირდატ მეოთხეს (408—410) აუშენებია წუნდის ეკლესია („ქართ. ცხოვ-

---

[1]) ნანგრევების ზომა: ა) აქლემების შესარეკი ბაკი სიგრძით 38 მეტრი, სიგანით 12 მეტ.; ბ) სასტუმრო-საწყობი სიგრძით 35, სიგანით 28 მეტრი; გ) აბანოში 3 თვალი ყოფილა, სიგრძე ჰქონია 4, სიგანე 3 მეტრი.

[2]) ზარენ სომხეთის მეფის შვილი იყო, იგი შეიპყრეს და ჩასვეს დარიალის ციხეში. შემდეგ, ქართველ-სომეხთა დაზავების გამო, ზარენი გაანთავისუფლეს ქართველებმა, სომხებმა კი დასცალეს წუნდა და არტაანი.

[3]) იხ. ვახუშტი: „აღწერა საქართველოსა — სამცხე", გვ. 20.

ჩვენს სოფელში, გოგაშენში, რომელიც თმოგვიდან 4 კილომეტრით არის დაშორებული, მოხუცებს დღესაც ახსოვთ გადმოცემა, რომ ძველის-ძველად თმოგვს „ქაჯეთი" რქმევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება", გვ. 112). ვახტანგ გორგასლანს (446-499 ინდოეთში ლაშქრობისას ჰხლებია წუნდის ერისთავი ნასარი თავისი მხედრობით:

„წარიტანა თანა ოთხნი წარჩინებულნი მისნი... და ნასარ ერისთავი წუნდისა.. და მათ თანა ათი ათასი მხედარი — ლაშქრობისა მისისა დარჩეული... და წარვიდა" („ქართლ. ცხოვრება", გვ. 166).

ვახტანგ გორგასლანსავე დაუარსებია წუნდაში ჯავახეთის საეპისკოპოსო კათედრა („ქ. ც.", გვ. 179). წუნდავე მისცემია საერისთაოდ ვახტანგ გორგასლანის ცოლს და ორ შვილს („ქ. ც.", გვ. 185).

მოსახლეობის გამრავლებასთან და ჯავახეთის ზეგანის ათვისებასთან ერთად თანდათან დაარსებულა ჯავახეთში ახალი ქალაქები. 964 წელს აუგიათ კუმურდოში, წუნდის აღმოსავლეთით, სამი კილომეტრის მანძილზე, კუმურდოს შესანიშნავი ტაძარი, რომელსაც აკადემიკოსი ბროსე ისტორიული წარწერების სიმრავლით, ნაკეთობით, მასალის შერჩევით და გეგმით საქართველოს ტაძრებში პირველ ადგილს მიაკუთნებს.

XI საუკუნეში გაფართოებულა ახალქალაქი და აშენებულა მისი ციხე. მაშინ უკვე არსებობდა ჯავახეთში ბევრი ქალაქი, დიდრონი დაბები და სოფლები.

V საუკუნის შემდეგ წუნდას, როგორც საერისთაო რეზიდენციას, თანდათან დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და საერისთაო ცენტრი გადასულა ჯერ კუმურდოში, სადაც საეპისკოპოსო კათედრა იყო, ხოლო შემდეგ ახალქალაქში.

ძველი წუნდის ნაქალაქარიდან ს. ნაქალაქევისა და მარგასტანის მიდამოებში დარჩენილია შემდეგი არქელოგიური ნაშთები: ქარვასლის ნამგვრევები, გამოქვაბულთა კომპლექსი და ერთი პატარა, მშვენივრად ნაგები, ჩუქურთმებით შემკული წუნდის ეკლესია. წუნდის ეკლესიის მახლობლადვე, გზის პირად, არის პატარა ლურჯი-ფერის ლელნარით შემორტყმული წუნდის ტბა, რომელიც, დიუბუას აზრით, წყლით ავსილ ჩამქრალი ვულკანის კრატერს წარმოადგენს.

წუნდიდან საერისთაო ცენტრის გადატანის შემდეგ სულაც არ დაცემულა თმოგვის მნიშვნელობა, როგორც ციხე-ქალაქისა და სიმაგრისა. იგი ამის შემდეგ დამოუკიდებელ არსებობას განაგრძობდა და ბევრჯერ იხსენიება ისტორიულ წყაროებში. თმოგვზე ჩვენს მატიანეში ბევრი საყურადღებო ცნობა გვხვდება. IX საუკუნეში აბულ-კასიმმა მოაოხრა მთელი სომხეთი და აღმოსავლეთი საქართველო, დაამხო აქ ყველა ციხე-ქალაქი, მაგრამ თმოგვის ციხეს ვერ შეებრძოლა:

„ამასა შინა შემდგომად მოვიდა ამირა აგარიანი, სახელად აბულ-კასიმი, ძე აბუსაჭისი (არაბელი), რომელი გამოეგზავნა ამირმულსა სპითა

დიდითა და ურიცხვითა, რომელთა არა იტევდა ქვეყანასა. მოვიდა პირველად სომხითად და მოსრა ყოველი სივნეთი, ვაეძორი და ალბაკი და სუმბატ სომეხთა მეფემან ვერ დაუდგნა ზარისა მისისა, [illegible] მუნით სამცხეს და მოახერხა სამცხე და ჯავახეთი. რამეთუ მოადგა ციხესა თმოგვისასა და ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აღიყარა მუნით" („ქართლ. ცხოვრება", გვ. 226—227).

სტეფანე მტბევარი, რომელმაც 914—915 წელს დასწერა „წამება გობრონისა", შემდეგნაირად აგვიწერს აბულ-კასიმს:

„მეფე სარკინოზი, სახელად აბულ-კასიმ, ძე აშუ-საჭისი ამირმულისა და უფალი სპარსეთისა, რომელთა ჰმონებდა სამეოცი ქალაქი დიდ-დიდი და შვიდნი მეფენი მორჩილებდეს ძლიერნი... გარეშე ადგეს კარვები იგი მათი ვითარცა თოვლი, რომელნი წუთისა და სოფლისა საზღვართა და ოდენ ეტივნეს იწროებათა, და საბელი იგი კარვებისა მათისა განეთხმა ურთიერთას, რამეთუ ესე იყო ჩვეულებად დადგრომისა მათისა... აქ უნდა ასეული ტვირთი აქლემისა ისარი ოდენ და ეგრევე პოროლი, ფილაკავნებითა მრავლისა" („საქართველოს სამოთხე", გვ. 395—356; პროფ. ი. ჯავახიშვილი: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა", გვ. 43—47).

ასეთი მაგარი ციხე იყო ქაჯეთი ანუ თმოგვი. მაგრამ იგი ყოველთვის არ ყოფილა ქართველ ფეოდალთა თავშესაფარი. ზოგჯერ ეს ფეოდალნი და დიდებულნი თვით იღუპებოდნენ თმოგვში. ბაგრატ მესამე კურაპალატმა (980—1014) კლარჯეთის შეერთების მიზნით განიზრახა სუმბატის და გურგენის (კლარჯეთის მეფეების) განადგურება:

„რამეთუ მასშინა, ოდესმე ამან, ბაგრატ მეფემან კურაპატმან მოიყვანა ესე ორნი ძმანი, კლარჯთა ხელმწიფენი, სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, დარბაზობად მის წინაშე, ციხესა მისა ფანასკერტისასა და მუნ შინა შეიპყრა იგინი და აღიხვნა ციხენი და ქალაქნი მათნი; რამეთუ იგინი პატიმარ ყვნა ციხესა შინა თმოგვისასა და მუნ ციხესა შინა გარდაცვალნეს სუმბატ და გურგენ" („ქ. ც., გვ. 309).

ისტორიკოსი ს. ბარათაშვილი შემდეგნაირად აფასებს ბაგრატ კურაპალატის მოქმედებას:

„ბაგრატ მესამის მეფობის დროინდელ საქართველოს კეთილმდგომარეობის მჭვრეტელ ძეგლებს არ შეუძლია იმ ლაქის წაშლა, რომელიც ამ მეფეს აცხია; იგი შებღალულია ბაგრატის სასტიკი მოქმედებით ქართველ ბაგრატიონთა უმცროსი შტოის წინააღმდეგ... ეს საქციელი ამტკიცებს ეჭვს მისი ვერაგობის და უმადურების შესახებ" (ს. ბარათაშვილი: „საქ. ისტორია", რვეული ვ, ს. ხუნდაძის თარგმანი, ქუთაისი, 1913 წ. გვ. 81).

თმოგვი არა ერთხელ გამხდარა მეტოქეობის მიზეზად მძლავრ ფეოდალთა შორის[1]). თმოგვის მფლობელად IX საუკუნის 70-ან წლებში სჩანს ფარსმან თმოგველი, რომელიც, „ქართლის ცხოვრებაში" [illegible] მოხსენებულია ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის აღაპებში[1]).

IX საუკუნის 80-იან წლებში თმოგვი ძალით დაუპყრია ბაგრატიონების ცნობილი მეტოქის ლიპარიტ ორბელიანის მარჯვენა ხელს ნინია ქვაბულიძეს, რომლის შვილი კახაბერი, თმოგვის მფლობელი, დაღუპულა თმოგვშივე დიდი მიწის ძვრის დროს, 1088 — 1089 წ.

შოთა-თამარის ეპოქაში თმოგვი, როგორც საქართველოს უმაგრესი ციხე-ქალაქი და მეტად მნიშვნელოვან ადგილზე მდებარე, ითვლებოდა საქართველოს მსახურთ-უხუცესების და ამირსპასალრების საპატიო ან სამამულე სამფლობელოდ.

რამდენად შეეფერება მესხეთის ქაჯატონი ანუ ქაჯთა სახლი რუსთველის მიერ „ვეფხის-ტყაოსანში" აწერილ „ქაჯეთს"? შევადაროთ თმოგვის აწერილობას პოემის შემდეგი სტროფები:

1305. „ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია:
ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია,
მას კლდესა შიგან გვირაბი, ასაძვრომელი ხვრელია,
მუნ არის მარტო მნათობი, მისთა შემყრელთა მწველია."

1306. „გვირაბის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს არ პირ-ნასები.
ათი ათასი ჭაბუკი დგის, ყველა კაი ხასები;
ქალაქის კართა სამთავე სამ ათას სამ-ათასები.
გულო, გაგსაჯა სოფელმან, არ არ ვიცი და, გლახ, რას ები."

1558. „ყოველგნით მრგვალი, შეუვალი, არსით იყო ყოლა პირი;
სამთა კართა ცხრა ათასი მოყმე სცვიდა, ვითა გმირი;
შუა ციხეა ამართული, კლდე კეკლუცი, არ დუხჭირი;
გვირაბითა შესავალი ახვრეტილი, ვითა სტვირი."

უეჭველია, რომ თმოგვი და ქაჯეთი ერთი და იგივეა.

გავიხსენოთ თმოგვის თვისებებიც. თმოგვში შესაძლებელი ყოფილა წყალში ხმელად გავლა (გვირაბით), წყლის დაშრობა (არხის გადაშვებით), მტრის განზრახვის გაგება (საიდუმლო სათვალთვალო გამოქვაბულიდან ზვერით) და სხვა.

ქაჯების „თვალთმაქცობა" ასეა აწერილი პოემაში:

---

[1]) ბრძოლა თმოგვის ფლობაზე ძალიან გამწვავდა XVI საუკუნეში, როდესაც თმოგვი ხელში ჩაიგდეს შალიკაშვილებმა. ათაბაგ ყვარყვარე მეოთხის დედამ, შალიკაშვილების გაძლიერებით შეშინებულმა, მოაკვლევინა ვარაზ შალიკაშვილი, რომელიც შახთაბაზის ცოლის ძმა იყო. ამ კვლევამ გამოიწვია შახტაბაზის მეორე გამოლაშქრება საქართველოზე („ქ. ც.", გვ. 943).

[2]) „ათონის... აღაპები", ტფილისი, 1901 წ., 89 აღაპი.

1310. „ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი,
კაცნი გრძნებისა მცოდნენი, ზედან გახელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მავნებნი, იგი ვერვისგან ვნებეულნი;
მათი შემბმელნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებულნი.“

1311. „იქმნენ რასმე საკვირველსა მტერსა თვალსა დაუბრმობენ,
ქართა აღძრვენ საშინელთა, ნავსა ზღვაზღვა დაამხობენ;
ვითა ხმელსა დაირბენენ წყალსა, წმინდად დააშრობენ;
სწადდეს დღესა ბნელად იქმნენ, სწადდეს, ბნელსა ანათობენ.“

„ქაჯების“ ასეთი ოინები, როგორც ეტყობა, დამოკიდებული იყო მათი ციხე-სიმაგრის მდებარეობაზე და არა იმაზე, რომ ისინი მართლაც ავი სულები იყვნენ. ავი სული არცა სწამდა რუსთველს. სწორედ ამიტომ ათქმევინებს იგი ფატმანს:

1312. „ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,
თვარემ იგინიც კაცნია, ჩვენებრვე ხორციელანი.“

თუ „ასასინ-მოლიდების წინაშე ძრწოდა მთელი წინა-აზია“, როგორც პროფ. კეკელიძე ამბობს, არც ჩვენი „ქაჯები“ იყვნენ მათზე ნაკლებნი. საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორ დანავარდობდნენ თამარის ეპოქაში თმოგვის მფლობელნი — გამრეკელ თორელი, მგარგრძელები, თაყაიდინ თმოგველი და სხვანი და რა დღე დააყენეს მათ სპარსეთის ქალაქებ: არდებილს, მარანდას, ზანგანს, კაზმინს, ხოროსანს, გურგანს:

„და რაღა გრძელ სიტყვა სახმარ არს, ვითარ მიიწივნეს ვიდრე ქალაქად გურგნისა და მოაოხრეს ქვეყანა იგი, და ვერღარა ძალ-ედვა წიაღსვლა ალაფისაგან. შემოიქცეს გამარჯვებულნი და შემოსილნი სიმდიდრით ქართველნი, რამეთუ აქამომდე არავინ ქართველთა ნათესავნი მიწევნილ იყო ლაშქართ, არა მეფე, არცა მთავარი, და ვერვინ წინა აღუდგა სპარსეთს შესვლასა მათსა, ვერცა ხვარასნის სულთანი, ვერცა ერაყისა, და ვერა რომელი თემი, და ესრეთ უზომოთა და ურიცხვითა სიმდიდრითა აღვსებულნი და გამდიდრებულნი, შემოიქცეს და მოვიდეს“ („ქ. ც.“, გვ. 481—482).

ზემონათქვამის შემდეგ ვფიქრობთ, რომ რუსეთველს პოემის ისტორიულ-გეოგრაფიული სუჟეტის გაშლის დროს ქაჯეთის მოდელად გამოუყენებია თავისი სამშობლოს მასალა. ქაჯეთის მოდელია არა ალამუთი, არამედ მაშინდელი თმოგვი.

უდავოა ისიც, რომ რუსთველის გმირებიდან თინათინი თამარ მეფეა, ხოლო ავთანდილი — დავით სოსლანი.

შემდგომ მასალიდან დავინახავთ, რომ ტარიელის პროტოტიპად რუსთველს დაუსახავს XII — XIII საუკუნის ერთ ქართულ ლიტერატურულ ძეგლში ცნობილი პირი, თავისივე ნათესავი, მახლობელი ადამიანი.

თავსთავად ცხადია, თუ კი თინათინ-ავთანდილი და ტარიელი ქართველები არიან და ქაჯეთი მესხეთში ყოფილა, მაშინ ავთანდილის არაბეთს

და ტარიელის ინდოეთს და „ქაჯეთს“ „ვეფხის-ტყაოსნის“ გეოგრაფიასთან იმდენად აქვთ კავშირი, რამდენადაც რუსთველს ესაჭიროებოდა ამ ქვეყნების სახელწოდება გმირების ნამდვილი ვინაობის დასაფარავად.

ცნობილი ინგლისელი მოგზაური ლინჩი ერთ-ერთი ჩვენი ძველი ციხის შესახებ სწერს:

„Перед нами лежал тесный проход через гигантскую плотину вулканических гор, как бы чудом разверзшуюся перед ничтожной речкой.

Скоро мы поехали по тропе, лепящейся карнизом приблизительно на пол высоте скалы; под нами шумела река, извиваясь пенистой лентой Это была замечательная картина, каприз природы в грандиозном масштабе, подобно которому никто из нас, по крайней мере, никогда не видел. Вулканические слои расщеплены вертикальными трещинами и огромные массы конгломератной скалы поднимались высоко над нами, почти отделившись от массива скалы. Строение этих скал из связанных цементом глыб, похожие на кладку каменных стен, придает им вид замков, воздвигнутых сверхчеловеческой гигантской рукой. Оне грозят обрушиться в долину и эта судьба уже постигла многих из них. Оне напоминали мне Чертов город у Момпелье леиг-Вье в стране Саван, но этот город, в сравнение с возвышающимися над нами скалами, только игрушечная деревня. Темный цвет скал, мрачный вид ущелья, высота утесов. поднимающихся из темной бездны до зубчатых вершин в 5000 футов, — все это усиливает впечатление таинственности и невольно наводит на мысль о присутствии злого духа. Смелые счертания в виде изогнутой рыбьей спины хребта на левом берегу против нас увенчаны развалинами каменных стен, едва отличимых от скалы.

Длинная линия полуразрушенных зданий обозначает расположение значительной крепости... В ущелье виднеется несколько жалких хижин. Кто может жить в таком одиноком заколдованном месте? Говорят, курды; как будто они не человеческие существа, а уцелевший остаток старых турецких времен“ (Линч, Ф. Б.: „Путевые очерки“, т. I, стр. 104—105, перевод Джунковской, Тифлис, 1910 г.)

ლინჩის ამ აღწერილობიდან საყურადღებოა შემდეგი ფრაზები:

„Оне напоминали мне чертов город... Все это усиливает впечатление таинственности и невольно наводит на мысль о присутствии злого духа... Кто может жить в таком заколдованном месте?“

რომელია ეს ციხე ქალაქი, რომელმაც ინგლისელ მოგზაურზე ასე იმოქმედა და ქაჯეთი მოაგონა?

„Развалины — это Тмогвы, крепость, знаменитая в истории этих стран“ —

დაასკვნის ლინჩი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯ. შარია

რენე დეკარტი

(300 წლის გამო მისი შრომის გამოქვეყნებისა „მეთოდის შესახებ")

სამასი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნებულ იქნა ახალი ფილოსოფიის ფუძემდებლის — რენე დეკარტეს კლასიკური შრომა „მსჯელობა მეთოდის შესახებ". ეს თარიღი მეტად მნიშვნელოვანია იმით, რომ აღნიშნულ თხზულებაში ადამიანის გონება პირველად გამოხატავს ნათლად და გარკვეულად თავის უფლებასა და მოთხოვნებს საშუალო საუკუნოების ბნელეთის მოციქულობისა და სქოლასტიკის ბორკილების წინააღმდეგ.

ბრძოლა ძველსა და ახალს მსოფლმხედველობას შორის მე-14—16 საუკუნოებში უშუალო გამოხატულება იყო იმ ბრძოლისა, რომელიც სწარმოებდა მომაკვდავ ფეოდალიზმსა და აღმავალ კაპიტალიზმს შორის. იდეოლოგიური ბრძოლის უდიდესი მნიშვნელობა პირველად კლასიკური სიცხადით გარკვეულ იქნა დიალექტიკური მატერიალიზმის ფუძემდებლების — მარქსისა და ენგელსის მიერ. ის გარემოება, რომ იდეოლოგია ეკონომიური ბაზისის ზედნაშენია, სრულიადაც არ ხდის მას პასიურად, რომელიც არსებულ მდგომარეობას მხოლოდ უსიცოცხლოდ, სტატიკურად ასახავს. პირიქით, სწორედ იდეოლოგიის სფეროში იშლება მომავლის პერსპექტივები, სწორედ ადამიანის აზროვნებას ძალუძს აღმოაჩინოს მოძრაობისა და განვითარების კანონზომიერებანი. ამიტომ იდეოლოგიური ბრძოლა მუდამ გააფთრებულ ხასიათს ატარებს; მის საგანს და შინაარსს შეადგენს არა მარტო აწმყო, არამედ მომავალიც, მოძრაობისა და განვითარების შემდგომი პერსპექტივებიც. თუ ფართო მასებისათვის რევოლუცია ხდება თავში (შეგნებაში) მხოლოდ ობიექტური სინამდვილის რევოლუციური გარდაქმნის საფუძველზე, ავანგარდისათვის რევოლუცია დასაწყისში ხდება შეგნებაში, ე. ი. შეიცნობა არა მარტო აწმყოს მიუღებლობა და უვარგისობა, არამედ მისი რევოლუციური შეცვლის აუცილებლობაც, თანაც ნათლად შეიცნობა აგრეთვე სურათი იმ საზოგადოებრივი წყობილებისა, რომელმაც უნდა შესცვალოს

არსებული წყობილება. ამ გზით მუშავდება ბრძოლის პროგრამა, მიზნის გარკვეულობა—გადამწყვეტი პირობები რევოლუციური კლასის გამარჯვებისათვის. სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრა, მაჩანჩალობა მუდამ წარმოადგენდნენ რევოლუციური მოძრაობის უბორტოტესმტერს, ისინი მუდამ გამომდინარეობდნენ რეაქციული ჯგუფებისა და პარტიებიდან და ამიტომ გამანადგურებელ ლახვარს ღებულობდნენ მარქსისაგან, ენგლესისაგან, ლენინისაგან, სტალინისაგან. ბოლშევიზმის სახელოვანი ისტორია, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ბრძოლის ისტორია ნათელ მაგალითებსა და ფაქტებს იძლევა იმისას, თუ როგორი ბრძოლა სწარმოებდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში სტიქიურობის ბურჟუაზიულ-კონტრრევოლუციურ, მენშევიკურ „თეორიების“ წინააღმდეგ, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის სიწმინდისათვის.

ჯერ კიდევ ბოლშევიკური პარტიის შექმნისა და გაფორმების გარიჟრაჟზე უკვდავი ლენინი თავის გენიალურ, საპროგრამო შრომაში „რა ვაკეთოთ“ ეყრდნობა რა მარქსსა და ენგელსს და ანვითარებს რა შემდგომ მათ მოძღვრებას, კლასიკურ დებულებებს იძლევა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს რევოლუციურ თეორიას სინამდვილის რევოლუციურ გარდაქმნის საქმეში; იგი მკაცრად შოლტავს მუშათა მოძრაობაში სტიქიურობისა და მაჩანჩალობის მქადაგებელთ. ლენინის დიდი მოწაფე და თანამებრძოლი ამხანაგი სტალინი 1905 წელს თავის კლასიკურ შრომაში „სოციალიზმი და ანარქიზმი“ აცამტვერებს ოპორტუნისტებს, ყველა ჯურის მაჩანჩალებს და ანვითარებს ლენინურ დებულებებს მუშათა მოძრაობაში შეგნებულობის, იდეურობის როლის შესახებ.

„ლენინიზმის საკითხებში“ — მთელი მსოფლიოს კომუნისტებისა და ყველა მშრომელთა სახელმძღვანელო წიგნში — ამხანაგი სტალინი ყოველ ნაბიჯზე თანამიმდევრობით განმარტავს თეორიის მნიშვნელობას და შემდგომ ანვითარებს მარქს-ენგელს-ლენინის დებულებებს.

ამხანაგი სტალინი მუდამ დაუნდობლად ანადგურებდა და ანადგურებს მარქსიზმ-ლენინიზმიდან ყოველგვარ გადახრებს, უზრუნველყოფს რა ბოლშევიკური რიგების კრისტალურ სიწმინდეს და ზრდის რა მშრომელთა უფართოეს მასებს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების სულისკვეთებით.

დიადი ლოზუნგი ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ, მოცემული ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვალ-მარტის პლენუმზე, პლენუმის გადაწყვეტილება პარტიული კადრების თეორიული სწავლების შესახებ ახალ ისტორიულ ხანას გვიშლიან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის განვითარებაში, პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა ფართო მასების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი თეორიის დაუფლებაში, რაც ხელს შეუწყობს სოციალისტური ეკონო-

მიკისა და კულტურის ახალ გრანდიოზულ აღმავლობას ჩვენს ქვეყანაში.

შეიძლება წამოიჭრას საკითხი: რა დამოკიდებულება შეიძლებოდეს მარქსიზმ-ლენინიზმთან დეკარტეს „მსჯელობას მეთოდის შესახებ", დეკარტე ხომ სრულიად არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მარქსისტი? საესებით მართალია, რომ დეკარტე არ ყოფილა და არც შეიძლებოდა არასგზით ყოფილიყო მარქსისტი, ვინაიდან მარქსიზმს შეეძლო წარმოშობილიყო მხოლოდ განვითარებული კაპიტალიზმის ეპოქაში, სამრეწველო პროლეტარიატის არსებობის პირობებში.

მაგრამ სრულიად მართალია ისიც, რომ მარქსიზმი წარმოიშვა არა ცალიერ ადგილზე, არამედ ადამიანის აზროვნების მთელი წინამორბედი ისტორიული განვიათრების ნიადაგზე. მარქსსიზმის წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ბაზა — კაპიტალიზმი — მზად როდი ჩამოვარდნილა ზეციდან, არამედ იგი ისტორიულად განვითარდა წინა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციებიდან. სრულიად ასევე მარქსიზმი განვითარდა ისტორიაულად წინამავალ იდეოლოგიასთან. ფილოსოფიის ისტორია და სოციალური მეცნიერების ისტორია — ამბობს ლენინი — გვიჩვენებენ სრული სიცხადით, რომ მარქსიზმში არ არის რაიმე მსგავსი „სექტანტობისა" რაღაც დახშული, გაყინული მოძღვრების სახით, რომელიც წარმოშობილი იყოს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების შარაგზიდან დაშორებით. პირიქით, მარქსის მთელი გენიალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან პასუხი გასცა იმ საკითხებს, რომელნიც კაცობრიობის ეოწინავე აზრმა უკვე დააყენა. მისი მოძღვრება წარმოიშვა როგორც პირდაპირი და უშუალო გაგრძელება ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის და სოციალიზმის უდიდეს წარმომადგენელთა მოძღვრებას".

როგორც იდეოლოგიის უმაღლესმა ფორმამ, როგორც ადამიანის აზროვნების უმაღლესმა პროდუქტმა — მარქსიზმ-ლენინიზმმა კრიტიკულად გადაამუშავა, და აითვისა აზროვნების განვითარების ყველა წინამავალი საფეხური. ყველა ისტორიული ეპოქის ყოველ დიდ მოაზროვნეს თავისი წვლილი შეჰქონდა ადამიანის აზროვნებისა და კულტურის პროგრესის იმ საგანძურში, საიდანაც გაიზარდა და განვითარდა მარქსიზმი. ყოველი დიდი მოაზროვნისათვის, თუმცა იგი თავის ეპოქას ასახავს, თავისი კლასის მისწრაფებებს და აზრებს გამოხატავს, გააჩნია ისეთი ელემენტები, რომელთაც წარუვალი, საერთო საკაცობრიო მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან ყოველი ისტორიული ეპოქა (საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია) აუცილებელი საფეხურია კაცობრიობის ისტორიულ პროგრესში, რომლის უმაღლეს საფეხურს კომუნიზმი წარმოადგენს. ამიტომ მხოლოდ კომუნისტები, მხოლოდ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების მიმდევარნი არიან ნამდვილი მემკვიდრენი იმ დიდ მოაზროვნეთა, რომელნიც მოღვაწეობდნენ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებული ანტიკური კულტურით და გათავებული კაპიტალიზმით, ნხოლოდ ისინი არიან ადამიანის პროგრესისა და კულტურის ყველა ფორმების მატარებელნი, ყველა ისტორიულ ღირებულებათა დამცველნი და მფარველნი სისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ, რომელიც ისტორიულად განწირული საზოგადოებრივი წყობილების უიმედო დაცვის მიზნით ბარბაროსულად ანადგურებს კაცობრიობის კულტურის ყველა მიღწევებს.

იმ დიდ მოაზროვნეთა რიცხვს, რომლებმაც წარუშლელი კვალი დასტოვეს კაცობრიობის კულტურის ისტორიაში, ეკუთვნის რ ე ნ ე დ ე კ ა რ ტ ე. ამ წერილში არაა აუცილებელი დაწვრილებით შევჩერდეთ ფილოსოფოსის ბიოგრაფიულ ცნობებზე. დეკარტემ, რომელიც ჩამომავლობით აზნაური იყო, მიიღო იმ დროისათვის საუკეთესო განათლება, მაგრამ ამ განათლებას არ შეეძლო მისი მძიებელი გონების დაკმაყოფილება, ვინაიდან მის დროს ევროპის კონტინენტზე ჯერ კიდევ ბატონობდა სქოლასტიკა, თუმცა ამ უკანასკნელმა პირველი გამანადგურებული დარტყმები მიიღო ე. წ. რენესანსის ეპოქის ფილოსოფოსებისაგან (პომპონაცი, ტელეზიო, კამპანელა, ჯორდანო ბრუნო, გალილეი და სხვა[1]).

დეკარტეს გამჭრიახ გონებას არ შეიძლებოდა გამოჰპაროდა ის გარემოება, რომ იმ დროს, როდესაც იდეოლოგიის სფეროში გაბატონებული (ფეოდალური) კლასის ოფიციალური „მეცნიერება" ფეოდალიზმის გამართლებას და დასაბუთებას ცდილობდა, სოციალ-ეკონომიურ სფეროში ადგილი ჰქონდა არსებით ცვლილებებს, რომელნიც ახალ საზოგადოებრივ წესწყობილებას მოასწავებდა. დეკარტეს შესანიშნავად ესმოდა ამ ცვლილებებთა პროგრესიული ხასიათი და იგი როგორც შორსმჭვრეტი და ღრმა მოაზროვნე, მიუხედავად თავისი აზნაურული წარმოშობისა, გადაჭრით დადგა ალმავალი საზოგადოებრივი წყობილების — კაპიტალიზმის მხარეზე და თავის ამოცანად დაისახა ახალი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის დასაბუთება. მართალია ეს ამოცანა გაადვილებული იყო ამ მიმართულებით არსებული ისეთი გაბედული ცდებით, როგორიც იყო გამოსვლა ჯორდანო ბრუნოსი, რომელიც ინკვიზიციამ 1600 წელს კოცონზე დასწვა და გალილეის მოძღვრება (ინკვიზიციამ გალილეიც ბარბაროსულად აწამა და „უსისხლო" სიკვდილით დასჯის ე. ი. კოცონის შიშ ქვეშ იძულებული გახადა ფორმალურად უარეყო თავისი მოძღვრება), მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი იმდენად გრანდიოზული იყო,

[1]) ივლისში ჯერ კიდევ დეკარტემდე გადამწყვეტი ლახვარი ჩასცა სქოლასტიას სახელგანთქმულმა ფილოსოფოსმა ფრანსის ბ ე კ ო ნ მ ა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალი ფილოსოფიის ,ემპირიულ (ცდისეულ) მიმართულებას და საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ბუნებისმეტყველებას. მაგრამ ევროპის კონტინენტსა და დიდბრიტანეთს შორის არსებული კულტურულ-ეკონომიური კავშირის მაშინდელი პირობებისა და მათი სოციალ-ეკონომიური განვითარების დონის მნიშვნელოვანი განსხვავების გამო ბეკონის გავლენამ ვერ მოიპოვა სწრაფი გავრცელება ევროპაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მისმა შესრულებამ, თუნდაც რამდენიმედ ნახევრულმა, კომპრომისულმა, დეკარტე ჩააყენა კაცობრიობის ისტორიაში დიად მოაზროვნეთა რიგში.

აქ მე მოკლედ შევჩერდები დეკარტეს მხოლოდ ფილოსოფიური შრომების მნიშვნელობაზე, თუმცა მას დიდი ღვაწლი მიუძღვის სპეციალურ მეცნიერებათა დარგშიაც, კერძოდ, მათემატიკისა და ბუნების მეტყველების დარგში (დეკარტეს ეკუთვნის ანალიტიკური გეომეტრიის აღმოჩენა, მის მიერ იქნა უკვე ფორმალირებული ძირითადად ენერგიის შენარჩუნების კანონი და სხვ.).

დეკარტეს მსოფლმხედველობის დასახასიათებლად მეტად მნიშვნელოვანია მისი პირველი დიდი თხზულება „კოსმოსის შესახებ", რომელშიც ის გამოდის კოპერნიკეს ახალი მოძღვრების დამცველად და გამოსთქვამს გენიალურ ჰიპოტეზას მოძრავი მატერიიდან სამყაროს ისტორიული შექმნის შესახებ. დეკარტემ თავის სიცოცხლეში უარი სთქვა ამ შრომის გამოქვეყნებაზე. ამ უარყოფის ერთერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დეკარტესათვის ცნობილი შეიქნა ის ბედი, რომელიც წილად ხვდა მის უფროს და დიდ თანამედროვეს — გალილე გალილეის, რომელსაც ინკვიზიციამ ბარბაროსული წამება მიაყენა ახალი მსოფლმხედველობის დაცვისა და დასაბუთებისათვის. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, თუ მარტო ამით ავხსნიდით დეკარტეს გაუბედაობას მატერიალისტური მსოფლმხედველობის დასაბუთებაში, მისი ფილოსოფიის აშკარა კომპრომისულ, დუალისტური ხასიათს. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ თვითონ დეკარტე აღზრდას ღებულობდა იმ პერიოდში, როცა საფრანგეთში კაპიტალიზმის განვითარება ჯერ კიდევ არ იყო ისეთ მაღალ დონემდე მისული, რომლის დროსაც ბურჟუაზია უშუალოდ სვამს საკითხს ძალაუფლების დაპყრობის შესახებ. იმ დროს არსებობდა კლასობრივ ძალთა ერთგვარი შედარებითი წონასწორობა, ვინაიდან ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ იყო იმდენად ძლიერი, რომ თავადაზნაურულ-მემამულური წყობილება დაემხო. იგი ჯერ კიდევ ეკონომიურ ძალთა დაგროვების პროცესში იმყოფებოდა და თავისი ინტერესების დასაცავად საჭიროებდა უაღრესად ცენტრალიზებულ ხელისუფლებას, (ასეთს კი წარმოადგენდა აბსოლუტური მონარქია) [1]. ხოლო ფეოდალები, თავის მხრივ, უნდა შერიგებოდნენ ბურჟუაზიის არსებობას, მით უმეტეს, რომ მათი ეკონომიური დამოკიდებულება ბურჟუაზიაზე მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებასა და ამასთანავე ფულის ეკონომიური ძალის ზრდასთან დაკავშირებით მეტად საგრძნობი ეყო და ყოველდღიურად

[1]) ცნობილია, რომ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნებში სწორედ კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში სწარმოებდა ბრძოლა მეფურ და ფეოდალურ-მემამულურ (საუფლისწულო) ხელისუფლებას შორის, რომელიც აბსოლუტიზმის გამარჯვებით მთავრდებოდა.

იზრდებოდა. ამიტომ დეკარტეს მსოფლმხედველობაში გადანასკვულია ერთიმეორესთან მატერიალისტური და იდეალისტური იდეები, ამასთან ეს უკანასკნელნი არ წარმოადგენენ მხოლოდ ტაქტიკურ გარსს ყოვლის შემძლე სასულიერო წოდების პირთა მოსატყუებლად, როგორც ამას ერთნაირად ამტკიცებდნენ მომენშევიკო იდეალიზმისა და მექანიციზმის წარმომადგენელნი, არამედ ისინი ასახავენ ფილოსოფოსის იდეოლოგიის შინაგან წინააღმდეგობას. ცნობილია, რომ როდესაც ჰოლანდიელმა ექიმმა-ფილოსოფოსმა ლერუამ (რეგიუსმა) თანამიმდევრობით მატერიალისტურად განავითარა დეკარტეს ფილოსოფია და განაცხადა, რომ ეს თვითონ დეკარტეს ფარული აზრი იყოო, უკანასკნელმა საჯაროდ განაცხადა პროტესტი ამის წინააღმდეგ.

მაგრამ დუალიზმი ახასიათებს მხოლოდ დეკარტეს მეტაფიზიკას და მას არ შეუძლია განსაზღვროს მისი მოძღვრების როლი და მნიშვნელობა, ვინაიდან ძირითადი მასში არის არა მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ა, არამედ მოძღვრება მეთოდის შესახებ და ამ მეთოდზე დამყარებული თანმიმდევრული მატერიალისტური ფ ი ზ ი კ ა. კ. მარქსი და ფ. ენგელსი (იხ. თხზულ. რუს. გამ. ტ. III, გვ. 154) გარკვეულად უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ დეკარტეს მეტაფიზიკასა და მის ფიზიკას შორის არსებობს პრინციპული წინააღმდეგობა, რომ თუ პირველი იშველიებს ღმერთსა და სულიერ სუბსტანციას, მეორე მთლიანად და მხოლოდდამხოლოდ მატერიასა და მის მოძრაობაზეა დამყარებული.

დეკარტეს მეტაფიზიკის დუალიზმის ხასიათის მოკლე განხილვიდან ნათელი გახდება, რომ ეს დუალიზმი არა თუ არ წარმოადგენს განსაზღვრულ მომენტს დეკარტეს მეცნიერულ შემოქმედებაში, არამედ იგი გავლენასაც არ ახდენს უშუალოდ ფიზიკისა და მათემატიკის დარგში მის მეცნიერულ დასკვნებზე. მართალია, ეს მოწმობს დეკარტეს არათანამიმდევრობას, მაგრამ მისი მთავარი მიზანი — ბუნების შეცნობა — აიძულებდა მას ასე მოქცეულიყო.

დეკარტეს დაუკმაყოფილებლობა მის დროს არსებული მეცნიერებით შეეხებოდა არა მარტო და არა იმდენად ამ მეცნიერების მიერ მოპოვებულ შედეგებს, არამედ უმთავრესად იმ მ ე თ ო დ ს, რომელსაც იგი იყენებდა. არა გონება და მისი ლოგიკური კანონები, არამედ საეკლესიო ავტორიტეტები (უკეთეს შემთხვევაში ეკლესიის ყაიდაზე დამუშავებული ფილოსოფიური ავტორიტეტები) და შიშველი, რელიგიის მოთხოვნილებებით მოტივირებული ვარაუდები განსაზღვრავდნენ მეცნიერული კვლევის მსვლელობას. ეს შეეხებოდა არა მარტო რელიგიას და ფილოსოფიას, არამედ მთელს ბუნებისმეტყველებასაც (მაგალ. ალქიმია). დეკარტემ გადაჭრით გაილაშქრა ადამიანის აზროვნების ასეთი თვითნებობის წინააღმდეგ, რაც ბორკავდა გონების ძალებს და უხშობდა მას გზებს ბუნების შესაცნობად; ბუნების შეცნობა კი აღმოცენებული კაპიტალიზ-

მის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილებას წარმოადგენდა. ერთადერთ მეცნიერებად, რომლის მეთოდიც დეკარტეს დამაჯერებლად [illegible] აღმოჩნდა მათემატიკა. ამ მეცნიერებაში ყველა ძირითადი [illegible] ეჭველი ლოგიკური გარკვეულობით მისდევდნენ ერთი მეორეს, მისი მტკიცებანი უაღრესად დემონსტრატიული იყვნენ, მისი დასკვნები უშუალო სიცხადით გამომდინარეობდნენ ერთიმეორისაგან, გამოდიოდა რა აქედან, დეკარტე ფიქრობდა, რომ ყოველმა მეცნიერებამ უნდა მისდიოს მათემატიკურ მეთოდს, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მას იქონიოს შედეგების უტყუარობის იმედი. მან მიზნად დაისახა განეზოგადოებია ეს მეთოდი ყველა მეცნიერებისათვის და შეექმნა ერთი უნივერსალური მათემატიკური მეთოდი — mathesis universalis. ასეთი მეთოდის შექმნა დეკარტემ ვერ მოახერხა, ვინაიდან იგი შეუძლებელია ცალკეულ მეცნიერებათა სხვადასხვა ბუნების გამო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავის შრომაში „მსჯელობა მეთოდის შესახებ“ მან დაადგინა ახალი მეთოდური წესები, რომლებმაც უდიდესი ისტორიული როლი ითამაშეს ნამდვილი მეცნიერული შემეცნების დასაბუთების საქმეში.

დეკარტეს ახალი წესების ძირითადი აზრი იყო გონების რეაბილიტაცია საეკლესიო ავტორიტეტების ხელაღებითი ყოვლადშემძლეობის წინააღმდეგ. სქოლასტიკა დოგმატიურად ახვევდა თავს გონებას სხვადასხვა ავტორიტეტთა შეხედულებას, როგორც, ჭეშმარიტებას. დეკარტე პროტესტს აცხადებს გონების ასეთი დამონების წინააღმდეგ; იგი მოითხოვს, რომ გონებამ თვითონ განსაზღვროს ჭეშმარიტება და სიცრუე. ამ საქმეში კრიტერიუმად გამოდგება გარკვეულობა და მკაფიობა, თვითსიცხადე. ჭეშმარიტება არ დაიყვანება სუბიექტურ შეხედულებამდე, იგი ობიექტურია, მაგრამ გონებას უეჭველად შეუძლია მისი შეცნობა, საჭიროა მხოლოდ, რომ იგი სწორი მეთოდით ხელმძღვანელობდეს. ძირითადი მოთხოვნაა: განვასხვაოთ გარკვეული და მკაფიო წარმოდგენა ბუნდოვანისაგან. ამას ვაღწევთ ანალიზის გზით.

ყველა ბუნდოვანი და გაურკვეველი წარმოდგენის თანდათან თავიდან აცილებით გონება აღწევს ელემენტარულ, თავისთავად ცხად ცნებებს, მსგავსად მათემატიკის აქსიომებისა. შემდეგ მათგან გამომდინარე, დედუქციის გზით, გონება მიდის რთულ ცნებამდე, რომელთა ჭეშმარიტებაც გარანტირებულია სწორი გამოსავალი პუნქტით (ნათელი და გარკვეული ცნებები ანუ აქსიომები, ინტუიციები) და მათგან დასკვნებზე გადასვლის წესების ზუსტი დაცვით.

ასე აღმართავს გონების დროშას საშუალო საუკუნოების ბნელეთის მოციქულობისა და სქოლასტიკის წინააღმდეგ აღმავალი ბურჟუაზიის ერთერთი უდიდესი იდეოლოგი. იმ დროს ბურჟუაზია პროგრესიული იყო; მას თვალწინ გადაშლილი ჰქონდა ისტორიული ჰორიზონტები, განვითარების პერსპექტივები. ახლა კი? ბურჟუაზია, რომელმაც დიდიხანია ამოს-

წურა თავისი ისტორიულად პროგრესიული როლი, რომელიც პარაზიტული და ლპობადი გახდა და რომელმაც დაჰკარგა ყოველგვარი ისტორიული პერსპექტივები, ზურგს აქცევს გონებას და მიმართავს სუბიექტის საკუკუნოების იმ ბნელეთის მოციქულობას, რომლის წინააღმდეგაც იგი თავისი განვითარების გარიჟრაჟზე ასე ენერგიულად იბრძოდა, გვაძლევდა რა მთელ რიგ დიდ, ნიჭიერ მოაზროვნეებს.

გერმანელმა ფაშისტებმა ოფიციალურად უარყვეს ინტელექტი, გონება, გამოაცხადეს რა იგი ებრაულ გამოგონებად; ისინი უპირისპირებენ მას ბრმა ზოოლოგიურ ინსტიქტს და ანადგურებენ ადამიანის გონების ყველა საუკეთესო მიღწევას.

ფილოსოფიის მთელი რიგი ბურჟუაზიული ისტორიკოსები, განსაკუთრებით უკანასკნელ დროს, ცდილობდნენ გამოეცხადებიათ დეკარტე სკეპტიკად, რომელიც უარჰყოფდა ადამიანის გონების მიერ ობიექტურ ჭეშმარიტების შემეცნების შესაძლებლობას. ეს უეჭველად დეკარტეს მოძღვრების დამახინჯებაა.

დეკარტე მართლა იწყებს ეჭვიდან, სკეპტიციზმიდან, მაგრამ უკანასკნელი შეეხება არა გონების უნარს, არამედ არსებულ ცოდნას ეჭვი დეკარტესათვის საშუალებაა სქოლასტიკისა და მისი ავტორიტეტების დასარღვევად. მე ეჭვი შემაქვს ყველაფერში, თვით ჩემი სხეულის არსებობაშიც კი — ლაპარაკობს დეკარტე. მაგრამ რაკი ეჭვის ფაქტი არსებობს, უნდა არსებობდეს ისიც, რაც ეჭვობს. ეჭვი აზროვნების თვისებაა. რომ არ ვაზროვნობდე, დაეჭვებაც არ შემეძლო. მაგრამ რომ არ ვარსებობდე, მაშინ აზროვნებაც არ შემეძლო. რაკი ვაზროვნობ, ვარსებობ „Gogito ergo sum". ეჭვი გათავდა, დადგენილია მტკიცე ურყევი ფაქტი. აქამდე დეკარტეს მსჯელობა მისაღებია, მაგრამ შემდეგ იგი აკეთებს იდეალისტურ დასკვნას. არსებობა არ არის დ ა ს კ ვ ნ ა, არამედ თვითცხადი, ი ნ ტ უ ი ც ი უ რ ი ფაქტი: ვაზროვნობ — ვარსებობ. „Ergo" (მაშასადამე) არის მხოლოდ მსჯელობის ფორმა. დეკარტეს დ ა ს კ ვ ნ ა კი ამ ფაქტიდან შემცდარია „ვაზროვნობ — ვარსებობ", მაშასადამე, მე არის ა ზ რ ი. ამ გზით დეკარტე ადგენს სულის არსებობას, მოაზროვნე სუბსტანციის არსებობას, როგორც გამოსავალ პუნქტს შემდგომი მსჯელობისათვის.

ამ იდეალისტური დასკვნის შემცდარობა შეამჩნია და მკვეთრად გააკრიტიკა დეკარტეს თანამედროვემ, სახელგანთქმულმა ინგლისელმა მატერიალისტმა ჰობსმა. აზროვნების არსებობის ფაქტიდან ისევე გამომდინარეობს ყოფიერება, როგორც ამ უკანასკნელის ყოველი სხვა თვისებიდან. მაგრამ აქედან სრულიად არ შეიძლება დავასკვნათ, რომ აზროვნება არის სუბიექტი, ხოლო ყოფიერება—პრედიკატი. დებულება: „ვაზროვნობ — ვარსებობ" შეიძლება შევცვალოთ დებულებით: „ვსეირნობ—ვარსებობ", ვინაიდან მე არ შემეძლო სეირნობა, თუ არ ვიარსებებდე.

მაგრამ შეიძლება აქედან გავაკეთოთ დასკვნა: „მე ვსეირნობ — ვარსებობ — მე არის სეირნობა“? ასეთი დასკვნის უაზრობა ნათელია. შემეცნების პროცესში შედეგიდან შეიძლება მივაღწიოთ მიზეზამდე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შეიძლება მათი ერთი მეორით შეცვლა. რა დასკვნის გაკეთება შეიძლება დებულებიდან: „მე ვაზროვნობ — ვარსებობ“? არა— „მე ვარ აზრი (აზროვნება)“, არამედ „მე, ვარ მოაზროვნე არსება“. აზროვნება გამოდის აქ არა როგორც სუბსტანცია, არამედ როგორც თვისება (ატრიბუტი) სუბსტანციისა (ყოფიერებისა).

გააკეთა რა შემცდარი, იდეალისტური დასკვნა სულიერი სუბსტანციის არსებობის შესახებ, დეკარტემ დაიკეტა ლოგიკური გზა ყოფიერებაზე გადასავლელად, და ეს მაშინ, როდესაც დეკარტეს ძირითადი მიზანი მდგომარეობდა არა მოაზროვნე სუბსტანციის დასაბუთებაში, არამედ ყოფიერების, ბუნების შემეცნების დასაბუთებაში. მხოლოდ არა პირდაპირი გზით, ღმერთის საშუალებით გადადის დეკარტე ყოფიერებაზე, მაგრამ რაკი ერთხელ გადავიდა მასზე, შემდეგ უკვე აღარ უბრუნდება ღმერთს და მოითხოვს ბუნების შემეცნების მხოლოდ და მხოლოდ მოძრავი მატერიის და მისი ნაწილების მეშვეობით. დეკარტე გამოდის იქიდან, რომ მოძრაობა არ იქმნება და არ ისპობა (მოძრაობის მუდმივობა) და ამით თავისებურად გამოხატავს ენერგიის შენახვის ცნობილ კანონს. ის წმინდა მატერიალისტურად უარყოფს ცალიერი სივრცის არსებობას, თუმცა მაშინდელი დროის პირობების მიხედვით იზიარებს მექანისტურ შეხედულებას ისტორიის აგებულებასა და მის მოძრაობაზე. თუ „კოსმოსში“ დეკარტე აყენებდა ჰიპოტეზს მოძრავი მატერიისაგან სამყაროს ისტორიული წარმოშობის შესახებ, შემდეგში იგი აკეთებს უაღრესად არსებით დასკვნებს ცოცხალი ორგანიზმების სტრუქტურის შესახებ. დეკარტე ამტკიცებს, რომ ისინი არიან მექანიზმები, მანქანები („კაპიტალში“ მარქსი იძლევა დეკარტეს თეზისის „ცხოველი-მანქანა“-ს კლასიკურ განმარტებას), და ამით ლახვარს სცემს ვიტალიზმსა და იდეალიზმს ბიოლოგიაში (მართალია მექანისტური პოზიციებიდან, მაგრამ იმ დროს ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა).

დეკარტეს ფიზიკის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, ფრანგ მატერიალისტებზე ამ ფიზიკის გადამწყვეტი გავლენის შესახებ ლაპარაკობს მარქსი „წმინდა ოჯახში“. თავის ფიზიკაში დეკარტე მატერიას ანიჭებს დამოუკიდებელ შემოქმედებით ძალას და მექანიკურ მოძრაობას იხილავს როგორც მატერიის სიცოცხლის გამოვლინებას. იგი სრულიად გამოყოფს თავის ფიზიკას თავისი მეტაფიზიკისაგან. მისი ფიზიკის ფარგლებში მატერია წარმოადგენს ერთადერთ სუბსტანციას,, ყოფიერებისა და შემეცნების ერთადერთ საფუძველს.

„მექანისტური ფრანგული მატერიალიზმი მიემხრო დეკარტეს ფიზიკას, წინააღმდეგ მისი მეტაფიზიკისა. მისი მოწაფეები

პროფესიით იყვნენ ანტიმეტაფიზიკოსები, ე. ი. ფიზიკოსები" (მარქს-ენგელსი, თხზულებ. ტ. III, გვ. 154, რუს. გამოც. 1929 წ.).

ტყუილად როდის სდევნიდა დეკარტეს ოფიციალური [illegible] იდეოლოგია და თავისი სიცოცხლის ნახევარზე მეტი იგი [illegible] დამალოდა ამ დევნას სამშობლოს საზღვრებს იქით.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ დუალიზმმა, რომელიც დეკარტეს ფილოსოფიას ახასიათებს, ხელი ვერ შეუშალა მას განევითარებინა სავსებით მატერიალისტური ფიზიკა და თავისი ახალი მოძღვრებით მეთოდის შესახებ განვითარების დასაწყისი მიეცა ახალი ფილოსოფიის რ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ უ რ ი მიმართულებისათვის. დეკარტეს რაციონალიზმს, რომელიც ვერ აფასებს სათანადოდ გრძნობად ცდას და ამით ცალმხრივად ანვითარებს შემეცნებას, იმ დროს თავისი უპირატესობანიც ჰქონდა. რაციონალიზმისა და სექსუალიზმის ცალმხრივი განვითარება ახალს ფილოსოფიაში საჭიროებდა დიალექტიკურ სინთეზს, რაც მისაწვდომი იყო მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის ფუძემდებელთათვის—მარქსისა და ენგელსისათვის.

დეკარტესა და ბეკონის ფილოსოფიით დაიწყო ახალ დროის ადამიანის აზრის ის დიადი წინსვლითი მოძრაობა, რომელმაც, გაიარა რა სპინოზა და ჰობსი, ლეიბნიცი და ლოკი, ფრანგი მატერიალისტები და გერმანელი იდეალიზმის კლასიკოსები, მიგვიყვანა ადამიანის აზროვნების უმაღლეს პროდუქტამდე — მარქს-ენგელს ლენინ-სტალინის დიალექტიკურ მატერიალიზმამდე.

ამიტომ სცემს პატივს დეკარტეს ხსოვნას ჩვენი ქვეყნის მშრომელები და უცხო ქვეყნის პროლეტარიატი, ამიტომ ითავა დეკარტეს სამშობლოში — საფრანგეთში საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ დეკარტეს სახელგანთქმულ შრომის გამოსვლის სამასი წლის თავის საზეიმო აღნიშვნა, ამიტომ შეხვდნენ დუმილით ამ თარიღს საფრანგეთის ბურჟუაზიის იდეოლოგები.

ბნელეთის თანამედროვე მოციქულები,—ფაშისტები—ცდილობენ გაანადგურონ მთელი კაცობრიობის ისტორიის კულტურული მემკვიდრეობა. მაგრამ ეს მათი ცდა ისევე უიმედო და განწირულია, როგორც ცდა უსასტიკესი პოლიტიკური რეაქციის საშუალებით ისტორიულად განწირული წყობის—კაპიტალიზმის შენარჩუნებისა. კაცობრიობის ისტორიის კულტურულ მემკვიდრეობას გააჩნია კანონიერი, მტკიცე და ურყევი მემკვიდრე — მსოფლიო მუშათა კლასი, რომელიც მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უძლეველი დროშით, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის — დიადი საბჭოთა კავშირის მშრომელების დახმარებით, გაანადგურებს და მოსპობს ფაშიზმს, დაამხობს კაპიტალიზმს და წარსული ისტორიული კულტურის კრიტიკულ-რევოლუციური გამოყენებით ააშენებს კომუნიზმს მთელს მსოფლიოში.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე. ასტვაცატუროვი

ნაგერალი

ქართული მხატვრული პროზა უკანასკნელ წლებში რიცხობრივად საკმაოდ გამდიდრდა ისტორიული რომანებით. პროლეტარიატის დიქტატურის მიერ შეცვლილი უკულმართი საზოგადოებრივი ურთიერთობა, ამ უკულმართობის საფუძველზე წარმოშობილი მუშათა და გლეხთა უკმაყოფილების ზრდა, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის, — ყოველივე ეს ისევე წარმოადგენს საბჭოთა ლიტერატურის თემატიკას, როგორც სტალინური ეპოქის საკაცობრიო მიღწევები.

მხატვრული ნაწარმოების ღირსებისათვის მთავარია არა მხოლოდ თემა, არამედ ისიც, თუ როგორი იდეური კონცეპციითა და მხატვრული ოსტატობით არის დამუშავებული იგი. მაღალმხატვრულმა ნაწარმოებმა უნდა დაგვანახოს და განგვაცდევინოს მოხაზული ეპოქა მთელი შინაგანი თავისებურებით. თუ რომანმა ან მოთხრობამ ოდნავ მაინც ვერ გაგვაცნო იმ ეპოქას, რომელსაც იგი ეხება, ლაპარაკი მის მხატვრულ ღირსებაზე,—რომ არაფერი ვთქვათ იდეურ მხარეზე, — შეუძლებელია. ასეთი ნაწარმოები არც რეალისტურია. რეალიზმი პირველყოვლისა უნდა გამომჟღავნდეს საზოგადოებრივ ურთიერთობის, სოციალური პროცესების ღრმა ცოდნაში და მწერლის მსოფლმხედველობაში.

ამ საზომით გვინდა განვიხილოთ აქ არჩილ ჯაჯანაშვილის რომანი „ნაგერალი“, რომელიც ავტორის შენიშვნის თანახმად ტრილოგიის პირველ წიგნს წარმოადგენს.

ავტორს საკმაო მხატვრული რესურსები გააჩნია. მას დაუფლებული აქვს მხატვრული ოსტატობის ტექნიკური მხარე, ეხერხება ცალკეული სურათებისა და ამბების ისეთი მხატვრული კომპოზიცია, რომელიც ნაწარმოებს ჰარმონიულ მთლიანობის სახეს აძლევს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაწარმოების ენა. აქ საქმე გვაქვს მოკლე და სხარტად გამოთქმულ წინადადებებთან, რაც დამახასიათებელია განსაკუთრებით ქართული ენისათვის. ავტორმა კარგად იცის ქართლის „კოლორიტი“. კითხულობთ რომანს და ეცნობით ნამდვილ ქართლელებს, რომელნიც ლაპარაკობენ თავიანთი სუფთა და ნათელი ქართულით.

მწერლის მხატვრული ოსტატობის ღირსებას მიეწერება აგრეთვე მომქმედ პირთა მრავალსახეობა. მართალია, ზოგი მათგანი ერთი მეორისგან ბევრი არაფრით განსხვავდება, მაგრამ ისინი საინტერესონი არიან მაინც თავიანთი ნიუანსებით.

ესაა „ნაგერალის“ დამახასიათებელი ღირსება. მაგრამ ჩამოთვლილი ღირსებები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ რომანი მაღალმხატვრულ ნაწარმოებად მივიჩნიოთ. ტრილოგიის ამ პირველ წიგნს მრავალი მხატვრული და მსოფლმხედველობრივი ხასიათის ნაკლი აქვს.

„ნაგერალი“ ეხება მენშევიკების დიქტატურის ხანას, კერძოდ 1919-20 წლებს. იგი ვითარდება ქართლის ცხოვრების ფონზე და მიზნად ისახავს მენშევიკების დროის ქართლის სოფლის ისტორიული სიმართლის ასახვას.

ავტორის ამ განზრახვაში ცუდი არაფერია, მაგრამ როდესაც ვკითხულობთ ნაწარმოებს ბოლომდე, სრულიად საწინააღმდეგო შეხედულება გვიმუშავდება, ღრმად იკიდებს ფეხს ის აზრი, რომ ავტორმა არ იცის მენშევიკების დროის ქართლის ცხოვრება და ბოლშევიკების გმირული მუშაობა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის საქართველოში.

„ნაგერალი“ მეტად მოსაწყენად იკითხება და ვერ ახდენს რაიმე ემოციურ ზეგავლენას მკითხველზე. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ მას აკლია მთავარი, ე. ი. ის, რაც მხატვრული ნაწარმოების სულს წარმოადგენს — რეალიზმი, ისტორიული სიმართლე, იდეური სიმაღლე...

რომანში არა სჩანს მენშევიკების დროის ქართლი თავისი მღელვარე და ბობოქარი სახით. ჩვენ ვიცით, რომ მთელი საქართველო და კერძოდ ქართლი მენშევიკების დიქტატურის პერიოდში გახვეული იყო სამოქალაქო ომის ცეცხლში. კლასობრივმა ბრძოლამ უილაჯო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ყველაზე მწვავე ხასიათი ქართლში მიიღო სწორედ იმ პერიოდში, რომელსაც რომანის სუჟეტი ეხება. რომანში კი ქართლის სოფელი მოცემულია მკრთალად, მოდუნებულად, პასიურად. ასეთ ფონზე ადვილია იმის გაგება თუ რატომ „ვერ“ ახერხებს ავტორი რელიეფურად გამოკვეთოს ტიპები და დეტალები და რატომ ჰგავს ელამი სარკის ანარეკლს გლეხების ბრძოლა მიწისათვის. ავტორმა „ვერ“ მონახა შესაფერი საღებავები მენშევიკების აგრარული „რეფორმის“ საფუძველზე გლეხთა რევოლუციური მოძრაობისა და კლასობრივად მოწინააღმდეგე ფენების ბრძოლის ნათელი და წარმტაცი სურათის დასახატავად. ამის ნაცვლად მან გვიჩვენა მემამულე ქაიხოსროს მიწების დანაწილების ორი მეტად მკრთალი ცდა. საკმარისი იყო ქაიხოსროს გამოჩენა, რომ გლეხები მაშინვე დაშლილიყვნენ და ხელი აეღოთ მიწების დაყოფაზე. მწერალი ვერ ბედავს გაბედული რევოლუციური ნაბიჯი გადაადგმევინოს გლეხებს, თუგინდ ბოლშევიკურად განწყობილ გლეხებს. ეს იმით აიხსნება, რომ იგი არ იცნობს ბოლშევიკების მუშაობის ხასიათს და არ იცის, რა გააკეთებინოს მთავარ გმი-

რებს, ან მეორე და მესამე ხარისხოვან მომქმედ პირებს, ისეთი, რაც რევოლუციის თვალსაზრისით გამართლებული იქნება. ავტორის რევოლუციური კონცეპცია იზღუდება ზეკლასობრივი კაცთმოყვარეობის ჩარჩოებით და საზრდოობს წვრილბურჟუაზიული „კაცური კაცის“ მორალით. ამის შედეგად მწერლის ხერხები „ფართო“ გასაქანს პოულობენ მხოლოდ ინტიმური ყოფისა და „მორალის“ სფეროში.

რომანი მკრთალი ფერებით გვიხატავს გლეხთა საშინელ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, საკმაო ისტორიული სიცხადით არ იძლევა გლეხთა უკმაყოფილებისა და ბრძოლის წარმომშობ მიზეზებს.

მემამულე ქაიხოსროს და მოკულაკო ილოს კი მწერალი გულთბილად გვიხატავს. ქაიხოსროს „უქმად ყოფნა არ უყვარდა და, თუ დიდი რამ საშუაო არ ჰქონდა, თავს პატარა-პატარა საქმით ირთობდა“. ან კიდევ — ქაიხოსრო მამისეულ მამულში ვენახის გაშენებას შეუდგა და რომანის მიხედვით მთელი ვენახი პირადი შრომით გააშენა:

„— მაინც ლას აპილებ აქა, ნათლი? — ხელმეორედ ჩაერია ლიყიანი და ქაიხოსროს გვერდით ამოუდგა.

— რას ვაპირებ? — ტუჩებში ჩაილაპარაკა ქაიხოსრომ, რომელიც სწორედ ამ დროს დიდი მუხის ბოძს ხვნეშით ურმიდან მიათრევდა..

ურემი დასცალეს. ქაიხოსრომ გამტვერიანებული პიჯაკი გაიბერტყა და მხარზე გადაიგდო“.

უფრო „სიმპატიური“ ტიპია კულაკი ილო. მისი უარყოფითი მხარე მხოლოდ გაიძვერობაა. რომანის მიხედვით, შეუძლებელია იმის გაგება, თუ რა ხერხებით და საშუალებებით ეწეოდნენ მემამულეები და კულაკები სხვისი შრომის მითვისებას, ექსპლოატაციას, ან ეწეოდნენ თუ არა ასეთ რამეს (?!).

ბოლშევიკების მუშაობაში (თუმცა იქ არავინ არა ჰგავს ბოლშევიკს) არა სჩანს ორგანიზებულობა და მოქმედების წინასწარი მოფიქრება. ამის შედეგად ვღებულობთ სტიქიურ „მოძრაობას“, ვიწრო საქმოსნობას.

მწერალი თითქოს ცდილობს გვიჩვენოს გლეხების მზადება სოციალისტური რევოლუციისათვის, ბოლშევიკების გავლენის ზრდა მასებში, მაგრამ ვერ აღწევს მიზანს, რადგან კეთილ განზრახვას, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, საფუძვლად არ უდევს ფაქტების ღრმა ცოდნა.

ამ პერიოდში ბოლშევიკების გავლენა მშრომელ მასებზე საკმაო ძლიერი იყო. გლეხობამ მენშევიკური „რეფორმისაგან“ ვერაფერი ვერ მიიღო. იგი დარწმუნდა, რომ 1917 წლის პირველ რევოლუციისაგან მოტყუებული დარჩა და დაიწყო ბრძოლა არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლისათვის. ბოლშევიკები სათავეში ედგნენ რევოლუციურ მუშებსა და გლეხებს, რაზმავდნენ მასებს და ხელმძღვანელობდნენ მათ ბრძოლას. აღნიშნული ნაწარმოებით კი მენშევიკების დიქტატურის დროს სოფელი წარმოდგენილია ისე, თითქოს იქ ეს-ეს არის იღვიძებს კლასობ-

რივი შეგნება და უკმაყოფილება. ეს სოფელი ჰგავს ნახევარი საუკუნის წინად არსებულ სოფელს, იგი ორმოცდა ათი წლით არის დაშორებული რევოლუციას, მაშინ, როცა რევოლუცია უკვე კარებს აკაკუნებდა და თვით ჩვენი ხალხის ცხოვრების წიაღში იბადებოდა.

ეს ნაწარმოების უდიდესი მხატვრული ნაკლია და იდეური შეცდომა.

არჩილ ჯაჯანაშვილმა რომანის ამ პირველ წიგნში ვერ შესძლო სწორად გადმოეცა მაშინდელი დროის ძირითადი პროცესები.

საინტერესო ტიპია ლოთი და კულაკების გავლენის ქვეშ მყოფი საშუალო გლეხი — ბრუციანი. ძალიან სქემატურია მენშევიკი მინისტრი და მისი სტუმრობის ამბავი. ასევე სქემატურად და ზერელედ არიან მოცემული რომანის დანარჩენი ტიპები. განსაკუთრებით მკრთალია „ბოლშევიკების“ ტიპები. ეს ტიპები მწერალს ღრმად არა აქვს მოფიქრებული. ავტორი ყველა ტიპს თავის ტიტულს აკრავს, მაგრამ ეს ტიტული ვერ პოულობს გამართლებას ტიპის მოქმედებაში. მაღალმხატვრული ნაწარმოების ღირსება ისაა, რომ მკითხველმა სახელის დაურქმევლად შესძლოს გაიგოს ტიპის ხასიათი და მიდრეკილება. ამბების მსვლელობამ და ამ ამბებისადმი ამათუიმ ტიპის აქტიური დამოკიდებულების პროცესმა უშუალოდ უნდა გვიჩვენოს ტიპის რაობა. სანამ ავტორი იტყოდეს ან ათქმევინებდეს მომქმედ პირს, რომ ბოლშევიკია თუ მენშევიკი, თვით მისმა მოქმედებამ უნდა აგრძნობინოს, მკითხველს. რა კაცია იგი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება გააჩნდეს ნაწარმოებს მხატვრული სიძლიერე, დამაჯერებლობა და ემოციური ზემოქმედების ძალა.

ამ მხრივ სარეცენზიო რომანს ძალიან ბევრი რამ აკლია. არც ერთი ბოლშევიკი არა ჰგავს ბოლშევიკს, არც ხასიათით, არც მოქმედებით.

ელენე თავის ინტიმურ მეგობარს, მენშევიკ გივის მოულოდნელად განუცხადებს, რომ ის ბოლშევიკია. ეს განცხადება მარტო გივისათვის არ არის მოულოდნელი. ავტორი არა ცდილობს, რომ ელენეს მოქმედებით და ფსიქოლოგიური განცდებით მოამზადოს წინასწარ ნიადაგი. ელენე თავიდანვე წარმოდგენილია, როგორც თავაზიანი ქალაქელი გოგონა, რომელიც სოფელში თავის ბიძა ქაიხოსროსთან იზრდება. მას საკმაოდ გააჩნია წვრილბურჟუაზიულ-მეშჩანური ელემენტები. ელენე უმთავრესად მენშევიკურ წრეში ტრიალებს, მისი „გაბოლშევიკება“ სრულიად შემთხვევითია და ის არ გამომდინარეობს არც მისი მოქმედებიდან, არც ნაწარმოების სუჟეტის ლოგიკური მიმდინარეობიდან.

აი ის პატარა სცენა, სადაც ვგებულობთ ელენეს გაბოლშევიკებას: ქაიხოსროს ვენახში გახურებული რთველი იყო. ლეიტენანტი გივი (მენშევიკი) და ელენე დილიდანვე ვენახში იყვნენ და პატარა მაკრატლებით აკიდოებს სჭრიდნენ. ამ დროს ქაიხოსროს სახლში სხვა სტუმართა შორის იყო „საპატიო“ სტუმარი—მენშევიკური მთავრობის მინისტრი. გივი და

ელენე ტკბილ საუბარში იყვნენ, როცა ეს სტუმრები სახლიდან გამოვიდნენ.

— „უყურეთ, სტუმრები სახლიდან გამოვიდნენ, წინ მენატრენ [illegible] ძანდება, უკან კი მხლებლები მოსდევენ! ალბათ, ვენახში [illegible] ინებებს.

გივიმ ელენეს ხმაში ირონიული ჰანგი შეამჩნია და გაოცებით შეხედა.

— რა გაშტერებული მიცქერით? — ჩუმად შეეკითხა ელენე და ლეიტენანტ გივის თვალებში შეხედა.

— თქვენს ხმაში თითქოს ირონიამ გაიბზრიალა?

— ვთქვათ ასეც არის, მერე? — გამომწვევი კილოთი შეეკითხა ელენე და თვალებში რაღაც უცნაურმა ბოროტმა ცეცხლმა გაურბინა.

ლეიტენანტმა გივიმ მოულოდნელად სახეალეწილ, აფეთქებულ ელენეს შეხედა.

— მე ვფიქრობ, სასაცილო არაფერია. გარდა ამისა, **თქვენი სიცილი მდგომარეობას ისე შეჰშვენის, როგორც, ძროხას უნაგირი!** — ბოროტად უპასუხა ლეიტენანტმა გივიმ და წამოდგა.

— ბატონო ლეიტენანტო, თქვენ პასუხს მთხოვდით! თუ ჩემი პასუხის მონელებას ადვილად შესძლებთ, მოგახსენებთ: ბოლშევიკი ვარ.

— ღმერთო ჩემო! „დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა!“ ეგეთ საშინელ სიტყვებს რად მეუბნებით, ქალბატონო ელენე! ხომ შეიძლება გული შემიწუხდეს! თქვენ? ბოლშევიკი? ხარხარით წამოიძახა გივიმ და ელენეს მკლავში სწვდა.

— მომწყდი თავიდან! — შეჰყვირა ელენემ, მკლავი ხელიდან გამოჰგლიჯა და ვაზის რქა ნერვიულად ხელში აათამაშა“.

ასეთია ამ ნაწარმოებში ბოლშევიკი ქალის ტიპი. ამ სცენაში ძალიან ცოტა რამ არის ბუნებრივი. იგი უფრო ყალბი ინტუიციის ნაყოფია, ვიდრე სინამდვილეზე დაკვირვების შედეგი. ჩვენი მოსაზრება რომ სწორია, ამას ნათელჰყოფს თვით ტიპის შემდგომი სრულყოფის პროცესი.

ავტორი ცდილობს, რომ ბოლშევიკი ქალი „კაცური კაცის“ წვრილბურჟუაზიული ჰუმანიზმის პრინციპით მოგვცეს, შეასუსტოს მასში კლასობრივი შეურიგებლობის ტენდენცია და გაზარდოს შემარიგებლობის გრძნობა. ეს ავტორს დადებით ტენდენციათ მიაჩნია და უპირდაპირებს მას, როგორც უარყოფითს, მენშევიკ გივის თანმიმდევრულ შეურიგებლობას იდეურ მოწინააღმდეგისადმი.

გივი თავზარდაცემულია ელენეს პასუხით, იგი ვერ ითმენს მის ბოლშევიკობას, საშინლად ღელავს, არ იცის რით გადაუხადოს, რა ავნოს, ელენე კი ცდილობს, ამ შეურიგებელ მტერთან კვლავ მეგობრად დარჩეს:

— გივი! — მოესმა უკანიდან ელენეს გაბზარული ხმა,

— რა გნებავთ? — შორიდან შეეკითხა გივი,

— ახლო მოდით! — ალერსიანი კილოთი უთხრა ელენემ და ხმა ამაკანკალდა.

— მე ყურთ არ მაკლია და მანძილზედაც კარგად მესმის! — ამაზე უპასუხა გივიმ. მიბრძანეთ, რა გნებავთ?

— მე მინდა მეგობრად დავრჩეთ!

— არასოდეს! — ალშფოთებით მოუჭრა სიტყვა გივიმ და სახეზე ალმურმა გადაურბინა. — ჩვენი გზები ერთმანეთს სამუდამოდ დაშორდა. ბოლშევიკი! — ბოროტად ჩაიცინა კბილებში ლეიტენანტმა გივიმ და ვაზიანიდან გავიდა.

ელენემ ლეიტენანტ გივის ამღვრეული თვალი გააყოლა, სიბრაზით ტუჩი ჩაიკვნიტა და ნერვიულად რქა მოგრიხა".

ელენემ თითქოს ადრევე შეამჩნია გივიში „მოღალატურად აფეთქებული ნაპერწკალი", მაგრამ იგი ყოველთვის ცდილობდა, რომ დარჩენილიყო მის მეგობრად.

განსაკუთრებით საგრძნობია ნაწარმოების მხატვრული სისუსტე და იდეოლოგიური მარცხი მთავარი ტიპის — ბოლშევიკ ბაკონას და მისი თანამოაზრეების მოქმედებისა და ხასიათების მოცემისას. აქ არა ჩანს პარტიული მუშაობის ორგანიზაციულობა, მოქმედებენ მხოლოდ ცალკეული პირები, რომელთაც ბოლშევიკების შესახებ მხოლოდ გაუგიათ და საეჭვოა, რომ რომელიმე მათგანი პარტიის წევრი იყოს.

მწერალი შემდეგნაირად ახასიათებს მთავარი ბოლშევიკის „სიმტკიცეს":

„სულ სხვანაირი იყო ბაკონა. მისი მშფოთარე დაუდეგარი და ცნობისმოყვარე ბუნება უფრო **ჯიუტი** და **უდიერი** იყო! პატარაობიდანვე საშინელი გაჯიქება იცოდა და ახლა ხომ, როცა ცოტა წამოიზარდა, **მისი სიჯიუტე ხშირად აუტანელი ხდებოდა...** სიჯიუტე ყოველთვის პირდაპირია, **ტლანქი** და **უხეში**. ბაკონაც თავისი **უხეში** და **ტლანქი ჯიუტობისათვის ბევრს არ უყვარდა; ეშინოდათ, ერიდებოდათ, მაგრამ არ უყვარდათ**" (შესანიშნავი ეპიტეტებია! ხაზი ყველგან ჩვენია. ე. ა.).

აი ეს **ჯიუტი, ტლანქი** და **უხეში** ბაკონა, რომელიც **ბევრს არ უყვარდა**, წარმოდგენილია ბოლშევიკური აზრის მეთაურად სოფელში. ამ „ბოლშევიკმა" იცის, რომ „ბოლშევიკებმა მთელ რუსეთში გაიმარჯვეს და აქაც შავგულიძეებისა და თანდილაშვილების თარეშს მალე ბოლო მოელება", და ცდილობს დარაზმოს ღარიბი და საშუალო გლეხობა მემამულეებისა და კულაკების წინააღმდეგ.

ახერხებს თუ არა იგი ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას? რასაკვირველია, ვერა: ვერ ახერხებს, ჯერ ერთი იმიტომ ,რომ ის პირადი თვისებები, რის გამოც ბაკონა არ უყვარს მასებს, არ არის ბოლშევიკური, და მწერლის ცდა ასეთად დაგვიხატოს ისინი, მეტი რომ არა ვსთქვათ, უხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში შეცდომაა. მეორე ბაკონაც ჯერ კიდევ შორს არის ბოლშევიკობისაგან. მან არ იცის, რა და როგორ გააკეთოს, მოქმედებს მოუფიქრებლად, იგი არ იცნობს ბოლშევიკურ ორგანიზაციასაც კი. ალბათ, ამითაც ავსნ ბას, რომ მწერალმა ბაკონას ქაიხოსრო მოაკვლევინა და ტფილისში გააქცია.

არც ქაიხოსროს მოკვლა და შემდგომი პროცესებია დამაჯერებელი.

ბაკონას უყვარს ბრუციანის ძმისწული თამარ, რომელიც ბიძასთან იზრდება. ერთ დღეს კანკორა (ბაკონას ძმა) გაუმხელს ბრუციანს ამ ორი ახალგაზრდის სიყვარულს და სთხოვს, რომ მისცეს მათ შეერთების უფლება. თამარს მამისეული მამული აქვს, რომელსაც ბრუციანი იყენებს. თამარის გათხოვებას. უნდა მოჰყვეს ამ მამულის დაკარგვა ბრუციანისათვის. ბრუციანის თვალწინ მთელი ტრაგედია გადაიშლება, იგი ვერ შეურიგდება ამ გარემოებას და იმავე ღამეს თონეში სწვავს თავის ძმისწულს.

ამ ამბავს შეიტყობს ტყიდან მომავალი ბაკონა, ჩამოვა სოფელში და შურისძიების მიზნით მოჰკლავს მემამულე ქაიხოსროს საკუთარ ვენახში — „ამღვრეული წყალი სათავეში უნდა დაიწყვიტოსო“.

ყველაზე ადრე ამ ამბავს მისი ძმა კანკორა გაიგებს, წაართმევს ძმას თოფს და ურჩევს თავი შეაფაროს ტფილისს. ქაიხოსროს მოკვლას კი თითონ დაიბრალებს.

ეს ამბავი მეტად ხელოვნური და სქემატიურია, ამიტომ იგი მკითხველზე ვერ ახდენს ვერც ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ვერც მხატვრულ დამაჯერებლობას. საერთოდ რომანში იშვიათია ისეთი ადგილი, რომელიც დაძაბავდეს მკითხველის ყურადღებას და წარმოშობდეს ცხოველ ინტერესს. ამბების შემდგომი ვითარებისადმი. ხელოვნურია და მშრალად არის აღწერილი ბრუციანის მიერ თამარის დაწვის პროცესიც. რის გამოც ფსიქოლოგიურად ძნიმე და ტრაგიკული ამბავი ვერ იწვევს აღელვებას მკითხველში. დამაჯერებლობას მოკლებულია აგრეთვე კანკორას დასახიჩრება. ის უაზრო ნაბიჯი, რომელსაც კანკორა გადასდგამს, არ შეეფერება მის წინდახედულ, აზროვან და დინჯ ბუნებას.

ავტორს არ ეხერხება კერძოდ რევოლუციური სიტუაციის მოცემა დინამიურ ფენებში. მთელი რომანის მანძილზე მწერალს მოდუნებული ტონი აქვს აღებული და მხატვრულ შედარებებსა და სახეებსაც ასეთი საღებავებით ჰქმნის, არჩევს პასიურ შედარებებს, სახეებს, სურათებს, რაც ვერ გამოხატავს სიტუაციის მოძრავ, მებრძოლ განწყობილებას. ეს გარემოება შეიძლება იმით აიხსნას რომ გლეხთა რევოლუციურ შეგნებასა და მზადყოფას ავტორი სწორი თვალსაზრისით ვერ აფასებს: „ალბათ, მალე სადმე მეხი გავარდება“. ეს „ალბათ“ არ იძლევა შესაძლებლობას გაბედული რევოლუციური მოქმედების სცენების შექმნისათვის, იგი ჰქმნის რომანის თავისებურ (პასიურ) შინაგან რიტმს, რაც სავსებით შეეფერება მის იდეურ მხარეს. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ, საკმარისია გავიხსენოთ რომანის

ფინალი: ბაკონამ ქაიხოსრო მოჰკლა, ამას უნდა მოჰყოლოდა ხალხის ამოძრავება, გამოფხიზლება, მზადყოფნის შემოწმება. ეს აქტი უნდა გადაქცეულიყო მასების მოქმედებისაკენ მობრუნების წერტილად. სხვანაირად ამ მოუფიქრებელი აქტის გამართლება შეუძლებელი იყო. მწერლის მხატვრული საღებავები კი სულ სხვა შთაბეჭდილებას ჰქმნიან:

„სოფელი ღრმა დუმილში გაეხვია.

მოღუშულ ცაში პირველი ქუხილი გაისმა და მოახლოებული გრიგალის მოლოდინში ხალხი როგორღაც მიყუჩდა, გაირინდა“.

ერთი შეხედვით, მშვენიერი სურათია, მაგრამ ის ვერ გამოხატავს ხალხის საბრძოლო განწყობილებას. პირველი ქუხილი გაისმა, მაგრამ მას გრიგალი **ალბათ** მოყვება, **ალბათ** არა. ან თუ მოჰყვება, სულ სხვა ქარით, ეს შორიდან მოტანილი ღრუბლების ქარიშხალი იქნება. თვით ადგილობრივი ხალხი კი გარინდული იყო მის მოლოდინში (!).

სწორია თუ არა ეს? რასაკვირველია, არ არის სწორი.

აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ მწერლის მხატვრული ინტერპრეტაციის პრინციპს, რადგან ეს პრინციპია მისი იდეური კონცეპციის სამოსელი და იგი არ აძლევს მას ეპოქისათვის შესატყვის ტიპიურ გარემოსა და ხასიათების მოცემის შესაძლებლობას. არჩილ ჯაჯანაშვილის შეცდომა ამ მხრივ ის არის, რომ იგი მხატვრული პროზის კლასიკურ მემკვიდრეობას არა ისტორიული თვალსაზრისით უდგება და კონკრეტულ შემთხვევაში უშნო წაბაძვამდე დადის. მას პირდაპირ გადმოაქვს ილია ჭავჭავაძის ხერხები, კვალდაკვალ მისდევს „ოთარაანთ ქვრივს“ და უცვლელად იმეორებს ზოგიერთ მის შტრიხსაც, ნაცვლად იმისა, რომ მოგვცეს მათი აზრობრივი განვითარება ახალ ისტორიულ პირობებში. საბჭოთა პროზის დამოკიდებულება კლასიკური მემკვიდრეობისადმი მდგომარეობს იმაში, რომ მის საფუძველზე მოგვცეს ახალი, უფრო მაღალი მხატვრული ხერხები, რომლებიც დაიტევენ ახალ შინაარს. ეს მომენტი განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივ, რომ ხშირად ძველი პრინციპის უშუალოდ გადმოღებას თან სდევს ძველი შინაარსიც, რაც არ შეიძლება შეუთავსდეს ახალი ეპოქის იდეურ ატმოსფეროს. გარდა იმისა, რომ რომანის ავტორი პირდაპირ იმეორებს ილიას ცნობილ ტერმინს (კაცური კაცი) იმავე შინაარსით, როგორც ეს ილიას ესმოდა, იგი იძლევა აგრეთვე ტიპების მთელ გალერეიას, „ისეთსავე“ შტრიხებში, როგორშიაც მოგვცა ილიამ თავისი ცნობილი ტიპები. მაგრამ არჩ. ჯაჯანაშვილის ტიპები, დაშორებული არიან რა ნახევარი საუკუნით ტიპიურ გარემოს და წარმოადგენენ რა მხატვრულად დაუმუშავებელ მკრთალ სილუეტებს, ვერ ახდენენ და არც შეუძლიათ მოახდინონ ისეთივე დამაჯერებელი ზეგავლენა მკითხველზე, როგორსაც ახდენენ ილიას ტიპები. ილიას ტიპები თავისი ეპოქის ცოცხალი ადამიანები იყვნენ, ჯაჯანაშვილის ტიპები კი უფრო ყალბი თვალსაზრისის ნაყოფია.

კანკორას და ბაკონას დედა მაკრინე თავისი ხასიათით ყოველმხრივად ოთარაანთ ქვრივის ცუდი ნეგატივია. ასევე ჰგავს გიორგის კანკორა, ზაქროს — ბაკონა. ამ უკანასკნელთ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პირველი მამის ფიზიკური შეურაცყოფის საფუძველზე ჰკლავს თავადს და გავარდება ტყეში ყაჩაღად, მეორე კი საყვარლის დაღრჩობის გამო ჰკლავს მემამულეს და მიდის ტფილისში (!).

არჩილისა და კესოს პარალელად ავტორმა გივი და ელენე გამოიყვანა. არჩილი თანმიმდევრულ მენშევიკად დაგვიხატა, კესო კი, გადაკეთებული ელენეს სახით, წვრილბურჟუაზიული კაცური-კაცის გრძნობით აღჭურვილ „ბოლშევიკად“ აქცია. აქ ავტორმა შეგნებულად უღალატა ამბების ლოგიკურ განვითარებას, მოინდომა რა წინასწარ აკვიატებული აზრის გამართლება — შეურიგებელთა შერიგება.

აქედან აშკარაა, თუ რატომ არ არის „ნაგერალი“ რეალისტური, იდეურად გამართლებული, ახალი ეპოქის შესატყვისი და მხატვრული დამაჯერებლობით სავსე ნაწარმოები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	გვ.
ალიო მაშაშვილი — ენგური (პოემა)	3
იაკინთე ლისაშვილი — ძახილი მთაში (რომანი) გაგრძ. იქნება შემდეგ ნომრებში	49
სიმონ ჩიქოვანი — ნიჟარის საფერფლე (ლექსი)	80
ილო მოსაშვილი — სიტყვა სასამართლოში (ლექსი)	82
ლეო ქიაჩელი — გვადი ბიგვა (რომანი. გაგრძელება)	84
გ. კაჭახიძე — შოთას ხალიჩა (ლექსი)	108
კ. ბობოხიძე — სიმღერა გმირულ ესპანეთზე (ლექსი)	110
სიმ. ქვარიანი — შოთა რუსთაველი (ნაწყვეტი რომანიდან)	111
ალ. პუშკინი—მეფე სალტანის ზღაპარი (ნაწილი პოემიდან) თარგ. მ. პატარიძისა	182
ალ. ქუთათელი — პირისპირ (რომანი. გაგრძელება)	139
ალ. ჭეიშვილი — ლელო (რომანი. გაგრძელება)	189
ჟან ჟიონო — დიდი ფარა (რომანი. გაგრძელება) თარგმანი ფრანგულიდან ირეოდიონ ქავჟარაძისა	232

ფილოსოფიის კლასიკოსები

პ. შარია — რენე დეკარტე	291

რუსთაველის იუბილესათვის

გ. ნათენაძე — შოთა რუსთველის ვინაობა სადაურობის შესახებ	265

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ე. ასტვაცატუროვი — ნაგერალი	301